

პაატა გუგუშვილი

სახალხო მეურნეობის წარმოება და განვითარება

ქრისტოშობა

ტ.მ.ი. მორა

კავიტალისტური ფორმაცია

წიგნი პირველი

მანუფაქტურული წარმოების სტადია

სახელმწიფო
ბამონცემლობა

ტფილისი
1934

საქ.-კედაგოგისური
სეპტორი

3

ბ — 96. ს.

ტექრედაქტორი: ე. გორგაძე
კორექტორი: ა. ჯაღალანია
გადაეცა წარმოებას 20/XI — 33
ხელმოწერილია დასაბეჭდად 27/II — 34
სტ. ქ. 62 X 94. ს. ნ. ფ. 47.000
მთავლიტის რწმ. № ა — 242
ტირაჟი 5000. შეკვ. № 942
სახელგამის 1-ლი სტ. პლენ. პრ. № 91.

წი ნ ა ს ი ტ ყ ვ ა ო ბ ა

„სახალხო მეურნეობის წარმოშობისა და განვითარების“ წინამდებარე წიგნში, როგორც ეს ნათქვამი გვექონდა პირველი ტომის მეორე წიგნის წინასიტყვაობაში, მოცემულია მასალები კაპიტალისტური მეურნეობის განვითარების პირველი სტადიის, მანუფაქტურული სტადიის შესახებ.

უკვე მეხუთე წელიწადია მას შემდეგ, რაც სახალხო მეურნეობის ისტორია შემოღებულია ჩვენს უმაღლეს სასწავლებელში — ამჟამად ტფ. სახელმწიფო უნივერსიტეტში. მღუბდავად იმ-სა, რომ სახალხო მეურნეობის ისტორიას, როგორც მეცნიერებას, საკმაოდ დადი ხნის წარსული აქვს, ქართულ ენაზე, საყოველთაოდ ცნობილი მიზეზებისა გამო, სათანადო ლიტერატურა არ არსებობდა; ამიტომ, ცხადია, რომ ამ დისციპლინის სასწავლო საგნად შემოღებამ მთავითვე მწვავედ დაეცა ავტოს შექმნის საკითხი. ამასთანავე ვინც ოდნავ მაინც იცნობს ამ დისციპლინას, და იმ ამოცანებზე, რასაც მარქსი და ლენინი ამ მეცნიერებას უსახავედენ, ადვილად წარმოიდგენს თუ რაოდენ სერიოზულ და ხანგრძლივ მუშაობას მოითხოვს სახალხო მეურნეობის ისტორიის ორიგინალური სახელმძღვანელოს შექმნა. ასეთ პირობებში, ჩვენთვის იმთავითვე აშკარა შეიქნა, რომ არსებული მოთხოვნების რამოდენიმედ მაინც დაკმაყოფილება პირველხანებში აუტკლებლად სათანადო ქრესტომათიის შედგენის სახით უნდა მომხდარიყო.

ამგვარად, უკვე 1930 წელს შევუდექი ასეთი წიგნის შედგენას, რომლის პირველი ტომი. ორ წიგნად (პირველყოფილი, მონათმფლობელური და ფეოდალური საზოგადოებათა მეურნეული განვითარება) 1931 წელს იქნა გამოცემული; ეს წიგნები ამჟამად ბაზარზე აღარ მოიპოვება; მათგან პირველი წიგნი (პირველყოფილი და მონათმფლობელური მეურნეობა), რომელიც უკვე დადი ხანია რაც საყვებთ ვაიყიდა, ხელახლად შედგენილი სახით მზადდება ამჟამად მეორეჯერ გამოსაცემად.

როგორც პირველი და მეორე, ისე მესამე წიგნის შედგენის დროს ჩვენი მიზანი იყო წარმოგვედგინა უმთავრესად შედარებით ადვილად გასაგები ენით დაწერილი და უახლესი მასალები; ამასთანავე ერთად, ცხადია, განსაკუთრებული ყურადღებით ვეპყრობოდით მასალათა იდეოლოგიურ მზარესაც. ამ მხრივ, უნდა დავსძინოთ, რომ როგორც პირველი ორი, ისე მესამე წიგნიც სიფრთხილით და კრიტიკულად მოპყრობას საჭიროებენ. საქმე იმაშია, რომ ჩვენს ქრესტომათიაში მარქსიზმის კლასიკოსებისა, წინდა

ეანოვრაფიული მასალებსა და დოკუმენტების გვერდით წარმოდგენილია ასეთი ავტორები, როგორც არან, მაგალითად, შურცი, გროსსე, ა. ბერი, ვ. რემესი, პ. კუნოვი, ა. ბოგდანოვი და სხვ. I წიგნში; ი. კულიშერი, კრევიცი, ტუგან-ბარანოვსკი, ვ. ზომბარტი, პ. ლევი, კ. ბუხერა, კ. კაუცი, გ. ფონ-ბელოვა და სხვ. II წიგნში; იანენი, როტა, ზომბარტი, ზეკუროტი, ჯივილეგოვი. მ. კოვალევსკი, ლეეასერი, პ. ბრიზონი და სხვ. III წიგნში. რომელთა სახელები საყოველთაოდ ცნობილია, როგორც ბურჟუაზიულ იდეალისტური და მიქანისტური თვალსაზრისზე მდგარი მეცნიერების სახელები; მაგრამ ამ ავტორებისათვის გვერდით ავლა არც ისე ადვილად შეაძლებოდა, როგორც ეს აღნიშნულია, მაგალითად, სათანადო ორგანოებას მიერ დამტკიცებულ შესაბამი დისკალინათა პროგრამაშიაც; რადგან, როგორც ცნობილია, განსაკუთრებით წინაკაპიტალისტურა ეკონომიური ფორმაციების განვითარება ჯერ კიდევ არ არის მარქსისტულ-ლენინურად დამუშავებული. მეორეა მხრივ, ხსენებულ ავტორებიდან სათანადო მასალის გადმოღება კიდევ იმ გარემოებით შეიძლება იქნას გამართლებული, რომ ისინი ჩვენი მკითხველს ფენისათვის სხვაგვარად ხელმიუწვდომელი იყო, მათ უმეტეს რომ რუსული წიგნის ბაზარზედაც არ მოიპოვებიათ და ამავე დროს სახალხო მეურნეობის ისტორიის შესწავლაც, შემოხსენებული მიზეზებისა გამო, მათ ვარეშე დღევანდელ პირობებში კიდევ შეუძლებელია. ამათანავე ერთად. ცხადია, ჩვენ ვცდილობდით ამ ავტორებიდან გადმოგველო უფრო ფაქტური, აღწერლობითი ხასიათის მასალები, მაგრამ, როგორც ცნობილია, თუნდაც თვით მასალათა უბრალო დალაგებშიაც კა მშვენივრად ატარებ, ავტორი იმ მეთოდს, იმ მსოფლმხედველობას, რომლის წარმომადგენელიც იყო არის.

საჭიროდ მიგვაჩნდა, ყოველივე ამაში წინდაწინ გაგვეფრთხილებია ამ ქრესტომათიის მკითხველები, თუმცა, ისიც უდაოა, რომ მკითხველთა ეს ფენა ჩვენს საინფორმაციოში უკვე საკმაოდ მომზადებულია იმისთვის, რომ როგორც ენგელსი იტყოდა „შესძლოს ბურჟუაზიული ხოქოს მონელება“.

ზემოდ თქმულიდან უკვე ის აზრიც გამომდინარეობს, რომ წინამდებარე ქრესტომათიან არ წარმოდგენს უშუალო სახელმძღვანელოს, ის, როგორც უკვე წინა გამოცემის წინააღიყვანობაში გვექონდა აღნიშნული ს ა მ უ შ ა ო წ ი გ ნ ი ა; და როგორც ასეთს მას, ფიქრობთ, მაგავსად წინანდელი წიგნებისა შეუძლია ჩვენს მკითხველს გარკვეული სარგებლობა მოუტანოს.

შემდეგ წიგნებში მასალები დალაგებულია იმგვარად, რომ მეოთხე წიგნი შეიცავს სამრეწველო კაპიტალიზმის პერიოდს, ხოლო მეხუთე წიგნი კი — კაპიტალიზმის უკანასკნელ სტადიას — იმპერიულიზმის ეპოქას.

გასულ საწავლო წლის განმავლობაში (1932/1933) ჩვენ მოწმე ვიყავით იმისა, რომ მთელ საბჭოთა კავშირში მეტად გააზარდა ყურადღება, — როგორც საშუალო ისე უმაღლეს სასწავლებლებში — ისტორიის სწავლებითავე. უდაოა, აქ გადამწყვეტი როლი შეასრულა კ. პ. (ბ) ტუქის დადგენილებამ 1932 წ. 25 აგვისტოდან, სადაც აღნიშნულ იყო საზოგადოებ-

რივ მეცნიერებათა პროგრამებში ისტორიულობას არასაკმარისობა, რომ მათში მეტად მცირედი ადგილი ჰქონდა დათმობილი სხვადასხვა ხალხებისა და ქვეყნებს, საზოგადოებრივი განვითარების ისტორიული წარულის შესწავლის საქმეს; მოცემულ იქნა გარკვეული დირექტივა, რომ საზოგადოებრივ მეცნიერებათა დარგში მნიშვნელოვანად გაძლიერებულიყო ისტორიზმის ელემენტები. ყოველივე ამან, როგორც აღვნიშნეთ, გამოიწვია ისტორიულ დისკიპლინათა მიმართ ყურადღების შემდგომი გაძივილება, როგორც საშუალო ისე უმაღლეს სასწავლებლებში; რასა შედეგიც იყო სათანადო პროგრამების გადახალისება, ჭაათების გადიდება და სხვა. ამ გარემოებამ როგორც მოსალოდნელიც იყო კიდევ უფრო გააძლიერა ყურადღება და მოთხოვნილება ამ დარგის ლიტერატურაზე; ამ მოთხოვნილებისათვის ერთგვარი სამსახურს გაწევა — მიზანია წინამდებარე წიგნისა.

დღემდე არსებული ტრადიციის თანახმად, როგორც საერთოდ „მსოფლიო ისტორია“, ისე კერძოდ სახალხო მეურნეობის ისტორიაც ისწავლებოდა მხოლოდ ევროპის ხალხთა განვითარების მიხედვით. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ამ ტრადიციას, რომელიც ჯერ კიდევ მეჩვიდმეტე-მეთერთმეტე საუკუნიდან მომდინარეობს და რომლის წინააღმდეგ თითქმის ოთხმოცდაათი წლის წინად ხმა აღიმართა კ. მარქსმა, ბოლო უნდა მოეღო; რადგან მას ეცობრიობის ისტორიული განვითარების თანამედროვე ეპოქამ კარგა ხანია რაც საფუძველი გამოაცალა. მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრიდან და მეოცე საუკუნეში მსოფლიო ისტორიულ აპარატზე გამოვიდნენ ამერიკა, იაპონია, ჩინეთი და სხვ. აღმოსავლეთის კოლონიური და ნახევრად კოლონიალური ქვეყნები რომლებიც ამდენ ხანს ევროპის კაპიტალიზმის მხოლოდ ერთგვარ „დამატებას“ წარმოადგენდნენ, და რომლებიც ამერიკიდან მსოფლიო ეკონომიკისა და პოლიტიკის ცენტრში აღმოჩნდნენ. ამდენად ყოველად შეუძლებელია, რომ ისტორიოგრაფიამ ამ გარემოებას ანგარიში არ გაუწიოს; დროა, ამ მხრივ, ბოლო მოეღოს, ე. წ. „ევროპოცენტრიზმს“ და მასზე დამყარებულ სქემას მათელი ისტორიისა. ამიტომ ჩვენს ქრესტომათიაში სხვათა შორის წარმოდგენილია მასალები, მაგალითად, ჩინეთში მანუფაქტურული წარმოების შესახებ და სხვ.

წინამდებარე წიგნს დართული აქვს აგრეთვე წერილი — „ზაჟურა“ წარმოების წესი“. ის საზოგადოებრივ-ეკონომიური ფორმაციების გარშემო ჩემ მიერ წარმოებულა მუშაობის ციკლიდან და იბეჭდება იმ სახით, როგორც დაიწერა თითქმის ერთი წლის წინად; თუმცა მას შემდეგ ამ საკითხზე საკმაოდ ათქვა, მაგრამ მან მხოლოდ კიდევ უფრო დაგვირწმუნა იმ შეხედულებაში სისწორეში, რომელიც იქ არც განვითარებულა.

„აზიური წარმოების წესი“.

საზოგადოებრივ-ეკონომიური ფორმაციების შესახებ უკანასკნელი წლებს განმავლობაში წარმოებულ დისკუსიამ უკვე ერთგვარი გამოხმაურება პპოვა, ჩვენშიაც. სჯობია გვიან, ვინემ არასოდეს. მით უმეტეს რომ არც ეს გვიანაა. ეს საკითხები დღემდე წარმოადგენენ დაუცბრომელი კამათის საგანს, რაც იმითა აიხსნება, რომ თემა არა მარტო თეორიული და ისტორიული ინტერესის შემცველია, არამედ იმავე დროს მეტად აქტუალურ პრაქტიკულ-პოლიტიკურ ხასიათს ატარებს, — სხვათაგან წარმოდგენილიც არაა.

როგორც ეს ცნობილია, საკითხს პირველი კვანძები დაიხლართა აღმოსავლურა ქვეყნების ისტორიული განვითარების პრობლემათა შესწავლის გარშემო. რაიც გამოწვეული იყო საფუძველზე იმ რევოლუციონურ მოძრაობათა მიზეზების და პერსპექტივების მეცნიერულად გამოკვლევისა, რომელიც კარგახანია დაენტო და რომელმაც გრანდიოზული ხასიათი მალე საერთოდ აღმოსავლეთში და განსაკუთრებით კ ჩინეთში, ერთი მხრივ ულტრა-იმპერიალისტურ მტაცებლური ზრახვების წარმომადგენელ ბურჟუაზიული ევროპის, ამერიკის და იაპონიის კაპიტალისა და მეორე მხრე ჩინეთის მრავალმილიონიანი შრომელი მასების ეკონომიური და ეროვნული ჩაგვრისაგან განთავისუფლებასაკენ ლტოლვის ურთუერთთან გადამწყვეტი შეჯახების ნიადაგზე, რომელიც მას შემდეგ მეტნაკლებს ჩამწვავით და ინტენსივობით დღემდეც გრძელდება და გაგრძელდება სანამ ჩინეთის პროლეტარიატი და მისი ხელმძღვანელობით ამოძრავებული რევოლუციონური გლეხობა საბოლოოდ არ გადაადგმბს თავიდან მონობის იმ უღელსა, რომელიც მა, იმპერიალისტურ-ბურჟუაზიული და ფედალურ-საშუალო საუკუნეებრივი ექსპლოატაციის ათასგვარა პირდაპირი თუ არაპირდაპირი, აშკარა თუ ფართული ფორმებს სახით რომ აწევს.

დღეს ჩინეთის რევოლუციონური პროლეტარიატი, რომელმაც სათავეში უდგას ჩინეთის კომუნისტური პარტია უკვე დარწმუნებულია, რომ ის საბოლოო გამარჯვებამ, ვერ მაღწევს იმ რეაქციონურ ხალხობნური თეორიის საფუძველზე, რომელიც „ჩინეთის რევოლუციის მაზად“ წოდებულ რევოლუციონურ დოკუმენტ სუნ-იატ-სენმა თავის დროზე დასახა მის პარტიის მთავარ პრობლემად: ნაციონალიზმი, დემოკრატია, სოციალიზმი და ხუთსფეხურიანი კონსტიტუცია.¹⁾ სუნ-იატ-სენს

1. Сунь-Ят-Сен — „Записки китайского революционера“, 1926, 133.

ევოფა დამსახურებად, რომ თითქმის ნახევარმილიონიანი ჩინელი ხალხის მასსა გაანთავისუფლა 2000 წლის წინად ფუ-გუ-ე-ხის მიერ განმტკიცებული „სიბრძნის“ მონობიდან, რომ: მოქმედება — ძნელია, ხოლო ცოდნა კი — ადვილი. სუნმა თავისი მოღვაწეობით, რომელიც გაქვლენთილი აყო გმირული, გულწრფელი და რევოლუციონური დემოკრატიზმით, გააცამტეერა ეს დროგასული და სქოლასტიკური თქმულება, რომელსაც ასე დიდხანს შეებოჭა ჩინეთის ხალხი და რომლის ბატონობამ „პარალიზაციამდე მიიყვანა“, — თვით სუნის სიტყვებით რომ ვსთქვათ, — მისი „გეგმა ჩინეთის გადახალისებისა“²). დღეს ჩინეთის პროლეტარიატი აშკარად ხედავს, რომ ზნა ბოცილიზმსაქენ შეიძლება გაკაფულ იქნას მხოლოდ კომუნისტური პარტიის ზელმჭლენელობით, მხოლოდ და მხოლოდ ამ მეთოდებისა და პრინციპების საფუძველზე, რომელიც დასაბა თანამედროვე მსოფლიო პროლეტარატის რევოლუციონურმა გენიოზებმა: მარქს-ენგელს-ლენინ-სტალინმა.

როგორც უკვე ვსთქვით ამგვარ პრაქტიკულ-პოლიტიკურ ნიადაგზე ფორმაციების შესახებ წარმოშობილ დისკუსიამ იმთავითვე გაცხოველებული ზასიითი მიიღო და თავისთავად ცხადია, რომ თანმიმდევარი პროგრესული ფორმაციებს შორის ყველაზე აქტუალური შეიქნა საკითხი „აზიური წარმოების წესის“ შესახებ.

დისკუსიის პირველ წლებში ჩამოყალიბდა ორი მთავარი შეხედულება. ერთნი ამტკიცებდენ, რომ „აზიური ფორმაცია“ ეს სხვა არაფერაა, როგორც პირველყოფილი ფორმაცია და ამდენად მას აიგვებდენ უკლასო საზოგადოებასთან. მეორე შეხედულება, რომელმაც თავისი გამოხატულება ჰპოვა კონტრ-რევოლუციონურ ტროცკიზმში და, აგრეთვე, ამხ. ლ. მადარის და კიდევ ზოგიერთ სხვა საბჭოთა ისტორიკოსების შრომებში ამტკიცებდა, რომ „წარმოების აზიური წესი“ არის სავსებით დამოუკიდებელი, თავისებური და სხვებისაგან განსხვავებული ფორმაცია.

ქვემოთ ჩვენ შევეცდებით გარკვევა საკითხისა, თუ როგორ უნდა იქნას გაგებული მარქსიზმ-ლენინიზმის საზოგადოებრივ-ეკონომიურ ფორმაციებზე მოძღვრებაში, ე. წ. „აზიური წარმოების წესი“ ანუ „აზიური ფორმაცია“.



ზანამ უშუალოდ საკითხს შევეხებოდეთ, საჭიროა წინასწარ რამოდენიმე სიტყვა ითქვას ფორმაციებზე მარქსიზმის მოძღვრების განვითარების შესახებ.

დაწყებული 1843-1844 წლებიდან ვიდრე 1858-1859 წლამდე მარქსი არსად, ან თითქმის არსად არ იხსენიება „წარმოების აზიური წესი“. ამ ხანებში მარქსის მიერ დაწერილ თხზულებებში — „გერმანული იდეოლოგია“, წერათლი ანენკოვს, „ფილოსოფიის სილატაკე“, „დაქრავებული შრომა და კაპიტალი“, „მანიფესტი“ და მრავალ სხვაში —

² Сунь-Ят-Сен — „Капиталистическое развитие Китая“, 1925. М. 192.

ჩვენ საქმე გვაქვს უმთავრესად, თუ მხედველობაში არ მივალდებით „გერმანულ ოდეოლოგიაში“ მოხსენებულ „საკუთრების პირვანდელ ფორმას“, რომელსაც მარქსი და ენგელსი უწოდებენ „საგვარეულო საკუთრებას,“²⁾ სამ ფორმაციასთან. ესენია: ანტიკური, ფეოდალური და ბურჟუაზიული საზოგადოებრივ-ეკონომიურა ურთიერთობანი.

ამ პერიოდს ნაწერთა შორის კ. მარქსს ეს შეხედულება განსაკუთრებით პოპულარულად აქვს გამოთქმული „დაქირავებულ შრომადა და კაპიტალში“: „საზოგადოებრივი ურთიერთობანი, რომლებშიაც ადამიანები წარმოებას ეწევიან, საზოგადოებრივი საწარმოო ურთიერთობანი იცვლებიან, გარდაქმნიებიან ნივთიერ საწარმოო საშუალებათა, საწარმოო ძალთა ცვლილებასა და განვითარებასთან ერთად. საწარმოო ურთიერთობანი ერთობლივად შეადგენენ იმას, რააც საზოგადოებრივ ურთიერთობათ, საზოგადოებას უწოდებენ; მხოლოდ განვითარების განსაზღვრულ ისტორიულ საფეხურზე მყოფ საზოგადოებას, თავისებური, განსხვავებული ხასიათის მქონე საზოგადოებას. ასეთ საწარმოო ურთიერთობათა ერთობლაგობას წარმოადგენს ანტიკური საზოგადოება, ფეოდალური საზოგადოება, ბურჟუაზიული საზოგადოება, და თითოეული ეს საზოგადოება წარმოადგენს ამასთანავე განვითარების განსაკუთრებულ საფეხურს კაცობრიობის ისტორიაში“.

ზემოდ მე აღვნიშნე რომ 1859 წლამდე მარქსს არ იხსენიებდა „აზიური წარმოების წესს“. ახლა კი აქ უნდა დავსძინოთ, რომ უფრო ადრე, სახელდობრ, 1853 წლის 1 ივნისს ენგელსის ადგილზე გაგზავნილა მისი კერძო წერილიდან სიანს, რომ მარქსი მისთვის ჩვეული ენერჯით სწავლობს აღმოსავლეთის ხალხთა, განსაკუთრებით ინდოეთისა და ჩინეთის საზოგადოებრივი განვითარების ისტორიას. ხსენებულ წერილში მარქსი სწერს:

„აღმოსავლეთის ქალაქთა აღორძინების შესახებ ყველაზე ბრწყინვალე შესანიშნავ და აშკარად დასანახ დახასიათებას იძლევა პოხუცი ფრანსუა ბერნიე, რომელიც ცხრა წელიწადი იყო ექიმად აურენგზებესთან. (ფრანსუა ბერნიე — „მოგზაურობა, რომელიც შეიცავს აღწერას სახელმწიფოსი დიდი მოგოლისა და სხვ.“); იგი ძალიან კარგად აგვწერს, თუ როგორ ეწყობოდა ამ უზარმაზარა ჯარების მომარაგება და საერთოდ რა მდგომარეობაში იყო სამხედრო საქმე, ის სხვათა შორის ამბობს: „ლაშქრის გულს შეადგენს ცხენოსნობა, ქვეითი ჯარი იყო მრავალრიცხოვანი არაა, როგორც ამბობენ, თუ ნამდვილ მოლაშქრეთ არ შეუურევთ მოსამსახურებელა და ვაჭრებს, რომლებიც თან დაყვებიან ხოლმე ჯარს. ყველას თუ ჩავთვლათ, მაშინ საერთო ჯამში, რომელიც მთავართან ერთად იძვრის ხოლმე, შეიძლება იქნეს 200.000-დან 300.000 კაცამდე; ხან-

²⁾ К. Маркс и Энгельс — „Сочинения“, IV, 1933 12, 52; „Архив“, I, 254.

დისხან მეტიც იქნება, ეს იმ შემთხვევაში, თუ გადაწყვეტილია, რომ მთავარი დიდი ხნით სტოვებს დედა ქალაქს. ეს შეუძლებლად არ მოეჩვენება იმას, ვინც იცის ეს უანგარიშო, უღვევი კარავი, სამზარეულო, ჯოგი, სხვადასხვა ქონება, ხშირად ქალებიც, მამადადბე, სპილოები, აქლემები, ხარები, ცხენები, მუშები, მოჯგარადრენი და მოსამაზურენი, მოვაჭრენი რომელნიც თან მისდევენ უკან ჯარს: ეს არ გაუკვირდება იმას, ვინც იცნობს ქვეყნის თავისებურ წყობილებას და მის მთავრობას, ვინც იცის, რომ მთავარი ერთად-ერთი მხეცკუთხახელმწიფოს მთელი ადგილმამულის, საიდანაც აუცილებლობით გამომდინარეობს, რომ ყოველი სატახტო ქალაქი, მაგ., დელი ანუ აგარა განსაკუთრებით ჯარით ცხოვრობს და იძულებულია გაუყოს მთავარს, როცა იგი მოგზაურობს ხოლმე თავის ქვეყანაში“.

და შემდეგ მარქსის ამ წერილის დაასრულს დასძენს: „ყველა საადგილ-მამულა ურთიერთობის საფუძველს აღმოსავლეთში ის (ბერნიე ჰგულისხმობს ოსმალეთს, სპარსეთს, ინდოეთს) სრულიად სამართლიანად ხედავს იმაში, რომ იქ არ არის მიწაზე კერძო საკუთრება. აი ნამდვილი გასაღები აღმოსავლეთის ცისათვის“ (კურსივი ჩვენია — პ. გ.).

ფრ. ენ გ ე ლ ს ი კი თავის საპასუხო წერილში, 6 ივნისს იმავე 1835 წ. სწერს:

„მიწაზე კერძო საკუთრების არ არსებობა მართლაც გასაღებია მთელი აღმოსავლეთისათვის. ამაში მდგომარეობს მთელი პოლიტიკური და სარწმუნოებრივი ისტორია. მაგრამ რა თი ავხსნათ, რომ აღმოსავლეთის ხალხნი ვერ მივიდნენ კერძო საკუთრებამდის. ვერ მიადრწევენ ფეოდალურ საკუთრებამდეც-კა?“ და თვითონვე აძლევს პასუხს: „მე მგონია უმთავრესი მიზეზია შავა და ნიადავის თვისება, განსაკუთრებით თუ მივიღებთ მხედველობაში უდაბნოთა დიდ ზოლს, რომელიც გრძელდება სახარიდან მოყოლებული არაბეთით, სპარსეთით, ინდოეთით და ხათათრეთით აზიის უდიდეს მთა-ზეგანამდე. აქ მიწათმოქმედების მთავარი პირობაა ხელოვნური მორწყვა. ეს კი ან თემის საქმეა, ან საოლქო მმართველობისა, ან კიდევ ცენტრალური მთავრობისა... თავისუფალმა მეტოქეობამ იქ სრულიად შეირცხვინა თავი. მიწა იქ ხელოვნურად ნოყიერდება. ამიტომ იმ შემთხვევაში თუ წყალსადენი ფუჭდება, მიწათმოქმედებაც იღუპება, ამით აიხსნება ის საყურადღებო ფაქტი, რომ მთელი ოლქები, წინაღ შესანიშნავად დამუშავებულნი, დღეს გავერანებულნი და გაპარტახებულია (მაგ., პალმირა, პეტრა, ჰიმენის ნანგრევნი. ეგვიპტას ადგილები, სპარსეთი და ინდოეთი) ამით აიხსნება ის მოვლენაც. რომ საკმაოა ერთი განმანადგურებელი ომი, რათა მთელი ქვეყანა დაცალაერდეს და ჯაუკუნებით გაველურდეს. ჩემის აზრით ამავე მოვლენათა რიცხვ, ეკუთვნის აგრეთვე სამხრეთ არაბეთს ვაჭრობის მოსპობაც მაჰმადამდე, რაჟაც შენ სრულიად სამართლიანად სთვლი მაჰმადიანური რევოლუციის უმთავრეს მომენტად“.

ამგვარად, როგორც სჩანს მარქსისა და ენგელსის მიერ ერთმანეთისათვის მიწერილ კერძო ხასიათის წერილები ნათელყოფენ იმ მუშაობას, რომელიც მათ ამ მხრეზე უწარმოებიათ, და, აგრეთვე მათი, ამ საკითხზე, შეხედულების ჩამოყალიბებას გზებმაც უმთავრესა რამ, თითქმის უკვე თქმულია ამ წერილებში; ხოლო აქედან დაწყებული, რამოდენიმე წლის შემდეგ კ. მარქსი უკვე საჯაროთ აქვეყნებს თავის შეხედულებებს აღმოსავლეთზე. აზიური ქვეყნების განვითარების თავისებურებაზე, გარდა ჩვენ მიერ მოყვანილი ადგილებსა მარქს-ენგელსის ნაწერებიდან კიდევ მრავალი ადგილებს აღნიშვნა და დაახელება შეიძლება ამ საკითხზე, სადაც ისინი აღიარებენ, ხაზს უსვამენ და აღნიშნავენ აზიის ქვეყნების თავისებურებათ¹⁾.

როგორც ცნობილია, კ. მარქსმა პირველად ეს საკითხი ნათლად და ყველასთვის გასაგებად წამოაყენა უკვე მხოლოდ 1859 წელს, თავის თხზულებაში „პოლიტიკური ეკონომიკის კრიტიკისათვის“, რომლის წინასტყვაობაში ეკითხულობთ: ფართო მოხაზულობით შესაძლებელია აზიური, ანტიკური, ფეოდალური და თანამედროვე ბურჟუაზიულ წარმოების წესს ეკონომიური საზოგადოებრივი ფორმაციის პროგრესული ეპოქება ეწოდოს“.

შემდეგ უკვე აგრეე აზრება განვითარებულია „კაპიტალი“ ყველა ტომებში: „ყოველა წინაკაპიტალისტური წარმოების დროს მევასშე თამაშობს რევოლუციონური როლს, მხოლოდ იმდენად რამდენადაც ის ანგრევს და ანადგურებს ფორმებას საკუთრებასა, რომელთა მყარ ბაზისზე და ერთსა და იმავე ფორმაში შეუწყვეტელ ხელახლა წარმოებაზე დამყარებულია ქვეყნის პოლიტიკური წყობილება. აზიური ფორმების დროს მევასშეობას შეუძლია აარსებოს ძლიერ დიდხანს, არ გამოიწვევს რა სხვა რაიმეს, გარდა ეკონომიური დაცემისა და პოლიტიკური კორუპციისა“²⁾.

„მონათმფლობელურ ურთიერთობაში, ბატონყმურ ურთიერთობაში, მონარქიების ურთიერთობაში (ე. ი. აზიურ ურთიერთობაში — პ. გ.) (რამდენადაც პრიმატულ თემებში მხედველობაში) პროდუქტის მიმთვისებელი და, მასთანადამე, გამყიდველი არის მონათმფლობელი, ფეოდალური მებატონე, ხარკის მიმღები სახელმწიფო“; შემდეგ: „აღნიშნულ წარმოების წესათა არსებობის დროს ზედმეტ პროდუქტს მთავარი მფლობელი, რომლებთანაც ვაჭარს საქმე აქვს, — მონათმფლობელი, ფეოდალური მებატონე, სახელმწიფო (მაგალ., აღმოსავლეთის დესპოტი), — მომხმარებელ სოციალურ წარმოდგენენ“³⁾.

ანდოეთის და საერთოდ აზიური ხალხების ისტორიულ განვითარებას თავისებურებათა პირობებისა და მიზეზების დახასიათებათაგან, რომელსაც

¹ იხ. კ. მარქსი და ფრ. ენგელსი — „წერილები“ 1923 ტფ. 103 — 104; Маркс и Энгельс — „Сочинения“, IX, 347 — 348.

² К. Маркс — „Капитал“, III, II, 1930, 137.

³ კ. მარქსი — „კაპიტალი“, III, I, 1932 ტფ. 283, 286.

აძლევიან მარქსი და ენგელსი შეიძლება კიდევ მოყვანილ იქნას შემდეგი ადგილებზე:

„წყლის მიწოდებას მოწესრიგება ერთერთი ნივთიერი საფუძველი სყო სახელმწიფოებრივი ხელისუფლება, რომელიც ვრცელდებოდა ინდოეთის წერილ და ურთიერთშორის კავშირს მოკლებულ საწარმოო ორგანიზმებზე. ინდოეთის მაკმადიან შპრძანებლებს ეს უფრო კარგად ესმოდათ, ვიდრე მათ ინგლისელ მემკვიდრეებს“. ხოლო ამავე გვერდზე „კაპიტალისა“ მარქსი აკეთებს შენიშვნას, რომელსაც შემდეგ უკულმართული დასკვნების გამოყვანის დროს არაერთხელ უბრუნდება პლენუმის: „იმ აუცილებლობამ რომ უნდა გამოეანგარიშნათ ნილოსის წყალდიდობის პეროდები, შეჭქმნა ეგვიპტური ასტრონომია და მათანავე მოგვეცა ქურუმთა კატს, როგორც მაწათმოქმედება ხელმძღვანელ ბატონობა“).

ფრ. ენგელსი „ანტიდუარინგში“ სწერდა: „მთელ აღმოსავლეთში, სადაც მწყის შესაკუთრე ან თემია ან სახელმწიფო, ენას აკლავ თვით სიტყვა მემამულე, ამის შესახებ ბატონ დიურონგს შეუძლია ცნობა ინილოს ინგლისელი იურისტებისაგან, რომელნიც ინდოეთში... ამოდ იტებდენ თავს კითხვის გამოსარკვევად — ვინ არის მამულის შესაკუთრეო... აღმოსავლეთში პირველად თურქებმა შემოიღეს მათ მიერ დაპყრობილ ქვეყნებში ერთგვარი მწათმფლობელური ფეოდალიზმი“).

ფეიქრობ მეტი ამონაწერების მოყვანა საჭირო არ არის, რომ ჩვენთვის ნათელი გახდეს ეს გარკვეული შეხედულება, რომელიც ავ მხრე მარქსმა და ენგელსმა გამოიმუშავეს — მაშინდელი რტორიოგრაფიაში აღმოსავლეთ, მცოდნეობის საფუძველზე.



ზედმეტა არ იქნება აქვე აღნიშნოს, რომ გ. პლენუმმა დოკმატურად გამოაყენა შეხედულება „წარმოების აზურ წესზე“. რამაც მას თავის განთქმულ შრომაში — „მარქსიზმის ძირითადი საკითხები“ — „საშუალება მისცა“, ე. წ. გეოგრაფიული მატერიალიზმის საფუძველებზე შემდგარყო და რატცელინს თეორია გაემართლებია. პლენუმოვ, მოყავს რა ციტატი „პოლიტ. ეკონომ. კრიტიკის“ წინასიტყვაობიდან, სწერს:

„აქ ჩვენს წინაშე ნამდვილი, — და ამავე დროს წმინდა მატერიალისტური, — „აღგებრა“ საზოგადოებრივ განვითარებასა. ამ აღგებრაში არის ადგილი, როგორც „ნახტომებისათვის“, — სოციალურ რევოლუციათა ეპოქებისათვის, — ასევე თანდათან ცვლილებათათვის. ნივთთა მოცემული წესის თვისებებში თანდართულ რაოდენობით ცვლილებებს მივყევართ. დასასრულ თვისობრივ ცვლილებებისაკენ: ე. ი. წარ-

2. გ. მარქსი — „კაპიტალი“, I, 1930, 460.

3. ფრ. ენგელსი — „ანტიდუარინგი“, 1933, ტფ. 143.

მოების ძველი წესს, — ანდა როგორც აქ მარქსი გამოსთქვამს — ძველი საზოგადოებრივი ფორმაცია და ცემინაკენ და მისი ახალი შეცვლა-საკენ. თანახმად მარქსის შენიშვნისა აღმოსავლეთის, ანტიკურ, ფეოდალური და ჩვენი თანამედროვე ბურჟუაზიული წესები წარმოებიან, შეიძლება განხილულ იქნას, ფართო მონახულობით, როგორც თანამედვეარი („პროგრესული“) ეპოქები საზოგადოებას ეკონომიურ განვითარებისა; მაგრამ უნდა ვიფიქროთ, რომ როდესაც მარქსი შემდეგმ: გაეცნო მორგანის წიგნს პირველყოფელ საზოგადოებაზე. მაშინ მან, ალბად, შეიცვალა თავისი შეხედულება ანტიკური წარმოების წესის აღმოსავლეთური წარმოების წესისადმი მიმართებაში; და ნამდვილად, ფეოდალური წარმოების წესის ეკონომიურ განვითარების ლოგოკამ მიგვყვანს სოციალურ რევოლუციამდე, რომელიც დაგვირგვინდა კაპიტალიზმის ზეიმით. მაგრამ ჩინეთს ანუ ძველი ეგვიპტის ეკონომიურ განვითარების ლოგოკას საეჭვითაც არ მივყევართ ანტიკური წარმოების წესის წარმოშობისაკენ. პირველ შემთხვევაში ლაპარაკია განვითარების ორ ფაზაზე, რომელშიც ერთი მოხდევს მეორეს და იქმნება მისგან. მეორე შემთხვევაში კი ჩვენ გვაქვს ორი პარალელურად არსებული ტიპები ეკონომიური განვითარებისა.

ანტიკურ საზოგადოებამ შესცვალა საზოგადოების საგვარეულო ორგანიზაცია და იგივე ორგანიზაცია იყო წინამსრბოლი აღმოსავლეთური საზოგადოებრივი წყობის წარმოშობისა. ეკონომიური წყობის თითოეული ორი ტიპთაგანი შედგევი იყო საწარმოო ძალთა ამ განვითარებისა. რომელიც წარმოებდა საგვარეულო ორგანიზაციის წილიშა და რომელსაც, ბოლოს და ბოლოს აუცილებლობით უნდა გამოეწვია მისი გახარწნა, და თუ ეს ორი ტიპი მეტად მნიშვნელოვანად განსხვავდებოდენ ერთმანეთისაგან, მათი მთავარი განმასხვავებელი ნიშნები ჩამოყალიბდენ გეოგრაფიული გარემოს გავლენის ქვეშ, რომელიც საწარმოო ძალთა ზრდ გარკვეულ საფეხურამდე მიღწეულ საზოგადოებას ერთ შემთხვევაში წინდაწინ კარნახობს საწარმოო ურთიერთობათა ერთ ერთობლივობას, ხოლო მეორეში — მეორეს, რომელიც მეტად განსხვავდება პირველისაგან“.

როგორც ვხედავთ პლენხანოვს „წარმოების აზიური წესი“, „აღმოსავლეთური საზოგადოებრივი წყობა“ ანუ „აზიური ფორმაცია“ მაშინა განსაკუთრებულ საწარმოო ურთიერთობათ, რომელიც როგორც ანტიკური ფორმაცია წარმოიშვა საგვარეულო საზოგადოების წილიდან, ე. ი. პირველყოფილი ფორმაციის განვითარების შედეგად. და ამასთანავე პლენხანოვის შეხედულებით საწარმოო ურთიერთობის ეს ორი ტიპი, ე. ი. ანტიკური და აზიური ფორმაციები თუ ღიდათ განსხვავდებან ერთმანეთისაგან, ეს არის მიზეზი ამ გეოგრაფიულ გარემოს გავლენისა, რომელშიც ვითარდებოდა თითოეული მათგანი, რადგან პირველ შემთხვევაში გეოგრაფიული გარემო „წინდაწინ კარნახობს საწარმოო ურთიერთობათა ერთ ერთობლივობას, ხოლო მეორეში — მეორეს, (ე. ი. ანტიკურს)

რომელიც მეტად განსხვავდება პირველისაგან“ (ე. ი. აზიური ურთიერთობისაგან⁹).

ამგვარად საწარმოო ურთიერთობის ჩამოყალიბებაში პლენანოვი პრიმატს გეოგრაფიულ ფაქტორებს ანიჭებს. ცნობის მოყვარებას აღმძვრელია, რომ ჰეგელის „ლექციებს ისტორიის ფილოსოფიაზე“, როდესაც უკანასკნელი სპეციალურად ჩერდება „მსოფლიო ისტორიის გეოგრაფიულ საფუძველზე“ („Geographische Grundlage der Weltgeschichte“), ე. ლენინი შენიშნავს რომ ეს „დამახასიათებელი სათაურიაო“; იქ ჰადაც იმავე თავის პირველ გვერდზე ჰეგელის სწერს — „ბუნებას არ შეიძლება მივსცეთ არც მეტად მაღალი და არც მეტად დაბალი შეფასება; იონის უხვი ცა, უქვევლია ბევრ რამეში ხელს უწყობდა ჰომეროსის პოეზიის ჰიმნენიერეს, თუმცა, მხოლოდ მარტო მას არ შეეძლო წარმოეშვა ჰომეროსები, იგივე ცა მათ წარმოშობა აგრეთვე არა ყოველთვის. ოსმალთა ბატონობის ქვეშ არ ჩნდებიან მგოსნები“, — სწორედ აქ ლენინი იხსენებს პლენანოვს¹⁰), რომელსაც ნოტაბენეთი აღნიშნავს, და ადარებს ჰეგელს, რომელსაც, ამ მხრივ, ამგვარად შორს გაუსწრო რატცელის გავლენის ქვეშ მოყოლილ პლენანოვმა.

რაც შეეხება თანამედროვე სოციალ-ფაშიზმის თეორეტიკოსს კ. კაუტსკის „წარმოების აზიური წესი“ მას 1878 წ. მიიჩნდა ურთიერთობის განსაკუთრებულ ფორმად. ხოლო 1912 წელს გ. სალვიოსის ცნობილი წიგნის — „კაპიტალიზმა ანტიურ ქვეყანაში“ — ფრანგულიდან, მისი შუალის კარლოს მიერ შეარულებული გერმანული თარგმანის გამოცემას მამა კარლ კაუტსკიმ წაუტოო წინასიტყვაობა საზოგადოებრივი ფორმაციების, უკეთ ვსთქვათ ისტორიული განვითარების კანონზომიერებზე, შესახებ.

ამ წერილში კ. კაუტსკი აძლევს შემდეგნაირ პერიოდიზაციას: „ყველაზე უფრო ადრინდელ წესად წარმოებას მარქსს-მიიჩნია პირველყოფილი კომუნიზმი“. ამ ფორმაციის ნიადაგზე შეაძლევდელია განვითარება წავიდეს ორი განშტოებათ; ერთის მხრივ კონკრეტული ისტორიული პირობების წყალობით ვითარდება ფედოალური ფორმაცია, ხოლო მეორეს მხრივ ანტიკური წარმოების წესი, ე. ი. თავისუფალი გლეხა პატრიარქალური წყობისა ამ შემთხვევაში იქცევა მონათ. და ამ ნიადაგზე ყალიბდება მონათმფლობელური ფორმაცია; ხოლო ეს მონათმფლობელური ფორმაცია მისი დამახასიათებელი ისტორიულ გარემოებათა განსაკუთრებულობის წყალობით ისე იხრწნება და იმალება. რომ თავისთავში ვერ წარმოშობს შემდგომ, მაღალ საფეხურს, განვითარებისა, მისი დაცემის შემდეგ ისტორია თითქმის ხელახლა თავიდან, ისევე პრიმიტიული მდგომარეობიდან

⁹. Плеханов, Г. В., — „Сочинения“, XVIII, 1925. 216; არის ქართული თარგმანიც: პლენანოვი — „მარქსიზმის ძირითადი საკითხები“, მეორე გამოცემა, 1931. ტფ. 62 — 64.

¹⁰. „Ленинский сборник“, XII, 1931, 157.

იწყება. შემდეგ ამ ფორმაციებს, კაუტსკის პერიოლოზაციით მოსდევს ახალი მეურნეული ელემენტი, რომელიც გვევლინება მხოლოდ სამხრეთ ევროპაში. მეზუთმეტე საუკუნის დასაწყისიდან, როდესაც უკანასკნელნიათვის დადგა ეპოქა პირვანდელი დაგროვებისა; ამ წინადაგზე კი სამხრეთ-სახელმწიფოებო, ატლანტიკის ზანაპიროებოც გაწვრთვ, შესაფერ გარემოებათა ხელსაყრელი თანხედომის წყალობით, მივიდნენ იქამდე, რომ მრასახლებოც უმრავლესობოც პროლეტარიზაციიდან და დიდ სომიდრეთო მტოროდენტო ხელში კონცენტრაციიდან, მსოფლიო კავშირის (მომოსვლას) ერთდროული განვითარებოცთან ერთად, განავითარეს ახალი წესო წარმოებოც — კაპიტალიზმი¹¹).

ამგვარად ამ წერილში ნახსენებოც არ არის „აზიური წესი წარმოებოცისა“; მეორეს მხრივ, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ კაუტსკი ჯერ კიდევ ამ წერილში, დაწერის დროსაც „აკრიტიკებს“ რა კარლ ბიუხერის „ჰეროტრატიკურ-განთქმულ“ სქემას მეურნეული ცხოვრებოც განვითარებოცისა¹²), რვეერანსებს აკეთებოც კ. ბიუხერის წინაშე; ხოლო ზედმეტოცა ლაპარაკოც იმაზე, რომ თავის უკანასკნელ სენსაციურ ორტომიან ნაშრომში¹³), კ. კაუტსკი უკვე ამჟვარად სავსებით აყალბებს და ამახინჯებს მარქსიზმის მოძღვრებოც ისტორიული განვითარებოც კანონზომიერებოცაზე და ეკონომიურ ფორმაციებზე. კაუტსკოც ახლო აღიარებოც „აზიურ ფორმიას“, როგორც ისეთ წესო წარმოებოცა, რომლის შგავსოც არ ახლოც ევროპის ხალხებოც ისტორიულ განვითარებოცა და ამგვარად მოპოზოცია შეხმატკბილებულია ევროპის იმპერიალიზმიც კოლონალურ პოლიტიკოცთან აღმოსავლეთშიც, რომლოც თეორეტიკოცო — მაკდონალდოც, „გაგრძელებოც“ — განდი, ამ პოლიტიკოცას ასახუთებოც აღმოსავლეთოც ხალხთოც (ინდოეთოც, ჩინეთი) თავისებუროც, ევროპის ხალხთოც საზოგადოებრივი განვითარებოცისაგან განსხვავებული, მდგომარეობით; ეს ის პოზოციაოცა, რამოც კაუტსკოც ევროპის და ამერიკის იმპერიალიზმის მტოცებლური პოლიტიკოცის გამამართლებლად მოგონილოც რასობრივი თეორიოცა აღიარებამდე მიყვანოც.

როგორ ცნობილოცა, დღევანდელი სახით, რასობრივი თეორიოცა. — ბიუფონი, პეშელი, მარტონი, კრაფორდი, გრაფ გოზინო და სხვ. — შინაარსი იმაში მდგომარეობოცა, თითქოც: 1) რამოცულ (ფიზიკურ) თვისებებს გადამწყვეტი მნაშვნელობოცა აქვს ადამიანთოცა ჯგუფებოცა კულტურულ განვითარებოცაში; 2) განასხვავებენ „მაღალ“ პუნებრივად უფრო დაჯილდოებულ გონებოცოც განვითარებოცისუნარიან რასებს და „დაბალ“ რასებს, როზლებოცაც ან სავსებით არ აქვთ გონებრივი განვითარებოცის უნარი ანდა უმნიშვნელო ხარისხით; 3) რამის ძირითადი თვისებანი არ სცვლებიან და არ არიან დამოკიდებულნი არც სოციალურ-ეკონომიურ პირობებთან და არც გეოგრაფიულ გარემოსაგან. რასობრივი თეორიოცათან დაკავშირებულ

11. Г. Сальвиоли — „Капитализм в античном мире“, 1923, Харьков.

12. об. К. Бюхер — „Возникновение народного хозяйства“, 1923 М.

13. К. Каутский — „Материалистическое понимание истории“ т. II. 1931

ლო აგრეთვე, ე. წ. „მეგრაციის თეორია“ (რატკელია და სხვები), რომლის თანახმად თანამედროვე ადამიანს წინაპართა ნაშთები, რომლებიც დღეს რეკონსტრუირებულია პაკანტროპუსისა, ჩინანტროპუსისა, პაიდელბერგელის, ნეანდერტალელის და კორმანონელი. ადამიანების სახით და, რომლებიც ადამიანთა მოდგმის თანამედვერული განვითარების სხვადასხვა საფეხურის წარმომადგენლებია, განიხილება როგორც სხვადასხვა რასები, რომელთა მეგრაციების დროს ერთიმეორეს დაპყრობით და განადგურებით მიიღება ზემოხსენებული „განვითარება“. ამ თეორიების რეაქციონერა და იმპერიალ-ისტური ხასიათი იმდენად აშკარაა, რამე განმარტებასაც არ საჭიროებს.



ახლა საჭიროა შევჩერდეთ ამხ. ლ. მადიარის და სხვა მისი მოზაძველი მექანიკების კონცეპტიაზე „აზიური წარმოების წესის“ საკითხის შესახებ. ლ. მადიარის უქანასკნელ ხანებში წარმოებული დისკუსიების პროცესში აშკარად გამოიყო, როგორც ერთგვარა მეთაური და „თეორეტიკოსა“ წარმოების „აზიურა წესის“, როგორც გამსაკუთრებული ფორმაცია, დამკველთა შორის.

ამხ. ლ. მადიარმა თავის მთელ რიგ შრომებში ჩინეთის ეკონომიკის განვითარების შესახებ და აგრეთვე საზოგადოებრივ ეკონომიურ ფორმაციებზე დაწერილ გამოკვლევებში, საბოლოო ანგარიშით, ჩამოაყალიბა თავისი კონცეპტია „აზიურა ფორმაციის“ დასაცავად, რომელსაც მის მიერ აგრარულ საკითხზე მომუშავე მარქსისტთა კონფერენციაზე წაქიხნული მოხსენების მიხედვით შემდეგნაირად წარმოგვიდგება:

აზიური წარმოების წესი, ე. ი. აზიურა ფორმაცია წარმოიშობა დავითარდება იქ, 1) სადაც მიწათმოქმედებისათვის პირველ აუტოლებელ პირობას წარმოადგენს ხელოვნურა მორწყვა, ასე რომ გეოგრაფიული ფაქტორია გადამწყვეტი მნიშვნელობა უდაოა; 2) კლასობრივ საზოგადოების წარმოშობა დაკავშირებულია ხელოვნურა მორწყვის ორგანიზაციის აუცილებლობასთან. თემის მსახურნი — საგვარეულო იყო ის, სასოფლო, თუ რელიგიოზურა — რომლებიც ასრულებდენ მორწყვის ორგანიზაციის ფუნქციებს, განვითარებათა მსვლელობაში ყალიბდებიან გაბატონებულ კლასად, რომელიც ჩაგრავს და ყვლეფს თემს ან გვარს, ითვლებს რა უშუალო მწარმოებელთა ზედმეტ შრომას; 3) მიწაზე კერძო საკუთრების არ არსებობა წარმოადგენს აზიური წარმოების წესის, უმნიშვნელოვანეს და მახასიათებელ ნიშანს. სახელმწიფო არის უზენაესი მესაკუთრე მიწისა; სუვერენიტეტი აქ — სამიწო საკუთრებაა, რომელიც კონცენტრაციქმნულია ნაციონალური მასშტაბით. არ არსებობს მიწის კერძო საკუთრება. თუმცა არსებობა, როგორც კერძო ისე თემურა მფლობელობა და სარგებლობა მიწისა; 4) ზედმეტა შრომის მითვისება ხდება რენტა-ხარკის სახით. რენტა და ხარკი გათქვეფილა ერთმანეთში; 5) აზიური წარმოების წესის დროს სახელმწიფო ფორმას წარმოადგენს აღმოსავლურა დესპოტია.

ასევე ან თათქმით, სავსებით ახვევ სვამს აკეთხს „აზიურა ფორმაციი“
მეორე დამცველი ბერიცი, როდესაც იგი ლაპარაკობს რომ „მთელი
საქმე ემყარება ბუნებრივ პირობებს, უფრო სწორად იმას, რომ მიწათ-
მოქმედება მოწვევის გარეშე აზიის უმრავლეს ქვეყნებში შეუძლებელია“.
საერთო ხაზებში ასეთსავე შეხედულებას იცავენ მაღიარის მოწა-
ფეები კოკინს, პაპაიანი და ჰეებიც, რის გამოც მათ ამოწერას
ჩვენ აქ არ შეუძლებათ; მხოლოდ დავსძინთ რომ ყველა ასინი ერთხმად,
ლ. მაღარას პიროთ, აცხადებენ:

—Нет никакого сомнения в том, что, по мнению Маркса, в Ки-
тае колониальная политика разрушила именно экономическую осно-
ву азиатского производства. Нет никакого сомнения в том, что та-
кие гиганты марксистской мысли, как Ленин и Плеханов, не
только признавали существование азиатского способа производства
но, как мы увидим ниже, развили Марксово учение о нем“.

„ქვემოლ“ კი ჩვენ ვხედავთ ყოველგვარი ფაქტიურა, კონკრეტული ის-
ტორიული მასალების გარეშე, — თუ შეხედვლობაში არ მივიღებთ კო-
კინის წიგნს („ცხენ-ტიან“), რომელსაც ხშირად თვით მაღიარიც
არ ეთანხმება, — ჩვენ მიერ ზემოდ მოყვანილ სქემას აღმოსავლეთისა სა-
ზოგადოებისათვის დამახასიათებელი ნაშნებისა, რომელიც ამხ. მაღ-
არმა „ჩამოაყალბა“ მარქსისა და ენგელსის თხზულებათა-
გან დოგმატიურად და ამდენადვე დამახინჯებულად ამოგლეჯილ ცუ-
ტატებს საფუძველზე.

როგორც ვხედავთ აზიური ფორმაციის დამცველები ცდილობენ ეს
აზრა თავზე მოახვიონ პლენხანოვისა და ლენინის. ჩვენ ზემოდ
ენახეთ, რომ პლენხანოვი მართლაც იდგა ამ თვალსაზრისზე; ხოლო ახლა
აქ უნდა ვაჩვენოთ, რომ ლენინს არსად და არაოდეს არ გაუზიარებია ეს
აზრი, რომ ჩინეთში და ინდოეთში ჩვენ საქმე გვაქვს აზიურ ფორმაციას-
თან, — ურთიერთობასთან, რომელიც უცნობია ევროპას ხალხთა ისტო-
რიასში.

უნდა აღინიშნოს, რომ „აზიური ფორმაციის“ დამცველები ერთხმად
მოუთხოვენ ლენინის სატყუაზე, რომელიც წარმოთქმულ იქნა
ტოკპოლის ყრილობაზე რუსეთის ს.-დ. მ. პარტიისა. აქ პლენხანოვი
გაილაშქრა ლენინის მიერ წარმოდგენილი მიწის ნაციონალიზაციის
პროექტის წინააღმდეგ, პლენხანოვი ამტკიცებდა, რომ ლენინის
პროექტს განხორციელება ეს იქნებოდა პეტრეს-წინააღმდეგელი რუ-
სეთის მდგომარეობის აღდგენა, როდესაც იყო გაბატონებული აზიური
წარმოების წესი (როგორც ცნობილია პლენხანოვი თავის ცნობილ
თხზულებაშიც — „რუსული საზოგადოებრივი აზრის განვითარება“ — ამტკი-
ვებს, რომ რუსეთში იყო აზიური წარმოების წესი).

ამავე ყრილობაზე პლენხანოვის წინააღმდეგ გამოსული ლენ-
ინის ლაპარაკობდა: „დაუშვათ ერთი წუთით, რომ მოსკოვის პეტრეს-
წინააღმდეგელი რუსეთში, მე-XVII საუკუნეში ნამდვილად არსებობდა
მიწის ნაციონალიზაცია. რა გამოიმდინარეობს აქედან? გ. პლენხანო-

ვის ლოგიკით აქედან გამომდინარეობა, რომ ნაციონალიზაციის გატარება ნიშნავს ხელის შეწყობას მოსკოვის დროინდელი რუსეთის რევოლუციისათვის, მაგრამ აეთი ლოგიკა — სახელდობრ პოფიზმია და არა ლოგიკა, ანუ სიტყვების თამაშია, მოვლენათა ეკონომიური საფუძვლის ანუ ცნების ეკონომიური შენაარის გარეშე. რამდენადაც მოსკოვს ორუსეთში იყო (ანუ: თუ მოსკოვს რუსეთში იყო) მისი ნაციონალიზაცია, რამდენადაც მისი ეკონომიური საფუძველი იყო აზიური წარმოების წესი. ამავდროულად რუსეთში მე-XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან განმტკიცდა, ხოლო მე-XX საუკუნეში უკვე უდაოდ გაბატონებულა შეიქნა წარმოების კაპიტალისტური წესი. რაღა დარჩა პლენანოვის მტკიცებინა? ნაციონალიზაცია, რომელიც დაფუძნებულია წარმოების აზიური წესზე მან აურია ნაციონალიზაციაში, რომელიც დაფუძნებულია წარმოების კაპიტალისტურ წესზე: სიტყვათა იგივეობა, გამო მან მხედველობიდან გაუშვა ეკონომიური, სახელდობრ საწარმოო ურთიერთობათა განსხვავება¹⁴).

რა გამომდინარეობს აქედან, რომელსაც ასე ჩააცვიდენ „აზიური ფორმაციის“ დამკველი მექანიკები და კონტრრევოლუციონურა ტროცკისტები? ლენინი აქ, როგორც სჩანს, მხოლოდ იმას ამტკიცება რომ პლენანოვმა შემოსწინებულ საკითხში დაუშვა მეტად უხეში შეცდომა. ლენინის სიტყვის შემოდ მოყვანილი ადგილის მთელი შენაარისი, თავიდან ბოლომდე მხოლოდ უარყოფაა პლენანოვის აპურდული დებულებათა და მეტი არაფერი. აქედან არავითარ შემთხვევაში არ შეძლება ამ აზრის გამოყვანა, რომ თითქოს ლენინი იცავდა „აზიური წარმოების წესი“ არსებობას და ისიც რუსეთში, რომლის ფეოდალურა განვითარების შეახებ მკ, არა ერთგან აქვს გამოთქმული თავისი მტკიცე აზრი. ამისათვის საკმარისია თუნდაც ზერებლე გადათვალაწერება ლენინის რომელმე თხზულებშია, მაგ., „კაპიტალიზმის განვითარება რუსეთში“, სადაც ნათლადაა დამტკიცებული. კონკრეტული მასალების ანალიზზე, რომ რუსეთში კაპიტალიზმი, განვითარდა ფეოდალიზმის, ე. ი. ბატონყმობის ნიადაგზე, ხოლო უკანასკნელი წარმოიშვა პატრარქალურა (პირველყოფილი) ურთიერთობიდან. ამიტომ „რუსეთში ამ მხრით კაპიტალიზმის პროგრესულობა განსაკუთრებით ამკარაა, რადგან ჩვენში მწარმოებლის პირადი დამოკიდებულება (ე. ი. ბატონყმობა — პ. გ.) არსებობდა (რამოდენამდე დღესაც არსებობს) არა მარტო მიწათმოქმედებაში, არამედ ვადამშეშავებელ მრეწველობაშიაც (ბატონყმურ შრომაზე დამყარებული „ფაბრიკები“), სამთო-საქარხნო მრეწველობაშიაც და თევზის მრეწველობასიაც და სხვ; — წერს ლენინი თავის ამ თხზულებაში¹⁵).

მაგრამ მოუხედავად ამისა ლენინსა თუ მისი ც ლაპარაკობს „აზიური წარმოების წესსზე“ რუსეთში ეს მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ მის ტერმ-

¹⁴ Ленин — „Сочинения“, IX, 410.

¹⁵ ვ. ლენინი — „თხზულებანი“, III, 1930, ტფ. 580; აგრეთვე: 51, 153, 169 — 231, 425 და სხვ.

წოდებაში აზიურა წარმოების წესი გააგვებულა ფეოდალურ ფორმა-
ცაში; და რომ ეს ანუ ჩვენ ამაში ახლავე დაერწმუნდებით. ჩვენ ქვე-
მოდ დავინახავთ, რომ ლენინი ხშირად ხმარობს ცნებას „აზიური წარ-
მოების წესი“, „აზიური საზოგადოება“, „აზიური ექსპლოატაცია“ და
ძალადებს, მაგრამ ყოველთვის, როგორც წესი იგი მის მიერ განიხილება
როგორც ბატონყმური, ფეოდალური ურთიერთობის სინონიმი.

ასე, მაგალითად, 1911 წელს ლენინი ტოლსტოის შესახებ
ე. ლენინი სწერდა, რომ ტოლსტოის მსოფლმხედველობა ეს არის
„აღმოსავლური წყობილების, აზიური წყობილების იდეოლოგია, რომ
ის არის „მხოლოდ იდეოლოგიური გადმონაშუქი ძველი („დადატრიალუ-
ბული“) წყობილებისა, ბატონყმური წყობილებისა, აღმოსავლეთის ხალხთა
ცხოვრების წყობილებისა“¹⁶).

● ქვედა უფრო გვიან, 1913 წელს, დაწერილ წერილში — „თანამედროვე
სელსუფლებას აგრარულ პოლიტიკის შესახებ“ — ლენინი სწერდა:
„ეს არ არის კაპიტალიზმი. ეს არაა ევროპული წესი მეურნეობისა... არა.
ეს საფუძვლით არ არის ევროპული. ეს არის ძველ-ჩინური. ეს არის თათ-
რული. ეს არის ბატონყმური“ აქ უკვე ასე ნათლადაა თქმული, რომ
„ევროპული წესი“ ეს არის კაპიტალისტური, ხოლო ეს გადმონაშთებო
რაც ბატონობდა მაშინდელ რუსეთში — ეს არის ჩინური, თათრული, ე.
აზიური, ე. ბატონყმური ანუ ფეოდალური.“¹⁷) ისე როგორც შემოდაც.
ტოლსტოის შესახებ წერილში, ლენინი ლაპარაკობს ორ ეკონო-
მურ ურთიერთობაზე: კაპიტალისტურზე, ე. ი. ევროპულზე და ფეოდა-
ლურზე, ე. ი. აღმოსავლურზე ანუ აზიურზე. — რაც გამოსატყვედა მაშინ-
დელ მსოფლიოს: კაპიტალისტურ ევროპას და ფეოდალურ აზიას.

მაგრამ ახლა პანტერესია ვიკითხოთ, თუ რა აზრობს ყო ლენინი
ერძოთ თვით ჩინეთის ხალხს მიერ თავის ისტორიული განვითარების
პროცესში განვლილი საწარმოო ურთიერთობის შესახებ.

1912 წლის ივლისს ლენინი თავის წერილში, „დემოკრატია და
ხალხობრობა ჩინეთში“, სწერდა: „ობიექტური პირობები, ჩინეთსა.
ჩამორჩენილი, მწუთმოქმედური, ნახევრად-ფეოდალური ქვეყანა, დღეს
წესრიგზე სვამენ ამ თითქმის ნახევარბუღარდინანი ხალხის ცხოვრებაში
მხოლოდ ერთ გარკვეულ, ისტორიულად თავისებურ სახეობას ამ ჩავვრისა
და ექსპლოატაციისა, სახელდობრ ფეოდალიზმისა. ფეოდალიზმი ემყარე-
ბოდა მწუთმოქმედური ყოფიერებისა და ნატურალური მეურნეობის ბა-
ტონობაზე: ჩინელი გლეხის ფეოდალური ექსპლოატაციის წყარო იყო მიწი
ამა თუ იმ ფორმით მიწაზე მამაგრება. ამ ექსპლოატაციის პოლიტიკური
გამომხატველნი იყვნენ ფეოდალები, ყველანი ერთად და ყოველი ცალ-
ცალკე ბოგდიხანთან, როგორც სისტემის მეთაურთან, ერთად“.

იმავე წერილში, სუნიატაენის აგრარულ პროგრამის შესახებ.
ლენინი სწერს: „როგორც ეკონომიურ აუცილებლობამ გამოიწვია აზიის

¹⁶ Л е н и н. — „Сочинения“, XV, 101; კურსივი ყველგან ჩენია.

¹⁷ Л е н и н. — „Сочинения“, XVI, 459.

ერთერთ ყველაზე ჩამორჩენილ გლეხურ ქვეყანაში გავრცელება ყველაზე მოწინავე ბურჟუაზულ-დემოკრატიული პროგრამისა მიწის მიმართ?" და აქვე უპასუხებს: „აუცილებლობამ ფეოდალიზმის დანგრევისა ყველა მის სახეებში და გამოვლინებებში“¹⁸).

განა ამჟამად შემდეგ ნათელი არ არის, რომ ლენინი „აზიურ საზოგადოებას“, „აზიურ წარმოების წესს“, „ჩინურ მულტონებას“ განიხილავს როგორც დახატულს ჩამორჩენილი ფეოდალური ურთიერთობისა? ლენინი პირდაპირ სწერს, რომ ჩინეთში გაბატონებული იყო ბატონყმური ექსპლოატაცია, რაიც დამყარებული იყო გლეხების მიწაზე მშაგრებაზე, ხომ ფეოდალური ექსპლოატაციის სპეციფიკური დამახასიათებელი მოვლენაა, რომელც განვითარებას გარკვეულ პერიოდში გაბატონებული იყო როგორც საფრანგეთში ასე გერმანიაში, როგორც ინგლისში ისე რუსეთში. როგორც იაპონიაში ასე ჩინეთში და რომელიც ევროპაში უფრო ადრე მოიხსოვრებოდა ვინაიდან აზიაში, სადაც ის კიდევ დიდხანს რჩება. ლენინი ამ ტომ ლენინი ხშირად კაპიტალისტური წარმოების წესის სინონიმად ხმარობს ევროპიულს, დაავლეთურს, ხოლო ფეოდალურისათვის — აზიურს, ჩინურს, თათრულს. მაგალითად: „აღმოსავლეთი საბოლოოდ შედგა დასავლეთისა გზაზე“. სწერს ლენინი, ჩინეთის კაპიტალისტური განვითარებასა და აქედან გამომდინარე ჩინეთს მუშათა კლასის ამოძრავებელი შენახებ. ანდა კიდევ: „რუსეთი ფრჩხილ მრავალ და შეტად არაებთ ურთიერთობაში, უქვეყნად, წარმოადგენს ერთერთ აზიურ სახელმწიფოს და ამასთანავე ერთერთ ყველაზე ველურ, საშუალო საუკუნეებზე (ე. ი. ფეოდალურ — პ. გ.) სამარცხვინოთ ჩამორჩენილ აზიურ სახელმწიფოთაგანს“¹⁹).

და თუ ყოველივე ამის შემდეგ კოკანი და პაპაიანი და მეორეს მხრივ კონტრრევოლუციონური ტროცკიზმი ცდილობს და მინც არ იშლას, რომ აქედან გამოეყვანონ „აზიური ფორმაციის“ აღიარება, ჩვენ მსინი სხვას არას მოგვაგონებენ, როგორც იმ ცხოველს, რომელსაც ცხენადან ჯორი გამოყავს“. თუმცა, როგორც ერთგან მკერმეტყველურად შენ-შნავს მარქსის, „საჭირა არაა ინდოელი იყოს კაცი, რომ თავიანთ სტყა ძროხასაბაღას და იუპიტერი იყოს, რომ ხარად გადაიქცეს“.

* * *

მის შესახებ, რომ ჩინეთში ადგილი ქონდა ფეოდალური ურთიერთობას და, მაშინადად, დღეს აქ ადგილი აქვს გადმონაშთებს, ბატონყმური ურთიერთობისა, მრავალი ითქვა აგრეთვე, ე. წ. „ჩინური დოქტრინის“ პერიოდში ს. კ. პ. (ბ) ცეკაში და კომენტარის აღმასკომპოატი. სადაც ტროცკი და მისი მომხრენი სავსებით უარყოფდენ ჩინეთში ფეოდალური ეპოქის ნაშთების მნიშვნელობას. ამხ. კ. რადეკი მაშინ ამტკ-

¹⁸ Л с н и н, — „Сочинения“, XXVI, 428, 430.

¹⁹ Л с н и н, — „Сочинения“, XVI, 428.

ცებდა, რომ ჩინეთს სოფელში ბატონობს სავაჭრო კაპიტალი და არა ფეოდალური ყოფიერება: ნაშთებიო.

ისტორიულ მატრიალიზმში ლენინური ეტაპის შემდგომი განმავითარებელი ამბ. სტალინი ყოველთვის ენერგიულად ილაშქრებდა ამგვარ უმგვანო, ანტიისტორიულ და ანტიმარქსისტული გამოსვლებას წინააღმდეგ. 1927 წ. 24 მაისს კომინტერნის აღმასკომის სხდომაზე ის ლაპარაკობდა: „კომინტერნი გამოდის აქიდან, რომ ნაშთები ფეოდალიზმისა ჩინეთის სოფელში და მთელი მილიტარისტულ-ბიუროკრატიული ზედნაშენი ამ ნაშთებზე, ყოველგვარი ძაუბუნებით, გუბერნატორებით, გენერლებით, ჩან-ძოლინებით და სხვ. წარმოადგენენ იმ ბაზას, რომელთა საფუძველზე წარმოიშვა და გაიშალა თანამედროვე აგრარული რევოლუცია. თუ 70% გლეხობას შემოსავლასა მთელ რიგ პროვინციებში ეკუთვნის შემამულეს და ჯგენტრის, თუ შემამულეები, შეიარაღებულნი თუ უაიარალონი, წარმოადგენენ არა მხოლოდ ეკონომიურ, არამედ აღმინისტრაციულ და სასამართლო ხელისუფლებათ, თუ დღემდე კიდევ მთელ რიგ პროვინციებში პრაქტიკაშია საშუალო საუკუნეებრივი ყიდვა-გაყიდვა ქაღებოსა და ბავშვებისა, მაშინ არ შეიძლება არ ვიცნოთ, რომ ფეოდალური ყოფიერების ნაშთები მთელი მათი მილიტარისტულ-ბიუროკრატიული ზედნაშენით, წარმოადგენენ ჩავვრის ძირითად ფორმას ჩინეთში“. შემდეგ ამბ. სტალინი განაგრძობს, რომ ჩინეთში არსებულ ფეოდალური ყოფიერებას გადმონაშთება ზურგს უმაგრებს იმპერიალიზმი მთელი მსოფიანისური და სამხედრო ძლიერებით; და ამიტომ „შეუძლებელია ჩინეთში ფეოდალური ნაშთების ლიკვიდაცია, თუ ამასთანავე ერთად არ ვაწარმოებთ რევოლუციონურ ბრძოლას იმპერიალიზმის წინააღმდეგ ჩინეთში“.

ამბ. სტალინი ეხება რა კ. რადეკის შეცდომას ამ საკითხში სწერს: „ამბ. კ. რადეკის შეცდომა იმაშია, რომ მან ვერ გაიგო ეს თავსებურება, ეს გადაჯვარდინება ფეოდალური გადმონაშთების სავაჭრო კაპიტალის არსებობასთან ერთად ბატონობა ჩინეთის სოფელში, ფეოდალურ-საშუალო-საუკუნეებრივი ექსპლოატაციის და გლეხობის ჩავვრის მეთოდების დაცვით“.

ამავე აზრს ანვითარებს ამბ. სტალინი კომინტერნის აღმასკომის ჩინეთის კომისიაში 1926 წ. 30 ნოემბერს წარმოთქმულ სიტყვაშიაც: „ჩინეთის რევოლუციის მესამე თავიანებურება... იმაში გამოიხატება, რომ მან გვერდით არსებობს საბჭოთა კავშირი, რომლის რევოლუციონური გამოცდილებას და დახმარებას არ შეუძლია არ გაადვილოს ჩინეთს პროლეტარიატის ბრძოლა იმპერიალიზმისა და ფეოდალურ-საშუალო საუკუნეების ნაშთების წინააღმდეგ ჩინეთში“²¹. ამავე აზრს ანვითარებდა ის აგრეთვე აგრარულ საკითხზე მომუშავე მარქსისტთა კონფერენციაში წარმოთქმულ სიტყვაშიაც.

²¹. Сталин — „Об оппозиции“, 562.

²². ი. სტალინი — „ჩინეთის რევოლუციის პერსპექტივები“, 1927, ტფ. გვ. 5 და 25.

დასასრულ, უნდა მოვიყვანოთ თვით ჩინეთის კომპარტიის მე-VI ყრ-
ლობის რეზოლუციიდან ერთი ნაწყვეტი ამ საკითხზე:

„მგრეთწოდებულ საზოგადოებრივი მიწებიდან რენტა გარეგნულად
გვეჩვენება საზოგადოებრივი დაწესებულებების შემოსავლად, ფაქტიურად
ეს ის წარმოადგენს ჯენტრის შემოსავალს“; მაგრამ ახლა ჩვენ ვიკითხოთ
თუ ვინ არის ჯენტრი? — ჯენტრები, უჭირავთ რა საზოგადოებრივი მი-
წები და ღებულობენ რა რენტას მეიჯარადრეებიდან, ეკონომიურად წარ-
მოადგენენ მემამულეებს. ჯენტრი არის ძველი ჩინური „ში-ს, „და-ფუ-ს“
(ე. ი. არისტოკრატის) კლასის სახელწოდება; ახლა სახელმწიფო მოხე-
ლეები, ოფიცრები, მდიდარი ვაჭრებიც კი, ყველანი იწოდებიან „ჯენტრი-
ვაჭრებად“. უწინარეს ყოვლისა ჩინეთში მემამულეთა კლასი — ეს არის
ჯენტრის კლასი... ჯენტრი-მემამულეთა კლასი არის გაბატონებული კლასი
ჩინურ ფეოდალიზმში, ეს არის კლასი, რომელიც ანხორციელებს პოლიტი-
კურ ჩაგვრას ჩინელი გლეხებისა“ (ციტირებულია აშხ. ჩუუ-უ-შანის მ-ზე-
დით).

ამგვარად საკითხი უკვე საბოლოოდ გარკვეულია. ჩინეთში, ისევე რო-
გორც ინდოეთში და სერთად აზიაში ჩვენ გვაქვს და გვქონდა ისტორიული
განვითარების შესაფერ პერიოდებში არა რალაც განსაკუთრებული ფორ-
მაცია, რომელიც უცნობია ევროპის ხალხთა ისტორიაში, არამედ იგივე
ფეოდალური, ე. ი. ბატონყმური ურთიერთობა, რაც გაიარა ევროპის
ყველა ხალხებმა. მაშასადამე, როგორც უფრო ნათლად ამა ჩვენ ქვემო-
დაც დავინახავთ მარქსიზმის კლასიკოსების (მარქსი, ენგელსი, ლენინსი)
მიერ გამოყენებულ ცნებები „აზიური წარმოების წესი“, „აზიური საზო-
გადოება“, „აღმოსავლური ურთიერთობა“ და სხვ. მისთანა წარმოადგენენ
ხევს არაფერს. როგორც ფეოდალურს, ბატონყმურს. — საწარმოო ურთი-
ერთობის ფორმას. რომელიც მსგავსად ევროპის ხალხებისა გაიარეს აზიის
ხალხებმაც, თუმცა თავიანთი ხასიათის მატარებელი ფორმით. და რო-
გორც ჩვენ ზემოდ დავინახეთ, მთელ თანამედროვე მარქსისტულ ისტო-
რიოგრაფიასთან ერთად. ლენინიც აღნიშნაქ ამ თავისებურებას, რო-
მელიც ახასიათებდა აზიის ხალხებს, კერძოდ ჩინეთის ფეოდალური გან-
ვითარების თავიანთურებას, როდესაც სწერს, რომ ჩინეთის თითქმის ნა-
ხევარმილიარდანი ხალხი განიცდიდა „ისტორიულად თავისებურ სახეობას
ამ ჩაგვრისა და ექსპლოატაციისა, სახელდობრ ფეოდალიზმისა“.

უდაოა, რომ აზიის ხალხებმა გაიარეს ფეოდალური ურთიერთობა და
ამისთანავე ისიც უდაოა, რომ ეს ფეოდალიზმი ზასიათდება გარკვეული
თავისებურებით ევროპიულ, მაგ., ფრანგულ ფეოდალიზმთან შედარებით;
ისიც უდაოა, როგორც ამას სამართლიანად ამტკიცებენ აშხ. ს ა ფ ა რ ო ვ ი-
თავის ნაშრომებში — „კლასები და კლასობრივი ბრძოლა ჩინეთის ისტო-
რიაში“. „ჩინეთის პრობლემები“, — და აშხ. ე. ი. ო ლ კ ი თავის საინტე-
რესო გამოკვლევებში — „ძველი ჩინეთის საზოგადოებრივი წყობის სა-
ფუძვლებზეათვის“ და სხვ. — რომ პირველყოფილი ურთიერთობა სა-
ფუძვლებიდან წარმოშობილი და განვითარებული ფეოდალიზმი ჩინეთში.

ბასიათღება მნიშვნელოვანა თავისებურებებით, მაგ., ფრანგულ და სხვ. ფეოდალიზმთან შედარებით; და ისიც უაღრესად, რომ ეს თავისებურება აღმოსავლურა ფეოდალიზმისა გამოდინარეობდა იმ გეოგრაფიული პირობებისაგან, რომელს წიაღშიაც იგი ვითარდებოდა.

აღაანაშნავს რომ სუნ-იატ-სენიც კი უდიდეს მნიშვნელობას აწერს ჩინეთის განვითარებაში ამ გარემოებას. თავის საინტერესო ნაშრომში — „ჩინეთის საერთაშორისო განვითარების გეგმა“ — ის აღნიშნავს დიდი მდინარეებისა (ხუან-ხე — ყველი მდინარე; ჩან-ცზი — ტრედოფერი მდინარე. სი-ცზიან — დასავლეთის მდინარე) და არხების არსებული სატემის კრანდიოზულ მნიშვნელობას ქვეყნის მორწყვას საქმეში, და, მაშასადამე, მიწათმოქმედებას, ე. ი. ყველა წინაკაპიტალისტური ფორმაციებისათვის მეურნეობის ყველაზე უმნიშვნელოვანესი დარგის. განვითარებაში. მაგრამ ჩვენთვის ცხადზე უცხადესია, რომ თვით ამ ხელოვნურა მორწყვის სისტემის ორგანიზაცია. მაშასადამე, იმ უდიდესი მდინარეების ჩვენს დროისათვისაც განსაცვიფრებელი, გრანდიოზული, არხების საფუძველზე გამოყენება იმ თვითვე განსაზღვრული იყო არსებობაათვის ბრძოლას პროცესში შექმნილი და დაგროვილი საწარმოო ძალებით, რაშიაც უნდა ვეძიოთ. როგორც თვით ხელოვნური მორწყვის სისტემის ჩამოყალიბების სახეობა, ისევე საწყისებიც თვით საზოგადოებრივი ორგანიზაციისა, ამ სისტემის რეგულარული ექსპლოატაციის საფუძველზე რომ უნდა შექმნილიყო.

მარქსი როდი უარყოფს გეოგრაფიული ფაქტორის გავლენას საზოგადოებას განვითარებაზე. მაგრამ მარქსისათვის ყოველად მიუღებელია ჩვენ მიერ ზემოდ ამოწერილი პლექსანოვიც დებულება, რომ თითქოს გეოგრაფიული ფაქტორი განსაზღვრავდეს, კარნახობდეს საზოგადოებრივი ურთიერთობის ფორმებს. გეოგრაფიული ფაქტორები ეკონომიური თვალსაზრისით განიყოფება ორ დიდ ჯგუფად: საარსებო საშუალებებისა (ნოყიერი ნიადაგი, ნადირით მდიდარი ტყე) და შრომის საშუალებების (ჩანჩქერები. მადნეულით მდიდარი ნიადაგი) მიხედვით. რაც უფრო დაბალია კულტურა მით უფრო გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს პირველს, ხოლო რაც უფრო მაღალია იგი ეს მდგომარეობა ენიჭება მეორეს. ამასთანავე ერთად. როდესაც ჩვენ ვიხილავთ საზოგადოებრივი მდგომარეობის საკითხს, ერთა წუთითაც არ უნდა იქნას გაშვებული მხედველობიდან კლასობრივობის მომენტი. ამასთანავე „ხელსაყრელი ბუნებრივი პირობები მხოლოდ ზედმეტა შრომის შესაძლებლობას იძლევა, მაგრამ არასოდეს არ ქმნის თავისთავად ზედმეტ შრომას“; მეორეს მხრივ, ვადრე შრომის ნაყოფიერება განსაზღვრულ საფეხურს არ მიადწევს, მუშას არ მოუპოვება ზედმეტი დრო, ურომლიოდ არ არსებობს ზედმეტი შრომა და, მაშასადამე, შეუძლებელია არსებობდეს ექსპლოატაციის ესა თუ ის ფორმაც.

კ. მარქსი სწერს, რომ „დედამიწა ადამიანის საზრდოთა თავდაპირველი საკუქნაოც არს და შრომის საშუალებათა თავდაპირველი არსენა-

ლიცა“, 23; მაგრამ ამასთანავე ერთად მხედველობიდან როდ- უშვებს მ გარემოებას, რომ წარმოების საშუალებათა მექანიზმის (მონათმფლობ- ლის, ფეოდალს, კაპიტალისტს) უშუალო ურთიერთობა უშუალო მწარ- მოებლისადმი (მონისადმი, ყმასადმი, პროლეტარსადმი); ურთიერთობა, რომლის ყოველი მოცემული ფორმა (მონობა, ბატონყმობა, კაპიტალიზმი) ყოველთვის ბუნებრივად შეესაბამება შრომის საშუალებათა განვითარე- ბას განაზღვრულ საფეხურს და ამიტომაც შრომის საზოგადოებრივ სა- წარმოო ძალასაც — არაა ის ქვეყნებში, რომლის მიხედვითაც უნდა ახსნილ იქნას მთელი საზოგადოებრივი წყობილების საიდუმლოება; ამა- თანავე ერთად როგორც მარქსი აწერს ეს არ ეწინააღმდეგება იმა- რომ „ერთხადაიმავე ეკონომიურ ბაზისს — ერთხადაიმავეს მთავარ პირო- ბათა მხრივ — დაუსრულებლივ სხვადასხვაგვარ ემპირიულ გარემოებათა, ბუნებრივ პირობათა, რასიულ ურთიერთობათა, გარედან მომქმედ ისტო- რიულ გავლენათა და სხვ. წყალობით — თავის გამოვლინებაში შეუძლია გამოააშკარავოს დაუსრულებელი ვარიაციები და გრადაციები, რომელთა გაგება შეიძლება მხოლოდ ამ ემპირიულად მოცემულ გარემოებათა ანა- ლიზის წყალობით“ 24.

აი. ის უდიდესი მნიშვნელობის მქონე მარქსიზმის მეთოდოლოგიური დებულება, რომელიც ზეპირად უნდა იცოდეს ყოველ მარქსისტ მკვლე- ვარმა ისტორიისა და კერძოდ აღმოსავლეთის ხალხთა ისტორიისა. რომელ- შიაც ბუნებრივ პირობებმა უდაოდ დიდი როლი ითამაშეს. მაგრამ მთავარ პირობათა მხრივ, ერთდამივე ეკონომიური ბაზისი. მართალია სხვადასხვა- გვარ ემპირიულ გარემოებათა გავლენით აშკარადდება დაუსრულებელ ვარიაციებში და გრადაციებში, მაგრამ საბოლოო ანგარიშით, ყველგან და ყოველთვის, ძირითად ხაზებში, ერთ და იმავე საზოგადოებრივ ურთი- ვრთობას წარმოშობს და განაეითარებს.

* * *

ახლა ჩვენ შეგვიძლია შევჩერდეთ კიდევ ერთ ანტიერესო აკოთხზე- სახელდობრ იმ პირობებზე, რომლებმაც გამოიწვიეს „აზიური წარმოების წესის“ შესახებ მარქსისა და ენგელსის მიერ მოცემული შე- ბედულება და აკოთხზე, თუ მარქსიზმ-ლენინიზმის მოძღვრებით კაცობ- რობის ისტორიული განვითარების სქემად მიღებულ წინაკაპიტალის- ტურ — პირველყოფილ, ანტიკურ, ფეოდალურ — ფორმაციებში, თუ რო- მელს უნდა მიეკუთვნოს ის დახასიათებანი, რომელიც მოცემულია მარქ- სისა და ენგელსის თხზულებებში: „აზიური ფორმაციის“. „აღმოსავლური საზოგადოების“. „პირველყოფილი ინდური თემის“. წარმოებ-ს აზიურ ა წესის“ სპეციფიკურობათა დახასიათებას სახით.

ლ. მაღიარის და „აზიური ფორმაციის“ სხვა დამკველები ხში- რად აღნიშნავენ რომ, ვითომ, მარქსის მიერ აზიურ საზოგადოებაზე

23. კ. მარქსი — „კაპიტალი“ I, თავი XIV, 457. თავი V, 140.

24. К. Маркс — „Капитал“, III, II, 267. კურსივი ჩვენია.

თავისა შეხედულების ჩამოყალიბებაში ერთგვარი გავლენა იქონა ჰეგელმა, რომელიც თავის „ისტორიის ფილოსოფიაში“ კაცობრიობის ისტორიული განვითარების პერიოდებად დაყოფის შედეგად აახტლებს „აღმოსავლეთურ მსოფლიოს“, რომელშიაც შედიან ჩინეთი, ინდოეთი, სპარსეთი, ეგვიპტე და სხვ., როგორც პირველ პერიოდს: ჰეგელის ისტორიოლოგიის შესახებ ჩვენ თავის ადგილას გეჰონდა მსჯელობა²⁵ და აქ არ შევიჩრდებით. მხოლოდ მადარას ამ უკანააქნელი მოწაზრების შესახებ უნდა ითქვას, რომ ის ამკარად შემცდარია; რაც თუნდაც იქადას სჩანს, რომ მარქსი და არც ენგელსი ამ დროიდან დაწყებულა; როდესაც მათ ანგაროში გაასწორეს „ძველ ფილოსოფიურ სანდიათან“, ვიდრე 1859 წლამდე არსად, ერთი ლიტყვითაც, არ იხსენიებს აზიურ ფორმაციას“. ხოლო უფრო ადრე კი, როდესაც იგი ნაწილობრივ კიდევ ჰეგელაანელი იყო, სახელდობრ 1843 წელს იხაენებენ საზოგადოებრივი განვითარებას „აზიური დესპოტიის ტიპს“, რომელსაც უპირისპირებს ანტიკური ურთერთობის ფორმას²⁶. აქედან: მარქსი და ენგელსი რომ აპერიოდში (1845 — 1859 წ. წ.) ამ საკითხის გარშემო ჰეგელის გავლენის ქვეშ ყოფილიყვნენ, თავისთავად ცხადია, არ დაივიწყებდენ სათანადო ადგილებში „აზიური ფორმაციის“ შესახებ თავიანთი აზრების გამოთქმას. ხოლო, თუკი, სამოციანი წლებიდან დაწყებული მარქსი და ენგელსი უკვე აყალიბებენ შეხედულებას „აზიური წარმოების წესზე“ ეს ცხადია აიხსნება არა ჰეგელის გავლენით, არამედ ისტოგრაფიის იმდროინდელი მდგომარეობით.

ახლა კი განვიხილოთ, თუ რა „ბედი“ ეწვია ისტორიოგრაფიის შემდგომი განვითარების წყალობით თვით მარქსისა და ენგელსის ბელში „აზიური წარმოების წესის“ საკითხს (ჩვენ უკვე ზემოდ დავინახეთ, თუ როგორ ანვითარებენ ამ საკითხში მარქსიზმს ლენინი და სტალინი).

„წარმოების აზიურა წესი“ მარქსისა და ენგელსის თხზულებებში განახლებოდა როგორც ყველაზე ადრინდელი ტიპი თანამედევარ პროგრესულ ფორმაციებს შორის. მაგალითად, მარქსი სწერს: „ფართო მობანულობით შესაძლებელია აზიურ, ანტიურ, ფეოდალურ და თანამედროვე ბურჟუაზიულ წარმოების წესისა-ზოგადოებრივ-ეკონომიური ფორმაციის პროგრესული ეპოქება, ეწოდოს“, — როდესაც ფორმაციების ჩამოთვლა ზდება წარსულიდან თანამედროვეობისაკენ: ხოლო მაშინ, როდესაც მარქსი მათ ჩამოთვლის თანამედროვეობა-დან წარსულისაკენ მიმავალი ხაზით. იგი სწერს: „ბურჟუაზიულმა ეკონომიამ მხოლოდ მაშინ მიაღწია ფეოდალური, ანტიური და აღმოსავლეთური საზოგადოების გაგებას, როგორც კ ბურჟუაზიულა საზოგადოებრივ, თვითკრიტიკა დაიწყო“ და სხვ.²⁷.

²⁵ ვ. გუგუშვილი — „ეკონომიური ფორმაციებისათვის“, 1933, 16 — 21.

²⁶ К. Маркс — „Критика философии государственного права Гегеля“ (Маркс и Энгельс — „Сочинения“, I, 1928, 557).

²⁷ ვ. მარქსი — „პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის“, 1932, 42, 30.

ამგვარად, მარქსის მიერ „აზიურა წარმოების წესი“ განიხილება როგორც ყველაზე ადრინდელი ჰაზოგადობა. ახლა კიდევ საყურადღებოა ის გარემოება, რომ ამ ჰაზოგადობას მარქსი და ენგელსი ახასიათებენ როგორც პირველყოფილ თემურ ურთიერთობას. მაგალითად მარქსი სწერს „მუშასა და წარმოებზე“, ჰაშუალებათა თანდაპირველ ერთანობას — აქ ჩვენ გვერღს უფლით ურთიერთობას მონობის დროს, როდესაც მუშა თვითონ ეკუთვნის შრომის ობიექტურ პარობებს. — აქვს ორა მთავარი ფორმა: აზიური თემური (პირველყოფილა თემი) და წერილი საგვარეულო სასოფლო მეურნეობის“²⁸. ანდა კიდევ: „ინდოეთ პირველყოფილი მცირე თემები, რომლებიც ნაწილობრვ დღესაც განაგრძობენ არსებობას, დამყარებული არიან სათემო მიწათმფლობელობაზე, მიწათმოქმედებაზე, უშუალო კავშირზე ხელოვნობასთან და შრომის მტკიცე დანაწილებაზე, რომელიც ახალი თემების დაარსების დროს წარმოადგენს მზა გეგმას და „ქემა““. ხოლო „შესავალში პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის“, რომელსაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს წინაკაპიტალიზტურ: ფორმაციების შესასწავლად და რომელიც ერთგვარ პროტოტიპს წარმოადგენს „პოლიტ. ეკ. კრიტიკისათვის“ — ს წინაპრეტყვობისა, მარქსი სწერს: „ისტორია... გვჩვენებს. რომ პირველყოფილ ფორმა სათემო საკუთრება იყო (მაგ. ინდოელებსა, სლავანებმა. ძველ ეგვიპტეში და სხვ.), ეს თემური საკუთრება დიდხანს თამაშობს მნიშვნელოვან როლს“.

ამათანავე ერთად ეს პირველყოფილი სათემო (ინდურა აზიურა) საკუთრება მარქსისა და ენგელსის მიაჩნიათ, როგორც ამოხაველი ბუნქტი ანტიკური (ე. ი. რომაული) და ფეოდალური (ე. ი. გერმანული) საკუთრებისათვის. 1859 წ. მარქსი სწერდა, რომ „ამ ბოლოდროს გავრცელდა საბაცილო ცრუ შეხედულება. ვითომ ბუნებრივად აღმოცენებული სათემო საკუთრების ფორმა სპეციალურად სლავური ან მხლოლ და მხლოლ რუსული ფორმა იყოს. ნამდვილად იგი საკუთრების პირველყოფილი ფორმაა, რომელსაც ჩვენ ვხვდებით რომაელებსა. გერმანელებსა და ეგვიპტეში შორის; ინდოეთში კი დღესაც მოაპოება ამას მრავალგვარი ნიმუშები. თუქცა ნაწილობრვ უკვე დაშლილი სახით. სათემო საკუთრების აზიური, განსაკუთრებით ინდური ფორმების ზედმიწევნითი შესწავლა ჩვენ დაგვანახებდა, თუ ბუნებრივად აღმოცენებული სათემო საკუთრების სხვადასხვა ფორმებიდან როგორ წარმოსდგება მათი რღვევის სხვადასხვა ფორმები. ასე, მაგალითად, რომაული და გერმანული კერძო საკუთრების სხვადასხვა პირვანდელი ტიპები შეიძლება ინდური საკუთრების სხვადასხვა ფორმებიდან იქნეს გამოყვანილი“.

იმ დროისათვის, როდესაც ეს სტრუქონება იწერებოდა, ჯერ კიდევ ძირითად სახეებში უცნობი იყო პირველ ყოფილი კომუნისტური ფორმაცია. მეორეს მხრივ, ყოვლად შეუძლებელი იყო განვითარების პირვანდელი წარმონაქმნის სახით წარმოედგინათ ანტიკური და, მთ უმეტესა. ფეო-

²⁸. K. Маркс — „Теории прибавочной ценности“, 1924, III, 329, 324.

დაღურო ფორმაციის ესოდენ განვითარებული კულტურა. ამასთანავე ერთად კაცობრიობის ისტორიული განვითარების ასეთ კოლოსალურ მენცარა და მოაზროვნეს, როგორც იყო მარქსი არ შეეძლო არ ებო საწყისებზე ამ ფორმაციებისა; და, ამ. მის თანამედროვე ისტორიკოგრაფიამ ეს მიუყვანა დასკვნამდე, რომ, როგორც ანტიური ისე ფეოდალური ფორმაცია წარმოიშობიან აზიურ²⁷; ე. ი. ინდურა საკუთრებას რღვევი. სხვადასხვა ფორმებიდან. ხოლო ეს ინდურა თემური საკუთრება, როგორც უკვე დავინახეთ განიხილებოდა როგორც საკუთრების პირველყოფილი ფორმა.

ამ შემთხვევაში მოხდა ის, რომ მარქსმა „აზიური საზოგადოება“ ნაწილობრივ, ემებრებთ მხოლოდ ნაწილობრივ, გააგევა შემდეგ აღმოჩენილ პირველყოფელ ფორმაციებთან. რომელიც ნამდვილადაც არაა ამბავალი პუნქტი როგორც ანტიური ფორმაციისთვის (საბერძნეთი, რომ.). ისე ფეოდალური ფორმაციისათვისაც. (ჩინეთი, იაპონია, რუსეთი, კერძანული სახელმწიფოები, ფრანკთა მონარქია, ინგლისი, ეგვიპტე, სპარსეთი, ოსმალეთი, საქართველო); და რომ ეს ასეა სჩანს მარქსისა და ენგელსისა როგორც 1859 წლამდე. ისე მას შემდეგ დროინდელი, და განსაკუთრებით პირველყოფილი საზოგადოების აღმოჩენის მერმინდელი ნაწილებიდან.

ამას საბოლოოდ დასამტკიცებლად მოვიყვანოთ კიდევ რამოდენიმე საბუთი მარქსისა და ენგელსის ნაწილებიდან.

1843 წელს მარქსი სწერდა კერძო საკუთრებას ინსტიტუტს წარმოშობაზე რომაულ და გერმანულ ქვეყანაში „მეტისმეტად ქვეშევრდომი იქნება, რომ აქ გაეყვანოთ ერთი და იმავე ინსტიტუტის განვითარების პარალელი ამ ორ პოლუსს შორის... წინააღმდეგ გერმანული მთიორატისა და სხვ. რომში ან დერძისათვის უფლები წარმოადგენს შედეგს კერძო საკუთრებისა. ამ უკანასკნელ წინააღმდეგობაში მდგომარეობს მთელი განსხვავება კერძო საკუთრებას განვითარებას რომაულ და გერმანულ ტრას შორის.“²⁸

1845 წელს მარქსი და ენგელსი სწერენ: „საკუთრების პირველი ფორმა, როგორც ანტიური მსოფლიოში, ისე საშუალო საუკუნეებში (ე. ი. ფეოდალური ურთიერთობაში — პ. გ.) ეს არის — ტომური (ე. ი. პირველყოფილი სასოფლო თემური) საკუთრება, რომელიც გამოწვეული იყო რომაელებში უმთავრესად ომით, ხოლო გერმანელებში — მეჯოგეობით“²⁹.

1858 წელს მარქსი სწერს რომ „რომაული და გერმანული კერძო საკუთრების ხვადასხვა პირვანდელი ტიპები შეიძლება ინდური საკუთრების ხვადასხვა ფორმებიდან იქნეს გამოყვანილი“³¹

²⁷. Маркс и Энгельс — „Сочинения“, I, 635.

²⁸. Маркс и Энгельс — „Сочинения“, IV, 1933, 452.

²⁹. ე. მარქსი — „პოლიტ. ეკონომ. კრიტიკისათვის“, 1932, 54.

1867 წელს დამთავრებულ „კაპიტალში“ გვითხულობთ: „წერილი გლეხური მეურნეობა და დამოუკიდებელი ხელოსნურა წარმოება ნაწილობრივად ფეოდალური წარმოების წესის დაფუძველს შეადგენს, ნაწილობრივად მისი დაშლის შემდეგ კაპიტალისტურ წარმოებასთან განაგრძობს არსებობას. ამავე დროს ისინი კლასიკური საზოგადოების საფუძველს შეადგენენ მისი აყვავების ხანაში, როდესაც უკვე დაშლილი იყო აღმოსავლეთის პირვანდელი სათემო მფლობელობა, ხოლო მონობას ჯერ კიდევ მნიშვნელოვნად არ დაეპყრო წარმოება“²².

ახლა უკვე პირველყოფილი საზოგადოების აღმოჩენას მერმონდელი ნაწერებიდან (ლ. მორგანის წიგნი გამოცემა 1877 წელს).

1881 წელს ეერა ზახუნლიჩოვსადმი მწერილი წერილს პირველ შევში მარქსი წერდა: „სასოფლო თემი გერმანიაში წარმოიქმნა (ამოხეტქა) უფრო არქაიული ტიპის თემიდან. ის მასში წარმოსდგა როგორც პროდუქტი დამოუკიდებელ განვითარებისა, და სრულდებათაც არ იყო მზა სახით მოტანილი აზიიდან. იქ — აღმოსავლ. ინდოეთში — მას უხვდებით აგრეთვე, და ყოველთვის როგორც ფორმას უკანასკნელი ეტაპისა ანუ არქაიული ფორმაციის (ე. პირველყოფილი ფორმაციის — პ. გ.) უკანასკნელი პერიოდისა“²³; კიდევ სხვა ადგილას. მარქსი წერა: „სასოფლო თემი არის რა საზოგადოების პირველადი წარმონაქმნის უკანასკნელი ფაზა. იმავე დროს არის გარდამავალი ფაზა მეორედი წარმონაქმნისაკენ, ე. გარდამავალი ფაზა საზოგადოებადან. რომელიც დამყარებულია საერთო საკუთრებაზე საზოგადოებისაკენ. რომელიც დამყარებულია კერძო საკუთრებაზე. მეორედი წარმონაქმნი, იგულისხმება. შემოიციავს რიგს საზოგადოებათა, რომელნიც დამყარებულნი არიან მონონიაზე და ბატონყმობაზე. მაგრამ ნიშნავს თუ არა ეს, რომ სასოფლო თემის ისტორიულ გზამ ფატალურად (აუცილებლად — პ. გ.) უნდა მიგვიყვანოს ამ გამოსავალზე? სრულდებათაც არა. მისი თანდაყოლილი დუალიზმი (ორადობა — პ. გ.) შესაძლებელს ხდის ალტერნატივას (ორში ერთის არჩევს აუცილებლობა — პ. გ.): ან საკუთრების საწყისი იმარჯვებს მასში კოლექტიურ საწყისზე. ანდა უკანასკნელი იმარჯვებს პირველზე. ყოველივე დამოკიდებულა ისტორიულ გარემოზე, რომელშიც იგი ამყოფება“.

რას ნიშნავს ყოველივე ეს? მხოლოდ იმას. რომ, როგორც მონობაზე დამყარებულს ასევე ყმა, შრომაზე დამყარებული საზოგადოება, ე. ი. როგორც ანტიკური სხე ფეოდალური ფორმაცია წარმოადგენენ „მეორედ წარმონაქმნებს“. ე. ი. როგორც პირველი ისე მეორე წარმოიშობა პირველყოფილი ფორმაციის რღვევს სხვადასხვა ფორმებიდან, სხვადასხვა ქვეყანაში და სხვადასხვა პირობებში; რადგან პირველყოფილი ფორმაცია უკანასკნელ პატრარქალურ სტადიას (სასოფლო თემს) ახასიათებს თანდაყოლილი დუალიზმი.

²². კ. მარქსი — „კაპიტალი“, I, 288.

²³. „Архив Маркса и Энгельса“, I, 272.

ამ საკითხში მარქსისა და ენგელსის სხვარიგად გაგება ეწინააღმდეგება მთელ საფუძვლებს მათი ამოძღვრებისა. საქმე მდგომარეობს რომ ანტიკური ფორმაცია გაიარეს მხოლოდ ხმელთაშუა ზღვის სანაპიროებზე მდებარე ძველ კულტურულ ქვეყნებში „მაგალითად ძველ საბერძნეთში და რომში, რომლებიც, როგორც სწერს ლენინი, მთლიანად დამყარებულნი იყვნენ მონობაზე“²⁴; თუმცა მონობა (პატრიარქალური ფორმით) გაიარა: თითქმის ყველა ხალხებში. მაგრამ როგორ მეურნეობას ყველა დარგებში კაპიტალისტური წეს- წარმოებისა და უცნობა აღმოაჩენეთში; სადაც იყო განვითარებული საოჯახო მონობა, რაც, როგორც მარქსი და ენგელსი სწერენ არც-კი მიღება მხედველობაში. როდესაც ლაპარაკია საზოგადოებრივ-ეკონომიურ ფორმაციებზე. ამგვარად, იმ ქვეყნებში, რომლებსაც არ გაუვლიათ ანტიკური ფორმაცია, როგორც მეორედი წარმონაქმნი, ჩვენ გვაქვს ფეოდალური ფორმაცია, როგორც მეორედი წარმონაქმნი, ე. ი. როგორც ურთიერთობა, რომელიც წარმოიშვება პირველყოფილი ფორმაციიდან.

ყოველივე ეს ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რადგან ჩვენს სინამდვილეში მოიპოვებინა „კრიტიკულად“ მოაზროვნე „ისტორიკოსები“, რომლებმაც ეს ქვეშარიტება დღემდე ვერ გაუგიათ და, რომლებიც, ამგვარად არაპარდაპირ იცავენ აზიურ ფორმაციის განსაკუთრებულობას. ეს ის ხალხია რომლებსაც — დაოხ ჩუან-ცზის მსგავსად, რომელიც სიზმარაა და სინამდვილეს შორის ვერ ერკვეოდა.²⁵ — თავისი უზადრუტი უმეცრება და ლაყე ტერნით ნაბოღვარო მარქსიზმ-ლენინიზმში ჰგონია. ასეთ „ისტორიკოსს“ ჩვენ შეგვიძლია პირდაპირ ვუთხრათ ეს სიტყვები, რომლებაც თავის დროზე ფრ. ენგელსმა კ. მარქსის „კრიტიკოს“ ლუიო ბრენტანოს მსგავსი მოქმედებისათვის გაუშეორა: „Asinus manebis in secula seculorum!“

ა.ე. მაგალითად, უნდა აღინიშნოს, რომ ა. ვ. შმიდტი თავის შრომაში — „პირველყოფილ საზოგადოებაზე მარქსის შეხედულებათა განვითარებას შეახებ“ — დაასკენა, რომ მორგანის წიგნის გამოშვლამ, შემდეგ, სახელდობრ 1881 წელს ვერა ზახულიჩისადმი მიწერილი წერილებს შვეებში მარქსი თითქმის იცავს „აზიურ ფორმაციას“ როგორც განსაკუთრებული საზოგადოებრივი ურთიერთობის ფორმას. ამ თავის „კვლევა-ძიებაში“ შმიდტი იქამდეც კი მიდის, რომ „თანაგრძნობით“ ამხელს ენგელსს „შეცდომებს“. იგი სწერს: „ენგელსი რამოდენიმედ სცდებოდა“, როდესაც „კომუნისტური პარტიის მანიფესტის“ დებულებას, რომ „ისტორია დღემდე არსებული მთელი საზოგადოებას არის კლასთა ბრძოლის ისტორია“.

²⁴. Ленин — „Сочинения“, XXIV, 374.

²⁵. ჩინური იგავი დაოს (ქურუმ) ჩუან-ცზის შესახებ: როგორც ძილში ჩუან-ცზის თავისი თავი პეპელად დაესხმრა; იგი დაფრინავდა ყვავილებზე და არ იცოდა რომ ნამდვილად იგი არის ჩუან-ცზი. როდესაც ბოლოს გაიღვიძა მან ვერაფრით ვერ შესძლო გადაწყვიტა საკითხი: ჩუან-ცზიმ სიზმარში დაინახა, რომ ის პეპელაა, თუ ესლა პეპელას ესიზმრება, რომ ის ჩუან-ცზია? და ხომ არ იყო აქ უბრალო ორი გადაქცევა რაღაც ერთარსებაში?

უკეთებდა ცნობილ შენიშენს, იმავე შესახებ, რომ იგი შეეხება მხოლოდ წერილობით გადმოცემულ ისტორიას. შმიდტის აზრით პარველყოფილი საზოგადოებრივი ფორმა მარქსსა და ენგელსს თავდაპირველად (ე. ი. „ბანიფისტს“ შედგენის პერიოდში) წარმოედგინათ, როგორც კერძო საკუთრებაზე დამყარებული საზოგადოების კლასობრივი ისტორია. მაშასადამე, თითქოს მათი წარმოდგენით კლასები და კერძო საკუთრება ყოველთვის არაებობდა.

მაშინ როდესაც, იმავე წელს ენგელსის მიერ დაწერილ „კომუნიზმს პრინციპებში“, რომელშიც ერთგვარი პროტოტიპია „კომუნისტური მანუფესტი“ ნათქვამია: „ყოველგვარი ცვლლება საზოგადოებრივ წყობალებაში, ყოველი გადატრიალება საკუთრებას პირობებში წარმოადგენენ აუცილებელ შედეგს ახალ საწარმოო ძალთა განვითარებისა. რომლებიც არ შეესაბამებიან საკუთრებას ძველ ურთიერთობათ. ამგვარად წარმოიშვა კერძო საკუთრებაც, რომელიც აგრეთვე ყოველთვის არ არსებობდა“ (იხ. „Cor.“ V. 473). ამასთანავე ერთად, მარქსის მიერ სამოციანი წლების დასაწყისში (1853) დაწერილ წერილებში ინდოეთის შესახებ მრავალჯერაა მოცემული მიწის საერთო საკუთრებაზე დამყარებული პირველყოფილ თემების დახასიათება. ხოლო იმავე წელს იმავე გაზეთში („ნევიორკის ტრიბუნა“) დაბეჭდილ წერილში ინგლისის შესახებ კ. მარქსი სწერდა: „კლანში (ე. ი. საგვარეულო თემში — პ. გ.) ყოველ შემთხვევაში მიწა წარმოადგენს საკუთრებას გვარისა, რომლის შიგნით. სრულადი ნათესავის მხედველით, არსებობენ საერთო განსხვავებანი საზოგადოებრივ მდგომარეობაში, როგორც ყველა ძველ აზიურ საგვარეულო საზოგადოებრივ ორგანიზაციებში“. აქ გარდა იმისა, რომ მარქსი პირდაპირ ლაპარაკობს მიწის საზოგადოებრივ ე. ი. თემურ (კლანურ) და არა კერძო საკუთრებაზე. ამასთანავე ერთად აღნიშნავს, რომ კლანურა (ე. ი. შოტლანდური გვარის) პისტემა ისევეა ორგანიზებული, როგორც ძველი აზიური საგვარეულო საზოგადოებანი. მაშასადამე, აქედან ძველ აზიურად სწავლ, აგრეთვე ფეოდალიზმისა და ე. წ. „აზიური საზოგადოების“ იგივეობაც. ამაში მკითხველი მით უფრო დარწმუნდება, როდესაც იგი იმავე წერილში გაეცნობა, თუ როგორ აგვიწერს ქვემოთ მარქსი შოტლანდური კლანების საფუძველზე. ე. ი. პარველყოფილი საგვარეულო წყობილების საფუძველზე. ფეოდალური ურთიერთობის განვითარებას.

შემდეგ სამოციანი წლების მიწურულს (1858) თავი „პოლიტ. ეკონომიის კრიტიკისათვის“-ში მარქსი სწერდა: „დასასრულ, თემური შრომა მისი ბუნებრივად აღმოცენებული ფორმით, როგორც ჩვენ მას ყველა კულტურულ ხალხთა ისტორიის ბჭეზე ვპოულობთ. აქ შრომის საზოგადოებრივი ხანაითი, ცხადია, წარმოსდგება არა იმ გზით, რომ ცალკე ინდივიდუუმს შრომა საყოველთაოობს აბსტრაქტულ ფორმას. ანუ მისი პროდუქტი საყოველთაო ეკვივალენტს ფორმას იღებს. აქ წარმოების წინაშედგარია თემური წყობილება, რაც ხელს უშლის, რომ ცალკე პიროვნების შრომა კერძო შრომად და მისი პროდუქტი კერძო პროდუქტი იყოს. და რის გამოც ცალკე შრომა, უფრო, გვევლინება უშუალოდ როგორც საზო-

გადღებრივი ორგანიზმის წევრის ფუნქცია“. რას ნიშნავს ყოველივე ე.წ. ცხოლოდ იმას, რომ ამ შემთხვევაში კ. მარქსი ჩვენ ავტორებს კოლექტიურ საწყისებზე დამყარებული საზოგადოებრივ ურთიერთობას.

მაგრამ ჯერ კიდევ „გერმანულ იდეოლოგიაში“ (1845) მარქსი და ენგელსი აწერდნენ: „კერძო სამართალი ვითარდება პარალელურად კერძო საკუთრებისა, ბუნებრივად განვითარებული კოლექტიურობის დაშლის პროცესიდან, რომლებშიც კერძო საკუთრებას და კერძო სამართლის განვითარებას, არ ქონდა შემდგომ-სამრეწველო და სავაჭრო შედეგება რადგან მათი წესი წარმოებისა უცვლელი რჩება. თანამედროვე ხალხებში, რომლებშიც ფეოდალური საზოგადოებრივობა გახრწნეს მრეწველობამ და ვაჭრობამ, კერძო-საკუთრებისა და კერძო სამართლის წარმოშობით დაიწყო ახალი ფაზა, რომელიც შემდგომი განვითარების უნარიანი აღმოჩნდა“. შემდეგ აქვე მარქსი და ენგელსი არა ერთხელ ლაპარაკობენ თემურ და ტომურ საკუთრებაზე, მაგალითად: „პირველი ფორმა საკუთრებისა, როგორც ანტიურ ქვეყნებში, ისე საშუალო საუკუნეებში, ეს არის — ტომური საკუთრება“, ე. ი. თემური საკუთრება, კოლექტიური საკუთრება რაიც დამახასიათებელია პირველყოფილი კომუნისტური ფორმაციისა.

ამგვარად, აქედან ეს აზრი გამომდინარეობს, რომ ენგელსის სიტყვებში: „1847 წელს თითქმის სრულიად უცნობი იყო პირველყოფილი საზოგადოების ისტორია“, როდი ნიშნავს იმას, რომ ავტორებმა უცნობი იყო მორგანის შრომამ (1877), როგორც აღენიშნე, აუარებელი ფაქტიურად მასალას თავმოყრით ხელს შეუწყობს მარქსსა და ენგელსს მხოლოდ საბოლოოდ ჩამოეყალიბებინათ, მეტი კონკრეტიზაცია შეეტანათ, მათ მიერ კერძო საკუთრებასა და კლასებს წარმოშობის შესახებ. უკვე დიდი ხნის წინათ განვითარებული შეხედულებებისათვის.

მაგრამ შმიდტი კიდევ შორს მიდის; ის მარქსსა და ენგელსს სამოციან წლებამდე ბიოლოგიკტებადაც კი აცხადებს, რომლებიც ცხოველთა და ადამიანთა საზოგადოებას ერთმანეთში ურევენ! ჩვენმა „კოლექტივისმამ“ აქ ყოველგვარ მხოლოდ-ნს გადააქარბა. მართლაც რომ „საჭირო არაა ინდივიდუალური იყოს კაცი, რომ თავყვანი სცეს ძროხასა-ბაბალას და რუპიტერი იყოს, რომ ხარად გადაუქცეს!“.

ახლა მოუსმინოთ ფრ. ენგელსს, თუ რას სწერს იგი ამავე საკითხზე ლუიზ მორგანის წიგნის გამოსვლის შემდეგ, როდესაც თავისი „ოჯახის... წარმოშობის“ სახით კიდევ განავითარა მარქსიზმის მოძღვრება საზოგადოებრივ-ეკონომიურ ფორმაციებზე: „მორგანის უდიდესი დაშასხურება იმაშია, რომ მთავარ ხაზებში აღმოაჩინა და აღადგინა ჩვენი წერალობითი ისტორიის ე.წ. პრეისტორიული საფუძველი და ჩრდილო ამერიკელი ინდიელების გვაროვნულ კავშირებში იპოვა გასაღები, რომელიც უძველესი ბერძნული, რომაული (ე. ი. ანტიკური — პ. გ.) და გერმანული (ე. ი. ფეოდალური — პ. გ.) ისტორიის უმნიშვნელოვანეს დღემდე გადაუჭრელი ამოცანებს ხსნის“.

მაშასადამე, რა აღმოაჩინა მორგანმა? — მან აღმოაჩინა პირველყოფილი საზოგადოება. ხოლო ეს უკანასკნელი კი წარმოადგენდა გასა-

დღე, ანტიკური და ფეოდალური ურთიერთობის წარმოშობას მანამდე გადაუჭრელ ამოცანისა. თუმცა, როგორც ჩვენ უკვე დავანახეთ, მარქსისა და ენგელსის ისტორიულ მოვლენებში გარკვევის მათმა უღრმემა გენეალობამ, რაიც გამომდინარეობდა მათ მიერვე შექმნილ ისტორიის დასაფუძვლურ მატერიალური გაგებისაგან, შესაძლებლობა მისცა მორგანის ეპოქის შექმნილ აღმოჩენამდეც ვთქვათ, რომ ანტიკური და ფეოდალური საკუთრება წარმოიშვენ ტომური საკუთრებიდან, რომ რომაული და გერმანული საკუთრების სხვადასხვა პირვანდელი ტიპები შეიძლება ინდურა (პირველყოფილი) საკუთრების სხვადასხვა ფორმებიდან იქნეს გამოყვანილი“. ე. ი. მორგანის აღმოჩენამ მხოლოდ საბოლოოდ გაამართლა მარქსისა და ენგელსის მიერ დიდი ხნით ადრე წამოყენებული მოსაზრება („შეიძლება... იქნეს გამოყვანილი“), რომელსაც ისინი მანამდეც მთელი ნახევარსაუკუნის განმავლობაში იცავდნენ.

გამოიჩვენა, რომ პირველყოფილი სასოფლო თემი და მასზე უფრო ადრე საგვირეულო თემი, რომლის მხოლოდ ინდური ტიპი იყო მანამდე ცნობილი, ყოფილა არა სპეციფიურად აზიური, არამედ საყოველთაო მოვლენა.

ამგვარად, როგორც ფრ. ენგელსი სწერს:

„ნამდვილად მიწის თემური მფლობელობა წარმოადგენს ანტიკულტურს, რომელიც გვხვდება განვითარების დაბალ საფეხურზე ყოველ ინდოგერმანულ ხალხებში ინდოეთიდან ირლანდიამდე და იმ ხალხებშიც რომლებიც ინდოეთის გავლენის ქვეშ ვითარდებოდნენ, მაგ. იავესე. კიდევ 1608 წ. თემური მწათმფლობელობა, რომელიც არსებობდა ირლანდას ახლად დაპყრობლ ჩრდ-ლოეთში, ინგლისელებს ეშაახურებოდა საბაბათ, რომ მიწა გამოეცხადებოდათ არავის კუთვნილებად და როგორც ასეთის მისი კონფისკაცია ექნათ ხაზინის სასარგებლოდ. ინდოეთში დღემდე არსებობს მთელი რიგი თემური საკუთრების ფორმებისა, გერმანიაში ეს იყო ყოველგან: დასავლეთ ევროპაში და აგრეთვე პოლონეთში და მალდოროსიაში თემური მფლობელობა განვითარების გარკვეულ საფეხურზე შეიქმნა ბოროკლად სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში და ახლ უფრო და უფრო ისპობოდა. ველიკოკოსტისე თემის დღემდე შენარჩუნებულ იქნა და უწინარეს ყოველსა წარმოადგენს იმის მოწამეს, რომ სასოფლო-სამეურნეო წარმოება და მისა შესაბამისოფლის საზოგადოებრივი პირობები იმყოფებიან აქ კიდევ ძლიერ დაბალ საფეხურზე. რაიც მართლაც ასე არის. რუსთა გლეხთა ცხოვრობს და შრომობს მხოლოდ თავისა თემის ფარგლებში; მთელი დანარჩენი ქვეყანა მისთვის არსებობა მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ეს ერევა ამ მის თემში... და ეს იმ ხარისხით. რომ სრულიად ერთი და იგივე სიტყვა „Мир“ ნიშნავს ერთი მხრივ მსოფლიო, და მეორეს მხრივ „გლეხთა თემს“. მთელი „Мир“-ი, მთელი მსოფლიო გლეხ-სათვის ნიშნავს თემის წევრთა კრებას... ასეთი სრული ცალკეულობა ერთმანეთშორის ცალკე

თემებისა, რომელიც ჰქმნის მთელ ქვეყანაზე თუმცა ერთგვარ, მაგრამ ამავე დროს პირდაპირ დაპირისპირებულ საზოგადოებრივ ინტერესებს, წარმოადგენს ბუნებრივ საფუძველს აღმოსავლეთის დესპოტიისა და ინდოეთიდან რუსეთამდე, ეს საზოგადოებრივი ფორმა, იქ ხადაც ის მოველინა გაბატონებულად, ყოველთვის შობდა ასეთს“ 20.

მაშასადამე, აღმოჩნდა რომ, როგორც ენ გ ე ლ ს ი შენ-შნავს „კომუნისტური მან-ფესტა“ მერმინდელ გამოცემაში, — „სოფლის თემი საერთო მიწათმფლობელობით იყო პირველყოფილი ფორმა საზოგადოებისა ინდოეთიდან დაწყებულ ირლანდიამდე“. ხოლო მათი შემდგომი განვითარება თავისებურება იმაშია, რომ სადაც ძველი თემი გადარჩა, იგი ათაი წლები, განმავლობაში უტლანქეთის სახელმწიფოებრივი ფორმის, აღმოსავლური დესპოტიზმის საფუძველს წარმოადგენს ინდოეთიდან რუსეთამდე. მხოლოდ იქ, სადაც იგი დაიშალა. ხალხები წინ წაუდგენ დამოუკიდებლად და მათი უახლოესი ნაბაჯი ეკონომიური პროგრესის გზაზე მდგომარეობდა წარმოების გაძლიერებასა და განვითარებაში მონური შრომის შემწეობით.

მგალითად რუსულ თემმა იარსება მთელი საუკუნეები. ისე რომ მისგან არასოდეს არ გამოვლინებულა მისწრაფება თვით თავისთავისაგან განვითარება მალალი ფორმა საზოგადოებრივი საკუთრებისა; ის აქ არ არის ისევე, როგორც არ იყო გერმანულ მარკაშიაც, კელტურ კლანშიაც, ინდურ და სხვა თემებშიაც პრემატიული-კომუნისტური წყობილებით. ყველა ასეი დროთა ვითარებაში, გავლენით მათი გარშემომცველი ანუ თვით მათ საკუთარ წილში წარმოშობლ და თანდათან მათში გამგდარა საქონლური წარმოებისა და გაცვლისა, ცალკე ოჯახებსა და ცალკე პირებს შორის, სულ უფრო და უფრო ჰკარგავდენ თავიანთ კომუნისტურ ხასიათს და იქცეოდენ ურთიერთის მიმართ დამოუკიდებელ მიწათმფლობელ თემებად.

ყოველადვე აქედან იმ დასკვნის გამოყვანა შეიძლება, რომ პირველყოფილ ფორმაციის აღმოჩენის შემდეგ ე. წ. „აზიური ფორმაცია“ ეკუთვნის უკვე არა მარქსიზმის მეთოდოლოგიის, არამედ მარქსიზმის ისტორიის, საკითხს. ხოლო აქამდე მარქსისა და ენ გ ე ლ ს ი ს ნაშრომებში „აზიური წარმოების წესის“ ქვეშ მოცემული დახასიათებანი და ანალიზი საზოგადოებრივი განვითარებისა უნდა გავებულ იქნას ამგვარად, რომ მისი ის მხარეები, რომლებიც მოცემულია საერთო მიწათმფლობელობაზე დაყრდნობით, საგვარეულო და ნაწილობრივ სასოფლო თემის სახით, — რაც მარქსი ხშირად „ძველ-ჩინურადაც“ უწოდება, — წარმოადგენს პირველყოფილი ფორმაციის. სახელდობრ მისი უკანასკნელ სტადიის, როდესაც უკვე მოცემულია ექსპლოატაციის ანუ თუ იგი გარკვეული ფორმები, თავისებურებათა დახასიათებას; მთელი დანარჩენი ნაწილი კი, თავისთავად ცხადია, მიეკუთვნება აღმონაველეთურ ხალხებში (ჩინეთი, ინდოეთი) განვითარებული ფეოდალური ურთიერთობის სპეციალურობათა დახასიათებას.

20. Энгельс — „Очерки социальной жизни России“, 13 — 14 და 22 — 23.

დასასრულ, უნდა დავსძინოთ, რომ წინასწარცვაობის ფარგალი სამწუხაროდ საშუალებას არ იძლეოდა ეს დასკვნა კიდევ ერთხელ დავაგეგმოთ. ცხადია, თანამედროვე ისტორიოგრაფიის განვითარებაში მყოფი ფაქტორი მასალებით — კონკრეტული ისტორიით: ცხადია, იმედს ვერ შეგვლევია რომ ახლო მომავალში საშუალება მექნება ამ საკითხზე ჩემს ხელში დავგროვილი მასალები წარუდგინო დაინტერესებულ მკითხველ საზოგადოებას.

„ახიური წარმოების წესის“ გარშემო წარმოებული დისკუსიის ლიტერატურა E. იოლი — „К вопросу об азиатском способе производства“ („п. S. M.“, 1931 № 3); С. М. Дубровский — „К вопросу о сущности азиатского способа производства, феодализма, крепостничества и торгового капитала“ 1829; „Спорные вопросы методологии истории“ 1930; „Против механистических тенденций в исторической науке“ 1930; „Дискуссия об азиатском способе производства“ 1931; „Об азиатском способе производства“ 1930; E. იოლი — „К вопросу об основах общественного строя древнего Китая“ 1933; Фокс — „Взгляды Маркса и Энгельса на азиатский способ производства и их источники“ („Л. М.“, XIII); А. Мадьяр — „К вопросу о Марксовом учении об общественных формациях“; А. Мадьяр — „Очерки по экономике Китая“ 1931; А. Мадьяр — „Экономика сельского хозяйства в Китае“ 1932; А. И. Штуссер — „Маркс и Энгельс об Индии“, 1930; В. И. Равдоникас — „К вопросу о социологической периодизации палеолита в связи с взглядами Маркса и Энгельса на первобытное общество“ (Известия ГАИМК т. IX, вып. 2); А. Шнидт и Равдоникас — „О развитии взглядов Маркса на первобытное общество“, 1931; Колин и Папаян — „Цзин-Тянь“, 1930; Бернштам и Крычевский — „К вопросу о закономерности развития архаической формации“, 1933; А. Таисер — „Проблемы общественно-эконом. формации“ (1932 „п. S. M.“ № 2); Сафаров — „Классы и классовая борьба в истории Китая“; А. Ефимов — „Концепция экономических формаций у Маркса и Энгельса и их взгляды на структуру восточных обществ“ (Историк Марксист, т. 16); Эж. Паппер — „Европейско-американский империализм и китайская контрреволюция“ („Правда“ от 1/V); М. Варга — „Перспективы китайской революции“; Генрих Ян — „К вопросу о пережитках феодализма в современном Китае“; И. Смирнов — „Против попытки ревизии марксистско-ленинского учения о социально-экономических формациях“; E. Кричевский — „Больше марксистско-ленинской четкости в истории доклассового общества“ (Сообщения ГАИМК, № 11-12); პ. გუგუშვილი — „სახალხო მურენობის ისტორია“, განაკვეთი I, 1930; პ. გუგუშვილი — „ტენნიკის მარქსისტულ ისტორიის შესახებ“, 1932; პ. გუგუშვილი — „ეკონომიური ფორმაციებისათვის“, 1933.

პაატა გუგუშვილი.

1933. 1. 20

ტფილისი.

შ ე ს ა ვ ა ლ ი

§ 1. კაპიტალისტური, დაზღოვების ისტორიული ძინდენსია

რამი მდგომარეობს კაპიტალის პირვანდელი დაგროვება, ე. ი. მისი ისტორიული გენეზისი? რამდენადაც ეს უკანასკნელი არ წარმოადგენს მონებინა და ყმების უშუალო გადაქცევას დაქირავებულ მუშებად, ე. ი. არ წარმოადგენს უშუალო ფორმათა ცვლას, იგი მხოლოდ მწარმოებელთა ექსპროპრიაციას. ე. ი. საკუთარ შრომაზე დამყარებულ კერძო საკუთრების რღვევას ნიშნავს¹⁾.

კერძო საკუთრება. როგორც წინააღმდეგობა საზოგადოებრივ, კოლექტიური საკუთრებისა, მხოლოდ იქ არსებობს, სადაც შრომა საშუალებებ და შრომის სხვა გარეშე პირობები კერძო პირებს ეკუთვნის. იმის და მხედვით, თუ ვინ არიან ეს კერძო პირები — მუშები თუ არა-მუშები. იცვლება აგრეთვე კერძო საკუთრების ხასიათი. ის დაუსრულებელი ნაირობა. რომელიც პირველი შეხედვით წააშა მოიპოვება. არუკლავს მხოლოდ ამ ორ კიდურს შორის არსებულ შუალედ მდგომარეობას.

მუშის კერძო საკუთრება მის წარმოების საშუალებებზე წვრილ წარმოების საფუძველს შეადგენს, ხოლო წვრილი წარმოება თვით მუშის საზოგადოებრივი წარმოება-სა და თავსუფალი ინდივიდუალობის განვითარების აუტოკლებელი პირობაა. მართალია, ეს წარმოების წესი არსებობს აგრეთვე მონობის, ბატონყმობისა და დამოკიდებულებს სხვაგვარი ურთიერთობის დროსაც. მაგრამ იგი ყვავის. იჩენს მთელ თავის ენერგიას და იღებს სათანადო კლასიკურ ფორმას მხოლოდ იქ, სადაც მუშა თავისივე შრომის პირობების თავისუფალი კერძო მე-საკუთრება. სადაც გლეხი მესაკუთრება მის მიერ დამუშავებული მიწისა და ხელოსანი — იმ იარაღებისა, რომელსაც იგი ვერტუოზულად ათავაშებს.

ეს წარმოების წესი, მიწის და სხვა საწარმოო საშუალებათა დაქუცვა-მაცევა, გულისხმობს, იგი უარყოფს შრომის დანაწილებას ერთი და იმავე

¹⁾ ზემოთ მარქსი იხილავს კაპიტალის წარმოშობასთან დაკავშირებულ საშინელებათ და ასკენის: „ესოდენ ჯაფად ღირდა კაპიტალისტური წარმოების წესის „გარდუვალ ბუნების კანონთა“ თავისუფალი გამოაშკარავება. მუშებისა და შრომის საშუალებათა ერთმანეთისაგან გათიშვის პროცესის შექმნა, ერთ პოლუსზე საწარმოო და საარსებო საზოგადოებრივ საშუალებათა კაპიტალად გადაქცევა; ხოლო მოპირდაპირე პოლუსზე ხალხური მასის გადაქცევა დაქირავებულ მუშებად ანუ თავისუფალ „მომუშავე ღარიბებად“, თანამედროვე ისტორიის ამ შედეგად. თუ ფული Augier-ის სიტყვით: „ამ ქვეყნად ერთ ლაყაზე სისხლიანი ლაქით იბადება“, კაპიტალს თავით ფეხამდე ყველა სერტიდან სისხლი და ქუქყნი სისის“.

წარმოების პროცესს შიგნით, საზოგადოებრივ ბატონობას ბუნებაზე და მისი ძალების მოწესრიგებას, საზოგადოებრივ საწარმოო ძალთა თავისუფალ განვითარებას. იგი მხოლოდ წარმოებისა და საზოგადოების ვიწრო-ბუნებრივად აღმოცენებულ ფარგლებს ეგუება. მისი გამარჯობის სურვილი, როგორც სამართლიანად ამბობს Recqueur „საყოველთაო უნიჭობის დაკანონებას“ ნიშნავს განვითარების განსაზღვრულ საფეხურზე იგი თვით ქმნის თავისი საკუთარი მოსპობის ნივთიერ საშუალებებს.

ამ მომენტიდან დაწყებული საზოგადოებას წიაღში აღვიძებენ ძალები და ენებანი, რომელნიც თავს მის მიერ შებოროტებულად გრძნობენ. ეს წარმოების წესი უნდა მოისპოს და ისპობა კიდევ. მისი მოსპობა, ინდივიდუალურ და დაქუცმაცებულ საწარმოო საშუალებათა გადაქცევა საზოგადოებრივად კონცენტრაციას ქმნილ საწარმოო საშუალებებაზე, ე. ი. მრავალთა წერტილი საკუთრებას გადაქცევა მცირედენთა მსხვილ საკუთრებად. ხალხურ ფართო მასებზე მიწის, საარსებო საშუალებათა და შრომის იარაღების ჩამორთმევა, ხალხური მასის ეს საშინელი და მძიმე ექსპროპრიაცია, კაპიტალის ისტორიის შესავალს წარმოადგენს. იგი მოიცავს ძალდატანებითი მეთოდების მთელ რიგს, რომელთაგანაც ჩვენ განვიხილეთ ზემოთ მხოლოდ ეპოქის შემქმნელი მეთოდები, როგორც პირველადი დაგროვების მეთოდები. უშუალო მწარმოებელთა ექსპროპრიაცია ხდება დაუნდობელი ვანდალიზმით და ფრიად უსირცხვილო, ბინძური, საზიზღარი და წერილმანი მოქმედების ზეგავლენით. პირადი შრომით მონაპოვარი კერძო საკუთრება, რომელიც დამყარებულია თითოეული დამოუკიდებელი მუშის, ასე ვსთქვათ, ბუნებრივ შეზღუდვაზე მის შრომის პირობებთან, განიღვებება კაპიტალისტური კერძო საკუთრებით, რომელიც დამყარებულია სხვისი, თვქცა-ლა ფორმალურად თავისუფალ, შრომის ექსპლოატაციაზე.

როდესაც ამ გარდაქმნის პროცესმა საგრძნობლად დაარღვია ძველი საზოგადოება მთელი სიღრმე-სიგანით, როდესაც მუშები პროლეტარებად არიან გადაქცეული, ნოლო მათი შრომის პირობები — კაპიტალად, როდესაც კაპიტალისტური წარმოება თავის საკუთარ ფეხზე დგება. — მაშინ შრომის შემდგომი განსაზოგადოებრივება, მიწისა და სხვა საწარმოო საშუალებათა გადაქცევა საზოგადოებრივ-საექსპლოატაციო, ე. ი. საერთო საწარმოო საშუალებებად და, ამნაირად კერძო საკუთრებათა შემდგომი ექსპროპრიაცია, ახალ ფორმას იღებს. ექსპროპრიაცია მოელის ახლა არა მუშას, რომელიც დამოუკიდებლად აწარმოებს შეურთებულს, არამედ — მრავალი მუშის მყვლეფავ კაპიტალისტს.

ეს ექსპროპრიაცია ხდება თვით კაპიტალისტური წარმოების იმანენტური კანონების მოქმედებით, კაპიტალის ცენტრალიზაციით. ერთი კაპიტალისტი მრავალს კლავს. ხელიხელ ჩაკიდებული ამ ცენტრალიზაციასთან ანუ მრავალ კაპიტალისტთა ექსპროპრიაციასთან, რომელსაც ახდენს კაპიტალისტთა მცირე რიცხვი, სულ უფრო და უფრო ფართო მასშტაბით ვითარდება, შრომის პროცესის კოოპერატიული ფორმა. მეცნიერების შეგნებული ტექნიკური გამოყენება, მიწის გეგმიანი ექსპლოატაცია, შრო-

მის საშუალებების მხოლოდ საზოგადოებრივად გამოსაყენებელ საშუალებებად გადაქცევა, ყველა საწარმოო საშუალებათა ეკონომიზაცია, მათი, როგორც კომბინირი, საზოგადოებრივი შრომის საწარმოო საშუალებათა გამოყენებით, ყველა ხალხთა ჩაბმა მსოფლიო ბაზრის ქსელში და მათი კაპიტალისტური რეჟიმის ინტერნაციონალური სახით.

კაპიტალის მაგნატების რიცხვის განუწყვეტელ შემცირებასთან ერთად, რომელნიც ითვლებენ და თავის მონოპოლიად აქცევენ ამ გარდაქმნის პროცესს ყველა ბელსაყრელ მხარეთ, იზრდება სოციალური, რევოლუციური და მოწინავეობა. გადაგვარება, ექსპლოატაცია, მაგრამ ამასთანავე ძლიერდება მუდამ ზრდაში მყოფი და კაპიტალისტური წარმოების პროცესის შექმნის მიზნით გაწრთვნილ, გაერთიანებულ და ორგანიზაციულად დარჯიშულ მუშათა კლასის აღშფოთება. კაპიტალის მონოპოლია ხდება იმ წარმოების წესის ბორკილებად, რომელმაც მასთან ერთად და მისი დამხარებით მანამდე აყვავებას. საწარმოო საშუალებათა ცენტრალიზაცია და შრომის განსაზოგადოებრივება აღწევს იმ წერტილს, სადაც ისინი ნელა თავსდება მათ კაპიტალისტურ გარეშე. ეს უკანასკნელი სკდება. რეკავს კაპიტალისტური კერძო საკუთრების უკანასკნელი საათი. ექსპროპრიატორები ექსპროპრიაციას იქმნიან ხდებათ.

კაპიტალისტური წარმოების წესიდან გამომდინარე კაპიტალისტური მეთოდების წესი და, ამიტომ, კაპიტალისტური კერძო საკუთრებაც პირველი ნეგაციაა (უარყოფა) ინდივიდუალური, საკუთარ შრომასზე დამყარებული კერძო საკუთრებისა. მაგრამ კაპიტალისტური წარმოება ბუნებრივი პროცესის აუცილებლობით წარმოშობს თავის საკუთარ უარყოფას. ეს უარყოფის უარყოფაა. იგი მუშებს კერძო საკუთრებას კი არ აღადგენს, არამედ — ინდივიდუალურ საკუთრებას კაპიტალისტური ბოქსის ძონაპოვართა საფუძველზე: ეს საფუძველია კოოპერაცია და მიწისა და თვით შრომის მიერ წარმოებულ საწარმოო საშუალებათა საერთო მფლობელობა.

ცალკე პართა საკუთარ შრომასზე დამყარებული, დაქუცმაცებული კერძო საკუთრების გადაქცევა კაპიტალისტურ საკუთრებად, რასაკვირველია, გაცილებით უფრო ხანგრძლივია, მძიმე და ძნელი პროცესია, ვიდრე უკვე საზოგადოებრივ წარმოებაზე ფაქტურად დამყარებული კაპიტალისტური საკუთრების საზოგადოებრივ საკუთრებად გადაქცევა. იქ საქმე ეხებოდა ხალხური მანების ექსპროპრიაციას მცირეოდენი უზურპატორების მიერ, აქ კი — მცირეოდენი უზურპატორების ექსპროპრიაციას ხალხური მასების მიერ.

(კ. მარქსი — „კაპიტალი“ ტ. I).

§ 2. კაპიტალისტური სისტემის გააფიქსირების

იმ მრავალმნიშვნელოვან აღმოჩენათა შორის, რომლითაც მარქსმა თავისი სახელი მეცნიერების ისტორიაში შეიტანა, ჩვენ აქ მხოლოდ ორზე შევჩერდებით.

პოველია მის მიერ მოხდენილი გადატრიალება შოთღლიო ისტორიის
გაგანაში. დღემდე გამეფებული ისტორიული შეხედულებანი, ემყარე-
ბოდენ ამ წარმოდგენას, რომ ყველა ძატორიულ ცვლილებათა უკანასკნე-
ლი მიზეზები უნდა ვეძიოთ საბოლოო ანგარიშით ადამიანთა ცვლებად
იღებში და ყველა ძატორიულ ცვლილებათა შორის უმნიშვნელოვანესი.
მოვლი ისტორიის გამსაზღვრელი, პოლიტიკური ცვლილებათა; მაგრამ
არაუად არ ცდილობდა გამოერკვია, საიდან იბადება ადამიანთა ჩღეები
და როგორია პოლიტიკურ ცვლილებათა მამოძრავებელი მიზეზები.

შოლოდ ფრანგ და ნაწილობრივ ინგლისელ ისტორიკოსთა უახლეს
სკოლაში დაიბადა ის რწმენა, რომ დაწყებული საშუალო საუკუნეებიდან
შინეც ევროპის ისტორიის მამოძრავებელ ძალად უნდა ყოფილიყო განვი-
თარებაში მყოფი ბურჟუაზიის ბრძოლა ფეოდალურ არისტოკრატიათან
პოლიტიკურ და საზოგადოებრივი ბატონობისათვის. მარქსმა კი და-
ამტკიცა, რომ კაცობრიობის მთელი წარსული ისტორია კლასთა ბრძო-
ლია ძატორიისა; მან აღნიშნა, რომ მრავალგვარ და რთულ პოლიტიკურ
ბრძოლაში საქმე ეხებოდა ყოველთვის სწორედ საზოგადოებრივი კლასების
პოლიტიკურ და სოციალურ ბატონობის, საკუთხება, ბატონობის შენარჩუ-
ნებას ძველი კლასების მხრით, ბატონობის დაპყრობას ამომავალი, კლას-
ების მხრით. მაგრამ რუსი მეოხებით იბადებიან და არსებობენ ეს კლას-
ები? — ყველთვის არსებული მატერიალურ, ტლანქი პირობების მეოხე-
ბით. რომლებშიაც საზოგადოება ამა თუ ამ ხანაში თავის მინარებას
პროდუქტებს აწარმოებს და, სცვლის. საშუალო საუკუნეების ფეოდალურ
ბატონობა ემყარებოდა წვრულ თვითგმარ გლეხურ თემთა შეურწმობას,
რომელაც თვითონ ამზადებდა თითქმის თავის მინარებას ყველა საჭირო
საგნება და რომელშიაც გაცვლა-გამოცვლა თითქმის არ არსებობდა: ამ
თემებს. გარედან იცავდა და მათ ნაცონალურ, ყოველ შემთხვევაში პო-
ლიტიკურ გაერთიანებას უზრუნველყოფდა მეომარი წოდება — თავდა-
ანაურობა. როდესაც წარმოიშვა ქალაქები და მათთან ერთად განცალკე-
ვებული ხელოსნობა და სავაჭრო ბრუნვა, ჯერ ქვეყნის შიგნით. ხოლო
შემდეგ საერთაშორისო ხასიათსა, მაშინ აღორძინდა ქალაქის ბურჟუაზია,
რომელშიაც თავდაანაურობასთან ბრძოლაში ჯერ კიდევ საშუალო საუ-
კუნეებში პრივილეგიური წოდების ადგილი მოიპოვა ფეოდალურ წესწყო-
ბლებაში. მაგრამ ევროპის გარეშე მდებარე მატერიალის აღმოჩენამ მე-
ხუთმეტე საუკუნის ნახევრიდან დაწყებული, ბურჟუაზიის გაცილებით
უფრო ფართო სავაჭრო ასპარეზი გაუხსნა და მის მრეწველობის განვი-
თარება ახალი ბიძგი ჰქრა.

მანუფაქტურამ, რომელიც საფაბრიკო იყო თავის ხასიათით, განდევნა
ხელოსნობა მრეწველობის უმნიშვნელოვანეს დარგებიდან; თავის მხრე
მანუფაქტურა განდევნილ იქნა მსხვილი მრეწველობით, რომელიც შე-
საძლებელი გახდა გასული საუკუნის აღმოჩენები გამო. განსაკუთრებით
ორთქლის მანქანის აღმოჩენის გამო. მსხვილმა მრეწველობამ კი თავის
მხრე უკუ-გააღინა მოახდინა ეპქრობაზე. განდევნა ჩამოჩენულ
ქვეყნებში დრომოკმული ხელით შრომა. ხოლო განვითარებულ

ქვეყნებში შექმნა თანამედროვე ახალი სამომავლო საერთაშორისო ურთი-
კობები: გემები, რკინის გზები, ელექტრონული ტელეგრაფი. ა.ე. პურტუ-
აზამ თანდათან უფრო გაერთიანა საზოგადოებრივი სმდიდრე და სა-
ზოგადოებრივი ძალა თავის ხელში, თუცა ჯერ კიდევ დიდძალი იყო
მოკლებული პოლიტიკურ ხელსუფლებას. რომელიც კარგაზნით თავად-
აზნაურობის და მასზე დაყრდნობა მონარქიის ხელში დარჩა, მაგრამ
განვითარების განსაზღვრულ საფეხურზე, — საფრანგეთში დიდი რევოლუ-
ციის შემდეგ. — შან ესეც დაიპყრო და თავის მხრივ როგორც გაბატონე-
ბული კლასი, დაუპირდაპირდა პროლეტარიატს და წვრილ გლეხობას.

ამ თვალსაზრისით სულ უბრალოდ აიხსნება ყველა ისტორიული მოვ-
ლენები. თუ მკვლევარი აღჭურვილია თითოეულ პერიოდს საზოგადოების
ეკონომიური მდგომარეობის საკმაო ცოდნით, რასაც რასაკვირველია,
გვერდს უხვევენ ჩვენი ისტორიკოსები, ასევე უბრალოდ აიხსნება თითო-
ეული ისტორიული პერიოდს წარმოდგენები და იდეები ეკონომიური
ცხოვრების პირობებში და მათ მიერ განსაზღვრულ ამ პერიოდის სოცია-
ლურ-პოლიტიკური ურთიერთობით. ისტორია პირველად იქნა დაყუბ-
ბული თავის ნამდვილ საფუძველზე: აქვთიმ თვალსაზრისით ფაქტმა, რომელ-
საც აქამდე სრულად ვერ ამჩნევდნენ. იმ ფაქტმა, რომ ადამიანებმა უწ-
ნარეს ყოვლისა უნდა ქაშონ, სვან, საცხოვრებელი ბანა იქონონ. ტანო
ჩაიციან და რომ მამასადამე იმ უშაონ, სანამ ბატონობისათვის იბრძო-
ლებდნენ, პოლიტიკას, რელიგიას, ფალოლოფიას და სხვა შეუდგებოდნენ. —
ამ თვალსაზრისით ფაქტმა ბოლოს თავის უფლებები მოიპოვა ისტორიის
დარგში.

სოციალ-ისტურ მსოფლმხედველობისათვის ისტორიის ამ ახალ გაგებას
უაღრესად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. მისი მეოხებით დამტკიცდა, რომ
მთელი წინანდელი ისტორია კლასობრივი წინააღმდეგობის და კლასობ-
რივი ბრძოლის, გზით მიმდინარეობდა, რომ კაცობრიობა მუდამ იყოფოდა
გაბატონებულ და დამონებულ ექსპლოატატორულ და ექსპლოატირებულ
კლასებად. და ადამიანთა დიდი უმრავლესობის ხედვრა მუდამ მძიმე შრომა
და უბედურეი არსებობა იყო. რატომ ჭედებოდა ასე? — შიტომ. რომ კაცობ-
რიობის განვითარებას ყველა ადრინდელ საფეხურებზე წარმოება ისე სუს-
ტად იყო განვითარებულა, რომ ისტორიულ განვითარებას შეეძლო წარ-
მართულიყო მხოლოდ ამ წინააღმდეგობით სახეს ფორმაში. რომ ისტორი-
ული პროგრესი საერთოდ ხელსაყრელი იყო პატარა პრივილეგიური უმცი-
რესობისათვის, მაშინ. როდესაც უდიდეს მასა განწირული იყო ემუშავნა
თავისთვის ღარიბი სარჩოს მისაღებად და სულ უფრო გამცონარებულ
პრივილეგიურ წოდებების მოთხოვნალებათა დასაკმაყოფილებლად. მაგრამ
ისტორიის ასეთი გაგება, რომელიც ბუნებრივად და ვინაიერულად ხანის
მოელ აქამდე არსებულ კლასობრივ არსებობას. — რასაც წინაღ მხოლოდ
ადამიანთა ბოროტი ნებისყოფით ხანდინენ, — იწვევს აკრუთე იმ რწმე-
ნას, რომ თანამედროვე მწარმოებელ ძალთა უდიდესი განვითარებას ვამო
ჰქრება უკანააქენელი საბუთი. ყოველ შემთხვევაში განვითარებული ქვეყ-
ნებში. ადამიანთა დაყოფისა მჩაგვრელებად და დაჩაგრულებად ექსპლოატა-

ტორებულ და ექსპლოატორებულებად; ისტორიის ასეთი გაგების მიხედვით გაბატონებულმა მსხვილმა ბურჟუაზიამ თავისი ისტორიული დანიშნულება უკვე შეასრულა. რომ მან არა თუ დაკარგა საზოგადოების ხელმძღვანელობა უნარა, არაჲდ მწარმოებელ ძალთა შემდგომ განვითარების შემაფერხებელ მიზეზადაც გადაიქცა, როგორც ამას ამტკიცებს სავაჭრო კრიზისები განსაკუთრებით უკანასკნელი დიდი კრიზისი და მრეწველობის შევიწროვებულნი მდგომარეობა ყველა ქვეყნებში; ისტორიული ხელმძღვანელობა ახლა გადასულია პროლეტარიატის ხელში, იმ კლასის ხელში, რომელსაც თავისი საზოგადოებრივი მდგომარეობის პირობებით განთავსებულება შეუძლიან ნაოლოდ იმ შენობებში, თუ მოსპობს ყოველგვარ კლასობრივ ბატონობას: ყოველგვარ მონობას და ყოველგვარ ექსპლოატაციას საზოგადოდ; საზოგადოებრივი მწარმოებელი ძალეა. რომელნიც ბურჟუაზიის ხელში ვეღარ თავსდებან მოთხოვენ, რომ დაეპატრონოს გაერთიანებული პროლეტარიატი. რათა შეიქმნას ისეთი წყობილება, როდესაც საზოგადოების თათოუელ წევრს შეეძლება საშუალება მიიღწილოს მიიღოს არა მარტო საზოგადოებრივ ს-მდ-დრეთა წარმოებაში, არამედ აგრეთვე მათ განაწილებასა და წარმართვაში; და, როდესაც მისი წარმოების გეგმიანი ორგანიზაციით იმდენად გაიზრდებიან საზოგადოების მწარმოებელი ძალები და მათ მეორე შექმნილი პროდუქტება, რომ ყველა რაციონალურ. მუდამ მზარდ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება თითოეულ-ისათვის უზრუნველყოფილი იქნება.

მარქსის მეორე მნიშვნელოვანი აღმოჩენა მდგომარეობს კაპიტალის და შრომის ურთიერთობის საბოლოო განმარტებაში, სხვანაირად რომ ეთქვას. იმის გამოაშკარავებაში, თუ როგორ ხდება ზემოთ ექსპლოატაცია კაპიტალისტის მიერ თანამედროვე საზოგადოებაში. არსებულ კაპიტალისტური წარმოების წესის დროს, მას შემდეგ. რაც პოლიტიკურმა ეკონომიამ ის დებულება წამოაყენა, რომ შრომა ყოველი სიმდიდრიდან ყოველგვარი ღირებულების წყაროა, აუცილებლად შემოიჭრა კითხვა: როგორ შეიძლება ეს აზრი შეუთავსდეს იმ ფაქტს, რომ დაჭირავებული მუშა მისი შრომით შექმნილ ღირებულების მთელ რაოდენობას კი არ ღებულობს. არამედ აქედან ერთ ნაწილს კაპიტალისტს აძლევს? როგორც ბურჟუაზიულ ეკონომისტები ისე სოციალისტები ცდილობდნენ მოენახათ შეცნიერებულად დასაბუთებულნი პასუხები ამ კითხვაზე: მაგრამ მათი ცდა ამოიდაჩა. ახანამ, ბოლოს, მარქსმა თვითი ახანა არ წამოაყენა. ეს ახსნა შემდეგში მდგომარეობს:

თანამედროვე კაპიტალისტური წარმოების წესი გულ-ჩხმობს ორი საზოგადოებრივი კლასის არსებობას; ერთი მხრივ კაპიტალისტები. რომელნიც საწარმოო და საარსებო საშუალებათა მესაკუთრენი არიან. მეორე მხრივ პროლეტარები. რომელნიც მოკლებულნი არიან ამას. და რომელთაც მარტო ერთი საქონელი გააჩნიათ გასაყვდათ: თავისი სამუშაო ძალა; ისინი ამოღებულნი არიან საარსებო საშუალებათა მოსაპოვებლად გაყვდონ თავიანთი სამუშაო ძალა. მაგრამ საქონლის ღირებულება ისაზღვრება მის წარმოებაზე და, მაშასადამე. მის რეპროდუქციაზე დახარჯულ,

განვითარებულა საზოგადოებრივ აუცილებელი შრომის რაოდენობაზე ხოლო საშუალო ადაპიანის სამუშაო ძალის ღირებულება განისაზღვრება ერთი დღის, ერთი თვის, ერთი წლის განმავლობაში საჭირო შრომის იმ რაოდენობით, რომელიც განხორციელებულია ამ სამუშაო ძალის შენახვისათვის ერთი დღის, ერთი თვის, ერთი წლის განმავლობაში საჭირო საარსებო საშუალებებში. დაუშვათ, რომ ერთ დღეს მუშაობისათვის საჭირო საარსებო საშუალებათა წარმოება 6 სამუშაო საათს მოითხოვს ან. რაც იგივეა, მათში განხორციელებული შრომა წარმოადგენს 6 საათის შრომის რაოდენობას; მაშინ სამუშაო ძალის ღირებულება ერთი დღისათვის გამოიხატება ფულადი ჯამით, რომელიც აგრეთვე 6 სამუშაო საათს შეიცავს. დაუშვათ კიდევ, რომ კაპიტალისტი, რომელიც ჩვენს მუშას ქირაობს, უბღის მას ამ თანხას, ე. ი. მისი სამუშაო ძალის სრულ ღირებულებას. თუ მუშა კაპიტალისტისათვის ექვს საათს მუშაობს დღეში, მაშინ იგი მას მის დანახარჯს სავსებით აუნაზღაურებს: ექვსი საათის შრომის, 6 საათის შრომისათვის. ამ შემთხვევაში, რასაკვირველია, კაპიტალისტს არაფერა დარჩება. — ამიტომ იგი საქმეს სულ სხვანაირად უყურებს: მე მუშის სამუშაო ძალა, — მსჯელობს კაპიტალისტი, მარტო 6 საათით კი არ მყიდია, არამედ მთელი დღით, — და ამისდამიხედვით იგი მუშას ამუშავებს გარეუბების მიხედვით 8, 10, 12, 14 საათს და კდევ მეტი, ა. ე. რომ ამ მეზღვე, მეჩვე და შემდგომი საათების პროდუქტად გადაუხდელი შრომის პროდუქტია და პირდაპირ კაპიტალისტის ჯიბეში ჩადის.

ანაირად, მუშა კაპიტალისტს სამსახურში არ ქნის მარტო თავის სამუშაო ძალის ღირებულებას, რომელსაც მას უბღან. არამედ ქნის გარდა ამისა კდევ ზედმეტ ღირებულებას, რომელსაც პირველ ყოვლისა კაპიტალისტი ითვისებს და, რომელიც შემდგომი, განსაზღვრული ეკონომიური კანონების მიხედვით, ნაწილდება საერთოდ მთელ კაპიტალისტთა კლასში და ქნის ამ წყაროს. საიდანაც იზადება მიწის რენტა, მოკება და კაპიტალის დაგროვება. — მოკლედ ყველა ის სიმდიდრე, რომელთაც არამშრომელი კლასები ნთქავენ ან აგროვებენ.

ამით დამტკიცებული იქნა, რომ თანამედროვე კაპიტალისტების მიერ სიმდიდრის შექმნა მდგომარეობს სხვის, გადაუხდელი შრომის მითვისებაში, ისევე როგორც ამას სჩადიოდნენ მაწადმლობეულნი ან მის შრომის ექსპლოატატორი ფეოდალები; განსხვავება ექსპლოატატორს ამ ფორმის შრომის მდგომარეობს მხოლოდ იმ საშუალებებში, რომელთა მეოხებათ ხდება გადაუხდელი შრომის მითვისება. მაგრამ ამით უკანასკნელი ნიდაგა გამოეცალა. თუქვეშ გაბატონებულ კლასთა ყოვლად ფარისეველურ ფრანკოლოგიას, თითქოს თანამედროვე საზოგადოებრივ წყობილებაში გამუფებულა სამართალი და სამართლიანობა, უფლებათა და მოვალეობათა თანასწორობა და ინტერესთა საყოველთაო მარმონია. გამოაშკარავებულ იქნა აგრეთვე ისიც, რომ თანამედროვე ბურჟუაზიული საზოგადოება არა ნაკლებ ვიდრე მისი წინამორბედი წარმოადგენს უზარმაზარ დაწესებულებასა ზადაც ხდება ხალხის უდიდესი უმრავლესობის ექსპლოატაცია

უმნ-შენლო უკ-რესობ-ს მიერ, რომლის რიცხვი სულ უფრო და უფრო კლებულობს...

ამ ორ მნიშვნელოვან დებულებაზე არის აგებული თანამედროვე მეცნიერული სოციალიზმი კაპიტალისტური საზოგადოებრივი სისტემის შესწავლის დარგში.

(ფრ. ენგელსი — „კ. მარქსი“).

§ 8. კაპიტალიზმის განვითარების ზოგადი კანონები.

კაპიტალისტურ საზოგადოებას, რომელიც წარმოიშვა საქონლის წარმოებას ვანვითარებას ნიადაგზე, ახასიათებს კაპიტალისტთა და მსხვილ მიწათმფლობელთა კლასის მონობოლია ყველა ზემთავრეს და გადამწყვეტ საწარმოო საშუალებებზე. პროლეტართა კლასის (რომელსაც არ გააჩნია საწარმოო საშუალებანი და იძულებულია გაყიდოს თავისი სამუშაო ძალა) დაქირაებულა შრომის ექსპლოატაცია. საქონლის წარმოება მოგების მიღების მიზნით და ყოველივე ამასთან დაკავშირებული წარმოების პროცესის უგეგმობა და ანარქიულობა.

ექსპლოატაცია და ბურჟუაზიის ეკონომიური ბატონობა თავის პოლიტიკურ გამოხატულებას პოულობს კაპიტალის სახელმწიფოებრივ ორგანიზაციაში. რომელიც პროლეტარიატის დამონების აპარატს წარმოადგენს.

კაპიტალიზმის ისტორიამ საცდებით დაადასტურა მარქსის მოძღვრება კაპიტალისტურ საზოგადოების განვითარებას კანონებისა და ამ განვითარების წინააღმდეგობათა შესახებ, რაც იწვევს კაპიტალისტური სისტემის აუცილებელ დაღუპვას.

მოგების მიზნით ბურჟუაზია იძულებულა იყოს უფრო და უფრო მეტი მანუბრებით განვითარებია საწარმოო ძალები. გაემაგრება და გაეფართოება კაპიტალისტური საწარმოო ურთიერთობათა ბატონობა. ამას კაპიტალიზმის განვითარება განუწყვეტლავ ჰქმნის და გაფართოებულ საფუძველზე კაპიტალისტურ სისტემას ყველა შინაგან წინააღმდეგობას, პირველყოვლისა კი გადამწყვეტ წინააღმდეგობას შრომის საზოგადოებრივი ხასიათისა და მითვისების კერძო ხასიათს შორის, საწარმოო ძალებს ზრდასა და კაპიტალიზმის გონებრივ ურთიერთობათა შორის.

კერძო საკუთრებას ბატონობა წარმოების საშუალებებზე. ამ წარმოებას ანარქიულ-ტოქიური განვითარება იწვევდა ეკონომიური წონასწორობის დაღვევას წარმოებას სხვადასხვა დარგთა შორის, რაც თავის მხრე გამოწვეული იყო წარმოების უსაზღვრო გაფართოებით. ტენდენციასა და პროლეტარული მასების მოხმარების შემცირებამ შორის არსებულა წინააღმდეგობის განვითარებით (აერთო კარბი წარმოება), რასაც შედეგად მოსდევდა პეროდული ხასიათის გამანადგურებელი კრიზისები და პროლეტარიატის, მასიური უმუშევრობა. კერძო საკუთრების ბატონობა ასეთივე გამოხატულებას პოულობდა კონკურენციაში, როგორც უკალკი კაპიტალისტურ ქვეყნებში, ისე მსოფლიო ბაზარზე, რომელიც თანდათან

ფართოვდებოდა. კაპიტალისტთა მეტოქეობის ეს უკანასკნელი ეორმა იწვევდა მთელ რიგ ომებს, რომლებიც კაპიტალისტური განვითარების აუცილებელ თანამგზავრებს წარმოადგენს.

მეორე მხრით. მსხვილი წარმოებები ტექნიკური და ეკონომიური უპირატესობანი საკონკურენტო ბრძოლაში იწვევდა წინააღმდეგობის სა-მეურნეო ფორმათა ნგრევას და კაპიტალს გაძლიერებულ კონცენტრაციასა და ცენტრალიზაციას. მრეწველობის დარგში კონცენტრაციისა და ცენტრალიზაციის ეს კანონი გამოიხატა პირველ ყოვლისა წვრილ წარმოებებს პირდაპირ დაღუპვაში. ნაწილობრივ კი უკანასკნელის დაყენებაში მსხვილი წარმოების დამხმარე უჯრედების როლამდე. საზოგადო მეურნეობის დარგში, რომელიც აუცილებლობის გამო ჩამორჩა განვითარების საერთო ტემპებს, (მიწაზე მონოპოლიზაცია და აბსოლუტური რენტის არსებობის გამო), ეს კანონი თავის გამოხატულებას პოულობდა არა მარტო გლეხობის დეფერენციაციაში და მისი ფართე ფენების პროლეტარიატაში; არამედ უმთავრესად წვრილი გლეხური მეურნეობის მსხვილი კაპიტალიზაციის დამორჩილებას ამაჰა თუ ფართულ ფორმებში. ამავ დროს წვრილ მეურნეობას თავისი გარეგნულად დამოუკიდებლობის შენარჩუნება შეეძლო მხოლოდ უსაზღვრო შრომითა და სისტემატიური შიმშილობით.

მანქანებს გამოყენების ზრდა, ტექნიკის მუდმივი გაუმჯობესება და ამ ნადავზე კაპიტალის ორგანიზული შემადგენლობის განუწყვეტელი ვადიდება, რასაც თან ახლავს შრომის დანაწილებას ზრდა. მისი ნაყოფიერებისა და ინტენსივობის გადიდება. ნიშნავდა აგრეთვე ქალთა და ბავშვთა შრომის სულ უფრო ფართოდ გამოყენებას. უდიდესი სათავაზოგო სა-მრეწველო არმების შექმნას, რომელთაც განუწყვეტლივ ავსებდა გაპროლეტარებული და სოფლიდან განდევნილი გლეხობა და ქალაქის ვალატა-კებული წვრილი და საშუალო ბურჟუაზია.

საზოგადოებრივ ურთიერთობათა ერთ პოლუსზე წარმოიშვა კაპიტალის შეგნატა მცირე ჯგუფი. ხოლო მეორეზე — პროლეტარიატის განტორი მასები; განუწყვეტელი ზრდა მუშათა კლასის ექსპლოატაციის ნორმისა. გაფართოებულ საფუძველზე ბელახალი წარმოშობა კაპიტალიზ-მის უღრმეს წინააღმდეგობათა და მათი შედეგებისა (კრ-ზისები. ომები და სხვ.); განუწყვეტელი ზრდა სოციალური უთანასწორობისა. ზრდა პროლეტარიატის აღმფოთებლ. არომელ-ც გაერთიანებულთა და გაწრთ-ნილი თვით კაპიტალისტური წარმოების მექანიზმით. — ყოველ-ვე ეს ძირს უთხრიდა კაპიტალიზმს და აახლოებდა მისი დაღუპვის შიშინტს.

ამავ დროს წარმოებდა კაპიტალისტური საზოგადოების ყოფაცხოვრე-ბისა და კულტურის ღრმა გარდატეხა: ბურჟუაზიის, რანჯიეთა ჯგუფების. პარაზიტული გახრწნა: ოჯახის დაშლა. რომელიც გამოხატავს საზოგა-დოებრივ წარმოებაში ქალთა მართრ ჩაბმას და ოჯახურ ყოფა-ცხოვრებას (რომელიც უმთავრესად წინა სამეურნეო ეპოქათა მემკვიდრეობას წარმო-ადგინს) შორის არსებული წინააღმდეგობის გაძლიერებას: შრომის და-ქუცმაცებულ საეკონომიკურს, ქალაქური ცხოვრების უკიდურეს და-

ნაბუნებრივ და სოფლის ცხოვრების უაღრეს კარჩაკეტულობას; ნიადგ. ზე — კულტურულ-იდეოლოგიური ცხოვრების დაწერილმანება და გა-
დაგვარება: ბურჟუაზიის უძლეულება სინთეტიური მეცნიერული მსოფლ-
მხედველობის შექმნისათვის, მიუხედავად საბუნებისმეტყველო მეცნიერე-
ბის უღიდავი მიღწევებისა; იდეალისტურ, მისტიურ და რელიგიურ ცოუ-
მარწმუნეობათა ზრდა. — ყველა ამ მოვლენებმა გვანიშნეს კაპიტალის-
ტური სისტემის ისტორიული დასასრულის მოახლოება.

(კომუნისტური ინტერნაციონალის პროგრამა).

§ 4. კაპიტალისტური მხარამომავლის წარმოშობის სამეცნიეროკოვანი.

მხოლოდ ამდენად, რამდენადაც კაპიტალისტი ადამიანად ქცეული
კაპიტალია. მას აქვს ისტორიული ღირებულება და ისტორიული უფლებ-
ა არსებობისა, რომელსაც ლიხნოვისკის მოსწრებული სიტყვათ
„keinen Datum niht hat“. მხოლოდ ამდენად იმარბება მისი საკუთარი
ეარდამავალი აუცილებლობა. კაპიტალისტური წარმოების წესის გარდა-
მავალ აუცილებლობა. მაგრამ ამდენადვე მისი მოქმედების მამოძრავე-
ბელი მოტივი სახმარი ღირებულება და მოხმარება კი არ არის, არამედ
საცვლელი ღირებულება და მისი გადიდება.

როგორც ღირებულების ზრდის ფანტაზიის, იგი კაცობრიობას დაუნ-
ლობლად იძულებს წარმოებას წარმოებისათვის, ამნაირად, საზოგადოებ-
რივი საწარმოო ძალების განვითარებას და წარმოების ნივთიერი პირობე-
ბის შექმნას, რომელთაც მხოლოდ შეუძლიანთ გახდნენ რეალური ბაზისი
უფრო მაღალი საზოგადოებრივი ფორმისათვის, რომლის ძირითადი პრინ-
ციპი თითოეული ინდივიდუუმის სრული და თავისუფალი განვითარებაა.
კაპიტალისტი პატივსაცემია მხოლოდ როგორც კაპიტალის განსახიერება.
როგორც ასეთი, იგი, განძის შექმნილის მსგავსად. აბსოლუტური გამდიდ-
რებას წყურვილით არის შეპყრობილი.

მაგრამ ის. რაც ამ უკანასკნელისთვის ინდივიდუალური მანიაა, კაპიტა-
ლისტიანთვის შედეგია საზოგადოებრივი მექანიზმის, რომლის მხოლოდ
ერთ ბორბალს იგი წარმოადგენს. კაპიტალისტური წარმოების განვითარ-
ება აუცილებელს ხდის ინდუსტრიალურ სარეწაოში დაბანდებული კაპი-
ტალის განუწყვეტელ ზრდას. ხოლო კონკურენცია თითოეულ ინდივიდუ-
ალურ კაპიტალისტს უკარნახებს კაპიტალისტური წარმოების წესის იმა-
ნესტურ კანონებს, როგორც გარეშე იძულებითს კანონებს. ეს არ ანე-
ბებს მას შეინარჩუნოს თავისი კაპიტალი ისე, რომ განუწყვეტლად არ
აფართოვებდეს მას, მისი გაფართოვება კი მას შეუძლია მხოლოდ შეუ-
წყვეტელი დაგროვების გზით.

ამიტომ. რამდენადაც კაპიტალისტის მთელი მოქმედება მხოლოდ მისში
განხორციელებული, ნებისყოფით და შეგნებით დაჯილდოვებული კაპი-
ტალის ფუნქციაა, იმდენად თავისი საკუთარი, პირადი მოხმარება მას თავისი
კაპიტალის დაგროვებას გამარცხვად მიანიშნა, ამის მსგავსად. როგორც
რეალურ ბუჭბალტირიაში პირადი ხარჯები კაპიტალისტს ღებეტის მხა-

რეს იწერება მისი კაპიტალის მიმართ. დაგროვება საზოგადოებრივი სპ-
დიდრის საშუალოს დაპყრობაა. გაყვლეფილ ადამიანთა მშალის მასასთან
ერთად იგი აფართოვებს კაპიტალისტს პირდაპირ და არაპირდაპირ ბა-
ტონობას *).

მაგრამ პირველქმნილი ცოდვა ყველგან მოქმედებს. კაპიტალისტური
წარმოებას წესის, დაგროვების და სიმდიდრის განვითარებასთან ერთად
კაპიტალისტი აღარ გვევლინება კაპიტალის უბრალო განსახიერებადა-
მასში იღვიძებს ძველი ადამის „ადამიანური გრძობა“ და იგი იმდენად
განათლებულია, რომ დაცნვით უარყოფს ასეკეტიზმს, როგორც ძველ-
ბური განძის შემქმნელის ყალბ შეზღუდულობას. მაშინ როდესაც კლასიკური
კაპიტალისტი გმობს ინდივიდუალურ მოხმარებას, როგორც თავისი ფუნქ-
ციის წინააღმდეგ მიმართულ ცოდვას და დაგროვებას „დათენას“, ახალი
დროის კაპიტალისტი თვით ამ დაგროვებაში მოხმარების „უარყოფას“ ხე-
დავს. „აჰ, ორა სული მუდამ ცოცხლობ, იმის გულმკერდზე და ორვენი
ერთმანეთისგან ლამობენ გაყრას!“.

კაპიტალისტური წარმოების წესის ისტორიულ დანაწიყისში, — და თა-
თოულ დანაწიყებში კაპიტალისტი გაივლის ინდივიდუალურად ამ ისტორი-
ულ საფეხურს, — გაბატონებულია გამდიდრების წყურვილი და სძქუნწე,
როგორც აბსოლუტური ენებანი. მაგრამ კაპიტალისტური წარმოების წინ-
სელა ქმნის არა მარტო სტკბობათა მთელ ქვეყანას. სპეკულიაციის და
კრედიტის განვითარებასთან ერთად იგი წარმოშობს უცარი განდობა-
ბის ათასგვარ წყაროს. განვითარებას განსაზღვრულ საფეხურზე ერთ-
გვარი ხარისხი ფლანგვისა, რომელაც იმავე დროს სიმდიდრის მაჩვენებე-
ლია და ამიტომ კრედიტის მოპოვების საშუალებაა, „საწყალი“ კაპიტა-
ლისტისთვის მისი საქმი, ინტერესებთ ნაკარნახევ აუცილებლობადაც-
ხდება. ფუფუნება კაპიტალის წარმომადგენლობის ხარჯებში შედის. გარ-

*) მეფახმის, — კაპიტალისტის ამ ძველი თუნც მუდამ განახლებული ფორმის. —
მაგალითზე ლუთერი ძალიან ნათლად გვიჩვენებს, რომ ბატონობის წყურვილი გა-
მდიდრებისადმი მისწრაფების ერთ-ერთი ელემენტია. წარმართებს შეეძლოთ თავიანთი
სკუთით დაესვენათ, რომ მეფახმე ოთხმაგი ქურდი და კაცისმკვლელია. ჩვენ-კი, ქრის-
ტიანები, მათ ისეთ პატივსაც ვსცემთ. რომ ოთხჯამს ელოცულობთ მათზე მათი ფულის
გულისთვის, ის ვინც სხვას საზრდს გამოსწოვს, ძარცვავს და პარას. ისეთივე საზოგ-
დარი მკვლელობის ჩამდენია (რამდენადაც ეს დამოკიდებულია მასზე). როგორც ის.
ვინც სხვას შიმშილით კლავს და ლუპავს. მეფახმე ყველა ამას სჩადის და უშიშრად ზის
თავის საკარტელში. მაშინ როდესაც იგი საზოგადოებაზე უნდა ეცილოს. აქ მას იმდენი
ყვავ-ყორანი უნდა ჰქონდეს, რამდენი გულდენიც მას მოუპარავს. და იმდენი ხორკა
უნდა ჰქონდეს მის სხეულს, რომ ყველა ყვავ-ყორანს ეყოს სწიწყნად და გასაყოფად.
პატარა ქურდ-ბაცაცები სახრობელაზე აყავთ... პატარა ქურდ-ბაცაცებს ხუნდებს ადე-
ზენ, დიდი ქურდები-კი ოქრომკედში და აბრეშუმში გამოწყობილი დადიან... ანბარად.
მოელ დედამიწაზე არ მოიპოვება ისეთი დიდი მტერი ადამიანისა (ეშმაკს გარდა), რო-
გორც ძენწი და მეფახმე, რადგანაც მას სურს ყველა ადამიანის ღმერთად გადიქტა-
თურქები, მემორები და ტარანებიც ბოროტი ადამიანები არიან. მაგრამ ისინი ხალხს
არსებობას მაინც ვერ დაუშლიან და აღიარებენ, რომ ბოროტები მტრები არიან. მათ
შეუძლიათ და კიდევ უნდა ჰქონდეთ ხანდახან ზოგიერთის შებრალება. მეფახმე და
ძენწი-კი ყოველნაირად იმას ცდილობს, რომ მთელი ქვეყანა შიმშილით და წატრე-

და ანისა, კაპიტალიზტი არ მდიდრდება განძის შემქნელს მსგავსად, ე. წ. თავის პირადი შრომის და პირადი მოხმარებას შეკვეცის მიხედვით, არამედ — იმ ზომით, რა ზომითაც იგი სხვის შრომას ამოსწოვს და აძულებს პუშას უარი სთქვას ცხოვრების ყველა საამბეზე. მართალია, კაპიტალისტის ფლანგვას არასოდეს არა აქვს ისეთი გულღია ხასიათი, როგორც ღარიბი ფეოდალის ფლანგვას, მის წიაღში, პირობით, მუდამ იმალება უაღრესად ბინძური სიძუნწე და წვრილმანი ანგარიშაანობა; მიუხედავად ამისა, კაპიტალისტის ფლანგვა იზრდება წეს მიერ წარმოებულ დაგროვებასთან ერთად, ისე რომ ერთი სრულიად ხელს არ უშლის მეორეს. ამიერი კაპიტალისტის კეთილშობილ გულში ვითარდება ფაუსტიანებური კონტრაქტი დაგროვებისა და სიამოვნების წყურვილს შორის.

„მანჩესტერის მრეწველობის ისტორია“ — ეკითხულობთ ერთ თხზულებაში, რომელიც გამოქვეყნებული იყო 1795 წელს Dr. Aikin-ის მიერ... შეძლება ითხ პეროდად იქნეს გაყოფილი. პირველი პერიოდის განმავლობაში ფაბრიკანტები იძულებულნი იყვნენ დაუღალავად ემუშავათ თავიანთ საარსებო საშუალებათა მოსაპოვებლად“. განსაკუთრებით ისინი მდიდრებოდენ შრომლების მოტყუებით, რომელნიც მათ აძლევდნენ თავიანთ ბავშვებს apprentices-ის (შევირდების) სახით და ბევრსაც ჩხდიდენ აპაში. შევირდები-კი შიმშილით იხოცებოდნენ. მეორეს მხრივ, საშუალო მოკება დაბალ დონეზე აღგა და დაგროვება დიდ დაზოგვას მოითხოვდა. ისინი განძის შემქნელებსაც ცხოვრობდნენ და თავიანთ კაპიტალის სარგებელიდანაც-კი ბევრს არას ხარჯავდნენ. „მეორე პერიოდში მათ მკარე ქონების შექმნა დაიწყეს. მაგრამ ისევე დაუღალავად მუშაობდნენ. როგორც წინადა“, ვინაიდან შრომის უშუალო ექსპლოატაცია. როგორც მოეხანება ყოველ მონებზე, მეთვალყურეს, შრომას მოითხოვს, და „ისევე

ლით მწუხარებით და გაკირვებით ააგოს, რომ ყველაფერი მხოლოდ მას ჰქონდეს. რათა სუყველამ თავის ხვედრი მიიღოს მისგან, როგორც ღვთისაგან, და მის საუკუნო ყმად გადოქცეს... იგი ატარებს ძოწულს, ოქროს ძეწვეს, ბუკდებს, სახეს ილამაზებს და სურს, რომ მას უყურებდნენ და აღიდებდნენ. როგორც სათნო, ღვთისნიერ ადამიანს... ნევახზე დიდი და საშინელი ცხოველია, იგი ძველია, რომელიც ყველაფერს ანადგურებს კაცუსზე, გორგონზე და ანტუსზე უარესად. მაგრამ იგი ფერაუშარილს იტებს და ღვთისნიერ სახის გამოქეტყველებას იღებს, რომ ვერავინ შენიშნოს, თუ სად მიდიან ის ხარები, რომლებსაც იგი პირუტყლმა თავის სოროში მიათრევს. მაგრამ პერკულესმა უნდა გაიგონოს ხარების და ტყვეების ღრიალი, მოსძებნოს კაცუსი კლდეებსა და ღრეებში და განათავისუფლოს ხარები და საშინელი არსებისაგან. ვინაიდან კაცუსი ეწოდება საშინელ არსებას, და ეს საშინელი არსება ღვთისნიერი მევახშეა, რომელიც ყველაფერს იპარავს. იტაცებს და სასწავს. და თითქოს მას ცუდი არაფერი ჩაუდენია და არავის შეუძლია მისი მხილება, რადგანაც იგი ხარებს პირუტყლმა ითრევს თავის სოროში და ხარები ისეთ კვალს სტოვებენ, თითქოს ისინი იქიდან იქნენ გამოშვებული. მევახშეც ასე ატყუებს მთელ ქვეყანას და ცდილობს მოაჩვენოს ყველას, ვითომც მას სარგებლობა მოაქვს და ხარებს აძლევს ქვეყანას. ნამდვილად-კი იტაცებს და თვითონვე სასწავს მათ... და თუ-კი შარაგზაზე მძარცველებს და კაცისმკვლელებს ბორბალზე აკრავენ და თავებს თვითენ. რამდენად უფრო მეტად ღირსი არის ყველა მევახშე ბორბალზე გაკერის, ტანიდან ძარღვების ამოგლეჯის, განდევნის, წყვეა-კრულის და თავის მოკეთისა“.

სადაც ცხოვრობდნენ, როგორც უწინ... მესამე პერიოდში დაიწყო ფუფუნება, და საქმეც გაფართოვებულ იქნა სამეფოს ყველა საბაზრო ქალაქში ცხენოსანებს (ცხენოსანი კომპიოზიორების) გაგზავნით შეკვეთების მისაღებად. უნდა ვაფიქროთ, რომ 1690 წლამდე იშვინთად ან სულ არ არსებობდა მრეწველობაში შექმნილი კაპიტალი 3.000 — 4.000 გარვანქა სტერლინგის რაოდენობა. მაგრამ დაახლოვებით ამ დროს ანდა ცოტა უფრო გვიან მრეწველობა უკვე დააგროვებ ფული და დაიწყებ ქვის სახლების აგება ნაცვლად ხის და თიხის სახლებსა... ჯერ კიდევ მე-18 საუკუნის პირველ ათწლეულში ერთმა მანჩესტერელმა ფაბრიკანტმა, რომელიც თავის სტუმრებს ერთი თასა უცხოეთის ღვინით გაუმასპინძლდა, მითქმამოთქმა და გაცემა გამოიწვია მის მეზობლებში. მანქანების შემოღებამდე ფაბრიკანტების ხარჯი საღამოობით დღეებში. სადაც ისინი იკრებებოდნენ, არ აღემატებოდა 6 პენს ერთ ჭიქა პუნშიში და 1 პენს თამბაქოს ხვეულში. მხოლოდ 1758 წელს დაიწყო პირველად, და ეს გარემოება მთელ ეპოქას ქმნის. „მრეწველობაში მონაწილე ერთი კაცი, რომელსაც საკუთარი ეტლი ჰქონდა!“. „მეოთხე პერიოდი“, მე-18 საუკუნის უკანასკნელი მესამედი. „ცნობილია დღე ფუფუნების და ფლანგვის პერიოდად, და ამას ხელს უწყობდა წარმოების გაფართოვება“. ნეტავ რას იტყოდა კეთილი Dr. Aikin-ი. ამჟამად რომ იგი მკვდრეთით აღსდგეს მანჩესტერში!

დააგროვეთ! დააგროვეთ! აი მოსე და წინასწარმეტყველნი! „კაპიტალიზმის დაგროვების უშუალო მიზეზი დაზოგვაა და არა შრომა-მოყვარეობა (industry). თუმცა-ღა შრომა იძლევა იმ მასალას, რომელსაც დაზოგვა აგროვებს“. ამრიგად. დაზოგეთ. დაზოგეთ. ე. ი. გადააქციეთ ისევ კაპიტალად ზედმეტი ღირებულების ანუ ზედმეტი პროდუქტის რაც შეიძლება მეტი ნაწილი! დაგროვება დაგროვების გულ-სთვის და წარმოება წარმოებას გულსთვის. — ამ ფორმულით კლასიკურმა პოლიტიკურმა ეკონომიკამ გამოხატა ბურჟუაზიული პერიოდის ისტორიულ მოწოდება. მას ერთი წამითაც არ მოუტყუებია თავი სიმდიდრის მშობიარობის ტყივილება (შესახებ¹⁾): მაგრამ რა აზრს აქვს გოდებას ისტორიული აუცილებლობის წინაშე?

თუ პროლეტარი კლასიკური პოლიტიკური ეკონომიის თვალსაზრისით მხოლოდ მანქანაა ზედმეტი ღირებულების წარმოებისთვის, კაპიტალისტიც ამავე თვალსაზრისით მხოლოდ მანქანაა ამ ზედმეტი ღირებულების ზედმეტი კაპიტალად გადაქცევისთვის.

იგი ფრიად სერიოზულად უყურებს კაპიტალისტს ისტორიულ ფუნქციას. კაპიტალისტის გულს გააანთავი-უფლებლად ამ საბედისწერო კონოლიქტისაგან. რომელიც ხდება მის სიამოვნების წყურველსა და გამდიდრების წყურველს შორის. მაღალთუ სი ამ საუკუნის მეოცე წლებს და-

¹⁾ თვით ე. ბ. სეი-ი ამბობს: „მდიდრების დაზოგვა ღირებების ხარჯზე სწარმოებს“. „რომელი პროლეტარი თითქმის მთლიანად საზოგადოების ხარჯზე ცხოვრობდა... თითქმის შეიძლება ითქვას, რომ თანამედროვე საზოგადოება პროლეტარების ხარჯზე ცხოვრობს. ცხოვრობს იმ ნაწილით, რომელსაც მათ ართმევს შრომის გასამრჯელოდან“.

საწყისში იცავდა შრომის დანაწილებას, რომლის მიხედვითაც დაგროვების საქმე წარმოებაში ნამდვილად ჩაბმულ კაპიტალისტს ეკუთვნის, ხოლო გაფლანგვის საქმე — ზედმეტი ღირებულების დანარჩენ მონაწილეებს, ანუ ხელღობას: მიწის არისტოკრატისა, იმ პირებს. რომელთაც „სახელმწიფო და ეკლესია — ნახავს და სხვ. უღარესად დიდი მნიშვნელობა აქვს, ამბობს იგი, „ხარჯვის წყურვილის გამოყოფას დაგროვების წყურვილიდან“. ბატონმა კაპიტალისტებმა, რომლებმაც უკვე დიდი ხანია ცხოვრების გეგმა გრძნეს. განვაში ასტეხება. როგორ — გაპყვიროდა ერთი მათი მეთაურთაგან, რაკარდო: მიმდევარი. — ბატონი მალტუსი, გადაგებს მისი მალალ რენტას. დიდ გადამახადება და სხვ. რომ მრეწველები განუწყვეტლად ვრძობდენ არაპროდუქტიული მოხმარების ნესტარს! რასაკვირველია, წარმოება, წარმოება მუდამ გაფართოებული მასშტაბით. — ასეთი ლოზუნგი, მაგრამ, „ამ პროცესით წარმოება შეიძლება უფრო შეფერხდეს. ვიდრე განვითარდეს. აგრეთვე არ არის სავსებით სამართლიანი რამდენიმე პიროვნება უსაქმოდ ამყოფო მხოლოდ იმტომ, რომ სხვებზე შეავიწროვო, რომელთა ხასიათის მიხედვით შეიძლება ვიფიქროთ, რომ მათ შეუძლიათ „ნაყოფიერად იმოქმედონ, თუ თქვენ აიძულებთ იმოქმედონ“. თუ ერთის მხრივ, მას უმართებლოდ მიაჩნია დაგროვებაზე წააქეზონ საპირუფლო კაპიტალისტი მით. რომ მის რძეს ნაღები მოჰხადონ, მეორეს მხრივ, იგი საჭიროდ სთვლის მუშის ხელფასის შესაძლებელ მინიმუმამდე შეზღუდვას. „რათა მისი შრომისმოყვარეობა შენარჩუნებულ ექნეს“. ამასთანავე იგი სრულიად არ მალავს, რომ მოგების საიდუმლოება გადაუხდელი შრომის მეთვისებაში მდგომარეობს. „გაძლიერებული მოთხოვნა მუშების მხრივ მხოლოდ იმას მოასწავებს, რომ ისინი თანახმა არიან აიღონ თავისთვის საკუთარი პროდუქტის მცირე ნაწილი და მისი უფრო დიდი ნაწილი თავიანთ დამკვირავებლებს დაუტოვონ; და თუ ამბობენ. ეს (მუშების მხრივ) მოხმარების შემცირების გამო glut-ს (ბაზროს ავსებას, კარბ წარმოებას) წარმოშობსო, მე შემიძლია მხოლოდ ვუთხარს, რომ glut-ი და დიდი მოგება სინონიმები“.

(კ. მარქსი — „კაპიტალი“ ტ. I).

§ 5. კაპიტალისტური დაგროვების ანთაგონისტური ხასიათი

კაპიტალისტური საქმეს შიგნით შრომა, საზოგადოებრივ საწარმოო ძალის განვითარებას ყველა მეთოდი სრულდება რღვიდულურ მუშის ხარჯზე; წარმოების განვითარების ყველა საშუალებანი გადაიქცევიან შწარმოებელზე გაბატონებასა და მისი ექსპლოატაციის საშუალებად. ისინი ასახიჩრებენ მუშას, აქცევენ რა მას ნაწილობრივ ადამიანად, ამდაბლებენ, ხდიან რა მას მანქანის დამატებად, მისი შრომის სიძნელესთან ერთად სობენ მას შინააქაანობას, ართმევენ მას შრომის პროცესის სულერი ძალებს იმავე ზომით, რა ზომითაც მეცნიერება, როგორც დამოუკიდებელი ძალა, შრომის პროცესს უკავშირდება; ამახინჯებენ პირობებს, რომლებშიაც იგი მუშაობს, უმოკრილებენ მას ფრიად წყრალმან.

საზიზღარ დეპორტიზმს, მისი სიცოცხლის მთელ დროს აქცევენ სამუშაო-
დროდ და მის ცოლშვილს აგდებენ კაპიტალისტურა ჯაგერბაუტს, ბარბ-
ლებს ქვეშ.

მაგრამ ზედმეტი ღირებულების წარმოების ყველა მეთოდი იმავე დროს
დაგროვების მეთოდია, და დაგროვების ყოველი გაფართოება, პირიქით,
იმ მეთოდია, განვითარების საშუალებაა. აქედან გამომდინარე, რომ იმ ზო-
მით, რა ზომითაც კაპიტალი გროვდება, მუშის მდგომარეობა უნდა გა-
უარესდეს, რაგორაც უნდა იყოს — მაღალი თუ დაბალი — შინა ხელ-
ფასი. დაბოლოს, ეს კანონი, რომელიც მუდამ იცავს წონასწორობას რე-
ლატიურ კარბ მოსახლეობას ანუ სამრეწველო სარეზერვო არმა-ანა და
დაგროვებას მოცულობასა და ენერჯიას შორის, მიაჯაკვევს მუშას კაპი-
ტალზე უფრო მტკიცედ, ვიდრე ჰეტესტის ურო პროპიეთოსს მიაჯაკვევდა
კლდეზე. ეს კანონი იწვევს კაპიტალის დაგროვების შესაფერ სილატაკის
დაგროვებას. ამრიგად, სიმდიდრის დაგროვება ერთ პოლუსზე არის იმავე
დროს დაგროვება სილატაკის, შრომით დატანჯულობის, მონობის, უცო-
ცობის, გაველურების და ზნეობრივი დეგრადაციისა მოპირდაპირე პო-
ლუსზე, ე. ი. იმ კლასის მხარეზე, რომელიც თავის საკუთარ პოდუქტს
კაპიტალის სახით აწარმოებს.

კაპიტალისტური დაგროვების ეს ანტაგონისტური ხასიათი აღნიშნუ-
ლი აქვთ სხვადასხვა ფორმით ეკონომისტებს, თუმცა ამას ისინი ურევენ
ნაწილობრივად ჰგავენს, მაგრამ არსებითად მაინც განსხვავებულ შოკლე-
ნებში, რომელსაც წინაკაპიტალისტურ წარმოების წესს ეკუთვნის.

(კ. მარქსი — „კაპიტალი“ ტ. II).

როდესაც ბურჟუაზია ცხოვრების სათავეში მოექცა... საწარმოო ძა-
ლები, რომლებსაც მის მიერ განვითარება მიეცა ფეოდალზმის ხანაშ-
მას დარჩა. დამსხვრე ყველა ძველი ეკონომიურა ფორმა, მისი შესაბამი-
სამოქალაქო ურთიერთობა, პოლიტიკური წყობილება, რომელიც ძველი
სამოქალაქო საზოგადოების ოფიციალურა გამოხატულება იყო...

რადგანაც აუცილებლად საჭიროა ცივილიზაციის ნაყოფი, შოპობული
საწარმოო ძალები. შენარჩუნებულ იქმნეს, ამიტომ უნდა დამსხვრეულ
იქნეს ის ტრადიციული ფორმები, რომლებშიაც ისინი შეიქმნენ...

თავისი ისტორიულ განვითარებას მსვლელობაში ბურჟუაზია აუცი-
ლებლობის გზით ანვითარებს ანტაგონისტურ ხასიათს, რომელიც და-
საწყისში მტკანაკლებად დაფარულია, რომელსაც მხოლოდ მალული არს-
ებობა აქვს.

იმ ზომით, რა ზომითაც ბურჟუაზია ვითარდება, ამა თავის წოდნი-
ანვითარება, ახალ პროლეტარიატს, თანამედროვე პროლეტარიატს: ვი-
თარდება ბრძოლა პროლეტარათა და ბურჟუათა კლასს შორის, ბრძოლა,
რომელიც, ვიდრე იგი ორივე მხარეს მიერ შეგრძნობილი, შემჩნეული,
შეფასებული, გაგებული, ცნობილი და ხმაავალ აღიარებული იქნებო-
დეს, წინასწარ მტკანდდება მხოლოდ ნაწილობრივ და წარმატალ კონ-
ფლიქტებში, გამანადგურებელ მოქმედებაში.

ქოლე მხრავ, თუ თანამედროვე ბურჟუაზიის ყველა წევრთ ერთი და იგივე ინტერესი აქვთ. რამდენადაც ისინი ერთ კლასს შეადგენენ მეორე კლასთან დაპირისპირებით. მათ აქვთ მოწინააღმდეგე: ანტაგონისტურ: ინტერესები. რამდენადაც ისინი თვით ერთმანეთს უპირისპირდებიან. ეს ინტერესთა წინააღმდეგობა გამომდინარეობს მათი ბურჟუაზიული ცხოვრების ეკონომიურ პირობებიდან.

დღითა-დღე უფრო ცხადი ხდება, რომ საწარმოო ურთიერთობებს, რომელშიაც ბურჟუაზია მოძრაობს, აქვს არა მთლიანი მარტივი ხასიათი, არამედ — ორნაგვი; რომ იმავე ურთიერთობაში, რომელშიაც ხდება საწარმოო ძალთა განვითარება, ვითარდება აგრეთვე დაჩაგრვის ძალა; რომ ეს ურთიერთობა წარმოშობს ბურჟუაზიულ სიმდიდრეს, ე. ი. ბურჟუაზიული კლასის სიმდიდრეს. მხოლოდ — ისე. რომ მუდამ ანადგურებს ამ კლასის ცალკე წევრთა სიმდიდრეს და ჰქმნის მუდამ ზრდაში მყოფ პროლეტარიატს.

(ვ. მარქსი — „ფილოსოფიის სილატაკე“).

§ 6. პირვანდელი დაგროვების საიდუმლოება.

ჩვენ დავინახეთ, თუ როგორ იქცევა ფულა კაპიტალად. როგორ წარმოიშობის კაპიტალისაგან ზედმეტი ღირებულება და ზედმეტი ღირებულებიდან — მეტი კაპიტალი. ხოლო კაპიტალის დაგროვება ზედმეტ ღირებულებას გულისხმობს. ზედმეტი ღირებულება — კაპიტალისტურ წარმოებას. ეს უკანასკნელი-კი — კაპიტალს და სამუშაო ძალის დიდ მთავს ააქონლის მწარმოებელთა ხელში. აშკარად, მთელი ეს მოძრაობა მცთარ წრეში ტრიალებს, საიდანაც ჩვენ შეგვიძლია გამოსვლა მხოლოდ მაშინ, თუ დავუშვებთ „პირვანდელ დაგროვებას“ („previous accumulation“ — ადამ სმიტის თქმით). რომელიც წინ უძღოდა კაპიტალისტურ დაგროვებას და რომელიც კაპიტალისტურ წარმოების, შედეგი-კი არ არის, არამედ — მისი გამოსავალი წერტილია.

ეს პირვანდელი დაგროვება თ-თქმის იმავე როლს ასრულებს პოლიტიკურ ეკონომიაში; როგორც პირველქმნალი ცოდვა თეოლოგიაში. ადამა ვაშლი-გემო და მით მთელი კაცობრიობა შთავადრდა ცოდვაში. ფიქრობენ, რომ ახსნილია მოვლენის წარმოშობა. რაკი ეს უკანასკნელი ძველი დროის ანეგდოტად არის გასაღებულა. უძველეს დროში არსებობდნო. ერთის მხრავ, ბეჯითი, ქვეიანი და, რაც უფრო საყურადღებოა, მომჭირნე რჩეული ადამიანები, ხოლო, მეორეს მხრავ, — მაწანწალა წარმაცები, მთელი თავიანთი სარჩო-საბადებლის და კიდევ მეტის გამყვანველები. ისე მოხდაო, რომ პირველთ დააგროვეს სიმდიდრე, ხოლო უკანასკნელთ ბოლოს აღარაფერი დარჩათ გასაყვად, გარდა საკუთარი ტყავისა. ამ დროიდან დაწყებული არსებობს მასათა დიდი სიღარიბე. რომელთაც მიუხედავად მათი შრომისა, აღარაფერი აქვთ გასაყვად. გარდა თავის თავისა, და — მცირეოდენთა სიმდიდრე, რომელიც თანდათან იზრდება, თუმცა მათ დიდი ხანია გუშაობა შესწყვეტესა.

პირველქმნილ ცოდვაში შთავარდნის თეოლოგიური ლეგენდა გვამცნობს, თუ როგორ მიესაჯა ყველა ადამიანს ოფლითა თვისითა პოიპოვოს პური თვისი; ხოლო ეკონომიურ ცოდვაში შთავარდნის ისტორია ავსებს მტკივნეულად საგრძნობ ხარვეზს, როდესაც გვიმუდავებს, თუ როგორ მოხდა, რომ არაებობენ ადამიანები, რომელთაც აცოლებული აქვთ რისხვა უფლისა.

ასეთ სულელურ, საბავშვო ზღაპრებს სულ ახლად და ახლად განმეორებით სცოხნიან. მაგალითად, ბ-ნი ტიერი, როგორც ეს შეფერილ და რბაისელ სახელმწიფო მოღვაწეს; ასეთი ზღაპრებით უმასპინძლებდა ერთ თავის წიგნში ოდესღაც გონებამახვილ ფრანგებს და ფიქრობდა, რომ მტკივნეულად აქცია სოციალიზმის მკრეხელური თავდასხმა საკუთრებაზე. რაკ საკითხი საკუთრებას ეხება, სამღვთო მოვალეობად მიაჩნიათ დაიცვან ეს ბავშვური თვალსაზრისი, როგორც ერთადერთი სწორი თვალსაზრისი ყველა ჰასაკისა და განვითარების ყველა საფეხურისათვის¹⁾ როგორც ვიცით, ნამდვილ ისტორიაში დაპყრობა, დამონაგება და ძარცვა-გლეჯვა, — ერთი სატყეო, ძალადობა, დიდ როლს ასრულებენ. მაგრამ მშვედობის მოყვარე პოლიტიკურ ეკონომიაში მუდამ იდილია იყო გამეფებული. უფლება და „შრომა“ მუდამ გამაღრმავებს ერთადერთი საშუალება იყო. რასაკვირველია, „მომდინარე წელიწადი“ ყოველთვის გამოჩაქლქს შეადგენდა. ნამდვილად-კი პირვანდელი დაგროვების მეთოდები ყველაფერია, გარდა იდილიისა.

ფული და საქონელი იმთავითვე არ წარმოადგენენ კაპიტალს, სწორედ ისე, როგორც არ წარმოადგენენ კაპიტალს საწარმოო და საარჩებო საშუალებანი. ისინი უნდა გადაიქცენ კაპიტალად. მაგრამ თუ ეს გადაქცევა შეიძლება მოხდეს მხოლოდ განაზღვრულ პირობებში; რომელნიც შემდეგ სახეს იღებენ: ერთმანეთს უნდა შეხვდნენ და ურთიერთობაში მოექცენ ორი სულ სხვადასხვაგვარი საქონლის მფლობელნი, — ერთის მხრივ. ფულით, საწარმოო და საარჩებო საშუალებათა მესაკუთრე, რომელსაც მის მიერ მათვისებული ღირებულების ჯამის ვადადიდებლად ესაქოვებოდა სხვისი სამუშაო ძალის ყიდვა; მეორეს მხრივ. — თავისუფალი მუშა თავისი საკუთარი სამუშაო ძალის და, ამგვარად, შრომის გამყიდველი. მუშა. თავისუფალი ორნაირად: თვით მუშა უშუალოდ არ ეკუთვნის საწარმოო საშუალებებს. როგორც, მაგალითად, მონა, ყმა და სხვ., მაგრამ არც საწარმოო საშუალებანი ეკუთვნიან მას. როგორც, მაგალითად, გლეხი და სხვ., რომელიც დამოუკიდებელ მეურნეობას ეწევა; ეს საშუალებ-

1) გოეტე, გაბრაზებული ასეთი თვალთმაქცობით. დაცინის მას შემდეგ დიალოგში: მასწავლებელი: მიიხარო, ბავშვო, საიდან არის ეს ქონება? თვით შენით არ შეგეძლო შენი ის გჭონოდა.

ბავშვი: დიან, ყველაფერი მამისაგან მივიღე.

მასწავლებელი: მამამ საიდან-ღა მიიღო?

ბავშვი: პაპისაგან.

მასწავლებელი: აჰ, არა! პაპამ საიდან-ღა მიიღო?

ბავშვი: მან თვით იშოვნა იგი.

ბები მივან თავსუფალია, მოწყვეტილია, გამორიცხულია. საქონლის ბაზრის ასეთი გაყოფა კაპიტალიზმის წარმოებაში იბრითად პირობას შეადგენს. კაპიტალისტური ურთიერთობა გულისხმობს, რომ მომხდარი გათავისუფლება და შრომის განხორციელებას საშუალებებზე საკუთრებას შორის. რა წამს კაპიტალისტური წარმოება საკუთარ ფეხზე ღებავს, რა არა იცავს ამ გათავისუფლებას, არამედ ახდენს მის რეპროდუქციას სულ უფრო და უფრო გაზრდილი მასშტაბით. ამნაირად, პროცესი, რომელიც ქმნის კაპიტალისტურ ურთიერთობას, არ შეიძლება იყოს სხვა რაში, თუ არა გათავისუფლება პროცესი მუშაობის და მისი შრომის საშუალებებზე საკუთრებას შორის, პრაქტიკა, რომელიც, ერთი მხრივ, საზოგადოებრივ საარსებო და საწარმოო საშუალებებს კაპიტალად აქცევს, ხოლო, მეორეს მხრივ, უშუალო მწარმოებლებს — დაქირავებულ მუშებად. ამნაირად, ევროთწოდებული პირვანდელი დაგროვება ისტორიულად მხოლოდ გათავისუფლების პროცესის მწარმოებელსა და წარმოების საშუალებათა შორის იგი „პირვანდელად“ გვეჩვენება. რადგანაც კაპიტალს და მის შესაფერვ წარმოებას წესი ისტორიულად წინ უძღოდა.

კაპიტალისტური საზოგადოების ეკონომიური სტრუქტურა (სამეურნეო წყობილება) ფეოდალური საზოგადოების ეკონომიური სტრუქტურადან წარმოიშვა. ამ უკანასკნელის რღვევამ პირველის ელემენტები განათავისუფლა.

უშუალო მწარმოებელს, მუშას, მხოლოდ მაშინ შეუძლია იყოს თავისი პიროვნების ბატონ-პატრონი, როდესაც იგი მუშაზე აღარ არის მიკრული და აღარ იმყოფება სხვა პიროვნებასთან ბატონყმურ ანუ ფეოდალურ დამოკიდებულებაში. შემდეგ, სამუშაო ძალის თავისუფალი გამყიდველად რომ გახდეს და მიიწოდოს თავისი საქონელი ყველგან, სადაც მძლიერ მოთხოვნა არის, მუშა უნდა განთავისუფლებულ იყოს ამქრების ბატონობაგან, მათი წესდებებგან ქარგლებისა და შეგირდების შეჩახებ და შრომის უოველგვარი შემზღუდეელი წესებისაგან. ამგვარად, ისტორიული მოძრაობა, რომელმაც მწარმოებლებს დაქირავებულ მუშებად გადააქცია, ერთის მხრივ, გამოიხატება მათ განთავისუფლებაში ფეოდალური და ამქრული იძულებსაგან; და ჩვენი ბურჟუაზიული ისტორიკოსებისათვის მხოლოდ ეს მხარე არსებობს. მაგრამ, მეორეს მხრივ, ეს ახლად განთავისუფლებულნი მხოლოდ მაშინ იწყებენ თავიანთი თავის გაყოფას, როდესაც მათ წართმეული აქეთ ყველა საწარმოო საშუალებანი და მათი არსებობის ყველა გარანტია, რომლითაც ისინი უზრუნველყოფილნი იყვნენ ძველი ფეოდალური დაწესებულებების მიერ. და ეს მათი ექსპროპრიაციის, ისტორია არ წარმოადგენს გამოცნობის საგანს: იგი სისხლით და ცეცხლის გაფარვარებული ენით არის ჩაწერილი კაცობრიობის ისტორიაში.

სამრეწველო კაპიტალიზმის, ძალის ამ ახალ მპყრობელებს, თავის მხრივ, უნდა განედენათ არა მარტო ამქრის ოსტატები, არამედ — ფეოდალებიც, რომელნიც სიმდიდრის წყაროს ფლობდნენ. ამ მხრივ მათი გაძლიერება ნაყოფიერად გამარჯვებულ მოსილი ბრძოლისა წინააღმდეგ ფეოდა-

ლური ძალაუფლებისა მკაი აღმაშფოთებელი პრაგმატიკებით. აგრეთვე წინააღმდეგ ამქრების და ბორკილებისა, რომლითაც ისინი ზღუდავდნენ წარმოებთ, განჯთარებთა და ადამიანის თავისუფალ ექსპლოატაციას აღამიანას მიერ. მაგრამ პრეწველობას რანდებმა მხოლოდ რიტომ შეძლეს მახვილის რანდების განდევნა, რომ მათ ისარგებლეს გარემოებით. რომელიც მათ მიერ არ იყო შექმნილი. ისინი დაწინაურდნენ იმავე უღირსი საშუალებებით. რომლითაც ოდესღაც სარგებლობდა რომა. განთავაუფლებული მონა თავის პატრონზე გასაბატონებლად.

გამოსავალი წერტილი განჯთარებდა. რომელმაც შექმნა როგორც დაქირავებული მუშა, ისე კაპიტალისტი. მუშის მონობა იყო. ეს განვითარება რაში გამოიხატებოდა, რომ ამ მონობამ მხოლოდ ფორმა გამოაცვალა და პროცესის მკვლელობის გასაგებად არც აუ ბევრა უკან დახევა დაგვირდებდა წარსულში. თუმცა კაპიტალისტური წარმოების დასაწყისს ჩვენ უკვე მე-14 და მე-15 საუკუნეში ვხვდებით, სახელდობრ — ხმელთაშუაზღვის ნაპირას მდებარე ზოგიერთ ქალაქებში, კაპიტალისტური ერა მანც მე-16 საუკუნიდან იწყება. სადაც ორ აღორძინდა, ბატონყობა — დიდი ხნის მოსპობილი იყო და საშუალო საუკუნეებს სიამაყე — თავისუფალი ქალაქები — უკვე დაქვეითების გზა ადგა.

პირვანდელა დაგროვების ისტორიაში მთელ ეპოქას შეადგენდა. ყველა ის გადატრიალება, რომელიც კაპიტალისტების კლასის აღორძინების ბერკეტს წარმოადგენდა; მაგრამ ყველაზე დიდი მნიშვნელობა ჰქონდა იმ მომენტებს, როდესაც ადამიანთა უამრავი. მასები უეცრად და ძალდატანებით მოწყვეტილნი იყვნენ საარსებო საშუალებებს და გატყორცნილნი შრომის ბაზარზე. როგორც ფრინველივით თავისუფალი პროლეტარები. სოფლის მწარმოებლის ანუ გლეხის მიწის ექსპროპრიაცია მთელი პროცესის საფუძველს შეადგენს. სწორედ ეს უნდა განვიხილოთ ჩვენ თავდაპირველად. ამ ექსპროპრიაციის ისტორია სხვადასხვა ქვეყნებში სხვადასხვა ელფერს იღებს. ამათანავე სხვადასხვა თანდათანობით და სხვადასხვა ისტორიულ ხანაში სხვადასხვა საფეხურებს გადის. კლასიკური ფორმით იგი მხოლოდ ინგლისში სწარმოებს. რომელსაც ჩვენ სწორედ ანტიკომ მიაღიითის სახით ვიღებთ.

(კ. მარქსი — „კაპიტალი“ ტ. 1).

§ 7. კაპიტალიზმის „მისია“

დასასრულს ჩვენ დასვენებს უნდა გავუკეთოთ კიდევ — მ საკითხის შესახებ, რომელსაც ლიტერატურაში უწოდებენ კაპიტალიზმის „მისიას“, ე. ი. მის ანტიკურულ როლს რუსეთში. ეკონომიურ განვითარებებში ამ როლის პროგრესიულობის აღიარება საეხებით უთავსდება (როგორც ვეცადეთ ჩვენ ეს დაწვრალებით დაგვეანახება ჩვენი ფაქტობრივი ახანაგანმარტების ყოველ საფეხურზე) კაპიტალიზმისათვის დამახასიათებელ უარყოფითი და ბნელი მხარეების სრულ აღიარება, კაპიტალიზმის უეჭველად დამახასიათებელ ღრმა და ყოველ მხრივი საზოგადოებრივი წინააღ-

დეგობის სრულ აღიარებას, რომელიც ააშკარავებს ამ ეკონომიური რეჟიმის ისტორიულ-გარდამავალ ხასიათს. სწორედ ხალხოსნები, რომელნიც ყოველნაირად ცდილობენ კაპიტალიზმის ისტორიული პროგრესულობის აღიარებაში, აბოლოგებობად წარმოადგინონ, — ვერ აფაქებენ აკნინარისად (ხან კიდევ აფუჩიჩებენ) რუსეთის კაპიტალიზმის ყველაზე ღრმა წინააღმდეგობით, — ისინი აფუჩიჩებენ გლეხობის დაშლას, ჩვენი მიწათმოქმედების ევოლუციის კაპიტალისტურ ხასიათს, სასოფლო და სასარეწაო დაქირავებულ „ნადელიან“ მუშათა კლასის წარმოშობას, — აფუჩიჩებენ იმ გარემოებას, რომ ჩვენს ნაქებ „შინამრეწველობაში“ კაპიტალიზმს დაბალი და უცუდეფი ფორმებია საეხებით გაბატონებული.

კაპიტალიზმის პროგრესიული ისტორიული როლი მოკლედ ორი დებულებით გამოთქმება: საზოგადოებრივი შრომის საწარმოო ძალთა გადიდება და მისი განსაზოგადოება. მაგრამ ეს ორ ფაქტი გამოისახება სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგთა სულ სხვადასხვაგვარ პროცესებში.

საზოგადოებრივი შრომის საწარმოო ძალთა წავსებით განავითარება მხოლოდ მსხვილი სამანქანო ინდუსტრიის ხანაში სახიერდება. კაპიტალიზმის ამ უმაღლეს სტადიამდე შენარჩუნებულა იყო კიდევ ხელით წარმოება და პირველყოფილი ტექნიკა, რომელიც ძალიან ნელი ნაბიჯით დასტიქიურად ვითარდებოდა. ამ მხრით რეფორმის შემდეგ დროინდელ ეპოქა შეკრად განიჩევა რუსეთის ისტორიის წინა ეპოქებისაგან. სახნისისა და საცეხველის, წყლის წისქვილისა და ხელით საქსოვი დაზგის რუსეთი სწრაფად იცვლებოდა გუთნისა და სალენი მანქანის, ორთქლის წისქვილისა და ორთქლის საქსოვი დაზგის რუსეთით. არ არის სახალხო მეურნეობის არც ერთი კაპიტალისტურ წარმოება და მორჩილებულ დარგი, რომელშიც არ ხდებოდეს ტექნიკის ასეთივე სრული გარდაქმნა. ამ გარდაქმნის პროცესი თვით კაპიტალიზმის ბუნების ძალით ვერ იწარმოებს სხვანაირად თუ არა უთანასწორობისა და არაპროპორციულობის გზით: აყვავების პერიოდებს ცვლიან კრიზისების პერიოდები, მრეწველობის ერთი დარგის განვითარება ბადებს მეორეს დაცემას. მიწათმოქმედების პროგრესი ედება ერთ რაიონში სასოფლო მეურნეობის ერთ მხარეს. მეორეში — მეორე მხარეს, ეპოქობა-მრეწველობის ზრდა წინ უსწრებს მიწათმოქმედების ზრდას და სხ. ხალხოსნურ მწერალთა მთელი რიგი შეცოთებო იმით ატყნება. რომ უნდათ დაამტკიცონ — ვითომ ეს არაპროპორციუონალური ნახტომისებური განვითარება, გაშმაგებული განვითარება — განვითარება არ იყო.

კაპიტალიზმში, მიერ საზოგადოებრივ საწარმოო ძალთა განვითარების მეორე თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ წარმოების საშეაღებათა (მწარმოებრივი მოხმარების) ზრდა ძალიან უსწრებს წინ პირადი მოხმარების ზრდას: ჩვენ არა ერთხელ აღვნიშნეთ, თუ როგორ ისახება ეს მიწათმოქმედება და მრეწველობაში. ეს თავისებურება გამოძღინარეობს კაპიტალისტურ საზოგადოებაში პროდუქტის რეალიზაციის ზოგა-

დი კანონებიდან და საცხებით ესაბამება ამ საზოგადოების ანტაგონისტურ ბუნებას.

კაპიტალიზმის მეურ შრომის განსაზოგადოება სახება შემდეგ პროცესებში:

პირველი, — თვით საქონლის წარმოების ზრდა სპობს წეროლ მეურნეო ერთეულთა ნატურალური მეურნეობის დამახასიათებელ დაქუცმაცებას და წეროლ ადგილობრივ ბაზრებს უზარმაზარ ნაციონალურ (და შემდეგ მსოფლიო) ბაზარში აერთიანებს. თავისთვის წარმოება ხდება წარმოებად მთელი საზოგადოებისთვის — და რაც უფრო განვითარებულა კაპიტალიზმი, მით უფრო ძლიერდება წინააღმდეგობა წარმოების ამ კოლექტიურ ხასიათსა და მითვისების ინდივიდუალურ ხასიათს შორის.

მეორე. — კაპიტალიზმი წარმოების წინანდელი დაქუცმაცების ნაცვლად ქმნის გაუგონარ კონცენტრაციას როგორც მიწათმოქმედებაში, ისე სრეწველობაში. — ეს კაპიტალიზმის ყველაზედ მკაფიო და ყველაზედ აშკარა, მაგრამ არა ერთადერთი თავისებურებაა გამოხატულება.

მესამე, — კაპიტალიზმი სპობს პირადი დამოკიდებულების იმ ფორმებს, რომელნიც მეურნეობის წინათ არსებულ სისტემათა განუყრელ თვისებებს წარმოადგენენ. რუსეთში ამ მხრით კაპიტალიზმის პროგრესიულობა განსაკუთრებით აშკარაა, რადგანაც ჩვენში მწარმოებლის პირადი დამოკიდებულება არსებობდა (რამოდენიმედ დღესაც არსებობს) არა მარტო მიწათმოქმედებაში. არამედ დამმუშავებელ მრეწველობაშიაც (ბატონყმურ შრომაზე დამყარებული „ფაბრიკები“ სამთო საქარხნო მრეწველობაშიაც და თევზის მრეწველობაშიაც) და სხ. დამოკიდებულთ თუ კაბალური გლეხის შრომასთან შედარებით, თავისუფლად დაქირავებულა ლუშის შრომა სახალხო მეურნეობის ყველა დარგში პროგრესიული მოვლენას წარმოადგენს.

მეოთხე. — კაპიტალიზმი აუცილებლად ჰქმნის მოსახლეობის მოძრაობას. რომელსაც საზოგადოებრივი მეურნეობის წინანდელი სასტემები არ მოითხოვენ და რომელიც მათი ბატონობის დროს ცოტად თუ ბევრად ფართო მასშტაბით შეუძლებელი იყო.

მეხუთე. — კაპიტალიზმი მუდამ ამცირებს მოსახლეობის იმ ნაწილს, რომელიც მხოლდეს მიწათმოქმედებას (სადაც ყოველთვის საზოგადოებრივ-სამეურნეო ურთიერთობის ყველაზე ჩამორჩენილი ფორმები ბატონობენ), ზრდის მსხვილ ინდივიდუალური ცენტრების რიცხვს.

მეექვსე. — კაპიტალისტური საზოგადოება აძლიერებს მოსახლეობის შეკავშირების, გაერთიანების მოთხოვნილებას და ამ გაერთიანებას აძლევს განსაკუთრებულ ხასიათს, წინაღობის ინდელ გაერთიანებასთან შედარებით. კაპიტალიზმი არღვევს საშუალო საუკუნოებრივი საზოგადოების ელწრო, ადგილობრივ წოდებრივ კავშირს, ჰქმნის გააფთრებულ კონკურენციას, ამავე დროს მთელ საზოგადოებას თითვეს წარმოებაში სხვადასხვა მდგომარეობის მქონე პირთა დიდ ჯგუფებად, და შიგნით თითოეულ ამგვარ ჯგუფში უმწვერვალესად ანვითარებს გაერთიანებას.

მეშვიდე. — ძველი სანეურნეო წყობილებს ყველა აღნიშნული ცვლილება აუცილებლად იწვევს აგრეთვე მოსახლეობის სულიერი ცხოვრების ცვლილებასაც, ეკონომიური განვითარების ნახტომებრივი ხასიათი, წარმოების წესების სწრაფი გარდაქმნა და მისი გასაოცარი კონცენტრაცია, ურთიერთობაში პირადი დამოკიდებულების და პატრიარქალობის ყოველგვარი ფორმების გაუქმება, მოსახლეობის ამოძრავება, მსხვილი ინდუსტრიალური ცენტრების გავლენა და სხ., — ყოველივე ამას არ შეუძლია არ გამოიწვიოს თვით მწარმოებელთა ხასიათის ღრმა ცვლილება, — და ჩვენ გვქონდა უკვე შემთხვევა აღვგენიშნა რუს მკვლევართა სათანადო დაკვარებანი.

რაც შეეხება ხალხოსნურ ეკონომიას, რომლის წარმომადგენლებთან ჩვენ მუდამ გვიხდებოდა შეკამათება, ჩვენ შეგვიძლია მათთან უთანხმოება მოკლედ შემდეგნაირად გამოვხატოთ. ჯერ ერთი, ხალხოსნების მხრივ თვით გაგება იმ პროცესისა, თუ როგორ ვითარდება რუსეთში კაპიტალიზმი, აგრეთვე მათი წარმოდგენა სამეურნეო ურთიერთობის იმ წყობაზე, რომელიც კაპიტალიზმზე აღრე არსებობდა რუსეთში, ჩვენ უსათუოდ შემეტარად უნდა ვალიაოთ, — ამასთან ჩვენი თვალაზრის-თ განსაკუთრებით ისაა აღსანიშნავი, რომ ისინი უარყოფენ კაპიტალისტურ წინააღმდეგობას საგლებო (როგორც სამიწათმოქმედო, ისე სარეწაო) მეურნეობის წყობაში. შემდეგ, რაც შეეხება რუსეთის კაპიტალიზმის ნელი თუ ჩქარი განვითარების საკითხს, აქ ყველაფერი დამოკიდებულა იმაზე, თუ რას უნდა შევადაროთ ეს განვითარება.

თუ რუსეთის წინაკაპიტალისტურ ხანას შევადარებთ კაპიტალისტუო ხანასთან (და სწორედ ასეთი შედარებაა საჭირო საკითხის სწორედ გადასაჭრელად), მაშინ უნდა ვალიაოთ, რომ საზოგადოებრივი მეურნეობის განვითარება კაპიტალიზმის დროს მეტად სწრაფად მიმდინარეობს, ხოლო თუ შევადარებთ განვითარების მონაცემ სისწრაფეს იმას, როგორიც შესაძლებელი უნდა იყოს საზოგადოდ ტექნიკისა და კულტურის თანაბნდროვე დონის პირობებში, მაშინ მართლა უნდა ვალიაოთ, რომ რუსეთის კაპიტალიზმის მონაცემი განვითარება მართლაც ნელა წარმოებს, და ეს განვითარება არც შეიძლება ნელი არ იყოს, ვინაიდან არც ერთ კაპიტალისტურ ქვეყანაში არ შენახულა ასე უხვად ძველის დაწესებულებანი, რომელნიც შეუთავსებელია კაპიტალიზმთან, რომელნიც აფერხებენ მის განვითარებას, უსაზღვროდ აუარესებენ მწარმოებლებსა მდგომარეობას, იმ მწარმოებლების, რომელნიც ჩაგრებიან „კაპიტალიზმითაც და კაპიტალიზმით, არა საკმაო განვითარებითაც“.

ბოლოს, თითქმის ყველაზე ღრმა მიზეზი ხალხოსნებთან ჩვენი უთანხმოებისა საზოგადოებრივ-ეკონომიური პროცესთა შესახებ ძირითად შეხედულებათა სხვადასხვანაირად, გაგებაში მდგომარეობს. ამ პროცესთა შესწავლისას ხალხოსანს ჩვეულებრივ ესა თუ ის ზნეობრივი დასკვნები გამოაყვს; ის არ უყურებს წარმოებაში მონაწილე პირთა სხვადასხვა ჯგუფებს, როგორც ცხოვრების ამა თუ იმ ფორმათა შემქნელად: ის არ ისახავს მანად წარმოიდგინოს საზოგადოებრივ-ეკონომიური ურთიერთობა.

ღის მთელი ერთობლიობა როგორც შედგენი იმ ჯგუფთა ურთიერთ და-
შოკიდებულებიანა, რომელთაც სხვადასხვა ინტერესები და სხვადასხვა ის-
ტორიული როლი აქვთ.

(ვ. ლენინი — „კაპიტალიზმის განვითარება რუსეთში“).

§ 8. ბურჟუაზი და პროლეტარიატი.

თავისუფალი და შონა, პატრიტი და პლებეი, ბატონი და ყმა, ამქრის
ოსტატი და ქარგალი, მოკლეთ, დამჩაგვრელი და დაჩაგრული მუდმივ წი-
ნაალმდეგობაში უდგენ ერთმანეთს, ეწეოდნენ. შეუწყვეტელ ხან შალულ.
ხან აშკარა ბრძოლას, რაცა მუდამ თავდებოდა მთელი საზოგადოებას
რევოლუციონური გარდაქმნით ან მებრძოლ კლასთა ერთად დაღუპვიან.

ისტორიის წინანდელ ეპოქებში ჩვენ თითქმის ყველგან ვპოულობთ
საზოგადოებას სრულ დანაწილებას სხვადასხვა წოდებად, საზოგადოებ-
რივი მდგომარეობის მრავალ საფეხურებს. ძველ რომში ჩვენ ვხედავთ
პატრიციებს, მხედრებს, პლებეებს, მონებს; საშუალო საუკუნოებში —
ფეოდალურ ბატონებს, ვასალებს, ამქრის ოსტატებს, ქარგლებს, ყმებს. და
ამა, გარდა თითქმის ყველა ამ კლასში კიდევ განაკუთრებულ საფე-
ხურებს.

თანამედროვე ბურჟუაზიულ საზოგადოებას რომელიც აღმოცენდა
ფეოდალური საზოგადოების ნანგრევებზე, არ მოუსპია კლასთა განსხვა-
ვება. მან ძველს ალაგას მხოლოდ ახალი კლასები, დაჩაგვრის ახალი პი-
რობები, ბრძოლას ახალი ფორმები წამოაყენა.

ხოლო ჩვენი ეპოქა, ეპოქა ბურჟუაზიისა, მით განირჩევა, რომ მან
გამარტივა კლასობრივი წინააღმდეგობანი. მთელი საზოგადოება სულ
უფრო და უფრო იყოფა ორ დიდ მტრულ ბანაკად, ორ დიდ ერთი შეო-
რის პირდაპირ მოწინააღმდეგე კლასად: ბურჟუაზიად და პროლეტა-
რიატად.

საშუალო საუკუნოების ყმებიდან წარმოიშვენ პირველ ქალაქთა მოქა-
ლექენი: ამ მოქალაქეებიდან განვითარდა ბურჟუაზიის პირველი ელენ-
მენტები.

ამერიკის აღმოჩენამ და აფრიკის გარშემო საზღვაო გზამ შეუქმნეს
ახალი აშკარეზა ამომავალ ბურჟუაზიას. აღმოავლეთ-ინდოეთისა და ჩი-
ნეთის ბაზარმა, ამერიკის კოლონიზაციამ, კალონიზებთან აღებმეცემობა.
გასაცვლელ საშუალებათა და უმთავრესად საქონლის გამრავლებამ საშინ-
ლად შეუწყო ხელი ვაჭრობას, ნაოსნობას, მრეწველობას და მით სწრა-
ფად განავითარა რევოლუციონური ელემენტი რღვევის პროცესით მო-
ცულ ფეოდალურ საზოგადოებაში.

მანამდე არსებულ ფეოდალურ ან ამქრულ წარმოების წესს არ შე-
ეძლო დაეკმაყოფილებოდა ახალი ბაზრების გაჩენით გაძლიერებული მო-
თხოვნილება. მისი ადგილი მანუფაქტურამ დაიჭირა. სამრეწველო საშუა-
ლო წოდებამ გამოდენა ამქრის ოსტატები; სხვადასხვა კორპორაციათა
შორის არსებული შრომა განაწილება ვაჭრა და წინ წამოდგა შრომის
განაწილება თვით ცალკე სახელოსნოში.

მაგრამ ბაზარი თანდათან ფართოვდებოდა, მოთხოვნილება თანდათან იზრდებოდა. მანუფაქტურამაც ველარ შესძლო მისი დაკმაყოფილება. მან შინ ორთქლმა და მანქანამ მოახდინეს რევოლუცია სამრეწველო წარმოებაში. მანუფაქტურის ადგილი დაიკავა თანამედროვე მსხვილმა მრეწველობამ. სამრეწველო საშუალო წოდების ადგილი — მრეწველ-მდიონერებმა, მთელი სამრეწველო ჯარის წინამძღოლებმა, ამ თანამედროვე ბურჟუაზიამ.

მსხვილმა მრეწველობამ შექმნა მსოფლიო ბაზარი, რომელსაც ნიადაგი მოუმზადა ამერიკის აღმოჩენამ. მსოფლიო ბაზარმა წარმოუდგენელი სისწრაფით განავითარა ვაჭრობა, ნაოსნობა და ხმელეთზე მიმოსვლის საშუალებანი. ამან გავლენა მოახდინა მრეწველობის გაფართოებაზე და სწორედ იმდენად, რამდენადაც ფართოვდებოდა მრეწველობა, ვაჭრობა. ნაოსნობა, რკინაგზები, იმავე ზომით ვითარდებოდა ბურჟუაზია, როგორც ადიდებდა თავის კაპიტალს და უკან ახევინებდა საშუალო საუკუნოებიდან დარჩენილ ყველა კლასებს.

ამნაირად, ჩვენ ვხედავთ, რომ თანამედროვე ბურჟუაზია თითონ არის ნაყოფი განვითარების გრძელი მსვლელობისა, წარმოებისა და აღებ-მიცემის წესებია ცვლადებთან მთელი რიგისა.

ბურჟუაზიის განვითარების ყოველ ამ საფეხურს თან ახლავდა შესაფერა პოლიტიკური პროგრესი. ბურჟუაზიამ, რომელიც წარმოადგენდა ხან დაზარულ წოდებას ფეოდალთა უღლის ქვეშ, ხან შეიარაღებულ თავითმმართველ ასოციაციას კომუნის *) სახით, აქ დამოუკიდებელ ქლასის რესპუბლიკას, იქ მონარქიის ხარკის-გადამხდელ მესამე წოდებას. შემდეგ, მანუფაქტურის დროს, თავადაზნაურობის წინააღმდეგ შემწონავ ძალას წოდებდათა წარმომადგენლობრივ სახელმწიფოში ან აბსოლუტურ მონარქიაში, საერთოდ დიდი მონარქების უმთავრეს საფუძველს. ბოლოს, მსხვილი მრეწველობისა და მსოფლიო ბაზრის აღმოცენების შემდეგ, თანამედროვე წარმომადგენლობით სახელმწიფოში მან დაიპყრო უცილობელი პოლიტიკური ძალა-უფლება. თანამედროვე სახელმწიფო ძალა-უფლება არის მხოლოდ კომპეტენცია, რომელიც განაგებს მთელი ბურჟუაზიული კლასის საერთო საქმეებს.

ბურჟუაზიამ უღირესად რევოლუციური როლი შეასრულა ისტორიაში. ყველგან, სადაც კი ბურჟუაზიამ გაბატონებას მიიღწია, მან დაარღვია ყველა ფეოდალური, პატრიარქალური, იდეოლოგიური ურთიერთობანი. მან უმოწყალოდ დაწყვიტა ფეოდალური ძაფები, რომლებითაც ადამიანი მიზნული იყო მის ბუნებრივ მზრდნებელზე და არ დასტოვა არავითარი კავშირი ადამიანსა და ადამიანს შორის გარდა გაშიშვლებული ინტერესისა. გარდა უსუსტგულო „ნაღდად გასწოერბისა“. ეგოისტური ანგარიშის გაყენულ წყალში. მან ჩაახრჩო საღმრთო ურუანტელი ღვთის-მოსავთა აღ-

*) ასე უწოდებენ იტალიისა და საფრანგეთის მოქალაქენი თავის საქალაქო საზოგადო მმართველობას, მას შემდეგ, რაც მათ ფეოდალური ბატონებიდან გამოისყიდეს, ან ძალით მოიპოვეს პირველი უფლებები თვითმმართველობისა.

ტყანებისა, რანდული აღფრთოვანებისა, მეშინური გრძობებისა. მან პირადი ღაზება საცვლელ ღირებულებად გადააქცია და უთვალავ დამტკიცებულ და კეთილშენაძენ თავისუფლებათა ალაგას დაამყარა ყოველივე სინდისს მოკლებული მხოლოდ ერთი, თავისუფლება ვაჭრობისა. ერთი სიტყვით, რელიგიურ და პოლიტიკურ აღიუზიებით მიჩქმალულა გაყვლეფის ალაგას მან დაამყარა აშკარა, უპირატვილო, პირდაპირი და ტლანქი გაყვლეფა.

ბურჟუაზიამ ახადა წმინდანობის გვირგვინა ყველა მ მოქმედებას, რომელსაც აქამდე პატრესა სცემდენ და მოწიწებდა; გრძობით უყურებდენ ეჭვში, იურისტულ, მღვდელურ, პოეტურ, მეცნიერი მან თავის ჯამაგარან, დაქირავებელ მუშებად გადააქცია.

ბურჟუაზიამ ოჯახურ ურთიერთობას ჩამოახა მათ ნარნარ გვირგვინი ბიერი ფარდა და გადააქცია ისინი მარტოოდენ ფულის. ურთიერთობათ.

ბურჟუაზიამ გამოაშკარავა, რომ მთვლემარე სიზანტე ღირსეული დასატება იყო საშუალო საუკუნოებში ცნობილი იმ უხეში ძაღლონისა. რომელსაც დღესაც აღტაცებაში მოყავს რეაქციონერები. პირველად მან დამტკიცა, რომ ნაყოფის მოტანა ადამიანის მოქმედებას შეუძლია. სულ სხვანაირი სასწაულები მოახდინა მან შედარებით ევგვიტის პარამედებთან. რომის წყალსადენებთან და გოთურ სობოროებთან, სულ სხვანაირი ლაშქრობა გადაახადა მან შედარებით ხალხთა გადასახლებასა და ჯვაროსანთა ომებთან.

ბურჟუაზიას არ შეუძლია არაებობა, თუ მუდამ საწარმოო პარალელისა და, ამრიგად, საწარმოო ურთიერთობის. ე. ი. მთელი საზოგადოებრივი ურთიერთობის რევოლუციონური, გარდაქმნა არ აწარმოა. პირაქით, ძველ წარმოების წესთა უცვლელად შენარჩუნება ყველა უწინდელ ხაზრეწველო კლასთა არაებობის პირველი პირობა იყო. წარმოების განუწყვეტელი გარდაქმნა, ყველა საზოგადოებრივი მდგომარეობის განუწყვეტელი რყევამუდმივი დაუდგომლობა და მოძრაობა ასხევებდა ბურჟუაზიულ ეპოქას ყველა უწინდელთაგან. ყველა მტკიცე, უანგმოკიდებული ურთიერთობანი და მათი თანწყოლი ძველთაგან საპატროდ მიჩნეული წარმოდგენანი და შეხედულებანი ისპობიან, ხოლო ახლად აღმოცენებულნი ძველებიან, ვადრე განმტკიცებას მოასწრებდენ. ყველაფერი მყარი და უძრავი ორთქლისებური ხდება, ყველაფერ წმინდას სიწმინდე ეკარგება და ადამიანები ბოლოს აძულებული ხდებიან ფხველი თვალთ შეხედონ თავანთ ცხოვრებთ, მდგომარეობას და ურთიერთდამოკიდებულებას.

ის მოთხოვნილება. რომ თავის ნაწარმოებს სულ უფრო და უფრო გაფართოებული ბაზარი მოუპოვოს, არბენ-ნებს ბურჟუაზიას მთელ დედამიწის ზურგზე. ის ყველგან უნდა შეიქრას, ყველგან ჩასახლდეს. მან ყველგან კავშირის ქსელები უნდა გააბას.

მთავლიო ბაზრის ექსპლოატაციით ბურჟუაზიამ კოსმოპოლიტიკური ხასიათი მისცა ყველა ქვეყნებსა წარმოებასა და მოხმარებას; რეაქციონერთათვის დიდად სამწუხაროდ, მან მრეწველობას ნაციონალური ნიადგი გამოაცალა. ძველის ძველი ნაციონალური მრეწველობანი მოისპენ ან

დღითი დღე იასობან. მათ სდევნის ახალი მრეწველობა, რომლის შემოდგმა სასოციალური კოთხვად ხდება ყველა განათლებული ერებისთვის; მრეწველობა, რომელიც ამუშავებს არა მარტო ადგილობრივ, არამედ უშორესი ქვეყნის ნედლეულს და რომლის ნაწარმოები იხმარება არა მარტო ადგილობრივად, არამედ ამავე დროს დედამიწის ყველა ნაწილებში. ნაცვლად ძველი მოთხოვნებისა, რომელსაც აკმაყოფილებდა ადგილობრივი ნაწარმოები, წინ წამოდგა ახალი მოთხოვნილება. რომელიც თავის დააკმაყოფილებლად მოითხოვს უშორესი ქვეყნებისა და ქვეყნის ნაწარმოებს ნაცვლად ძველი კუთხური და ნაციონალური თვითკმყოფლებისა და კარჩაკეტილობისა წინ წამოდგა მრავალმხრივი ურთიერთობა. მრავალმხრივი დამოკიდებულება ნაციების ერთმანეთისაგან. და ასეა როგორც მატერიალური, აგრეთვე გონებრივი კულტურის წარმობაში. ამა თუ იმ ნაციის გონებრივი ნაწარმოები საერთო კუთხნილებად ხდება. ნაციონალური ცალმხრივობა და ჩამორჩენილობა სულ უფრო შეუძლებელი ხდება, მრავალ ნაციონალური და ადგილობრივი ლიტერატურადან ექმნება ერთი შოფლიო ლიტერატურა.

ბურჟუაზია ყველა საწარმოო იარაღების სწრაფი გაუმჯობესებით, დაუსრულებლად გაადვილებული მიმოსვლას შემწობით ცივილიზაციასაკენ ერეკება ყველა ნაციებს, თვით ბარბაროსულ ხალხებს. მისი საქონლის სიიარვე ის მძიმე არტილერიაა, რომლითაც ის ძირიანად ანგრევეს ყოველგვარ ჩინურ კედლებს და იარაღს აყრევენებ. ბარბაროსთა უჯიუტე, მძულვარებას უცხოელთადმი. ის აძულებს ყველა ნაციებს შემოიღონ წარმოების ბურჟუაზიული წესი, თუ არ უნდათ, რომ სრულიად განადგურდნენ; ის აძულებს მათ შემოიღონ ეგრეთწოდებული ცივილიზაცია, ე. ი. ბურჟუად გადაქცენ. ერთი ჩიტყვით, ის მთელ ქვეყანას ქმნის შგავსად თავიანთებისა.

ბურჟუაზიამ სოფელი ქალაქს დაუმორჩილა. მან შექმნა უზარმაზარი ქალაქები; უდიდესად გაამრავლა ქალაქის მცხოვრებთა რიცხვი შედარებით სოფელთან და ამნარად მცხოვრებთა დიდი ნაწილი სოფლის ცხოვრებას იდიოტიზმს გადაარჩინა. როგორც სოფელი — ქალაქს, აგრეთვე დაუსრულებელი მან ბარბაროსული და ნახევრათ ბარბაროსული ქვეყნები განათლებულ ქვეყნებს, გლეხი ხალხება — ბურჟუაზიულ ხალხებს, აღმოსავლეთი — დასავლეთს.

ბურჟუაზია სულ უფრო და უფრო სკობს საწარმოო იარაღების, ქონებისა და მცხოვრებლების დაქუცმაცებას, მან მჭიდროდ დაასახლა მცხოვრებლები, მოახდინა საწარმოო საშუალებათა ცენტრალაზაცია და საკუთრებას კონცენტრაცია რამდენიმე პარის ხელში. ამის აუცილებელი შედეგი იყო პოლიტაიური ცენტრალიზაცია. დამოუკიდებელი, ოდნავ დაკავშირებული პროვინციები, აღჭურვილი სხვადასხვა ინტერესებით, კანონებით, მთავრობებით და სატამოვნო გადასახადებით. შედუღდნენ ერთ ნაციად, ერთი მთავრობით, ერთი კანონმდებლობით, ერთი ნაციონალური კლასობრივი ინტერესებით, ერთი სატამოვნო ხაზით.

თავისი კლასობრივი ბატონობის ხანაში, რომელიც ძლავს ერთ სა-
უფუნეო რაც გრძელდება, ბურჟუაზიამ შექმნა უფრო მეტი მაკური და
კოლოსალური საწარმოო ძალები, ვიდრე ყველა ძველმა თაობებმა ერთად.
ბუნებ-ს ძალთა დამორჩილება, მანქანებ-ს, ქიმიკ-ს გამოყენება მრეწველო-
ბაში და მიწათმოქმედებაში, გემები. რკინის გზები. ელექტრონის ტელე-
გრაფები, დედამიწის მთელ ნაწილთა დამუშავება, მდინარეების გამოყუ-
ნება ნაოსნობისათვის, გამრავლებულა; თითქო მიწიდან ამომძვრალ-
მცხოვრებნი — რომელ წინა საუკუნეს მოეს-ზმრებოდა, რომ საზოგადოებ-
ოვე შრომის წილში ამდენი სააწარმოო ძალები სთვლემდენ.

მაშასადამე, ჩვენ დავინახეთ, რომ წარმოებისა და მიმოსვლის საშუა-
ლებანი, რომელთა საფუძველზე ბურჟუაზ-ია აღმოცენდა. ფეოდალურ სა-
ზოგადოებაში წარმოიშვენ. წარმოებისა და მიმოსვლის ამ საშუალებათა
განვითარების განსაზღვრულ საფეხურზე უკვე განვითარებულ საწარმოო
ძალები აღარ შეეფერებოდა მიწათმოქმედების და მანუფაქტურის ფეო-
დალური ორგანიზაცი-ა. ერთი სიტყვით. ფეოდალური საკუთრება, ურთი-
ერთობანი. ისინი ხელს უშლადენ წარმოებას, ნაცვლად იმისა, რომ ხელი
შეეწყობთ მისთვის. ისინი გადაიქცენ მის მრავალრიცხოვან ბოკილებად.
ისინი უნდა დამსხვრეულ-ყენენ და დაიშ-ხვრენ კადეც.

მათ ადგილას წამოდგა თავისუფალი კონკურენცია თავისი შესაფერი
საზოგადოებრივი და პოლიტიკურ კონსტიტუციით. ბურჟუაზიული კლას-
ისი ეკონომიური და პოლიტიკური ბატონობით.

მსგავსი მოძრაობა წარმოებს ჩვენს თვალწინ. ბურჟუაზიული საწარმოო
და მიმოსვლის ურთიერთობანი, ბურჟუაზიული საკუთრების ურთიერთო-
ბანი თანამედროვე ბურჟუაზიული საზოგადოება, რომელმაც თითქო ჯა-
დონადურად შექმნა ასეთი უზარმაზარი საწარმოო და მიმოსვლის საშუა-
ლებანი, ჰგავს ამ ჯადოქარს, რომელმაც ველარ დაუმორჩილებია მას მიერ
გამოწვეული ქვეყანების ძალები. ეს რამდენიმე ათეული წელიწადია, რაც
მრეწველობისა და ვაჭრობის ისტორია არის მხოლოდ ისტორია თანამედ-
როვე საწარმოო ძალთა აჯანყებისა წინააღმდეგ საკუთრების ურთიერთო-
ბათა. რომლებიც ბურჟუაზიისა და მისი ბატონობის საარსებო პირობებს
წარმოადგენენ. საკმარისია დავასახელოთ სავაჭრო კრიზისები. რომლებიც
თავისი პეროდული განმეორებით სულ უფრო და უფრო უღმობელად
აყენებენ საკითხს მთელი ბურჟუაზიული საზოგადოების არსებობისა.
სავაჭრო კრიზისების დროს ისობა დიდი ნაწილი არა მარტო დამზადე-
ბული საქონლია, არამედ უკვე შექმნილი საწარმოო ძალებია. კარ-
სებ-ს დროს ჩნდება საზოგადოებრივი ებ-დენია, რომელმაც ყველა წინა-
დელ ეპოქაში უგუნურებად ჩათვლებოდა — ებ-დენია გადაქარბებული
წარმოებისა. საზოგადოება უცებ უბრუნდება რამდენიმე ხნით ბარბარო-
სულ მდგომარეობას; თითქო შიშშიღმა ან საერთო გამანადგურებელმა
ომმა წარუკვეთა მას ყოველავე სასიცოცხლო საშუალებაო; მრეწველობა.
ვაჭრობა. თითქო ქრებაან და მერე რატომ? იმიტომ რომ საზოგადოებას
მოკლებია ზედმეტა ცივილიზაცია, ზედმეტი საარსებო საშუალებანი, ზედ-
მეტი მრეწველობა, ზედმეტი ვაჭრობა. მის განკარგულებაში მყოფი სა-

წარმოო ძალები უკვე აღარ უწყობენ ხელს ბურჟუაზიული საკუთრება-
ურთიერთობას; პირიქით, ამ ურთიერთობისათვის ისინი მეტათ მძლავრი
არიან, მისგან ისინი დაბრკოლებული ხდებიან, ხოლო როგორც კი ისინი
ამ დაბრკოლებას დაძლევენ ხოლმე, მათ არევედარევაში მოყავთ მთელ-
ბურჟუაზიული საზოგადოება. ისინი ემუქრებიან ბურჟუაზიული საკუთ-
რების არსებობა. ბურჟუაზიული ურთიერთობანი იმდენად ვიწრო ხდება,
რომ მათ არ ძალუძთ დაიტიონ მათ მიერ წარმოშობილი სიმდიდრე.— რითი
სძლევა ხოლმე ბურჟუაზია ამ კრიზისებს? ერთა მხრით, საწარმოო ძალთა
მთელი ნაწიის იძულებითი მოსპობით; მეორე მხრით, ახალი ბაზრების და-
პყრობით და ძველი ბაზრების უფრო საფუძვლიანი ექსპლოატაციით. მა-
შასადამე, რათ? ვით, რომ ის ამზადებს უფრო ყოველმხრივ და უფრო
მძლავრ კრიზისებს და ამცირებს იმ საშუალებებს, რომლებიც კრიზისებს
წინ ელობებიან.

მა იარაღი, რომლითაც ბურჟუაზიამ ფეოდალ-ზნი დაამხო, ახლა თუკი
ბურჟუაზიის წინააღმდეგ მიიმართება.

მაგრამ ბურჟუაზიამ არა მარტო გაქედა ის იარაღი, რომელიც მას სი-
ცოცხლეს გამოაქალმებს, მან ის ადამიანებიც წარმოშვა, რომლებიც ამ
იარაღებით აღიჭურვებიან, — ესენი არიან თანამედროვე მუშებ- პ რ ო -
ლ ე ტ ა რ ე ბ ა . . .

სწორეთ იმდენად, რამდენადაც ვითარდება ბურჟუაზია, ე. ი. კაპიტა-
ლი. იმდენადვე ვითარდება პროლეტარიატი, ეს კლასი თანამედროვე მუ-
შებისა, რომელთაც მხოლოდ იმდენ ხანს შეუძლიათ არსებობა, სანამ სა-
მუშაოთს შოულობენ და რომელნიც მხოლოდ იმდენ ხანს შოულობენ სა-
მუშაოებს. სანამდე მათი შრომა კაპიტალს ზრდის. ეს მუშები, იძულებულნი
ნაპრობით გაყიდონ თავისი თავი, ისეთსავე საქონელს წარმოადგენენ,
როგორცაა ვაჭრობის ყოველივე სხვა საგანი და ამიტომ შესაფერად გა-
ნეცდად მეტოქეობის ყოველ ცვალებადობას; ბაზრის ყოველ რყევას.

პროლეტარების მუშაობამ მანქანების გავრცელებისა და შრომის გა-
ნაწილების წყალობით სრულიათ დაკარგა დამოუკიდებელი ზასიითი და
მით ყოველ-ვე მიმზიდველობა მუშებისათვის. მუშა გადაიქცა მანქანის
უბრალო დამატებად, რომლიც აგანაც მოითხოვენ მხოლოდ მეტოქეობად
მარტოც, მეტ-ს მეტად ერთფეროვან და ძლიერ ადგილად შესასწავლ ხელ-
მარჯვეობას. ამიტომ ის ხარჯები, რომლებსაც მუშის დაჭირავება იწვევა,
განისაზღვრება თითქმის მარტო მის საარსებო საშუალებით. რომელსაც
მოითხოვს მუშის შენახვა და მისი მოდგმის მოშენება. მაგრამ საქონლის
ფაქი, და მაშასადამე შრომათაც, უდრის მის საწარმოო ხარჯებს. ამიტომ.
რაც უფრო მატულობს შრომათს უსიამოვნება, მით უფრო ეცემა სამუშაო
ქარა. უფრო მეტიც: რამდენადაც მატულობს მანქანების ხმარება და შრო-
მის განაწილება, სწორედ იმდენად მატულობს მუშაობის რაოდენობა,
რაცა ხერხდება სამუშაო დღი, გაგრძელებით. გ-ნდ იმ შრომის გაიდიე-
ბით, რომელიც განაზღვრულ დროს მუშას მოეთხოვება, ან მანქანების
აჩქარებულ ტრალთ და სხვ.

თანამედროვე მრეწველობამ პატრიარქალური ოსტატის პატარა სახე-
ლოსნო სამრეწველო კაპიტალისტის დიდ ფაბრიკად გადაქცია. ფაბრიკა
ში შეჯგუფებული მუშათა მასა სოლიდარულად არის დაწყობილი რო-
გორც უბრალო ჯარის კაცები სამრეწველო ჯარისა, ისინი დაყენებულ არიან
უნტერ-აფიცრებისა და აფიცრების მთელი იერარქიის მხედველობის ქვეშ
ზედამხედველი და პირველყოვლისა თითონ ფაბრიკის პატრონი, ბურჟუა-
ული სახელმწიფოსი, მათ ყოველ დღე და ყოველ საათს იმონებს მანქანა,
ზედამხედველი და პირველყოვლისა თითონ ფაბრიკის პატრონი, ბურჟუა-
მათ უფრო წვრილმანი, საზიზღარი და შემადრწუნებელია ეს დესპოტობში
რაც უფრო აშკარად აღიარებს ის თავის მიზნად ფულის მოგებას.

რაც უფრო ნაკლებ სიმაჩვევსა და ჯანღონეს მოითხოვს ხელთ მუ-
შაობა, ე. ი. რაც უფრო ეითარდება თანამედროვე მრეწველობა, მათ
უფრო იღვენება კაცების შრომა ქალების შრომით. მუშათა კლასისთვის
აჯარ აქვს არაერთარი საზოგადოებრივი მნიშვნელობა სქესისა და ჰასაკის
განხვავებას. არის მხოლოდ სამუშაო იარაღები, რომლებიც ჰააკისა და
სქესის მიხედვით სხვადასხვა ხარჯებს იწვევენ.

როგორც კი მუშის უზომო გაყვლეფა ფაბრიკანტი მიერ იმდენად
თავდება, რომ ის იღებს თავის სამუშაო ქირას, მას თავს ესმიან ბურჟუა-
ზიის სხვა ნაწილები: სახლისპატრონი, მეღუჭე. მევახშე და სხვ.

აქამდე არსებული წვრალი მუაწოდებანი, წვრილი მრეწველები: ვაქ-
არები და რენტორები, ხელოსნები და გლეხები, ყველა ეს კლასები პრო-
ლეტარიატში ცევიან, ერთი მხრით იმეტომ, რომ მათი პატარა კაპიტალ-
საქამო არ არის მსხვილი სამრეწველო წარმოებისათვის და ისინი ვერ
უძლებენ მსხვილ კაპიტალისტების მეტოქეობას, ხოლო მეორე მხრით იმი-
ეტომ, რომ მათ ხელმარჯველებს წარმოების ახალი წესები ფასს უკარგა-
ვენ. ამნაირად ივსება პროლეტარიატი მცხოვრებთა ყველა კლასებიდან.

პროლეტარიატი გადას განვთარების სხვადასხვა საფეხურებს. ბურ-
ჟუაზიის წინააღმდეგ მისი ბრძოლა მისი არსებობის დლიდან იწყება.

თავდაპირველად იბრძვიან განცალკევებულ მუშები, მერე მუშებ-
ერთი ფაბრიკისა, შემდეგ მუშები ერთი სამუშაო დარგისა განსაზღვრულ
ადგილას, წინააღმდეგ თითოეული ბურჟუასი, რომელიც მათი პირდაპირი
მყვლეფელაა. ისინი თავს ესმეიან არა მარტო ბურჟუაზიულ საწარმოო
ურთიერთობებს, ისინი თავს ეზმეიან თვით საწარმოო იარაღებს; ისინი
იბრძვიან უცხოეთის მეტოქე საქონელს, ამტვრევენ მანქანებს, ცეცხლს უკ-
ლებენ ფაბრიკებს, ისინი ცდილობენ კვლავ აღადგინონ საშუალო საუკუ-
ნოებში მუშის დაკარგული მდგომარეობა.

ამ საფეხურზე მუშები წარმოადგენენ მთელ ქვეყნათ გაფანტულ და
ნეტოქეობის გამო დაქუცმაცებულ მასას. მასიური შემქმედროება მუშე-
ბისა არ არის ჯერ კიდევ შედეგი მათი საკუთარი გაერთიანებისა,
არამედ შედეგია ბურჟუაზიის გაერთიანებისა, რომელმაც თავისი სა-
კუთარი მიზნების მისაღწევად, მთელი პროლეტარიატი მოძრაობა-
ში უნდა მოიყვანოს და რომელიც ამას დროებით კიდევ ახერხებს.
მასადაამე, ამ საფეხურზე პროლეტარები იბრძვიან არა თავის მტრებს.

არანაღ თავისი მტრების მტრებს, აბსოლუტური მონარქიის ნაშთებს, მსხტლ შემამულეებს, არა-მრეწველ ბურჟუაზიას, წვრილ ბურჟუებს. აპ-ნარად, მთელი ისტორიული მოძრაობა ბურჟუაზიის ხელთ არის თავ-მოყრილი; ყოველი გამარჯვება, ასეთ პირობებში მიღწეულა, არა ბურ-ჟუაზიის გამარჯვება.

მაგრამ მრეწველობის განვითარებასთან ერთად არა მარტო რაოდენო-ბით მატულობს პროლეტარატი: ის უფრო ღრმად მასად მჭიდროვდება, მისი ძალა იზრდება და ამის ის უფრო და უფრო გრძნობს. ინტერესები და საარ-სებო პირობები პროლეტარიატისა სულ უფრო და უფრო ერთგვარი ხდე-ბა. მაშინ როდესაც მანქანური წარმოება უფრო და უფრო აქარწყლებს შრომის სხვადასხვაობას; და სამუშაო ქირას თითქმის ყველგან ერთნაირად დაბალ დონეზე აყენებს. გაძლიერებული მეტოქეობა ბურჟუებისა ერთ-მანეთს შორის და აქედან წარმომდგარი სავაჭრო კრიზისები იწვევენ მუ-შების სამუშაო ქირას მუდმივ რყევას; ხელს უფრო სწრაფი განვითარებათ მამაცილ შეუწყვეტელ გაუმჯობესება მანქანებისა ხდის მუშებს მთელ საარსებო მდგომარეობას უფრო და უფრო უიმედოდ: განცალკევებ-ბული მუშებისა და განცალკევებული ბურჟუების ერთმანეთშორის შეჯა-ხებაში სულ უფრო და უფრო აღებენ ხასიათს ორ კლასთაშორის შეჯა-ხებას; მუშები იპიით იწყებენ, რომ კავშირებს ქმნიან ბურჟუაზიის წინა-აღმდეგ. შეერთებული ძალი: ცდილობენ ისინი შეინარჩუნონ თავისი სა-მუშაო ქირა. ისინი აარსებენ თვით მუდმივ ასოციაციებს, რომ თავი გა-მრავლებონ მოსალოდნელი მლელვარების დროს, ალაგ-ალაგ ბრძოლა ამ-კარა აჯანყებათ იწყევა.

ხანდახან იმარჯვებენ მუშები, მაგრამ მხოლოდ დროებით. არსებობი ნაყოფი მათი ბრძოლისა არის არა პირდაპირი შედეგი, არამედ სულ უფ-რო და უფრო ფართოდ გავრცელებული გაერთიანება მუშებისა. ამას ხელს უწყობს მსხტლი მრეწველობის შიერ წარმოშობალი მიმოსვლის საშუა-ლებათა გამრავლება, რაც სხვადასხვა ადგილების მუშებს ერთმანეთთან აკავშირებს. მხოლოდ ეს დაკავშირებაა საჭირო, რომ მრავალი ადგილობ-რები ბრძოლა, რომელსაც ყველგან ერთნაირი ხასიათი აქვს. გაერთიან-დეს ერთ ნაციონალურ, ერთ კლასობრივ ბრძოლად. მაგრამ ყოველი კლას-ობრივი ბრძოლა არის პოლიტიკური ბრძოლა. და იმ გაერთიანებას, რომ-ელსაც საშუალო საუკუნოებამ მოქალაქენი მათი ბლოკებთ საუკუნო-ებთ უნდებოდნენ. თანამედროვე პროლეტარები რკინიგზებზე შემწეობათ რამდენიმე წელიწადი ახორციელებენ.

ეს შეკავშირება პროლეტარატიან კლასად და მასთან ერთად პოლი-ტიკურ პარტიად ხშირად ირღვევა თვით მუშათა შორის არსებულ მეტო-ქეობათ. მაგრამ ის კვლავ აღმოცენდება ხოლმე, უფრო ძლიერად, უფრო მტკიცედ. უფრო მძლავრად. ის სარგებლობა ბურჟუაზიის დანაწილებათ და აძულებს, რომ მუშათა ზოგერთი ინტერესები კანონის ფორმით იქნას ცნობილი: ასე დაკანონდა ათი საათის ბილი ინგლისში.

მაგრამ მთელ საზოგადოებაში არსებული უთანხმოებანი მრავალ-მხრივ უწყობენ ხელს პროლეტარიატის განვითარებას. ბურჟუაზია განუ-

წყვეტელ ბრძოლაში იმყოფება: პირველად — არისტოკრატის წინააღმდეგ; შემდეგ წინააღმდეგ თვით ბურჟუაზიის იმ ნაწილებსა, რომელთა ინტერესებს ეწინააღმდეგება მრეწველობის განვითარება; მუდამ — ყველა სხვა ქვეყნების ბურჟუაზიის წინააღმდეგ. ყველა ამ ბრძოლაში ის იძულებულია პროლეტარიატს მიმართოს, მათ დახმარებნათვის მოუწოდოს და ამნაირად ეს პოლიტიკურ ბრძოლაში ჩაებას. მაშასადამე, ის თითონ აწვედის პროლეტარიატს თავის საკუთარი აღზრდის ელემენტებს, ე. ი. აძლევს მათ იარაღს, თვით თავისავე წინააღმდეგ.

გარდა ამისა, როგორც დავინახეთ, გაბატონებული კლასების მთელ შემადგენელი ნაწილები მრეწველობის განვითარებთ, წყალობით პროლეტარიატში ცვაფარან, ან ყოველ შემთხვევაში, მათი საარსებო პირობებში აფრთხილები ვარდება. ამათაც შოაქვთ პროლეტარიატში აღზრდის ელემენტი ელემენტები.

გარდა ამისა საბანკო სისტემა, სცელის რა ფულს მ-მოქცევის სხვადა-
სხვა ფორმებით, გეჩვენებს, რომ ფული სინამდვილეში წარმოადგენს სხვას
არაფერს, როგორც განსაკუთრებულ გამოხატულებას: შრომის საზოგადოებ-
რივი ხასიათისა და მისი პროდუქტებისა, თუმცა ამავე დროს ეს ხასიათი,
როგორც კერძო საკუთრების ბაზასთან წინააღმდეგობაში მყოფი, ბო-
ლოს და ბოლოს ყოველთვის უნდა გამოიხატებოდეს ნათესა სხვით, ცალკე
საქონლის სახით სხვა საქონელთა გვერდით.

დასაბუთად, ყოველგვარ ექვს გარეშეა, რომ საკრედიტო სისტემა ძლი-
ერი ბერკეტის მომსახურებას გასწევს წარმოების კაპიტალისტური წესი-
დან ასოციაციკმნილი შრომის წარმოების წესზე გადასვლის დროს. —
თუმცა ნაოლოდ როგორც ერთერთი ელემენტთაგან: კავშირში სხვა დი-
ორგანიულ გადატრიალებებთან თვით წარმოების წესში. პირიქით, ილუ-
ზიება შეიძლება საკრედიტო და საბანკო საქმიან საშუალოდომქმედო ბა-
ლოსა. სოციალისტური გაგებით, გამომდინარეობენ სრული უეცრობიდან
წარმოების კაპიტალისტური წესისა და საკრედიტო საქმიან, როგორც
მისი ერთერთი ფორმათაგანია. რაკი წარმოების საშუალებანი შეწყვეტენ
კაპიტალად გადაქცევას (რაც ჰგულისხმობს აგრეთვე მიწაზე კერძო სა-
კუთრების მოსობასაც), კრედიტს, როგორც ასეთს არა აქვს არავითარ
აზრი. — ეს სხვათაშორის. შეიქნეს სენ-სიმონისტებმაცკი. მეორე მხრივ.
სანამ განაგრძობს არსებობას წარმოების კაპიტალისტურა წესი, განაგრ-
ძობს არსებობას როგორც მისი ერთერთი ფორმა პროცენტის მომტანი
კაპიტალიც. რომელიც წარმოადგენს ფაქტიურ ბაზის მისი საკრედიტო
სისტემისა. მხოლოდ ისეთ სენსაციურ მწერალს, როგორცაა პრუ-
დონი — სწორედ ის პრუდონი, რომელსაც უნდოდა შეენარჩუნებია
ქონლური წარმოება მოსობდა რა ფულს. — შესწევდა უნარი შეექმნა
საოცარი ფანტაზია მუქთა კრედიტისა („credit gratuit“), რომელსაც
წვრილბურჟუაზული თვალსაზრისით კეთლო მდგომარეობა უნდა გზნ-
ზორციელებია.

(ე. მარქსი — „კაპიტალი“, ტ. III. ნაწ. II)

§ 4. იტალიის ვაჭრობა აღმოსავლეთში

თავისი სიძლიერითა და მდგომარეობით აღმოსავლეთში, აღმოსავლეთ
და დასავლეთ ქვეყნებს შორის სავაჭრო შუამავლობის სახით, განარჩიოდნ
ორ ქალაქ: გენუა და ვენეცია. უკვე პირველი ჯვაროსნული ლაშქრო-
ბის დროს გენუელებმა დაიპყრეს კონტიოქის ნაწილი და ქალაქი ლადი-
კია, რომელთაც 1100—1104 წ. შეუერთდა არზუფისა და ცეზარეა მე-

სამედი, იერუსალიმ-სა და საფის ნაწილი, განსაკუთრებით მესამედო ნაწილი აქისა, რომელსაც ლევანტის ვაჭრობაში ცენტრალური ადგილი ეკავა. შემდეგ დაიპყრეს სამფლობელოები ტრიპოლში და ჯპრში ფაშა-გუსტა, საბერძნეთში (ქიოსი, სამოსო ნოკარია, ენუსა, პანაგია) და, დასასრულ, ყირიშსა და შავი ზღვის ნაპირებზე, სადაც კაფა შეადგენდა გენუის უმთავრეს ახალშენს და სპარსეთთან, ცენტრალურ აზიასთან და ჩინეთთან ვაჭრობის მნიშვნელობა, პუნქტს.

კიდევ უფრო მნიშვნელოვანი იყო ვენეციელების შენადენი. ამ უკანაჲკ-ნელებმა 1110 წელს დაიპყრეს სიღონის მესამედი ნაწილი, 1124 წელს — ტირის მესამედი და, ამის შედეგებით მეტად განმტკიცდა თავისი მდგომარეობა ჯარიაში და შეინარჩუნეს აქ თავიანთი ძლიერპოსილება იმ ხანებშიაც კი, როდესაც ის ყველა სხვა ადგილებში თითქმის დაკარგული ჰქონდათ. ხოლო 1204 წელს ჯვაროსნებისაგან კონსტანტინოპოლის დაპყრობის შემდეგ ახლად დაარსებულ იმპერიაში ვენეციელების პირველობა უფრო განმტკიცდა, — იმათ მიღეს სამი მერვედი მთელი ტერიტორიისა: ეპირო, ალექსანდრია, ეტოლუა, იონიის კუნძულები, პელოპონესი, არქა-პელაგის სამხრეთისა და დასავლეთის კუნძულები, დარდანელის სრუტესთან და მარმარილოს ზღვასთან რამოდენიმე ქალაქი, ადრიატიკის და ფრეჯიის სხვა ქალაქები; ასე რომ ისინი ფლობდნენ საუკეთესო სავაჭრო პუნქტებს კონსტანტინოპოლიდან დამოკიდებული ადრიატიკის სანაპიროებამდე. თვით ლტამბოლში კი მათ დარჩათ ქალაქის მნიშვნელოვანი გარეუბანი პერა.

ფლორენცია საშუალო საუკუნეებში იყო სამხრეწველო, მაგრამ არა სავაჭრო ცენტრი: იმ დროს როდესაც აბრეშუმისა და მატყლის მრეწველობამ ფლორენციაში XIV საუკ. უკვე მიიღო მსხვილი მრეწველობის ხასიათი, რომელიც აწარმოებდა არა მხოლოდ ადგილობრივ, არამედ მთელი ევროპის ბაზრებისათვის; მისი სავაჭრო კავშირი აღმოსავლეთთან დასწყო მხოლოდ 30—50-თან წლებში მე-XV საუკუნისა, ე. ი. მოცემული ეპოქის სულ ბოლო ხანებში.

ფლორენციელები შალის ქსოვილებს გზავნიდნენ აღმოსავლეთშიაც, კონსტანტინეპოლშიაც, ალექსანდრიაშიც, მაგრამ არა საკუთარი, არამედ გენუისის, ანკონისა და განსაკუთრებით ვენეციის ზომილობით. მხოლოდ მას შემდეგ რაც ფლორენციამ დაიპყრო პიზა და შეიძინა ლიგორიის ნავთსადგური, მან გადაწყვიტა თავისი საკუთარი ფლოტის აგება და აღმოსავლეთის ქვეყნებთან დამოუკიდებელ სავაჭრო კავშირში გამოსვლა; და იმავე დროს როგორც პიზას შემკვიდრე მოათხოვდა ყველა იმ სამფლობელოების მასზე გადაცემას, რომელსაც წინად პიზა ფლობდა. 1436 წელს ფლორენციის გემებმა გახსნეს რეგულარული მომოსვლა კონსტანტინეპოლთან და სადაც კიდევაც საფუძველი ჩაეყარა ფლორენციელების ფაქტორიას.

კონსტანტინოპოლისა და მის გარეთუბანს გალათას (პერას) მე-XIV ს. ეწვეოდნენ ხოლმე ვაჭრები მრავალი ქალაქიდან. თუმცა ის პირობები, რომელშიაც ისინი იყვნენ ჩაყენებული სავაჭრო ოპერაციების დროს, იყო მე-

ტისმეტად სხვადასხვანაირი. როგორც ეს ყოველთვის ხდება ხოლმე, ეკპრობის უფრო მნიშვნელოვანი სავაჭრო ცენტრებიდან ეკავათ მეტად ხელსაყრელი მდგომარეობა, ვინემ ყველა დანარჩენებს.

ვენეციელები და გენუელები ბაეებს სრულებით არ იხდიდენ, პიზანელებს უხდებოდა ბაეების გადახდა. კონსტანტინოპოლშიაც და გალათაშიაც შემოტანილ საქონელზე 2% რაოდენობით და იმდენივე გატანის დროს, ფლორენციელები, სიცილიელები და სხვა დანარჩენები იხდიდენ 2% რაოდენობით შემოტანილ და გატანილ საქონელზე; მაგრამ განსხვავებით პიზანელებსაგან საქონლის შემოტანის დროს ვალდებული იყვნენ გადაეხადათ გასატანი საქონლის ბაეიც წინდაწინ, რასაც განსაზღვრავდენ შემოტანილი საქონლის ღირებულებით.

შემტარი იქნება თუ ვიფიქრებთ, რომ გენუელები და ვენეციელები, რომლებმაც ხელში ჩაიგდეს ახლობელი აღმოსავლეთის ვაჭრობა — ერთმანეთში მშვილობიანად ცხოვრობდენ და ერთმანეთს, ხელს უწყობდენ აღმოსავლეთთან სავაჭრო ოპერაციების განვითარებაში. მზგავსად იმისა, როგორაც პიზამ განადგურა ამაღფია, გენუამ და ფლორენციამ — პიზა. ისევ ვენეცია ცდილობდა შეევიწროებია გენუა აღმოსავლეთის ქვეყნებში, გენუა კი თავის მხრივ ცდილობდა ყველგან, სადაც შეეძლო ზიანი მიეყენება ვენეციის ვაჭრობისათვის.

იმ შემთხვევაში, როდესაც ერთა და იმავე ქალაქში იტალიის რამოდენიმე ქალაქის ფაქტორიები იმყოფებოდა, ძნელი იყო იმის თქმა, ადგილობრივ მკვიდრთ უფრო სძულდათ იტალიელები, როგორც ერთი-ნება, თუ სხვადასხვა ქალაქის იტალიელებს — ერთმანეთი. ერთი ფაქტორია თავს ესხმოდა მეორეს, წვადა და ანადგურებდა მას; და ვენეციისა და გენუას შორის მახლობელ აღმოსავლეთის ვაჭრობაში პირველობისათვის ბრძოლა მთელი საშუალო საუკუნეების ვაჭრობის ისტორიაში წითელი ზოლივით გადის. ყველა ზღვებზე, სადაც კი ხვდებოდენ ერთმანეთს გენუელები და ვენეციელები იმართებოდა სისხლისმღერელი ბრძოლები, ვენეციიდან ან და გენუიდან ვერც ერთი სავაჭრო გემი ისე ვერ გამოვიდოდა თუ ძლიერი სამხედრო დაცვა არ გააჩნდა; უიმისოთ ის დავლად ჩაუვარდებოდა მოწინააღმდეგე ფლოტს, რომელიც მას უთვალთვალებდა. ეს ბრძოლა სავაჭრო გაცვლა-გამოცვლას აღმოსავლეთთან უდიდეს ზარალს აყენებდა და არა ერთხელ ემუქრებოდა ევროპისა და აზიის ქვეყნებს შორის სავაჭრო ურთიერთობას სრული შეწყვეტით.

საერთოდ, საშუალო საუკ. ვაჭრობას და, კერძოდ, იტალიის ქალაქების აღმოსავლეთთან ვაჭრობას ეძლეოდა განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა იმ მხრივ, რომ შესაძლებელი ხდებოდა აღმოსავლეთის ნაწარმოები თვითმისი აღმოცენების ანუ დამზადების ადგილზე ყოფილიყო შექმნილი. ე. ი. უშუალოდ პირველი ხელადან. ვენეციელები და გენუელები სპარსეთში იქმნდენ იქაურ ძვირფას ქვებს და მარგალიტს, ნოხებს. ბამბულობის ქსოვილებს, აბრეშუმისა და ოქრო-ქსოვილების ისეთ საგნებს, რომლებიც დიდო ხელოვნებით და სათუთად იყო გამზადებული ბრწყინავი და ლაბსაღებავებით. რაიც მეტად ძვირად ფასობდა ევროპაში. პირიქით. შავი და

აზოვის ზღეების სანაპიროებში ყიდულობდნენ ნედლეულ პროდუქტებს: პურს, რომელიც იქ ხარობდა, მარილს, ზ-ზალალას, დამარილებულ თევზს. ტყეს უირიშის ნახევარ კუნძულიდან, მონებს — თათრებს, რუსებს, ჩერქეზებს და აგრეთვე ჩრდლოეთიდან მანდ მოტანილ ბეწვიანი ცხოველების ქურჭებს.

ბიზანტიაშიც, კპრზეც, ეგვიპტეშიც ადგილობრივ პროდუქტებს შორის უკარობდა ნედლეული; კპრზე იტალიელი ვაჭრები ამდენდნენ მარილს და შაქარს, ღვინოსა და ბამბას, ლილასა და საკმეველს; მორეიაში და ატკენი — ლღვის ჩირსა და ჩამიხს, აღმოსავლეთში ძვირად ღირებულ ღვინოს — მალვაზიას, ეგვიპტეში — შაქარს, ქოქასსა და ლიმონს.

ეგვიპტიდან იტალიელები ეზიდებოდნენ აგრეთვე სხვათაშორის საუცხოვო ადგილობრივ დამზადებული ბამბისა და აბრეშუმის ქსოვილებს. ხოლო კპრიდან კამლოტის ქსოვილებს, თეთრეულსა და ფერად ოქროქსოვლ აბრეშუმის ნაკეთობათ და აგრეთვე, სირიული აბრეშუმის და კამლოტის შუშეულობისა და თიხის ნაწარმოებთ, (ანტიოქიიდან, ტრიპოლისიდან, ტირიდან), რომელსაც მეტად ფართე გასავალი ქონდა ევროპაში. სადაც მას შენარჩუნებული ქონდა თავისი არაბული სახელწოდება.

იტალიელი ვაჭრები არ კნაყოფილდებოდნენ მარტო წინა აზიით, არამედ მიემართებოდნენ მატერიკის შუა-ნაწილებშიც, უნდოდათ რა იქაური სანელებლებიც ადგილზე, და არა მეორე ხელიდან, შეეძინათ. ინგლისელი მკვლევარი, რომელიც მე-XIV ს. ცხოვრობდა, აღნიშნავს, რომ ვენეციელები პიმპალსა და იმბრის საყიდლად ინდოეთში მიდიოდნენ; ხოლო მის მიერ მოთხრობული ცნობები მტკიცდება სხვა ფაქტებიდანაც, ცნობილია აგრეთვე გენუელი ვაჭრებისა და სავაჭრო კომპანიების (მაგ. ვივალდის) მოგზაურობა ინდოეთში, ვინაიდან, იქაური პროდუქტები მეტად მნიშვნელოვან როლს თამაშობდნენ დასავლეთისა და აღმოსავლეთის ვაჭრობაში და განარჩეოდნენ თავისი ხარისხით და რაოდენობით.

მალაბარის ნაპირებზე ხარობდა უპირველეს ყოვლისა პიმპალი, რომელსაც იმ ხანებში ისეთივე მნიშვნელობა ჰქონდა როგორც მე-XIX ს. ჩაისა და ბამბას ინგლისის მრეწველობისათვის, შაქარსა და თუთუნს კუბისა და ესპანეთისათვის; აქვე მოყავდათ ღარიბინი, მახმორი, იმბრი, დანარჩენი სანელებლები, მიხაკი, ჯავის კაკალი, ქაფური ინდოეთში შემოქონდათ სუმატრიდან, იავიდან და მოლუკის კუნძულებიდან.

გენუელი, ვენეციელი და ლომბარდიელი ვაჭრები, ისევე, როგორც ვაჭრები სხვა კუთხეებიდან, ახდენდნენ მოგზაურობას კატაიში (ჩინეთში), სადაც მოდიოდნენ ხმელეთით ან ზღვით 11—12 თვის მოგზაურობის შემდეგ. ჩინეთში ზღვით წასვლას დრო, ჩვეულებრივად ორმუზდიდან გადიოდნენ, მალაბარისა და კორომანდელის ნაპირებით ბენგალიის ყურეზე გავლით, სუმატრის მახლობლად ინდო-ჩინეთისაკენ შეხვევით; ამის შემდეგ ინდოეთში ვაჭრები ჩვეულებრივად წყვეტდნენ მოგზაურობას ცოტა თუ ბევრად დღე ხნით. ხმელეთის გზით მიემართებოდნენ: სამარკანდი, კუანჯი. კაშგარი, იარკენდი და ხოტანის გზით, ლოპის ტბაზე გავლით ანუ კანაშარის გზით და შემდეგ გადაჭრიდნენ გობის უდაბნოებს; ხოლო

სხვა შემთხვევაში გზა მიემართებოდა ტანთ, სარაით, სირ-დარის ოლტ-რარით ბალკანის ტბაზე ან ისიკ-კულზე გადავლით, მიღწევდნენ რა ქა-ლაქებს კანტონს: ცუიტუნს (ჩუნ-ჩუნ-ფუს), ანუ კინსაო (ხან-ჩუნ-ფუი) ეროპიელი ვაჭრები აქ ასალებდნენ ევროპის, მცირე აზიის და ინდოეთის ნაწარმოებთ და იძენდნენ ჩინეთის აბრეშუმსა და აბრეშუმის ქსოვილებს, რაც უმთავრესი საგანი იყო ჩინეთის ვაჭრობისა, და ასევე ზოგიერთ ადგი-ლობრივ სანელებლებს: რევენს, მუშეს, კოლინჯანს.

(ი. მ. კულიშვილი — „კაპიტალიდან მოგების ევოლუცია“... ტ. 1).

§ 5: ბანკების წარმოშობა და განვითარება (იტალიაში)

იტალიაში საბანკო საქმე წარმოიშვა მას შემდეგ, როდესაც ვაჭრობამ და მრეწველობამ უკვე ფართო განვითარება მიიღო. მისი პირველი ამო-ცანა იყო დაეკმაყოფილებია ერთი უმნიშვნელოვანესი ეკონომიური მო-თხოვნილებათაგანი: შეეტანა წესრიგი ფულს ბრუნვაში. ჯერ სანამ შე-მოვიდოდა სიტყვა „ბანკირი“, ხმარებაში სიტყვა „campsor“, ე. ი. ზა-რაფი იყო, მხოლოდ ეს ერთი სახელწოდება გვამართავს ჩვენ იტალიის პირველი ბანკირების მოღვაწეობას. ისინი ეწეოდნენ ფულის ნიშნების და-ხურდავებას.

ქალაქის მოედნებზე, სადაც გაცხოველებული ვაჭრობა წარმოებდა და ბაზრობაზე, ყველგან დადგმული იყო ზარაფის დუქნები. ზარაფი იჯდა მწვანე მათე-გადაფარებულ მაგიდათან (banco), რომელზეც ეწყო ქა-ნები ფულით და დადებულ ზღოშეკრულებათა რეეატრი. დუქანი მუდამ საქ ე იყო ხალაით. რომელსაც სურდა ფულის დახურდავება. უქველესი ცნო-ბები ზარაფხანებს შენახებ ეკუთვნის მე-XII საუკუნეს.

...საშუალო საუკუნეებში ჩვენ ვხვდებით ევროპას ყველა ქალაქებში მეცახშეობით მოსაქმე იტალიელებს და ებრაელებს. სავაჭრო ურთიე-ობამ საშუალო საუკუნეებში იტალიელები მიიყვანა ინგლისში, საფრან-გეთში. ფლანდრიის ქალაქებში. სადაც ისინი რჩებოდნენ სათამაშო და ფულადი ბრუნვის მოსახდენად. სავაჭროდ უცხო ქვეყნებში გამგზავრებულ იტალიელთა რიცხვიდან, ზოგიერთი სტოვებდა ვაჭრობას, ხსნიდა ბანკებს, რომლებიც იღებდნენ ფულად ანაბარს თანამემამულე ვაჭრებისაგან. ისი-ნივე იძლეოდნენ სესხად ფულს გირაოს ქვეშ.

...იმ პირთა რიცხვი, რომლებიც ფულს გასესხებდნენ ეწეოდნენ უცხო ქვეყნებში. ჩვენ პირველად ყოვლისა ვხვდებით ქალაქ ასტის მკვიდრთ. „1226 წელს, მოგვითხრობს ა. ტის შემატრანე, ამ ქალაქს მოქალაქენი შეუდგენ ფულის გასესხებას და ფულს ბრუნვის წარმოებას საფრანგეთ-ში და სხვა ქვეყნებში. მათ იქ დ. დი ფული მოიგეს. მაგრამ ბევრს და-ზარალდა პირადად და ქონებრივად“. ქალაქ ასტის მოქალაქენი და სხვები, მატრიანებში ცნობილი ლომბარდიელების საერთო სახელწოდებით, თით-ქმის მართოდნენ კერძო პირებისათვის გირაოს ქვეშ ფულის გასესხებას აწარმოებდნენ.

ხოლო გენუელები, პიზანელები და ფლორენციელები უფრო რთულ სპეკულიაციას ეწეოდნენ. უცხო ქვეყნებში დაარსებული გენუელთა ურთქვი კერძო ბანკები ეწეოდა სპეციალურად სათამაშუქო ბრუნვას, (ოპერაციას), საჭიროების შემთხვევისას ისინი სესხს აძლევდნენ მეფეებსა და თავადებს. ჯვაროსნულ ომებში გასამგზავრებელი ფრანგი ბარონები მათგან იღებდნენ სესხს. წმინდა ლიუდოვიკოს, რომელიც 1250 წელს ჯვაროსნულ ომში გაემგზავრა, გენუის საბანკო სახელებმა სესხად მისცეს 48.168 ტურინული ლირა, 280 პროვანსული ლირა და 1224 ბიზანტიური სარაკინი.

კიდევ უფრო მეტი რაოდენობით, ვიდრე ასტიელები, გენუელები და პიზანელები — მეფეებისა და თავადებისათვის ფულს სესხად გაცემას აწარმოებდნენ ფლორენციელები, ესენი აარსებდნენ ნდობის საბანკო და სავაჭრო უდიდეს ამხანაგობებს, რომლებიც ფართოდ იყვენ სახელგანთქმულნი.

ფლორენციის საზოგადოებები არსდებოდა, როგორც საოჯახო ანხანაგობანი, რომელთა საერთო კაპიტალიც ერთი ოჯახის ყველა წევრთა. ინათესაურ ურთიერთობაში მყოფ პირთა არა თანასწორ შენატანსაგან შედგებოდა. მოგება იყოფოდა საერთო ფონდში შეტანილ პაი, მიხედვით. სავაჭრო საქმეებში უფრო გამოცდილი პირი ინიშნებოდა დირექტორად ამხანაგობისა, რომელიც იმ ოჯახის სახელწოდებამ ატარებდა, რომლის წევრებაც შეადგენდნენ ამხანაგობას. ძირითადი კაპიტალი შემდეგში დიდდებოდა ახალი შენატანით, როგორც თანამოქალაქეების ესე აგრეთვე უცხოელებს მხრივაც.

...ერთს ამგვარ ფლორენციის ამხანაგობათაგანს პერუცის ჰქონდა თექვსმეტი განყოფილება უცხო ქვეყნებში და 150 დირექტორია ფლორენციასში და განყოფილებებში... ფლორენციული ამხანაგობები, დამოუკიდებლად მათი სავაჭრო და სამრეწველო საქმიანობისა, ნამდვილ ბანკირებს წარმოადგენდნენ. მონაწილეთა ფულადი შენატანების გარდა. თავიანთ განკარგულებაში მათ ჰქონდათ არა ამხანაგობის წევრ კერძო პირთა კუთვნილი მნიშვნელოვანი ანაბარებიც.

ისინი თავის თავზე იღებდნენ აგრეთვე პაპის შემოსავალთა აკრეფის ოპერაციებს. თავიანთი ფულების უმთავრეს ნაწილს ისინი აძლევდნენ ხოლმე სესხად. გვარჯინოვანთა რიცხვიდან ამ ამხანაგობათა კლიენტები იყვნენ: პაპი, საფრანგეთისა და ინგლისის მეფეები, სიცილიის მეფე და იერუსალიმის ორდენი, რომელიც სანგლისისა და საფრანგეთის მეფეებზე უფრო მდიდარი იყო. ამხანაგობა პერუცო მნიშვნელოვან სესხს აძლევდა საფრანგეთის მეფესა და მიწ, მანლობელთაც.

...უნდა ითქვას, რომ ფლორენციულ ამხანაგობებს მეტი საქმე ჰქონდათ უფრო ინგლისის მეფესთან, ვიდრე საფრანგეთის მეფესთან. განსაკუთრებით დიდი გავლენით მე-XIV საუკუნის დასაწყისში ლონდონში სარეგლობდა ამხანაგობები ბარდი და პერუცო. ინგლისის მეფედ მამ-5 ედუარდ მე-III იყო, რომელიც ძალზე საჭიროებდა ფულს საფრანგეთთან ომით გამოწვეული ხარჯების დასაფარავად; ეს ხარჯები სრულად იქნა

დაფარული ბარდისა და პერუცოს ამხანაგობათა მიერ. მეფის ვალი ამხანაგობებმადადმი იმ ზომამდე გააზარდა, რომ მეფეს აღარა ჰქონდა შუა-ძღვებლობა არა თუ კაპიტალის (თაენის), არამედ პროცენტებზე, გადახდასაც-კი.

მეფემ ვერავითარი საშუალება მძიმე მდგომარეობ-დან გამოსასვლელად ვერ პოვა, გარდა იმისა, რომ თავი გაკოტრებულად გამოეცხადებია. 1339 წელს ოფიციალურად იქნა გამოცხადებული, რომ მეფე უარს ამბობს ბარდისა და პერუცის ამხანაგობათათვის ვალის გადახდაზე. ამხანაგობებმადადმი მეფის ღაველიანება იმ დროში აღწევდა 1.065,000 ოქროს ფლორინს, რაც თანამედროვე ვილიანის სიტყვით უდრდა მთელი სამეფოს ღირებულებას.

მეფის ქონებრივმა გაკოტრებამ 1739 წ. გამოიწვია ორივე ამხანაგობისა და მათი კრედიტორების გაკოტრება. ხოლო ამხანაგობათა გაკოტრების თან შოყვა კრიზისი ფლორენციაშიც. მრავალი პირი, რომლებმაც ბარდისა და პერუციის ამხანაგობებს ანდო ფულები გადატაკდნ. შერყეულ იქნა აგრეთვე ფლორენციის მთელი ვაჭრობა და შირეწველობაც-კი. აღნიშნულ ამხანაგობათა გაკოტრებამ გამოიწვია კიდევ ბევრ სხვა ამხანაგობებმასა და ვაჭართა დიდი რიცხვის გაკოტრება.

...უფრო გვიან მთავარ როლს თამაშობდა მედიჩის ამხანაგობა. კოზიმო მედიჩის დროს ამ ამხანაგობამ, 16 განყოფილება ჰქონდა საზღვარ-გარეთ. ის მე-XV საუკუნეში ევროპის ყველაზე უფრო ძლიერი ფინანსური დაწესებულება იყო. მედიჩებმა 1475 წ. ედუარდს სენსად მისცეს 3000 ოქროს ფლორინი და მასთან დასდევს მათთვის ხელსაყრელი საბაჟო ხელშეკრულებები. ანგვარ ბანკირებთან ნაცნობობას დიდად აფასებდნენ თავადები და მეფეები. ბანკირების სახელები სამშვიდობო ტრაქტატების ოქმებში შემოჰქონდათ, რომლებიც ტრაქტატების გარანტიისათვის იყენენ პასუხისმგებელნი. მაგალითად, ცნობილია, რომ საფრანგეთის მეფე ლიუდოვიკო მე-XI-მ დასდვა რა ტრაქტატი ინგლისს მეფე ედუარდ მე-IX-სთან, რომელშიც ის მოვალედ იხდიდა თავს უკანასკნელისათვის ყოველწლიურად 50.000 კორონი ეძლია, ამ ვალდებულების სიმტკიცისათვის აღუთქვა მედიჩის გარანტია. ამრიგად, ჯერ კიდევ მაშინ ბანკირის ფირმას უფრო ენდობოდნენ, ვიდრე მეფეს.

(3. როტა — „ბანკების ისტორია“).

§ 8. ბირჟის წარმოშობა და განვითარება.

სიტყვა „ბირჟას“ ორგვარი ახსნა აქვს: ერთის მხრივ, მის წარმოშობას უფარდებენ საშუალო საუკუნეებისდროინდელ სიტყვა „bursa“-ს, რასაც ხმარობდნენ სხვადასხვაგვარ კორპორატიული ორგანიზაციების აღსანიშნავად. მეორე მხრივ, — და ამ ახსნას უფრო მეტი მომხრე ყავს, — მას უკავშირებენ იმ ფაქტს, რომ ბრიუგეში მე-XIII საუკ. ვაჭრებს ჩვეულება ჰქონდათ შეკრებილიყვნენ, ფულის ბაზარზე იმ დროში გაბატონებული იტალიელების საკონსულო სახლების წინ მოედანზე, რომელსაც

ეწოდებოდა „de burse“, — სამი საფულეშა გამოხატულ ღირებთან დიდი ააჩლის მფლობელი მსხვილ სამკალოთა ფირმა von der Burse-, სახელი. მე-XVI საუკ. სიტყვა „ბირჟა“ განმტკიცდა აგრეთვე ანტივერპენში, საიდანაც მან მაილო შეზღვრომი განვითარება.

ბირჟის ჩანასახს წარმოადგენდა ვაჭრების კრება; ქალაქის მოედანზე ზარაფხანის წინ. ვაჭარი, რომელმაც შორიდან მიღებული საქონლის საფასური თამასუქების საშუალებით უნდა გადაეგზავნა, ჩვეულებრივად მამართავდა ერთ-ერთ ადგილობრივ ზარაფს, რომელმაც, კლიენტებისათვის, რომ მოსახერხებელი ყოფილიყო, თავსდებოდენ ქალაქის ცენტრში, მოედანზე, სადაც შესაძლებელი იყო ქალაქის მოძრაობის შეუფერხებლად მაგალი დადგმა ფულს დასახურდავებლად და სხვა ოპერაციებსა საწარმოებლად. ზარაფი აღებდა რა ფულს, კლიენტს აძლევდა თამასუქს თავის კორესპონდენტზე, რომელიც შემდეგ იგზავნებოდა დანიშნულებისამებრ.

სათამასუქო ოპერაციებს მალე დაემატა დემონსტრირი და გამსეხებელი. კერძოდ სესხი ზღვის გემების გარაოს ქვეშ. ხოლო შემდეგ საზღვაო დაზღვევაც. ვაჭრები თანდათანობით შეეჩვიენ ქალაქს, მოედანზე განაზღვრულ საათებში შეკრებას, მით უმეტეს, რომ რა გაგებდენ ხოლმე უცხო ქვეყნებს, შესახებ ყოველივე უახლეს ცნობებს. ამგვარად, წარმოიშვა პირველი საბირჟო კრებები ვენეციაში, ფლორენციაში, გენუაში.

ყველა ეს პირველდაწყებითი ბირჟები თავისი მოწყობილობისა და მოღვაწეობის მხრივ ჯერ კიდევ შორს იყვენ თანამედროვე ბირჟებისაგან. უკანასკნელთან მათ აახლოებს მხოლოდ ის გარემოება, რომ ისინი იყვნენ ვაჭართა ცოტად თუ ბევრად რეგულარული კრებები განაზღვრულ ადგილზე სავაჭრო გარიგებათა დასაღებად, და რომ ამ გარიგებათა საგანს შეადგენდა საგადასახადო საშუალებანი, გაასესხებელი კაპიტალი და საზღვევი რაჟი, რომლებიც დღესაც შედის ბირჟის საქმიანობაში. საშუალო საუკუნეების ბირჟა არავითარ განაზღვრულ ორგანიზაციას არ იცნობდა; ეს იყო ერთგვარი საერთო თავშესაყრელი ადგილი და სხვა არაფერი. სწორედ ამგვარადვე მისთვის სრულად უცნობი იყო საბირჟო ბრუნვის თანამედროვე განვითარებული ფორმები და კურსის კოტირება.

თუ ვაჭართა პირველი საბირჟო კრებები იტალიაში ცნობილია მე-XIII საუკუნეში. ჩრდილოეთში-კი პირველი ბირჟა გაჩნდა ბრიუგში მე-XV საუკუნის დასასრულს. ნამდვილი თარიღის დაწესება ცხადია არ არის შესაძლებელი, რადგან პირველი ბირჟები განაზღვრული აქტის გამოცემის გზით კი არ არსდებოდენ, არამედ წარმოიშობოდენ თანდათანობით.

მე-XVI საუკუნეში მსოფლიო ვაჭრობის ცენტრად ხდება ანტივერპენი, რომელიც მდებარეობს მდინარე შელდზე. რეინის სათავეს მახლობლად. ანტივერპენის ქალაქის საბჭომ, სავაჭრო გარიგებათა დადების გაიოლებსა და ვაჭართა მიერ საქონლის ნაშუშებთან გაცნობის მიზნით ნავთსადგურის ახლოს ააგო „ბირჟის“ დიდი ლამაზი შენობა. სახლზე იყო წარწერა: „ყოველი ერისა და ყველა ენებზე მოლაპარაკე ვაჭართა სასარგებლოდ“. ანტივერპენის ბირჟაში, როგორც სწერს ერთი თანამედროვე მე-

თვალყურე, კაცა გაიგონებდა ყველა კოლო-კაეებსა და ენებზე ლაპარაკს და იხილავდა ყოველგვარი ტანთსაცმელის სიჭრელეთა არევას. ერთი სიტყვით, ანტვერპენის ბირჟა წააგავდა მცირე სამყაროს, რომელშიც გაერთიანდნ დიდი მთელის ყველა ნაწილები“.

ანტვერპენის ბირჟას მოსდიოდა ცნობები მთელ მსოფლიოდან. რაც აადვალბდა საბირჟო ბრუნვის საგნების, გაცვლა-გაშოცვლას დოვლათთა ფაქებზე „საბირჟო აზრის“ გამომუშავებას. ეს ფასება კოტირდებოდა და განსაკუთრებული პრეისკურანტებისა და საკუთარი ბიულეტენების საშუალებით ეცნობებოდა სხვა ადგილებს, რითაც მ-ენებულთ ბირჟა თანდათანობით აფართოვებდა თავის გავლენას წრეს.

ანტვერპენის ბირჟის განვითარება მტკიცედ არის დაკავშირებული მე-XVI საუკ. ვაჭრობის ზრდასთან, როდესაც გაჩნდა ხმარებაში ჰოლანდურ ენაზე მოხარდი რაოდენობა გადასახდელ საშუალებათა და კაპიტალისა, და აგრეთვე „ფუნგიბილიზაცია“ (ე. ი. თვანება ერთის მეორეთი შეცვლას) მასიური საქონლისა, რომლისთვისაც დაიწყეს საშუალო ხარისხობრივი ნორმების გამომუშავება, რაც გზას უხ-ნიდა ბირჟისკენ საცვლელ ღირებულებათ.

ანტვერპენის ბირჟას კიდევ უფრო მეტი მნიშვნელობა ჰქონდა თანასუქებისა და სახესხო კაპიტალის ბრუნვის დარგში. ამ ბრუნვის გაადვილების მიზნით გამომუშავებულ იქნა კეთილსინდისიერი გადახდისუნარიანი ფირმის ცნება. ამ კატეგორიის მოვალეთადმი მოთხოვნილებანი თანასწორ ხარისხოვნად იყო ცნობილი, და როგორც ასეთი ექვემდებარებოდა ააერთო კოტირებას, რაც თავის გამოხატულებას პოულობდა სათამაშუქო კურსში, ერთი მხრივ, და უზნითი კაპიტალზე პროცენტის ნორმაში, მეორე მხრივ.

არა ნაკლები მნიშვნელობა მოაპოვა ანტვერპენის ბირჟამ საჯარო კრედიტის დარგში. მე-XVI საუკუნის ომები და სხვა პოლიტიკური მოვლენები ჰქმნიდა მოთხოვნილებას დიდ თანხებზე. უკანასკნელს შოვნა მფლობელი თავადები, ზიერ შეიძლებოდა მხოლოდ კრედიტის საშუალებით. მეორე მხრივ, გერმანელები და იტალიელები, რომელთა ხელშიაც თავმოყრილი იყო უმთავრესად საშუალო საუკუნოების ვაჭრობა, მსოფლიო სავაჭრო ბრუნვაში ხმელთა შუა ზღვიდან ატლანტიის ოკეანეაკენ, მომხდარი დიდი ვადაწაცვლების გამო იძულებული გახდნენ მიემართათ ფულადი ოპერაციებისათვის. მაშინდელ კაპიტალისტებს შორის ფუგერები იყვნენ პირველი, რომლებმაც აირჩიეს ეს გზა, და მე-XVI საუკუნის პირველი ნახევრის განმავლობაში მათი როლი თავისი მნიშვნელობით სრულიად განსაკუთრებული იყო.

ეს მახელი შუამავლება ყოველი მხრიდან ჩხვეტდნ თანხებს და შემდეგ ანტვერპენის ბირჟაზე დიდი პროცენტით აძლევდნ მას სესხად, მფლობელ თავადთა ფინანსიურ აგენტება.

რაც შეეხება საბირჟო ტექნიკას, ის ჯერ კიდევ ძალზე განუვითარებელი რჩებოდა. ბირჟის ტექნიკა დიდ განვითარებას აღწევს ჰოლანდიის მთავარ ქალაქ ამსტერდამში. რომლის ხელშიაც XVII საუკუნეში გადადის

ანტვერპენის მთელი საეპრო მნიშვნელობა, ესპანელების მიერ XVI საუკ. დასასრულს მისი (ანტვერპენის) დანგრევისა და გაძარცვის შემდეგ.

დიდი ძნიშვნელობა ფაქტს წარმოადგენს ის გარემოება, რომ ამსტერ-დამის ბირჟამ (დაარს. 1608 წ.) პირველად შემოიღო თავის ბრუნვაში აქ-ცია. სააქციო კომპანიების წარმოშობა დაიწყო XVI და XVII ს. ს. ინგლისსა და ჰოლანდიაში; პირველად ისინი დანიშნულ იყო კომერციული და ნაწილობრივ პოლიტიკური ხასიათის მქონე ოკეანეს იჭეთა დიდ წა-შოწყობათა განსახორციელებლად; რამოდენიმე ასეთი საზღვაო კომპანი-ისაკან 1602 წ. ჰოლანდიაში დაარსდა „გაერთიანებული ოსტ-ინდოეთის კომპანია“; — არსებითად პირველი სააქციო კომპანია, რომელს აქციების ყიდვა და გაყიდვა რეგულარულად წარმოებდა ბირჟაზე.

თანამედროვე საბირჟო სპეკულაციის მთელი აპარატი შექმნილი იყო სწორედ ამსტერდამის ბირჟის მიერ. ამ უკანასკნელის მიერ ბრუნვაში შე-შოლებული აქცია არ შეადგენდა საბირჟო გარიგებათ ერთადერთ ობ-ექტს. მასთან ერთად მომქცევაში იყო ფაქტულობანიც, მაგრამ ამ ფასე-ულობათა გარიგებანი არ ამჟღავნებდა ტექნიკურ პროგრესს, რჩებოდა რა მე-XVI საუკუნეში გამოჩნუშავებულ საფუძვლებზე. და მხოლოდ XVIII საუკუნეში წარმოიშვა ამ ტარგში არსებითი ცვლილებანი.

(დ. ჯივილიეგოვი — „ბირჟის ისტორია“).

§ 7. ჰანზის ვაჭრობის ბრუნვა

ჰანზის ვაჭრობამ უდიდეს სიმაღლეს მე-XV საუკუნეში მიაღწია. მის აკვატრო ოლქში მაშინ შედიოდა რუსეთი, შვეცია, დანია და ნორვეგია, ინგლისი და შოტლანდია, საფრანგეთი, ესპანეთი და პორტუგალია, გერმანი-ა. ლიტვა და პოლონეთი, ვაჭრობის მხრივ რუსეთი და სკანდინავიის ჩრდილოეთი მხარე მთლიანად ჰანზელების ხელში იყო.

ჰანზის ქალაქებს შორის დანციგს ქვეშარიტად საერთაშორისო მდგომარეობა ექარა. მე-XV საუკ. დასაწყისიდან ის უშუალო საეპრო ურთიერთობაში იმყოფებოდა ყველა ქვეყნებთან, რომლებიც მდებარეობდენ ჰან-ზას ნაოსნობის საზღვრებში, ლისაბონიდან დასავლეთით ნოვგოროდამდე და ფინეთამდე აღმოსავლეთით, და გარდა ამისა მან კიდევ სხვა გზები გაიყვანა ლიტვაში, პოლონეთში და ვენგრიაში.

სკანდინავიის სახელმწიფოებიდან ჰანზელ ვაჭრებს გაქონდათ რკინა, სპილენძი, ბეწვეული, თევზი, ფისი, კუპრო, ხე-ტყე, ხოლო შემოქონდათ, სხვათა შორის თხელი მთლი, აბრეშუმო, ხავერდი, ლითონის საგნები, ქე-რი, ხორბალი, სელი, ქერელი, ერბო, რაინისა და ესპანური ღვინო, სანე-ლებლები და ტილო. გემებს ლისაბონში შექონდათ ხე-ტყე, ფქვილი, ლუდი და გამზმარი თევზი, ხოლო გაქქონდათ მარილი, კორპი (საცობი), ლეღვი, ქიშხი, ფორთოხალი, საუკეთესო ღვინო და ძვირფასი ბეწვეული.

პორტუგალიის მთავრობა განსაკუთრებით ზელს უწყობდა ყოველგვარი შეღავათების მინიჭებით გემთსაამღმენებლო ხე-ტყის შემოზიდვას. ინგლისთან საეპრო ურთიერთობა მდგომარეობდა, უმთავრესად მრ. ვის-ლას სანაპიროებზე მდებარე ქვეყნებიდან პურისა და ხე-ტყის მასალას

ჯაცვლაში ინგლისურ შალის ნაწარმოებზე, რაიც შეადგენდა დანციგ⁴ ვაჭრობის უმნიშვნელოვანეს დარგს. ეს ქალაქი ხშირად ერთი წლის განმავლობაში პურით დატვირთულ 600—700 გემს აგზავნიდა ინგლისში. დანციგელები შოტლანდიიდან ეზიდებოდნენ მატყლსა და ბეწვეულს. ფლანდრიაში მათ შექჟონდათ ხე-ტყე და პური, ხოლო იქედან, განსაკუთრებით ბრიუგედან, რომელიც ყველა ერებისათვის საწეობი პუნქტი იყო, — გაჰქონდათ სამრეწველო საგნები.

— თუ რაოდენ ფართო იყო ნიდერლანდებთან ურთიერთობა ჩანს იქედან, რომ მხოლოდ ერთ 1481 წ. იქ გაიგზავნა პურით დატვირთული არა ნაკლებ 10.000 „დიდი და მცირე“ გემი, და ნიდერლანდელებმა 1441 წლის სექტემბრიდან 1447 წლის მაისამდე, ე. ი. ხუთნახევარი წლის განმავლობაში გადაიხადეს დანციგში 12 მილიონ გირვანგაზე (Pfundgeld) მეტად დაახლოებით 120 მილიონი ტალერი ფულის დღევანდელი ღირებულების მიხედვით. გემები რიცხვით 30—40 ფლოტებად ერთმანებდნენ და ჩვეულებრივად თითოეულ ამ ფლოტთაგანს ქალაქი უერთებდა თავის დასაცავად შეარჩეულ გემებს.

(იანესი — გერმანიის ეკონომიური და უფლებრივი რეგომარება რეფორმაციის წინ⁵).

§ 8. ვაჭრობა და სავაჭრო პოლიტიკა

ა) ზოგადი დახასიათება

მე-XVI საუკუნეში მოხდა ზიდი გადატრიალება სავაჭრო გაცვლის სფეროში. ვასკო-და-გამამა, გარშემოუარა რა კეთილ-იმედის კონცხს, ათი თვის განმავლობაში ცურვის შემდეგ, მიაღწა კალიკუტს, რომელიც მალაბარის ნაპირებზე იმყოფება. ნახულ იქნა ახალი პირდაპირი გზა ინდოეთისაკენ. ხმელეთით მოგზაურობა, რომელიც დაკავშირებული იყო ესოდენ სიძნელეებთან, განსაკუთრებით ოსმანების მიერ მე-XV საუკუნეში წარმოებულ დაპყრობათა შემდეგ, შეიცვალა ბევრად უფრო ადვილი და ნაკლებად ხანგრძლივი ცურვით ხომალდებზე, რომელიც იტყვედა შეუღლებლად მეტი რაოდენობის საქონელს.

ვასკო-და-გამამას ინდოეთში პირველი მოგზაურობის აღწერაში, რომელიც შედგენილია ერთი მონაწილის მიერ (მისი სახელი არ არის ცნობილი), მოთხრობლია შემდეგო:

„1497 წ. პორტუგალიის მეფე მანუილმა გაგზავნა ოთხი ხომალდი სანელებელთა აღმოჩენებისა და სანელებელთა მონახვისათვის. ამ ხომალდების კომანდორი იყო ვასკო-და-გამა. კვირას 8 თელის 1497 წლისა ჩვენ რასტელოში (ლისაბონის განაპირა უბანი) აუშვით ლუზა. ღმერთმა მისცეს ჩვენს ექსპედიციას, რომელიც წამოწყებულია მისი სახელით ექსპედიციის ოფიციალურ მიზნად ითვლებოდა აღმოსავლეთის ქვეყნებსა ქრისტიანეთა პოვნა და მათთვის დახმარების აღმოჩენა, კეთილი დაბოლოება.“

მაისის 17-ს (ე. ი. თითქმის ერთი წლის შემდეგ, გაჩერება ხდებოდა მოზამბიკში და სხვა ადგილებში) ჩვენ დაიწინაბეთ მიწა და შემდეგ მივა-

დექით აგრეთვე ქალაქ კალიკუტას: ჩვენმა კომანდორმა ქალაქში გაგზავნა ერთი კაცი, რომელიც იქ მიიყვანეს ორ ტუნისელ მავრთან, რომლებიც ლაპარაკობდნენ კასტილიურსა და გენუის ენებზე. და მათი პირველი მისალმება იყო: „რა ეშმაკმა მოგიყვანათ თქვენ აქ?“ მაგრამ შემდეგ იმათ იკითხეს, თუ რას ვეძებთ ჩვენ ასეთ შორ ადგილებში. ხოლო მან უპასუხა: „ქრისტიანებსა და სანელებლებს“. „საკვირველია, — თქვეს მათ. — რატომ კასტილიის მეფემ არ განიგზავნა აქ ხალხი ან ფრანგების მეფემ, ან ვენეციელ სენიორიამ“ (მათთვის ცნობილი ხალხები). მან უპასუხა: „მატომ, რომ პორტუგალიის მეფე ამავე ვერ მოითმენდა“. რაზედაც მათ შენიშნეს: „ის არც ისე უმართლოა“.

მეფემ (ადგილობრივმა რაჯამ) კომანდორი მიიღო, მრავალ საუცხოვო ბალიშებით გაწყობილ დიდებულ საწოლზე წამოწოლილმა. მან ჩვენს მეფეს გაუგზავნა წერილი, პალმის ფოთოლზე დაწერილი. მასში კი ნათქვამი იყო: „მოვიდა ჩვენთან ვასკო-და-გამა, თქვენი ქვეყნის აზნაური. რამაც არა მცირედად გვასიამოვნა. ჩვენს ქვეყანაში ბევრი დარჩინია, მიხაკი, იმბრი, პილპილი და ძვირფასი ქვები, ხოლო თქვენგან-კი მე მინდა ოქრო და ვერცხლი, მარჯანი და სკარლატური (ღია წითელი) მალღი“.

აგვისტოს 29-ს, ვიპოვეთ რა ყოველივე რის პოვნაც გვინდოდა. ჩვენმა კომანდორმა გადასწყვიტა უკანვე დაბრუნება. ჩვენ ყველა დიდი სიხარულით მივესალმეთ ამას: ხომ შევძელით ჩვენ ბევრისა და დიდი რაიმის აღმოჩენა. კალიკუტას ქვეყნიდან (ინდოეთი) მოდის ყოველგვარი სანელებლები, რაიც იხმარება დასავლეთშიც და აღმოსავლეთშიც, პორტუგალიაშიც და ყველა დანარჩენ ქვეყნებში. თუმცა არა ყოველგვარი სანელებლები ხარობს ხოლმე თვით კალიკუტაში, გარდა იმბრისა, პილპილისა და დარჩინისა. და დაეყავით ჩვენ გზაში (უკან დაბრუნებისას) სამი თვე სამი დღით ნაკლებ (მელინდაში ჩამოსვლამდე, აფრიკის აღმოსავლეთის ნაპირზე) ნაწილობრივ უქარობისა და მოწინააღმდეგე ქარის ამოვარდნა მიზეზით.

მთელი ჩვენი ეკიპაჟი მძიმეთ დაავადმყოფდა: ღრძილები ისე დაიკვდა, რომ მთელი კბილები დაფარა და ჩვენ არ შეგვეძლო ჭამა; დასივდა აგრეთვე ფეხებიც, ხოლო სხეულზე გაჩნდა დიდი წყლულები, რომლებმაც ზომამდე დააუძლურა ჯანმრთელი მამაკაცები, რომ ისინი იხოცებოდნენ, თუმცა არაერთარი სხვა ავადმყოფობა მათ არ ჰქონდათ. აქ მოკვდა ანხის განმავლობაში 30 კაცი (ამდენივე მოკვდა კიდევ წინეთ) და ბოლოს თითო გემზე დარჩა სამსახურისათვის ვარგისი, მაგრამ არა სრულიად ჯანსაღი 7 — 8 კაცი. მელინდაში დავრჩით ხუთი დღე და დავისვენეთ უკანასკნელი გადასვლის საშინელი განცდებისაგან. რომელიც ჩვენ ყველას სიკვდილით გვემუქრებოდა. ჩაუშვით რა ლუზა „წმინდა რაფაელის ლელაჟთან“ დაეწვით მისი სახელობის გემი, რადგან ყველა გემებისათვის (მეოთხე დაშვარა იქნა ჯერ კიდევ ინდოეთისაკენ მგზავრობის დროს). არ ვეყოფინა ეკიპაჟი*.

* შემდეგ წერილი შეწყვეტილია, ალბათ თვით ავტორიც დაიღუპა უკან მგზავრობის დროს.

* იგულისხმება პირადი შემადგენლობა.

ინდოეთში საზღვაო გზის აღმოჩენასთან თითქმის ერთდროულად, 1492 წ. ქრისტე ფორე კოლუმბო (კოლონზო) აღმოაჩინა ანტილის კუნძულები, ხოლო შემდეგ ამერიკის კონტინენტიც. ამ ორ მოვლენას, რომელსაც უწოდებდნენ კომპასის გამოყენების შედეგებს („უკომპასოდ არ იქნებოდა ამერიკა აღმოჩენილი“) — აღამ სპიტი სთვლის მთელი ახალი ისტორიის ყველაზე მნიშვნელოვან ფაქტად. მათი გაველნით ვაჭრობის ხასიათი შეცვალა; ვაჭრობა ახლა გამოვიდა შინაგანი ზღვების — ხველთაშუაზღვა, ჩრდილოეთისა და ბალტიის ზღვების — ვიწრო ფარგლებიდან და მიიღო საოკეანო ხასიათი, დაეყარნო რა ქვეყნების შენაერთებულ ატლანტიისა და ინდოეთის ოკეანეებს. არა მანუალები და იტალიელები, საშუალო საუკუნოების ეს მოვაჭრე ხალხი — არამედ ატლანტიის ოკეანის ნაპირებზე მცხოვრები ერები იღებენ ხელთ სავაჭრო ძღვერებას. ესენი — პორტუგალები, ესპანელები, ჰოლანდიელები, ინგლისელები, ფრანგები — სამი საუკუნის განმავლობაში იბრძვიან საერთაშორისო ვაჭრობაში უპირატესობასთვის, „იტალიელების ხელაღან გაეარდნო სპიტი-სათვის“.

მთელი მეურნეული ცხოვრებას გამოცვლილი ხასიათის მიხედვით ბრძოლას აწარმოებენ არა ცალკე ქალაქები ან ქალაქთა ჯგუფები ერთ-ერთ შორის, როგორც ეს იყო საშუალო საუკუნოებში, არამედ მთელი ქვეყნები. მათი სავაჭრო პოლიტიკა ნაწილობრივად არის შედეგი პროტექციონული სისტემისა, რომელიც ტარდებოდა ნაციონალურ მრეწველობას განვითარების მიზნით, მაშასადამე, განქორება იმისა, რასაც იცავდნენ ქალაქელები საშუალო საუკუნოებში. აქედან შევიწროება უცხოელ სამრეწველო საგნების შემოზიდვისა და ნაციონალური მრეწველობისათვის აუცილებელი ნედლეულის, მატყლის, ტყავის, სელის გადაზიდვისა, — შევიწროება აკრძალვით და ამკრძალავი ბაჟების დაწესებით. აქედან ვაჭრების იძულება შეიძინონ ახლად წარმოშობილ მანუფაქტურების ნაწარმოები. მოთხოვნა, რათა სოფლის მოკამაგირეები ატარებდნენ სახელმწიფოში (ავსტრია) დამზადებულ შალის ქსოვილს, ხოლო გარდაცვალებულთ ასაღლებდნენ შალის სამოსელში და შალით გამოკრულ კუბოში (ინგლისი). აქედან დაბოლოს, საკუთარი მრეწველობის ნაწარმის სხვა ქვეყნებში გაზიდვის წაქეზება და იმავე დროს საშინაო ვაჭრობასთან სკეპტიკური დამოკიდებულება; მას ზომ არ მოაქვს სახელმწიფოსათვის სხვა ხალხებიდან ახალი სიმდიდრე, არამედ მდგომარეობს იმავე სახელმწიფოს ფარგლებში, მოსახლეობის ერთი ტენის დანარჩენების ანგარიშზე გამდიდრებაში.

სხვათა შორის, ჭაბრკალების ექსპორტის მფარველობა უკვე რაღაც ახალ რასმეს წარმოადგენს, წინა ეპოქისათვის უცნობს, და უფრო ახალ რამედ — განსახილავი. ეპოქისათვის დამახასიათებლად და ყველა სახელმწიფოსათვის საერთოდ — უნდა იქნეს ცნობილი წაქეზება ვაჭრობის, როგორც ასეთის, მრეწველობის ნაწარმის გაზიდვისათვის სრულიად დაუკავშირებლად, მაგრამ, ცხადია მას აქეზებენ მხოლოდ იქ, სადაც მას არ მოაქვს ინება მრეწველობასათვის; ამიტომ მანეთ ითვლება შემოზიდული სამრეწველო საგნებით ვაჭრობა. წინეთ ასეთ პოლიტიკას ემხრობოდა მხოლოდ

რამოდენიმე სავაჭრო ცენტრი. ეს წაქეზება მდგომარეობს კოლონიებთან ვაჭრობის და მათსა და მეტროპოლიას შორის, ნაოსნობის, აგრეთვე კაბოტაჟური ნაოსნობის, ე. ი. ერთსა და იმავე სახელმწიფოს ნავთსადგურებს შორის ნაოსნობის, თავის ხელში მონოპოლიზირებაში. ის მდგომარეობს, შემდეგ, გემთმშენებლობის განვითარებისათვის ხელისშემწყობ ღონისძიებაში, სახელმწიფოში აგებულ გემებისათვის პრემიის მიცემის სახით. სხვა ქვეყნების გემებისა და მათზე დატვირთული საქონლის დამატებითი გამოსაღებით დაბეგვრის სახით.

სხვადასხვა სახელმწიფო — არა მარტო ინგლისი, არამედ საფრანგეთიც, ესპანეთს შეეცა — კიდევ უფრო შორს მიდიან; საკუთარი ნაოსნობის წასაქეზებლად ისინი კრძალავენ სხვა ქვეყნებიდან საქონლის შემოზიდვას. გარეშე საკუთარი გემებისა ან საქონლის წარმომშობი ქვეყნის გემებისა. დასასრულ არსებითი მნიშვნელობა აქვს აღებულ პერიოდისათვის მი-სწრაფებას ამერიკასა და ინდოეთში, არა მარტო მათში არსებული ოქროსა და ვერცხლის სამადნობების საექსპლოატაციოდ, არამედ საექსპორტო ვაჭრობის განვითარებისათვისაც.

ვაჭრობაში უპირატესობის მოსაპოვებლად ცალკე ქვეყნებს შორის წარმოებული ბრძოლა გამოიხატება უმთავრესად ოკეანეს იკითა ქვეყნების დაპყრობაში, ადგილობრივ მოსახლეობის ამოწყვეტაში ან მათი მონებად გადაქცევაში და იძულებით სიმდიდრის წართმევაში (ოქროს მოკაზმულობისა და სამკაულის მოტაცება, სასახლეებისა და სამარხების გაძარცვა). მათთვის მეტროპოლიას გარეშე სხვა ქვეყნებში საქონლის შექმნის აკრძალვაში. ევროპის სახელმწიფოებს შორის დაუსრულებელ ომებში თავი-სი ვაჭრობისა და ნაოსნობის განვითარებისათვის, დანარჩენი ქვეყნების საზიანოდ.

ამგვარად, ეს ბრძოლა წინანდებურად მკაცრია, სისხლისმღვრელი; მე-XVII საუკ. მეორე ნახევარი ხასიათდება უამრავი ომებით ჰოლანდიასა და ინგლისს შორის ვაჭრობაში სუპრემატიისათვის; მე-XVIII საუკ. — ომებით ინგლისსა და საფრანგეთს, ინგლისსა და ჰოლანდიას და ჰოლანდიასა და საფრანგეთს შორის სავაჭრო ინტერესებისათვის; ბიუშის სიტყვით ინგლისმა 1790 წლის წინა 149 წლიდან 66 წელი ვაჭრობაში კონკურენტების მოსაპოვებლად მიმართულ ომებში გაატარა.

ბ) პორტუგალია და ესპანეთი

მე-XVI—XVIII ს.ს. ვაჭრობის ისტორიის პირველ ეპოქას პორტუგალია-ესპანეთის პერიოდი შეადგენს (დაახლოებით 1600 წლამდე), მეორეს — ჰოლანდია-ინგლისის (XVII—XVIII ს.ს.) და შედეგად გამარჯვებული რჩება ინგლისი, რომელიც მე-XVIII საუკ. ბოლოსათვის პირველ სავაჭრო სახელმწიფოს წარმოადგენს.

ვ. ზ. ო. შ. ბ. ა. რ. ი. ს. გამოანგარიშებით მე-XVIII საუკ. ბოლოს საერთაშორისო ვაჭრობის ბრუნვა 2 მილიარდ მარკამდე აღწევდა (მე-XX საუკ. დასაწყისში იყო დაახლოებით 200 მილიარდი), მე-XVIII საუკ. განმავლობაში ის გაორკეცდა. მე-XVIII საუკ. მცხოვრებთა ერთ სულზე ყველაზე

მეტი ბრუნვა მოდიოდა ნიდერლანდებში (300 მარ.), ინგლისში (70 მარ.), საფრანგეთში (40 მარ.), პორტუგალიაში (30 მარ.). სიმძიმის ცენტრს კოლონიებთან ვაჭრობა შეადგენდა. ინგლისში მე-VIII საუკ. დასასრულს ის უდრიდა მთელი ჰავაქრო ბრუნვას 40 პროც. (მე-VIII საუკ. დასაწყისში — 22 პროც.), საფრანგეთში 33 პროც. (მე-VIII საუკ. დასაწყისში — 18 პროც.).

პორტუგალელებს ეკუთვნის პირველი აღმოჩენები აფრიკის დასავლეთ ნაპირზე (ჰაინრიხ ზღვათმცურავის მიერ) და ინდოეთში მალაბარის, კამბაის და კორომანდელის ნაპირებზე; რაინვე დამკვიდრდნენ ცელონზე, მალაკზე, ზონდისა (სუმატრა. იაეა, ცელებესი) და მოლუკის კუნძულებზე (სანელეზელთა კუნძულებზე, როგორც მათ უწოდებდნენ), ხოლო 1563 წ. მაკაოშიაც (ჩინეთში). „50 წლიანი პეროდის განმავლობაში მათ შეძლეს ფაქტორიების დაარსება დაწყებული მადრიდიდან და დამთავრებული იაპონიით, ასორმოცდაათი გრადუსის სერცეზე“; წარმოიშვა დიდი „კოლონიალური იმპერია“, განსაკუთრებით ალბუკერკის მეოხებით. ამ „ინდოეთის ნაპოლეონისა“, როგორათაც მას შემდეგში უწოდებდნენ. პორტუგალიელების ხელში იმყოფებოდა ახლა სანელეზელით და ნელსურინეზელით, შაქრითა და ბამბით ვაჭრობა. ლისაბონი შეიქმნა საერთაშორისო ვაჭრობის ცენტრად, მის საშუალებით მყარდებოდა ურთიერთობა ევროპასა და ინდოეთს შორის; ლისაბონიდან ეზიდებოდნენ ინდოეთის საქონელს სხვა ქვეყნებში.

პორტუგალელები იყვნენ ინდოეთის ოკეანეს სრული ბატონ-პატრონი; არაბული ვაჭრობა მოსპობილი იქნა, ხოლო ირანულ-ინდური მათი ფორტების ახლო გადიოდა; არც ერთ გემს არ შეეძლო მათი ნებართვის გარეშე ცურვა, წინააღმდეგ შემთხვევაში მას ჩათვლიდნენ, როგორც მეკობრულს; იქაურ თავადებთან დადებული ხელშეკრულებას საშუალებით, ვაჭრობა უზრუნველყოფილი იქნა მარტოოდნენ პორტუგალელებისათვის. ინდოეთის პირველ ექსპედიციებში მონაწილეობას იღებდნენ იტალიისა და გერმანიის ვაჭრებიც; შემდეგში კი მათთვის მგზავრობის საშუალება სრულიად მოიხსო. გარდა ამისა, ვაჭრობა თანდათანობით თავს იყრდა მეფის ხელში, სანელეზლებით ვაჭრობა (პილპილით, იმბოიონთ, დარიჩინით, მუსკატის კაკლით, მუსკატის ყვავილით, მუხაკით; ბრაზილიის ხით), მეფის რეგალიად იქნა გამოცხადებული.

მაგრამ „პორტუგალიის ზღვის-ქეთა დაპყრობების გმარული ეპოქია“ მალე კრახით უნდა დაბოლოებულიყო. ევროპის არცერთი სახელმწიფო არ იყო კოლონიალური მოღვაწეობისათვის ისე მოუშვადებელი. როგორც პორტუგალია. ეს იყო უფრო მაღალი გაქანების მეკობრეთა ძალა-უფლება. ..ბედია — ამბობდნენ ინდუსები. — რომ ღმერთმა ინება. რათა პორტუგალელები ისეთივე მკიცრებიცხოვანი ყოფილიყვნენ, როგორაც ვეფხვები და ლომები — წინააღმდეგ შემთხვევაში ძინი გაწყვეტდნენ მთელ კაცობრიობას“. საკმაო იყო ინდოეთში პოლანდიელების გამოჩენა; რომ პორტუგალიის კოლონიალური იმპერია რამოდენიმე ათეული წლის განმავლობაში

რე მარტოოდენ მხოლოდ ესპანეთში უნდა მიდიოდეს, და მხოლოდ ესპანეთის შეუძლია მათი საქარო ევროპული პროდუქტებით მომარაგება; კოლონიებს ურთიერთშორის ვაჭრობის წარმოება მხოლოდ ესპანელი კომერსანტების საშუალებით შეეძლოთ, ამავე დროს ამერიკასთან სავაჭრო დამოკიდებულებით დაქერა მხოლოდ კატალიელებს ქონდათ ნება დართული და ისიც ერთი საზღვაო ნავთსადგურით — ჯერ სევილით, ხოლო შემდეგ კადისით. ესპანეთთან ვაჭრობა იმყოფებოდა ხუთ სევილიელი ვაჭრისაგან შემდგარი ე. წ. საკონსულოს გამგებლობაში, ესენი, დამოკიდებულნი იყვნენ უცხოელებისაგან, რომლებიც მოქმედებდნენ თავის შეხედულებებისამებრ მხოლოდ და მხოლოდ პირადი ინტერესით, მაგ., აჩერებდნენ გემების გააგლას მანამდე, სანამ მათი საკუთარი საქონელი არ ჩქნებოდა ამერიკაში გაყიდული.

ამრიგად დაწესებული მკაცრა მონოპოლია ფაქტიურად დარღვეული იქნა უკვე მე-XVI საუკუნის ნახევარში „ძალზე ფართო კონტრაბანდის, როგორც კი შეძლება ნებევიდრილი იქნეს ვაჭრობის ინტორიაში წარმოშობის გამო. კონტრაბანდის წაქეზება ხდებოდა მით, რომ სევილიელი ვაჭრები, რომელთა ხელშიც იყო ამერიკასთან ვაჭრობა, ყურადღებას მხოლოდ ოქროსა და ვერცხლს აქცევდნენ და სხვა პროდუქტების იქედან გადანიღვავზე უარს ამბობდნენ, ისევე როგორც არ ამარაგებდნენ კოლონიებს მათთვის საჭირო ევროპული პროდუქტებითაც. უკვე ფილიპე მე-II დროს¹⁶ იმ საქონლისა, რომელსაც ესპანეთის კოლონიებში ეზიდებოდნენ უცხოეთის ფაბრიკაციისა იყო; მე-XVII საუკ. კონტრაბანდული ვაჭრობა პოლიტიკურ სისტემადა შეიქნა, რომლის საშუალებათაც სხვა სახელმწიფოებ — საფრანგეთი, შემდეგ პოლანდა და ინგლისი — ესპანეთს ებრძოდნენ. ნიდერლანდის საქონელი ამერიკაში შექონდათ კუნძულ კიურასოზე (პოლანდის კოლონიის) გაელით, ხოლო ინგლისური კუნძული იამაიკაზე გაელით. ესპანეთის კოლონიებთან ამერიკის ნაპირებზე კონტრაბანდულ ვაჭრობაში მონაწილეობას იღებდა ყველა, დაწყებული საფრანგეთისა და ინგლისის, მეფეებით გათავებულა საბაჟო, უკანასკნელი ნახელით. ინდოეთში საბუო მკარდობა — მას ეწეოდა სხვა ნაკლები ვაჭრები მთავრადღებულ ესპანეთისა ამერიკაში.

ფრანგებმა სევილში სპეციალურ სამხედრო გემებზე აგზავნიდნენ დანაცავად და გამოასყილად ამერიკიდან მოშავალი ე. წ. ვერცხლის ფლოტისა (ე. ი. ვერცხლთ დატვირთული გემების) იმ ნაწილისა, რომელსაც საფრანგეთის ვაჭრების კუთვნილს შეადგენდა. ფრანგები იქ თავის მათდს ასალებდნენ, ესპანეთის ყალბი ხარობისა და მარჯის შემწეობით, ზშირად ესპანეთის ვაჭრებაც უთანხმდებოდნენ ხოლმე და აშკარად მათი დანაშაურობით უშუალო ვაჭრობას ეწეოდნენ ამერიკასთან. მათ ესპანეთის სამეფოკარზე ყავდათ აგენტო, რომელიც ხშირად აგზავნიდა სამხედრო გემებს და ესპანეთის კოლონიებს ემუქრებოდა. უკეთუ ესპანეთი შეაფურცებდა ფრანგებს ფარულ ვაჭრობას, საფრანგებზე (მე-XVII საუკ. დასასრულს) რომ საფრანგეთის ოსტ-ინდოეთის კამპანია სახელმწიფოდან ფულს ეზიდებოდა (რაც მაშინ დანაშაულად ითვლებოდა). კომპანია სარა უსაფუძ-

ვლად პაპუხობდა, რომ ის იხლას თავის მიერ შემოზიდულ საქონლსათვის ესპანეთის ვერცხლს.

და მართლაც ამ გზით საფრანგეთს ხელში გადადიოდა ასეული მილიონები, — ინგლისელები ფიქრობდნენ, რომ მხოლოდ ეს აძლევს ფრანგებს საშუალებას ომები გადაიტანონ, ხოლო ტორები საყვედურობდნენ ვიგებს, რომ მათ არაფერი გაუკეთებიათ ამ ვაჭრობასთან პრძოლას საქმეში. მაგრამ თვით ინგლისელებაც, ისე როგორც ჰოლანდიელები ეზიდებოდნენ ამერიკაში თავიანთ საქონელს როგორც კონტრაბანდის გზით ისე ესპანეთს ვაჭრების დახმარებით და მათი სახელით. სევილში ან კადიქსში მათ ყავდათ „ერთგული მეგობარი“; რომელც ხელს აწერდა მათ კონოსამენტებსა და ფაქტურებს და საბაჟოში ატარებდა მათ მიერ კოლონიებში გასაგზავნად საქონელს. ასეთი ოპერაციები უკვე მე-XVI საუკუნეში წარმოებდა და ორი საუკუნის განმავლობაში შემდეგაც გრძელდებოდა. ჯერ კიდევ მე-XVIII საუკუნე დასაწყისში ესპანელი ვაჭრები უცხოელთა კომპანიონერები იყვნენ და სხვა არაფერი.

მაგრამ, სწორედ ასევე. შინაგანი ვაჭრობა, კრედიტი და მრეწველობა ესპანეთში უცხოელების ხელში იყო. ფუგერების აუტსურგელ სავაჭრო სახლს ეკუთვნოდა ესპანეთის სამადნეობა და ვერცხლის წყლით ვაჭრობის მონოპოლია; კორტესების თქმით 1542 წ. გენუელები სარგებლობდნენ საკვება სავნებით, მატყლით, აბრეშუმით და რკინით ვაჭრობაში ფაქტურის მონოპოლიით. მე-XVII საუკუნე ნახევრამდე სამხრეთ-გერმანიისა და გენუის კომერსანტები ესპანეთს მეფეების ბანკირებად ითვლებოდნენ, იღებდნენ მათგან გამოსყიდვით გადასახადების აკრეფის უფლებას, მიუხედავად, კორტესების მხრივ ამის არაერთხელ აკრძალვისა.

მშრომელთა მთავარ მასას — ვკითხულობთ ბო დენის ნაშრომში — ესპანეთში შეადგენდნენ ფრანგები; განსაკუთრებით ოვერნიდან და ლიმუზენიდან, ისე რომ ნავარასა და არაგონში თითქმის ყველა მევენახეები, პურის მთქაველნი, კალატოზები, დურგლები, ხარატები, ეტლას მკეთებელნი, თოკის მგრებანი, ქვის მტვრეველნი, ცხენის მოსართავ მოწყობილობათა ხელოსნები ფრანგები იყვნენ. მე-XVII საუკუნის ნახევარში მართო ერთ მადრიდში ითვლებოდა 40 ათასზე მეტი უცხოელი; რომელთაც ეკუთვნოდნენ თითქმის მთელი სარეწაოები.

ერთა მოგზაური, რომელმაც ესპანეთი მოიარა 1667 წ., აშობს, რომ „ნათ. იმ ზომამდე სძაგთ შრომა, რომ ხელოსანთა უმთავრეს ნაწილს იქ უცხოელები შეადგენენ“. მეორე, — 1693 და 1695 წლებს შორის, — მოვკობრობს: „ისინი ესპანელის ღირსებასთან შეუსაბამოდ სთვლიან მუშაობას და მომავლისათვის ზრუნვას“. მესამე — 1679 წ. — გვარწმუნებდა რომ ისინი უფრო ადვილად აიტყნენ სამშილს და სხვა გაჭირვებას, ვიდრე დათანხმდებიან მუშაობაზე, სთვლიან რა მუშებს მონებად“. ამიტომაც, რომ ის საქონელიც კი, რომელსაც თვით ესპანელები ეზიდებოდნენ კოლონიებში უცხო წარმოშობისა იყო და სევილში მოჭრილი დუკატი და პეზოსი მექსიკიდან და ლილზდან ჰოლანდიაში, საფრანგეთსა და ინგლისში გადიოდა, — ესპანეთში მხოლოდ სპარსეთში ფულს რჩებოდა. ამერიკის

ოქროს გამო გაღარიბდა ესპანეთი“. რამდენადაც დიდ ვაჭრობა, ეწევა ესა თუ ის სახელმწიფო ესპანეთთან, იმდენად მეტ ფულს იგებს ის, — აწაბდა კოლბერი.

მე-XVIII საუკ. ესპანეთის მდგომარეობა არ გაუმჯობესდა, პირიქით, უფრო გაუარესდა ის. ერთი მეოცედი ნაწილი იმასა, რასაც იხმარდა ესპანეთის კოლონიები — ძლივსა იქნებოდა მოტანილი ესპანეთადან. ყოველ-ღეე დანარჩენი შექონდათ პოლანდიელებს, ფრანგებს, ინგლისელებს.

შავკანიანებით ვაჭრობის დამოუკიდებლად წარმოება ესპანეთს არ შეეძლო: ამისათვის არ იყო არც საჭირო კაპიტალი, არც შესაფერისი გემები, არც საქონელი აფრიკაში ტყვეებზე გასაცვლელად; ამიტომ ის იძულებული იყო ესპანეთის კოლონიების შავკანიანებით მომარაგების უფლება მიეყიდა სხვა სახელმწიფოებისათვის, რომლებიც მისგან დიდ მოგებას ნახულობდნენ. უტრიხტის ზავის მიხედვით ეს უფლება (asiento de negros) ინგლისელებს მიენიჭათ. ამასთან დაკავშირებით მათ შესძლეს მიეღოთ პრაკილეგია წელიწადში ერთხელ გაეგზავნათ პორტობელოში 500 — 600 ტონიანი გემო, რომელსაც უფლება ჰქონდა ინგლისში შემოეზიდა გაყიდული შავკანიანების სანაცვლოდ შეძენილი საქონელი და კეთილშობილი ლითონები. სანამდელიეში ამით ძალზე ილაზებოდა ესპანეთის მონოპოლია ვაჭრობაში და წარმოებდა ზედმეწევნით წაქეზება კონტრაბანდისა ამერიკასთან, რადგან ინგლისის ე. წ. პერმისიონული (ე. ი. ნებადართული) გემო საქონლის მცურავ საწყობად გახდა: ის ექვს თვეს ატარებდა რეიდზე პორტობელოში და ტვირთს გააღებდასამხედვით ეს უკანასკნელი ყოველთვის, იწებოდა იმ მცირე ზომადღებ-ს საშუალებით, რომლებიც თან ახლდა გემს და კავშირს იჭერდნენ ნაპირთან.

1738 წ. ინგლისელებმა ყოველგვარი ნებათთვის გარეშე ამერიკაში გაგზავნეს 40 გემი, თითოეული 150 — 200 ტონისა. 1748 წ. კონტრაბანდისტებმა ააგეს ფორტი პანამიდიან 40 მილის მანძილზე; მოამარაგეს ის ჯარით და იარაღით, და ესპანეთი იძულებული შეიქნა მის წინააღმდეგ გაეგზავნა შეიარაღებული ძალა. 1750 წ. ინგლისის კომპანიას წაერთვა თავისუფლება შავკანიანებით ვაჭრობისა, მაგრამ 1763 წ. პარიზის ზავით ინგლისელებმა მონოპოლეცა უფლება გონდურასის ნაპირებზე საღებავი ხეების გაჩეხვის და ამით სარგებლობდნენ მექსიკასთან ისევე კონტრაბანდულად ვაჭრობისათვის.

მხოლოდ 1778 წ. ესპანეთმა გადადგა პირველი ნაბიჯი ამერიკასთან ვაჭრობის დაბრკოლებათაგან განთავისუფლებისათვის, — გამოაცხადა თავისუფალი ვაჭრობა ესპანეთსა და ვესტ-ინდოეთს შორის. ამერიკასა და ევროპას სხვა სახელმწიფოებს შორის ვაჭრობა კი კვლავინდებურად აკრძალული იყო, თუმცა ფაქტიურად ის დიდ ხანია ფართოდ წარმოებდა, ამასთანავე პოლანდიის, ინგლისისა და ჰამბურგის ვაჭრები თავანთ საქონელს ამერიკაში გზავნიდნენ ესპანელების სახელით, რომლებთანაც ისინი შეთანხმებაში შედიოდნენ. ახლა ესპანეთის ცამეტ ნავთსადგურს, ნება დაერთოთ ამერიკის ოც ნავთსადგურთან ვაჭრობის წარმოებისა. და მხოლოდ ამ დროიდან გაცხოველდა სუვაქრო ურთიერთობა ესპანეთსა ამერიკასთან.

გაიზაოდა ესპანეთს, გემებით ყვესა და კაკოს, შაქრისა და ინდიგოს ვაზ-
ზღვა.

მიუხედავად ამისა 1789 წელშიც საფრანგეთიდან ესპანეთში გატანილი
იქნა 57,4 მილიონ ფრ. საჭონელი, მაშინ როდესაც იქ-დან საფრანგეთში
შემოზიდულ იქნა სულ 21,1 მილიონ ფრანკის საჭონელი. საერთოდ ყო-
ველსავე ეს ხდებოდა უკვე იმ ხანებში, როდესაც ესპანეთი პკარგავდა თავის
კოლონიებს — არა მარტო გაიტია და ფლორიდას, არამედ მთელ
თავის მდიდარ კოლონიებსაც სამხრეთ ამერიკაში (ჩილის, ვენესუელას,
ახალ გრენადას, ბოლივიას, პერუს). 14½ მილიონ კვ. კილომეტრის კოლო-
ნიალურ ფლოპელობიდან, რაც ეკუთვნოდა ესპანეთს მე-XVIII საუკუ-
ნეში. 1830 წლისათვის შეინარჩუნა ½ მილიონ კვ. კილომეტრზე ნაკლები.

1585 წ. ნიდერლანდებთან ომის დროს, ფილპე მე-II-მ ხელთ ჩადო
ნიდერლანდის გემები, რომლებიც პორტუგალიის წყალში ამყოფებოდნენ;
ხოლო იმდენად დახურა ლისაბონის ნავთსადგური ინგლისელებსათვისაც.
ამრავალ მან ორთავე სახელმწიფოს მოუსპო საშუალება ინდოეთის საჭო-
ნელის მიღებისა ლისაბონში (სევილსა და კადიქსში), რასაც ადგილი ქონ-
და ინდოეთის საზღვრო გზის აღმოჩენის დროიდან. მართალია, მალე ნავთ-
სადგურები ისევ გახსნილა იქნა; მაგრამ პოლანდიელები და ინგლისელები,
რომლებიც ჯერ კიდევ წინათ იცდებოდნენ აღთქმას ქვეყანაზე (ინდოეთ-
ზე), ახლა უკვე ცდილობდნენ აეთა შემთხვევების თავიდან აცილვას და
თავიანთ გემების გაგზავნა დაიწყეს ინდოეთში.

ც) ნიდერლანდები და საფრანგეთი

პოლანდიელები საქონელს პირველ ხელიდან იძენდნენ და უფრო და
უფრო აჭიწროვებდნენ პორტუგალიელებს და დევნიდნენ ინდოეთის კონტი-
ნენტისა და კუნძულებიდან. უკვე 1600 წ. საფრანგეთს ელჩი-ნიდერლან-
დებში სწერდა პენროხ მე-IV, რომ „პორტუგალიელებისათვის დღია სა-
შიშროება იმისა, რომ ესა-ნი დიდხანს ვერ ისარგებლებენ აღმოაგლეითის
სამდიდრით“, ხოლო 1640 წ., როდესაც პორტუგალია კვლავ გამოეყო
ესპანეთს, უკვე მთელ ვაჭრობა დაწყებული კონ-ნს-ნიდან, ეიდრე ზონ-
დის კუნძულებამდე პოლანდიელების ხელთ იყო; პორტუგალიის მეფის
შოადგოლეს კი არ ჰქონდა შესაძლებლობა ინდოეთიდან ლისაბონში
ფლოტის გაგზავნისა, ხალხისა და ფულის უქონლობის გამო. პოლანდიე-
ლები არა მარტო ამის წყლებზე ბრძანებლობდნენ, არამედ მათვენი მიმა-
ცალი გემებიც მათ ხელში იყო. ამათვე ეკუთვნოდათ წმ. ელენეს და მავ-
რიკიას კუნძულები, ესე როგორც კეთილი იმედის კონცხიც, ასე რომ
ნიდერლანდების ოსტ-ინდოეთის კომპანია აერთიანებდა მთელი აზიის
ვაჭრობასა და აზიის ტრანსპორტს. რაღაც ნახევარი საუკუნის განმავ-
ლობაში პოლანდია ყველაზე უფრო ძლიერ სახელმწიფოდ შეიქნა ინდო-
ეთში; ყველგან ქონდა მეს თავისი ფაქტორები, მისი ესკადრა ბრძანებ-
ლობდა მთელ ზღვებზე.

სისტემა, რომელიც ტარდებოდა პოლანდიელების მიერ იგივე იყო.
რასაც წინათ პორტუგალიელები იცავდნენ: ინდოეთის წყლებში უცხოეთის

გემები არ დაიშვებოდა, არაწივთარი სხვა პროდუქტ, გარდა ჰოლანდიუ-
რისა არ შეიძლება შეზღუდული ყოფილყო ინდოეთში. ვაჭრობა, რო-
გორც ევროპასა და ინდოეთს შორის, ისე ინდოეთსა და აზიის ცალკე
ადგილებს შორის საერთოდ თავმოყრილი იყო ჰოლანდიელების. ანდა
უფრო სწორად რომ ვთქვათ, მხოლოდ ერთ ჰოლანდიურ ოსტ-ინდოეთის
კომპანიას ხელში, რომელიც დაარსდა 1602 წელს.

ე. უკანასკნელ: სარგებლობდა არა მარტო ვაჭრობის მონოპოლი-
თელს მანძილზე კეთილი იმედის კონცხსა და გორბომის კონცხს შორის,
არამედ ომის გამოცხადებისა და ზაფხუ შეკერის უფლებ-თაც. ყველა აქ
მდებარე ქვეყნებში, ე. წ. პირველად ყოვლისა ოსტ-ინდოეთში კომპანიას.
უფლება ქონდა აეშენებია ქალაქები და ციხეები. მოეჭრა ფული, ეწარმო-
ებია სამოქალაქო და სისხლის სამართლის მართლმსაჯულება, დაენიშნა
მიხელები, დაედვა კავშირი ადგილობრივ ხელისუფლებასთან. — და ყო-
ველზე ე. გენერალური შტატების სახელით. ის წარმოადგენდა რაღაც
საოცარს — ჰოლანდიის „ლევიათანს“, — „ნიდერლანდებს“ დაჰატებთ ხე-
ლოვნურად წმინდა კაპიტალიზმურ საფუძვლებზე შექმნილ სახელმწი-
ფოს. რომლის ტერიტორიასაც წარმოადგენდა „უკანაგებში მტურაგი გე-
მები და პორტუგალიელებისათვის წართმეული კოლონიები“. მის ხელში
მოექცა ინდოეთის კუნძულებიანი ნაწილი. განსაკუთრებით: მოლუკის
კუნძულები (ამბოინა, ბანდა). საიდანაც ეზიდებოდნენ მიხაკსა და მუსკატს;
ზონდის კუნძულები — იავა, სადაც ყოფიდა დაარსებული ქალ. ბატავია. ცე-
ლებრი ქალაქ მადაგასკარის სუმატრა — აქედანაცაქონდათ პეპერი. და აქ
კომპანიამ ყავის პლანტაციები გააშენა: შემდეგ ცეილონს. მაგრამ კომპა-
ნია დამკვიდრდა ინდოეთში. კონტინენტზეც — მალაბარის ნაპირზე (აჩან,
კალიკუტა), ჰიამაში და მალაკაში. დასასრულ მან შესძლო სავაჭრო გაც-
ვლა-ვაშოცვლა დაეჭირა სპარსეთთან. ჩინეთთან და იაპონიასთან; იაპონი-
აში მარტოდენ ჰოლანდიელები სარგებლობდნენ ვაჭრობის უფლებით.

შალე წარმოიშვა, ოსტ-ინდოეთის კომპანიის-მაგვარი მეორე სააქციო-
ნერო კომპანია — ვესტინდოეთისა (1622 წ.). რომელსაც მიენიჭა მის მიერ
ამერიკაში ახლად აღმოჩენულ ქვეყნებთან ვაჭრობის მონოპოლია. კომპა-
ნიამ ხელთ იგდო იტალიის რამდენიმე კუნძული. ჩრდილოეთ ამერიკაში
დაარსდა სან-შათმოქმედო კოლონია ქალაქ ახალ-ამსტერდამით (შემდეგში
ინგლისელებმა მას ნიუ-იორკი დაარქვეს). შეუდგა სურინამის ან გვიანას
კოლონიზაციას. დროებით ბრაზილიაც დაპყრო, მაგრამ მალე იძულებული
შეიქნა უკანვე დაებრუნებია ეს პორტუგალიისათვის. მაგრამ მისი მთავარი
მოღვაწეობა არა დაპყრობებშია და ვაჭრობებში მდგომარეობდა. არამედ ვა-
ჭრობაში (მეკობრეობაში) — ესპანეთსა და პორტუგალიის ხომალდების
მოტაცებაში (1623 — 1636 წ. წ. მოიტაცეს 547 გემი, რომელთა ღირე-
ბულება ტვირთთან ერთად 40 მილიონ გულდენს შეადგენდა) — და ე-
პანეთის სავაჭრო მონოპოლიასა და კოლონიალური ბრძანებლობის მოა-
პობაში. კიურასო გახდა ცენტრად ჰოლანდიელების ფართო კონტრაბან-
დული ვაჭრობისა ამერიკასთან და ტყვეების დიდ ბაზრად.

ნიდერლანდებში, ვაჭრობა ოსტ-ინდოეთთან არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა. მართალია, ციფრებში მიხედვით, ნიდერლანდების ვაჭრობა და ნაოსნობა ევროპის ზღვებზე უფრო მნიშვნელოვანი იყო, ვინემ ოკეანეს იქეთა ვაჭრობა: მე-XVIII საუკუნის დასასრულისათვის მათი ოკეანეს იქეთა საავაჭროს ბრუნვა 65 მილიონ გულდენს შეადგენდა, ხოლო ევროპულ ვაჭრობას — 157 მილიონ გულდენს, მაგრამ არ უნდა იქნეს მხედველობიდან გაშვებული ის, რომ ევროპულ ვაჭრობის ციფრებში ჩვენ მნიშვნელოვანი რაოდენობით ვხვდებით აგრეთვე კოლონიებთან ვაჭრობის ბრუნვასაც. — ჰოლანდიელები კოლონიებში შესყიდულ საქონელს ეზიდებოდნენ შემდგომი მიმართულებით, ევროპის ქვეყნებში. ევროპულ ვაჭრობაში პირველი ადგილი იჭირა გაცვლა-გამოცვლას ჩრდილოეთის და ბალტიის ზღვებზე, სადაც ნიდერლანდებმა უკვე მე-XV საუკუნიდან, ჰანზელების თანდათანობითა შევიწროვებით, — უპირველესი მნიშვნელობა მოაპოვეს. დანარჩენები განმტკიცდნენ სკანდინავიის სახელმწიფოებში და რუსეთში. ისინი აღმოჩნდნენ მე-XVII საუკ. თითქმის ერთად ერთი შუამავალნი (ყოველწლიურად იქეთ მიდიოდა 800 — 1200 ჰოლანდიის გემი). რომლებზეც შეეძლოთ ამ ქვეყნებს გაესაღებიათ თავისა პური, ტყე, რკინა, ტყავი, და სხვა ნედლი მასალა.

თუმცა ხმელთაშუაზღვა აღარ არის „დედამიწის გული“ და „მთელი კომერციის დედა“ ჩრდილოეთით, ზღვა შეაქნა, ჰოლანდიელები მანც არ უვლიდნენ გვერდს პირველ მათგანს: ისინი აქაც გახდნენ მეფრახტეები ხალხების უმრავლესობისა, რომლებიც მონაწილეობას იღებდნენ ხმელთაშუაზღვაზე ვაჭრობაში. გენუელები და ვენეციელები, ფრანგები და ესპანელები. ბერძნები და აღმოსავლეთის ებრაელები, — ყველა ესენი ჰოლანდიელებს მიმართავდნენ, რადგან უკანასკნელნი არ იღებდნენ მაღალ ფრახტს. კეთილ-სინდისიერად ასრულებდნენ მინდობილობას, ხასიათდებოდნენ სწავლული, წესების დაცვით და ბეჯითობით. მიწწრაფებაში, რომ თავის ხელში ჩაეგდო მთელი ტრანსპორტი ხმელთაშუაზღვაზე ჰოლანდიელებს მზად იყვნენ ყველაფერზე: ისინი თავიანთ გემებს უთმობდნენ ზედმიწევნით საშიშ წამოწყებებს; კაპიტანები საფრთხეში ავდებდნენ საკუთარ და თავის ეკიპაჟს სიცოცხლეს; სთვლიდნენ რა ნაოსნობას „საერთაშორისო საქმედ“ ჰოლანდიელები გემებს აძლევენ როგორც მეგობრებს ისე მტრებსაც.

ოსტ-ინდოეთთან ვაჭრობას საწინააღმდეგოდ, ხმელთაშუაზღვაზე ვაჭრობა ერთ რომელიმე პრივილეგიის მქონე კომპანიის ხელში კი არ იყო. არამედ გახსნილი იყო ყველასათვის. მოწყობილი იყო მხოლოდ ესპანეთიდან გამოძევებული ებრაელების (რომლებმაც სტრუქტურით მოყვარეობა ნიდერლანდებში პოვეს) ინიციატივით სავაჭრო პალატა ნაოსნობის მოწაწესრიგებლად. განსაკუთრებით მეგობრების მიერ გემების მოტაცების ასაცულებლად: ამ მიზნით დაწესებული იქნა ფლოტილიებით, საზღვაო მმართველობათა ცურვა, რომლებიც ვადროდნენ განაწილურულ ვადებში. ახმედრო გემების თანხლებით.

ამ პალატის დახმარებით ჰოლანდიელები გულმოდგინედ მოგზაურობდნენ ხმელთაშუაზღვაზე. თუმცა ალექსო უკვე აღარ იყო. „პატარა ინდოეთი“, როგორც მე-XV — XVI საუკ., მაგრამ ბაზა და აბრეშუმი ახლაც კიდევ იზიდავდნენ აქეთგან ჰოლანდიელებს. ტუნისსა და ალჟირს — „ჭირტანობის მტრებს“, ისინი როგორც ჩნდისელები ამარაგებდნენ თოფის წამლითა და იარაღით, ან გემითა და თოფებით, მიუხედავად იმისა, რომ წოდებულანდებო, მთავრობა ამისათვის სოკვდილით დასჯათ იმუქრებოდა, რადგან ეს საგნები მიდიოდა მეკობრეთა გემებს, მოსამარაგებლად, რომლებიც ესხმოდნენ ჰოლანდიისვე გემებს, ძარცვავდნენ მათ და ხალხს ყუდდენ მონებად. კიდევ უფრო გულმოდგინედ ჰოლანდიელები მოგზაურობდნენ სპირიტსა და კონსტანტინოპოლში თავიანთი ქსოვილებსა და ინდოეთიდან ამსტერდამში შემოზიდულ აღმოსავლეთურ სანელებელთა გასასაღებლად. მაგრამ როგორც ლიფორნოს, ისე გენუას, მესიანას და მარაგლსაც ჰოლანდიელების ლევიანტურ ვაჭრობაში დიდი მნიშვნელობა ქონდა, და ვენეციაშიც კი ყოველწლიურად მიდიოდა 10 — 12 „სუცხო“ გემი, მიუხედავად იმისა, რომ ვენეცია ცდილობდა რაც შეიძლება მეტი უსიამოვნება მიეყენებია თავის კონკურენტ-ჰოლანდიელებსათვის.

მე-XVII საუკ. ნიდერლანდებს მხარე პირველი სავაჭრო ქვეყანა იყო შთელს დედამიწაზე და ყველა ზღვებზე უპირველეს ჩოლს ასრულებდა. „ჰოლანდიელი ვაჭრები-მეფეებია, — ამბობდნენ მათზე. — ისინი მეფობენ ზღვებზე“, „ეს ერთი მუქა ხალხი, რომელიც წყლისა და საძოვრისაგან შემდგარი მიწის პატარა ნაჭერს უღობს — ამარაგებს ევროპის ხალხებს მათთვის საჭირო საქონლის უდიდესი ნაწილით“, ამბობდა რა შელციე მართლაც ჰოლანდია ცენტრალურ ბაზარს იყო პურის, თევზის, მარილის, ტყისა და სააღმშენებლო მასალებისათვის, მათუნაათვის, დასასრულ ყველა კოლონიალური საქონლისათვის — ჰილპილსა, დარჩინს, მინჯას, ჩაის, ყავისა და თამბაქოსა.

ჰოლანდიელები საყოველთაოდ ცნობილი „ევროპის მეფრახტეები“ იყვენ, რადგან ისინი აწარმოებდნენ თავიანთ გემებზე მთელ ტრანსპორტს როგორც ევროპასა და კოლონიებს შორის, ისე ევროპის ცალკე-ქვეყნებს. ინგლისის, საფრანგეთის, ესპანეთის, პრუსიისა და აგრეთვე იმანვე ქვეყნის ნავთსადგურებს შორისაც-კი. საფრანგეთის მარლს, პურს ბალტიკი, ზღვიდან, ტყეს სკანდინავიის ნახევარკუნძულიდან ეზიდებოდნენ ჰოლანდიელები; ბორდოს ვაჭრობა და ნაონობა მათ ზელში იყო. როგორც საფრანგეთს ასე ესპანეთსა და პორტუგალიას არ შეეძლოთ მათი გემებისათვის გვერდის ავლა. კოლბერიისა და დიდი კურფიურსტიის ცდა, უშუალო სავაჭრო კავშირს დაეწესებინათ საფრანგეთსა და პრუსიას შორის და აეცილებინათ ნიდერლანდების შუამავლობა (კოლბერმა პრუსიასთან შეთანხმებით 1669 წ. დაარსა ჩრდილოეთის კომპანია საფრანგეთ-პრუსიის ვაჭრობისათვის) უნაყოფო აღმოჩნდა, რადგან ნიდერლანდებმა საფრანგეთს საქონელზე, რომელიც მათ ტერიტორიაზე გაავლიდა და პრუსიისათვის იყო დანიშნული დიდი ბაჟებს დაწესებით და სხვა შემა-

კარგობელ ზომებზე მიღებული შეუძლებელი გახადეს ამ ორ ქვეყნის შორის უშუალო გაცვლა-გამოცვლა.

ჩრდილოეთს კომპანია მალე გაუქმდა, და მისი აღდგენა ველარ მობერხდა. კოლბერის, ხოლო მისი საკვილის შემდეგ პრუსიის მეფეებს. ამავე მიმართულებით წარმოებულმა მისწრაფებამ შედეგი ვერ გამოიღო, თუმცა საქონელთა ერთგვარი გაცვლა-გამოცვლა პრუსიისა და პომერანიის ნავთსადგურებს შორის. ერთა მხრივ, და სამხრეთსაფრანგეთის ნავთსადგურებს შორის მეორე მხრივ მანც წარმოებდა. პროექტო საფრანგეთ-პრუსიის სავაჭრო ხელშეკრულებითა 1713 წ. ვერ განხორციელდა: ნიდერლანდების ბალტიის ზღვაზე. მონოპოლური მდგომარეობის შერყევა არ ხერხდებოდა. ძალზე ძლიერი იყო მათი კომერციული ორგანიზაცია. ნათქვამდათ დიდი სავაჭრო ფლოტი და ჰქონდათ ფართო ინციტატივა; მაშინ როდესაც საფრანგეთისა და პრუსიის მხარეზე ყოველივე ამის მხოლოდ სუსტი ჩანაახება იყო. ამათ არ ჰქონდათ თაოსნობის უნარიანობა, არც გამოცდილება. არც სათანადო გემები; ჰყავდათ (მაღალი ფრახტი, არც ყრდელი ჰქონდათ და ბრძოლას პირობები მათთვის; ფრად არა თანაწორი იყო. პოლანდიის ხელში იყო მეთევზეობაც ევროპის ზღვებში. რასაც იმ დროში განსაკუთრებული მნიშვნელობა ეძლეოდა: ინგლისელები აპტიციტებდენ, რომ წერილი თევზის კერაზეა დამყარებული ნიდერლანდებზე კეთილმდგომარეობაო.

ამასთანავე პოლანდა იქცა ბაზრად. რომელსაც მიმართავდა ევროპა. როდესაც ეკაპიტალს საჭიროებდა. ევროპას არ შეუძლია პოლანდიელების ფულების გარეშე არჩეობა ამბობდა იმპერატორი 1672 წ. აა წლის შემდეგ. უცხოეთის სახელმწიფო სესხებში მოთაყვებულ პოლანდიის კაპიტალი 150 მილიონი ლივრით განსაზღვრებოდა.

მე-XVIII საუკუნეში ნიდერლანდების ბატონობას ბალტიის ზღვაზე შეეცოლა შვეცია და დანია, ხმელთაშუაზღვაზე — საფრანგეთი, ინდოეთში — ინგლისი; ნიდერლანდებმა მანც შეინარჩუნეს თავიანთი ვაჭრობის უწინდელი სიდიდე. მაგრამ უკანასკნელს პროცენტულ დამოკიდებულება მთელს, საერთაშორისო გაცვლა-გამოცვლასთან შედარებით მე-XVIII საუკ. ნახევარში უკვე შემცირდა ინგლისის ვაჭრობის განსაკუთრებული ზრდის გამო. მე-XVIII საუკ. დასასრულს ინგლისელების, და ნაწალობრივ — სკანდინავიის სახელმწიფოების წყალობით ნიდერლანდებს ვაჭრობა ბალტიის ზღვაზე, კერძოდ რუსეთთანაც, შემცირდა. 1783 წლისათვის. ის დაეცა წინანდელი რაოდენობის ნახევარმდე; იმავე დროს ინგლისთან, ომში 1780 — 1783 წ. წ. საბოლოოდ შეასუსტა ნიდერლანდების სავაჭრო ძლიერება. შემდეგი საუკუნის დასაწყისიდან პოლანდიას უნდა დაეთმო. პირველი ადგილი ინგლისისათვის, აგრეთვე საჯარო სესხის საერთაშორისო ბაზრის — „ევროპა ბანკის“ სახითაც.

საფრანგეთი მთელი XVI საუკ. განმავლობაში გაივსო უცხოელებით, განსაკუთრებით იტალიელი ენკრებითა და ბანკირებით. ისინი ამარაგებდენ მას საქონლთაც, ფულითაც. — დებდენ რა ხელშეკრულებას საფრანგეთის მეფეებთან. პირველი ცდები კანადის კოლონიზაციისათვის გაკეთე-

ბლა სყო მე-XVII საუკ. და აწყისში, მაგრამ კოლონიზაცია მალე შეწყდა, ალბათ, ამ შემთხვევაშიც აღნიშნულ ქვეყნებში კეთილშობილი ლითონებში არ არსებობდა გამო. ლესკარბო უკვე მამან ამბობდა, რომ პუარი, ღვინო და ნახირის საკვები — საუკეთესო ოქროს სამადნეებიაო: ხოლო სიულის უნდა ელაზრებია, რომ კოლონიებს დაარსება არ შეეფერება ფრანგების ხასიათს. და ჯერ კიდევ რიშელიეს დროს კანადისა („ახალი საფრანგეთისა“) და ანტილიის კუნძულების (გვადელუპა მარტინიკი): ფრანგებით კოლონიზაცია ძალზე ძნელი ნაბიჯით მიდოდა: ხოლო ოკეანეს იქეთა ქვეყნებთან ვაჭრობის განვითარებას აფერხებდა ის, რომ „ფრანგები არ არიან ხანგრძლივ: მოგზაურობასათვის განწყობილნი“. თუმცა რიშელიეს მიერ შექმნილი იყო მთელი რიგი სავაჭრო კომპანიებისა (ექვსზე მეტი) აფრიკისა (სენეგალი, გვინეა, შვენიერ კონცხი, მადაგასკარი) და ამერიკის (ანტილიის კუნძულები, გვიანა, სან-დომინგო, „ახალი საფრანგეთი“) კოლონიზაციასათვის და ამ ქვეყნებთან ვაჭრობის წარმოებასათვის.

ის ხელს უწყობდა აგრეთვე კაპრობას (მეკობრეობას) ატლანტის ოკეანეზე, რაიც დიდი ზარალს აყენებდა ესპანელებს, განსაკუთრებით ესპანეთში მომავალაფერხების ფლოტილიების მოტაცებით. რიშელიეს კაპიტაინური ნაოსნობა (ე. ი. საფრანგეთის ნავთსადგურებია შორს) საფრანგეთის ფლოტის მონოპოლიად გამოაცხადა. და საფრანგეთის გემებზე მიენიჭათ განსაკუთრებული უფლება პროდუქტების ზღვით გაზიდვასა და ასარულ, მთელი რაგია საფრანგეთის ნავთსადგურებისა. განსაკუთრებით შარსელი და ჰავრა, გაფართოებულ იქნენ და გაუმჯობესებულნი, ზოგიერთი კიდევ ახლად შექმნილნი. რიშელიემ, ამრიგად საფრანგეთი მოამზადა სავაჭრო მოღვაწეობასათვის, რასაც უკანასკნელი შეუდგა კოლბერის დროიდან.

საფრანგეთი მხოლოდ ლევანტის ქვეყნებში განმტკიცდა უფრო ადრე, — დასდვა რა 1536 წ. ზელსაყრელი ხელშეკრულება ოსმალეთის სულთან სოლიმან დიდებულთან. ლევანტის ზღვებზე მარტოოდენ საფრანგეთსა და ვენეციას დროშება იყო ნებადართული; როგორც აღნიშნულია ხელშეკრულების განახლებისას 1581 წ. საფრანგეთი ცნობილი იქნა სოლიმანის იმპერიასთან მოვაკრე ყველა ქრისტიანებს მფარველად, — უკანასკნელთ მხოლოდ მისი დროშით შეეძლოთ ცურვა (გენუელები, ინგლისელები, ესპანელები, პორტუგალები, სცილიელელები და სხვ.).

1610 წ. ფრანგებს ლევანტის ქვეყნებში ხუთი სკონსულო ჰქონდათ, „ხმელთაშუაზღვა საფრე იყო“ საფრანგეთის გემებით, მათი რიცხვი ათასამდე აღიოდა, ისინი ცდილობდნენ ემოგზაურათ ხმელთაშუაზღვის ყველა ნავთსადგურებში, არა მარტო სირიასა და ეგვიპტეში, არამედ მორეიაში და მაკედონიაში. მართალია, მალე ინგლისელებსაც დაერთათ ნება თავისი დროშის ქვეშ ცურვისა; მას მჰყვენ ჰოლანდიელებიც და ორევე სახელმწიფოს ვაჭრობამ ფართო სახე მიიღო. მაგრამ ჯერ კიდევ მე-XVII საუკ. 20-იან და 30-იან წლებში ფრანგ ვაჭრების ბრუნვა ორჯერ აჭარ-

ბებდა ინგლისელებისა და ვენეციელების ვაჭრობას. საიდაში და სირიას სხვა ნავთსადგურებში მხოლოდ ფრანგებს ყავდათ თავისი კონსული, იქ მხოლოდ საფრანგეთის ფაქტორები არსებობდა.

საფრანგეთის ვაჭრობის ჩქარი ზრდას ეპოქას კოლბერის ხანა წარმოადგენს. მის დროს ხდებოდა ამერიკის კოლონიზაცია, გაიგეს რა არსებობდა უდიდესი მდინარე „მისისიპისა“, რაც ნიშნავს „წყლების მამას“, ფრანგებმა იმედი ჰქონდათ წყნარ ოკეანესაკენ მიმავალი წყლის გზის აღმოჩენისა, რადგან ისინი ფიქრობდნენ, რომ მისისიპი კალიფორნიის ყურეს ერთვის. თუმცა შემდეგში გამოირკვა ამ მოსაზრების მცთარობა, მაგრამ მისისიპის ოლქი მეფე ლუის საპატივეცემლოდ — ლუიზიანად წოდებულ, მანტიქა შექმნილი საფრანგეთის მიერ და წარმოიშვა ფართო გეგმა ფრანგული კოლონიალური იმპერიის შექმნისა, რომელიც მდებარე უნდა ყოფილიყო მექსიკის ყურედან დაწყებული, ვიდრე წმ. ლავრენტის სათავემდე. ეს იდეა თანდათანობით ხორციელდებოდა, ვიდრე მე-XVIII საუკუნეორე ნახევრამდე, მაგრამ საფრანგეთის კოლონიზაციას ამერიკაში თავისი ინტენსიობით არ შეეძლო ინგლისურს შეჰდარებოდა: მთელს კოლონიზირებულ ოლქში მე-XVIII საუკუნის ნახევარში სულ 90 ათასი ფრანგი მომოსახლეობა ითვლებოდა, მაშინ როდესაც ინგლისის კოლონიებმა ამერიკაში მილიონზე მეტი კოლონისტი ყავდა. ინგლისელებსა და ფრანგებს შორის შეჯახებას უნდა გამოეწვია ჩრდილოეთ ამერიკაში საფრანგეთის კოლონიების მოპობა.

1713 წ. უტრეხტის ზავის თანახმად საფრანგეთი იძულებული გახდა ინგლისისათვის დაეთმო აკადია („ახალი შოტლანდია“), ნიუ-ფაუნდლენდი და ოლქი გუდსონის ყურესთან; ხოლო მეორე აქტი „უდიდესი დრამისა“ გათამაშებული ევროპის კოლონიალურ ისტორიაში მოხდა შვიდწლიანი ომის დროს როდესაც საქსონიის ბრძოლის ველებზე გადაწყდა კანადის ბედო. და ომმა ინგლისს საშუალება მისცა კანადის დაპყრობა და შემდეგში საფრანგეთისათვის საზღვაო პირობების კარნახისა. საფრანგეთს დაეკარგა კანადა და თავისი სხვა კოლონიები ჩრდილო-ამერიკაში და შეინარჩუნა მხოლოდ უმნიშვნელო სამფლობელოები გვიანაში და ანტილიის რამოდენიმე კუნძული (გვადელუპა, მარიგალანტი, სანტა-ლუცია, მარტინიკი).

პარზის ზავმა 1763 წ. ერთსა დაკერით ჩამოაშორა კოლონიები საფრანგეთს (ის იძულებული გახდა ინგლისისათვის, გადაეცა სენეგამბიაც კი, რომელიც ამერიკაშია) და განსაკუთრებით სამუდამოდ დაუკუტა მას გზა ახალ ქვეყნებს იმ ნაწილში, სადაც მას ეკუთვნის პატივი უდიდესი ოლქების აღმოჩენისა და შესწავლისა. იმდროიდან ამერიკასთან საფრანგეთის ვაჭრობა და მის მოსახლეობა ზღვებში ნაოხნობა გამოიხატება ურთიერთობით საფრანგეთის კუთვნილ ანტილიის კუნძულებთან, თუმცა მის მონობოლად აქაც არღვევდა ინგლისი. ამას მიემატა ჰაზარტ-ამერიკასთან საქონლის გაცვლა-გამოცვლა. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ მასთან უშუალოდ ვაჭრობის წარმოება, ესპანეთის მიერ დაწყებული მონობოლოც, გა-

მო, ფრანგებს არ შეეძლოთ და ამიტომ მ.გავესად სხვა ეროვნების ვაჭრებისა მიმართავენ უპაწინაო კომისიონერებზე, შუამავლობას

არა ნაკლებ ხელსაყრელი იყო პირველად ფრანგების მოღვაწეობა ინდოეთში. კოლბერის დროიდან დაწყებულა ისინი ანვითარებდნენ ინდოეთთან ვაჭრობას, პირველად უმთავრესად ბამბის ქსოვილებით. (მთავარი ბაზარი სურატაში იყო), შემდეგ, როდესაც მათი შემოზიდვა საფრანგეთის მანუფაქტურებისათვის უხერხულად იქნა მიჩნეული, მთავარ ობიექტად სანელებელი საგნები გახდა. მე-XVIII საუკ. დასაწყისამდე ფრანგებმა შესძლეს ბენგალისა და კორომანდელის ნაპირებზე მხოლოდ ცალკე ფაქტორიების შექმნა. მაგრამ XVIII საუკუნეში მათი პოლიტიკა შეიცვალა: მიზნად გახდა ინდოეთში ძალა-უფლებას ხელში ჩაგდება. ე. ი. ის რასაც შემდეგში ინგლისელები სჩადიოდნენ, თუმცა ფრანგებისათვის ამის მიღწევა გაუბუქდებოდა მათ მიმართ ადგილობრივი მცხოვრებთა კეთილგანწყობილებით.

განსაკუთრებით დიუბლეს მეოხებით, ფრანგებმა შეძლეს თავიანთი გავლენის ქვეშ მოექციათ თითქმის მთელი დეკანი, განმტკიცებულა ყვეან ბენგალიაში, დროებით კიდევაც წაერთმიათ ინგლისელებისათვის მადრასი, და მხოლოდ დაუბლეს გაწვევას შემდეგ ისინი აქაც უძლებული შეიქნენ პირველობა ინგლისელებსათვის დაეთმოთ; საფრანგეთის ოსტ-ინდოეთის კომპანიის (Compagnie des Indes Orientales) ვაჭრობას კი არასდროს არ ქონია ის მნიშვნელობა, როგორც პოლანდიის ან ინგლისის ოსტ-ინდოეთის კომპანიებისა ბრუნვას.

საფრანგეთის მაქმანი, აბრეშუმის ქსოვილები და ნოხები. წარკეები და საგალანტერიო საქონელი, შედეგი კოლბერის მიერ შექმნილი მრეწველობისა, ფუფუნების საგნებზე წარმოება („ფრანგული საქონელი“) ფართო გავრცელებას პოულობდა ევროპაში. საფრანგეთის სავაჭრო ბუნება, ბრიტანის მიხედვით, მე-XVIII საუკუნის განმავლობაში (1716 წლიდან — 1789 წ.) თითქმის ათჯერ გაიზარდა, 80 მილიონ ფრანკიდან — 750-მილ. ფრანკამდე. საფრანგეთის ექსპორტისათვის დამახასიათებელია, რომ XVIII საუკუნეშიც პუდრის, საფერის, საპნის, პარფიუმების საქონლიან გაზიდვა ღირებულებას მიხედვით არ იდგა შალია ქსოვილებთან გაზედვაზე დაბლა.

(ი. კულიშერი — დან. ევროპის ეკონომ. ცხოვრ. ისტორია“, ტ. II).

d) ანტვერპენი XVI საუკუნეში

...ქალაქი უმთავრესად ვაჭრობით ცხოვრობს და თავისი კეთილანდობიანობა და სახელი მეტწილად უცხოელებზე წყალობით მოიპოვა. ავლნიშნავს, რომ გარდა ადგილობრივი მცხოვრებლებისა და სახელმწიფოს სხვა ადგილებიდან მოსულეებისა, აგრეთვე მრავალრიცხოვან ვაჭრებისა საფრანგეთიდან. რომლებიც აქ მშვიდობიანობის დროს ძალზე ბევრი არის. ანტვერპენში ექვსი სხვადასხვა ეროვნებას ათასზე მეტი ვაჭარი ცხოვრობს იმდროის დროსაც კი.

ამ რიცხვებში ჩათვლილია უცხოელ ვაჭართა მთავარი აგენტებიც. ე.ე. ნია: გერმანელები, დანიელები ჰანზელლებთან ერთად, იტალიელები, ესპანელები, ინგლისელები და პორტუგალიელები. როგორც ჩანს აქ ყველაზე მეტი ესპანელებია. ყოველ შემთხვევაში ამ უკანასკნელებს შორის უფრო მეტია ცოლშვილიანები და ქალაქში საკუთარი სახლები მებატონენი.

ემორჩილებიან რა ადგილობრივ კანონებს, — უცხოელ ვაჭრებს შეუძლიათ რცხოვრონ მშვიდად, ატარონ თავიანთი ნაცოხანალური ტანაცმე-ლი და ყველაფერში თავიანთ ქვეყნის ჩვეულებანი დაიცვან. უცხოელები ანტევრბენში, ისე როგორც ყველგან ნიდერლანდები უფრო მეტი თავ-სუფლებით სარგებლობენ, ვიდრე დედამიწის სხვა დანარჩენ სახელმწიფო-ებში.

ქემშარიტად განსაცვ-ფრებელი სანახაობაა ეს ყოველგვარი ცხოვრე-ბათა აღრევა, და საკვირველია მოსმენა ამოდენი სხვადასხვა, ერთი მეო-რბგან განსხვავებულ ენათა! მოგზაურობის გარეშე აქვე; ქალაქში გვაქვს საშუალება ჩაუკვირდე და ისწავლო სხვადასხვა ხალხის ზნე-ჩვეულებანი და ხაიათა. უცხოელებს წყალობით, ქალაქში მუდამ იციან მთელი ქვეყ-ნის ახალი ამბები.

ყველა უცხოელ ვაჭრებს შორის უფრო მდიდარი და განთქმულია ფე-გერები, ქალაქ აუგსბურგის გერმანელები, ამ გვარის უფროსი წარმომად-გენელია ანტონი, რომელიც ერთგვარი ბატონია იყო დანარჩენების და არ არის დიდი ზანი მას შემდეგ, რაც გარდაიცვალა თავის სამშობლოში; მან სასულიერო ანდერძით დასტოვა ექვსი მილიონი ოქროს ტალერა, გარდა სხვა დიდი სიმადრისა, რაიც თავმოყრილი იყო ამ ბრწყინვალე და სახე-ლოვან გვარეულობის ხელში და მოპოებულა სამოცდაათი წლის სავაჭრო მოღვაწეობით.

სარგებლობდენ რა თავ-ანთი სიმდიდრით, ამ გვარის წარმომადგენ-ლებმა მიაღწიეს უმაღლეს წოდებასა და თანამდებობებს და მიიღეს სამ-ფლობელოები როგორც გერმანიისში, ისე სხვა ქვეყნებშიც.

იმის წინ, სანამ გადავიდოდე შემდეგ მოთხრობამდე, ავლნიშნავ რომ კათოლიკურა მეფე (ესპანეთის), პორტუგალიის მეფე და ინგლისის დე-დოფალი არ თავ-ლობენ სახელგანთქმულ გვაროვან ვაჭრებს, იახლოვე-ბენ მათ, ანდობენ თავიანთი ფულადი საქმეებზე, წარმოებას. ამ ზალხმა მი-იღო აგენტების სახელწოდება. კათოლიკურ მეფეს აქ ორი აგენტი ყავს. ორთავეს მეფესაგან ფართო რწმუნებანი აქვს: მათ შეუძლიათ აიღონ ბირ-ჯაზე სესხად თამასუქებით, საწინდრის ქვეშ და სხვა ხერხებით ფული იმ რაოდენობათა და ვადით, როგორაც თვით დაინახავენ საჭიროდ.

ვალზე პასუხს აგებს მეფე ან მისი კუთვნილი ერთ-ერთი პროვინცია... პორტუგალიის მეფე იქ ინახავს ერთ აგენტს... წინეთ, იმ შემთხვევაში, როდესაც მეფეები ძალზე დავალიანებულ იყვენ ან რაიმე მიზეზის გამო საჭიროებდენ ფულს, აგენტები მათთვის ზოგჯერ ერთი ბაზრობის (იარ-მარკის) განმავლობაში სესხულობდენ სამ მ-ლიონამდე ოქროს ტალერს, რომელიც მუდამ სისწორით, დანიშნული დროისთვის უბრუნდებოდა უკან-ვე, მაგრამ რამოდენიმე ხნადან ორივე მეფე, ზედმეტი ზომით დავალია-

ნებულნი, ერთი ინდოეთის წამოწყებათა გამო, ხოლო მეორე საფრანგეთისა და ოსმალეთის ომების გამო და, აგრეთვე, ალბათ, შვეიცროებულნი, ბოროტ-ვერაგი მეევსზე-ვაჭრების გაუმადლობით არ ჩქარობენ მათთან ანგარიშის გასწორებას...

გადავდივარ რა მსხვილ სავაჭრო გარიგებათა აღწერაზე, რომელიც აქ ყოველდღე იღებოდა, ავლნიშნავ, რომ ადგილობრივი და ჩამოსული ვაჭრები აქ ეწევიან დიდ ოპერაციებს, როგორც თამასუქებითა და გირაენობით, ისე საქონლით; მოკლედ ავლნიშნავთ, როგორ სჩადიან ისინი ამას.

დილით და საღამოთ, დაწესებულ საათებში ვაჭრები მიდიან ინგლისს ბირჟაზე, სადაც საათის განმავლობაში მრავალრიცხოვან და სხვადასხვა ტომის მაკლერები, დახმარებით სდებენ გარიგებებს საქონელზე. უფრო გვიან ისინი მიდიან ახალ ბირჟაზე, რომელიც მნიშვნელოვანი ადგილია ვაჭართა შეკრების, და კვლავ დაახლოვებით საათის დროის განმავლობაში მაკლერებია მონაწილეობით სდებენ გარიგებებს, ახლა უკვე გირაენობასა და თამასუქებზე...

არსებითად თამასუქებით ანგარიშის სწორება მდგომარეობს მასში, რომ ანტვერპენში იღებენ ან აძლევენ ზღვად განსაზღვრულ ფულად თანხას, რომელიც უნდა დააბრუნონ ან მიიღონ სადმე იტალიაში (ან სხვა ადგილას); ოპერაციას, როდესაც აძლევენ ან იღებენ ფულს ერთ ქალაქში ვალდებულებით მიიღონ ან დააბრუნონ მეორე — ეწოდება „Camdio“. მოიგონეს ის უმთავრესად ვაჭრობის გაიოლებისათვის, მაგრამ ბევრი ბოროტი კომპანია (Merchan Advenfurers) წარმოიშვა ლონდონი მეგალანტერების ვერაგი ვაჭარი, უმეტესად მდინარეთაგანი, არ კმაყოფილდება ამით და სიძუნწის, სიხარბისა და დიდი მოგებისადმი დაუცხრომელი ლტოლვის გამო, დამახინჯებს ეს პატიოსნურ ოპერაციას.

ისინი, ფულებს ხან შეტანით, ხან კიდევ დიდი თანხებზე, გამოტანით ბირჟიდან, ფულს ბაზარს მერყევად ზდიდენ და ამით მდინარდებოდენ, მაშინ, როდესაც სხვები ზარალს ნახულობდენ. სათამასუქო ოპერაციები მაინც რაღაცად დასაშვები და ზედმეწეენით მოსახერხებელია; ღეთს-მეტყველება მათ არ თვლიან უსამართლო გამდიდრებად, თუ ის წარმოებს კანონის მიხედვით, რადგან მკაცრ მიღებული ჯილდო ხშირად ძალზე უმნიშვნელოა, ხოლო რისკი დიდი, და ზოგჯერ მთელი კაპიტალის რისკს სწევენ. ახლა კი ვიბაასოთ საგირაენო ოპერაციებზე.

ფარავენ რა უწმინდურ საქმეებს, აქ უწოდებენ ახლა ფულს ვადოთ გაცემას პროცენტებში, ღეთის წყალობით, იმპერატორ კარლ V ბრძანებით, რომელიც განახლებულ იქნა შემდეგში მისი შვილის, მეფე ფელიპეს მიერ, პროცენტი დაწესებულია 12-ის რაოდენობით წლიურად. მათი უღებულებობანი დათანხმდენ ასეთ დიდ პროცენტზე იმტომ, რომ აცლებული ყოფილიყო სიძნელები ვაჭართათვის, სამქიბო ხანებში; მაგრამ როგორც წარსულს ცხოვრებამ და მეგალითებმა დგვანახვა, დიდი პროცენტი ძალზე სამძიმოა ღარიბი ზალხისათვის და აგრეთვე ენებს თვით ვაჭრობასაც, მით უმეტეს, რომ ადამიანის არაკეთილადნსიერება მას სინამდვილეში მუდამ კიდევ უფრო ზრდის. ეს ოპერაციები მართლაც, რომ მასარ.

გებლო აქნებოდა უკეთეს დაკმაყოფილებოდენ ნორმალური ნამატით, თუნდაც 6% ან 6.4%, რის ალებს უფლებაც, იმპერატორების ნებართვით ქონდათ აზნაურებს, ან და კიდევ ცოტა დაემატებიათ ხოლმე. მაგალითად 8%—მდე. მაგრამ არ კმაყოფილდებიან რა ასეთი მოგებით, ივიწყებენ საზომს და გარჩევას ხდიან მძიმე ლოდად და იძულებად.

(6. როზენტალის წიგნიდან — «ეროპის ისტორია სავაჭრო კაპიტალიზმის ეპოქაში»).

§ 9. ინგლისის სავაჭრო და კომლონიალური პოლიტიკა

სხვებზე უფრო გვიან სავაჭრო სახელმწიფოს როლში სცენაზე გამოდის ინგლისი. თავისი კუნძული, სახით მდგომარეობით, სადაც ყოველნაპოჯი სახელმწიფოს საზღვარს იქით ზღვაში გადავალა, ეს თითქოს დანიშნული იყო დიდი როლი შეესრულებია საერთაშორისო ვაჭრობაში. მოკლი რიგი ბუნებრივ-ნავთსაყუდებისა, რომლებიც არ იყენებან, დუვრიდან პლიმუტამდე აადვილებდა ზღვაში გასვლას და ზღვაოსნობისა და საზღვაო ვაჭრობის განვითარებას. მაგრამ საშუალო საუკუნეებში ინგლისა დედამიწის ბოლოში იმყოფებოდა, სავაჭრო ცენტრებზე, ხმელთაშუა-ზღვასა და ბალტიის ზღვებს დაშორებული. მან ვერ შესძლო თავისი ბუნებრივი უპირატესობებით სარგებლობა, აქტიურ ვაჭრობას ის არ ეწეოდა, ხოლო დანაშარებისათვის პანზელ და იტალიელ ვაჭრებს მიმართავდა.

პანზელები მას ამარაგებდენ რუსული ბეწვეულით, ფლამანდიის მადლით და სკანდინავიის ნახევარ კუნძულისა და პრუსიის მდაბლობის ნედლეული პროდუქტებით; ვენეციელები, გენუელები და ფლორენციელები ინგლისის არისტოკრატებს უზიდავდენ აღმოსავლეთის ძვირფას პროდუქტებს. მართალია, ინგლისელები დროგამოშვებით ცდილობდენ უცხოელთა ბრუნვისაგან განთავისუფლებულყვენ და სხვა ქვეყნებთან დამოუკიდებელი ურთიერთობა დაეკირათ, მაგრამ პანზელები და იტალიელები ამის საშუალებას არ იძლეოდენ, ინგლისელ ვაჭრებს, რომლებიც ნორვეჯაში გამოჩნდებოდენ პანზელები ძალით ერეკებოდენ და ართმევდენ მათ საქონელს; თუ რა ინგლისის გემები ხმელთაშუა ზღვაზე გამოჩნდებოდენ— გენუელები მათ ზღვაში ჩაძირავდენ ხოლმე.

ეკონომიურა ცხოვრების სფეროში უცხო ქვეყნ-ს ბატონობისაგან განთავისუფლებისაკენ პირველი ნაბიჯი გადადგმული იქნა მე-XV საუკ. ინგლისურა მადის გატანის განვითარებასთან ერთად, იმ დროს, როდესაც წინეთ მატყლი ინგლისიდან გაქონდათ უცხოელებს, ინგლისში დამზადებულ მადის გატანას შეუდგა ინგლისური კომპანია Merchant Adventures. მან თავისი ფაქტორია მოაწყო ბრიუგეში, ხოლო შემდეგ მე-XVI საუკ. ანტვერპენში. აქ ანტვერპენში მე-XVI საუკ. თავმოყრილი იყო ინგლისის აქტიური ვაჭრობა. მართალია, ის ამით განისაზღვრებოდა, და რადგანაც საზღვაო გზა ინგლისიდან ნიდერლანდებამდე ძალზე უმნიშვნელო იყო. ცხადია, ინგლისის ნაოწნობას არ შეეძლო განკითარება.

თვით ინგლისიდან გაზიდვა ჯერ კიდევ მე-XVI საუკ. ნახევარში 1,1 მილიონ გირვანქა სტერლინგს არ აღემატებოდა, ამავე დროს მან უმთავრესი ნაწილი კვლავინდებურად უცხოელების ხელში იყო; ჰანზელებს გაქონდათ მთელის 42 პროც. ტყავი, 54 პროც., მათ ხელში იყო თითქმის მთელი სანთლის ამბორტი, და ინგლისი იძულებული იყო სახელმწიფო სესხები, ისევე როგორც ძველად ანტვერპენში აეღო, რადგან სახელმწიფოს წიგნით სათანადო კაპიტალი არ მოეწოდებოდა.

მდგომარეობა შეიცვალა მხოლოდ მე-XVI საუკ. მეორე ნახევარში, ელისაბედის ეპოქაში. 169 მდიდარი ვაჭრის მაგიერ, რაც ათწლეუბოდა მთელს ინგლისში XVI საუკუნეში, 1601 წ. უხდებით 3500 ვაჭარს, რომლებაც მხოლოდ ნიდერლანდებთან ვაჭრობენ. ინგლისიდან ჭრებიან იტალიელი ბანკერები და ის (ინგლისი) უკვე ელჩაბედის დროს ეროვნული კაპიტალით სარგებლობა (თუმცა გრე შემოსის პრინციპი მთავრობის მიერ თავის თავზე აღებულ ვალდებულებათა პატონად შესრულებას შესახებ განხორციელდა მხოლოდ მე-XVIII საუკ.) ასეთივე გადატრიალება ხდება ვაჭრობის დარგშიც, წყდება ინგლისში ვენეციელ გალერების მოგზაურობა, რადგან ინგლისელები აღარ საჭიროებენ იტალიელებს შუამავლობას.

აღმოსავლეთის ნაწარმოებს, ინდოეთში საზღვაო გზის აღმოჩენის შემდეგ, ისინი იძენენ ლისაბონში და ანტვერპენში, და არა ვენეციელებთან. მკირე აზიისა და სპარსეთის პროდუქტებისათვის კი სინი საკუთარ გემებს გზავნიან ხმელთა-შუა ზღვაში. ვაჭრობისათვის ხელს შეაწყობად ისინი ვენეციაში და იტალიის სხვა ქალაქებში აარსებენ საკონსულოებს და ბრძოლას უმართავენ იტალიელებს სწორედ იმ ზღვებში, რომლებიც წინეთ იტალიელების საკუთრებად ითვლებოდა და ყველა დანარჩენებსათვის დაექტილი იყო. იგივე ხდება ჰანზელებთანაც. ჰანზის ფართო პრივილეგიები ინგლისში ისპობა, ჰანზელები უფლებრივად სხვა უცხოელებს უთანაბრდებიან, ხოლო 1598 წ. სრულიად დახურული იქნა ჰანზის Sfal-hof ლონდონში, და გერმანელ ვაჭრებს ებრძანათ ორი კვირის განმავლობაში დაეტოვებიათ ინგლისი.

ინგლისელები თავის ფაქტორიებს აარსებენ ევროპის ჩრდილოეთ ნაწილშიც—ჰამბურგში, ემდენში, შტადში. იჭრებოდენ ჰანზას პოლვაწეობის ფარგლებშიც. წინეთ ჰანზელები მთელი საუკუნოების განმავლობაში სარგებლობდენ ინგლისში ფართო პრივილეგიებით, მაშინ, როდესაც თავის ქვეყანაში ინგლისელებს მათ არ ანუკუბდენ. ახლა საწინააღმდეგო მდგომარეობა იქმნება. ართმევენ რა ჰანზელებს ამ პრივილეგიებს, ინგლისელები იღებენ მათ თავისთვის ჰანზას ქალაქებში. როგორც წინეთ ჰანზელები ინგლისში, ისინი ახლა აქ სარგებლობენ უფრო დიდ შეღავათებით არა მარტო სხვა უცხოელებთან, არამედ ადგილობრივ მცხოვრებლებთან შედარებითაც.

ბოლოს იზინი შემდეგ ნაბიჯსაც დგამენ. ელისაბედის უარყოფილებს იცნოს ესპანეთსა და პორტუგალიას შორის დადებული ხელშეკრულება, რომლითაც მათ მთელი დედამიწის სფერო ურთიერთშორის, გაინა-

წილეს; მას უფლება ტერიტორიაზე მისი სენამდვილეში ოკუპაციის გარეშე უსაფუძვლოდ მიაჩნია (that prescription without possession availed nothing). კოლონიებისათვის ბრძოლის საქმეში ინგლისელები ესპანეთისა და პორტუგალიის კონკურენტებად გამოდიან, ცდილობენ მათგან დამოუკიდებლად მიღწიონ ინდოეთს, იპოვნონ იქითკენ მიმავალი სხვა გზა. — ჩრდილოეთის გზა. ჰქონდა რა ეს მიზნად, სე ბ ა ს ტ ი ა ნ ე კ ა ბ ო ტ მ ა უკვე 1497 წელს აღმოაჩინა ჩრდილო ამერიკა (ნიუფაუნდლენდი), ხოლო მას მჰყვა მთელი რიგი მოგზაურები, მათ შორის ფ რ ე ნ ს ა ე ს დ რ ე კ ა , რომელმაც 1577—1580 წ. წ. დედამწიას გარშემო იმოგზაურა და შინ დაბრუნდა დიდი ნადავლით.

ამავე დროს ინგლისში მოეწყო კომპანია („მისტერიას“ სახელწოდებით) ჩინეთსა და ინდოეთში აღნოსავლეთ ნახევარ სფეროს ჩრდილო ქვეყნებიდან გზის აღმოსაჩენად. 1553 წ. მის მიერ პოლიარულ ქვეყნებში გაგზავნილ იქნა ექსპედიცია, რომელიც თეთრ ზღვაზე მოხვდა და რომელმაც სავაჭრო ურთერთობა გააბა მოსკოვის სახელმწიფოსთან. ვ ა ლ ტ ე რ ო ე ლ ე ი მ („ინგლისის კოლონიზაციის მამამ“) 1584 წ. დაარსა პირველი ინგლისის კოლონია — ვირჯინია — ჩრდილოეთ ამერიკაში აღმოსავლეთ ნახევარსფეროზე, და თუმცა მას დიდ ხანს არ უარსებია, მაგრამ მან საფუძველი ჩაუყარა ინგლისის კოლონიზაციას ამერიკაში. 1591 წ. პირველი ინგლისური ექსპედიცია გაემგზავრა ინდოეთში (ჯ ე მ ს ლ ა ნ კ ა ს ტ ე რ ი), ხოლო 1600 წ. დაარსდა კომპანია ოსტინდოეთთან ვაჭრობის საწარმოებლად, რომელმაც თავისი წარმოების პირველ წლებშივე შესძლო ფაქტორიებს დაარსება მალაბარისა და კორომანდელის ნახევარსფეროებზე.

ყოველივე ეს ცხადია მხოლოდ პირველი ნაბიჯი იყო, მაგრამ განსაკუთრებული მნიშვნელობის ნაბიჯი, რომლითაც საძირკველი ჩაეყარა ინგლისის კომერციულ განვითარებას. ეს გადადგმული იქნა ყოველგვარი მემართულებით — ჩრდილოეთ-ამერიკაში და ინდოეთში, მოსკოვის სახელმწიფოში და ხმელთაშუა ზღვაზე. როდესაც ე ლ ი ს ა ბ ე რ ი ს მემკვიდრე ი ა კ ო ბ I დროს ზავი იქნა დადებული ესპანეთთან და ესპანელებმა მოითხოვეს, რათა ინგლისმა ხელი აიღოს „ორთავე ინდოეთთან“ სავაჭრო ინგლისს არ შეუძლია უარი განაცხადოს ამგვარ (ქლოუის - ძლოეს რომ ინგლისს არ შეუძლია უარი განაცხადოს ამ ქვეყნებზე, — მან უკვე იქ ტერიტორია შეიძინა, რომელსაც ესპანელის ფეხი არ მოკარებია, და მის წინ იშლება კიდევ ახალი დაუკავებელი საერკეები.

ესპანეთმა და პორტუგალიამ უკვე მე-XVII საუკ. პირველ ნახევარში დაკარგეს თავისი სავაჭრო მნიშვნელობა, 1588 წ. მოსპობილი იქნა ესპანეთის არმადა და ამით გაიხსნა გზა ესპანეთის კოლონიებისაკენ; 1635 წ. ინგლისსა და პორტუგალიას შორის დადებული ზავის თანახმად პორტუგალიის ნავთსაყუდები ინდოეთში გახსნილი იქნა ინგლისის გემებისათვის, მაგრამ ინგლისს ყავდა სხვა მოქიშპე, — ნიდერლანდები. პირველად იყო ცდები მშვიდობიანი გზით მორიგებისა. დაიდვა ხელშეკრულება ოსტინდოეთის ორთავე კომპანიის — ნიდერლანდებისა და ინგლისის შო-

რის, რომლის თანახმად პირველს ეკუთვნოდა ვაჭრობის ორი მესამედი, ხოლო მეორეს — ერთი მესამედი.

მაგრამ ეს ნიშნავდა ნიდერლანდების ს-ძლიერის შემდგომ გაფართოვებას. პურიტანების მიერ შემუშავებული მეორე პროექტი ითვალისწინებდა კოლონიალური მეთაურობიდან ესპანეთისა და პორტუგალიის გამოძევებას და მთელი დედამიწის ინგლისსა და ნიდერლანდებს შორის განაწილებას, — პირველს ეკუთვნის დასავლეთი, მეორეს — აღმოსავლეთი. მაგრამ უკანასკნელი ამაზე არ დათანხმდა. მას სურდა ინგლისელებთან აზიის დაეთმო ამერიკა, ხოლო აზიაში მას ისედაც არ ეშინოდა მათ კონკურენციის. საქმეს აშკარა შეჯახების ხასიათი უნდა მიეღო. და მე-XVII საუკუნე მთლიანად ხასიათდება რნგლისის ბრძოლით ნიდერლანდებთან; მის მიმართ იყო მიმართული 1651 წ. კრომველის ცნობილი სანაეიგაციო აქტი.

რნგლ-ში უკვე მე-XV საუკ. იყო გამოცემული მთელი რიგი კანონებისა, რომლითაც ის იტალიის ქალაქების, ჰანზელების, ესპანელების მაგალითის წაბაძვით საკუთარი ნაოსნობისა და გემომშენებლობის მფარველობის გზით ცდილობდა 'ეროვნული სავაჭრო ფლოტი შეექმნა. ელ-საბედმა წინანდელი შრავალრიცხოვანი და ერთი მეორის საწინააღმდეგო დადგენილებები 1559 წ. და 1563 წ., ორი კანონით შესცვალა, რომელთა ძალით უცხოეთის გემები უფრო დიდი ბაჟით რბევრებოდა, ვიდრე ინგლისის, ხოლო კაბოტაჟი, ე. ი. ინგლისის ნავთსადგურებს შორის ნაოსნობა. ინგლისის გემების პრივილეგიად იქნა გამოცხადებული. კრომველის სანაეიგაციო აქტი, 1660 წ. და 1665 წ. კანონებით შეესებულო, შემდეგში მდგომარეობდა:

1) საკაბოტაჟო ცურვა და ურთიერთობა კოლონიებთან შეუძლიათ მხოლოდ ინგლისის გემებს.

2) ამავე დროს ინგლისის გემად ჩაითვლება მხოლოდ ისეთი გემი. რომელიც ინგლისშია აშენებული, მისი კაპიტანი ინგლისელია და ეკიპაჟის 2/3 ინგლისელებისაგან შედგება.

3) ევროპული საქონელი შეიძლება შეზიდული იქნეს ინგლისში მხოლოდ ინგლისის გემებზე ან საქონლს წარმოშობის ქვეყნის გემებზე. უკანასკნელ შემთხვევაში, თუმცა, საქონელი ორმაგი ბაჟით იბევრება, მაგრამ პირველ შემთხვევაშიც (უკეთეს საქონელს ინგლისის გემებით ეზიდებიან) ის უშუალოდ შემოტანილი უნდა იქნეს წარმოშობის ქვეყნიდან. და არა რომელიმე სხვა ადგილიდან, მაგ., ჰოლანდიის ნავთსადგურებიდან.

4) დასასრულ, თევზის ჭერა და შემოზიდვა უცხოეთის გემების მიერ ორმაგი ბაჟით უნდა დაიბევროს.

ამგვარად, ამიერიდან არც კოლონიალური საქონელი, არც ევროპული პროდუქტები, მარტოდენ ნიდერლანდებში დამზადებულის გამოკლებით — არ შეიძლება შეზიდულიყო რნგლისში ჰოლანდიის გემებით, არც გამოეტანათ ჰოლანდიის ნავთსადგურებიდან; მაშინ, როდესაც წინეთ პირველიც და მეორეც ფართო მასშტაბით წარმოებდა. ჰოლანდიელებს საშუალება ერთმეოდათ აგრეთვე რნგლისის ნაპირებთან თევზის ჭერისა.

მათ ზღვაოსნობას, სავაჭრო შუამავლობას ინგლისსა და სხვა ქვეყნებს შორის ლახვარი ჩაეცა. მე-XVII საუკ. შუამდე ინგლისში შემოტანილი შვედური საქონლის ნახევარი ჰოლანდიელებს ხელიდან გამოდიოდა, ხოლო 1769 წლიდან 1776 წლამდე მათი შუამავლობით შექონდათ ამ საქონლის მხოლოდ 1/4. ამ წლებში შვეციის ექსპორტის მესამედი ნაწილი ინგლისში იგზავნებოდა და მისი მხოლოდ 10 პროც. ნიდერლანდებში. სანავიგაციო აქტმა გამოიწვია ომები ინგლისსა და ნიდერლანდებს შორის. მაგრამ ისინი დამთავრდა მით, რომ ჰოლანდია იძულებული იყო ეცნო მისი კანონიერება. ამ დროიდან იწყება ჩქარი ზრდა ინგლისის სავაჭრო ფლოტისა, მისი ეკონომიური ძლიერების მწვენილოვან დასაყრდენის, ხორციელდება დებულება რომ „ინგლისის მომავალი წყალზე იმყოფება“. („Rule Britannia. rule the waves“).

1708 წ. ჩ ე მ ბ ე რ ე ნ ს უკვე შეეძლო ეთქვა, რომ ინგლისი, თავისი კუნძულის სახით მდებარეობისა, მასში გამეფებული თავისუფლებისა და დიდებული კონსტიტუციის წყალობით — ყველა ქვეყნებს შორის უფრო წინააღმდეგობისა სავაჭრო მოღვაწეობისათვის. Landed interest — მიწათმფლობელებთან ერთად, მე-XVII საუკუნეში სცენაზე გამოდის menied interest — ვაჭართა კლასი. 1624 წ. დ ე ფ ო ე ამტკიცებდა, რომ მრეწველობითა და ვაჭრობით საქმიანობა არ ეწინააღმდეგება ჯენტლმენის წოდებას, არამედ, პირიქით, სწორედ ჰქმნის ჯენტლმენს; ს ვ ი ფ ტ ი პირდაპირ აცხადებდა, რომ სიძლიერე, წინეთ მიწასთან დაკავშირებულა; ახლა გადადის ფულებზე; ხოლო ი უ ნ გ ი 1770 წ. ანგარიშობდა, რომ ინგლისს 81½ მილიონ მოსახლეობიდან 3,6 მილ. მიწათმომქმედებს შეადგენს, ხოლო 3,7 მილ. ვაჭართა და მრეწველთა კლასს.

მშვიდობიანი განვითარება თავისი სავაჭრო უპირატესობისა ზოგიერთ ქვეყნებში და სისხლის მღვრელ ბრძოლები სხვების დასაპყრობად — აი ის ორი გზა, რომლებითაც შეიქმნა ინგლისის კომერციული ძლიერება მე-XVII საუკ. მეორე ნახევარში და მე-VIII საუკუნეში. პირველი საშუალებით ინგლისმა დაიქვემდებარა პორტუგალია. 1654 წ. კ რ ო მ ვ ე ლ მ ა დადგა ხელშეკრულება პორტუგალიასთან (რომელიც ძალაში იყო 1810 წლამდე); დაწესებული იქნა „დიდი ქარტა ინგლისის უფლებათა და პრივილეგიებისა პორტუგალიაში“. ინგლისელებს მიენიჭათ ვაჭრობის უფლება პორტუგალიის ყველა კოლონიებთან. მათ რიცხვში ბრაზილიასა და ვესტ-ინდოეთთან, პორტუგალიელების თანაწორ საფუძველზე. პორტუგალიელები ვალდებული არიან ოკეანეს რქეთა ქვეყნებთან ურთიერთობისათვის ინგლისის გემებით ისარგებლონ და არ შეუძლიათ სხვა გემებით ტვირთის გადაზიდვა, უკეთუ ინგლისს აქვს საშუალება მათი მოთხოვნის დაკმაყოფილებისა. დასასრულ, დაწესდა ეგრეთწოდებული ყველაზე უფრო ხელსაყრელობის სისტემა, მაგრამ ცალმხრივი, მართოდენ ინგლისელების სასარგებლოდ. და მართლაც, რამდენად პორტუგალია ადრე მიანიჭებს რაიმე ხელსაყრელ პირობებს სხვა სახელმწიფოებს, ისინი იმთავითვე ვრცელდებიან ინგლისზედაც (ამაში მდგომარეობს პრინციპი რაც შეიძლება მეტი ხელსაყრელობისა).

ამ ტრაქტატის დაშტებით 1703 წ. სავაჭრო ხელშეკრულება იქნა დადებული „დიდი ბრიტანეთის უბრწყინვალეს და უძლიერეს მეფე ანნასა და პორტუგალიის უბრწყინვალეს და უძლიერეს მეფე პეტრეს“ შორის, — ცნობილი მეტუენის ხელშეკრულება, რომელმაც უკედავყო სახელი ინგლისის ელჩის „აღმატებულ ჯონ მეტუენის ესკევიარის“. რომელიც ამ ხელშეკრულების დასადებად განსაკუთრებულ რწმუნებულად იყო გაგზავნილი პორტუგალიაში. მეტუენის ხელშეკრულებით ინგლისის სასარგებლოდ უქმდებოდა უტხოეთის შალის ნაწარმოების შემოზიდვის აკრძალვა, რაიც დაწესებული იყო პორტუგალიაში 1684 წელს. სამაგიეროთ ინგლისის ქსოვილების პორტუგალიაში დაშვებასა, ინგლისელებმა მიიღეს ვალდებულება ინგლისში შემოზიდული პორტუგალიის ღვინოებისათვის უპირატესობის დაწესების შესახებ: ესენი იბეგრება $\frac{1}{5}$ -ით ნაკლებ იმასთან შედარებით, რასაც ბაჟის სახით საფრანგეთს ღვინოებს აწერენ.

თავისი შალეულობის მრეწველობის ინტერესების გამო ინგლისმა ამას შემდეგ მალე დადვა ხელშეკრულებები სხვა ქვეყნებთანაც: ავსტრიათან 1715 წ., დააწესა ავსტრიის ნიდერლანდებში. შეზიდულ შალის ნაწარმოებზე ბაჟის შემცირება; ესპანეთთან, სადაც ინგლისელები 1713 წლის ხელშეკრულებით სარგებლობდნ სხვა სახელმწიფოებისათვის მიანიჭებულ ყველა შეღავათებით (უფლებით უმეტესი ხელსაყრელობის მიცემისა) და სადაც ინგლისელებს, — სავაჭროს სიტყვით, — „ჰოლანდიელებთან ერთად ყოველივე ვაჭრობა სანახევროდ აქვთ და თავის უამრავ მაუდს, საუტხოვო ინგლისურ ეტამინებს, სარეებს, პერპეტუელებს, თიეთიკსა და შალს სხვა ქსოვილებს გზავნიან“...

მაშინ. როდესაც XVII საუკუნეში კადიქსთან და ესპანეთის ამერიკასთან ვაჭრობაში ფრანგებს თათქმის პირველი ადგილი ეჭირათ, მე-XVIII საუკ. დასაწყისიდან მათ ინგლისი ავიწროებს და მთელი ცდები მათი მხრივ ძველი მდგომარეობის დაბრუნებასა უშედეგოდ რჩება...

ფრანგებთან ერთად განმტკიცდენ რა მე-XVI საუკ. ბოლოდან ოსმალეთთან და ლევანტის სხვა სახელმწიფოებთან ვაჭრობაში ინგლისელები მე-XVII ს. დასაწყისიდან ჰოლანდიელებთან ერთად აფართოვებენ მას საფრანგეთს ვაჭრობის ანგარიშზე.

ეს მოხდა, ერთის მხრივ, იმას გამო, რომ ისინი სავაჭრო ურთიერთობაში კეთილსინდისიერად ასრულებდნ თავზე მღლებულ ვალდებულებათ და ეზიდებოდნ უმალლესი ხარისხის შალის ქსოვილებს, რომლითაც მალე მათ აავსეს ლევანტის ქვეყნები: ეს იყო new drapery — თხელი და მსუბუქი ქსოვილი, თბილი ქვეყნებისათვის დანიშნული, ხოლო მეორეს მხრივ, მათ შესძლეს შეექმნათ მტკიცე სავაჭრო ორგანიზაცია 1606 წ. საბოლოოდ ჩამოყალიბებული ლევანტის კომპანიის სახით; ეს კომპანია გზავნიდა დიდ გემებს ფრანგებთან შედარებით, საქონლის სამჯერ მეტი რაოდენობით დატვირთულს, თუმცა უფრო მრავალრიცხოვან ეკიპაჟს არ საჭიროებდა. ეს გემები ფლოტილიებად მოგზაურობდნ. და ამიტომ ადვილად აღწევდნ თავს მეკობრეების თავდასხმას, რომლებსაც სავსე იყო ხმელთაშუა-

ზღვა. ინგლისის გემების ცენტრალური პუნქტი იყო ლევორნო; საიდანაც ისინი შემდეგ ესტუმრებოდნენ ხოლმე ვენეცუას, სპირანას, კონსტანტინეპოლს. საქონლის შეტანისას ისინი იხდიდნენ ფასის 3%, ნაცვლად 5%-სა, რასაც იხდიდნენ ფრანგებმა.

საეარის სიტყვით (Parfait négociant), ლევანტის ვაჭრობას, სადაც ინგლისელები დიდი რაოდენობის ქსოვილებთან ერთად ასაღებდნენ თავანთ ლითონებს (კალას, თუნუქს), კოლონიებიდან მოტანილ პილპილს და კოშენილს, მათთვის არა ნაკლები მნიშვნელობა ჰქონდა ვინემ გაცვლა-გამოცვლას ინდოეთთან და ამერიკასთან — უფრო დიდძლ, რადგან აქ ექსპორტის სახით შექონდათ სამრეწველო საგნების მნიშვნელოვანი რაოდენობა, მაშინ როდესაც ოკეანეს იქეთა ქვეყნებში უზიდებოდნენ თითქმის მარტოდენ ფულს.

უფრო მეტად არსებითი განსხვავება ინგლისის ვაჭრობაში, ერთის მხრივ, ამ ქვეყნებში — მოსკოვის სახელმწიფოსა, პირენეის ნახევარკუნძულსა და ლევანტის ქვეყნებში, ისე როგორც გერმანიაში (ჰამბურგი) — და, მეორეს მხრივ, დედამიწის ოკეანეს იქეთა ნაწილში მდგომარეობდა შემდეგში: პირველ შემთხვევაში რს დამყარებული იყო საეაქრო ხელშეკრულებებზე, რომლითაც ინგლისელებს ენიჭებოდათ განსაზღვრული პრივილეგიები, მათ მიერ, ამა თუ იმ ადგილზე, ადგილობრივი ხელისუფლების ნებართვით მოწყობილ ფაქტორიებზე. ინგლისელები აქ უცხოელები იყვენ, ხშირად ადგილობრივი მოსახლეობიდან უსიამოვნება ხვდებოდათ, შესაძლებელი იყო ყოველ წუთს დაეკარგათ თავისი პრივილეგიები, სხვაგვარად იყო საქმე ინდოეთსა და ამერიკაში, სადაც ისინი დამპყრობელებად და კოლონიზატორებად ითვლებოდნენ, სადაც მათ ეკუთვნოდათ მიწის ფართო სივრცეები, სადაც აშენებული იყო ფორტები და იმყოფებოდა ჯარი. აქ ისინი ბრძანებლები იყვენ, თავის სურვილისამებრ შეეძლოთ შესაძენ და გასასაღებელ პროდუქტებზე ფასების დაწესება, აკრძალვა კოლონიებისათვის ამა თუ იმ საქონლის, განსაკუთრებით სამრეწველო საგნებს დაშადებისა, აიძულებდნენ რა მათ უკანასკნელი შეიძინათ მხოლოდ ინგლისელებისაგან.

ამერიკაში ინგლისმა კოლონიები შეიძინა სხვა ქვეყნებისათვის სხვადასხვა ტერიტორიის წართმევით — კანადის, ახალი შოტლანდიის (აკადიას). ლუიზიანას და მისისიპის ოლქის — საფრანგეთისათვის (1713 და 1763 წ.; შემდეგ, ნიუ-იორკად წოდებული ახალი ამსტერდამის — პოლანდიისათვის (1667 წ.); უფრო ადრე იამაუკას — ესპანეთისათვის (1655 წ.). ამას მიემატა თვით ინგლისელების მიერ დაარსებული სამიწათმოქმედო კოლონიები — მასსაჩუსეტსი (პურიტანელები). მერილენდი (კათოლიკები). პენსილვანია (კვაკერები); აქ წარმოიშვა თამბაქოსა და ბრინჯის პლანტაციები, რომლებზეც ამუშავებდნენ აფრიკიდან მოყვანილ შავკანიან მონებს. მაგრამ ჩრდლოეთ ამერიკაში დაპყრობილი მთელი ვრცელი ტერიტორიიდან დაწყებული ალუგანის მთებიდან ვიდრე ატლანტიის ოკეანემდე, ინგლისელებმა შეისძლენ მხოლოდ კანადის შენარჩუნება, რადგან 13 კოლონია, ინგლისის მიერ დაწესებული შევიწროებათა გავლენით ჩამოს-

ცილდა მას 1773 წ. და დაარსეს დამოუკიდებელი სახელმწიფო. თავისი მფლობელობანი სამხრეთ ამერიკასა და ვესტ-ინდოეთის არხიპელაგში (იამაიკა) მათ შეინარჩუნეს.

პირიქით. ოსტ-ინდოეთში ინგლისელებმა დიდი იპვერია დაარსეს. მაღლის არქიპელაგზე მათ, პოლანდიის მხრივ წინააღმდეგობის გაწევის გამო (სისხლისმღვრელი შეტაკება ამბოინაში 1620 წ.) ვერ შესძლეს განმტკიცება; მაგრამ სამაგიეროდ კონტინენტზე მათ — სახელდობრ, ინგლისის ოსტ-ინდოეთის კომპანიამ, რომელსაც ეკუთვნოდა კოლონიზაციისა და ვაჭრობის მონოპოლია ინდოეთში — დაარსეს მთელი რიგი ფაქტორიებისა: ბომბეი, მადრასი, კალიკუტი, ხოლო შემდეგ შეიქრენ უფრო ღრმად ინდოსტანში, სადაც 1698 წ. წარმოიშვა ქალაქი კალკუტა. რო ბ ფ რ ტ კ ლ ა ი ე ს და უ ო რ ე ნ - ჰ ა ი ს ტ ი ნ გ ი ს მეოხებით, ოსტ-ინდოეთის კომპანიამ ინდოეთიდან გააძევა თავისი მთავარი მტრები — ფრანგები, რომლებიც იძულებულნი გახდნენ ხელი აეღოთ ბენგალიაზე და დაიტოვეს მხოლოდ ხუთი ფაქტორია, სადაც მათ არ შეეძლოთ არც სიმაგრეების აგება და არც გარნიზონების ყოლა. ხოლო შემდეგ კომპანიის მიერ წამოწყებული იქნა დიდი მოგოლ-ს იმპერიის, ე. ი. ინდოეთის დაპყრობა.

უ ა ი ტ ვ რ ს ი ს მიხედვით 1697 წლიდან 1773 წლამდე ინგლისის შემოზიდვა და გაზრდა 3 — 4-ჯერ გაიზარდა (შემოზიდვა 31½ მილ. გირ. სტერ. — 11,4 მილიონამდე, გაზიდვა 31½ მილ. გირ. სტერ. — 14¾ მილიონამდე), ხოლო 1805 წლამდე მთელი საეაქრო გაცვლა-გამოცვლა 9-ჯერ გაიზარდა (7 მილიონიდან 1697 წელში — 64½ მილიონამდე 1805 წელში). მისი საეაქრო ფლოტი, რომელიც 1704 წ. 260 ათასი ტონით განისაზღვრებოდა, მე-XVIII საუკუნეში 11½ მილიონ ტონით გაიზარდა, ამასთანავე მის შემადგენლობაში შედიოდა დიდი რაოდენობა სხვა ქვეყნებისათვის ომების დროს წართმეული გემებისა, ასე, მაგ., 1651—1655 წ.წ. პოლანდიის მოსტაყეს 1.600 გემი.

ინგლისი მე-XVIII საუკუნის ბოლოსათვის იყო როგორც პირველი სამრეწველო, ისე პირველი საეაქრო და კოლონიალური სახელმწიფო მთელს დედამიწაზე.

(ი. კ უ ლ ი შ ვ რ ი — „დას. ევროპის ეკონომიური ცხოვრების ისტორია“. ტ. II).

§ 10. სანაპივბატიო აქტი

(1651 წ. ოქტომბრის 9)

საეაქრო ფლოტის გაძიდებისა და ერის ნაოსნობის წასაქეზებლად, რაიც კეთილი განგებია და ღვთის მფარველობის წყალობით წარმოადგენს ამ სახელმწიფოს კეთილი მდგომარეობისა და უშიშროების მნიშვნელოვან საშუალებას ამ პარლამენტისა და მისი ხელისუფლების მიერ უნდა იქნეს დადგენილი, რომ:

1651 წ. დეკემბრის პირველდან და ამ თარიღამდეც არავითარი პროლუქტი და საქონელი, რომელიც მოიპოება ან იწარმოება აზიასა, აფრიკასა და ამერიკაში, ანდა და მათ ნაწილებში, ან კლდე მათ კუთვნილ

კუნძულებში... არ უნდა იქნეს შემოზიდული, ან შემოტანილი ინგლისის სახელმწიფოში, ან ირლანდიაში ან რომელიმე სხვა მიწაზე, კუნძულზე, პლანტაციასა და ტერიტორიაზე, რომელიც შეადგენს ჩვენი სახელმწიფოს კუთვნილებას ან იმყოფება მის მფლობელობაში, რომელიმე სხვა ხომალდზე ან ხომალდებზე, გემზე ან გემებზე, გარდა იმათი, რომლებიც ნამდვილად და ყოველგვარი საცრუის გარეშე ეკუთვნის მხოლოდ ამ რესპუბლიკის ან მისი კოლონიის მოქალაქეთ, როგორც მესაკუთრეთ ან ნაშდვილ მფლობელთ, და რომელთა კაპიტანი და მეზღვაურები აგრეთვე იქნებიან უმთავრესად მოქალაქენი ჩვენი რესპუბლიკისა. ამის დამრღვევნი დაიჯიგებიან მთელი იმ საქონლის კონფისკაციით და დაკარგვით, რომელიც იქნება შემოზიდული ამ აქტის საწინააღმდეგოთ, და აგრეთვე იმ გემის კონფისკაციითაც (მთელი მორთულობით, ზარბაზნებით და მოწყობილობით). რომელზედაც იქნება შემოზიდული აღნიშნული საქონელი ან პროდუქტები.

კონფისკაციით ჩამორთმეულის ნახევარი მიდის რესპუბლიკის სასარგებლოდ, ხოლო მეორე ნახევარი — ყოველი პირის ან პირთა სასარგებლოდ, რომლებიც დააკაებენ საქონელს ან პროდუქტს და დაიცავენ თავიანთ უფლებას რესპუბლიკის რომელიმე საპრიზო სასამართლოში.

შემდეგ, ზემოთმოხსენებული ხელისუფლების მიერ დადგენილია, რომ არავითარი პროდუქტი და საქონელი, წარმოშობილი და წარმოებული ევროპაში ან მისი რომელიმე ნაწილში, 1651 წ. დეკემბრის 1-ლიდან არ უნდა იქნეს შეტანილი და შეზიდული ინგლისში ან ინგლისის რესპუბლიკის კუთვნილ თუ მის მფლობელობაში მყოფ სხვა მიწებზე, კუნძულებზე, კოლონიებსა და ტერიტორიაზე, არავითარ სხვა ხომალდზე ან ხომალდებზე, გემზე ან გემებზე, გარდა იმათი, რომლებიც ნამდვილად და ყოველგვარი საცრუის გარეშე ეკუთვნის მხოლოდ ამ რესპუბლიკის მოქალაქეთ, როგორც ნამდვილ მფლობელთა და მესაკუთრეთ, და არავითარ სხვა გემებზე, გარდა იმ უცხოეთელ ხომალდებისა, გემებისა, რომლებიც ნამდვილად შეადგენს საკუთრებას ქვეშევრდომთა იმ ქვეყნის ან ადგილის, სადაც წარმოიშობა ან იწარმოება ხსენებული საქონელი, ან იმ ნავთსადგურებისა, სადაც ხსენებული საქონელი შეიძლება იქნეს შეტანილი ან ჩვეულებებისაზე წინასწარ შეზიდული მისი შემდგომი გადაზიდვისათვის.

ყოველივე ეს უზრუნველყოფილია, იმავე წესის კონფისკაციის შიშით, რომელიც მოყვანილია ამ აქტის წინა ნაწილში და აგრეთვე კონფისკაციის ისეთივე გადახდევინებითა და მოხმარებით, როგორც ეს არის ზემოთ ნათქვამი.

შემდეგ, ზემოთაღნიშნული ხელისუფლების მიერ დადგენილია, რომ საზღვაოგარეთ წარმოშობილი ან წარმოებული არავითარი პროდუქტი და საქონელი, რომელიც უნდა იქნეს შემოზიდული რესპუბლიკაში მის მოქალაქეთა კუთვნილ ხომალდებზე არ უნდა იქნეს მათ მიერ გადმოზიდული რომელიმე სხვა ადგილიდან ან ადგილებიდან, ქვეყნიდან ან ქვეყნებიდან, გარდა მათისა, სადაც ხსენებული პროდუქტები წარმოიშობა ან იწარმოება

ან იმ ნავთსადგურებისა, სადაც ის შეიძლება იქნეს შეტანილი ან ჩვეულებრივად წინასწარ შეზიდული მის შემდგომ გადასაზიდათ. ძაგრან არა რომელიმე სხვა ადგილიდან ან ქვეყნიდან, რის დარღვევა დაისჯება კონფისკაციით და ზარალით, რომელიც მოყვანილია ამ აქტის პირველ ნაწილში და აგრეთვე კონფისკაციის ისეთი გადახდევინებითა და მოხმარებით, როგორც ეს ნათქვამია ზევით...

შემდეგ, ზემოთ მოხსენებულ ძალაუფლებებს მიერ დადგენილია, რომ არც ერთი ხარისხის ვირთვეზა, ქაშაყი, და წვრილი თევზეული ან სხვა რომელიმე მარილიანი თევზი, რომელსაც ჩვეულებრივად იქერენ ამ ერის ხალხი, არც ერთი ხარისხის ქონი, რომელსაც იღებენ ან მიიღებენ ყოველგვარი თევზიდან, არც ვეშაპის უღვაში, არც ვეშაპის ძვლები ამიერიდან არ უნდა იქნეს შემოზიდული ამ სახელმწიფოში ან ირლანდიაში ან მის კუთვნილ თუ მის მფლობელობაში მყოფ მიწებზე, კუნძულებზე, კოლონიასა და ტერიტორიაზე, გარეშე იმისა, რაც მხოლოდ დაქერილი იქნება იმ ხომალდებით, რომლებიც ეკუთვნის ამ ერის ხალხს, როგორც ნამდვილ მესაკუთრეთა და მფლობელთ; ხსენებული თევზი უნდა იქნეს დაქერილი, ხოლო შემოთაღნიშნული ქონი დამზადებული მხოლოდ ამ სახელმწიფოს მოქალაქეთა მიერ, რაიც დაზღვეულია შიშით დასჯისა და ზარალისა, რაიც მოყვანილია ამ აქტის პირველ ნაწილში და აგრეთვე კონფისკაციის ისეთივე გადახდევინებითა და მოხმარებით, როგორც იყო ნათქვამი ზევით...

... მიღებული იქნეს ზომები იმისათვის, რათა არც ეს აქტი, არც ყოველივე ის რაც მოხსენებულია მასში არ გავრცელდეს და არ იქნეს გამოყენებული იმისათვის, რომ ამათ შეფერხდეს ხმელთაშუაზღვიდან და ლევანტიის ზღვებიდან შემოტანა რომელიმე საქონლისა, რომელიც დატვირთული იქნება ამ სახელმწიფოს გემებზე ჩვეულებრივ ნავთსადგურებში და ადგილებში. რომლებიც დანიშნულია მათ დასატვირთავად და მათი აქედან სრუტეს (ვიბრალტარის) და ლევანტიის ზღვების რაიონში გასატანად. თუნდაც ხსენებული საქონელი არ წარმოადგენდეს აღნიშნული ადგილების პროდუქტს.

მიღებული იქნეს ზომები, რათა არც ეს აქტი, არც ყოველივე ის რაც მასშია მოხსენებული არ გავრცელდეს და არ წარმოადგენდეს დაბრკოლებას რაიმე საქონლის შემოზიდვისათვის ოსტინდოეთიდან. ამ ერის გემებზე რომლებიც დატვირთული იქნება ჩვეულებრივ ნავთსადგურებსა და ადგილებში, რომლებიც დანიშნულია მათი აქედან ზღვების სხვა ნაწილში გადაზღვისათვის, კეთილ იმედის კონცხის სამხრეთითა და აღმოსავლეთით, თუნდაც მოხსენებული ნავთსადგურები არ წარმოადგენდენ იმ ადგილებს, საიდანაც ეს საქონელი წარმოიშობა....

... მიღებული იქნეს აგრეთვე ზომები იმისათვის, რომ ეს იყოს კანონიერი ამ რესპუბლიკის ყველა მოქალაქესათვის მათი კუთვნილი ხომალდებისა და გემების მიმართ, სახელდობრ: რათა ამ ერის კაპიტანები და მეზღვაურები, როგორც ზემოთ არის ნათქვამი, ტვირთადღენ და უზიდებოდენ ესპანეთსა და პორტუგალიის ნავთსადგურებთან ყოველგვარი ხარჯისა და

ქონელსა და პროდუქტს, რაიც კი გადის აქედან ან რომელიმე მათი კუთვნილ კოლონიასა და სამფლობელოებიდან.

შემდეგ, ზემოთ მოხსენებული ხელისუფლების მიერ დადგენილია, რომ ამერიკიდან ეკრძალება ყოველ პირს თუ პირთ დატვირთვა ან იძულება უსიშესი დატვირთოს და შეზიდოს რომელიმე ხომალდზე ან ხომალდებზე გემზე ან გემებზე, რომელთა მესაკუთრე ან კაპიტანი არის უცხოელი ან უცხოელები (უკეთუ ისინი არ არიან ნატურალიზირებულნი) თევზი, საარსებო პროდუქტი, საქონელი ან სხვა საგნები, როგორც ხარისხისა და თვისებისაც არ იყოს ის, ამ სახელმწიფოს ერთი ნავთსადგურიდან იმავე სახელმწიფოს მეორე ნავთსადგურში, — დამუქრებით დასჯისა, ყველას, ვინც აქტის ამ ნაწილის ნამდვილი აზრის წინააღმდეგ იმოქმედებს, კონფისკაციით მთელი საქონლისა, რომელიც ამ გზით იქნება დატვირთული ან გაგზავნილი, და აგრეთვე გემებისაც, რომლებზეც საქონელი იქნება დატვირთული ან გაგზავნილი; ამასთანავე მოხსენებული კონფისკაციის გადახდევინება და მოხმარება უნდა წარმოებდეს ისე, როგორც ეს აღნიშნულია ამ აქტის პირველ ნაწილში.

დასასრულს, ეს აქტი, არც რაიმე მასში მოხსენებული არ უნდა გავრცელდეს სხმულებსა და საქონელზე, რომელიც დაკავშირებული იქნება გემის ან გემების მიერ პრიზის სახით, ჩვენი მთავრობის დავალების თანახმად.

მიღებულ იქნეს ზომები, რათა ეს აქტი ან რაიმე მასში მოხსენებული არ გავრცელდეს და არ იქნეს გაუებული აბრეშუმისა და აბრეშუმის საქონლის მიმართ, რომელიც იქნება შემოზიდული იტალიის რომელიმე ნაწილიდან ხმელეთით და შექმნილი იქ ინგლისის საქონლით მიღებული მოგებიდან ფულზე ან გაცვლის საშუალებით; მაგრამ რათა კანონიერად ითვლებოდეს ამ რესპუბლიკის ყოველი მოქალაქისათვის გადაზიდვა იმავესი ინგლისურ ნაგებზე ოსტენდედან, ნიუპორტიდან, როტერდამიდან მიდებურგვიდან, ამსტერდამიდან ან აქ მოთავსებულ სხვა ნავთსადგურიდან, მხოლოდ იმ პირობით, რომ მესაკუთრეებმა და მფლობელებმა ჯერ ფიცი დასდონ თვითონ ან სანდო მოწმეთა საშუალებით, გადასახადთა ამკრეფ კომისიონერების თანდასწრებით... მასზე, რომ ზემოთ ჩამოთვლილი საქონელი ნაყილია, მისი ან მათი საკუთარი ანგარიშით და რტალიაში.

(ნ. როზენტალი — „ევროპის ისტორია საეკონომიკური კაპიტალიზმის ეპოქაში“).

§ 11. ნაციონალური ბაზარი და მარკანტილიზმი

განვითარების გზაზე დამდგარ ინგლისის კაპიტალიზმს, რომელიც მოითხოვდა საქალაქო ეკონომიკის ვიწრო საზღვრების მოსპობასა და გაბატონებულ მდგომარეობას ფართო ეროვნულ ბაზარზე, ერთხანს მრავალი დაბრკოლებისა და სიძნელის გადალახვა მოელოდა. XIV საუკუნემდე ინგლისის მდგომარეობა მსოფლიო ეპოქაში შეტად უმნიშვნელო იყო. ბუნებით მას ჰქონდა ზოგიერთი უპირატესობანი, რადგან მისდევდა მეცხვარეობას, მამასაღამე, მოეპოვებოდა მატყლი, რომელიც ასე ძლიერ ესაჭი-

როებოდა საშუალო საუკუნოების ძირითად შრეწველობას; ამასთან მის მატყლს ისეთა: ღირსება ჰქონდა, რომელზედაც დიდი მოთხოვნილება იყო. მაგრამ, რამდენადაც საქმე ინგლისის საზოგადოებრივ წყობილებას შეეხებოდა, ამ მხრივ ეს ქვეყანა არ იყო ხელსაყრელ პირობებში. ინგლისის მეფეთა ხელსუფლება და მისი არისტოკრატია, კონტინენტის სასახლეებთან ბრწყინვალეობასთან და ზანდუკებში დაცულ განძეულობასთან შედარებით, ღარიბი იყო, რისთვისაც ისინი იძულებულნი იყვნენ მიემართათ სესხისათვის, რაშიაც დიდ სარგებელს იხდიდნენ, ან ისეთ დათმობაზე მიდიოდნენ, რომელიც მეტად სამძიმო იყო. ამავე დროს არც ინგლისის ვაჭართა კლასი იყო საკლებით მომწიფებულ. მეცამეტე საუკუნემდე ამ კლასის აზრი არ სცილდებოდა პროვინციალური ქალაქის პორიზონტს. მხოლოდ მეთოთხმეტე საუკუნეში იგემა მან უცხოეთთან ვაჭრობის წარმატაცი პერსპექტივები. შედეგად კი ამას ის მოჰყვა, რომ ამ ხნის განმავლობაში თვალსაჩინო პროვილეგები შუცათ უცხოელ ვაჭართა ჯგუფებს, ისეთ ვაჭართა ჯგუფებს, როგორიც იყვნენ, მაგალითად, ლომბარდიელნი და „ფოლადის ქარვასლის“ ვაჭრები. ამგვარი უპირატესობით აღჭურვილმა ამ ვაჭრებმა, ინგლისის მატყლის წყალობით, გაიჩინეს მოგების ისეთი წყარო, რომლის მსგავსით სარგებლობის საშუალება ინგლისელ ვაჭრებს არ გააჩნდათ.

ამის შემდეგ ინგლისი გადაიშალა ერთგვარ კოლონიად, რომელიც ღია იყო უცხოელ მეწარმეთა ექსპლოატაციისათვის და რომელიც ისეთსავე დამოკიდებულ მდგომარეობაში იმყოფებოდა, როგორშიაც დღეს იმყოფებიან ისეთი ქვეყნები, როგორცაა ჩინეთი, ინდოეთი და ოსმალეთი. ადგილობრივი ბაზრით შეზღუდული ინგლისელი მყიდველი არ იყო ხელსაყრელ მდგომარეობაში, რადგან საქონელს უცხოელი ვაჭრისაგან ყიდულობდა. მას ცოტა ჰყავდა სხვა შუწოდებელი და მცირე რამ იცოდა უცხო ადგილების საბაზრო პირობათა შესახებ. სწორედ ასევე მატყლის ან სხვა ადგილობრივი პროდუქტის ინგლისელ გამყიდველს თავისი საქონლის გაყიდვის ნაკლები შანსები ჰქონდა. მას ცუდად ჰქონდა წარმოდგენილი, რომ შეიძლებოდა ამ საქონლის უფრო დიდ ფასად გაყიდვა, თუ კი გაჰბედავდა და გაუდგებოდა გზას მყიდველს საძებრად. კარგი ფასის მიღების ერთადერთ შესაძლებლობას მისთვის მხოლოდ ის წარმოადგენდა, თუ კონკურენცია უცხოელებისა, რომელთაც მისი საქონელი ესაჭიროებოდათ, იმდენად გამწვავდებოდა, რომ იგი, ამ უცხოელ ვაჭრებს, „ურთიერთთან დაბირისპირებით, თავის საქონელში“ უფრო დიდ ფასს გააღებინებდა. მაგრამ ეს ნაკლებად იყო მოსალოდნელი, რადგან უცხოელ ვაჭართა რიცხვი საიტკად იყო შეზღუდული, ხოლო ის უცხოელნი, რომელნიც შიგ ინგლისში ვაჭრობდნენ, ლივასა და ჰანზაში იყვნენ გაერთიანებულნი. ამის გამო ის ფასი, რომელსაც ინგლისელი მყიდველები უცხოეთის საქონელში იხდიდნენ, შედარებით მაღალ დონეზე, ხოლო ფასი, რომელსაც ისინი თავის საქონელში ღებულობდნენ — დაბალ დონეზე იდგა.

ამავე მიზეზით მონღოლიის წარმოშობამ ქალაქებში თავის დროზე დადებითი როლი ითამაშა ინგლისელთა შორის სავაჭრო ინიციატივისა და თვითმოქმედების გაღვივების საქმეში. მან აიძულა მოქალაქენი ცდილიყვნენ

ნენ გაერთიანებულ ძალ-ლონით აეცილებიათ თავიდან არახელსაყრელი მდგომარეობა. თუ არა ეს მიზეზი, საექვო იყო, რომ ინგლისელი მოხეტიალე წვრილი ვაჭრობისა და უბრალო ხელოსნობის ფარგლებს გასცილებოდნენ. ამ მფარველობას გარეშე ისინი ძნელად თუ დააგროვებდნენ სათანადო კაპიტალს ვაჭრობის ახალი მეთოდებისათვის ფინანსების მისაწოდებლად. ან იმ რისკის უზრუნველსაყოფად, რომელიც თან სდევს ყოველ ახალ სავაჭრო საქმეს. კიდევ უფრო ნაკლებ მოსალოდნელი იყო ქალაქად მეწარმეთა ისეთი კლასის გაჩენა, რომელიც გამკვალული იქნებოდა კაპიტალისტური სულით და გატაცებული მოგების შეძენითა და ძალაუფლების ხელში ჩაგდებათ. სწორედ გილდებისა და საბაზრო შეზღუდვებს მფარველობას შეიძლებოდა შედეგად მოჰყოლოდა ახალი ქალაქების კეთილდღეობა და კლასობრივ ფენათა წარმოშობა, რაც კაპიტალიზმის საფუძვლად გადაიქცა. და სავაჭრო გილდების უშუალო მემკვიდრეებად სწორედ ხელოსანთა გილდები და უცხოეთში მომქმედი ვაჭრები გახდნენ, რომლებიც ჯერ გამოედანენ, ხოლო შემდეგ საკუთრად მიითვისეს კიდევ მონოპოლია, რითაც მანამდე უცხოელი ჰანზა სარგებლობდა.

ამიტომ პირველ ნაბიჯს ეროვნულ ბაზარზე ინგლისის ვაჭართა კლასის უპირატესობის დასამყარებლად წარმოადგენდა უცხოელ ვაჭართათვის პრივილეგიური და უპირატესი მდგომარეობის ჩამორთმევა. ეროვნული მასშტაბის პირველი უკმაყოფილება გამოიხატა ჯერ-ჯერედ მეცამეტე საუკუნის შუაწლებში, როდესაც სიმონ დე მონფორი მეფის წინააღმდეგ ამხედრების დროს ჩიოდა: მატყლი საზღვარგარეთ გააქვთ, რათა ფლანდრიის მატყლის მრეწველობას ასარგებლონ, ნაცვლად იმისა, რომ თვით ჩვენი ქვეყნის შიგნით სამუშაო და სიმდიდრე მიეტყს საფეოქრო მრეწველობასო. ჩვენ დაბეჯითებით ვერ ვიტყვით, ნამდვილად იყო დე მონფორი გამკვალული ნაციონალიზმის სულით — და, ამრიგად, მან თავის ზანას გაუსწრო. — თუ ამ საყვედურს მან მიმართა, როგორც *argumentum ad homines*-ს ინგლისელი ვაჭრების სახელით, რომელნიც უკვე თვითონაც მოწადინებულნი იყვნენ ხელი მოეკიდათ იმ მოგებისათვის, რომელსაც მატყლით ვაჭრობა იძლეოდა. როგორც არ უნდა ყოფილიყო. ამის შემდეგ ინგლისელმა ვაჭრებმა უცხოელებთან ერთად დაარსეს სავაჭრო კომპანია (*Merchants of the Staple*) და, ამრიგად, წილი დაიდევს მოგებაში, რომელსაც მატყლით ვაჭრობის მონოპოლია იძლეოდა. მეფის ხელისუფლება კვლავ განაგრძობდა გულუხვობას. — თუ კი ამას შეიძლება ეწოდოს გულუხვობა. — ჰანზის ვაჭართა მიმართ. გულუხვობის პრეცედენტი დაამყარა ჯვაროსანთა ლაშქრობაში წასულმა რიჩარდმა, რომელიც ბედის ტრიალის წყალობით, გერმანიის საპყრობილეში მოქცეული, მოხარული იყო აქ უსიამოვნო და დამამცირებელი მდგომარეობიდან თავის დასახსნელად ჰანზელ ვაჭრებისათვის მიეცა სავაჭრო პრივილეგიები. მის მემკვიდრეებს მართალია საპყრობილე არ აიძულებდა დათმობაზე წასულსაყენენ, მაგრამ მათი მდგომარეობა იმდენადვე ცუდი იყო. რამდენადაც მათი ხანინა ცარიელდებოდა და ამიტომაც გულუხვობას ბოლო არ ეღებოდა. დიდებულ ფეოდალთა ზოგიერთი წარმომადგენელიც მზად იყო სიხარულით მიჰყე-

ბებოდა უცხოელთა მოსვლას, რადგან ეს უცხოელი ვაჟრები მათ საუკეთესო საშუალებად მიაჩნდათ მონოპოლიით აღკუთვილ ადგილობრივ მოქალაქეთა აუტანელი თავხედობის ასალავმავად. ეტყობა, უცხოელებისადმი ამ კარგ განწყობილებას ქალაქის კეთილსათნოიანი ხელისუფალნიც კი იზიარებდენ. ეს გასაგებიც არის, რადგან გულუხვობა ცალმხრივი როდი იყო: ჩვენ ვიცით, რომ ის ოლდერმენი, რომელსაც ლონდონელ ოლდერმენთა წრიდან ირჩევდენ მოქალაქეთა და გერმანელ ვაჭართა შორის სადაო საქმეებს განსახლველად, ყოველწლიურად ჰანზისაგან უნვ საჩუქარს იღებდა 15 ოქროს ნობლეს, რომელსაც „თავაზიანად წყვილ ხელთათმანში ჩასდებდენ“. მართლაც, თუ რამდენად სჯარბობდენ უცხოელი ვაჟრები ინგლისის საგარეო ვაჭრობაში ჯერ კიდევ ედუარდ IV-ის დროს, ამას საუკეთესოდ ადასტურებს კომერციული სასამართლოების შემადგენლობა იმ ქალაქებში, რომელნიც მატყლის საწყობის ცენტრებს წარმოადგენდენ. ეს სასამართლოები, — რომელთა ამოაცნასაც შეადგენდა ჰხედასხვა დავის მოგვარება მყიდველებსა და გამყიდვეებს შორის, ორი ინგლისელი, ორი გერმანელი და ორი ლომბარდიელი ვაჭრისაგან შედგებოდა.

ედუარდ მე-III მმართველობის დროს თავი იჩინა ნაციონალურმა მოძრაობამ ჰანზისა და ვაჭარ-ექსპორტიორთა კომპანის მიერ საგარეო ვაჭრობის მონოპოლიზაციის წინააღმდეგ. ეს იყო ქალაქის მდიდარი ვაჭრების მოზარდა ძალისა და მნიშვნელობის გამოხატულება, რომელნიც მატყლის ვაჭრობაში „უმთავრესად შუამავალთა როლს ასრულებდენ ინგლისელებსა და უცხოელების შორის“. ეტყობა ისინი მაშინ ჯერ კიდევ არ იყვნენ გამკვეალულნი საზღვარგარეთ მატყლთ ვაჭრობაში მონაწილეობის მიღებასურველით — ასეთი მოთხოვნა იმ დროს, საეკვოა „პრაქტიკულ პოლიტიკად“ დასახულიყო. მაგრამ მათ უნდოდათ თავიანთი მატყლი გაეყიდათ თავისუფალი კონკურენციის პირობებში და საქმე არა ჰქონოდათ მტკიცედ დადგენილ მონოპოლიურ ფასებთან, მათ სურვილს იზიარებდენ მატყლს მწარმოებელნიც — უმთავრესად ფეოდალური მიწათმფლობელნი. რომელთაც იმედო: ჰქონდათ, რომ შესყიდვის თავისუფალი კონკურენციის დროს უზრუნველყოფდენ უფრო დიდ ფასებს თავიანთ მატყლზე. მიწათმფლობელნი სიხარულით მიეგებებოდენ საერთოდ საექსპორტო საწყობების მოპობას მაშინ, როდესაც მდიდარ ვაჭრებს სურდათ, ბრიუგის მატყლის საწყობს ნაცვლად, ჰქონოდათ რამდენიმე საწყობი ინგლისის ქალაქებში. ეს უკანასკნელი საწყობები უფრო ხელმისაწვდენი იქნებოდა მათთვის; ისინი გამოიყენებდენ ადგილობრივ ნაცნობობასა და კონტროლს ბაზარზე, მიიზიდავდენ იქ უცხოელების, როგორც ინგლისელთა საქონლის უშუალო შემსყიდველების უფრო მეტ რიცხვს, და ამ გზით ააცილებდენ მათ ბრიუგეს, სადაც წინად ისინი საქონელს მატყლის საწყობის კომპანიისაგან იძენდენ. ამიტომ საგრაფოებისა და ქალაქების წარმომადგენელნი თავისუფალი ვაჭრობის ნიდაგზე გაერთიანდენ ედუარდ III-ის პარლამენტში და მოითხოვიეს მატყლის საწყობის გაუქმება ბრიუგეში. მაგრამ მეფეს ჯერ კიდევ ესაჭიროებოდა ფული, ამ საქროებას ამწვა-

ვებდა ხარჯების გადიდება იმ ომზე, რომელიც მაშინ ინგლისს ააფრანგეთთან ჰქონდა. ლომბარდიელი ვაჭრებმა ფინანსიური გაკოტრების შემდეგ იჯარა მატყლს ბაეებზე საწყობების კომპანიამ აიღო. მეფე თავის შემოწავლით აქმეში დამოკიდებული აღმოჩნდა ამ კომპანიისაგან. მართალია, სესხისთვის ი, ინგლისელ ვაჭრებსაც მიმართა, განსაკუთრებით ლონდონელ ვაჭრებს, მაგრამ მეფე ჯერ კიდევ დიდად იყო დამოკიდებული უცხოელებისაგან. 1339 წელს მეფე იძულებული შეიქნა თავისი გვირგვინები კოლნისა და ტირისათვის დაეგირაუებინა და მებლანის სამხრეთ-აღმოსავლეთით 54.000 ფლორინი მიეღო; ხოლო ანტვერპენში, ერთ-ერთი საშობაო სტუმრობის დროს, იგი იძულებული გახდა 30.000 გარეანქა ვალსათვის, მძევლად დაეტოვებინა თავისი დედოფალი და ბავშვი — ვალსათვის, რომელიც მოქალაქეებმა თავაზიანად გაახსენეს მეფეს მაშინ, როდესაც მან ქალაქიდან წაივლის განზრახვა გამოთქვა.

არც მისი მემკვიდრეები ყოფილან უკეთეს მდგომარეობაში, პენრაზ მე-V ეგიპტოს ბრძოლის შემდეგ იძულებული გახდა დესპანები გაეგზავნა გერმანიის პანზასთან, წინანდელი პრივილეგიების განსაზღვრულად. პენრაზ IV პანზელ მეფისშვილისაგან „ცხრამეტი ათას ორას სამოცდა ოთხმეტ ნახევარი ნობლი“ დაედო და კრედიტორებსა ზეგავლენამ აიძულა ვიციეცა მათთვის უფლება აბელაციისა ინგლისის ქალაქის სასამართლოების განაჩენებზე შეეპართათ სპეციალურა მოსამართლეებისათვის, რომელთაც მეფე ნიშნავდა. თუმცა ელუარდ IV ტახტზე ასვლის შემდეგ მატყლის საექსპორტო ვაჭრობის უფლებას მხოლოდ ინგლისელებს აძლევდა და ინგლისელ მემამულეებს მფარველობდა და მოქალაქეებს თანაგრძობა და ნდობა მოიპოვა იმით, რომ ზეიმობის დროს ლოყაზე კოცნით აბედნაერებდა მათ კანონიერ ცოლებს, მაგრამ ფინანსიურმა გაჭირვებამ, ეტყობა, მაინც აიძულა იგი, 1465 წელს ფრიადი პატრიარქისა მიერ კანონისაგან „საჩუქრად თვალსაჩინო თანხა ქართის ვადის განგრძობისათვის“.

ამავე დროს ინგლისელმა ვაჭრებმა, რომელნიც უცხოეთთან აღებ-მიცემობისაკენ მიიწრაფოდენ, იწყეს მომგებიანა ვაჭრობა ინგლისური ზაუდით. პირველი ნაბიჯი ყველგან ვაჭრობის ამ ახალ დარგში, ეტყობა, გადადგეს მეგალანტრეებმა: მე-XIV საუკუნეში გალანტერიის ოსტატებს, როგორც ეს იორკში იყო, კომისიონერები ჰყავდათ ბრიუგში, ანტვერპენში, ბერგენ-ოპ-ზოომში და მიდელბურგში. მართლაც, უცხოეთში მოვაჭრეთა კომპანია (Merchan Adventurers) წარმოიშვა ლონდონელი მეგალანტერიების კომპანიიდან; ამასთან ის, 1526 წლამდე თავის ოქმებს სწერდა იმავე დავთარში, რომელიც მეგალანტერიების კომპანიას ჰქონდა. ამ ახალმა კომპანიამ, რომელიც 1358 წელს ცნობილი იყო „წმ. თომა ბეკეტის ძმობის“ სახელწოდებით, მოახერხა და მხოლოდ პრივილეგიები ფლანდრიის გრაფისაგან, და კონკურენციას უწევდა რა ბრიუგეს მატყლით, საწყობს, ანტვერპენი გადააქცია უცხოეთში თავისი მაუდით ვაჭრობის ცენტრად. ამ გამოწვევას შედეგად მოჰყვა გამწვავებული ბრძოლა უცხოეთში მოვაჭრე ინგლისელებსა და პანზას შორის იმისათვის, თუ ვის უნდა გეეწია კონ-

ტროლი ფლანდრიის ჩრდილოეთის საზღვაო ვაჭრობაზე. ინგლისის გემებს თავს ესხმოდნენ და სიარცვადენ, ინგლისელთა მოსახლეობა ბერგენში: ააოხრეს, ხოლო თავის მხრე ინგლისელი ვაჭრებიც ყველგან, სადაც კი ახერხებდნენ სამაგიეროს ამგვარადვე უხდიდნენ.

ჰენრიმ მე-VIII მეფობის დროს ჩიოდნენ, რომ დანციგში ინგლისელ ვაჭრებს ეპყრობოდნენ „ბევრად უფრო ცუდად, ვიდრე ყველა სხვა უცხოელს, გარდა ებრაელებსა“. მათ (ინგლისელებს) ცუდად ეპყრობოდნენ, არაფრად აგდებდნენ, ნებას აძლევდნენ თავიანთი საქონელი გაეყიდათ კვარაში მხოლოდ ერთ-დღეს; ამასთან ეს საქონელი უნდა მიეყიდათ მხოლოდ მოქალაქეებისათვის; მათ უკრძალავდნენ ვაჭრობას პრუსიაში, სხვა ქალაქებში. 1406 წელს ამ „უცხოეთში მოვაჭრე კომპანიაში“, რომელშიაც შედიოდა მრავალი მდიდარი ვაჭარი ინგლისის სხვადასხვა ქალაქიდან და ნავთსადგურიდან, — ისინი ქალაქებდანაც კი, როგორც იყო ლონდონი, იორკი, ნორვიჩი, ესეტერა, რუტლი, ნ-უკესტლი, რუთლანდი, — მიიღო თავისი პირველი ქარტია მეფისაგან, რომელსაც ეს კომპანია მიანიჭა ინგლისის ძირითად ორგანიზაციად მაუდის ექსპორტის საქმეში — „mercatores in partibus Hollandiae, Selandiae, Brabantiae et Flandriae“. ამით ინგლისის მონოპოლია, რომლის საქმესაც მაუდის გატანა შეადგანდა, საბოლოოდ იწვევდა მატყლის გატანის საქმის მონოპოლიზაციას — „სავაჭრო საწყობების კომპანია“ს და „ფულადის ქარვალის ვაჭართა კომპანია“-ს.

მაგრამ უცხოეთში (ზღვივ, იქითა) მოვაჭრენი ამ ბრძოლაში მარტონი არ იყვნენ. უცხოელებთანადმი მტრობას მათთან. ერთად იზიარებდნენ მაუდის ვაჭარნი და კაპიტალისტი მემუდენი, რომელნიც დაინტერესებულნი იყვნენ, თუ მაუდის გატანა არა, მიღი წარმოებთ მარცხი. იზიარებდნენ აგრეთვე ამ მტრობას ლონდონის ზოგიერთი სხვა სავაჭრო წრეები, რომელთაც „ფოლადის ქარვალა“ ვაჭარ-მოქალაქეთა მონოპოლია, თვალსაჩინოდ არღვევდა მიანიჭათ. იზიარებდა მას ვაჭართა მთელი ის ახალი ზედაფენაც, რომელმაც, ებრაელებს განდევნის შემდეგ, იკისრა მეფისშეობა ფეოდალურ დიდებულთა მიმართ და რომელიც ახლა ცდილობდა გამდიდრებას მეფესათვის მიცემულ სესხების სასარგებლოდ საბაჟო გადასახადების იჯარით და არმიისა და სამეფო კარსთვის საქონლის მიწოდებით.

ამის შემდეგ ტრადიციული ეპოქის დასაწყისისათვის იწყო ძლიერი განვითარება ეროვნულმა მოძრაობამ, რომელიც ეყრდნობოდა ვაჭართა ახალ კლასს და „უცხოეთში მოვაჭრე კომპანია“ დროში მომქმედ მის პიონერებს ჩრდილოეთის ზღვაში; ფეოდალური კლასი შემცირდა რაც ხვობრივად და შესუსტდა „ალისფერ“ და „თეთრი ვარდების“ ბრძოლათა წყალობით.

რეფორმაციისა და აღორძინების მოძღვრებათა ტალღებმა წააღიეს ეკლესიის ძლიერება. ახალმა კლასმა მე-XIV საუკუნის დასაწყისისათვის უკვე იწყო ფეოდალური გავლენისაგან დამოუკიდებელი განათლება, საკუთარი ცენტრების შექმნა ასეთი იყო კლასიკური გიმნაზიები, რომელთაც აარსებდნენ გამდიდრებული ვაჭრები და რომელნიც ადგილობრივად გილდიის ან

მერს კონტროლის ქვეშ იმყოფებოდნენ. ამის შემდეგ ტიუდორთა დროისათვის ახალ კლასს უკვე მოეპოვებოდა საკუთარი ინტელგენცია, რომელიც თავის მოწაფეობას იურისტებისა და მდივნების თანამდებობებზე გადაიდა და რომელიც ახლა მზად იყო ტიუდორთა ახალი მონარქიის მარჯველთა და აღმინისტრატორთა როლისთვის. მაღალი კლასის წარმოუ მადგენელთა შვილებმაც კი იწყეს ვაჭრობის მოწაფეობის გაება, და მათ ქალაქის ახალ „მეზანურ“ ცხოვრებაში დაჰკარგეს თავიანთი ფეოდალური ჩვეულებანი. ტყუილად არ ამბობდა ედვინ სენდისი, ელსაბედის მეფობის დროს, „თუ არა ვაჭრობას, მას რა საქმეს უნდა დაადგენ თავდაზნაურთა უმცროსი შვილები, რომელთაც ცხოვრება არ შეუძლათ სამხედრო სამსახურით, როცა ომი არ არის?“ ამისდამხედვით, ის ახალი მინისტრები და მოხელენი, რომელნიც ტიუდორებმა თავიანთ ირგვლივ შემოიკრიბეს, ამჟამად ახალი საუკუნის ადამიანები იყვნენ. ტომას კრომველი — იურისტი. უოლსი — ბურღი და გერში — მეგალანტირიე, ახალი პროგრესიული იდეების ხალხი იყო. პოლიტიკაში მინი ნაციონალისტები და ჰანზის მტრები იყვნენ. ჰენრი-ხ მე-VIII მეფობის დროს მისის დღესასწაულზე მღელვარება უცხოელთა წინააღმდეგ თითქმის ყოველ წელს იჩენდა ხოლმე თავს. პროტესტანტთა სამღვდელობა თავის ქადაგებაში ძლიერად ილაშქრებდა უცხოელთა წინააღმდეგ; შეჰქონდათ პეტიციები მათი განდევნის შესახებ. ერთელ მეფეს ჰანზის წინაშე ბოდიშის მოხდა და ტოუერიდან ჯარისა და ზარბაზნების გაგზავნაც კი მოუხდა, რათა ჩაექრო უცხოელთა წინააღმდეგ ამხედრებით გამოწვეული არეულობანი. ნორტუმბერლენდის ჰერცოგს და ედუარდ მე-VI ინგლისელი ვაჭრების მხარე ეჭირათ. 1551 წელს მათ ჰანზის პროვილეგაციებს გაუქმებაც კი დაუშვეს. ეს გაუქმება შედეგად მოჰყვა იმ საჩივარს, რომელიც როგორც ეტყობოდა, გრემემისა და ნორტუმბერლენის ჰერცოგის ჩაგონებით, წარედგინა ლონდონს, მერს და „უცხოეთში მოვაჭრე კომპანიის“ ეიურს. აღსანიშნავია, რომ შემდეგ წელსწაღს „უცხოეთში მოვაჭრე კომპანიის“ სამასმა ვაჭარმა 40.000 გირვანქა სტერლინგი ასესხა მეფეს.

იურიდიულ საფუძველზე ამ გამარჯვების შემდეგ ინგლისელ ვაჭრებს იქნა დარჩენილათ, რომ განემტკიცებიათ თავიანთი მდგომარეობა. კაბოტის მეთაურობით ბრიტალიიდან ექსპედიციით გაგზავნას ჩრდილოეთდასავლას გზის გამოაძებნად ამერიკისაკენ და ნაბიჯების გადადგმას რუტის მეფის მეგობრობის მოსაპოვებლად, ალბათ, მიზნად ჰქონდათ ჰანზის ვაჭრობის ხელში ჩაგდება ბალტიის ზღვაზე და ჩრდილოეთ-აღმოსავლეთ ევროპაში; ხოლო სხვადასხვა მგზავრობა ინდოეთში გამოხატულება იყო იმ დიდ წარმოდგენისა, რომელიც ინგლისელებს თავიანთ ეროვნულ საქმიერეზე ჰქონდათ. დედოფალმა მარიამმა მოიხურვა ჰანზისთვის ზოგიერთი დაკარგული პროვილეგიის დაბრუნება; საზოგადოდ ამ დედოფლის მოქმედების მთელი ხასიათი სავსებით და მთლიანად ეწინააღმდეგებოდა იმ დროის გაბატონებულ მოსწრაფებას. მაგრამ ელსაბედის სახით ინგლისელმა ვაჭრებმა დიდად სასურველი ხელმწიფე გაიჩინეს; ვინაიდან დედოფალი, ზედუკუღმართი ანა ბოლენით, ამ ხელმწიფის ძარღვებში უცხოეთში მო-

ვაჭრეთა სიხლი ჩქედდა. მისი მეფობა ახალგაზრდა ნაციონალიზმისთვის ბედნიერი ეპოქა იყო, და ამისათვის ინგლისელთა საისტორიო წიგნები და ინგლისურა ლიტერატურა, რომელნიც იდეალისტურად აღწერენ მის ღროს, ქება-დიდებასა და ხოტბას არ იშურებდენ ამ დედოფლისათვის. მართლაც, ვინ არ აღფრთოვანებულა ამ საუკუნის წარმტაც სურათებით — ასაკო-ცხელი ანძით სოფლის გუბეში მოხეტიალე მსახიობებით, შექმარით, მარ-ლოთი და პენსერით, რაღვით და დრეკით, და ზორბა, მოღ-მარა, მხა-რული დევონელი „ყმაწვილებით“, რომელნიც თავს ანებებდენ თავიანთ სახლებს და მიდიოდნენ პლიმუტში, რათა გახედევნათ ესპანელი გელიონები ინგლისს არხიდან?

ვაჭართა კლასი თავისი ბატონობის ხანაში ცდილობდა ქალაქებს და მორჩილებას თავის უფლებას განამტკიცებლად საბითუმო და საზღვარგარეთელ ვაჭრობაში. მან შეზღუდა კონკურენცია წერილი ვაჭრებსა, რომელთაც შეეძლოთ წაეგლიჯათ მისი მოგებიან ნაწილი, და თავის ხელქვეით მდგომარეობაში ჩააყენა ხელოსნები. რათა ინგლისური მანუფაქტურა და სხვა საქონლს ფასს, რომლითაც ისინი ვაჭრობდნენ, დიდად არ აწეულიყო. მაგრამ მან, თანდათან პატარპატარა დათმობაზე წაეგლიჯა მოუხდა. ქალაქებში, — როგორც წინად, 1364 წ. იორკში, ლონდონში, ნიუკესტლში და კოვენტრში — ჩადებოდა ბრძოლა. რომელიც ხშირად სახლომდგომარეობის ბოხებებით თავდებოდა. ბრძოლა იყო ქალაქის მართვა-გამგეობისათვის, როგორც ეს ექსეტერში მოხდა 1476 — 1477 წ. წბოლს, ვაჭართა კლასი იძულებული გახდა, რომ ქალაქის მართვა-გამგეობაში და საბითუმო ვაჭრობის მონაპოვლასა დაეშვა. მონაწილეობა მიიღო ზოგიერთ განვითარების გზაზე დამდგარ ხელოსანთა გილდებმა, როგორც, მაგალითად, მკერავებს და ადგლობრივ ვაჭართა ნაწილს, როგორც, მაგალითად, წერილი საქონლით მოვაჭრეებს. ენეც კია, რომ ვაჭართა კლასს ახლა უკვე ჰქონდა სრული შესაძლებლობა ანგარიში არ გაეწია ქალაქისათვის და მართვა-განგეობა იქ დაეთმო ადგილობრივ გაბატონებულ ინტერესთა მცირე ოლიგარქიასათვის. მართლაც, მათ ინტერესებს საბითუმო და საზღვარგარეთის ვაჭრობის სფეროში საჭრებით იცავდნენ ახლა ის ეროვნული ხასიათის ქატიები, რომლებიც მათ, კომპანიებს ეძლეოდათ. ამიერიდან მათი დანტერესების საგანს შეადგენდა, პირველ ყოვლისა, მთელი ერი, როგორც გამსაღებელი ბაზარი, და, მეტადრე, ლონდონი, რომელიც საჭირო იყო კავშირის გასაბნელად საზღვარგარეთის ბაზრებთან. ამიტომ მათ ვერაფრითარ მოგებას ვერ მიჰცემდა კონტროლი ვაჭრობაზე პემა თუ იმ ადგილას. თუ რომელიმე ქალაქს შემზღუდველი წესები ეწინააღმდეგებოდნენ ეროვნულ ბაზრის ინტერესებს, საკმაო იყო მიემართათ პარლამენტის ხელისუფლებასათვის ან ახლად შემდგარა ცენტრალური ადმინისტრაციისათვის, რომელიც მეფეს ემორჩილებოდა. რაც შეეხება ხელოვნობას, ადვილად შეიძლებოდა გვერდის ახვევა ქალაქის შემზღუდველი წესებისათვის, როგორც ამაში დარწმუნდა კაპიტალისტი-მემაუღე, რომელმაც დასაწყისი მისცა სამუშაოს შინ გაცემის სისტემას: იგი, ქალაქელ ხელოსანთა საზარალოდ, ხშირად წამუშაოს აძლევდა მრავალ ხელოსანს, სოფლად. ამასთან შედა-

რებათ ჩვენ ვხედავთ, რომ ეს ქალაქები, რომელნიც მონაწილეობას არ იღებდნენ საზღვარგარეთის ვაჭრობაში ან ახალ ნაციონალურ მრეწველობაში, ვეღარ მდიდრდებოდნენ, შეიჩერდა მათი აყვავება; ზოგიერთ შემთხვევაში დაიწყო მათი დაქვეითება და დაცემა, ხოლო ქალაქს მართვა-გამგეობა 1832 წლამდე თითქმის ყველგან შეინარჩუნეს ცალობით მოვაჭრე მღვდლებმა ვაჭრებმა და შეძლებულ ხელოსან-ოსტატთა კარჩაკეტვითა ოლიგარქიებმა, ამ კონსერვატიულმა და ტრადიციებით შემორჩილმა ადგილობრულმა ფენებმა, რომელთა ჰორაზონტიც იმდენად სცილდებოდა ხოლმე მათი მშობლიური ქალაქის საზღვრებს.

იმვე დროს მეფის ხელისუფლება და პარლამენტი ტყუილობას დროს ცდილობდნენ გაეფართოებინათ თავიანთი ზეგავლენა და კონტროლი ქალაქებზე ეკონომიურ ცხოვრებაზე, ხოლო პენის მე-VII დასაწყისი მასკა იმ პოლიტიკას, რომლის მიზანსაც შეადგენდა სახელოსნო გილდიების დამორჩილება კანცლერისა და მომრიგებელ მოსამართლეების იურისდიქციისათვის, ნაცვლად წინანდელი სიტემისა, რომლის დროსაც გილდიებზე მეთვალყურეობა მერის საქმეს შეადგენდა. ამ მოსამართლეებს უფლება ჰქონდათ დაედოთ მაქსიმალური ფასები ადგილობრივი გილდიების საქონელზე იმ შემთხვევაში, როდესაც გილდიების მიერ დანიშნულ ფასებს გადაჭარბებულად ცნობდნენ, ხოლო მე-XVI საუკუნეში ამას მოჰყვა სხვადასხვა საკანონმდებლო ღონისძიება, ადგილობრივი ვაჭრობისა და მრეწველობის მიმართ. ეს ღონისძიებანი, ალბათ, მიზნად ისახავდნენ ადგილობრივი ინტერესების დამორჩილებას ნაციონალური ბაზრის, როგორც მთლიანი ბაზრის ინტერესებისათვის.

მაგრამ იმ დროს, როდესაც ვაჭართა ახალი კლასი მოსურნე იყო თავისუფალი ვაჭრობისა და ნაციონალური საზღვრების, შიგნით და ცდილობდა ადგილობრივი მფარველობით შეზღუდვების თავიდან აცილებას, იგი სრულებითაც არ იცავდა ვაჭრობის თავისუფლებას თავის მომხმარებლებთან და ოკეანეთა იქითა კონკურენტებთან; იგი არც მონოპოლიას უყურებდა მტრულად მაშინ, როდესაც საკუთარი სათანადო პრივილეგიები უზრუნველყოფილი იყო მისი ძვირფასი ქარტეხებით. ქარტეხები, მიღებული ჯერ „ზღვის იქითა მოვაჭრე კომპანიის“, ხოლო შემდეგ აღმოსავლეთის, რუსეთის და ლევანტიის კომპანიების მიერ, რომელთაც პირველის შაგალათს მიჰბაძეს, უფლებას აძლევდნენ ამ კომპანიებს აღეკვეთათ ვაჭრობა „უცხოელთათვის“ მთავრად საკუთარ ქვეყანაში. მაგრამ ეს გარანტიები გრომადაც არ ღირდა, თუ კომპანიები ვერ შესძლებდნენ თავი დაეცვათ უცხოელ კონკურენტებისაგან. ამასთან ისინი აღმაცერად უყურებდნენ უცხოელთა მიერ ინგლისში ისეთი საქონლის შეტანას, რომელიც კონკურენციას უწევდა საქონელს, რომელსაც ინგლისელი ვაჭრები ჰყიდდნენ. ამიტომ ახალი ნაციონალური პოლიტიკა არ ჰჯერდებოდა იმის თავიდან აცილებას, რომ ინგლისი არ ყოფილიყო დამოკიდებული უცხოელ მეფავშეებრთა და ვაჭრებისაგან, არ ჰჯერდებოდა არც მათიანი ნაციონალური ბაზრის შექმნას. იგი მოებდაუქა აგრეთვე მთელ საგარეო სავაჭრო პოლიტიკასა და უცხოეთის პოლიტიკას. თავდაცვითი ხასიათის პირვანდელი ნაციონალიზმი გა-

დაიშალა ძალღონით აღსავსე აგრესიულ ნაციონალიზმად, რომელიც პოლიტვოდა ოკეანეს გაღმა ინგლისელი ვაჭრების გავლენისა და მოქმედების სფერო, ვაფართოვებდასაქენ. „ფოლადის ქარავსლის“ დახურვა 1598 წელს მოაწაწებდა მხოლოდ ერთ რამეს: პირველა ფაზის დასრულებას; რათა აწეულიყო ფარდა მეორე და უფრო აგრესიული ფაზისათვის. აღტაცებული ისტორიკოსები ყოველთვის ხოტბას ასხამდენ ელისაბედს, რომლის მეფობაც შეხვდა პირველი ფაზის დასასრულს და მეორის დაწყების, სწორედ იმიტომ, რომ იგი მთელი თავისი ხელისუფლებისა და სახელმწიფოს ძალღონით მხარს უჭერდა დრეკის, რალეის, ჰაუკინსის, ფრობიშერის — ინგლისის სავაჭრო თაოსნობის ამ პიონერების — პატივმოყვარე ზრახვებსა და მოწინააღმდეგეთ. მაშინ როდესაც წინანდელი მეფეები უკაცრო თვალთ უყურებდნენ და უსიამოვნო ექცით ცილებდნენ თავიდან. ელისაბედს არ აწუხებდა ის, რომ მათ ინგლისი ესპანეთთან ომში ჩართოდა, რომ ისინი აფრიკაში ზანგებს იჭერდნენ და შონებდად ხდიდნენ, („პყრდენ ვიწრო სატრუსალოების უკუნეთ ღიბნელეში, ამასთან სიკვდილიანობა ყოველგვარ ვარაუდს სცილილობდა“), — რომ ისინი ძარცვავდნენ მშვიდობიან ესპანურ სავაჭრო გემებს და არ ერიდებოდნენ სხვა ბარბაროსულ და არაქრისტიანულ საქციელს. ყველა ამით მიღმა ელისაბედი ხედავდა, რომ ისინი გზას უკაფავდნენ ინგლისის მომავალ საზღვაო ძლიერებას. ბოლოს და ბოლოს, როგორც ზომბარტმა შენიშნა, მეტად ძნელია, საზღვრის გავლენა უკანასკნელ მეკობრეება და პირველ კაპიტალისტურ მეწარმეს შორის.

1600 წელს ოსტ-ინდოეთის კომპანიის დავალებით ჯონ მოლდენპილი დესპანად იყო დიდ მონღოლთან. და ამ დესპანობით ინგლისის ნაციონალური ძლიერების ახალმა პოლიტიკამ, გზებმა კვლევისა და ნიადაგის მომზადების შექმნა, განუწყვეტელა წარმატებების პეროდში შედგა ფეხი. ეს ახალი პოლიტიკა მე-XII, მე-XIII და მე-XIV საუკუნეთა საქალაქო მონოპოლიტებს, სრულ განმეორებას წარმოადგენდა. ხოლო იგი უფრო რთული იყო და უფრო ფართოდ მოქმედებდა. მას აყალიბებდა მთელი კლასი და მისგან მღლებული მთავარი სარფით მთელი კლასივე საჩვენებლობდა; მაგრამ საერთოდ სავსებით იყო, როგორც წინანდელი პოლიტიკა. ეს იყო მონოპოლიტებისა და უპირატესი მდგომარეობის პოლიტიკა, და ის რაც მე-XIII საუკუნეში მათმა წინაპრებმა ქალაქის ბაზრის ჯვართან ისწავლეს და მე-XVII საუკუნის ახალმა არისტოკრატებმა ოკეანეთა მსოფლიო სავაჭრო გზების ახალ ჰორიზონტებს შორის შეითვისეს. ისინი მოსურნენი იყვნენ, რომ მათთვის ხელმძღვანელები ბაზარი საზღვარგარეთ უფრო ფართო და მონერხებული ყოფილიყო. მათ სურდათ, რომ სამშობლო ბაზარი, სადაც ისინი საქონელს ყიდულობდნენ, სადაც სხვა ქვეყნების პროდუქტებს ჰყიდდნენ, თავისუფალი ყოფილიყო სხვა მყიდველთა და სხვა გამყიდველთა კონკურენტისაგან, რამდენადაც ამის უზრუნველყოფა მფარველობით საკანონმდებლო ზომებს შეეძლოთ. მაგრამ ბაზარი საზღვარგარეთ თავისთავად არ იყო საკმარის ფართო და მომგებიანი, თუ იგი დაცული არ იქნებოდა კონკურენტთა შესევისაგან, ამიტომ ვაჭრები ცდილობდნენ სახელმწიფოებთან ისეთი ქარტილების მიღებას, რომელნიც მათ ანიჭებდნენ გან-

საზღვრულ ტერიტორიაზე ვაქრობის განსაკუთრებულ უფლებებს. ნაშ-
ყველა დანარჩენი კონკურენტი იქ უკანონო და დაუპატ-ეებელი სტუმარ-
იქნებოდა. მაშასადამე, შეძლებოდა მ-სთვის ხელფების შებოქვა და გემით
სამშობლოში წაყვანა სამართალში მისაცემად და დასაჯელად. თუ უც-
ხოეთის რომელ-მე კომპანია მიიღებდა პრივილეგიებს თავ-ს სახელმწი-
ფოსაგან, — რაც ინტერესთა შეტაკებას იწვევდა, — მაშინ მდგომარეობა
უფრო ხერხივული ხდებოდა. ჩვეულებრივად ეს ნიშნავდა რომ ს-კვიდილ-
ს-სოციალზე და ყოველ კომპანიას, რომელიც თავ-ს პოზიციებზე იცავდა,
ეგონა, რომ მთავრობა მოვალეა გამოესარჩლოს მას მთელი სახელმწიფოს
ძალებით. უცხოელთა ასეთი შესევ-ს თავიდან ასაცლებლად შეთვრ-
ბულ იქნა კოლონიზაციის პრაქტიკა, რათა უკანასკნელის წყალობით ა-
კუთარი პოლიტიკური ბატონობა გაემტკიცებიათ ამა თუ იმ ტერიტორია-
ზე. ამგვარ შემთხვევებში სახელმწიფოთა შორ-ს საომარი მოქმედება,
გარდა სავაჭრო მნიშვნელობისა, წარმოადგენდა ბრძოლას ოკეანეს მიღ-
მდებარე სახელმწიფო სამფლობელოებზე მოპოებისა ანუ შენარჩუნებისა-
თვის. ასეთი კოლონიები, სათანადო მართვა-გამგეობის დროს, ვაქრობისა-
თვის ნამდვილ კომერციულ განძებს წარმოადგენდნენ. წესად გადაიქცა
ამგვარ სამფლობელო ადგილებს დამოკ-დებულ ტერ-ტორიებად მიჩნე-
არც ერთ უცხოელს უფლება არა ჰქონდა გაეყიდა იქ ისეთი რამ, რათაც
ინგლისელნი ვაქრობდნენ, აგრეთვე გაეწია კონკურენცია ასეთი ნედლეულ-ს
ან ადგილობრივ მკვიდრთა ნაწარმოების შექმნის დროს, რომლის ინგლის-
ში გატანასაც ინგლისელი ვაჭრები ფ-ქრობდნენ.

სავაჭრო პოლიტიკა-ს ეს სისტემა, რომელსაც, შეიძლება, — თუ რამდე-
ნადმე გავაფართოვებთ ამ სიტყვის გაგებას, — „მერკანტილიზმი“ ეწო-
დოს, წარმატების დროს თვალსაჩინოდ აძლიერებდა იმ მდგომარეობას
უპირატეობას. რომელსაც ვაჭართა კლასი იმყოფებოდა. ეს კლასი ახ-
ლა მტკიცედ იყო გამაგრებული ორ ბაზარზე. ერთზედაც და მეორეზედაც
იგი განსაკუთრებულად ხელსაყრელი მდგომარეობით საგებლობდა, ერთ-
მხრით იყვნენ შ-ნაურთა, ინგლისელი ხელოსანი და ადგილობრივ ვაჭარ-
რომელთა წინადადები. ფასი შედარებით დაბალი იყო, რადგან მათ ნა-
ლები შესაძლებლობა ჰქონდათ თავიანთი საქონელი ადგილობრივი ბაზ-
რის გარეშე გაეყიდათ; ხოლო მეორე მხრით, არსებობდა კოლონ-ალური
ბაზარი, სადაც სხვა გამყიდველთა და მყიდველთა კონკურენცია მკაცრად
იყო შეზღუდული და სადაც, ამის გამო კოლონიელ გამყიდვეთა წინადა-
დებ-ს ფასი შედარებით დაბალი იყო, ხოლო ფასი ინგლისელ ვაჭართა სა-
ქონელზე მათი მოთხოვნისა — შედარებით მაღალი. ზოგჯერ ვაჭრე-
ბი, რასაკვირველია, მოგებას იძენდნენ ისეთი საშუალებებითაც, რომელიც
საგრძნობლად სცილდებოდა კანონით ნებადართულ კომერციული ოპერა-
ციების ფარგლებს; და მარშალმა სამართლიანად შენიშნა, რომ „იშვია-
თად შედიოდა ევროპაში ისეთი ვერცხლი და შაქარი, რომელსაც სისხლ-ს
ლაქები არა ჰქონოდა“, მაგრამ ასეთი, უაღრესად უკ-დურესი საშუალება
უნდა ჩაითვალოს უფრო შემთხვევით მოვლენად, ვინემ არსებით თვი-
სებად კოლონიალური ვაქრობისა, რომელიც უმთავრესად მონოპოლიისა

და უპირატესი მდგომარეობის სისტემას წარმოადგენდა. ვაქართა კლასმა ასეთი უპირატესი მდგომარეობის წყალობით შესძლო მე-XVII და მე-XVIII საუკუნეებში იმ დიდი ჭონების დაგროვება, რომელიც მე-XIX საუკუნეში საფუძვლად დაედო სამზევწელო ინგლის-ს ფენომენალურ აყვავებას.

უფრო ვიწრო გაგებით სიტყვა მერკანტილიზმი წარმოადგენდა სავაჭრო ბალანსის პოლიტიკას, და სწორედ ამ მნიშვნელობით მოველინა ეს ტერმინი: იმ პერიოდი კომერციულ პამფლეტებში. ტომას მენინ, ცალობით მოვაჭრე მდიდარი ვაჭრის შვილისა და ერთ-ერთ ყველაზე უფრო ნაკლები მერკანტილისტური პუბლიცისტის აზრით, ქვეყნისთვის ხელსაყრელია მეტი საქონელი გაქონდეს, ვიდრე შემოაქვს. რადგან მაშინ გარედან ფული შემოვა. მაგრამ იგი არ იზიარებდა ლითონის ფულის მიმოქცევის წინანდელი თეორეტიკოსების იმ აზრს, რომ ფულის გატანა ყოველთვის უნდა აიკრძალოს. ამასთან ტომას მენი ამტკიცებდა, რომ ფულის გატანა საზღვარგარეთ ვაჭრობის განვითარების მიზნით ბოლოს და ბოლოს ისე გაადიდებს სავაჭრო ბრუნვას, რომ გადლდებდა ექსპორტიც და ამრიგად ფული კვლავ იწყებდა დენას უცხოეთ-დანო. ეს თეორია, როგორც ადამ სმიტმა აღნიშნა. რა თქმა უნდა. ნაწილობრივ ემყარებოდა იმ გაკვეთლებულ შეცთობას, ვითომც ფულის სიუხვე ნიშნავდეს სიმდიდრის საუფიქვს, მსგავსად იმისა როგორც ჩინგისხანის მეგველდრენა მჯგელობდენ, რომელნიც სომედიდრეს ზომავდენ ცხვისა და ხარებიც სიმრავლით. მაგრამ ამას იმ დროის პირობებში, ექვს გარეშეა, გარკვეული აზრი ჰქონდა. ლითონის მოჭრლი ფული საშუალო საქუენეთა ეპოქაში განსაკუთრებით იშვიათ საქონელს წარმოადგენდა და მოთხოვნ-ლება მასზე ჩვეულებრივად საგრძნობი და არა ელასტიური იყო. კოლუმბმა მხოლოდ გავრცელებული აზრი გამოსთქვა. როდესაც განაცხადა: „ოქრო გასაოცარი ნივთია. ის, ვინც მას ჰფლობს, ყველა თავისი ჭურვლის ბატონია. ოქროს შეჭრობით შეიძლება კაცმა თავისთვის ადგილი სამოთხეშიაც უზრუნველ-ჰყოს“. მე-XIV — XVI საუკუნეთა პერიოდში ყველგან საგრძნობი იყო ოქროს. როგორც საცვლელი საშუალების სიმცირე. და ამან გამოიწვია გაძლიერებული მეტოქეობა ევროპის ხალხებს შორის იმ მხრე, რომ ყოველი ხალხი ცდილობდა უზრუნველყო ოქროს დიდი რაოდენობის დენა თავის ქვეყანაში. ის ქვეყანა, რომელიც მონაწილეობას ვერ მიიღებდა ამ შეჭიდებაში, ადვილად შეიძლებოდა ჩავარდნილიყო ასეთ მდგომარეობაში, როცა მის განკარგულებაში მყოფი ფული საკმაო არ იქნებოდა განვითარებული ვაჭრობის საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად. ეს მით უფრო იყო შესაძლებელი, რომ საბანკო-საყრდნო სისტემის უქონლობის გამო. ოქრო კაპიტალის დაგროვების მნიშვნელოვან საშუალება წარმოადგენდა. ადამ სმიტს, რა თქმა უნდა, — თუჯის ნაწარმოებისა და ქვაბების დიდი გამძლეობის მითითებთაც შეეძლო მასხარად აეგო ოქროს. როგორც ხანგრძლივად გამძლე საგნის. მაღალა შეფასება. მაგრამ ვიდრე ოქრო რჩებოდა საყოველთაოდ ცნობილ და მუდამ მისაღებ საგადამხდლო საშუალებად, იგი წარმოადგენდა ყველაზე უფრო მოახერხებელ საშუალებას ეკონომიკური რესურსების შექმნისა საშუალებათა დასაგროვებლად.

თუმცა, შეიძლება, ამას პირდაპირი კავშირი არა ჰქონოდა საზოგადოების მთლიანად აღებულ სამღიძვრესთან, მაგრამ ცალკე პირებიც გავლენისა და წონისთვის, ეკვი არ არის, მეტად არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა საზოგადოებრივ სამღიძვრის შექმნის საშუალებათა დაგროვებას; ეს კი სწორედ არსებითი იყო კაპიტალიზმის განვითარების დროს.

უნდა აღინიშნოს საქმის მეორე მხარეც, რომელიც ერთგვარ ანტირეეს წარმოადგენს ფულს ტრიალი თანამედროვე საკითხებთან დაკავშირებით. ამერიკის აღმოჩენისა და ლომბარდელთა ბანკირების დაცემის შემდეგ მოვაჭრე ევროპის ლაფანასო ცენტრად გადაიქცა ანტივერპენი (ხოლო შემდეგ ამსტერდამი). ინგლისს, როგორც განვითარებაზე შემდგარ სავაჭრო ქვეყანას, ისეთავე დამოკიდებულება ჰქონდა ანტივერპენტანს, როგორც დღეს აქვს ბრიტანეთის მრეწველობის ფედერაციას სიტისთან, და ამერიკის შეერთებული შტატებს, დასავლეთს სამრეწველო წრეებს — უოლ-სტრიტთან და ფედერალურ სარეზერვო ბანკთან. ანტივერპენი, როგორც კრედიტების მიწოდებელი საფინანსო ცენტრი — დანტიერესებული საყოფიერების ლითონების პირველდელ ღირებულებათა შენარჩუნებით; რისთვისაც მას ჩვეულებად ჰქონდა მოეწესრიგებია ის ევროპიდან ზედმეტი თანხების აღმოსვლეთში გატანით. მეორე, მხრით, ინგლისს წინააღმდეგი იყო დეფლიაციისა, იგი თავის ვაჭრობის გაფართოვების მიზნით, რჩებოდა იმ პირობების შემართებულებას, რომელზედაც ფულის მიღება შეეძლო. ეს ნათელსკოვს იმას, თუ რატომ იყო, რომ მუდამ ცდილობდნენ ინგლისის მე-XVII საუკუნის კანონმდებელნი ისეთ ღონისძიებათა შემუშავებას, რომელნიც შეუძლებელს გახდიდნენ ლითონის ფულის დენას „სახე სახელმწიფოებში“, განსაკუთრებით საფრანგეთსა და პოლანდიაში, სადაც მას მეტი ღირებულება ჰქონდა; ტომას გრემში სპეციალურად ნიდერლანდებშიაც კი გაიზარდა, აღმოსავლეთში ოქროს გატანის გამო საჩივრის წარსადგენად. ამრიგად, ინგლისში საკმაო ბლომად მოიპოვებოდნენ გავლენიანსა და დანტიერესებული ჯგუფები, რითაც შეიძლება აიხსნას, აღნიშნული თეორიის პოპულარობა. ამავე დროს საფიქრებელსა, რომ მაშინდელი მწვერლებიც მაგრად ჩაებლაუტენ ამ თეორიას, რადგან იგი სათანადო გამართლებად მიიჩნიეს უფრო ფართო აზრით აღებულ, მერკანტილიზტურ სისტემისა, რომელიც ექსპორტ-სათვის, უცხოეთის ბაზრებს დაეძებდა და თან ცდილობდა შინაური ბაზრებიც დაეცვა უცხოეთიდან საქონლის შემოტანისაგან. ვაჭრებისათვის კარგი სავაჭრო ბალანსი, საიმედო მაჩვენებელი უნდა ყოფილიყო საქონლის ამ გასაქვლებელი ბაზრების გასაფართოვებლად, რომლებსაც ისინი დაეძებდნენ. ამრიგად, სავაჭრო ბალანსის თეორიას ორი მიზნისთვის შეუძლო საშაბურთა გაწევა; სახელდობრ, იგი გამოდგებოდა, ერთი მხრით, როგორც უფრო ფართო თეორიის ნაწილი, ხოლო მეორე მხრით როგორც ფულის დამოუკიდებელი თეორია.

აღამ სმიტი და მე-XIX საუკუნის მწვერლები მერკანტილიზმს უყუარებდნენ უფრო ნათელი თვალთ ახალი საუკუნის გარეყრათისა; და ამ თვალსაზრისით სავსებით ბუნებრივია, რომ ისინი უფრო შკატრად უსვამდნენ ხაზს მის მავნე შედეგებს. მთავარი მათი ბრალდება ის იყო, რომ

მონოპოლია სერიოზულად უშლიდა ხელს მეწარმეს, რათა უკანასკნელი შე-
 პგუებოდა არსებულ პირობებს; ისინი იცავენ იმ დებულებას, რომ თა-
 ვისუფლება შესაძლებელია გახდოდა ქვეყნის ბუნებრივი რესურსების ყვე-
 ლაზე უფრო ხელსაყრელ გამოყენებას. მიუხედავად ამისა, ექვს გარეშეა,
 რომ ისტორიული თვალსაზრისით, მერკანტილიზმს და მის მოწესრიგებულ
 მონოპოლიას სისტემას თავის დროზე გარკვეულად დადებითი მნიშვნე-
 ლობა ჰქონდა. უამროდ საექვოა შექმნილყო წინასწარი პირობები კა-
 პიტალისტური მეწარმეობის რევოლუციონური განვითარებაათვის, მე-XIX
 საუკუნეში. საექვოა, რომ მონოპოლიის მზრუნველს მფარველობის გა-
 რეშე ოკეანეს გაღმა არსებულ უიმედო საწარმოთ მიეზიდა ვინმე, გარდა
 განსაკუთრებული გამბედაობით და სიმამაცით დაჯილდოებული პირები-
 სა. კონპანიები, რომელნიც მფარველობით სარგებლობდენ, არა თუ მათ
 ტებდენ ისეთ ძალას, როგორსაც ქმნიან ერთობა და შეთანხმება, არამედ
 თავიანთი მონოპოლიით ისინი უზრუნველყოფდენ საკმაო მოგებასაც იმ-
 სათვის, რომ კაცს გაეწია უცხოეთის ვაჭრობასთან დაკავშირებული დიდი
 რისკი. ასეთ პირობებში, რომ არ არსებულიყო მაღალი კლასის დიფერ-
 რენციალური მოგებანი, მაშინვე გაჩნდებოდა ის მსხვილი კაპიტალები,
 რაიც აუცილებელი იყო ფინანსების მისაწვდენლად უზარმაზარ საწარმო-
 თათვის, ორი საუკუნის შემდეგ რომ გაჩნდენ. მეწარმეობისათვის ახალა
 პერსპექტივების არსებობის გარეშე საექვო იქნებოდა ისეთი თვითმოქ-
 მედებისა და ანიციატუის მომწოდება, რომელიც საჭირო იყო სამრეწვე-
 ლო რევოლუციის სწრაფი და მძაფრი ცვლილებების მოახდენად. მერკან-
 ტილიზმის კრიტიკა უფრო სამართლიანი იქნებოდა იმ შემთხვევაში, თუ
 იგი მთავარ ყურადღებას მიაპყრობდა დეფექტებს მისი მიზრწნილობის
 პერიოდისა და თუთ სისტემის ჭიკვდილს ვადაზე უფრო დაგვიანებას.

(მორის დობი — „კაპიტალისტური მეწარმეობის წარმოშობა და განვითარება“).

კოლონიალური განვითარება

§ 1. კოლონიის აუცილებლობა კაპიტალისტურ წარმოებისათვის

კაპიტალისტური კოლონიის ძირითად ნიშანს წარმოადგენს, თავისუფალი მიწების სიმრავლე, რომელნიც ადვილად ხელსაწყოდომია გადმოასახლებულთათვის... სამიწათმოქმედო კოლონიებში პურის დიდი საუბეე აიხსნება იმით, რომ მთელი მოსახლეობა პირველად „თითქმის განსაკუთრებით სასოფლო მეურნეობას მისდევს და აწარმოებს სპეციალურად მის მათურ პროდუქტებს, რომელნიც იცვლებიან მრეწველობის პროდუქტებზე“, „მსოფლიო ბაზრის საშუალებით თანამედროვე კოლონიებში იღებენ მზად იმ პროდუქტებს, რომელნიც სხვა პირობებში თვითონ უნდა დაემზადებიათ“ (მარქსი).

კაპიტალიზმისათვის საგარეო ბაზრის აუცილებლობა აიხსნება არა შინაურ ბაზარზე პროდუქტების რეალიზაციის შეუძლებლობით, არამედ იმ გარემოებით, რომ კაპიტალიზმს არ შეუძლია წარმოების ერთდარგვე პროდუქტის გაიმეოროს უწინდელ ფარგლებში, უცვლელ პირობებში (როგორც ეს იყო წინაკაპიტალისტურ სამეურნეო წყობილებათა დროს), რომ იმ აუცილებლად იწვევს წარმოების უსაზღვრო ზრდას, რომელიც ვეღარ თავიდება უწინდელ სამეურნეო ერთეულთა ძველ, ვიწრო საზღვრებში.

კაპიტალიზმისათვის დამახასიათებელი არათანაბარზომიერი განვითარების დროს წარმოების ერთი დარგი მეორეს უსწრებს და ცდილობს გადალახოს ძველი რაიონის სამეურნეო ერთეულობის ფარგლები. ავიღოთ, მაგალითად, საფეიქრო ინდუსტრია რეფორმის შემდეგდროინდელი ეპოქის დაბაწყისში (რუსეთში — პ. გ.); რადგანაც ის კაპიტალისტურად საკმაოდ განვითარებული იყო (მანუფაქტურა, რომელიც ფაბრიკაში გადადიოდა), იგი სავსებით იპყრობს ცენტრალური რუსეთის ბაზარს. მაგრამ მსხველი ფაბრიკები, რომლებიც ასე სწრაფად იზრდებოდნენ, ვეღარ კმაყოფილდებოდნენ ბაზრის წინანდელი ფარგლებით; მათ დაუწყეს ძებნა ბაზარს იმ ახლო მოსახლეობაში, რომლებმაც კოლონიზაცია მოახდინა ნოვოროსიის სამხრეთ-აღმოსავლეთ ზავოლოციის, ჩრდილო კავკასიის, მერმე ციმბირის და სხვ. მსხვილი ფაბრიკების ნისწრაფება ძველ ბაზრებში, საზღვართა გადასალახავად უქვევლია. ეს იმას ხომ არ ნიშნავს, რომ იმ რაიონებში, რომ-

მლებიც ამ ძველ ბაზრებს წარმოადგენდნენ, საზოგადოთ საფეიქრო მრეწველობის მეტა პროდუქტები არ გააღრმავებია? ნიშნავს ეს, მაგალითად, იმას, რომ სამრეწველო და ცენტრალური სამწარმოო გუბერნიები საზოგადოთ მეტ ფაბრიკატს ველარ მოიხმარენ? არა; ჩვენ ვიცით, რომ გლენობის დაშლის, სავაჭრო მიწათმოქმედების ზრდის და ინდუსტრიალური მოსახლეობის გაღრმავების გამო ფართოვდებოდა და ახლაც ფართოვდება თვით ამ ძველი რაიონის შინაური ბაზარიც.

მაგრამ ამ შინაური ბაზრის გაფართოების მრავალი გარემოება (უმთავრესად სიმწარმოო კაპიტალიზმის განვითარების დამატკობებელ, დახვედრულ დაწეებულებათა არსებობა) აფერხებს, — ამიტომ ფაბრიკანტები, რა თქმა უნდა, არ დაუწყებენ ცდას, რომ სახალხო მეურნეობის სხვა დარგები თავის კაპიტალისტურ განვითარებაში საფეიქრო ინდუსტრიაში დაეწიონ. ფაბრიკანტებს ბაზარი ესპარობათ დაუყოვნებლივ, და თუ სახალხო მეურნეობის სხვა მხარეთა ჩამორჩენილობა ძველ რაიონში აფერხობს ბაზარს, თან ბაზარს დაუწყებენ ძებნას სხვა რაიონში ან სხვა ქვეყანაში, ან ძველი ქვეყნის კოლონიებში.

რა არის კოლონია პოლიტიკურ-ეკონომიური აზრით?

ზემოდ იყო უკვე აღნიშნული, რომ, მარქსის თანახმად, ამ ცნების ძირითადი ნიშნეულობა შემდეგია: 1) დაუკავებელი, თავისუფალი, გაღრმავებული თათვის ადვილად მისადგომა მიწების არსებობა; 2) შრომა მსოფლიო დანაწილების, მსოფლიო ბაზრის წარსებობა, რომლის მეოხებით კოლონიებში შეუძლიათ დახელოვდნენ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების მწარმოო წარმოებაში და მათ სამაგიეროთ მაიღონ დამზადებული სამრეწველო ნაწარმოები, „რომელიც სხვა ქრობებში მათეე უნდა დამზადდებოდა“.

...კოლონიის ეს ცნება კიდევ უფრო შეფერება სხვა განაპირა კუთხეებს, მაგალითად, კავკასიას. რუსეთის მიერ მისი ეკონომიური „დაპყრობა“ გაცილებით უფრო გვიან მოხდა, ვიდრე პოლიტიკური დაპყრობა; ხოლო ის ეკონომიური დაპყრობა საესებით აქამდეც არ დასრულებულა. რეფორმების შემდეგ დროინდელ ხანაში, ერთის მხრით, ხდებოდა კავკასიის ძლიერი კოლონიზაცია, მიწების ფართო დამუშავება კოლონიტების, მეორე (განსაკუთრებით ჩრდილო კავკასიაში), რომელთაც გასაყიდათ მოყავდათ ხორბალი, თამბაქო და სხვ. და რომელნიც სოფლის მრავალ დაქირავებულ მუშას იზიდავდნენ რუსეთიდან.

მეორე მხრივ, თანდათან იდევნებოდა ადგილობრივი საუკუნეთა განვითარებაში არსებული, „შინამრეწველური“ სარეწავებო, რომელთაც ამარცხებდა მოსკოვიდან შემოტანილი ფაბრიკატების კონკურენცია. მარცხდებოდა თოფ-იარაღის ძველებური წარმოება ტულიდან და ბელგვიდან შემოტანილ ნაწარმოებთა კონკურენციის გამო, — ეცემოდა რკინის, შინამრეწველური დამუშავება შემოტანილი რუსული პროდუქტის კონკურენციით, აგრეთვე ეცემოდა სპილენძის, ოქრო-ვერცხლის, თიხის, ქონის და

სოდის, ტყავის და სხვ. შინამრეწველური დამზადება; ყველა ეს პროდუქტი უფრო საფად მზადდებოდა რუსეთის ფაბრიკებში, რომელნიც კავკასიაში აგზავნიდნენ თავიანთ ნაწარმოებთ.

ეცემოდა რქების ყანწებად დამუშავება საქართველოში ფეოდალური წყობილების და ისტორიული ნადიმებას დაცემის გამო, ეცემოდა ტყეების და კოკების წარმოება ადგილობრივ ღვინოსათვის, რომელიც პირველად გამოვიდა გასაყადათ (რითაც იწვევდა კავკასიის წარმოების განვითარებას) და თავის მხრით იპყრობდა რუსეთის ბაზარს.

ამნაირად, რუსეთის კაპიტალიზმი ითრევედა კავკასიას საქონლის მსოფლიო ბრუნვაში, ანიველარებდა მას ადგილობრივ თავისებურებას, — ძველებური კარჩაკეტილობის ნაშთს, — ჰქმნიდა თავისი ფაბრიკებისათვის ბაზარს.

რეფორმის შემდეგდროინდელი ხანის დასაწყისში ქვეყანა, ოდნავ დასახლებული ან დასახლებული მთიელებით, — რომელნიც მსოფლიო მეურნეობიდან და ისტორიიდანაც კა შორს იდგნენ, — თანდათან ნავთის მრეწველობის, ღვინით ვაჭრობის, ხორბლის და თამბაქოს ფაბრიკატების ქვეყნად ხდებოდა და ბატონი კუპონი დაუნდობლად ხდიდა ამაყ მთელს პოეტურ ნაციონალურ კოსტიუმს და ევროპიელ ლაქიას კოსტიუმში აწყობდა.

კავკასიის გაძლიერებული კოლონიზაცია და მისი სამიწათმოქმედო მოსახლეობის გაძლიერებული ზრდას პროცესთან ერთად წარმოებდა აგრეთვე (ამ ზრდით მიჩქმალულა) პროცესი მოსახლეობის მიზადვისა მიწათმოქმედებიდან მრეწველობისაკენ. ქალაქის მოსახლეობა კავკასიაში გაიზარდა 350.000-დან 1863 წ. 900.000-დე 1897 (კავკასიის მთელი მოსახლეობა 1851-დან 1897 წლამდე გაიზარდა 95%-ით). საჭირო არაა დავსძინოთ, რომ იგივე მოხდა და ხდება შუა აზიაში, ციმბირში და სხვ.

ამნაირად, ბუნებრივად იბადება კითხვა, სადაა საზღვარი შინაურ და საგარეო ბაზარს შორის? სახელმწიფოს პოლიტიკური საზღვარის აღება მეტისმეტად მექანიკური გადაწყვეტა იქნებოდა, — და ეს კი გადაწყვეტა იქნებოდა? თუ შუა აზია შინაური ბაზარია, ხოლო სპარსეთი — საგარეო მაშინ რას მივაკუთნოთ ქივა და ბუხარა? თუ ციმბირი — შინაური ბაზარია, ხოლო ჩინეთი — საგარეო, მაშინ რას მივაკუთნოთ მანჯურია? ასეთ კითხვებს არა აქვს დიდი მნიშვნელობა. მთავარია ის, რომ კაპიტალიზმს არ შეუძლია იარსებოს და განვითარდეს, თუ მუდამ არ გააფართოვა თავისი ბატონობის სფერო, თუ ახალი ქვეყნების კოლონიზაცია არ მოახდინა და ძველი არაკაპიტალისტური ქვეყნები მსოფლიო მეურნეობის ფერხულში არ ჩაითრია. და კაპიტალიზმის ეს თვისება დიდის სიძლიერით გამოაშკარავდა და აშკარავდება რეფორმის შემდეგდროინდელ რუსეთში.

მაშასადამე, კაპიტალიზმისთვის ბაზრის წარმოების პროცესი წარმოადგენს ორ მხარეს, — სახელდობრ: კაპიტალიზმის გაღრმავება, ე. ი. კაპიტალისტური მიწათმოქმედების და კაპიტალისტური მრეწველობის შემდეგ განვითარება მონაცემ, განსაზღვრულ და კარჩაკეტილ ტერიტორიაზე, — და კაპიტალიზმის გაფართოვება, ე. ი. კაპიტალიზმის ბატონობის სფეროს გაფართოვება ახალ ტერიტორიებზე. ამ შრომის გეგმას თანახმად, ჩვენ შე-

ვეხეთ თითქმის მხოლოდ პროცესს პირველ მხარეს, — ამიტომ საჭიროდ ვთვლით აქ აღნიშნოთ, რომ მის მეორე მხარეს მეტისმეტად დიდი მნიშვნელობა აქვს. განაპირა კუთხეების კოლონიზაციის და რუსეთს ტერიტორიის გაფართოვებას პროცესის ცოტად თუ ბევრად სრული შესწავლა, კაპიტალიზმის ტანვითარების თვალსაზრისით, განსაკუთრებულ შრომას მოითხოვს. ჩვენ საქმარჯად მიგვაჩნია აქ აღნიშნოთ, რომ რუსეთს სხვა კაპიტალისტურ ქვეყნებთან შედარებით განსაკუთრებით კარგ პირობებში იმყოფება თავისუფალი და საკოლონიზაციოდ მისადგომ საგანაპირო ადგილების სიმრავლით*). აზიის რუსეთზე რომ აღარაფერი ვთქვათ, ჩვენ თვით ევროპის რუსეთში გვაქვს იმგვარა განაპირა კუთხეები, რომელნიც, — უზარმაზარი მანძილს და ცუდი მიმოსვლის გამო, — საწუწურნი აზრით ცენტრალურ რუსეთთან ჯერ კიდევ სუსტად არიან დაკავშირებული. ავიღოთ, მაგ., „შორეული ჩრდილოეთი“ — არხანგელსკა გუბერნია; მიწის თვალუწვდენელი სივრცე და ბუნების თვალუწვდენელი სიმდიდრე ჯერ სულ მცირედ არაა გამოყენებული. ერთად-ერთი მთავარად ადგილობრივი პროდუქტი, ხე-ტყე, უკანასკნელ ხანამდე უმთავრესად ინგლისში გადიოდა. მაშასადამე, ამ მხრივ ევროპის რუსეთის ეს რაიონი ინგლისისთვის საგარეო ბაზარს წარმოადგენს, ხოლო რუსეთისათვის იგი ჯერ კიდევ არ გამხდარა შინაურ ბაზრად. რააკვირველად, რუსეთის მეწარმენი შურით უყურებდნენ ინგლისელ მეწარმეთ, — და ახლა არხანგელსკამდე რკინისგზს გაყვანის შემდეგ, ისინი მხარულით ცაჲ სწვდებიან, რადგან „სულიერ ამბლებსა და მხარის მრეწველობის სხვადასხვა დარგებში სა-მეწარმეო მოქმედებს“ შექმედებლობას გრძობენ.

(ვ. ლენინი — „კაპიტალიზმის განვითარება რუსეთში“).

§ 2. საზღვარო მახასიათებელი

პროტექციონიზმის განვითარება სულ უფრო აძლიერებდა ვაჭრობას სხვადასხვა ქრისტიანულ სახელმწიფოებს შორის. იმავე დროს მფარველობითი ტარიფების შემწეობით ვითარდებოდა მრეწველობა სახელმწიფოებში, რომლებიც წინად არ ჭანირჩეოდნენ განვითარებული მრეწველობით. ფლამანდიური და იტალიური მანუფაქტურები თითქმის ყველგან კონკურენციას აწყდებოდნენ.

ყველა ამ პროდუქტებს უნდოდა გასაღება, მაგრამ აღმოსავლეთის ბაზრები სანახევროდ დახურული იყო; თურქებმა ნელნელა ხელიდან გამო-

* ტექსტში აღნიშნულ გარემოებას აქვს მეორე მხარეც, კაპიტალიზმის გაღრმავება ძველ, დიდი ხნიდან დასახლებულ ტერიტორიაზე ფერხდება განაპირა კუთხეების კოლონიზაციის გამო. კაპიტალიზმის დამახასიათებელ და მის მიერ წარმოშობილ წინააღმდეგობათა გადაიკე დროებით გადაიდება იმის გამო, რომ კაპიტალიზმი ადვილად ფართოვდება, მაგ., მრეწველობის დაწინაურებული ფორმების და მიწათმოქმედების ნახევრად საშუალო საუკუნეებრივი ფორმების ერთდროული არსებობა აშკარა წინააღმდეგობას წარმოადგენს რუსეთის კაპიტალიზმს რომ გაფართოვება არ შეეძლოს რეფორმის შემდეგ დროინდელი პერიოდის დასაწყისში დასახლებული ტერიტორიის საზღვრების გარეთ, — მაშინ ეს წინააღმდეგობა კაპიტალისტურ მსბვილ ინდუსტრიას

გლიჯეს გენუელებსა და ვენეციელებს მათი სამფლობელოები. და რადგანაც მისწრაფება გამდიდრებისაკენ ბევრად უფრო ძლიერია, ვინემ რელიგიოზური ცრუმორწმუნობანი, ქრისტიანულ სახელმწიფოთა უმრავლესობამ ხელი მიჰყო თურქებთან (ოსმალებთან) საეკერო ხელშეკრულებათა დადებას. მაგრამ უწინარეს ყოვლისა აუცილებელი იყო ახალი ბაზრების გაჩენა, და ეს კი არც ისე შეუძლებელი რამ იყო.

საშუალო საუკუნეების მიწურულში დედამიწის სფერო ჯერ კიდევ ნაკლებად იყო ცნობილი და შესწავლილი; ზღვაოსნობის მეცნიერებას უძველესი დროების შემდეგ არ გაუკეთებია თითქმის არავითარა წარმატებანი, გარდა იმისა რომ ცნობილი გახდა საჭის გამოყენება, რომლის გამოგონება ალბათ ჩინელებს უნდა მიეწეროს. ამვე დროს საზღვაო დაზღვევის სისტემა, რომელიც გამოგონილ იქნა იტალიაში, ან დაცულ იქნა აქ წარსული დროიდან, გავრცელდა მთელ ევროპაში, რამაც დიდი განხედობა შეჰქმნა მეზღაურებს.

დასასრულ, როდესაც იქნა გამოგონილი, ანდა სხვა ქვეყნიდან გადმოღებული, კომპასი, ამან შეამცრა ზღვაზე მოგზაურობის საფრთხენი. ამ დრომდე მეზღვაურნი ზღვაზე ცურვის დროს ხელმძღვანელობდენ მხოლოდ პოლარული ვარსკვლავით, tresmontaine ანუ tramontaene-ით. კომპასის გამოყენებაც გადმოღებულ იქნა აზიიდან, უფრო სწორად ჩინეთიდან; მაგრამ ის უკვე დიდი ხნით აღრე იყო ცნობილი სანამ ზღვაში მის გამოყენებას დაიწყებდენ. 1218 წელს კარდინალი დე-ვიტრი, აღნიშნავს მას თავის „იერუსალიმის ისტორიაში“ და აღწერს როგორც აუცილებელ ინსტრუმენტს მეზღვაურთათვის. მე-XII საუკუნის დასასრულს ერთი მწერალი Cuv de Provins იძლევა მის აღწერას ლექსის სახით.

მაგრამ მხოლოდ მე-XIV საუკუნიდან ნელნელა კომპასის გამოყენება იქცევა საყოველთაო მოვლენად. 1428 წელს ფლორენციელი გოროდატო, ლაპარაკობს კომპასის გამოყენებაზე და მასთან ინსენიებს საათის გამოყენებას. იმსათვის, რათა მეზღვაურმა იცოდეს განვლილი გზის მანძილი და ადგილი, სადაც იმყოფება ზომადლი.

დასასრულ, მე-XV საუკუნის მიწურულისათვის გამოგონილ იქნა საზღვაო ასტროლიაბია; ეს ჯერ კიდევ მეტად არასრულქმნილი ინსტრუმენტი შესაძლებლობას იძლეოდა, რომ ბრუნვათა ცხრილს შემწეობით დაახლოებით გამოერკვიათ საუბანედი. ამ დროიდან შესაძლებე-

და სოფლის ცხოვრების არქაულ დაწესებულებებს (გლეხთა მიწაზე მიჯაჭვა და სხვა) შორის ჩქარა გამოიწვევდა ამ დაწესებულებათა სრულ გაუქმებას და საცხებიტ გაუწმენდა გზას რუსეთში სამიწათმოქმედო კაპიტალიზმს. მაგრამ საკოლონიზაციო განაპირა ადგილებში ბაზრის ძებნის და მოპოების შესაძლებლობა (ფაბრიკანტისათვის), ახალ მიწაზე გადასვლის შესაძლებლობა (გლეხისათვის) ამ წინააღმდეგობის სიმწეავეს ასუსტებს და მის ვადაქრას ახანგრძობლებს. თავის თავად იგულისხმება, რომ კაპიტალიზმის ზრდის ასეთი შენელება უდრის მისი კიდევ უფრო ფართო ზრდის მომზადებას უახლოეს მომავალში.

ლა შეიქნა, რომ ადამიანი ლამობდა შორეულ ცურვას და ქ რ ი ს ტ ე-
ფ ო რ ე კ ო ლ უ მ მ მ ა შესძლო ხელახლა აღმოეჩინა ამერიკა, რაშიაც
მას რამდენიმე საუკუნით დაასწრეს სკანდინაველებმა. და მართლაც,
რომ არა ვთქვათ რა სკანდინაურ საგთა მოწმობაზე, პოტომაკის წყალ-
ვარდნილის ახლოს ნახულ იქნა ეპიტაფია (წარწერა საფლავის ქვაზე),
1051 წლით დათარიღებული და სხვადასხვა ბიზანტიური ნაწარმოებში.
ა ა მ წარწერის ტექსტი:

„აქა განისვენებს ქერა ზიაზი აღმოსავლეთ ლანდიდან, კველ-
დ რ ი ს ქ ე რ ი ვ ე, ვიხარგრის და, მამის მხრით, რომელიც გარდაიცვალა
25 წლისა. ღმერთი იყოს მისი მოწყალე“.

საყრველთაოდ ცნობილია, რომ კოლუმბუსს დიდმა აღმოჩენამ ბიძე-
მისცა მრავალრიცხოვან მკვლევარ-მგზავრთ, რომლებმაც მის მაგალითზე
ხელს მიჰყვენ ჯერ კიდევ უცნობ ზღვებზე მოგზაურობას. სახელები ეაკ
კარტიესი; ვასკო-დე-გამასი, ალბუკერკისა, მაგელანისა და სხვ. ცნობილია
მთელი ქვეყნისათვის. იმ დროიდან ნაოჩნობამ საბოლოოდ დააღწია თავი
საკაბოტაჟო მიმოსვლის საზღვრებიდან; მისწრაფებებს თავგადასავლათა-
დში შეეძლო გაშლილიყო მთელი სივრცე-სიგანით. და მთელი მსოფლო
ვაჭრობისა და სწრაფად გამდიდრების მოყვარულთა ღალად შეიქმნა ეს
იყო მთელი რევოლუცია, რომელიც ერთიგად მოხდა, როგორც გონება-
ში ისე ვაჭრობაშიაც.

(შარლ ლეტურნო — „ვაჭრობის ევოლუცია“).

§ 2. კოლონიის იდეა

თუ მივყვებით ჩვენს თვალსაზრისს და აბსოლუტური ხელისუფლებ-
ისახელმწიფოთა პოლიტიკას განვიხილავთ როგორც გაგრძელებასა და და-
სრულებას საშუალო საუკუნოების ქალაქთა პოლიტიკისა, მაშინ კოლო-
ნი-საღური ოლქები, რომლებიც გარს ახვევია ყველა ამ სახელმწიფოებს,
შეიძლება შევადაროთ ქალაქის გარეთუბნის სასურველ რაიონს, რომელ-
ზედაც ვრცელდებოდა საშუალო საუკუნოებრივი ქალაქის ხელისუფლება
(ყოველ შემთხვევაში ეკონომიური ბატონობა); როგორც ეს შეძლება ვნა-
ხოთ აუარებელი მაგალითების მიხედვით. სახელმწიფომ დაიჭირა ქალაქის
ადგილი, და კოლონიის სახით შექმნა თავისთვის ოლქი, რომლის ექსპლო-
ატაციაც მას შეეძლო იმგვარადვე. როგორადაც ქალაქი უწევდა ექსპლოა-
ტაციას ოდესღაც მის ირგვლივ მდებარე სოფლებს. ის აიძულებდა კოლო-
ნიას მიეწოდებინა მის მერე წარმოებული პროდუქტები და ნაცვლად წა-
ელო მოცემული სახელმწიფოს პროდუქტები. ყოველივე ექვს გარეშეა,
რომ ეს ძირითადი ურთიერთობა ქალაქსა და სოფლის ქალაქგარეთუბნის
რაიონს შორის მეორდება იმ ეკონომიურ კავშირში. რომელიც არსებობს
მეტროპოლიასა და კოლონიას შორის.

კოლონიალური სამეურნეო პოლიტიკა ევროპის უმრავლესი ხალხები-
სა დაყვანება შეეძლომ დებულებებში:

1. კოლონიებს შეუძლიათ მიაწოდონ თავიანთი პროდუქტები შო-
ლოდ მეტროპოლას: „არც შაქარი, არც თამბაქო, არც ბამბა, არც ლი-

ლა. არც იმბრი, არც სამღებრო მცენარეებო, რომლებიც იზრდებიან ან ბოიპოვებიან ჩვენს აზიის, აფრიკის ანუ ამერიკის კოლონიებში, არ უნდა იქნან გატანილი ზემოხსენებული კოლონიებიდან არსად, გარდა ინგლისისა, ირლანდიისა ანუ სხვა რომელიმე მათი უდიდებულესობის პლანტაციისა“: განმეორება „საგზაო უფლებებისა“!.

2. კოლონიებს შეუძლიათ მიიღონ ნაკეთობანი, ნაწილობრივ სამრეწველო ნაკეთობანი, მხოლოდ მეტროპოლიიდან: საბაზრო უფლება.

3. კოლონიებს არა აქვთ უფლება აწარმოონ პროდუქტები, რომლებიც მუშავდებიან მეტროპოლიაში: წარმოების აკრძალვის უფლება.

4. მეტროპოლია თავისთვის იტოვებს ტრანსპორტის მონოპოლიას.

5. კოლონიიდან მოტანილი საქონელი იბეგრება ბაჟებით (საფასურებით) მათი კოლონიალური ნავთსადგურებიდან გატანისა და მეტროპოლიის ნავთსადგურში მოტანის დროს.

შეგრამ ამევე დროს საკითხის ახლო განხილვისას ჩვენ ვამჩნევთ მეტროპოლიასა და კოლონიას შორის ურთიერთობაში მრავალრიცხოვან გადახვევებს ძველი ტიპის კავშირიდან, რომელიც აერთებდა ქალაქს უახლოეს სოფლებთან. თუ ამ განსხვავებათ დაუკავშირებთ ძირითადი მეურნეული რდებების წინააღმდეგობათ, მაშინ შეიძლება ითქვას, რომ საშუალო საუკუნობრივ ქალაქში ექსპანსიისადმი მოთხოვნილებას ასულდგმულებდა გამოკვების იდეა, ხოლო ახალ ქალაქ-სახელმწიფოებში და დიდ სახელმწიფოებში — გამდიდრების იდეა.

ძველ ქალაქს სურდა თავის განკარგულებაში ჰქონოდა იმდენი მიწები, რამდენიც მისი არსებობისათვის აუცილებელი იყო; და ამიტომ როგორც ხარისხი ასევე სიდიდე მისი მაწათმფლობელობისა ისაზღვრებოდა მისი მცხოვრებთა რიცხვით, რომლებიც მეტად თუ ნაკლებად მუდმივი იყო. ახალი სახელმწიფო კი უკვე მისი წარმოშობის დასაწყისიდანვე არ იცნობდა ასეთ განსაზღვრულობათ: როგორც ეს ჩვენთვის ცნობილია, ერთერთი არსებითი განსაკუთრებულება ახალი სახელმწიფოებისა (რომელთა რიცხვში ჩვენ ყოველთვის უნდა შევიტანოთ აგრეთვე იტალიის დიდი ქალაქ-სახელმწიფოებიც) მდგომარეობდა სწორედ უსაზღვრო სწრაფვაში გაფართოებისაკენ. ეს განსხვავების ტენდენცია ყველაზე იშვიათად ამჟღავნდება კოლონიალურ ექსპანსიაში.

ექსპანსიის უსაზღვროება ნაწილობრივად გამომდინარეობდა იმ მიზნიდანაც, რომელსაც ისახავდენ ყველა სახელმწიფოები თავიანთი დამპყროველი ლაშქრობის დროს. — ოქროსადმი მისწრაფებიდან. ოქრო იზიდავდა ყველა სახელმწიფოებს მათი ევროპულ საზღვრებში მიღმა, და, რამდენადაც ამას ადგილი ჰქონდა, მათ ეუფლებოდა რვივე გიჟური სწრაფვა უსაზღვრო გაფართოებისაკენ საკუთრებისა, რომელიც იპყრობდა მეურნე ინდივიდუუმებს, ანოაგდებდა რა ამ უკანასკნელთ გამოკვების იდეას ვიწრო ხეგროდან.

ეს ტენდენცია ითრევს ყველა სახელმწიფოებს თითქმის ერთგვარი გზით და ყოველგან ჰქმნის ერთგვარ ფორმებს კოლონიალური ბატონობისა.

§ 4. კოლონიალური სახელმწიფოების წარმოშობა

როგორ წარმოიშობოდნენ საუკუნეთა განმავლობაში ცალკე კოლონიალური სახელმწიფოები, როგორ ებრძოდნენ ცალკე სახელმწიფოები და სახელმწიფო-ქალაქები ერთმეორეს დედაშიწის ამა თუ იმ ოლქისათვის, როგორ გადადოდა სადაო ოლქებზე ხელისუფლება ერთი სახელმწიფოდან მეორის ხელში — ყოველივე ეს საერთოდ ცნობილია და შესაძლებელია აქ გადმოიკეს მეტად მოკლე სახით.

თანამედროვე კოლონიების ისტორია იწყება ჯვაროსანთა ლაშქრობისა და ევროპელთა წმინდა მიწაზე დასახლების დროიდან.

ჯვაროსანთა სახელმწიფოებო, თანამედროვე გაგებით არ იყვნენ კოლონიები, მაგრამ მაინც პირველად მათ მისცეს შესაძლებლობა იტალიის ქალაქებს შექრილიყვნენ უცხო ხალხთა ცხოვრებაში და საფუძველი ჩაეყარათ გვიანდელი კოლონიალური მეურნეობისათვის. ქალაქებში: არსოფში, ცეზარეაში და აკონში, რომლებიც დაპყრობილ იქნენ 1101 და 1104 წლებში, გენუამ მიიღო ქალაქი ტერიტორიის შესამედი და მისი გარშემო მდებარე ოლქის კიდევ შესაძლებელი ნაწილი. მის მაგალითს მიყვნენ პიზა და ვენეცია, რომლებმაც 1100 წლიდან იწყეს მონაწილეობა მრეხა ბრძოლაში: 1110 წელს პირველმა და მეორემაც მოიღეს თავიანთ მფლობელობაში მდიდარი სიღონის ერთი ნაწილი, ხოლო 1123 წ. — ერთი შესაძლებელი ტირისა. ქალაქებზე ყოველთვის იყო მიწერილი დიდი სასოფლო რაიონი და მხოლოდ ერთი ტირის მდიდრობებში ვენეციელები ჰმფლობდნენ 80 კახალია მიწას.

ამ დროიდან მთელი მისწრაფებანი იტალიის დიდი ხელმძღვანელ ქალაქთა კომუნისა (თემისა) მიმართული იყო ხმელთაშუაზღვის ოლქებში მათი კოლონიალური სამფლობელოების გაფართოებასკენ. შედეგად ამ საწარმოიშვენ ისეთი ძლიერი კოლონიალური სახელმწიფოები (რასაკვირველია, ძლიერი მეტროპოლიის სიდიდესთან შედარებით), როგორც არ ახსოვს მსოფლიო ისტორიას რომსა და ინგლისშიაც.

როგორც ცნობილია, ვენეციის კოლონიალური სამფლობელოები, ბიზანტიის იმპერიის დაყოფის შემდეგ, ერთბაშად გაფართოვდნენ. ამ დაყოფის დროს ქალაქ ლავენმა მიიღო $\frac{3}{5}$ მთელი კოლონიალური ტერიტორიისა. ვენეციის სამფლობელოში გადავიდა მწიფე ეპირისა, აკარნანიონა, ეტოლია, იონიის კუნძულები, პელოპონესი, არქიპელაგის კუნძულები. რომლებიც მდებარეობენ სამხრეთითა და დასავლეთით, ქალაქები დარდაწეღის სრუტესა და მარმარილოს ზღვის სანაპიროებზე, შიდა ფრაკის ქალაქები როგორც არის ადრიანოპოლი და სხვ., პერა-კონსტანტინოპოლის გარეთებანი, კანდია და მალე ამის შემდეგ კარო, რომელსაც მაშინ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. შემდგომი საუკუნეების სიგრიძეზე ეს ოლქი სულ უფრო რეალდებოდა დაპყრობებით სომხეთში შავი ზღვის სანაპიროებზე და სხვ.

ვენეციის ყველაზე საშიშარი მეტოქე იყო გენუა. ყირიმში და მატრიკშიაც გენუელებს ჰქონდათ ვრცელი მიწები. გენუელთა კოლონიების ცენტრალურ პუნქტად შავი ზღვის სანაპიროებზე იყო კაფფა, სადაც

გენუელებმა ფეხი მოიმაგრეს 1266 წლიდან. მე-XIV საუკუნეში ეს ქალაქი ითვლდა 100 ათას მცხოვრებს (?). გარდა ამისა გენუელების ხელში იმყოფებოდნენ მდიდარი კუნძულები ქიოსი სამოსი, ნიკარია, ონუსსა; წმ. პენაგოს კუნძული; კიპროს ნაწილები (ფამაგუსტა), კორსიკა (1768 წლამდე) და სარდინია, რომელიც შემდეგში დაიპყრო არაგონის სამეფომ, შემდეგ სამფლობელოები ესპანეთში, საბერძნეთში, სომხეთის საზღვრებზე, სირიაში, პალესტინაში.

ვენეციისა და გენუის კოლონიალურ სახელმწიფოებთან შედარებით იტალიის დანარჩენი სახელმწიფოებაც კოლონიები უმნიშვნელოდ გვეჩვენება. მიუხედავად ამისა პიზისა და ფლორენციის კოლონიალურ სამფლობელოები საკმაოდ მნიშვნელოვანი იყვნენ. ორივე ქალაქმა მე-XII საუკუნეიდან მოაწყვეს ახალშენები სირიასა და პალესტინაში; პიზა დიდ ხნით ადრე გამაგრდა აფრიკის სანაპიროებზე, ხოლო საბუჯეტში ხელსუფლების სათავეში იდგნენ ფლორენციელი გეარები.

მას შემდეგ, რაც აღმოჩენილ იქნა ამერიკა და საზღვაო გზა ოსტინდოეთში, სხვა ნაციებმაც ხელი მოჰკიდეს საკუთარი კოლონიების დაარსებას ოკეანეს გაღმა: მე-XVI საუკ. ესპანეთმა და პორტუგალიამ, მე-XVII და XVIII საუკუნეებში — საფრანგეთმა, ჰოლანდიამ და ინგლისმა ამ ხანებში გერმანიის სახელმწიფოებზე გვერდზე იდგნენ, და მხოლოდ ნამცეცხა ბრანდენბურგმა აკეთებს უშედეგო ცდებს გაითამაშოს დიდი სახელმწიფოს როლი.

დროით ყველაზე პირველ კოლონიალურ სახელმწიფოს წარმოადგენს ესპანეთი. უკვე მე-XVI საუკ. ესპანეთის სამფლობელოები გარშემოიკავეს მთელ სამხრეთ ამერიკის დაწყებული კალიფორნიიდან ფლორიდამდე, და აგრეთვე ზოგიერთ არა დიდ ტერიტორიებს აფრიკაში და წყნარი ოკეანეს სანაპიროებზე. ეს სამფლობელოები ესპანეთს შერჩენ მე-XIX საუკუნემდე.

მე-XVI საუკ. პორტუგალიას უპირავს ერთგვარ მდგომარეობა ესპანეთთან შედარებით: იმ დროს ეს ბატონობდა აფრიკის დასავლეთ და აღმოსავლეთ სანაპიროებზე. არაბეთის ზღვის სანაპიროებზე. ინდოეთის დასავლეთის მდამოებზე. ინდოეთის ნანტერლანდის ცალკე ოლქებზე. მოლუქის კუნძულებზე და უზარმაზარ ბრაზილიაზე. მაგრამ უკვე მე-XVI საუკ. და კიდევ უფრო მე-XVII საუკ. ეს სამფლობელოები იწყებენ ძლიერ შეეწროებას სხვა სახელმწიფოთა მიწოლას წყალბით.

ამ უკანასკნელთა შორის მე-XVII საუკუნის პირველ ნახევარში პირველი ადგილი ეჭრა საფრანგეთს. საფრანგეთის კოლონიალური იმპერიის შემქმნელი იყო რიშელიე (1624 — 1642). იმ მომენტში, როდესაც ეს მხოლოდ რომ იყო შევიდა ხელისუფლებაში. საფრანგეთი ფლობდა მხოლოდ ერთ კვებეტს, ხოლო მისი სიკვდილს შემდეგ — კანადას, მარტინიკას, გვადალუპას, სან-დომინგოს და ანტილს სხვა კუნძულებს. 1682 წ. დაარსებულ იქნა ლუიზიანა, ხოლო ამის შემდეგ საფრანგეთი გამაგრდა აგრეთვე ინდოეთის კონტიტენტალურ ნაწილებშიაც. ამ დიდი ფრანგული კოლონიალური სახელმწიფოს დამსხვრევა მოყვა მე-XVIII საუკუნის დასას-

რულს. რჩდესაც კანადა გადავიდა ინგლისელთა ხელში. ხოლო ლუიზიანა კი გაყიდულ იქნა შვედეთებულ შტატებზე (1803).

მე-XVII საუკუნეშია საფრანგეთის კოლონიალური სამფლობელოების პარალელურად წარმოიშობიან ახალი დროის უდიდესი კოლონიალური სახელმწიფოები: ჰოლანდიისა და ინგლისისა.

ჰოლანდიელებმა განდევნეს ესპანელები და პორტუგალები მათი ახალშენების ნაწილებიდან მე-XVIII საუკუნის განმავლობაში და საფუძვლიანად განმტკიცდენ ბრაზილიაში, აფრიკაში და ოსტინდოეთში. სადაც აქამდე გაბატონებული იყვნენ პორტუგალები. გარდა ამისა მათ შეიძინეს კაპის მიწები და ზონდის არქიპელაგო, კუნძულები.

ჰოლანდიელთა ბილიკებს მყევებიან ინგლისელებიც, რომლებმაც ჰოლანდიელებს ხელიდან გამოგლიჯეს მათი შენაძენის ნაწილი — ნიუ-იორკი, ცვილონი და კაპის მიწა; ესპანელებს ინგლისელებმა წაართვეს მრავალი ვესტ-ინდოეთის კუნძულები, ფრანგებს — კანადა და წინა ინდოეთი. იყვნენ რა უკანასკნელი დამპყრობელები. მათ შუნარჩუნეს მთელი ესოდენ მღრღარი შენაძენი.

კოლონიების შეძენა ხდებოდა ხანგრძლივი მძიმე და დაუნდობლ ბრძოლების პროცესში: კოლონიებს იპყრობდენ.

მაგრამ უკანასკნელი გადამწყვეტი ბრძოლები გათამაშებულ იქნენ არა შორეულ ზღვებზე, არამედ ევროპაში. უდიდესი ნაწილი ურიცხვი ომებისა, რომლებიც ავსებენ მე-XVII და მე-XVIII საუკუნეებს, — განსაკუთრებით იმ მომენტიდან, როდესაც მთავარი გავლენა ინგლისზე გადადის, — სულ უფრო და უფრო ღებულობს საეპკრო ანდა კოლონიალურ-პოლიტიკურ ხასიათს: „ნიდერლანდებში გმრული რელიგიოზურ-განმათავისუფლებელი ომი. ესპანეთის ბატონობის წინააღმდეგ რომ იყო მიმართული, განხილული თავის ნამდვილ სინათლეზე, წარმოადგენს თითქმის ასწლიან დაპყრობითი კოლონიალურ ომს ოსტინდოეთისათვის და საზღვაო ომს ესპანეთის „ვერცხლის ფლოტის“ წინააღმდეგ და ესპანეთ-ამერიკულ კოლონიალური ვაჭრობის წინააღმდეგ“ (შშოლერი).

ომი, რომელსაც შვედეთებულო პროვინციებში აწარმოებდენ ინგლისთან 1652 წლიდან დაწყებული 1654 წლამდე. გამოწვეული იყო კრომველის სანავიგაციო აქტების მიერ; მეორეს მხრივ ინგლისის მიერ ჰოლანდიისათვის 1654 წელს გამოცხადებული ომი პასუხი იყო ჰოლანდიის ვესტ-ინდოეთის კომპანიის მიერ აფრიკაში წარმოებული მტრული პოლიტიკისა. ლიუდოვიკო მე-XIV, რომლის ომებს, რასაკვირველია სარჩულად ჰქონდა უფრო ღრმა საფუძვლები, ვინემ წმინდა ვაჭრული ინტერესები, 1672 წ. მაინც დაეცა ჰოლანდიის მხოლოდ იმისათვის რომ დაესაჯა ჰოლანდიელები მათი სასტიკი რეპრესალიებისათვის. რომელიც გამოწვეული იყო კოლბერისეული საბაჟო ტარფით.

ესპანეთის ომი შემკვიდრობისათვის რომ იყო წარმოებული, მსგავსად დიდი კოალიციური ომ-სა 1689 — 1697 წ.წ., სწორედ ასევე იყო უმთავრესად ინგლისისა და ჰოლანდიის ომი საფრანგეთის წინააღმდეგ, რომელიც სეროზულად დაეზუქრებოდა მათ ინტერესებს, თუ კი ის თავის ვაჭრო-

ბასთან ერთად შეიერთებდა ესპანეთის კოლონიალურ ძლიერებას. დასასრულ, ორივე დიდი კოლონიალური სახელმწიფოები, — ინგლისი და საფრანგეთი — არაერთხელ აწარმოებდნენ ურთიერთთანაც ბრძოლებს, რომელიც პირველის გადაწყვეტი წარმატებით დამთავრდა. ინგლისის განარჯვებებმა ბრძოლებში 1756 წლიდან 1763 წლამდე, საბოლოოდ უზრუნველყო მისთვის გაბატონებული მდგომარეობა მსოფლიო ვაჭრობასა და კოლონიალურ მფლობელობაში.

(ვერნერ ზომბარტი — „თანამედროვე კაპიტალიზმი“ ტ. 1).

§ 5. დამოუკიდებელ მხარდობებთან მსხაროპრიაციის კოლონიებში.

დასავლეთ ევროპაში, პოლიტიკური ეკონომიის სამშობლოში, პირვანდელი დაგროვების პროცესი ცოტად თუ ბევრად დამთავრებულია. კაპიტალისტურმა რეჟიმმა პირდაპირ დაიმორჩილა აქ მთელი ნაციონალური წარმოება, ანდა იქ, სადაც ეკონომიური ურთიერთობა ჯერ კიდევ შედარებით განუვითარებელია, რაი არაპირდაპირ მაინც განაგებს იმ საზოგადოებრივ ფენებს, რომელნიც დრომოქმული წარმოების წესს ეკუთვნიან, განაგრობენ მის გვერდით არსებობას და თანდათან რღვევას განიცდიან. კაპიტალის ამ დამთავრებულ სამყაროსთვის ეკონომისტი შით უფრო მეტი თავგამოდებით და სასოებით ცდილობს გამოიყენოს კაპიტალიზმზე უწინ არსებული ქვეყნის უფლებრივი და კერძო საკუთრების ცნებები, რაც უფრო ხმამაღლა დასდებს ფაქტები მისი იდეოლოგიის წინააღმდეგ.

სულ სხვაა კოლონიებში. კაპიტალისტური რეჟიმი იქ ყველგან აწყდება დაბრკოლებას მწარმოებლის მხრივ, რომელიც (აქ იგულისხმება ნამდვილი კოლონიები, უკა მიწა, რომელიც დასახლებულა თავისუფალი იმიგრანტების მიერ. შეერთებული შტატებში ეკონომიური თვალსაზრისით ჯერ კიდევ (1867 წ. — პ. გ.) ევროპის კოლონიაა. თუმცა აქ იგულისხმება რაეთი ძველი გაშენებული ადგილებიც, სადაც მონობის მოსპობამ სრულიად შესცვალა მთელი ურთიერთობა) როგორც მფლობელი თავისი საკუთარი შრომის პირობებთან, თავისთავს ამდიდრებს თავისი შრომით და არა კაპიტალისტს. ამ ორ, ერთიმეორის წინააღმდეგ დამეტრალურად დაპირდაპირებულ ეკონომიურ სისტემათა წინააღმდეგობა პრაქტიკულად აქ მათს ბრძოლაში აშკარავდება. სადაც კაპიტალისტს მისი მეტროპოლიის ძალაუფლება უმაგრებს ზურგს, იგი ცდილობს ძალმომრეობით მოიშოროს თავიდან საკუთარ შრომაზე დამყარებული წარმოების და მოთვისების წესი ოგივე ინტერესი, რომელიც აიძულებს კაპიტალს სიკოფანტს, ეკონომისტს, თეორიულად დაასაბუთოს მეტროპოლიაში კაპიტალისტური წარმოების წესის და მისი საკუთარი წინააღმდეგობის იგივეობა, აიძულებს მას აქ „სულის სიფაქიზე გამოაჩინოს ამ მხრივ“, და ხმამაღლა აღიაროს ამ ორი წარმოების წესს წინააღმდეგობა.

ამ მიზნით იგი ამტკიცებს, რომ შრომის საზოგადოებრივი საწარმოო ძალის განვითარება, კოოპერაცია, შრომის დანაწილება დიდი მასშტაბით მანქანების გამოყენება და სხვ. შეუძლებლია, თუ არ მოხდა მუშების ექსპროპრიაცია და საწარმოო საშუალებათა სათანადო გადაქცევა კაპი-

ტლად. ეგრეთწოდებული ნაციონალური სიმდიდრის ინტერესებისათვის იგი ეძებს ხელოვნურ საშუალებებს ხალხის სიღარიბის შესაქმნელად. ამ მისი აპოლოგეტური აბჯარი ფუტურის მსგავსად იფუნება.

F. G. Wakefield-ის დიდი ღვაწლი იმაშია, არ მდგომარეობს, რომ მან ახალი რამ სთქვა კოლონიებზე, არამედ — მან კოლონიებში აღმოაჩინა ქეშმარიტება კაპიტალისტური ურთიერთობის შესახებ მეტროპოლიაში. როგორც პროტექციონიზმის სისტემა თავის პირვანდელ ხანაში მისწრაფვის კაპიტალისტების ფაბრიკაციისაკენ სამშობლო მხარეში, აგრეთვე Wakefield-ის კოლონიზაციის თეორია, რომლის განხორციელებასაც ინგლისი ცდილობდა რამოდენიმე ხნის განმავლობაში საკანონმდებლო გზით, მისწრაფვის დაქირავებული მუშების ფაბრიკაციისაკენ კოლონიებში. იგი ამას „სისტემატიურ კოლონიზაციას“ უწოდებს.

პირველ ყოვლისა, Wakefield-მა აღმოაჩინა კოლონიებში, რომ ფულის, საარსებო საშუალებათა, მანქანების და სხვა საწარმოო საშუალებათა საკუთრება ჯერ კიდევ არ ჰქონდა ადამიანს კაპიტალისტად, თუ მას აკლია ისეთი დამატება, როგორიც არის დაქირავებული მუშა, ე. ი. სხვა ადამიანი, რომელიც იძულებულს თავისი ნებით გაყიდოს თავისი თავი მან აღმოაჩინა, რომ კაპიტალი ნიეთი კი არ არის, არამედ ნიეთებს საშუალებით დამყარებული საზოგადოებრივი ურთიერთობა ადამიანთა შორის. ბ-მა პილმა, მოსთქვამს იგი, თან წაიღო ინგლისიდან გედის ნაპირზე ახალ ჰოლანდიაში 50.000 გირვანქა სტერლინგად ღირებული საარსებო და საწარმოო საშუალებანი ბ-ნი პილი წინახედული იყო, რომ ამას გარდა მან თან წაიყენა 3000 სული მუშათა კლასიდან, მამაკაცთა დედაკაცი და ბავშვი. მაგრამ, როდესაც ბ-ნმა პილმა აღნიშნულ ალავს მიადგინა, „მას აღარ დარჩა არც ერთი მსახური ლოგინის დამგებლად ან მდინარეიდან წყლის მოსატანად. საბრალო ბ-ნი პილს, რომელმაც ყველაფერი გაითვალისწინა, დაავიწყდა მხოლოდ ინგლისის საწარმოო ურთიერთობა გაეტანა გედის ნაპირზე!

...თვით ექსპროპრიაციისადმი მისწრაფება კაპიტალის სასახლოდ იმდენად უმნიშვნელოა მშრომელ კაცობრიობაში, რომ მონობა თვით Wakefield-ის სიტყვითაც კოლონიალური სიმდიდრის ერთადერთი ბუნებრივად აღმოცენებული საფუძველია. მისი სისტემატიური კოლონიზაციი მხოლოდ აუცილებელი ბოროტებაა, რადგანაც მას თავისუფალ ადამიანებთან აქვს ზაქმე და არა მონებთან.

„სან-დომინგოში პირველად დასახლებულ ესპანელებს არც ერთი მუშა არ მისვლიათ ესპანიიდან. მაგრამ უმუშებოდ (ე. ი. მონებზე გარეშე) კაპიტალი დაილუპებოდა ან, ყოველ შემთხვევაში, ისეთ მცირე რაოდენობამდე მიჭდობდა, რომ ყოველ ინდივიდუუმს შეეძლებოდა მისი გამოყენება თავისი საკუთარი შრომით. სწორედ ასე მოხდა ინგლისელების მიერ უკანასკნელ ხანებში დაარსებულ კოლონიაში, სადაც დაქირავებული მუშებან უყოლობის გამო დაილუპა დიდძალი კაპიტალი, თქსლში, შინაურ ცხოველებში და ხარაღებში დაბანდებული, და სადაც არც ერთ დასახლებულს

არ მოეპოვება იმ კაპიტალზე მეტი, რომელიც მას შეუძლია გამოიყენოს თავისი აკუთარი შრომით“.

ჩვენ დავინახეთ, რომ ხალხური მასებისათვის მიწის ჩამორთმევა შეადგენს კაპიტალისტური წარმოების წესის საფუძველს. თავისუფალი კოლონიების არაერთი მხარე-კი, პირიქით, იმაში მდგომარეობს, რომ მიწას მას კვლავ სახალხო საკუთრებას შეადგენს და, ამიტომ, თითოეულ მოსახლეს შეუძლია მისი ნაწილი თავის კერძო საკუთრებად და თავისი წარმოების ინდივიდუალურ საშუალებად გადააქციოს, ისე რომ ხელი არ შეუშალოს უფრო გვიან დასახლებულთ ასეთივე ოპერაცია აწარმოვონ. ეს არის საიდუმლოება როგორც კოლონიზების აყვავების, ისე მათი მღრღნელო სენისა — მათი წინააღმდეგობის გაწევისა კაპიტალის დამკვიდრებასათვის.

„სადაც მიწა ძალიან იაფია და ყველა ადამიანი თავისუფალი, სადაც ყველას შეუძლია სურვილისამებრ მიწის ნაკვეთის მიღება თავისთვის, იქ არა მარტო ძალიან ძვირია შრომა, თუ მხედველობაში მივიღებთ მუშის ხვედრს მისი შრომის პროდუქტში, არამედ ძნელია კომბინირი შრომის შოვნა, რა ფასადაც უნდა იყოს“.

რადგანაც კოლონიებში ჯერ კიდევ არ მომხდარა მუშის და შრომის პირობების ამ უკანასკნელთა საფუძვლის — მიწის გათმევა, ან მომხდარა მხოლოდ გამონაკლისის სახით, ანდა შეზღუდულ სიერცეზე, ამიტომ ჯერ კიდევ არ მომხდარა მიწათმოქმედების გამოყოფა მრეწველობისაგან, არ მომხდარა სოფლის შინამრეწველობის მოსპობა, და საიდანღა გაჩნდება იქ შინაური ბაზარი კაპიტალისათვის?

(კ. მარქსი — „კაპიტალი“ ტ. I).

§ 8. კაპიტალისტური წარმოების უმჯარა კოლონიებში

იმისტამიხედვით, როგორადაც კაპიტალიზმი სულ უფრო ძლიერად იზიდავს განუზომელ კოლონიალურ ოლქს თავის სფეროში, რაც დამყარებულთა ექსპლოატაციაზე და მოგებისადმი მისწრაფებაზე, მსოფლიო მეურნეობისა, კოლონიალურ და ნახევრად კოლონიალური ქვეყნებზე ეკონომიურ და პოლიტიკურ ისტორიაში, როგორც სარკეში იხატება ყველა დამახასიათებელი ნიშნები ეგრეთწოდებული „სოციალიზატორული“ და კულტურული მისია კაპიტალისტური წარმოების წესისა და ბურჟუაზიული საზოგადოებრივი წყობილებისა. ის განსაკუთრებით შეუბრალებელი სიმარბლოთ გვიჩვენებს ყოველგვარ შეთოდებს და პრაქტიკას „კაპიტალის პირვანდელი დაგროვებისა“... თავისთ სიმკაცრით მიუწვდომელი პოლიტიკა დაპყრობისა და ჩაგვრისა მისი კოლონიალური ძარცვითა და დამსჯელი ექსპედირციებით, მისი ოპიუმის ომითა და შეკობრული თარეშით, ადგილობრივი მოსახლეობის იძულებითი მომარაგება არაყით, ბიბლოთ და სხვა უვარგისი ნივთებით, რასაც აწარმოებდნ ქვროპისა და ამერიკაჰ ქრისტიანულ ქვეყნებში, იყო ერთერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორთაგანი კაპიტალისტური წყობილების დაჩქარებულთ განშტოციტებასა...

კოლონიებში გლახური საოჯახო მეურნეობა და ხელოვნური წარმოება სულ უფრო და უფრო ვრცელდება. ვაჭრობის განვითარება კქმნის ფართე ფენას ადგილობრივი ბურჟუაზიისა, რომელიც აგრეთვე ასრულებს შემსყიდველისა, მევენახისა და სხვ. ფუნქციებს. ზატონობა და ჰეგემონია სავაჭრო და სავანშო კაპიტალისა და კოლონიალური ეკონომიკის სპეციალურ პირობებში ჰკვიანებენ ზრდას სამრეწველო კაპიტალისა. შინაური ბაზრისათვის ბრძოლაში ნაციონალური კაპიტალი ისევე და ისევე აწყდება კონკურენციას შემოტანილ უცხოელთა კაპიტალისა თვით კოლონიალურ ქვეყანაში და მოქმედების შემფერხებელ წინაკაპიტალისტურ ურთიერთობას სოფელში. მიუხედავად ამ დაბრკალებათა, წარმოების ზოგიერთ დარგებში იზადება ადგილობრივი მსხვილი მრეწველობა (უმთავრესად მსუბუქი ინდუსტრია). იზადებიან და ეთარდებიან ნაციონალური კაპიტალები და ნაციონალური ბანკები.

საცოდავი ცდებს, კოლონიალური რეჟიმისათვის ზარალის მოუტანლად, აგრარული რეფორმების გატარებისა თავის მიზნად აქვთ ნახევრად-ფეოდალური მემამულეს კაპიტალისტურ მიწათმფლობელად გადაქცევა, ხოლო ზოგ შემთხვევებში — კულაკობის ზედაფენების შექმნა. პრაქტიკაში ამას მიეყვებათ სულ უფრო მეტი პაუპერიზაციისა და გლახთა დიდი უმრავლესობისა, რაიც ისევე. თავის მხრივ; იწვევს შინაური ბაზრის ზარალისა ციას. ამ საწინააღმდეგო ეკონომიური პროცესების საფუძველზე ვითარდებოდა კოლონიალურ მოძრაობათა უმნიშვნელოვანესი სოციალური ძალები.

(კომინტერნის VI კონგრესის მიერ მიღებულ თეზისებიდან).

§ 9. კოლონიალური კოლონიალური მახრობა.

კოლონიების გამოყენება, რასაკვირველია, სხვადასხვაგვარად ხდებოდა, იმისგან დამოკიდებულებით, თუ რა რყო მიღებული მხედველობაში — ფაქტორიის დაარსება, პლანტატორული მფურნეობა თუ ახალშენის დაარსება. იმ დროებში ახალშენები (მეტროპოლიიდან „ქარბი მოსახლეობის“ გადასახლება — პ. გ.) არსებით როლს თამაშობდენ მხოლოდ ჩრდილოეთ ამერიკის კოლონიების ჩრდილოეთ ნაწილში, ხოლო ყველა დანარჩენი — ლევიანტისა და შემდეგში წარმოშობილი ოკეანის იქითა სამფლობელოები — იყვნენ „სავაჭრო“ კოლონიები. მათი გამოყენება (მხოლოდ რომელიც ჩვენ აქ გვაინტერესებს) წარმოებდა სხვადასხვაგვარად, იმისგან დამოკიდებულებით თუ სახელმწიფოები მმართველობის როგორ სისტემას მიმართავდენ. შესაძლებელია აღნიშნულ რქნას ასეთი ორი სისტემა: კოლონიებზე უშუალო სახელმწიფოებრივი მმართველობა და მათი გადაცემა კოლონიალური კომპანიების გამგებლობაში, პირველ სისტემას ჩვენ ვხვდებით ვენეციის, ხოლო შემდეგ ესპანეთ-პორტუგალიის კოლონიებში, მეორეს — გენუის კოლონიებში, ხოლო შემდეგში პოლანდიელების, ფრანგებისა და ინგლისელების კოლონიებში.

არსებითად ჩვენ მიერ განხილულ ყველა საუკუნეებში — იტალიელთა მიერ ლევიანტის დაპყრობიდან დაწყებული და დამთავრებული დიდი სა-

ვაჭრო კომპანიების დაღუპვითა და მონობის გაუქმებით — კოლონიალურა სისტემა ერთი და იგივედ რჩებოდა. ის დამყარებული იყო შემდეგ საფუძველებზე:

1. პრივილეგიების ბოძებაზე, რამაც კოლონიებში მაღალწია განჯთარების უმაღლეს წერტილს. როდესაც ამა თუ იმ საეაჭრო კომპანიას ებოძება განსაკუთრებული უფლება კოლონიების გამოყენებისა, ჩვენს წინაშეა პრივილეგია თავის ყველაზე აშკარა ფორმით. მაგრამ პრივილეგიათა ბოძების სისტემას განსაკუთრებული აქვს იქაც, სადაც არ არსებობს არაერთი პრივილეგიანი კომპანია. იტალიის და ასევე ესპანეთ-პორტუგალიის პირველდაწყებით ეპოქაში ყოველგვარი უხერხულობის გარეშე პრაქტიკაში ძველი ფეოდალური სისტემა ცალკე პირთათვის განსაკუთრებულ უპირატესობათა მიცემას: კოლონიების გარკვეული ნაწილები ეძლევა კერძო პირებს თითქოს როგორც „ლენი“. შემდეგში ამ ფორმას სცვლს რეგალიები, და ცალკე პირები განსაზღვრული საოჯახო თანხას გადახდით ღებულობენ უფლებას ამა თუ იმ რეგალიის ექსპლოატაციისა.

2. მეორე სახელმწიფო ღონისძიება, რომელიც თავისებურ ბეჭედს ასვამს უფრო ადრინდელ დროს მთელ კოლონიალურ პოლიტიკას, იყო კოლონისტებისათვის — როგორც ცალკე პირებისათვის, ასევე კორპორაციებისათვის, — მეტად ძლიერი საშუალება. ყველა კოლონიალური ახალშენები (დასახლებანი) ჩვენ მიერ განსაზღვრული საუკუნეებისა მოწყობილი იყვნენ სიმარგრებით, სადაც მუდამ იმყოფებოდა ძლიერი გარნიზონი უხვი ამუნიციით. გამონაკლისს წარმოადგენდენ მხოლოდ ის დასახლებანი, სადაც თვით ვაჭრები ანუ ფერმერები თავის თავზე ღებულობდენ მათი მფარველი ფორტების დაცვას.

ეს შეიძლება ერთგვად ითქვას როგორც იტალიის კოლონიებზე ლევანტში, ასევე უფრო გვიანდელი ეპოქის კოლონიებზედაც. მოვიყვანოთ ხელზე ნოხვედრილი ერთი, ორი მაგალითი. თუ ე მჯგელებთ ჯიოვანი ბე მბო ს აღწერათა მიხედვით, ვენეციელთა ციხე-სიმაგრენი ტანში მეტად ჩამაგონებელნი იყვნენ. გარდა იმისა, რომ ქალაქს ვენეციელთა ებანი გარშემოვლებული იყო კედლებითა და კოშკებით, ვენეციელები ჰვლობდენ კადვე საკუთარ ციხე-სიმაგრეს, რომელსაც ჰქონდა ორი კოშკი და რომელიც გარშემოვლებული იყო დიდი არხით. ეს ციხე-სიმაგრე იმყოფებოდა გორაკზე, ქალაქ გარეთ, და მტერთა დაცემას შემთხვევაში ვენეციელებს შეეძლოთ თავი შეფარებინათ იქ მთელი თავიანთი ქონებით (გვიდი).

„პოლანდიელების ფაქტორია ბენგალიაში რომ არის უფრო ციხე-სიმაგრეს ჰგავს: გარშემორტყმულია წყლით სავსე არხით (თხრილით), მაღალი ქვის კედლებით და ბასტიონებით, რომლებიც აგებულია ქვებისაგან და შეიარაღებული ზარბაზნებით. მათი მრავალრცხოვანი საქონლის საწყობებიც აგრეთვე აშენებულია ქვისაგან, ხოლო საცხოვრებელი სახლი, აფიცრებისა და ვაჭრებისათვის რომ არის, განირჩევა თავისი სიდიდითა და მოწყობილობით“ (პოსტლეკუეტი).

მე-XVIII საუკუნის დასაწყისს ოსტ-ინდოეთის კომპანია თავს ინდოეთის სამფლობელოებში ინახავდა 12 ათასი კაცისაგან შემდგარ შუღმავე ჯარს; გარდა ამისა 100 ათასი ადგილობრივი მკვიდრი გაწრთენილი იყო თოფის ხმარებაში, რათა საჭიროების დროს შესაძლებელ ყოფილიყო მათი გამოყენება. თანახმად საერთო წესისა მსხვილი კომპანიებზე საბრძოლო მზადყოფნაში ინახავდნენ თავიანთ საეპქრო ხომალდებს, რადგან ამ უკანასკნელთ არაიშვიათად უხდებოდათ სამხედრო გემების როლში გამოსვლა.

ჰოლანდიის ოსტ-ინდოეთის კომპანიის ფლოტი შედგებოდა დაახლოებით 60-მდე ხომალდისაგან, რომლებიც „ვარუოდენ სამხედრო სამსახურისთვის“ და თითოეულზე იდგა 30—60 ზარბაზანი. ინგლისის ოსტ-ინდოეთის კომპანიის ხარჯები სამოქალაქო და უმთავრესად სამხედრო მმართველობაზე, ბენგალის პროვინციაში ციხე-სიმაგრეთა აგებასთანაერთად, ექვსი წლის განმავლობაში 1755 წლიდან 1771 წლამდე შეადგენდა 9.027,609 გირანჯა სტერლინგს.

სამხედრო გარნიზონების ძლიერება ინგლისის კოლონიებში მე-XVIII საუკუნეში ჩანს შემდეგი ციფრებიდან:

ჩინოა (1734 წ.): მოსახლეობა იყო 7644 კაცი. ამათგან 3 ათასი კაცი გარნიზონისა; 6 ფორტი.

ბარბადოსი (1634 წ.): თეთრი რასის მოსახლეობა იყო 18295 კაცი და სამხედრო გარნიზონი 4812 კაცისაგან შემდგარი; 21 ფორტი; 26 ბატარეა — 463 ზარბაზნით.

ქარის ქვეშ მყოფი კუნძულები (Leenard Islands) (1734): 10.264 თეთრი რასის მოსახლეობა, ამათში 3772 კაცისაგან შემდგარი მალუცია.

3. მაგრამ ყველაზე უმთავრესი მდგომარეობდა იმაში, რომ კოლონიის დამაარსებელ სახელმწიფოებს ძალით შემოქონდათ იქ ძეგლებითი შრომა, სამუშაოთა შესასრულებლად, რომელსაც ამ კოლონიებში აწარმოებდნენ ადგილობრივი ანუ მოკლული მუშები და რომლებიდანაც, როგორაც ეს სწორად შენიშნა ამერიკის აღმოჩენის დროს კოლუმბო, დამოკიდებული იყო მთელი ღირებულება კოლონიებისა.

ამა თუ იმ ფორმით კანონი უშვებდა მონობას, როგორც სისტემას შრომისა. მონობაზე (ანუ ბატონყმობაზე) იყო დაფუძნებული რბალიელების კოლონიალური მეურნეობა ლევიანტში, სწორედ ისევე როგორაც მეურნეობა ესპანელებსა, პორტუგალიელებსა, ფრანგებისა, ჰოლანდიელებისა და ინგლისელებისა აფრიკაში, ამერიკაში და აზიაში.

(გენერალ ზომბარტი — თანამედროვე კაპიტალიზმი, ტ. 1).

§ 8. ნატურალური მუხანათობის ძალდატანებითი აღმშენებელი კოლონიზაცია.

ინდუსტრიალური მეურნეული ორგანიზაცია — კომუნისტური სასოფლო თემი — ათასი წლების განმავლობაში დაცულ იქნა და, მიუხედავად „პოლიტიკურ ზედდენებში მომხდარი ქარიშხლისა“ (მარქსი), მან გააძლიერა გრძელი ისტორია შინაგანი განვითარებისა. მე-IV საუკუნეში ქრისტიანულ ხანაში სპარსელები შეიჭრნენ ინდურ ოლქებში და დაიმორჩი-

ლეს ქვეყნის ერთი ნაწილად. ორი საუკუნის შემდეგ აქ გაჩნდნენ ბერძენები, რომლებმაც დასტოვეს ალექსანდრიული კოლონიები, — ნაშიერი ინდუსებთანთვის სავსებით უცხო კულტურისა. ამ ქვეყანაში შემდეგ შემოიჭრენ ველური სკვითები. ასეული წლებს განმავლობაში აქ ბატონობდნენ არაბები. შემდეგ ირანის მალლობებიდან მოვლდნენ ავღანები, მაგრამ ესენი განდევნილ იქნენ უმკაცრესი დაწოლით თათართა ურდოებისა, რომლებიც აქ მოველინენ ტრანსკავკასიიდან. საშინელებითა და ნგრევით აღნიშნა გზება, რომელზედაც გაიარენ მონგოლებმა. განადგურებულ იქნა მთელი სოფლები და მშვიდობიანი მინდვრები. დაფარული ბრინჯის ყანებით მეწამულად შეიღება დაღვრილი სისხლს ნაკადულებით.

მაგრამ ინდურ სასოფლო თემმა ყოველივე ეს გადაიტანა, რადგან ყველა ერთმანეთს რომ ცვლიდნენ მუსულმანური დამპყრობელები; ბოლოს და ბოლოს ხელშეუხებლად სტოვებდნენ გლეხთა მასების შინაურ სოციალურ ცხოვრებას და მათ ტრადიციულ წყობას. ისინი მხოლოდ ნაშინავდნენ პროვინციებში თავიანთ მოადგილეებს („ნამესტნიკებს“), რომლებიც მეთვალყურეობდნენ სამხედრო ორგანიზაციას და აგროვებდნენ ხარკს მოსახლეობიდან. ყველა დამპყრობელები მისწრაფოდნენ იქოყენ. რათა დაბეყროთ ქვეყანა და ეწარმოებიათ მისი ექსპლოატაცია, მაგრამ არავენ არ იყო დაინტერესებული იმაში, რათა დაეღუპა ამ ხალხსათვის მისი საწარმოო ძალები და მოეპოვა მათი სოციალური ორგანიზაციები. დიდი მოგოლის სამეფოში, გლეხს ყოველწლურად უნდა გადაეხადა ნატურით ხარკი უცხოელი დამპყრობელებისათვის, მაგრამ თავის სოფელში მას შეეძლო ცხოვრება თავისუფლად და თავის წინაპართა მსგავსად ეთება ბრინჯი თავის sholgra-ზე. მაგრამ აი მოვიდნენ ინგლისელები, და კაპიტალიზტური ცივიზალიზაციის შავიქირისებურ აორთქლებამ მოკლე ხნის განმავლობაში გააკეთა ის, რასი გაკეთება ვერ შეესძლო ათას წლებმა და მუსლიმანებს მახვილმა: მათ დაანგრის ხალხის მთელი სოციალური ორგანიზაცია. ინგლისური კაპიტალის მიზანი საბოლოო ანგარიშით. განისაზღვრებოდა იმით, რომ დაუფლებოდა ინდური თემის არსებობის თვით ბაზისს — მიწას.

ამ მიზანს ემსახურებოდა ევროპიელ კოლონიზატორებისათვის ძველი დროიდანვე მოთქმებული სიტყუე, რომ კოლონიის მთელი მიწები წარმოადგენს პოლიტიკური ხელისუფალის საკუთრებას. ინგლისელებმა უკანა რიცხვით აჩუქენ მთელი ინდოეთი კერძო საკუთრების სახით დიდ მოგოლს და მის მემკვიდრეებს, რათა ის მიეღოთ, როგორც „კანონიერი“ სამემკვიდრეო მიწა. ყველაზე გამოჩენილი მეცნიერები პოლიტიკური ეკონომიის სფეროში, როგორც, მაგალითად, ჯემს სტუარტ მილი. თავგამოდებით ასაფუძვლებდნენ ამ ფიქციას „მეცნიერული“ ჰომოზობებით, მაგალითად, შემდეგნაირი ბრწყინვალე დასკვნით: უნდა მივიღოთ, რომ ინდოეთში მიწა ხელისუფალს ეკუთვნოდა „რადგან, თუ ჩვენ დაუშვებთ, რომ ის არ იყო მიწის მესაკუთრე, მაშინ ჩვენ არ შეგვეძლებოდა გვეთქვა ვინ იყო მესაკუთრე?“.

ამისვე შესაბამისად, ინგლისელებმა უკვე 1793 წელს ბენგალში მთელი ცემინდარები, ე. ი. მათ მიერ ადგილზე აღმოჩენილი ხარკების მუსლიმანთა გამომსყიდველნი (მეხარკენი), ანდა თავიანთ ოლქებში ბაზრებს შემკვიდრეობითი წარმომადგენელნიც კი, გადააქციენ მეპატრონეებათ ამ ოლქებისა, რათა ამგვარად ამ ქვეყანაში თავიანთთვის შეექმნათ ძლიერი დასაყრდენი გლეხთა მასებში საწინააღმდეგო ლაშქრობაში. სწორედ ასე იქცეოდნენ სინი შემდეგში თავიანთი ახალი დაპყრობების დროსაც აგრას პროვინციაში (უდიში — Oudh) და ცენტრალურ პროვინციებში. ამის შედეგი იყო მთელი რიგი გლეხთა მქუხარე აჯანყებანი, რომლის დროსაც ნაწილობრივ განადგენებოდნენ ხოლმე ხარკის ამკრეფნი. ამ საყოველთაო არეულობაში და ანარქიაში კი ინგლისელებმა მოახერხენ თავიანთ ხელში ჩაგდოთ მიწების მნიშვნელოვანი ნაწილი.

ამას გარდა სახარკო ლოდი ისე შეუბრალებლად იყო გაძლიერებულა, რომ ეს ფარავდა მოსახლეობის თითქმის მთელი შრომის ნაყოფს. საქმე იქამდე მივიდა, რომ ლელისა და ალაგაბადის დისტრიქტის (ოლქის) გლეხები (ინგლისის სახარკო ხელსუფლებს ოფიციალური მოწმობის თანახმად, 1854 წლის თარიღით) თავიანთთვის უფრო ხელსაყრელად თვლიდნენ ნადელის (მიწის ნაჭერის) მასზე შეწერული ხარკისავე ჯამის რაოდენობაში პირდაპირ იჯარით გაცემას ანდა დაგირავებას. ამ სახარკო სისტემაში ნიადაგზე გაჩნდა და მაგრა მოიღვა ფესვები ინდურ ზოფლებში მეფავშობამ, რომელიც კიბონ მსგავსად შიგნიდან სჭამდა მის სოციალურ ორგანიზაციას. ამ პროცესის დასაჩქარებლად ინგლისელებმა შემოიღეს კანონი, რომელიც პირდაპირ ანადგურებდა სასოფლო თემის მთელ ტრადიციას და სამართლის ცნებებს — კანონი ხარკების გადაუხდელობის შემთხვევაში სასოფლო მიწების იძულებით გასხვისების შესახებ. ძველი საგვარეულო კავშირი ცდილობდა თავი დაეცვა ამ კანონისაგან მთელი თემის ან ნათესაური თემების მიერ ამ მიწებს შესყიდვის უპარატესობის უფლებით. მიწებს გაყიდვა საჯარო ვაჭრობით, თემიდან ცალკე პირების გასვლა, გლეხების ვალდებუთ დატვირთვა და მათ მიერ ქონების დაკარგვა ჩვეულებრივ მოვლენად გადაიქცა.

ინგლისელები ამასთანავე ცდილობდნენ, — და ამ ტაქტიკას ისინი ყოველთვის მიმართავდნენ კოლონებში, — რომ მათი ძალდატანების პოლიტიკა, რომელმაც საფუძვლით შეარყია საადგილმამულო (სამიწო) საკუთრების ურთიერთობა და გამოიწვია ინდუსების გლეხური მეურნეობის დანგრევა. აუცილებელი იყო სახელდობრ გლეხობის და მისი ინტერესების ადგილობრივი ტირანებისა და ექსპლოატატორებთან დაკვირვება. ინგლისმა ჯერ ზელოვნურად შექმნა ინდოეთში საადგილმამულო არისტოკრატია მთავრთვე არსებულ გლეხთა თემების საკუთრებას უფლებას ანგარიშზე, რათა შემდეგ დაეფარა გლეხები ამ მყვლეფლებთან და „უკანონოდ უზურპაციატმნილ მიწა“ გადაეცა ინგლისელ კაპიტალისტებსათვის.

აუ. ინდოეთში მოკლე ხნის განმავლობაში წარმოიშვა მსხვილი სამიწო საკუთრება, ხოლო ამ სივრცეებზე კი გლეხები გადაიქციენ მოკლევადიანი

იჯარის წერილ მეჯარადრეთა გალატაკებულ და გაპროლეტარებულ
იასებად.

დაასრულ, კაპიტალისტური კოლონიზაციის სპეციფიურ მეთოდებმა
თავიანთ გაბოხატულება პოვეს კიდეც ერთ მნიშვნელოვან გარემოებაში.
ინგლისელები იყვნენ ინდოეთის პირველი დამპყრობელნი, რომელთაც
თაა მოიტანეს სრული გულგრილობა ძეურნეული ხასიათის საზოგადო-
ებრივ კულტურულ საწარმოებისადმი. არაბები, ავღანები და მონგოლები
ზეღმძღვანელობდენ ინდოეთში გრანდიოზულ სამუშაოებს არხების მო-
წყობაში და ხელს უწყობდენ ამ სამუშაოებს, მათ გადასერეს ქვეყანა
გზებ: თ, ისინი მდინარეებზე აშენებდენ ხიდებს, სთხრიდენ ქებს. მონ-
გოლთა დინასტიის მამამთავარი ინდოეთში თემური (თამერლანი) ზრუ-
ნავდა ნიადაგის კულტურაზე, მორწყვაზე, გზათა უშიშროებაზე და ჰო-
გზაურთა უზრუნველყოფაზე.

პირველყოფ ლ ინდოელ რაჯებმა, ავღანელ ან მონგოლელ დამპყრო-
ბელებმა, რომლებიც ძლიერ მკაცრნი იყვნენ ცალკე პირთა მიმართ, ყო-
ველ შემთხვევაში, თავიანთი ბატონობა აღნიშნეს იმ განსაცვიფრებელი
ხაგებობებით, რომლებიც ეხლაც კიდეც ყოველ ნაბიჯზე გვხვდება და
გვეჩვენება საქმედ გიგანტთა რასისა... კომპანიას (ინგლ. სის ოსტ-ინდურ
კომპანიას, რომელიც ინდოეთში ბატონობდა 1858 წლამდე) არ აღმოუ-
ჩენია არც ერთი წყარო, არ ამოუთხროა არც ერთი ქა, არ გაუყვან ა არც
ერთი არხი და არ აუშენებია არც ერთი ხიდი ინდოელთა სასარგებლოდ.

მეორე მოწმე, ინგლ. სელი ჯემს ვოლსონი ლაპარაკობს: „მად-
რასის პროვინციაში ყველა უნებლიეთ ჰკვირდება იმ გრანდიოზულ ძვე-
ლებურ მოსარწყავი მოწყობილობა-ნაგებობით, რომელთა კვალი დატუ-
ლია ჩვენს დრომდე. დამბების სისტემამ, რომელიც ავლებს მდინარეებს,
წარმოშვა მთელი ტბები, რომელთაგან გადოდენ არხები, რომლებიც
ავრცლებდენ წყალს 60 და 70 მილის გარშემო. დიდ მდინარეებზე
მსგავსი ტბები იყო 30 ანუ 40-მდე. წვიმის წყალი, რომელიც მთებიდან
მოედინებოდა, თავს იყრიდა ცალკე, სპეციალურად ამისათვის გაკეთე-
ბულ ტბებში, რომელთაგან მრავალს ჩვენს დრომდე აქვთ 5-დან 25 მ-
ლამდე გარშემოცვა. ეს გ. განტური მოწყობილებანი თითქმის ყველა იყო
დამთავრებული 1750 წლამდე. კომპანიის მონგოლების ხელისუფალთა
წინააღმდეგ ომების ეპოქაში, და უნდა დავუმატოთ, ინდოეთში, ჩვენი (ინ-
გლისის — პ. გ.) ბატონობის მთელი პერიოდის განმავლობაში ეს ნაგებობა-
მოწყობილობანი დიდათ დაზარალდენ“.

და ეს სრულიად გასაგებია: ინგლისის კაპიტალს არ სჭირდებოდა ინ-
დური თემის ცხოველყოფილობის შენახვა და მისი დახმარება მეურნეუ-
ლის მხრივ; პირიქით, მას სჭირდებოდა დაეცგრა და მოესპო მისთვის სა-
წარმოო ძალები. დაგროვების გაუჰამდარ: წყურვილს, რომელიც მთელი
თავისი არსებით ცხოვრობს „კონიუნქტურებით“, არ ძალუძს იფიქროს
ხვალინდელ დღეზე, არ შეუძლია შეაფასოს ღირებულება ძველ კულტუ-
რულ-მეურნეულ ნაგებობათა უფრო ფართე თვალსაზრისით.

როდესაც ახლო წარსულში ინგლისელი ინჟინრები ეკვიპტეში ცდილობდნენ აეშენებინათ კაპიტალ სათვის წყლის გოგანტური ნაგებობა ნილოსის მდინარეებზე, ისინი თავს ინტერედენ არხების იმ ანტიქრ. სისტემის ნაკვალევების ძებნაში, რომელიც მათ მოტოკუდების უგნური უზრუნველობით სავსებით მიივიწყეს და მოშლის პროცესის ამარა დასტოვეს ინდოეთის თავ. ანთ პროვინციებში.

ინგლისელებმა მხოლოდ მაშინ ისწავლეს რამოდენიმედ გაგები თავიანთი კეთილშობილური საქმის მნიშვნელობისა, როდესაც საშინელ სიმშლიმა, რომელმაც ორისის ოლქში მხოლოდ ერთ წელიწადში იმსხვერპლა ერთი მ. ლიონი ადამიანთა სიცოცხლე, 1867 წელს აიძულა ინგლისის პარლამენტი გამოერკვია მიზეზები დატრიალებული უბედურებისა.

ინგლისის ხელ სუფლება ცდილობს ადმინისტრაციულ-ს გზით დაიცვას გლეხობა მეფავშეობისაგან. Punjab Alienation Act-ი (1900), კრძალავს განსხვავებას ან დაგირავენებას გლეხს მრწისა პირთა სასარგებლოდ, რომლებიც სხვა კასტას ეკუთვნებიან: ამ წესიდან გამონაკლისს აღნიშნული კანონი დამოკიდებულს ზღის ხარკის ამკრეფის გადაწყვეტილებაზე. კავშირის გათვალისწინებული გეგმის მიხედვით გალატაკებულ ინდოელთა პირველყოფილ სოციალურ წარმონაქნთა დამცველი და მასაზრდოებელი მეფავშეობისა, რომლისთვისაც წლ. ური 15% ჩვეულებრივ მოვლენის წარმოადგენდა, ინგლისელები გაკორტებულ და გალატაკებულ ინდოელ გლეხებს მეურვეობაში აძლევენ ფისკსა და მის მოხელეებს, ე. ი. „ფარველობაში“ აძლევენ უშუალოდ მისი სისხლის მსმელებს...

ყველა ნატურალურ-მეურნეულ ფორმატებში, როგორც პირველყოფილ გლეხურ თემებში მიწაზე საერთო საკუთრებით ანუ ფეოდალურ საბეგრო ურთერთობაში და მისთანებში, წარმოება საკუთარი მოთხოვნილებისათვის წარმოადგენს გადამწყვეტ მომენტს მეურნეობისა. აქიდან გამომდინარეობს არ არსებობა მოთხოვნილებებისა ანდა უმნიშვნელო მოთხოვნილება სხვათა საქონლებში და, როგორც წესი, სიკარბის არ არსებობა საკუთარ პროდუქტებში ანუ, უფრო ნაკლები ზომით, არ არსებობა დაბეჯითებითი მოთხოვნილებისა ზედმეტი პროდუქტის გასაღებაში. თუმცა ყველაზე მნიშვნელოვანი გარემოება იმაში მდგომარეობს, რომ ყველა ნატურალურ-მეურნეული ფორმები მეურნეობისა დამყარებული არიან წარმოების საშუალებათა და სამუშაო ძალათა ამა თუ იმგვარ გადამბულობაზე.

გლეხთა კომუნისტური თემი, ისევე როგორც ფეოდალურ საბეგრო მეურნეობა და სხვ. თავიანთ მეურნეულ ორგანიზაციებში ეწყობიან გადამბულობაზე წარმოების უმნიშვნელოვანეს საშუალებათა — მიწა და სამუშაო ძალისა, — გადამბულობაზე, რომელიც დამყარებულია სიმართლეზე და ჩვეულებაზე. ამგვარად, ნატურალური მეურნეობა ყველა მხრივ მაგარ ზღუდეს უდებს კაპიტალის მოთხოვნილებებს. ამიტომაც კაპიტალი უწინარეს ყოვლისა ყველგან და ყოველთვის აწარმოებს ბრძოლას ნატურალური მეურნეობის მთელ მის ისტორიულ ფორმებში მოსაობისათვის; ის გამოდის ნატურალურ მეურნეობის ყველა

ფორმების წინააღმდეგ, რომელსაც კი აწყდება, — წინააღმდეგ მონათმფლობელური მეურნეობისა, წინააღმდეგ ფეოდალ-ზმისა, წინააღმდეგ პირველყოფილი კომუნეზმისა და წინააღმდეგ პატრიარქალური გლეხური მეურნეობა-სა.

პოლიტიკური ძალა (რევოლუცია, ომი), სახელმწიფო სახარკო პრესსა და საქონელთა სიიაფე წარმოადგენენ მთავარ მეთოდებს ამ ბრძოლაში, ესენი — მოქმედებენ ნაწილობრივ ერთდროულად. ხანდა-ხან ერთმანეთს მოსდევნ და ერთმანეთს ანშტკიცებენ. და, თუ, ძალდატანება ევროპაში ფეოდალ-ზმის წინააღმდეგ აშკარავდებოდა რევოლუციის ფორმაში (საბოლოო ანგარიშით ამას მიუყრება რევოლუციები მე-XVII, მე-XVIII და მე-XIX საუკუნეებისა), არაევროპიულ ქვეყნებში კი ის, უფრო პრიზიტულ სოციალურ ფორმებთან ბრძოლაში, აშკარავდებოდა კოლონიალური პოლიტიკის სახით. აქ პრაქტიკაში მყოფი სახარკო სისტემა და ვაჭრობა პირველყოფილ თემებთან წარმოადგენს იმ ნარევს, რომელშიაც პოლიტიკური ძალდატანება მკიდროთ გადახლართულია ეკონომიურ ფაქტორებთან.

ნატურალურ-მეურნეულ საზოგადოებებთან ბრძოლაში კაპიტალიზმის ეკონომიური მზნებია:

1) უშუალო დაპატრონება საწარმოო ძალთა უმნიშვნელოვანესი წყაროებისა: მიწის, ნადირის, გაუტეხელ ტყეების, მინერალების, ძვირფას ქვების, ზღნების, ეგზოტიურ მცენარეთა სამეფოს პროდუქტების, როგორც მაგალითად, კაუჩუკის და სხვ.;

2) სამუშაო ძალს „განთავისუფლება“ და კაპიტალ-სათვის შრომაში იძულება;

3) საქონლური მეურნეობის შემოღება;

4) მრეწველობის სასოფლო მეურნეობიდან გამოყოფა.

(როზალიუქსემბურგი — „კაპიტალის დაგროვება“).

§ 9. კორტუგალიის კოლონიალური მხარობა

როდესაც ვასკო-დე-გამამ მიადწვა სანავთსადგურო ქალაქ კალიკუტს, იმ დროს უკანა-ქნელი ძლიერ მნიშვნელოვანი სავაჭრო ცენტრი იყო. ინდოეთს დასავლეთს სანაპიროვებ სათვის, და სატახტო ქალაქი, ერთი იქ არსებული მრავალრიცხოვანი წვირილი სახელმწიფოთაგანის, რომლებიც ვაჭანტულ იყვნენ დიდ ნახევარკუნძულზე. ვასკო-დე-გამამ იქ ვაჭრობა მაჰმადიანთა ხელში ნახა და დარწმუნდა. რომ მისი წართმევა მხოლოდ ძალით შეძლებოდა. ამის შემდეგ იქ ჭლოტ-ლია-ფლოტ-ლიაზე იზავენებოდა და ბოლოს და ბოლოს დამყარდა თითქმის წესიერი ყოველწლიური ურთავრთობა. 1500 წ. იქ მივიდა კაბრალი, რომელმაც დაარსა პირველი სავაჭრო კოლონიებში კალიკუტში და კონჩინაში და რომელიც დაბრუნდა ტებილეულობის, მარგალ-ტების, და ძვირფასი ქვების დიდი რაოდენობით. მიუხედავად ადგილობრივი ინდოელ-ხელსუფლებისა და არაბეთის ვაჭრებს წინააღმდეგობისა. პორტუგალები სულ უფრო

და უფრო მაგრამდობდენ ინდოეთში. მათი ხელისუფლება პირველ ათეულ წლებში იმდენად დიდა იყო, რომ 1505 წ. ინდოეთი უკვე გამოცხადებულ იქნა ვიცე-სამეფოდ.

...პორტუგალია თავისი გეოგრაფიული აღმოჩენების წყალობით დაუახლოვდა იმ ხალხს, რომელნიც შორს წავიდნენ თავსა განვითარებაში და იმდენად მდიდარ მრეწველობას *) ფლობდენ, რომ მასი პრადუქტები ვაჭრობის სახანად შეიძლება გამხდარიყო. ამის წყალობით პორტუგალია ძლიერ ჩქარა შეიქნა მდიდარ სავაჭრო ქვეყნად და უკვე 16 საუკ. მაღალ-სავაჭრო განვითარების აპოგეოსს. მისი ვაჭრობა მხოლოდ და მხოლოდ კოლონიალური იყო და წარმოებდა სრულებით განსაკუთრებულ წესს მიხედვით.

პრინციპად აღიარებული იყო ვაჭრობის სრული თავისუფლება ყველა პორტუგალელისთვის, ყველა ხალხების ვაჭრობის უფლებისაგან სრული გამორიცხვით, მაგრამ de facto, შეზღუდვისა, გამონაკლისისა და რეგლამენტიზაციის გზით ის თავმოყრილი იყო უმთავრესად თვით მთავრობის ხელში. მხოლოდ, რომელიც ფლობდა გადასახიდ-საშუალებებით და ყავდა მწარმოებელი ფლოტის მთავრობის ჰაეაქრო ხომალდებზე, რომლებსაც თან ახლდა სამხედრო ეკადრა, მიემგზავრებოდენ ყოველწლიურად თებერვალში ან მარტში ვაჭრებს: ლაბორნიდან ინდოეთში; ისინი მთავრობის სასარგებლოდ იხდიდენ მათი საქონლის ღირებულების 30% და სარგებლობდენ ყოველგვარი საგნებით ვაჭრობის უფლებით გარდა წიწაკისა, რომელიც მთავრობას მიერ მონოპოლიზირებული იყო.

ვაჭრობის შესაძლებლობა უზრუნველყოფილი იყო, როგორც მთელი რიგი ინდოეთში დაარსებული კოლონიების მეშვეობით. ასევე სავაჭრო ხელშეკრულებების გზით, რომელიც დადებული იყო პორტუგალიის მიერ ადგილობრივ სახელმწიფოებთან. მაგრამ უზრუნველყოფა მაინც ისევე მხოლოდ და მხოლოდ პორტუგალელებისათვის იყო. ადგილობრივი თავადები ვალდებულნი იყვნენ პროდუქტები მიეყიდათ მხოლოდ პორტუგალელებისათვის, არ მიეღოთ უცხოელები და არ ეწარმოებიათ მათთან ვაჭრობა პორტუგალიის მთავრობის თანხებზე გარეშე. კიდევ მეტი: მათ ტრაქტატით ეკრძალებოდათ მოეწყოთ ვაჭრობის მიზნით ზღვაზე მიმოსვლა პორტუგალიის ნებადართვებელად, რომელიც მხოლოდ ხანდახან აძლევდა ნებადართვას ადგილობრივად შემოეტანათ საქონელი. მაგრამ მხოლოდ ზოგჯერ: ვაჭრობა წიწაკით, სომარის იაზრით და სხვ. არავითარ შემთხვევაში არ იყო ნებადართული. ამით სრულებით უზრუნველყოფილი იყო ვაჭრობის მონოპოლია პორტუგალიისათვის.

...ძნელია პორტუგალიის კოლონიალური ვაჭრობის დონის განსაზღვრა. მაგრამ ცხადია, რომ ის მოცულობით ვაჭრობდა ყველა სხვა ქვეყნების ვაჭრობას. მე-16 საუკ. ლისაბონი — ეს ვაჭრობის ცენტრი — ინდოეთის

*) აქ ავტორი „მრეწველობის“ ქვეშ გულისხმობს ადგილობრივ ხელისნაწარმს (ამჟამად) წარმოებას.

ნაწარმოებებით ამარაგებდა ყველა უცხოელ ბაზრებს იტალიის ბაზრების გამოუკლებლივ.

უკვე მე-16 ს. დასაწყისს ლისაბონში ყოველწლიურად მოდიოდა ოთხი კარაკატი ტკბილეულობით დატვირთული, რომელიც საერთო სირთულით 7.000 ტონას აღწევდა. ეს იმდენი მასა იყო საქონლისა, რომლის დაწვება საშუალო საუკუნოების განმავლობაში ერთად და ერთ ადგილზე არც ისე ადვილი საქმე იყო. მე-16 ს. პორტუგალია მარტო წიწაკა შემოქონდა ოსტინდოეთიდან 200.000 ცენტერამდე.

ყველა ეს პროდუქტები შემოქონდათ მხოლოდ და მხოლოდ ლისაბონში და მხოლოდ ამ ქალაქიდან შეიძლებოდა მათი გატანა. სპეციალური დაწესებულება Casa de India ამის დაცვას სასტიკად აღევნებდა თვალყურს.

პორტუგალიის მიერ დაარსებულმა მთელ რიგ კოლონიებმა ოსტინდოეთში და მათ მიერ შეთვისებულმა კოლონიალურმა სისტემამ ძლიერა გავლენა იქონიეს ვაჭრობის განვითარებაზე. მაგრამ მმართველობა ორგანიზაციამ მალე დასცა პორტუგალიის სიძლიერე და მისი ვაჭრობის მნიშვნელობა, დაცემის ერთ-ერთ მძლავრ მაზნებად გახდა.

(ზევიორტი — „ახალი დროის ისტორია“).

§ 10. ესპანეთის კოლონიალური მპარობა

პირველი 30 წლის განმავლობაში, ამერიკის აღმოჩენის შემდეგ, ესპანეთის მთავრობა ძლიერ ცოტას ზრუნავდა თავის, ატლანტის იქითა, კოლონიებზე. მან იმანი რამდენიმე თავგადასავლის მიძიებელთა განკარგულებაში მოაქცია, რომელნიც აქიდან ეზიდებოდნენ ყველაფერს რაც კი შეიძლოთ: ზოლო მეფეს კი აძლევდნენ არა უმეტეს 20%. ის ზრუნავდა ამერიკიდან რაც შეიძლება ფულს დიდი რაოდენობით მიღებაზე, მეტროპოლისა გაზრდილ მოთხოვნილებათა დააკმაყოფილებლად. ამ მიზნისთვის ყველაფერი იბეგრებოდა ბაჟებთან და გადასახადებით: მწაფთმოქმედება, მონადირეობა, თევზის ჭერა, ყოველგვარი მრეწველობა და თითქმის ღარიბთა მოწყალეობაც. ინდოელთა მფარველობისათვის გამოცემულ განკარგულებებს ერთად ერთ მიზნად ქონდა შეენარჩუნებია რაც შეიძლება მეტი რაოდენობა გადამხდელებისა.

გამარცხეს რა პირველ რიგში ადგილობრივი მოსახლეობა ყოველგვარა ძვირფასეულობიდან ესპანელებმა იწყეს ძვირფასი ლათონების მოსაპოვებელი ახალი ადგილებს ძებნა და ქვეყნის მარცხეში შეიჭრნენ. პრველი ვერცხლის მადნები აღმოჩენილ იქნა მექსიკის პროვინცია ცაკატეკასში 1523 წელს. შემდეგ მალე აღმოჩენილ იქნა სხვა სამადნეებოც: განსაკუთრებით მდიდარი იყო პორტოზას სამადნეები პერუში 1545 წ. აღმოჩენილი სამადნეების ოლქში დაუყოვნებლივ დაარსდნენ კოლონიები. მადნის საბუდოების დამუშავება ნებადართული იყო თითოეული ესპანელისათვის, თვითსაბუდოები იმას ეკუთვნოდა, ვინც მას აღმოაჩენდა; ის ვალდებული იყო მხოლოდ წარედგინა მთავრობისათვის მადანის ნიმუში და შემდეგ

შეეძლო მიწის შექენა, ერთ კვადრატულ ფუტზე ერთი პიასტრის გადახ-
დით. მიტოვებული სამადნეებო ხაზინის საკუთრებად იქცეოდა. დიდი დრო
გავიდა, ნანამ სამადნეთა დამუშავებამ წესიერი სახე მიიღო; ჩვეულებრი-
ვად წხოლოდ იმ სამადნეებს ამუშავებდნენ ზოლმე, სადაც მადანი ძლიერ
წმინდა იყო და მცირე მუშაობას მოითხოვდა.

ესპანეთის კოლონიალურმა ძლიერებამ თავის აპოგეისს მიადწია ფილიპე
II (1556 — 1598) მეფობის დასაპარულს, პორტუგალიას შემოერთების შეჴ-
დგე (1580), როდესაც მან მიიღო უკანაქვენილიდან მთელი კოლონიალური
სამფლობელოები. მის ხელში იყო ამის გარდა ანტილას კუნძულები, რო-
მელსაც სამაგეროდ ნაყოფიერებით განსხვავდებოდა, შიენა, რომელსაც
დიდი მნიშვნელობა ქონდა, როგორც სამხედრო სადარაჯოსა და მექსიკის
უბის გასაღებს; ვიციქსამეფო მექსიკა, რომელიც ცენტრალურ ამერიკას
შეიცავდა, კალიფორნია, ახალი მექსიკა და ფლორიდა, სადაც დიდი რა-
ოდენობით პოულობდნენ ოქროს, ვერცხლსა და სპილენძს, ვანაღს, ლილას
ხეს და სხვ., მოყავდათ ბამბა, თამბაქო; აბრეშუმში, კაკაო, შაფრანი. ბრინ-
ჯი და სხვ.

ესპანეთის სამფლობელოები სამხრეთ ამერიკაში განთქმული იყვნენ
აგრეთვე თავისი ნაყოფიერებით და სამადნეების სიმდიდრით. მაგრამ ესპა-
ნელებმა ვერ შეაძლეს იმ ხელნაყოფლობათა გამოყენება, რომელნიც ამ კო-
ლონიებში გაჩნდათ და ქვეყანა უდაბნოდ გადააქცეს, ეს მიყვანეს გალა-
ტაკებამდე, ხოლო ადგილობრივი ტომები კი თითქმის სრულ განადგურე-
ბამდე.

აი რა სახით წარმოებდა ამ ქვეყნების ექსპლოატაცია: ყოველ წელს
ან ყოველ ორ წელში ორ: სამეფო ესკადრა მიემგზავრებოდა ამერიკაში;
ერთს ეწოდებოდა „ფლოტი“, ხოლო მეორეს „გალიონი“. პირველი ვაჭ-
რობდა მექსიკასთან და მიზნობელ პროვინციებთან, მეორე კი — პერუსა და
ჩილისთან. მათ თან მიყვებოდა სამხედრო გემები 32 ან 55 ზარბაზნ-
ით. ესპანელი ვაჭრები ტვირთავდნენ მას თავისი საქონლით სევილში ან კა-
დიქსში. რაჴდენიმე ხნით ადრე სანამ მოვიდოდნენ გალიონები, ამერიკელ
ვაჭრებს მიქონდათ პანამამდე ზღვით, ხოლო იქიდან ხმელეთით პარტო-
ბელამდე თავიანთი სამადნეების პროდუქტები და სხვა ძვირფასი საგნები,
რომლებიც უნდა გადაცვლილიყვნენ ესპანეთის მრეწველობის ნაწარმოებზე.

ჩვეულებრივად დაცარიელებული ქალაქი ხალხით ივსებოდა და ბა-
ზარი 40 დღის განმავლობაში ღია იყო; მაგრამ თავისუფალი კონკურენ-
ცია არ არსებობდა, რადგანაც ყველაფერი წინდაწინვე იყო განსაზღვრუ-
ლი. ფასები მყარდებოდა დედამიწის ორივე ნახევარსფეროს კომერსანტთა
დელეგატების მიერ, საადმირალო გემების ბაქანზე და პანამის გუბერნა-
ტორის თანადამწირებით. ფასები დამოკიდებული იყო მოპოვებულ ძვირ-
ფას ლითონსა და მოტანილ საქონელს, შორის ურთიერთ შეთანხმებაზე.
ნობრებს გამოქვეყნების შემდეგ იწყებოდა მოლაპარაკება ესპანელ და
ამერიკელ ნეგოციანტთა შორის ოფიციალურა ფასების საფუძველზე და
შემდეგ იწყებოდა საქონლის გაცვლა ოქროსა და ვერცხლზე, რომელიც
წარმოდგენილი იყო ზოდების ანდა პიასტრების სახით.

ამ დროს, როდესაც გალიონები მოვიდოდნენ პარტო-ბელაში ფლოტი ნიღოდა ვერაკრუზში, სადაც იგივე მოლაპარაკება იწყებოდა და აწარმოებდნენ იმავე სახის გაცვლა-გამოცვლას. შემდეგ ორივე ქაქადრა. ერთდებოდა ჰავანაში, საიდანაც ევროპაში ბრუნდებოდნენ. პილაპე II დროს ისინი იტვირთებოდნენ არა მარტო ძვირფასეულობით, არამედ ლილის ზით. შაქრით. ვანაშლით. კაკოთით. ჭაფურით. ჭინაქინით და ტყვიით. შემდეგში ანა, თავი მიანებეს და კოლონიებიდან გამოქონდათ შოლოდ ძვირფასეულობა: ოქრო, ვერცხლი, მარგალიტი და სხვ. ძვირფასი ქვები. სამაგიეროთ შექონდათ კოლონიაში მატკლის. ჰელისა და ლითონის ნაკეთობანი, ფუფუნებს ყოველგვარი საგნები, ღვინო, ზეთუნის ზეთი და სხვადასხვა საკვები. ამ საქონელს თვალყურს ადევნებდნენ კორეცოდორები — სასამართლოს მოხელენი. ისინი თავის შეხედულებასამებრ აწესებდნენ იმ საქონლის რაოდენობას. ღირსებასა და ჯანს, რომელიც ნაწილდებოდა ადგილობრივ მცხოვრებელთა შორის. უკანასკნელნი იძულებულნი იყვნენ შეეძინათ პროლებით მათთვის არა მარტო საგნები, ლენტები, მაქვანი, ლილები, და სხვ. მათ აიძულებდნენ ეყრდნათ სამართებელი. იმ დროს, როდესაც მათ არ ეზრდებოდათ წვერა. სარკეები. თავიანთი ქობის შიშველი კედლების მოსართავად. შემოაღოყვნენ აბრეშუმში და ხავერდში, როდესაც მათ პეტრის საყიდელი საშუალება არ გააჩნდათ, შეეძინათ ბურნუთის კოლოფი. როდესაც ისინი არ სწევდნენ თამბაქოს; მაგრამ განსაკუთრებით ძლიერ აძალდებდნენ ნოდოელბ, არაყის ყიდვას, და ყველაფერი ეს მათზე იყიდებოდა პირდაპირ დაუჯერებელ ფასებში. აიძულებდნენ რა მათ ეყიდნათ ყველა ეს უსარგებლო საგნები; შეძლებდნენ აუცილებელ საგნებსაც: მალტას, ტალოს, სხვადასხვა ხარაღებს, ცხადია გასამკეცებულ და გათავსებულ ფაგებში.

(ზევიორტი — ახალი დროის ისტორია“).

§ 11. გონივით ვაჭრობა

ჩვენ არა ერთხელ უთითებდით იმაზე, რომ კოლონიის ექსპლოატაცია, ეს ბაზისი, რომელზედაც ემყარებოდნენ იტალიის ქალაქები, უმნიშვნელო იყო იმასთან შედარებით, რომელზედაც შენდებოდა ევროპის კაპიტალიზმი, შენობა 1500 წლიდან. ადვილი არ არის სწორი წარმოდგენა იქონიო ხალხთა იმ კოლონიალურ მასაზე, რომელნიც შთანთქმულ იქნა ევროპელების მორჩილებაში მყოფ ქვეყნებში — უკანასკნელი ოთხი საუკუნის განმავლობაში. არა, დროს არ უნდა იქნას დავაწყებულ, შემდეგ: დასავლეთი ევროპა. რომ ასულიყო მის თანამედროვე ძლიერების სიმალლემდე, არა მარტო იტაცებდა არა ევროპიელ ხალხთა შრომის პროდუქტებს, რა დროსაც ექსპლოატაციამშობლათვის მანაც რჩებოდა შესაძლებლობა შემდგომი არსებობისა და ნორმალური განვითარებისა: არა, გარდა ამისა ის აწარმოებდა ამ სიტყვის ქვეშარტო გაგებით მტაცებლურ მიუზრუნობას მიღობ ხალხთა და იმ დონემდე სწუწნიდა მათ, რომ ისინი ჰკარგავდნენ შემდგომში ხელახლა განვითარების უნარს.

თუ ჩვენ გვინდა დასავლეთი ევროპის კაპიტალიზმს სწორა ბალანსი გამოვიყენოთ, ჩვენ, უნდა დებეტს (გადავლას) მხარეზე ჩავწეროთ ადამიანთა სიცოცხლის გასაცარი მოხმარება, ამ კაპიტალიზმს არსებობის პერიოდში. ჩვენ (ევროპიელები) ამიტომ შევიქვებით მდღერები, რომ მთელი რასები და ტომები ამოწყდენ ჩვენთვის და მსოფლიოს მთელი რუგი ქვეყნები ჩვენთვის გაუქცურდა.

საერთოდ ყველაფერი ეს დაწვრილებით ცნობილია და ჩვენ მხოლოდ გვიხდება აქ სათანადო კავშირში გავყოთ ისინი.

მეტად რომ არ შეიძლება, რაეა ცნობილი წითელ კანიანთა სწრაფი გაქრობა ევროპელთა ბატონობის უღელ ქვეშ, გაქრობა რომელიც ერთა სწავლულს სამართლიანი შენ-შენით „ძლიერ ახლოს გვაგონებს ცხოველების სახეთა გაძევებას მთელი გეოლოგიურ პერიოდს მანძილზე“. როდესაც ესპანელები გაჩნდნენ ბაგამის კუნძულებზე, ადგილობრივ მცხოვრებნი ძლიერ მკიდროდ აყენენ დასახლებულნი. 1629 წ. როდესაც ინგლისელები დამკვიდრდნენ ახალ-პროვინსში, აქ უკვე არ იყო არც ერთი ადგილობრივი მკვიდრი. 1503 წ. იამაიკაზე დასახლდნენ პირველი ესპანელები და 1558 წ. კი უკვე ყველა ადგილობრივი ინდოელები გაქქენ. 1508 წ. (დაპრობო, დროს) ესპანოლამაიკო 60.000 ადგილობრივი მკვიდრი, ხოლო 1548 წ. კი სულ მხოლოდ — 500. კუბაზე უკვე 1548 წ. გაქრა ადგილობრივი მოსახლეობა. პერუ 1575 წ. (მაშადაძემ თითქმის ნახევარი საუკუნის შემდეგ დაპრობა) ჯერ კიდევ ითვლიდა თითქმის 1.500.000 ადგილობრივ მცხოვრებს, ხოლო 1793 წ. უკვე მხოლოდ 600.000 დარჩენილყო. ასევე გადნა ამორიგენდა მოსახლეობა მექსიკაშიც.

მაგრამ ყველა რასასაც მოუხდა გადაეტანა მძიმე მახვერპლი ადამიანთა სიცოცხლით. ბანიუენი, ერთი პროვინცია კუნძულ იავაზე ჯერ კიდევ 1750 წ. ითვლიდა 80.000 მცხოვრებელზე მეტს, ხოლო 1811 წ. უკვე მხოლოდ — 8.000. 1617 წელს ზიტცენრთა პრივილეგიურმა კომპანიამ დაიწყო განუმეორა 1615 წლის ბრძანება თავის მოადგილე კონს: აღმოფხვრათ მკვიდრთა მოსახლეობა კუნძულ ბანდაზე და ისევე დაესახლებით ის მორჩილი ტომებთ ანუ მონებით. რამდენიმე წლის შემდეგ სხლიანი საქმე განხორციელებულ იქნა პრაქტიკაში: 15000 ადამიანი დაეცა ზიტცენრთა ინტერუსს მსხვერპლად. უფრო ხშირად გვაცნობებენ ჩვენ ანეთ ამოწყვეტაზე კუნძულებიდან, რომელნიც პოლანდელთა (აკუთრებაში იმყოფებოდა.

ამორიგენთა ამოწყვეტა ჩვეულებრივად დაკავშირებული იყო სანელებელი მცენარეების მოსახლეობათან, რომელიც წარმოებდა კომპანიის მიერ, რომ მთლიანად მონოპოლიზაცია ექნათ მათი პროდუქტებით ვაქრობის საქმისთვის. არ არის შესაძლებლობა მოსახლეობას რიცხვობრივად შემცირებას ზუსტი ციფრების მოცემისა, მაგრამ არაფერ არ უნარყოფს იმ ფაქტს, რომ მას ქონდა ადგილი სინამდვილეში. ისეთი ფრთხილი მწერალი და გამოჩენილი საქმის მცოდნე, როგორცაა ბოკემეიერი შემდგენარად ასკენის თავის განაჩენს: „მოსახლეობის შემცირება (მოლუქის კუნძულებზე),

სამახინჯენი და კანის ავადმყოფობანი, — რომელსაც ვრცელდება კუნძულზე მცხოვრებთა შორის თაობიდან თაობამდე. — ასეთია გარდაუვალი საუკუნოებრივი დაბერებებისა და ტანჯვის მოწმობა, რომელიც როგორც წყველა თავა დასტრალებს ამ მშვენიერ ქვეყანაში*.

მაგრამ ყველაფერი ეს პრულებით ქარწყლდება ზანგების ჰეკატომბებსა წინაშე. რომელიც მსხვერპლად იქნა მოტანილი კოლონიალური მეურნეობის მოლოხისათვის*). იყო დრო, როდესაც აშკარადებოდა მდრეკილებანი, რომ ფანტასტიკურად ჩეთვალათ ჩვენამდე მოსული ციფრები, რომლითაც განიხილვებოდა აფრიკიდან მონების გაყვანა; მაგრამ შემდეგში დარწმუნდენ, რომ მას საფუძვლად ჰეშვარატება უდევდა. ჩვენთვის ცნობილი ყველაზე ძლიერ დაბალი შეფასებიდან ექსპორტი განიხილვებოდა 100.000 სულით ყოველწლიურად; წინააღმდეგ ამისა, ბიოკსტანი ჰეპრობს, რომ მონებით ვაჭრობის ქრისტიანული გზით ყოველწლიურად მონობაში მიყავდათ 400.000 ზანგი. ზოლო მაჰმადანურა ვაჭრობის გზით — 100.000 ზანგი. როგორც თავისთავად იგულსხმება ყველა ასეთი მასურა შეფასებანი ემყარება მოცემული მასალების მეტად თუ ნაკლებად თავისუფალ განსაზოგადობებს, მაგრამ, ყოველ შემთხვევაში, უკანასკნელი საკმაოდ დიდია იმისათვის, რათა გაამართლოს მოსაზრება, რომ მონების წლიურა გაზიდვა შეადგენდა (მე-18 საუკ.) არა ნაკლები 100.000 სულსა.

ჩვენამდე მოაღწია, მაგალითად, ცნობამ, 401 ზომალდზე, რომელნიც ეკუთვნოდნენ მონებით მოეპყრე ინგლისელებს და 1783 — 1787 წ. პერიოდში გადაყავდათ 109.540 ზანგი, — მაშასადამე, საშუალო რიცხვით 263.000 წლიურად. ეს ფაქტიურად დადგენილი ჯამებია და ისიც მხოლოდ ერთი ქვეყნისათვის. ნამდვილი ციფრი კი გაცილებით მაღალი იყო. ასეთი მტკიცება უკვე საკმაოდ მართლდება („შავი საქონლის“). შემოტანის ოფიციალური ციფრებით, რომლებმაც ზოგიერთი კოლონიებიდან მოაღწია ჩვენამდე. საფრანგეთს ეკუთვნის ანტალიის კუნძულზე 1780 — 1789 წ. პერიოდში საშუალო რიცხვით შემოყავდათ ყოველწლიურად 30 — 35 ათასი ზანგი, ზოლო ბრაზილიის ნავთბადგურებში მონების შეროყვანა შეადგენდა 1829 — 30 წ. მცირე ზომით 78.331 სულს.

ახლა მივიღოთ მხედველობაში ის ფაქტი, რომ შეპყრობილი ნეგრების მხოლოდ ზოგერთი ნაწილი აღწევდა დანიშნულ ადგილამდე. ფიქრობენ, რომ ადგილამდე მიღწეული რიცხვი შეეფარდებოდა შეპყრობილთა რიცხვს, როგორც 3:7. მაშინ ჩვენ მივალთ იმ ციფრამდე, რომელიც ნამდვილად გვაძლულებენ მივიჩნიოთ არა სავსებით ფანტასტიკურად ის შეფასება, რომლის თანახმად ნახევარ მილიონში გამოიხატება აფრიკიდან ზანგების ყოველწლიური გაზიდვა. ყოველ შემთხვევაში უეჭველია, რომ სამი საუკუნის განმავლობაში აფრიკამ მისცა ევროპიელთა კოლონიების პლანტაციებსა და სამადნეებს მრავალი მილიონი ადამიანი, რომლებსაც უნდა ემუშავათ იქ შეწარმეთა ჯაბის გასასქელებლად, შემდეგ კი... შემდეგ კი გადასახლებუ-

*) მოლოხი — ფინიკულს ღმერთი, რომელსაც მსხვერპლად ადამიანს სწირავდენ.

ლაყენენ თავის წინაპრებთან ისე, რომ არავითარი კვალი არ დაეტოვებიათ თავისი ამ ქვეყნიური არსებობისა, გამქრალიყენენ პროლეტში, როგორც ნედლი მასალა. ეს მილიონი ადამიანები დაახლებული იქნენ ახალ ადგალზე იმისათვის კი არა, რომ ნორმალურად განვითარებულიყენენ მსხედ, როგორც უწინ: ისინი იმისათვის იყენენ დასახლებულნი, რომ დაღუპულიყენენ. 19 საუკ. 30-იან წლებში, როდესაც აღრიცხვაში იყო აყვანილი ყველა განათავრულდებულნი და მონები, — ყველა ევროპულ კოლონიებზე აღმოჩნდა 2,5 მ-ლ. კული. რაც შეეხება შემოყვანილი მონების დანარჩენულ დღეს ნაწილს, 300 წლამ განმავლობაში ის თანდათან მოხმარებულ იქნა ევროპელებთან სასახურში. და ამის შემდეგ კი ქვეყნის მთელმა ნაწილმა განიცადა შეჩერება და დაქვეითება.

...ჩემთვის არ არის ცნობილი არსებობს თუ არა დაწერილებითა. აღრიცხვა მოგებისა საშუალო საუკუნოებში მონობით ვაჭრობიდან. მაგრამ როგორც უდიდესი მისწრაფება მონებით ვაჭრობისადმი, რომელიც თანდათანობით ამჟარავდება ისევე და ისევე, მოუხდავად მრავალჯერ აკრძალვისა და შეზღუდვისა და აგრეთვე ყველაფერი რაც ცნობილია ჩვენთვის მოგვიანო დროის მონებით ვაჭრობის შემოსვლაზე, გვაძლევს უფლებას მივიღეთ ამ დასკვნამდე, რომ მრავალი სასახლეები გენუაში და ვენეციაში. აშენებული იყო მონების სხეულზე, რომ ამ ქალაქს, მრავალი ნობლეები — როგორც შემდეგში მსხვილი ვაჭრები ბორდოში, ამსტერდამში. და ლივერპულში — თავისი სიმდიდრითა და მდგომარეობით ვალდებულნი იყენენ კომერციული ოპერაციის ამ თავსებურ დარგზე.

ზანგებს ვაჭრობით ფულა იგებდენ როგორც ყველა ევროპული საბელმწიფოება. ნაღები პორტუგალებმა მოხადეს, მაგრამ საერთოდ ყველაზე მსხვილი მოგება ინგლისელებს დარჩათ, ვინაიდან მათ ვაჭრობის ეს დარგი ხელში ჩაიგდეს, მაშ აყვავების უმაღლეს პერიოდში. შიგადაშეგ ესპანელები და გენუელები, პოლანდიელები და ფრანგები, დანელები და შვედები ცდილობდენ შეერთდებოდენ მონებით ვაჭრობის დალოცვილ საქმეს. და როდესაც პატარა ბრანდენბურგმა; დიდი კურიუსტის დროს *) აღმართა თავისი დროშა აფრიკის ნაპირზე, ამ წამოწყების ნამდვილად ზამბარაკა (მინეზი), რამდენადაც მზიდვის როლს თამაშობდა არა ოქროს ნაპირის ოქრო, იყო ძლიერი სურვილი დაახლოვებოდენ ისეთ წყაროს სიმდიდრისა, როგორც იყო მონებით ვაჭრობა. რამდენად მაღლა ფასობდა მონებით ვაჭრობა გვიჩვენებს, მაგალითად, ასეთი ფაქტი: როდესაც უტრენტის ზავის დადების დროს (1713 წ.) ინგლისს მიეცა ნება მონები გაეზიდნა ესპანეთის კოლონიებში, ინგლისი ამ შენაძენს უყურებდა, როგორც ყველაზე მწვენილოვანს ყველა იმათგან, რომლებითაც უზრუნველყოფილი იყო ის უტრენტის ხელშეკრულებით.

ჩვენ გვაქვს სათანადო საბუთები იმისა, რომ მოგება მონებით ვაჭრობიდან ძლიერად შეადგენდა ოდესმე 50% ნაკლებს, ჩვეულებრივად კი ბევრად მეტს, 180 და 190%. ერთი გვიანური ანგარიში (1693 წ.) შეცავს-

*) დიდი კურიუსტი — ფრიდრიხ ვილჰელმი (1640 — 1688).

ასეთ ცოფრებს: მონები ნაყიდა 29.200 ლევად და გაყიდულია 240.000 ლევად. ის ამასთანავე დასძენს: „სენეგალში ჩვეულებრივად ყიდიან ორას-ორას ტყვეს; ჩვენი ფაქობენ არა უმეტეს 30 ლევასა თითოეული, ზოლო იყიდება კუნძულზე, უკადურეს შემთხვევაში, 300 ლევად“. ინგლისის მიერ მონებით ვაჭრობის ისტორიაში ჩვენ ვნახულობთ შემდეგ ოფიციალურ გამოანგარიშებას: ხარჯები: ხომალდ „Venus“-ზე დატვირთული იყო 850 მონა, რომლის ყიდვა დაჯდა 3.400 გირვანქა სტერლინგი, ზედნადები ხარჯები ადგილზე მისვლამდე შეადგენდა 2.500 გირვანქა სტერლინგს. ზოლო მოგებამ გაყიდვიდან მიიღწია უზარმაზარ თანხა — 42.500 გირვანქა სტერლინგს. და ჩვენთვის ცნობილია ასეთი მაგალითების მთელი რიგი.

(ვ. ზომბარტი: „თანამედროვე კაპიტალიზმი“, ტ. II).

§ 12. კოლონიების მნიშვნელობა ინგლისის იმპერიაში განვითარებისათვის

„ხელობას თავდასუფლება“, რასაკვირველია, იყო მხოლოდ გამოხატულება იმ ეკონომურ-პოლიტიკური განთავსუფლებისა, რომელმაც ინგლისიდან მე-XVIII საუკუნეში შექმნა თანამედროვე მეურნეული მოღვაწეობა-სათვის ყველაზე თაოსნიანი და ყველაზე შემგუებელი მხარე, ვინც რომელიც გინდ სხვა კულტურული ქვეყანა. აქ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა აგრეთვე თანამედროვე ევოლუციას სახალხო მეურნეობისა, რომელიც განაოპიკარავდა ინგლისში უკვე ძლიერ ადრე და რომელმაც, — უწინარეს ყოვლისა — ეყრდნობოდა რა პირველ ხანებში მისა შინაური მეურნეული ოლქის განცალკევებულობას, მისგან შექმნა მეურნეული-პოლიტიკური მხრით ერთი მთლიანი ქვეყანა: ინგლისმა არ იცოდა არავითარ საბაჟო საზღვრები და პატარა სამეფოებს შორის, არავითარი საქალაქო აქციზები და შლაგბაუმები.

„შეერთებულმა ლამეფომ“, რომელიც შედგებოდა ინგლისისა, შოტლანდიისა და ირლანდიისაგან უკვე მე-XVIII საუკუნეში მიიღწია იმ საბაჟო-პოლიტიკურ მთლიანობას, რომლის ძირითადი პრინციპები გერმანიას სახალხო მეურნეობის მიმართ ფ რ ი დ რ ი ხ ლ ი ს ტ მ ა, მხოლოდ რომ დასაბა მე-XIX საუკუნის დასაწყისს, და რომელიც საქმებით განხორციელდა მხოლოდ იმ მომენტში, როდესაც გერმანიის იმპერიის დაარსებით ბოლო მოეღო მანამდე გამეფებულ ქაოსს წერილი სამეფოებისა.

გარდა ამისა არ უნდა დავივიწყოთ ისიც, რომ ინგლისს, სასოფლო მეურნეობამ მე-XVIII საუკუნეში არ იცოდა არც ბატონყმობა, არც საერთოდ როგორც გინდ არ იყო სურთიერთობა პირადი დამოკიდებულებისა... მის წინაშე იდგა მხოლოდ თავისუფალი გლეხი ანუ კაპიტალისტური ტიპის მიჯარადრე, და ამის ძალით აქ იყო ის საფუძველი ყოველთა ცალკე მესარეწის საწარმოო ძალთა განვითარებისა, რომლის შექმნის სახელით ფ რ ი დ რ ი ხ ლ ი ს ტ მ ა ც დ ი ლ ო ბ დ ა — და მან ეს მთლიანად ვერ მოასწრო — გაენთავსუფლება გლეხები და მოესპო ბატონყმური მეურნეობა.

ჩანაკვირველია, არ შეიძლება დაბეჯითებით თქმა იმისა, თუ რაოდენ დიდი იყო, ინგლისის სახალხო სიმდიდრის შექმნის საქმეში შინაგანი პროგრესიული მომენტების როლი. რომელიც დაკავშირებულია თანამედროვე საქონლური homo oeconomicus-ის მოვლინებასთან, რომ არა ვთქვათ რა სრულ უქონლობაზე როგორც ვინც არ იყოს ციფრული ცნობებისა, ამას გაკეთება არ შეიძლება იმიტომაც, რომ ქვეყნის შიგნით წარმოების სწრაფი განვითარების სხვა მიზეზთა რიცხვში მნიშვნელოვან როლს თამაშობს აგრეთვე ზრდაც სიმდიდრისა, რომელიც მიღებულია საგარეო ვაჭრობის გზით, და განსაკუთრებით, კოლონიალური სამფლობელოების მუდმივი ვაფართოებით.

იმ დროს, როდესაც მე-XVIII საუკუნის დასაწყისს მხოლოდ რომ დაიწყო ინგლისში კოლონიალური საზოგადოებათა მუშაობის განვითარება პროცესი და პოლანდიის კონკურენცია ემუქრებოდა თვით არსებობას ინტენდოეთის კომპანიისა, იმავე საუკუნის ნახევარში ჩვენ ვხვდებით — და ანავე დროს ძლიერ წარადიდ ალმეველ — ასეთ კოლონიზაციურ გაქანებას, რომლის მსგავსიც ჯერ კიდევ არასდროს არ ყოფილა მსოფლიოში იმ დრომდე, და მას შემდეგაც.

აღნიშნავთ მოკლედ მხოლოდ ში. უმნიშვნელოვანეს ეტაპებს: 1650 წ. ინგლისის მეორე შეძენილ იქნა, მანამდე პოლანდიის კუთვნილი წმ. ელენის კუნძული, 1655 წ. შეძენილ იქნა იამაიკა. პურტუგალია გადასახლდნ მასაჩუსეტსში, რამაც საწყისი მისცა ინგლისის ბატონობას ამერიკის აღმოსავლეთ ნაპირებზე. 1713 წ. დადებულ იქნა უტრეხტის ზავი, რომლის თანახმად საფრანგეთმა დაუთმო ინგლისს ახალი შოტლანდია. ნიუფაუნდლენდი და მთელი ოლქები გულზონის უბესთან. ხოლო ესპანეთმა — წმ. ქრისტეფორეს კუნძული და გიბრალტარი, 1761 წ. ინგლისს დაეთმო კაშპირი, 1763 წ. საფრანგეთმა ხელი აღო კოლონიებზე ინდოეთში. რამაც საწყისი მისცა ბრიტანეთის განუსაზღვრელ ბატონობას აღმოსავლეთ აზიაში.

დასასრულ, 80-იან წლებში ინგლისი სიმაგრეებს აშენებს სიერალონში, აფრიკის დასავლეთ სანაპიროებზე, აგრეთვე ბოტანი-ბეიზე ავსტრალიის აღმოსავლეთ ნაპირზე და პენანგში. ხოლო უფრო ადრე ერთი მეორეზე ხდება ინგლისის მიერ შეძენა ცელონიისა, გვიანის ნაწილისა, ტრინიდადისა, მალტისა, კაპის მწიწისა, და წმ. მავრიკის კუნძულისა — მე-XVIII საუკ. დასასურსს ანუ მე-XIX საუკუნის დასაწყისს, კოლონიალური სამფლობელოების სწრაფი ზრდის პარალელურად მამდინარეობა აგრეთვე ჩქარა ზრდა ინგლისის ფლოტისა. და აქაც მე-XVII საუკუნის უკანასკნელ ათეულმა წლებმა ასევე ითამაშეს გადამწყვეტი როლი. 1660 წლიდან დაწყებული 1688 წლამდე ინგლისის ზომალდების საერთო წყალწყვა (ტონაჟი) გაიზარდა 95.000-დან 190.000-მდე და 1803 წ. ინგლისს ჰყავდა 20.000-ზე მეტი გემი.

როგორც ცნობილია, წარმატებანი ნაოსნობის საქმეში, და ასევე კოლონიალური ძლიერების გაფართოების სფეროში მიღწეულ იქნა არა როგორც შედეგი სამეურნეო მოღვაწეობაში ლიბერალიზმის მეთოდების გა-

ნაორციელებია, იმ ლიბერალიზმისა, რომელიც ასე დამახასიათებელია ინგლისის შიდაგანა მეურნეული ცხოვრებისათვის კრომველის შემდეგ. — პირიქით, თვით მე-XIX საუკუნემდე უდალდესი მნიშვნელობა ჰქონდა ნაოსნობისათვის ევროპულად აღმართულ „სანავიგაციო აქტს“ 1651 წ., რომელიც საბოლოოდ გაუქმებულ იქნა მხოლოდ 1854 წელს.

ამ კანონმა შეუწარმოა ინგლისის ნაოსნობა, განსაკუთრებული მონობოლია, როგორც ოკეანეს ქვეყნა, ასევე საკაბოტაჟო მიმოქცევის საქმეშია. ის ნებართვას იძლეოდა, რომ ინგლისში კოლნიალური საქონელი შემოეტანათ მხოლოდ ინგლისის გემებით, ხოლო — მისათვის რათა წაერთმიათ ყველა სხვა ხალხებისათვის ყოველგვარი შესაძლებლობა საშუამავლო ვაჭრობის წარმოებისა — ევროპის ქვეყნებს, საქონელთა შემოტანა ინგლისში შეიძლებოდა მხოლოდ იმ ქვეყნების გემებით, სადაც იყო საქონელი დამზადებული, ანდა თვით ინგლისის გემებით. დაასრულა ამ კანონის თანახმად როგორც მეთევზეობა, ასევე სანავიგაციო ვაჭრობის წარმოება შეიძლება მხოლოდ ინგლისის გემებით.

კოლონიების მიმართ გაბატონებული იყო სისტემა კოლონიალური ვაჭრობის მონობოლიისა, რომელიც, ერთი მხრივ, უზრუნველყოფდა მეტროპოლიისათვის კოლონიალური საქონლის გატანის, საქმეში განსაკუთრებულ უპირატეობათ, ხოლო მეორე მხრივ შესაძლებლობას იძლეოდა კოლონიის მოსახლეობის, როგორც მომხმარებლების ექსპლოატაციისა. კოლონიები იძულებული იყვნენ, რომ თავიანთი ნაწარმოები მიეყიდათ კერძოდ მეტროპოლიისათვის, რომელიც ან თვითონ ეწეოდა მათ გადამუშავებას, ანდა გაქონდა რა ეს სხვა ქვეყნებში ამ თავისი შუამავლობისათვის ღებულობდა შოგებას საექსპორტო ბაჟების სახით. მეორე მხრივ აკრძალული იყო კოლონიებში არა ინგლისური წარმოშობის საქონელთა შეტანა.

მთელი ეს სისტემა, თავის ყველაზე არსებით ნაწილში, მოქმედებაში იყო თვით მე-XIX საუკუნემდე, უფრო სწორად რომ ვთქვათ 1876 წ. ვაჭრობის თავისუფლების აღიარების მომენტამდე, — მართალია, არა იქნა უხეშ ფარგლებში, როგორც წინააღმდეგ, არამედ დიფერენციალური საბაჟო ტარიფების სახით, რომელიც იძულებული სახით იყო გატარებული მეტროპოლიისა და კოლონიას შორის ვაჭრობაში.

მნიშვნელოვანი ზომით სახელდობრ ინგლისის ტირანიული პოლიტიკის შეზღუდვით, ვაჭრობისა და მრეწველობის დარგში, დაკარგულ იქნენ კიდევაც 1783 წლიდან ბრიტანეთის მსოფლიო ბატონობისათვის ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებული შტატები, — ყველაზე დიდი და თავდაპირველად ყველაზე შემოსავლიანი კოლონია. მაგრამ თავისებურმა წინაწარმა გაფრთხილებამ მეტად ცოტაოდენი გავლენა მოახდინა ინგლის-მეტროპოლიისათვის კოლონიებთან ურთიერთობაში. ისე ცოტაოდენო, როგორც ადამს მიტის თეორიულმა შიგნითობებმა, — შესახებ კოლონიალური მონობოლიების მანებლობისა, — იქონია ამ უკანასკნელთა გაუქმებაზე.

ამჟამად ხშირად შეიძლება კაცმა გაგონოს, რომ სავაჭრო და სარეწველო მოღვაწეობაში თანისუფალი და დამოუკიდებელი ურთიერ-

თობის განვითარება ინგლისის მრავალა კოლონიებმა ბევრად უფრო ხელს უწყობს მათ ისმდიდრის ზრდას და მათი ნაყოფიერების განვითარებას, ვინემ სისტემა ხელოვნურა იძულებითი მონოპოლია და რომ მეტროპოლია, ასეთ პირობებში შეუძლია საბოლოო ანგარიშით მიიღოს ბევრად მეტი სარგებლობა იმ მიწებიდან, რომლებზეც მის მფლობელობაში ანდა მის პროტექტორატს ქვეშ იმყოფებიან. იქნებ ეს ასეც იყოს. მაგრამ ინგლისის სიმდიდრის განვითარების თავდაპირველი მომენტებისათვის უდაოდ დადასტურებულად უნდა ჩათვალოს ეს ფაქტი, რომ კოლონიების თვით ავტოკრატიულ-ეგოისტურა მმართველობა, დროსაც, მე-XVII და მე-XVIII საუკუნეებში, ისინი მაინც წარმოადგენდნენ მეტროპოლიათვის განუღლებველ წყაროს მეურნეულ დოვლათებით, როგორც პირდაპირი, ასევე არაპირდაპირი გამდიდრებისა.

კოლონიები ინგლისს აძლევდა ყოველგვარ ნედლეულს. ლითონებს, სანელებლებს და მრავალ სხვა თავის ნაწარმოებთ, ამით ისინი აღიდებდნენ შანსებს მსოფლიო ბაზარზე სხვა ქვეყნებთან ინგლისის კონკურენციისა, სხვა ქვეყნები იძულებული იყვნენ, რომ ეს საქონელი ინგლისიდან იყიდათ. გარდა ამისა კოლონიები წარმოადგენენ ინგლისის ყოველგვარ საქონლის გასაღების ადგილს. რეზერვუარს ქვეყნის ქარბი მოსახლეობისათვის, ხელს უწყობდენ არაპირდაპირი გზით საექრო შუამავლობისა და ნაოსნობის განვითარებას. ყოველივე ესენი ისეთი ხელსაყრელობანი და უპირატესობანი. რომელთაც ვერ გააუქმებს თვით ყველაზე ცუდი სისტემა ეკონომიური პოლიტიკისა.

ამგვარად მე-XVIII საუკუნის დასაბრულებათვის ბრიტანეთის კონძულის სახელმწიფო სრული საფუძვლით შეიძლება ჩათვალოს ყველაზე თავისუფალ მხარედ, ყველაზე პროგრესიულად სახალხო მეურნეობის სფეროში, ტექნიკაში, ნაოსნობაში და ვაჭრობაში და აგრეთვე ყველაზე მდიდარ ქვეყანადაც მსოფლიოში. ამჟ, სცნობენ თანანედროვე თხზულებანიც არა ანგლისელი მწერლებმა, თუმცა მათში ძლიერ ადრე ვხვდებით მითითებას მათი არასაქონებით კეთილმოყვარეობისა — ამ „ვაჭართა ნაციონალიზმი“.

სხვა ქვეყნებიდან ჩამოქულებს მე-XVIII საუკუნეში განსაკუთრებით ანციფრებდა ლონდონი, რომელიც შეიქნა პირველი ქალაქი მთელი მსოფლიოსი. და რომელიც მაშინაც კი ატარებდა იმ ნიშნებს, რომლებიც ახლაც ასე ანციფრებმა უცხოელებს თავისი თავისებურებებით კომერციულ ურთიერთობაში. აეტორი თხზულებისა: „დიდა ბრიტანეთი 1789 წელს“, სწერს:

„ლონდონის ქუჩები ისე გავსებულია აღამიანთა მასებით. რომლებიც მიზორბიან თავანთ საქმეებზე, რომ უცხოელისათვის პირდაპირ განსაკუთრებელია აღამიანთა ასეთი დიდი რაოდენობის დანახვა, რომელიც შეუწყვეტელ მოძრაობაში არის. ყოველი ვინც თვალყურს აღევნებს ამ ახმაურებულ მოძრაობას, ლონდონის ქუჩებზე მათი აღამიანთა ბრბოებით, შუღმევი მაშვრალობას და აჩქარებულობას უკანასკნელთა, — გადაწყვეტს, რომ არ არის ქვეყნად უფრო მოუსვენარი და უფრო საქმიანი ხალხი, ვინემ ინგლისელები“.

სასოფლო მეურნეობა

§ 1. სასოფლო მეურნეობა ინგლისში XVI საუკ.

მეურნეობის მრავალმინდროვან სისტემაზე გადასვლა ინგლისში მოხდა უმთავრესად მე-XVI საუკუნის მეორე ნახევარში. გერმანელი ეკონომისტი ნასსე პირველ მითითებას გაუმჯობესებულ გადმოღებით სისტემაზე ნახულობს ფეოდალურ ტიპის თხზულებაში, რომელიც გამოვიდა 1539 წ. სახელწოდებით: „Book of surveying“.

ამ წიგნში მოყვანილია თუ როგორ არის შექმნილი მამულის შემოღობვის გაზრდა. რადგან საბატონო ადგილ-მამულში სამ მიწდორზე ზევით. ხშირად კიდევ გვხვდება სამი ცალკე საძოვარი — ერთი ცხენებისათვის, მეორე ცხვრისათვის, მესამე რქოსანი ნახირისათვის, — ფეოდალები მწიფათმომქმედთ ურჩევს თითოეული შემოთადრინებულ ექვს მაშალში ყველა თავისი „ნადელი“ ერთად შეაერთონ. ამგვარად მოიპობა, ფიქრობს ის, სახნავი მიწის ძველი დაყოფა წერტილ ზოლებად, სათემო უფლება ღია მიწდრებით სარგებლობისა და საჭროება საზოგადო საძოვრებში (common).

ყოველი ღენდლორდი ასეთ პირობებში იძენს ექვს ცალკე ნაკვეთს — სამი შედგება სახნავი მიწიდან და სამი საძოვრიდან. ეს ნაკვეთები ღენდლორდმა უნდა შემოლობოს. ამ ღონისძიებას ფეოდალები უმატებს კიდევ ერთს — სახნავი მიწა გახდება სათბად ყოველთვის, როდესაც ეს გამოიყურება პურის მოყვანით. წიგნის შენაარსიდან ჩანს, რომ მისი ავტორის მიერ დაცული ახალი მეურნეული სისტემა ჯერ კიდევ არ ყოფილა ფართოდ გავრცელებული.

მაგრამ საკმაოა გადაფიქრეთ ელისაბედის ეპოქაში, რომ ჩვენ წარმოგვიდგება არა მარტო მხურვალე მოწინააღმდეგენი უწინდელი სამინდროვანი სისტემისა მისი ღია მიწდრებით და ყველასათვის საველდებულო მეურნეული მუშაობათა წესით, არამედ ფაქტობრივ დამამტყუებელი ბევრ ადგილებში ახალი მრავალმინდროვანი სისტემის გამოყენებისა, რომელიც დაკავშირებულია. როგორც საკვები ბალახის შემოფარგვლით და გამოყენებასთან ისევე სამრეწველო მცენარეულობათა: სელის, კანაფის, შაფრანის, სვიას და სხვ.

ტუქერი თავის „ხუთას წესზე, აწინამუშაო მწათმოქმედებისა“, ისე როგორც „Commonwealth“-ის აწინამუშაო ავტორი, გადაჭრით დგება შემოფარგლის მხარეზე. ძველ თემურ მეურნეობას პირველი მიაწერს ინგლისელებს ყველა ნაკლს; მათ ლიზარმაცეს, ქურდობისადმი მიდრეკილებას და სხვ. ამ ადგილებში, სადაც ეს რქვა შენარჩუნებული — მოსახლეობა უფრო ღარიბია; ხოლო იქ სადაც ლობებია — ის შეძლებულია. ორი აკრი შემოღობილი მიწის მქონე ლატაკი უფრო მდიდარია, ვიდრე ლაღ მდებარე ოცი აკრი. მფლობელი ღია ყანის დროს აუცილებელია სამმინდვროვანი მეურნეობა და მასთან დაკავშირებული ყველასათვის სავალდებულო თესლობუნვა; აუცილებელია აგრეთვე არსებობა საერთო საძოვრისა; „common“-ის.

სხვა საქმეა შემოფარგლულ მიწაზე. ტუქერი ხოტბა ასხამს იმ თავისუფლებას, რომლითაც სარგებლობდნენ მიწზე სოფლის მეურნეობა როგორც შარცვლელობა ამორჩევს მამართ, ისე მათი სამრეწველო მცენარეულობით შეცვლის მიმართაც. ის მიუთითებს ნათესის ხშირად შეცვლის შესაძლებლობას. დასვენებულ მიწაზე პირველად ითვისება ქეჩი, შემდეგ უნდა გადასვლა მუხუდობზე და ზორბალზე. დაბოლოს გამოფიტულ ნადავს კვლავ გაქრობა შესვენება, საძოვრად ან ველად გაშვება.

(მ. კოვალევსკი — „დიდი ბრიტანეთი“).

§ 2. სოფლის მეურნეობა საზრანგეთში XVI საუკ.

1555 წ. ბოდენი სწერდა: „უკანასკნელი ასა წლის განმავლობაში დახული იქნა უამრავი ტყე-ფელიანი მიწები და გაშენდა ბევრი ქალაქი და სოფელი. სამეფოს მოსახლეობა ძალზე გაიზარდა“. უფრო ადრე მე-XVI საუკუნის დასაწყისში თავის „საფრანგეთის ისტორია“-ში კლოდსე ასელი მჯელობდა მიწათმოქმედების მდგომარეობას შესახებ, ლათვიკო მე-XII მეფობის დროს: „ბევრი მიწები, ძველად გამოფიტული ან ტყედ გაშვებული ამჟამად დამუშავებულია და ამ ზომამდე დაახლებული, რომ უკანასკნელი ოცდაათი წლის განმავლობაში დამუშავებული იქნა მესამედი ნაწილი სამეფო მთელი მიწებისა. სენიორიებში მიწისაგან შემოსავალი საერთოდ გაიზარდა, ხოლო ზოგიერთ მიწის ნაქრება იმოდენა წესურ შემოსავალი მოქონდა, რომ აღემატებოდა მათ გასაყიდ ფასს, რომელაც იყო ლიუდოვიკო მე-XI-ს მეფობის დროს“.

მე-XVI საუკუნეში მიწათმოქმედება დამუშავა ბევრი ახალი ყანები და დაიწყო ნეტა შემოსავლის მიღება, მაგრამ მასი დამუშავების ხერხები არაფრით არ გაუმჯობესებულა. თესლობუნვა უცვლელი დარჩა. საფრანგეთის ცენტრში კიდევ იყო ხმარებაში მიწის დამუშავება მოხეტიალეთა მაგალთის მიხედვით. ყანებს დიდხანს ასვენებდნენ, მათ თესვას შეუდგებოდნენ მხოლოდ ბალახისა და ტორფის დაწვის შემდეგ ვაპატყვებისათვის; სხვა ადგილებში გლეხები იცავდნენ რომელიღებისაგან გადმოღებულ ჩვეულებას მიწის ნაქრის მოზრგობით დათესისა, ყოველ ორი წლის შემდეგ უფრო ხშირად ყანები ითვისებოდა მას შემდეგ რაც დაყვეს მათ დასვენებუ-

ლი სამი წელი. გამოჩნდის, შეადგენდა ისეთი ადგილები: როგორც მაგალითად, მენში, სადაც გლეხებმა ისწავლეს ყანებზე გაპატივება ნაქვლით, ნაცრითა და კრით.

(ლევასერი — „საფრანგეთის ეკონომიური მდგომარეობა XVI სუც.“).

§ 8. „მხვრეობა. შთანთქმის ალაშიანობა“

...ერთხელ მე კარდინალთან ვსაძილობდი. შემთხვევამ შემახვედრა მიწონცხებულთან, რომელიც სარგებლობდა თქვენი კანონთა მცოდნეს რეპუტაციით.

არ ვცა, რეს გამო იყო, რომ ამ კაცმა დაწყო ქურდობის წინააღმდეგ მართლმსაჯულების მკაცრი ზომები, შექება. კმაყოფილების დიდი გრძობით მოპყვა ის, თუ ხან აქ, ხან იქ როგორ აღჩობენ მათ ორორ ათეულა ერთ და იმავე საღჩობელაზე. „და მანც, — დაუმატა მან, — რა აღმაშფოთებელი მოვლენაა! ყველა ამ გარძვერათაგან ორა-სამი თუ აიცდენს. თოქს, მანან როდესაც რგლესი ამა აწვდის სულ ახლებს ყველა მხარიდან“.

ვგრძნობდი რა თავს კარდინალის სახლში შინაურათ მე შევეცილე:

— ნუ გაიკვირვებთ ამას. სიკვდილით დასჯა იმდენადვე უსამართლო. სასჯელია, რამდენადც უსარგებლო. ის ზედმეტად მკაცრია ქურდობისათვის შესაფარდებლად, და ზედმეტად სუსტი მის მოსასპობად. ჩვეულებრივი ქურდობა არ არის ღირსი საღჩობელა, და თვით უსამართლო სასჯელი ვერ დაიქერს ქურდობისაგან მას, ვინაც სწრაფი სიკვდილის აცხილებლად ვერ წარმოუდგენია ხზვა საშუალება. ამ შემთხვევაში ინგლისისა და ბევრა სხვა ქვეყნის მართლმსაჯულება მაგონებს ცუდ მასწავლებელს, რომელიც უფრო სცემს მოწაფესა, ვიდრე ასწავლის. ქურდებს უსამართლოდ აწამებენ. განა უკეთესი არ იქნებოდა საზოგადოების ყველა წევრებისათვის უზრუნველყოფილიყო არსებობა, რომ არავინ არ ყოფილიყო მდგარი აუცილებლობის წინაშე, რომ ჯერ დაეწყო ქურდობა, ხოლო შემდეგ სიციცხლეს გამოსალმებოდა.

— საზოგადოებამ ამაზე იზრუნა, — მიპასუხა სამართლის მცოდნენ, — განა ჩვენ არა გვყავს მრეწველები და მწრთმფლობელნი, რომლებიც ხალხს აძლევენ გამოსაკვებად ბევრ საშუალებას? მაგრამ არსებობენ გარძვერანი, რომელიც მუშაობა, ბოროტმოქმედებას ამჯობინებენ.

— აა სწორედ ეს მინდოდა გამეგონა! — ვთქვი მე, — მე სრულიადც არ მსურს ლაპარაკი იმაზე, რომელიც გარეშე თუ შინაური ომების შემდეგ ჭრილობებით დაფარული ბრუნდება შინ, თუცა საამისოთ მე საქნაო საფუძველი მექნებოდა. რამდენი ჯარისკაცი და ახჩრდა კორნეალისთან ბრძოლაში ან საფრანგეთის წინააღმდეგ გალაშქრებაში, იბრძოდენ რა მეფის და საშობდლოსათვის! ეს უბედურნი ძალზე სუსტი შეიქნენ იმპათოქს, რომ თავიანთი ხელობა განეგრძოთ, და ძალზე მოხუცი, რომ რაიმე ახალი შექსწავლათ. მაგრამ დავტოვოთ ეს საკითხი — ჩვენ ყოველთვის ომანობა ხანაში არ ვცხოვრობთ. ყურადღება მივაქციოთ ამას, რაც ყოველ-

დღიურად ზდება ჩვენს ირგვლივ. საზოგადოებრივი სიღარიბის ყველაზე უფრო არსებითი მიზეზი მდგომარეობს „კეთილშობილთა“ განუზომელ რაოდენობაში, რომლებაც უქმა თხუნელადავით თავიანთ ახლობელთა შრომათა და ოფლით საზრდოობენ, აძლევენ რა მათ დასამუშავებლად თავის უაზრს და სწუწნიან რა მოიჯარადრადეან მთელ სისხლს, რათა გაზარდონ თავისი შემოსავალი: სხვა საშუალება მათ არ იციან, მაგრამ თუ საქმე შეეხებოდა თავისთვის სამოწინების მოგვრას, ისინი უაზრო მფლანგველობამდე მიდიან, თუნდაც ამან გამოიწვიოს მათი გაღატაკება. სპირალულად არა ნაკლები ღირსია კიდევ ისიც, რომ ისინი თავისკენ მოიხრებიან უქმ მახურთა მთელ გროვას, რომელმაც არაფერა იცის, რომ შეეძლოს მისი არსებობის უზრუნველყოფა.

...თუ რომ მსახურთაგან ვინმე ავად გახდება ან მათი ბატონი გარდაიქვლება მა, ანთავსუფლებენ, რადგან ყოველი უფრო ამჯობინებს შეინახოს ზარბატი, ვინმე ავადმყოფი, ხოლო მემკვიდრეს ხშირად არა აქვს შეწყალებლობა დაიტოვოს მოსამსახურეთა მთელი შტატი.

..და. აი ამ ხალხს უხდება დაღუპვა, უკვე თუ არ ეყო ძალა იჭურდოს.

...მართლაც, რაღა დარჩენია მას? სანამ ისინი თავშეაფარს ეძებენ, მათ უცვდება ტანაცმელიც და ჯანაც; და როდესაც ისინი მივლენ ვისმესთან ავადმყოფობიანთან ფერმკრთალი სახით, მარტოდენ აზრს ასეთი ხალხის სამსახურში მიღებისა, საშინელი ზდება. ამას გლეხებაც კი ვერ პედავეს: მათ მშვენიერად იციან, თუ როგორ ნაკლებად შეეფერება ბარი და ურემი იმ კაცს, რომელიც ბავშვობიდანვე ცხოვრებას უქმობასა და სამოწინებაში ატარებს. მიჩვეულია მხოლოდ ხმალსა და ფარს და ეზიზღება თავის ირგვლივ ყოველივე. მასთან ერთად მთელი ქვეყანა. ასეთი კაცი ძნელად თუ გახდება ღარიბი გლეხის ბეჯითი თანაშემწეთ მცირე საქმელისა და უმნიშვნელო ხელფაისათვის...

...სამწუხაროდ არა მარტო ინგლისი იტანჯება ამ საზოგადოებრივი წყლულით, — ის თან ღდება ყველა ნაციას. კიდევ უფრო საშიშა სენი ღრღრას საფრანგეთის შინაგან ცხოვრებას: მათა ყოველი ნაკვეთი იქ დაფარულია ჯარით. რომელიც ნაწილდება და ინახება სახელმწიფოს მიერ. და ეს ზდება მშვიდობიანობის დროს. თუ აქ შეიძლება ეწოდოს იმ პერიოდს, როდესაც ომი შესვენებულია. ამ სამწუხარო სიტუაციაში ამართლებენ იმავე მიზეზით. რომლისთაც შენ საქართო მაგანია უქმ მსახურთა მორადენი, შენახვა. ზოგიერთი მშინმარა და ბნელი პოლიტიკოსები ამ ეჭრის არიან, რომ სახელმწიფოს უშიშროება მოითხოვს ვეტერანთა ძლიერად შეიარაღებულ არმიის მუდმივად ყოლას. ახლად ვაწვეულთ ისინი ვერ ენდობიან. შესაძლოა ფაქრი მასზე. რომ ისინი ომს მხოლოდ მხიტომ იწყებენ. რომ ჯარისკაცებ, მისკენ შემთხვევა ვარჯიშობისა, ან როგორც საღი უსტი ამბობს ამ საშინელ ადამიანთა სასაკლავო წყალობით ძილსაგან გამოაფხიზლონ გულები და ხელები.

...საფრანგეთი თავის საკუთარ ტყავზე იგებს ამდაგვარი ხორციკვამია ცხოველთა გამოკვებას საშიშროებას. კარგა იქნებოდა, რომ მას თავისა შეეღველობა მიეპყრო რომაელების, კართაგენელების, სირიელებისა და

უძველესი ქვეყნის, სხვა ხალხებისათვის. რა შედეგი მოჰყვა უზარმაზარ და ომისათვის მუდამ მზად მყოფ ბრბოს შენახვას? თავისივე სამშობლოს განადგურება, ქალაქების დანგრევა და სახელმწიფოს დაღუპვა. ეს, რომ საფრანგეთისათვის სარგებლობა მოეტანა თუნდაც იმ გარემოებას, რომ თავის ჯარსკაცებს ის დედის რძესთან ერთად უნერგავს დისციპლინას; მაგრამ საფრანგეთის ვეტერანებს, ინგლისის, ახალწვეულებთან ქონდათ საქმე, და არ ვიცი, შეეძლოთ თუ არა მათ დაეკეცხათ სწორი გამარჯვებით, მაგრამ ამ საკითხზე არაფერს ვიტყვი, რადგან შესაძლოა ზოგს მოეჩვენოს, რომ მე განზრახვა მაქვს ჩემს მსმენელთ ვასიამოვნო.

„მაგრამ დაეუბრუნდეთ მებრძოლ მსახურთ... რსინი, ამბობ შენ, მდებარე ხალხიდან ყველაზე უფრო მსხვილი და ძლიერი არიან. დამეთანხმე, საცოდავი სანახავია თუ ლამაზი და ძლიერი ხალხი. — კეთლშობილი ბატონები ხომ ზედწვენით არჩევენ თავის გარყვნილი ზნის მსხვერპლს. როგორ იფლება უქმობაში და ნებიერდება დიაცთა ხელობასაგან. მაშინ როდესაც ისინი შეიძლება ყოფილიყვენ საზოგადოების შრომისმოყვარე და სწარგებლო წევრებად, რისთვისაც საჭირონი იქნებოდა მათთვის მხოლოდ მათთვის პატრონი შრომაზე და საკუთარი ხელის ნაყოფით ცხოვრებას შეჩვევაზე.

„რომელი მხრიდანაც არ უნდა მიუღდეს ამ საკითხს, ასეთი ურიცხვი ხალხი მე მაშინია უსარგებლოდ ომის შემთხვევაშიაც კი, ხოლო ომის აცილება ხომ ყოველთვის არის შესაძლებელი. მშვიდობიან დროს ისინი ქვეყნისათვის, ნამდვილ ჰაბანს წარმოადგენენ, ხოლო მშვიდობიანობა ხომ არის ღრისი ამისა, რომ მასზე არა ნაკლებ ომისა ზრუნავდენ.

„მაგრამ ბატონებსა და მსახურთა წოდებანი არ წარმოადგენს ერთადერთ მიზეზს ქურდობისას, რომლითაც იტანჯებით თქვენ. არის კიდევ ერთი, წმინდა ადგილობრივი მიზეზი, მარტოოდენ თქვენი კუნძული და მანასიათებელი.

— რაში მდგომარეობს ის? — იკითხა კარდინალმა.

— ცხვრის ფარათა ურიცხვ რაოდენობაში, რაც ფარავს ამყამად მთელ ინგლისს. ეს ყველგან მშვიდი და მცირე მოთხოვნილები პატრონი ცხოველი თქვენთან ჩქინად ასტეკ და გაუმძღარი აღმოჩნდა, რომ ეცემა ხალხს და და ღღეწის მას მწოდან, დამკვიდრებულ ადგილიდან, სახლებიდან და სოფლებიდან.

„და მართლაც ყველა იმ ადგილებში, სადაც იკრება ნაზი და ძვირფასი ცხვრის მატყლი მიჩქარიათ კეთილშობილი მდიდრები და ღრსპატივემული აბატებიც კი, რათა მიეკუთვნონ თავისთვის მიწის ნაკვეთები, არც პრივილეგიები, არც ადგილებიდან შემოსავალი, არავითარ არ აკმაყოფილებს ამ საცოდავ ხალხს; მათთვის ცოტაა ის. რომ თავანთ საცოცხლეს ისინი ატარებენ უქმობაში და ჭიამოვნებაში, საზოგადოებას სამძიმოდ და სახელმწიფოსათვის უსარგებლოდ. რამოდენიმე მაგის მანძილზე ისინი ნიადავს აკლებენ ყოველგვარ დამუშავებას და აქევენ მას საძოვრად. ისინი მიწასთან აწორებენ სახლებსა და მთელ სოფლებს, ტოვებენ მხოლოდ ეკლესიებს. და ისიც იმიტომ, რომ მათში ცხოვრებისათვის სად-

გომი მოაწყონ; მათი წყალობით ყველაზე უფრო დაახლებული და საუკ-ხოვოდ დამუშავებული მიწები უდაბნოდ იქცევა. უდავოთ, ისინი მაგობენ, რომ ძალზე ბევრი ბალი და ტყე იქნება და ამგვარად ცხოველები საძოვარს მოკლებული დარჩება.

„და აი ასეთი გაუმძღარი მფლობელი კედლად გარსერთყმის რამოდენიმე ათას დეკტინა მ.წის სივრცეს; პატარასან გლეხებს სახლებიდან აძევებენ, ზოგს მოტყუილებით, ზოგს ძალით, უკეთეს შემთხვევაში მთელ რაგ შევიწროვებთა და სასამართლო საქმეთა გაჭიანურებით, ისე რომ ბოლოს და ბოლოს ისინი იძულებული ხდებიან გაყიდონ თავიანთი საკუთრება.

„და აი ეს ოჯახები, უფრო მდიდარი რიცხვობრივად, ვიდრე საშუალებებით (რადგან მიწათმოქმედება ბევრ ხელს მოითხოვს) ხეტ-ალობენ მინდვრებში და გზებზე: კაცები, ქალები, ქვრავები და ობლები, მამები და დედება პატარა ბავშვებით. ეს უბედურნი ტარლით სტოვებენ იმ კერას, სადაც ისინი დაიბადენ, მწაა რომელიც მათ არჩენდა და არ იციან, სად ეძიონ თავშესაფარი. ორ გროვად ყიდიან შემდეგ ისინი მთელ ავლა-დიდებას, რომლის წამოღებაც კი შესძლეს თავისთან ერთად, ე. ი. ნივთებსა თავათავად ისედაც მტარე ღირებულებითა მქონეს. და ეს კდევე კარგი! მყიდველს ხომ შეეძლო ამის წართმევაც მათთვის. როდესაც ეს სუსტი უჯაოც დაიღვია, რასაც, ცხადია, დიდი ლოდინა არ სჭირდება, — რადა დაარჩენა მათ შემდეგში? ქურდობა, ხოლო შემდეგ ჯალრახობლა.

„შეიძლება მათთვის უკეთესი ყოფილიყო მათხოვრის სახთ მწარე ბედს თრევა. მაგრამ მაშინ ხომ არავინ დაფიქრდებოდა, რომ ისინი, როგორც მოხეტიალე და უსახლკარო ხალხი ციხეში ჩაეგდოთ. რაში ნდგომარეობს მათი დანაშაული? მხოლო მასში, რომ მათ არ შეუძლიათ რაიმე ახმუშაო, შოვნა, რასაც ცდლობენ ისინი მთელა ძალ-ღონით! და ვის შეეძლო მათთვის ამ სამუშაო, მიცემა? მათ ხომ მარტოდენ მიწის დამუშავება იციან; მაშასადამე, იქ სადაც მეტს უკვე აღარ ფქრობენ თესვაა და მოსავალზე, მათთვის საქმე არ არის. მაგრამ მწყემსები კი ახლა საკმაოა, რომ მწყემსონ ფარა ასეთ სივრცეზე, რომლის დამუშავებაც წინათ ასეულ მუშახელს მოითხოვდა. როგორი შედეგი გამოდის? ყველგან სურსათ-სანოვარს ძალზე გაძვირება. თვით ფასი მატყლსა იმ ზომამდე გაიზარდა, რომ ღარბებს, რომლებიც მისგან წარსულში მაუღს ამზადებდენ — ახლა უკვე აღარ აქვთ შესაძლებლობა მისი ყიდვბა. და აი ახალი მაზეზი უქნი ხალხს დიდი რაფდენობსა. მაგრამ ეს კდევე არაფერი.

„სამოვრების გადღებში, შემდეგ ქირის მაგვარი გავრცელებული სენი ანადგურებს ცხვრის ურიცხვ რაოდენობას. მართლაც, შეიძლება იფიქრო, რომ თვით ცა ამ საშინელი ეპიდის საშუალებით სჯის ნეპატრონეთა გაუ-შაძრობას. თუმცა ამ შემთხვევაში უფრო სამართლიანი იქნებოდა ამ სენის თვით მათზე მიქცევა. არ შეიძლება უარყოფა, რომ ცხვრის რიცხვი ყოველ დღე მნიშვნელოვანი რაოდენობით იზრდება; მაგრამ. მიუხედავად ამ-სა მათა ფასი არაფრით არ შემცირებულა, რადგან, თუმცა ოღე ცა-ლურად მატყლით ვაქრობა მონოპოლიას შეადგენს, მაგრამ ფაქტურად

კი რამოდენიმე მდიდარი შემსყიდველის ხელთ არაჲ, რომელთაც შეუძლიათ დაცდა და მისი გაყიდვა მხოლოდ დიდი მოგების მიღებით...

„განკურნეთ თქვენი სამშობლო ამ სენისაგან! აიძულეთ თქვენი ძლიერი გამანადგურებელი კვლავ გააშენონ სოფლები და ფერმები, მათ მიერ დანგრეული, ან ყოველ შემთხვევაში დაუთმონ მიწა ისეთ ხალხს, რომელიც მოისურვებს ნანგრევების აღდგენას! ალაგმეთ მდიდრის ანგარების მოყვარე ეგოიზმი; წაართვით მას საშუალება სიმდიდრის დაგროვებისა და შემოსავლის მითვისებისა! განდევნეთ უქმობა! მიუცით მიწათმოქმედებას მოღვაწეობის ფართო არე, შექმენით ფაბრიკები მატყლისა და მრეწველობის სხვა დარგების გადამამუშავებლად, რათა საქარგებლო საქმე მიეცეს ხალხს იმ მასას, რომელთაც საცოდავი ბედი ზღაპრით მოხეტიალედ და ქურდებდნენ, ან რაც იყვება, ლაჭიბად!

(ტომას მორი — „უტოპია“, 1516 წ.).

§ 4. სასოფლო მეურნეობა და აგრონომიის წესები XVII — XVIII საუკუნეებში

ა) ეპოქის ხაერთი დახასიათება

მე-XVII — XVIII ს. ა. სასოფლო მეურნეობის დარგში ემჩნევა მნიშვნელოვანი გაცხოველება. საუკუნოებით გაბატონებულ სისტემებს მემინდვრობისას არადაამაჲმყოფლებლად სცნობენ; მეღაჲნდება სურვილი სამინდვროვანი სისტემიდან უფრო ინტენსიურ კულტურაზე გადასვლისა, ისევე როგორც საერთოდ მამათაგან მემკვიდრეობით მიღებული მეურნეობის პრინციპების რაციონალური ორგანიზაციით შეცვლისა.

საუკუნოებრივი დამდგარობის შეწყვეტა პირველად ყოვლისა გამოჩატა ენციკლოპედიებში, ჟურნალებში და მონოგრაფების სახით მდიდარ აგრონომიული ლიტერატურის გაჩენაში, ლიტერატურის; რომელიც ეხებოდა მემინდვრობისა და მეცხოველეობის, აგრონომიის, აგრონომიული ქიმიისა და სოფლის მეურნეობის ეკონომიის საკითხებს; მეცნერებს ყველა ეს დარგი იმ დროს მკვიდროდ იყო ერთმანეთთან დაკავშირებული და მათი შესწავლა სწარმოებდა ერთი და იმავე პირის მიერ.

დასავლეთ ევროპაში პირველი აგრონომიული თხზულებანი ჯერ კიდევ ძალზე ადრე ჩნდება, მე-XVIII საუკ. იტალიაში, მე-XVI ს. საფრანგეთში და გერმანიაში, რომელ მწერლებს — ეარონის, კულუმელას, პალადის — სხვადასხვა ენებზე თარგმნის ჩაუთვლელათ. ამ თხზულებებს ნაწილობრივად აქვს ფორმა სხვადასხვა გამოგონებულ პართა შორის ბაჲს-სა მეურნეობის წარმოების საუკეთესო საშუალებების, საკითხებზე, ნაწილობრივად შედგენილია სასოფლო-მამეურნეო კალენდარებისა და აღმანახებლის სახით და ითვალისწინებდა ბევრ ცრუმორწმუნეობასაც, მაგ. მთვარის გავლენას მცენარეებსა და ცხოველებზე; დასაძრულ, ნაწილობრივად ის წარმოადგენს სისტემატურ თხზულებასაც. გერმანიაში შეიქმნა მთელი ეგრეთწოდებული Hausväterliteratur, ე. ი. იცემოდა

სახელმძღვანელოები საოჯახო მეურნეობის წარმოების შესახებ; მათში მოხსენებულია პურის ცხობის და საქმლის დამზადების წესები, საეკიმო რჩევა-დარიგება, იხილება ეთიკის და სარწმუნოების საკითხები. მაგრამ ამავე დროს ითვალისწინებდა სოფლის მეურნეობის პრინციპებს რომაელ მწერლებზე მითითებით და ისტორიული შესავლით, დაწყებული ადამ და ევადან. როგორც ეს საერთოდ მიღებული იყო იმ დროინდელ წიგნებში. ეს ფაქტი, რომ ცნობილი ავტორებმა წიგნები თითქმის შეუცვლელი სახით რამოდენიმეჯერ იბეჭდებოდა და ახლად გამოიცემოდა ხოლმე სხვადასხვა წიგნთ მოვაჭრეების მიერ — მოწმობს იმას, თუ რა ინტერესით ეპყრობოდა საზოგადოება აგრონომიულ ლიტერატურას.

მაგრამ ზედმეტი იქნებოდა ამ თხზულებებში გვეძებნა მეურნეობის წარმოების ახალი პრინციპები; საქმე თავდება მითითებით სხვადასხვა ნაწილობრივ ცვლილებათა საჭიროებაზე, — ეპოქა ახალ იდეალთა მოვლენებისა, რომელთაც ძირითადი რეფორმები უნდა გამოეწვიათ. ეპოქა სოფლის მეურნეობის დარგში გაცხოველების შემოტანისა ჯერ კიდევ წინ იყო.

ახალი აგრონომიული ლიტერატურის გამოჩენასთან ერთად მე-XVII საუკუნეში ევროპის ყველა ქვეყნებში დაიწყო სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებათა წარმოშობაც, სახელმწიფო კი, თანაუგრძობდა რა ამ უკანასკნელთა დაარსებას. თავის მხრივ იღებს სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის ხელის შეწყობის მიზნით სხვადასხვაგვარ წამხალისებელ ზომებს. ის იწერს უცხოეთიდან და მოახლეობა ურიგებს ახალ მცენარეთა თესვას და ჯამიან საქონელს, აწყობს სასოფლო-სამეურნეო სადგურებსა და სანერგებს; აქცეზებს თუთსს, ხის გაშენებას, აარსებს სასოფლო-სამეურნეო კრედიტის დაწესებულებებს, არიგებს ჯალდოს ახალ კულტურათა გაშენებისა და მიწის განოყიერების ახალი სახეების გამოყენებისათვის.

ეს მოძრაობა მოდიოდა ნიდერლანდებთან, სადაც უკვე მე-XVI საუკუნიდან ფართოდ იყენებდნენ (ფლანდრიაში) იონჯას და ბოლოკის კულტურას, და დასვენებული მიწების საკვებ ბალახებით დათესით სწარმოებდა სამშინდროვან სისტემადან თვალბრუნვის სისტემაზე გადასვლა. ხოლო ნიდერლანდებთან ის ინგლისში გადავიდა. „ჰოლანდელები — ამბობს როჯერსი — ეწეოდნენ მიწათმოქმედებას. ამასთანავე ჩვენდენ მებალახ მოთმინებასა და სიბეჯითს. მათ შეაძლეს მნიშვნელოვანი მიღწევების მიღება როგორც იმეთ მცენარეთა გაშენებას დარგში, რომელიც აქტირობდა ადამიანის საკვებით, აგრეთვე ისეთებისაც, რომელიც აქმაყოფილებს სათეს და დახვეწილ გემოვნებას. მათ ჩვენ შეგვაწავლეს მიწათმოქმედება და მებაღეობა. ჩვენ პირველი ხალხი იყენენ. რომლებმაც დაიწყეს თავიანთ სადგომებისათვის ოამაზი ყვავილნარებისა და ბაღების შექმნა. ისინი რვაედენ ნაყოფის მომტან ხეებს, აუმჯობესებდენ მცენარეებს, ავრცელებდენ ადამიანთა და ცხოველთათვის საჭირო ახალ ფესუნაყოფებსა და ბალახებს. ჰოლანდელებს — მაკენის ის — ჩვენ უნდა ვუმაღლოდეთ იმას, რომ ინგლისში მოისპო ცინგა და კეთრი. რომ განუწყვეტლივ ერთი მეორეს მომდევნო მოსავალმა შესცვალა ყანების დასავენებ-

ლათ დატოვებია სიატემა, რომ ნაპოვნ- და გაუმჯობრებული იქნა თესლ-
ბრუნვა, რომ დღე ბრატანეთის მოსახლეობა გაიზარდა, რქიანი ჯოგ-სა და
ცხერის რაოდენობამ ათჯერ მოამატა, ხოლო წონ-თა და ხარისხ-თ სამჯერ
გაუმჯობესდა“.

უკვე ინგლისის აგრონომები მე-XVII საუკ., — მათ შორის პირველ ყოვ-
ლსა ინგლისში ნატურალ-ზებული ჰოლანდიელი გარტლიბი, მილ-
ტონის მეგობარი, და პლატეისი წარმოშობით ესეც ჰოლანდიელი, —
სცდლობდნენ აეხსნათ ინგლისელებსათვის, თუ რა საშუალებით გახდნენ
ჰოლანდიელნი სხვა ხალხების მასწავლებლათ სასოფლო მეურნეობის სფე-
როში. ისინი პროპაგანდას უწევდნენ ცვალებად თესვაზე დამყარებულ მე-
ურნეობა, ახალრაციონალურ სიატემა. ამ სიატემას უნდა შეეცვალა ჩვე-
ულებრივ სამმინდროვან- მეურნეობა საკვებ ბალახებ-ს თესვის შემოღე-
ბით: ბოლოკის (ტურნეპას), რაიგრასის, იონჯას. რომელთა თევაც სა-
შუალებას იძლევა აცლებულ იქნას უნაყოფოდ საყანე მ-ნდერის და-
სვენება.

მე-XVIII საუკ. მეურნეობა, ამ ახალმა პრინციპებმა მოიღეს შემდგო-
მი განვითარება „ბერკშირელი ჯენტლმენის“ იეტრო ტულას მოღვა-
წეობის მეოხებით, რომელმაც უკვე 1701 წლიდან დაწყო რეგობრივ თე-
სვა. 1731 წ. მან გამოქცა წიგნი, რომელიც პირველ რიგში აყენებდა მეურ-
ნეობის თესლბრუნვის სიატემას. რომლის დროსაც სხვადასხვაგვარი მცე-
ნარეულობა მოყვანება ერთი მეორის თანამიმდევრობით, რამოდენიმე
უმზადებ, რა ერთი მეორეს ნიადაგს და ფაფ-დან იცლებს ნიადაგს იმ
დაღლია. რასაც იწვევს პურეული მარცვლეულობის ზედმეტად ერთგვარო-
ვანი კულტურა.

ტულასა და მისი წინამორბედებ-ს მიერ გადასროლილი თესლი კე-
თილ ნიადაგს მოყვა! ლორდ-მ-წითმფლობელთა მთელი თაობა მიყვა ახალ
მოდლებსა და შეუდგა მის გამოყენებას, თავიანთ მამულში, ცდლობდა
რა ამ გზით გაეზარდა შემოსავალი. მათ შორის ყველაზე უფრო ცნობილია
ლორდი ტოუნსენდი. რომელმაც ვალპოლთან დავის შემდეგ
1730 წ. დასტოვა სატახტო ქალაქი და თავის მამულში, რაინგიემში (ნორ-
ფოლიკის საგრაფო), შეუდგა რაციონალურ მეურნეობის იმ ახალ სია-
ტემის გამოყენებას, რომელმაც გაეცნო ია ჯერ კიდევ ჰოლანდაში ინგლ-
ისის ელჩათ ყოფნის დროს. ქაობიან ნიადაგის დრნაჟი, მერგელით გა-
ნოყიერება, ზელოვნურა მ-ნდერების გაშენება, შემოღება ახალ განთქმულ
„ნორფოლიკის“ ოთხმინდროვანი თესლბრუნვის — ტურნეპას, ქერის, იონ-
ჯას და ხორბლ-საგან. — ყველა ამან შექმნა იმ სანიმუშო ნორფოლიკის
მეურნეობა, რომლიც სახელ-ც მალე შორს გა-ცლდა ინგლისის საზღვრებ-
საც. მ-ს ავტორს, რომელიც ტურნეპას თესვას ეწეოდა — უწოდეს Tur-
nip-Townshend.

სხვა ლორდებმა (მარკუს როკინჰემმა, ბედფორდის ჰერცოგმა, ლორდ
ეჯრემონტმა, ლორდ კლერმა, ლორდ გალიფაკსმა) მალე
მიბადეს მის მაგალითს; მ-წითმქმედება მოდა შეიქნა, და ყოველი თელ-
და თავის თავს უნარიანად დამოუკიდებელიც ეხელმძღვანელა თავის მეურ-

ნებოძათვის, ეწარმოება ცდები და შემოელო ახალი წესები. იმდროინდელი მწერლები მოგვითხრობენ, რომ არისტოკრატები მსჯელობდნენ განოყიერებასა და ღრენაზე. თვისის ამა თუ იმ წესის სარგებლიანობაზე, ოქან საქონლის და ღორების მოშენებაზე არა ნაკლები გაცხოველებით ვიდრე მათა შამები ნადირობაზე, ცხენებსა და ძაღლებზე.

საოფლო მეურნეობ-სადმი ინტერესი მოსახლეობის სხვა წრეებშიდაც გავრცელდა: „მიწათმოქმედთა ამქარი — ამბობს არტურ იუნგი — ამჟამად შეცავა ყველა წოდებას, დაწყებული ჰერცოგიდან და დამთავრებული ხელოსნის ქარგლით“. ლონდონის მცხოვრებნი, რომლებიც კვირაში ხუთ დღეს კომერციულ საქმიანობაში ატარებდნენ, დანარჩენ ორ დღეს სოფლის მეურნეობა ეწეოდნენ. ხალხი, რომელიც სულ სხვა პროფესიისათვის ემზადებოდა, სტოვებდა მას და ხელს კიდებდა ამ, ალბათ სასამონო და დამოუკიდებელ საქმიანობას. ექიმები, ადვოკატები, პასტორები, ვაჭრები, ჯარისკაცები, მეზღვაურები — ყველანი იმავე დროს სოფლის მეურნეობაც გახდნენ.

მაღე მიწათმოქმედების საქმიანობისადმი ახალი მიდრეკილება ინგლისის საზღვრებ, გაცალდა: სენი ფრანგები შეეყარა. „1750 წ. დაახლოებით — ამბობს ვოლტერი — საფრანგეთის ხალხი მოყირკებული ლექსებით, ტრაგედიებით, კომედიებით, ოპერებით, რომანებით და უფრო მეტად მსჯელობით მორალზე და ღეთისმეტყველების საკითხებზე, დაბოლოს შეუდგა პურზე ფაქტს. ვენახებ-ც კი იქნა დავიწყებული, ლაპარაკობდნენ მხოლოდ პურზე, ხორბალზე. სასარგებლო რამეება სწერდნენ მიწათმოქმედებაზე, რასაც კითხულობდა ყველა, გარდა მხოლოდ ერთ... გლეხობისა. ბრუნდებოდნენ რა Opera Comique-დან სახლში, დაადგენდნენ ხოლმე იმ ფაქტს, რომ საფრანგეთს გაატანათ აქვს ბევრი პური“. ბიძგი ინგლისიდან გამოდროდა: მსგავად იმასა როგორც ინგლისელები ცდილობდნენ გადმოელოთ ჰოლანდიელებისაგან უკანასკნელთა გაუმჯობესებული სასოფლო-სამეურნეო კულტურა, ფრანგები ხედავდნენ იმას, თუ რაც ხდებოდა ლამანში. ექვთა მხარეს და მათ გაკვირვებას საზღვარი არ ჰქონდა, რომ ინგლისელებმა თავისი სოფლის მეურნეობის განვითარებასა გამო მაღწიეს შესაძლებლობას პურის მოთხოვნილების დაფარვისა საკუთარი წარმოებით. მაშინ როდესაც საფრანგეთა 1715 — 1755 წ. წ. იძულებული იყო კიდევ შემოეწიდა 200 მილიონი ლივრის ღირებულები ხორბალი.

მე-XVIII საუკ. დასაწყისის ფრანგული აგრონომიული თხზულებები კიდევ ბევრ ცრუმორწმუნოებას შეცავდა, მსგავად ლაპერიერის საიდუმლოთა საიდუმლოსი, რის საშუალებათაც პურის რაოდენობა სასწაულებრივად იზრდებოდა; შემდეგ აგრონომიული ლიტერატურა ნახევარი საუკუნის განმავლობაში თითქმის სრულიად მიყრუვდა, მაგრამ 1750 წლიდან დაწყებული საფრანგეთი ერთბაშად აივსო ერთ-მეორეზე გამოცემულ სასოფლო მეურნეობისადმი მიძღვნილი თხზულებებით, ორიგინალურით და ნათარგმნით, მონოგრაფებით, ლექსიკონებით, პერიოდული გამოცემებით. წარმოებს „გატაცებითა და ენერგიით სავსე ქადაგება

ანგლიისა და მისი მდიდარი მიწათმოქმედების კულტურის გზით სიარულის საკიროებაზე“.

ამგვარათ, მე-XVIII ს. მეორე ნახევარს საფრანგეთშიც წარმოადგენს აოფლის მეურნეობის დარგში ძლიერ გაცხოველებულ ეპოქას: რევოლუციის წინ ამ უკანასკნელთ ინტერესდებოდენ არა ნაკლებ, ვინემ პოლიტიკური და რელიგიური საკითხებისა. სოფლის მეურნეობა — ეკონომიკური :763 წ. „Journal Economique“-ში — არ უნდა დარჩეს მათ ხელში, ვინ შორსმხედველობაც შეზღუდულა და ვინაც, არ აქვს რა შესაძლებლობა ამადლდეს ყოველდღიურ ინტერესებს ზევით, არ ძალუძს გაეჩაკვს მასში თუ რა არის სწორი და რა არის უსწორო. საჭიროთ სთვლიდენ, რომ სოფლის მეურნეობას სამსახურში ჩაბმულიყვენ საუკეთესო მოახროვენ. ამასთანავე იხსენიებდენ უძველეს ხალხებს, რომელთაც სოფლის მეურნეობას დარგშიც იმ დროინდელი ფრანგების აზრით სრულყოფას მიაღწიეს, — „ცოდენ თითქოს ბალახის თევავი ძველი ხალხები ღმერთად მხოლოდ იმას ცნობდენ, ვინც მათ ასწავლა ბუნებას ნაბოძარით სარგებლობა, — ცერერუ, ვაკება, ტრიბტალემა, — და ყველაზე ცნობილ ადამიანთა სახელებიც გადმოღებულა იმ მცენარეთა სახელწოდებიდან (ლენტული, ფაბი, პიზონა, ციკერონი), რომელთა კულტურასაც ისინი აუმჯობესებდენ. ამ უძველეს ბერძნებსა და რომაელებს მაგალითის მხედვით, საფრანგეთში ისევე როგორც ანგლიაში უდიდესი ადამიანებო შეუდგენ ახალ შოღვაწეობას. „Choiseul est agricole et voltaire ect fermier“ თქმულებათ გახდა. პარმანტიერი, მოყავს კართოფილი (აქედან კართოფილის წოდება — parmentiere) „პატატები“ და 1779 წ. მეფეს უძღვის „მართოდენ კართოფლისაგან დამზადებულ პურს“, ხოლო განათლებული პრელატები ავალებდენ სოფლის მღვდლებს კართოფილს კულტურაზე ექადაგებათ საეკლესიო კათედრიდან.

დობანტონი ავრცელებს მერინოსულ მეცხვარეობას. თავის სააქტო სიტყვას 1784 წ. პარიზის სამეცნიერო აკადემიაში ის უძღვის მატყლის ხარისხის გაუმჯობესების საკითხს. აკადემიები, აცხადებენ რა თემებს ჯილდოებს კონკურსზე. წინანდელ პოეტური, ისტორიული, მორალური თემების ნაცვლად ნიშნავენ ისეთებს: როგორც არის მაგ. „მარცვლის გაფუჭების მიზეზების“ შესახებ (ბორდოს აკადემია 1755 წ.) „გამოკვლეულ იქნენ არის თუ არა ყოველნაირი მიწა ვარგისი ყოველწლიურად დათესვისათვის“ (აკადემია არაში), „უფრო მიზანშეწონილ საშუალებათა შესახებ ხელოვნური საძოვრების კულტურის განსავითარებლად“ (ამენის აკადემია). არსდება მთელი რიგი სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებებისა — რენაში, ლიმოჟში, ტულუზაში, ლიონში. ტურში. ორლიანში და სხვ. — ისინი ყველგან იზრდება, „როგორც სოკოები წვიმის შემდეგ“. ლაბაში ჩამოთვლის 40-ზე მეტ რესთ საზოგადოებას. რომელთა შემადგენლობაშიც შედიოდენ ინჟინერები, მწერლები, აბატები, ეპისკოპოსები. ეს საზოგადოებები სხილადდენ მიწათმოქმედების, მევენახეობის, მეაქონლეობის, მეაბრეშუმეობის და სხვ. შეახებ მათთვის წარდგენილ შრომებს, ზცემენ და ავრცელებენ ბროშურებს სასოფლო მეურნეობის საკითხებზე.

კრეფენ ცნობებს სხვადასხვა ქვეყნებში სასოფლო მეურნეობის მდგომარეობის შესახებ. უმთავრესად კი აწარმოებენ ცდებს ახალ სამიწათმოქმედო იარაღებზე. პარიზის საზოგადოება სცემს „Memoires d'agriculture“-ს, რომელშიაც მონაწილეობას იღებს თვით არტურ იუნგერი — „ინგლისის მიწათმოქმედების ორაკულა“.

მე-XVIII საუკ. მეორე ნახევარს გერმანიაშიც წარმოადგენს სოფლის მეურნეობის დარგში გაცხოველებას ეპოქას. გერმანია, და განსაკუთრებით პრუსია ცდილობს ევროპის ყველა მხარედან გადმოიღოს ახალი გაუმჯობესებანი და მიღწევები. „მშვიდობიანი გზით დაიპყრო რა მთელი პროვანცია“, — როგორც ამბობდა ფრიდრიხ დიდი 1753 წ., როდესაც ამოშრობილი იქნა 225 ათასი მორგენი ოდერზე, სადაც წინეთ იყო „წყლისა და ქაობის უდაბნო“ — პრუსიის მეფემ მაიხიდა აქეთკენ კოლონიასტები. 43 ახალ კოლონიაში დასახლებული იქნა 1200 ოჯახი. 122 ათასი მორგენი ვარტაზე, სადაც წინათ ბინადრობდნენ წავები, მგლები, ხშირად დათეხიცი, გაწმენდილი იქნა და 1785 წ. მოწყობილა — 95 კოლონია. კოლონიასტებმა საფრანგეთიდან, ბოჰემიიდან, პფალციდან. პოლანდიიდან თან მოიტანეს ცოდნა მაწის უკეთ დამუშავებისა და ჯოჯის მოშენების წესები, შესახებ, რაიც მოაწყვეს პოლანდიურ ყადაზე, რასაც „Holländerien“ ეწოდებოდა.

ფრიდრიხ დიდი მიწისმფლობელთ ურჩევდა „მეურნეობის ანგლისურ სისტემით“ წარმოებას, რომლის ქვეშაც ესმოდა პირუტყვითა საქვიბი ბალახების დათესვა, და მით დათესილ სიერცეს. ფრანგების მაგალითს მიხედვით, უწოდებდა „ხელოვნურ საძოვარს“. საუფლისწულო მამულების მოჯარადრეთა შეილება აგზავნდა ინგლისში იქაური მეურნეობის შესაწავლად; უკანასკნელნი ვალდებულნი იყვნენ მისთვის ეგზავნათ სრული ანგარიშები, იწვევდა ინგლისელებსაც. ოტალიიდან ის იწერდა ლუპინას თესლს, ცდილობდა განსაკუთრებით მისი კულტურის საშუალებით გაეუმჯობესებინა ქვეშიანი ნიადაგი („საზოხლარი“ ნიადაგი, როგორც ის მას უწოდებდა) ბრანდერბურგსა და პომერანიში რადგან, სწერდა ფ. ვოლტერს 1776 წ. — „თუ არ ჩავთვლით ლივიანს, ოტალი მოიპოვება ისეთი სახელმწიფოები, რომელსაც ქვიშის რაოდენობის მიხედვით შეეძლოს ჩვენთან შედარება“. მეფე ბრძანებდა საუფლისწულო ადგილებზე დაეთესათ კართოფილი. ხელს უწყობდა ესპანურ მერნოსის ჯიშის ცხვრების მოშენებას. შეიძლება უფრო დიდი ძეგლი მან აღიპართა პირველად შემოღებულ საადგილმამულო კრედიტის ორგანიზაციით („Landschaften“), ვინაიდან თუ, რომ მანამდეც „ავადმყოფობა“ სააზნაურო მწათმფლობელის დავალანების სახით უდავო იყო, სწამავიროთ „წამალი“ წინეთ არ იყო ცნობილი, როგორაც სწერდა იუსტუს მენცერი.

1727 წლიდან დაწყებული თითქმის ყველა (მათი რიცხვი ოცამდე აღწევდა) გერმანული უნივერსიტეტის კათედრაზე კამერალურ მეცნიერებათა დარგებისთან დაკავშირებით, რომელთა შემადგენლობაში შედიოდა სასოფლო მეურნეობაც მე-XVIII საუკუნის, მეორე ნახევარში გერმან-

ნიაშიც ეპოულობთ მდიდარ სასოფლო-სამეურნეო ლიტერატურას. ამ ლიტერატურამ, რომელიც ემყარებოდა ინგლისურ და ფრანგულ, ავტორების დეტალურად ცნობასა და მათ მიბაძვაზე, კამერალისტებს სახით, დიდი გავლენა მოახდინა ხელმწიფეზე. სახელმწიფო მოღვაწეებზე და მწიფობებელზე.

კიდევ უფრო დიდი მნიშვნელობა ქონდა სოფლის მეურნე-პრაქტიკოსებს. რომლებიც მიწათმოქმედებას სწავლობდნენ არა მარტო გერმანიაში, არამედ ინგლისშიც, ნიდერლანდებში, ნაწილობრივ საფრანგეთშიც. მათ შორის განსაკუთრებით ცნობილია იოანე კრისტიან შუბარტი — „კაცობრიობის კეთილშეიქმედელი“. როგორც მას უწოდებდა ტიერო: „იონჯას, ქარხალს და თამბაქოს თესვის წარმატებით დასრულებულ ცდების შემდეგ ის შეიქნა ბტკიცე მომხრე მეურნეობის თესლბრუნვის სისტემისა. მისი გავლენით მთელ რეგიონში უდაღესი მამულები წარჩინებულ მფლობელებმა დაიწყეს თავიანთ მამულში გატარებისათვის შემოღება; ხოლო იმპერატორ იოსებ II-დან შუბარტიმ თავის შრომებსათვის იონჯას გავრცელების შესახებ მიიღო წოდება „წმინდა რომის იმპერატორის რაინდისა von dem Kleefeld“. გერმანიაში სოფლის მეურნეობა შორის გამოიქვლიდა „ავადმყოფური ვნება“ სახელი მიწების გაფართოებისა; გაჩნდნენ მდიდარი მოწინააღმდეგენი მიწის დასვენებასა და სათუქო ძოვებისა „რომელიც ქვეყნის გაჩენის დროიდან არ დამუშავებულა და აქტივად გამხდარა რეინალ“. აქაც რქოსანი საქონლით უფრო მეტად ინტერესდებოდნენ. „ვიღრე საჯდომი ცხენებით, მეძებრებით და მეტრეხებით“ და „მხოლოდ მას ცნობდნენ სოფლი, მეურნე, ვინც დღე და ღამე ჯოჯზე ლაპარაკობდა“.

b) სასოფლო მეურნეობა ბელგიაში (ფლანდრიაში)

როგორღა იყო ახალი მოძრაობის შედეგები? მღწევები სასოფლო მეურნეობის დარგში ახალი იდეების განხორციელების პრაქტიკაზე, რაციონალური მეურნეობის სისტემის გამოყენების მხრივ პირველად ყოველი. არ იყო ერთგვარი სხვადასხვა სახელმწიფოში. ყველაზე მეტ მიღწევებზე ჰქონდა ადგილი ფლანდრიაში, რომელიც გარტლიხს უკვე 1651 წ. მკალობად მოყავდა ინგლისელებსათვის. რადგან მაშინ აქ უკვე ეწეოდნენ ბალის მცენარეებისა და საყვები ბალახის გავრცელებას. „სოფლის მეურნეობა — ამბობს 1788 წ. ინგლისელი შოუ — ყველის ბრახანტა და გენევატში. მაგრამ განსაკუთრებულ სრულყოფას ამ ხელოვნებაში მიაღწია ფლანდრიაში“. ფრანგ დეროვეალი 1782 წ. ამტკიცებდა, რომ მან არ იცის იქეთი ქვეყანა, სადაც მოწარე უკეთ ამუშავებდნენ, ვინემ ავსტრიის ნიდერლანდებში (ე. ი. ბელგიაში). ასეთვე დასკვნაზე მღას გერმანელი აგრონომი შეერცი (მე-XVIII საუკ. ბოლოს). საზღვრავდა რა ბელგიაში ხორბლის მოსავალს 14 ჯერადს. შერკიას 16 ჯერადს, ქერს 20 ჯერადსაც კი. მაშინ როდესაც მე-XVIII საუკუნის მეორე ნახევარში ინგლისში ხორბლს მოსავალი უდრიდა, აუნგის მიხედვით, 10-ჯერადს საფრანგეთში, დიუგამელის მიხედვით

(XVIII საუკ. ნახევარში) 5 ჯერადს. ბელგიის ფლამანდურ ნაწილში უკვე მე-XVIII საუკ. ბოლოდან ვრცელდება თესობრუნვის სისტემა, დასასვენებლათ მიწებს აღარ სტოვებენ. განსაკუთრებით ნაყოფიერ ნიადაგზე შემოღებული იყო თორმეტწლიანი თ. ღებრუნვა; ამ 12 წლიდან 2 წლის განმავლობაში მიწაზე თესავდნენ იონჯას, 2 წ. — ბოლოკ, 2 წ. სელს. 1 წ. — კარტოფილა, მოყავდათ აგრეთვე თამბაქო.

ბელგიის სხვა ოლქებში (ვალონია, გენეგაუს) მე-XVIII საუკ. დასაწყისში ფერმერი კიდევ იყო ვალდებული უქანასკნელ წელს ყანის მუდამედი ნაწილს დაუთესავი დაეტოვებია, რათა ახალ ფერმერს შესაძლებლობა ჰქონოდა დაუყოვნებლივ ესარგებლებია მით. მაგრამ მე-XVIII საუკუნის ნახევარიდან დასასვენებელი მიწები აღარც აქ არია: ფლამანდიაში კი ამ ეპოქაში ვხვდებით წლის განმავლობაში ერთი და იმავე ნიადაგზე ორი მოსავლის მიღების კულტურას: ქერისა და ბოლოკის ან სელისა და იონჯასი ანდა სელისა და თალგამისა.

როგორც ბრანტის აღნიშნავს, მე-XVI და მე-XVII ს. ს. ავტორებმა ამტკიცებენ, რომ ბელგიას არ ძალუძს საკუთარს პურიტ გამოკვებოს თავისი მოსახლეობა, და ეს ცნობილია XIX და XX ს. ს. მიმართაც, რისგანაც მას გამოყავს დასკვნა, რომ ასეთი მდგომარეობა იყო მუდამ. მაგრამ ამის წინააღმდეგ გამოდის ვანგუტი, რომელიც ეყრდნობა მას, რომ XVIII საუკუნის შუაზე ნახევრის საბაჟო სივლიდან იჩანს, რომ ამ ეპოქაში ბელგია პირიქით. პურის ექსპორტორად გამოდიოდა. მანამდე კულტურა არა საკმაოდ ინტენსიურა იყო, უფრო გვიან მოსახლეობა ძალზე მრავალრიცხოვანი შეიქცა. განიჩნებოდა რა თავისი სიხშირით მთელს ევროპაში, მაშინ როდესაც ამ ხანაში (XVIII საუკ. შუაზე ნახევარი) ნიადაგის ნაყოფიერება არ იყო იმაზე ნაკლები. ვიდრე მე-XIX საუკ. ნახევარში (ჰექტარადან 26 გექტოლიტრი). ასე, რომ საკითხაც კი იჭრება შეერთებულ შტატებში პურის გატანის შესახებ. პურის, ქერის, ბრინჯის გრეხიხის ლობიოს: მუხუდოს და სვიას მოსავალი აღემატება მოთხოვნილებას სახელმწიფოში, მაშინ როდესაც შვრია და ქერა ისევე როგორც ბოსტნეული და ხალი არ იყო საჭმარისი; უხდებოდათ მათი იმპორტი.

იონჯას და ბოლოკის გავრცელება საკვებს იძლეოდა ზამთრის განმავლობაში ბოსელში მოთავსებულსა ჯოგისათვის, ესე რომ საჭირო აღარ ხდებოდა საძოვარე მინდვრები. ამასთანავე ამ გზით იღებდნენ საკმაო რაოდენობით მწიწს გასანაოთიჩიბელ მასალას. — თლანდრია ამ მხრივ ყოველ დანარჩენ ქვეყნებზე წინ იდგა; მას მიყვებოდა ინგლისი, თავისი თესვის ნორფოლკურა წესით. მე-XVIII საუკ. ავტორები აღტაცებაში მოდიოდნენ ბელგიაში ჯოგის სიმრავლითა და მისი ნაყოფიერებით. ერთი მათგანი კიდევაც ამტკიცებს, რომ ფლანდრიის ზოგიერთ ადგილებში ძროხა ორ ხბოს იძლევა წელიწადში, ცხვარი 3 ან 4 კრავს, ზოგიერთჯერ ერთხანად 5 ან 6-საც კი. 18 ჰექტარს (დესიატინა) სივრცის ფერმაზე მოდიოდა არა ნაკლებ 2 ცხენისა, 14 ძროხისა, 8 ხბოსა და 4 ღორისა, ე. ი. ცხებების გარდა ორჯერ მეტი იმისა, რასაც ჰქონდა ადგილი მე-XX ს. დასაწყისს. შეაძლოა ეს ეხება მხოლოდ ზოგიერთ ადგილებს; ყოველ შე-

მთხვევაში, ინტენსიურ მიწათმოქმედებასთან დაკავშირებით ფლანდრია ხასიათდებოდა ცხენებისა და რქიანი ჯოჯის სიუხვით და განარჩეოდა მათი მაღალი ხარისხით. მისდევდნენ მელოროეობასაც, მაშინ, როდესაც თხები სრულიად არ იყო, ხოლო მეცხვარეობა, საძოვარი ადგილების სახნავად გადაქცევის გამო დიდ ზიანს ნახულობდა, — ცხვრის მოშენება თანდათან მცირდებოდა.

მიღწევები თვალსაჩინო გახდა არა მარტო კულტურის ინტენსიფიკაციის გაგებით, არამედ შრომის იარაღების და მიწის დამუშავების ხერხების სახითაც. სამიწათმოქმედო იარაღებს აღწერიდან, რომელიც 1788. 1809 და 1815 წ. წ. მიეკუთვნება, ირკვევა, რომ ისინი ისეთივე იყო, როგორსაც ხმარობდნენ მე-XIX ს. მე-70 წ. წ., ე. ი. მანამდე, სანამ ხ.ს იარაღები არ განდევნა რკინის. და სწორედ ასევე, რომ შეცვალოს ეს წლები მე-XIX საუკ. ბოლოთი — აგრონომ-ც კი ვერ შეამჩნევდა შეცდომას. იმ დროში სამიწათმოქმედო საშუალებათა გაცნობისას, რომდენად მცირედ შეიცვალა ეს შემდგომ საუკუნის განმავლობაში. რომად მოხენა, ფარცხისა და საჯანდრავის გამოყენება, სარეველა ბალახებითა გათოხენა, დიდი რაოდენობით სარეგებლობა მიწის სეტობა სასუქით, როგორც იყო ნაცარი, მარილი, მერგელი, ტყავის მრეწველობის ნარჩენები, რქება, ნაკელი, უფრო ნაკლებათ ქლაქიდან გაზიდული კირი. — ყოველივე ეს განაკუთრებით ფლამანდური მიწათმოქმედებას. აყენებდა იმ დროისათვის შეუღარებელ სიმადლეხე.

უდავოთ, ეს მტკიცე კავშირში იყო იმ გარემოებასთან. რომ ბელგია (არა მარტო ფლანდრია, არამედ ბრაბანტიც. გენევაუც) წარმოადგენდა წვრილ გლეხურ მეურნეობას ქვეყანას, სადაც მიწას მებაღის სბეჯითით ამუშავებდა გლეხი და მსი ოჯახი. ჩინშა და რენტა. რომელსაც სენიორს, სასარგებლოდ იხდოდნენ, ისევე როგორც სხვა ბეგარები (უფლება ჯოგიდან საუკეთესო ცალზე გლეხს სოკვილის შემდეგ). თუმცა განაგრობდნენ არსებობას, მაგრამ შედარებით ნაკლებათ ამჩინებდა გლეხს მეურნეობას.

ც) სასოფლო მეურნეობა ინგლისში

ფლანდრიის შემდეგ მოდის ინგლისი, სადაც ბალახის თესვაზე თანდათანობით გადასვლა დაიწყო აგრეთვე ძალზე ადრე (თუმცა უფრო გვიან, ვიდრე ფლანდრიაში) და სადაც მე-XVIII საუკ. უმთავრესად მოხდა ძველი სამმნდროვანი მეურნეობის შეცვლა გაუმჯობესებული მარცვლეულით. როგორც როჯერსი აღნიშნავს მე-XVII საუკუნემდე ინგლისს სოფლის მეურნეობაში წინსვლა სრულიად შეფერხებული იყო. პირიქით, ამდროიდან დაწყებულ: ემჩნევა მნიშვნელოვანი პროგრესი დაათეს საკვები ბალახისა და ფქვანაყოფების გავრცელების სახით. უკვე მე-XVII საუკ. დასასრულიდან ონჯას თესლი გვხვდება არა მარტო ლონდონის, არამედ სხვა ბაზრების ყველა საპრეიპკურანტო ფასებში. მაგრამ მანც შეცდომა იქნებოდა გვეფიქრა, რომ ინგლისი უკვე მე-XVIII საუკ. გადავიდა თესლბრუნვის სისტემაზე.

იმ დროანდელა ყველაზე დიდ ავტორიტეტს არტურ იუნგის ალწერალობადან. რომელმაც დაათვალღერა ინგლისის ყოველ რაიონში შეურნობა, დასტურდება, რომ მე-XVIII საუკ. მე-60 წ. წ. იონჯას, ლობოს, ბოლოკის, რაიგრასის ნათესები ფართოდ ყოფილა გავრცელებული. მართალია, ზოგიერთ ადგილებში ამ ფესვნაყოფებმა არ სცნობდენ ყველაზე და დასასვენებლად გაშვებული, დაუთქ-აფა ადგილები კიდევ მოპოვებოდა (ინგლისელი აგრონომები დავობდენ მათი მიწანშეწონალობის შესახებ) იონჯა, როგორც ღორების საკვება ნაკლებად იყო ცნობილი, ხოლო კარტოფილი ხშირად სულ არ მოყავდათ. თუმცა ეს აუთჯობებს ნიადაგს. მაგრამ ამავე დროს იუნგი იძულებულია აღაროს, რომ, მაგალითად, იონჯათი ნათესი ადგილები მეტი იონჯა, ვიდრე მოელოდა.

მიწის სათანადოდ განოყვრება კანონათ გახდა აგრეთვე ინგლისელი მეურნეობისათვისაც. ბევრ ადგილებში ჯოჯის ნაკელს გარდა სარგებლობდენ აგრეთვე მერგელითა და თიხით; ფერმებმა ეზიდებან ნაკელს მეზობელ ქალაქებდანაც, ხშირად ურუდენ ერთი მეორეში მიწის სასუქის სხვადასხვა სახეს, რის გამოც ბევრ საგრაფოებში ნაკლებათ ნაყოფიერი ნიადაგზე კარგი შედეგები იქნა მიღებული. ზოგიერთში კი ამ მხრე ჩამორჩენას აქვს ადგილი. იქ განსაკუთრებით კიდევ იქნა შენარჩუნებული ჩვეულება ჯოჯის საძოვრად გაშვებისა ზამთრის პერიოდშიც, იმის მაგიერ რომ ჯოჯის ბოქვლებში შენახვის გზით მიეღოთ დიდი რაოდენობით მიწის კარგი სასუქი.

d) ხასოფლო მეურნეობა ხაფრანგეთში

როგორც სწავს, მნიშვნელოვნად უფრო მცირე მღწვეები იქნა მიღებული ხაფრანგეთში.

მე-XVI — XVII ს. ს. და მე-XVIII საუკ. პირველ ნახევარში, როგორც აღნიშნავს, Henry See, ხასოფლო მეურნეობა ხაფრანგეთში განვითარებინ დაბალ საფეხურზე იდგა, თითქმის არავითარი მღწვეები არ გაუკეთებია საშუალო საუკუნეების დროიდან, როდესაც სავა მანდვირიდან მხოლოდ ერთი ითვისებოდა, მეორე წარმოადგენდა საძოვარს. ხოლო მე-სამე ივენებდა. მსგავსად იმისა, როგორც გვიანდელ საშუალო საუკუნეებში ხშირად გვხვდება გლეხები, რომლებიც „მიწის ხელით ამუშავებდენ“, ამ ცხოქაშაც კიდევ იყო შემთხვევები 7 — 8 არპანი (არპანი = 1/2 დესიატინას) მიწის ბარათ ან თიხით დამუშავებისა, — ანეთ ადგილები უწოდებდენ „სამოთხეს ცხენებისათვის და ჯოჯოხეთს ადამიანებისათვის“. მაგრამ სხვა ადგილებშიც, მთელ განსახლავ პერიოდის განმავლობაში ჩვეულებრივ იარაღს წარმოადგენდა ხის სახნისი, ისიც ძალზე პრიმიტიულიად მოწყობილი, ბევრად მსგავსი იმისა, რომელიც აწერალი აქვს ვირჯილიუსს. მისი საშუალებით შესაძლებელი იყო მიწის მხოლოდ დაკვალვა. მაგრამ არა დახვნა და ამგვარად კი მიწის სივრცის ორი მესამედი ხელუხლებელი რჩებოდა. ამასთანავე თუეკმა ძალზე დაგვიანებით აწარმოებდენ, ბალახებს მარგვლა უხეიროდ ზღებოდა, რაც ვნებდა არა მარტო უახლოეს მოსავალს, არამედ შემდგომაც.

საუქი ნაკლებად იყო და გლეხი იძულებული ხდებოდა მთელი თავისი დროის თითქმის ერთი მე-ამედი დაეკარგა ფოთლებს, ლერწმის და სხვ. მოგროვებაში, ურევდა რა მათ იმ მცირე რაოდენობის ნაკელს, რააც იძლეოდა ცუდად ნაკვები ძროხები; უკანასკნელისათვის არ იყო საკმარისად მოკრები, ხოლო საკვებს აძლევდნენ იმდენს, რომ ჩაშლილთ არ მოსცვლირყვენ. გლეხები წყველა-კრულვით ებრძოდნენ ახალგაზრდა ყლორტებსა განმადგურებელ მგრაგნელ ქიას, განაყნებდნენ ეკლესიიდან ცხოველებს, რომლებიც ბოსტნეულს აფუჭებდნენ, ხარჯავდნენ რა ამისთვის ყოველწლიურად განსაზღვრულ თანხას, ხოლო მიწისმფლობელთა სასარგებლო ცხოველს ჯანმრთელობას და ცენსათვის იმდენი ხდიდნენ წირვებს. ყოველგვარ სიბღღისადმი შიშისა გამო მათ ფლამანდიელ მეთევზეებს ადარებდნენ. როდესაც უკანასკნელნი წვირილი თევზის დასაქერათ ზღვაში გადასროლილ ბადეში შემთხვევით მოხვედრილ მაკრელს იპოვიდნენ, უკანასკნელს მაშინვე უკან ისვროდნენ ზღვაში რადგან მათი მამები მაკრელს იპერდნენ მარტოოდნენ ანკეთათ.

თუ ამას ჩვენ შევადარებთ იმას, რაც არტურ იუნგმა იხილა მე-XVIII საუკ. მე-80 წ. წ., დავინახავთ, რომ თუმცა გასულ ნახევარ საუკუნეში უდავოდ იქნა ერთგვარი მიღწევები მოპოებულთ, მაგრამ ეს მიღწევები ნაწილობრივ იყო, დამახასიათებელი მხოლოდ ზოგიერთი ადგილებშიათვის და ნაშნავდა მეურნეობის ძველი სისტემის მხოლოდ რამოდენიმეთ შეცვლას, და არა მის ძირითად გარდატეხას. არტურ იუნგ ფრანგულ სახნის საგანს ადარებს რა მას ინგლისურს. — არტულიადაც არ მოდის აღტაცებაში; 1800 წ. კი გაუმჯობესებულ სახნის გამოხატულად შეადგენდა: საერთოდ ბევრ ადგილებში საოფლო მეურნეობის კულტურა, მისი სიტყვით არ სდგას „უფრო მაღლა, ვინე გურონებთან“. მეორეს მხრივ უკვე მე-XVIII ს. მე-60 წ. წ. „Journal Economique“ უწყებოდა, რომ „ხელოვნური საძოვრები“ პროდუქციების უმრავლეს ნაწილში ყოველწლიურად თანდათანობით ფართოვდებოდა, რომ ბოლოკასტურნებსას, იონჯას, ესპარტეტის კულტურა ჩრდილოეთშიაც გვხვდება და ცენტრალურ საფრანგეთშიც. ბევრ ადგილებში მოყავთ ინგლისიდან და შვეიცარიიდან გადმოტანილი კარტოფილი.

ბელგიაში კარტოფილს მე-XVIII საუკ. დასაწყისში აშენებდნენ ბადეში. უფრო გვიან კარტოფილის კულტურის გავრცელებას ხელი შეუწყო გენტის წმ. პეტრე, მონატრის ბერებმა. რომლებიც მონასტრის მიწებზე მოპოვებულ ფერმერებს ჩინვას გადახდა კარტოფილით სთხოვდნენ, ხოლო მე-XVIII საუკ. ნახევარში კარტოფილი ჩნდება ფლამანდიის ბაზრებზე და თანდათანობით ხდება მუდმივ მოსახმარათ თუმცა ამ ხანაშიც ფლამანდიელებს მას უფრო ნაკლებ მიწას უთმობდნენ. ვიდრე იონჯას ან ბოლოკას.

საფრანგეთშიც ის ცნობილი იყო უკვე მე-XVII საუკ. მაგრამ ნაშნ მას უარყოფითად უყურებდნენ. ის მიიჩნდათ მანეე მცენარეთ. რომლის ხმარებაც იწვევს ციებას, რის გამოც ზოგიერთ ადგილებში პირდალღლო იყო კარტოფილის დათესვა. ახლა, პირაქით ფრანგების დამოკიდებულება

მისდამი შეიცვალა. მე-60 წ. წ. ტ ი უ რ გ ო, სყო რა რტენდანტათ (გუბერნატორათ) ლიმოეში უხვად ურიგებდა სამრევლო მღვდლებსა და სოფლის მეურნეებს კართოფილის თესლს. სადილათ მის ყოველდღე ერთი რომელი კერძი საქმელი კართოფილისაგან დამზადებული ჰქონდა, ხოლო ოლქში მოგზაურობის დროს თან მიჰქონდა კარტოფილი და ამითუიმ სოფელში გაჩერებისა, ბრძანებდა მიეტანათ მისთვის ეს გლეხებს: თანდაწირებთ, რომლებსაც კარტოფილისა ეშენოდათ და არ ენდობოდენ. ეგზომ თვალსაჩინო არგუმენტებით მან ბოლოს და ბოლოს შესძლო მათი სკეპტიციზმის დაძლევა, მაგრამ მხოლოდ ნახევრად: მოყავდათ რა კარტოფილი, ისინი მით კვებავდნენ საქონელს. პირიქით, გლეხის ბავშვებს ეს მოეწონათ: ისინი დარწმუნდნენ, რომ „როგორც ხორცი, ისე გემოთი ეს ბევრად განირჩევა წაბლისაგან“.

კარტოფალი უფრო დიდი მიღწევით ვრცელდება პ ა რ მ ა ნ ტ ი ე ს მეოხებთ და მეფის კარს მხრივ წაქეზებას გამო: ის ყოველ დღე უნდა ყოფილიყო მირთმეული მეფოსათვის სუფრანზე კარტოფალის ყვავილ. მ ა რ ი ა ნ ტ უ ა ნ ე ტ ა გულზე ღიღივით კი ატარებდა. კარტოფილი მალე, განსაკუთრებით მოუსაღლან წლებში გახდა „ლარობთა ჩვეულებრივ საკვებათ“, როგორც მას მაშინ უწოდებდნენ, თუმცა არ ტ უ რ ი უ ნ გ ი ფიქრობდა, რომ „კაცობრიობისა $\frac{1}{100}$ საეკვია, რომ დათანხმდეს კარტოფილის მოხმარებაზე“. პირიქით, აბათი მ ა ნ ი 1775 წ. ამტკიცებდა, რომ თუმცა კარტოფალი უფრო სასარგებლო და მნიშვნელოვანია ღარიბებისათვის, მაგრამ მას ჰამენ და აფალებენ თანასწორად ყველა მდგომარეობის პირნი. ახალა საკვები პროდუქტის აღმოჩენას, ერთი ავტორი, სტყვით მეტი ბედნიერება მოაქვს კაცობრიობისათვის, ვინემ ახალი ვარსკვლავის აღმოჩენას.

მაგრამ საფრანგეთის უშთაერესი დამახასიათებელი თვისება, რმევი ი უ ნ გ ი ს სიტყვით, მდგომარეობდა მასში, რომ „ყოველივე რაც მან კარგ იზოვა, ან მიეკუთვნება განსაკუთრებთ ნაყოფიერი ნიადაგის მქონე ადგილებს, როგორც, მაგ., ფლანდრიას, ელზასს, გარონას ზდაბლობს, ან წარმოადგენს ცენტრალურ და სამხრეთ საფრანგეთის ჰავისათვის შეგუებულ რაიმე სპეციალური მცენარის კულტურის შედეგს, როგორც, მაგ., სიმინდი. საკვირველი არ არის — უმატებს ის — რომ მაშინ როდესაც ინგლისში ნაკლებათ ნოყიერი მიწები საუკეთესოთ არიან დამუშავებულნი, ან ყოველ შემთხვევაში არა ნაკლებათ, ვიდრე დანარჩენი მიწები, საფრანგეთში მხოლოდ დიდი ნაყოფიერი მიწების ექსპლოატაცია სწარმოებს სათანადო წესით“.

ფლანდრიით, არტუათი და ელზასით ი უ ნ გ ი ძალზე კმაყოფილი დარჩა; მაგრამ გადინხართ რა მეზობელ პროვინციებში — პიკარდიაში. ფრანშკონტში, — თქვენ მოხედებით, მისი სიტყვით სრულიად ახალ სახელმწიფოში, თქვენ გადადინხართ საზღვარს სულ აზროვნებასა და უაზრობას შორის. იქ თქვენ ბაღში იწყობებთ, მაგრამ თქვენ გადახვალთ მდინარეზე და მოხედებით ზარმაცი ხალხის ყანებში. იქ ადამიანის აზრი მომქმედდი და მიწვედრიია, აქ იწყობება შეფერხებისა და უსწოტელობას

ზღვომარეობაში“. მაგრამ შემდეგ, განსაკუთრებით სამხრეთით და დასავლეთით მიღას კვლავ ლუტერანთა და ესპარტეტი დათესილი ყანები; ზოგან სრულიად არ არის დასასვენებლად გაშვებული ყანები (ჩრდილოეთში ამ წესით სარგებლობენ საუკეთესო ნაკვეთებისათვისაც), სამხრეთში წესიერათ არის მოგვარებული ყანების მორწყვის საქმეც (განსაკუთრებით პროვანსში და ლანგედოკში). რა უნდა ითქვას სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებებზე — ამბობს ის, — როდესაც ჩვენ ვხედავთ, რომ ისინი თავის დროსა და ფულს ხარჯავენ პატარა გუთნების, საცხენე თიხებისა და საღებავ მცენარეთა გავრცელებაზე, მაშინ, როდესაც ქვეყნის ორმა მესამედმა არ იცის მიწების მორწყვა? დასასრულს უნდა ითქვას, ხაზს უსვამს რა საფრანგეთში ადგილების დასასვენებლად გაშვების გავრცელებას, აღნიშნავს რომ „როდესაც ლიუდოვიკო მე-XIV ავიწროებდა ხალხს იმისათვის, რომ ესპანეთის ტახტზე თავისი შვილიანშვილი დაესვა და ფლანდრია და ელზასი დაეპყრო, ის უდავოთ თავის სახელმწიფოს უფრო მღიჯილი, ბედნიერსა და ძლიერს გახდიდა, უკეთეს ათეულ თავის პროვინციებში ის შეაძლებდა მიწის დასასვენებლად გაშვების წესის გადაგდებას და დანარჩენებში ბოლოკის კულტურის შემოღებას“.

მე-XVIII საუკუნე მკორე ნახევარსა და წინა ეპოქას შორის ასეთივე პარალელი გაყავს გოლცის გერმანიის მიხედვით. „მე-XVIII საუკუნე ნახევარამდე — ამბობს ის — შეურთებოდა ტრიალებდა სამწუხარო და ძალზე დამლუპველ ჯადოსნურ რკალში“. მიწის დამუშავების ჩვეულებრივი საშუალება საქონელს ძალზე მკორე საკვებს აძლევდა; ამის გამო არ იყო შესაძლებელი ბევრი საქონლის ყოლა. რადგან საკმაო საკვები არ მოიპოვებოდა, ძროხები ზამთრის განწავლობაში იმდენათ კარგად დენ ძალღობენ, რომ გაზაფხულზე აღარ შეეძლოთ ადგილიდან დაძვრა და საძოვრებზე გასვლა; მათ კუდებით მიათრევდენ, — და ამის გამო მათ უწოდებდენ „Schwanzvieh“.

მაგრამ საძოვრები, სადაც საქონელი ატარებდა წლის უმთავრეს ნაწილს, ზას ძალზე მკორეს აძლევდა, რადგან ბალახით ღარიბი იყო. ამას შედეგათ გამოწვეული სასუქის უქონლობა, თავის მხრივ მიზეზი იყო სამინდვრე მეურნეობის მდარე მდგომარეობისა. ის იწვევდა არა საკმარის ღრვა ხენას, ყანებზე კვალბად დაყოფას, როგელთა შუა ნაწილშიც გროვდებოდა სასუქი, რადგან მთელი ყანიათვის ის არ იყო საკმარისი, ხდებოდა სასუქის ხელგაშლილად ხარჯვა და საბოლოოდ შედეგათ იღებდენ პურსა და თავის ძალზე დაბალ მოსავლას.

საკვები ბალახების კულტურის გავრცელებასთან ერთად ყოველივე ეს მთლიანად უნდა შეცვლილიყო: საკვები ბალახი, იძლეოდა რა საშუალებას მეჯოგეობის გასაფართოებლად, საძოვრათ განდევნის ნაცვლად საქონლის ბაგაში შენახვის წესის შემოსაღებლად სობდა ყვილა უბედურებათა მთავარ მიზეზს — სასუქის ნაკლებობას. მაგრამ მე-XVIII საუკუნე მკორე ნახევარში მოხდა ამ მხრივ მხოლოდ ნაწილობრივი ცვლილებადობა. მხოლოდ ზოგიერთ ადგილებში. განსაკუთრებით ბადენში, პფალცში და რაინის სანაპიროებზე სხვა ოლქებში, და ისიც მხოლოდ მსხვილ მეურ-

წილებში ნაწილი დასვენებული ყანებისა დაეთმო იონჯასა და სხვა საკე-
ბა ბალახებს კულტურას. „ბალებში, საძოვრებზე და დასასვენებლათ გა-
შვებულ ყანებზე, ყველგან, სადაც კი შესაძლებელი იყო თესვადენ კარ-
ტოფილს, თუ ავდენ მას დიდი რაოდენობით. იმ ზომამდე, რომ ვენახებიც
კი იყო იძულებული დაეთმო მისთვის ადგილს“. მაგრამ თესლობრუნვის
სისტემა მთლიანად, რომელსაც იყენებდნენ უკვე მე-XVIII საუკ. ინგლისში,
და ზოგჯერ ადგილი ქონდა საფრანგეთშიც — გერმანიაში ჯერ კიდევ
სრულიად უცნობი იყო, მით უმეტეს, რომ აქ ის თეორიაში გაჩნდა არა
უადრეს მე-XIX საუკ. დასაწყისისა.

თუ რომ მსხვილ მეურნეობებში ზოგჯერ ადრეც მისდევდნენ იუსტიის
პრინციპს, რომ ყანა სრულიადაც არ საქროებს შესვენებას, სამაგიეროდ
გლეხის მეურნეობებში, მათი მტკიცით დაწესებულ თესვას წესებით, ამას
შესახებ ჯერ კიდევ ლაპარაკიც კი არ შეიძლებოდა. თვით საკითხი ახალი
საკვები ბალახების საშუალებით ჯოგის ბოსელში შენახვის შესახებ მხო-
ლოდ დასმული იქნა მე-XVIII საუკ. მეორე ნახევარში — გადაჭრილი კი
იქნა და მთ მთელი სასოფლო მეურნეობა რევოლუციონიზირებული გა-
ცლებით უფრო გვიან.

ამგვარად მიუხედავად სასოფლო-სამეურნეო ლიტერატურის ასეთი დი-
დი გაცხოველებისა მე-XVIII საუკ., მიუხედავად ყოველგვარი დანხარე-
ბისა სახელმწიფოსა და საზოგადოების მხრივ მიწათმოქმედების ახალ
კულტურების გავრცელებისათვის, პრაქტიკაში მიღწეული იქნა მხოლოდ
შეიშვით. მიზეზი მდგომარეობს აგრარული წყობის ხასიათში. „შემო-
ფარგლული მიწის აკრი უდრის სათემოს ოთხ აკრს“. ამბობს მე-XVIII
საუკ. ინგლისელი აგრონომი. საფრანგეთში კი სათემო სერვიტუტების არ-
სებობა იწვევს ახლად გაშენებული ვენახების მობალახე ჯოგის მიერ გა-
ხადგურებას. ჯერ კიდევ 1753 და 1756 წ.წ. ის იწვევს გაუნჯობებულ-
იარაღებით მკის აკრძალვას, რადგან ეს „ღარიბ გლეხს მოაკლებდა თავის,
რომლითაც ის თავის ქონში იფარავს თავს და რთობს სხეულის გაყინულ
ნაწილებს“. იუსტიის თავის თხზულებაში, — „Von denen Hindernissen
einer blühenden Landwirtschaft“; — ყურადღებას აქცევს მეორე ფაქტს —
ვაუმჯობესებათა შეუძლებლობას ისეთი მდგომარეობის დროს. როდესაც
გლეხი დღითი დღე ძლივს იკვებავს თავს და მხოლოდ გაჭირვებით შოუ-
ლობს გადასახადების გასასტუმრებელ საშუალებას.

კიდევ უფრო შორს მიდის მე-XVIII საუკუნის მწერლები. რომლებიც
პირდაპირ აყენებდნენ მოთხოვნას „უზურპირებულ უფლებათა და
ბატონყმობის გაუქმების შესახებ“, რის ქვეშაც ესმოდათ საერთოდ პირა-
დნი ქონებრივი თავისუფლების ყოველგვარი შეზღუდვა. თითქმის ყვე-
ლაზე უფრო მკაცრად ამ აზრს გამოთქვამს არტურ იუნგერი, მის
დღიურში შრავალჯერ მოხსენებული შენიშვნებით, როგორც მაგალ. „შემ-
დევნაირათ“:

„თუ რომ თქვენ როდესმე და სადმე ნახოთ სრულიად თავისუფალი
მეწიბი, თუმცა მათზე გაუმჯობესებას წარმოება სრული შესაძლებელი
იყოს — აიკოდეთ, რომ ის ეკუთვნის რომელიმე დიდ სენორს“, ანდა:

„უდი დაშუშაება, მათხოვრული სადგომები — ალბათ მიწაა რომელიმე ბრწყინვალე გეამისა, რომელიც მე ვნახე გუშინ ვერსალოს სასახლეში ცერემონიის დროს... პრინციების და მაღალი თანამდებობის პირთა ღიადე მდგომარეობს მთა ჩადუნით დაფარულ ტალ ადგილებში, მათი რუზიდენციები გარშემოვლებულია რმებით, გარეული ღორებით და მკლებით სავსე ტყეებით“.

e) აგარაული წყობა

აგარაულ წყობაში ძირითად რეფორმების გატარების გარეშე — ამბობს პროფ. ნ. ი. კარევი — „მდროინდელი მთელი აგრონომია რჩებოდა უმთავრეს შემთხვევაში უქმი ხალხის ცარიელ გასართობათ; მთა აგრონომიული ცდები (გარდა კარტოფილზე წარმოებულ ცდებისა) ზოგჯერ არაფრით განსხვავდებოდა ქონ კომპადურის მოდურ წამოწყებიდან, როდესაც ის მერძვე ქალად გამოეწყობოდა; მათს ტრაქტატებს იმდენი სარგებლობა მოქონდა, რამდენიც აგრონომიული მოდის გავლენით განვითარებულ აგრიკოლურ პოეზიას“.

სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებებ- საფრანგეთში ზმირად ძალზე ახლოს მიუდგებოდენ მიწათმოქმედების ჩამორჩენის პირველად მიზეზებს, პირდაპირ ეჯახებოდენ ზენიორალურ გადასახადს და „ანტისოციალურ“ საგადასახადო სისტემას, რაც არ აძლევდა გლენს ჯოგის მოშენების საშუალებას: თუ გაბედავდა გლეხი ზედმეტი ცხენის შეძენას — ტალს უახლოეს განაწილებისთანავე გადასახადების გამწერი მას ზეგარას დაადებდა. მაგრამ ისინი ცდლობდენ, როგორც სიანს — გვერდი აეხვიათ ამ ავადმყოფ და საშიშ პრობლემებისთვის, არ სცილდებოდენ რა მეურნეობის წმინდა ტექნიკურად გაუმჯობესების უფრო მტკიცე და უშიშარ ნიდავს.

რა იქნა გაკეთებული მე-XIV — XVIII სს. პერიოდში გლენების უფლებრივ მდგომარეობის, აგარაული წყობის დარგში, რამდენათ შეცვალა გლენების პირადი არა თავისუფლებ-ს ხარისხი და მათი მწისადმი უფლება-ვალდებულებანი ამ ეპოქაში?

პირველად ყოვლისა აუცილებელია აღინიშნოს რომ ის საერთო დებულებანი, რომელნიც გვხვდება ჩვენ აგარაული ისტორიის განსაკუთრებით უფრო ძველ თხზულებებში და რომელიც მდგომარეობს მე-XVII — XVIII სს. პერიოდში გლენების მდგომარეობის გაუარესების იდეაში — არ მტკიცდება უახლოესი გამოკვლევებით.

როგორც დავინახეთ, აღინიშნულ საშუალო საუკუნეებს ეპოქათან შედარებით, უკვე მე-XIII — XV სს. თვალსაჩინო ხდება პროგრესი გლენების განთავისუფლების საქმეში. ამ ხანებში არა მარტო ინგლსში გაქრა მნიშვნელოვანად პირადი დამოკიდებულება, და გლენებმა მოპოვეს უფლება მიწაზე, არამედ სხვა ქვეყნებშიც: ჩრდილოეთ იტალიაში, ესპანეთის სხვადასხვა ოლქებში (კატალონია, ნავარა, მაიორკა) შვეიცარიის ცალკე კანტონებში (შვიც, ური, უნტერვალდენი, გლარუს, აპენცლი) გლენები უკვე საშუალო საუკუნეების დასასრულს განთავისუფლდენ პირადი დამო-

კიდებულებიდან, სენიორალურ იურისდიქციიდან და გადასახადებიდან, გახდენ ნაწილობრივად თავისუფალ მიწათმფლობელებათ, ნაწილობრივათ კიდევ მემამულეთა მიწების პირადათ თავისუფალ მოიჯარადრეებათ.

შემდეგი საუკუნეების განმავლობაში გლეხებიან განთავისუფლება მიღწევებს პოულობს სხვა ადგილებსა და ქვეყნებში, განსაკუთრებით საფრანგეთში და ფრანგულ შვეიცარიაში, დასავლეთ გერმანიაში, სადაც მე-XVI საუკუნემდე გლეხების მხოლოდ ზოგიერთმა კატეგორიამ შესძლო მიეღწია უფრო კეთილ სასურველ უფლებებზე მდგომარეობამდე.

მართოდენ გერმანიის აღმოსავლეთ ოლქების მიმართ შეძლება მტკიცება, რომ გლეხთა მოსახლეობის მდგომარეობა გაუარესდა. ეს გაუარესება, მიწაზე უფრო მეტად მიმაგრების, ბეგარის გაზრდის და მიწაზე გლეხის უფლებების შელახვის მხრივ — ხდებოდა უმთავრესად ოცდაათწლიანი ომის და მის შემდგომი საუკუნის ეპოქაში.

მე-XVIII ს. ნახევრიდან უკვე სჩანან ლონისძიებანი მიმართული გლეხთა თანდათანობითი, თუმცა არა ჩქარ, განთავისუფლებისაკენ. პრუსიაში, ავსტრიაში, მეკლენბურგში, გოლშტინიაში ეს მოძრაობა ძალზე გვიან იწყება და ამიტომ გლეხების თანდათანობითი განთავისუფლება გრძელდება მე-XIX საუკ. ნახევრამდე. სხვა ქვეყნებში გლეხების სრულ განთავისუფლებას ადგილი ქონდა უკვე მე-XVIII საუკ. დასასრულს და მე-XIX საუკ. დასაწყისში; ამ საბოლოო ნაბიჯის გადადგმა შესაძლებელი ყოფილა მხოლოდ იმის გამო. რომ ბატონყმური მდგომარეობის თანდათანობითი შემსუბუქება დაწყდა გაცილებით ადრე, ანა, ორასი და მეტი წლის წინეთ საფრანგეთის რევოლუციამდე.

იმ ფაქტიდან, რომ ინგლისში ბატონყმობა გადავარდა უმთავრესად საშუალო საუკუნეების დასასრულს, საფრანგეთსა და დასავლეთ გერმანიაში, თანდათანობით შემსუბუქებთ მოისპო მე-XVIII საუკ. დასასრულს და მე-XIX საუკ. დასაწყისში, ხოლო პრუსიაში და ავსტრიაში, გაუარესების პერიოდის შემდეგ, გაუქმდა XIX საუკუნის დასაწყისიდან — ჩვენ შეგვიძლია მეორე დასკვნაც გავაკეთოთ: რომ გლეხთა საკითხს დარგშიც, ისევე როგორც განმანთავისუფლებელი ხასიათის სხვა ინსტიტუტების გაგრძელებაში — მოძრაობა მიმდინარეობდა დასავლეთიდან აღმოსავლეთსაკენ.

ცხადია, რომ აქ დიდათ შესამჩნევ გადასვლებზე არც კი შეძლება ლაპარაკი. მსგავსად იმისა როგორც უკვე ოცდაათწლიანი ომის ეპოქაში ჩვენ ვხვდებით ჩანასახს, და ხშირად ძალზე განვითარებულ ფორმებსაც კი იმ ინსტიტუტებისას, რომლებიც მთლიანად შეღავნდებიან მხოლოდ მე-XVII ს. და მე-XVIII საუკუნის პირველი ნახევრის განმავლობაში, ადგილს მიხედვითაც შეიძლება აღინიშნოს მხოლოდ თანდათანობით გადასვლა. განსხვავება კი ევროპის სხვადასხვა ნაწილებს შორის მდგომარეობს მასში, რომ ინსტიტუტები, რომლებმაც ზოგიერთ ადგილებში მოლო სრული განვითარება, დანარჩენებში ნახევარ გზაზე ჩერდებოდა, წინამსრბოლ საფეხურზე, ან რომ ერთ რომელიმე ადგილსათვის დამახასიათებელი მოე-

ლენა მეზობელ მხარეში ვერ აღწევდა ფართო განვითარებას და გვხვდება მხოლოდ სპორადულად.

ორივე ეს დებულება — განსხვავება ადგილის მიხედვით დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ და მანც მხოლოდ თანდათანობითი გადასვლა — დასტურდება გლეხთა მოსახლეობის პირადი დამოკიდებულების პირობების, და არა თავისუფლების იმ პირობების დროს, რომელიც აღინიშნება ცნებით villainage, servage Leibeigenschaft ანუ Leiherrschaft (მემამულეს უფლება გლეხის პიროვნებაზე, მოძრაობის თავისუფლების, ქორწინების მემკვიდრეობის, ხელობის შერჩევის და სხვ. შეზღუდვა).

მაგრამ იმავე დასკვნამდე მივალთ ჩვენ ჯერად განვიხილავთ გლეხებს, უფლებას მიწაზე, ს ა ნ ი ვ თ ო (ადგილობრივ, სენიორიალურ) უფლებას, Grundherrschaft, seignuri (უფლება ბეგარაზე, ბაჟზე, ჩინშანზე); ეს უფლება შეიძლება სულ სხვადასხვაგვარი წყოს დაწყებული მიწა პირობიდან მანამდე, სანამ მებატონეს მოეწადინებოდა („bis weter“), და ვიდრე საკუთრებასთან მოსახლერე მემკვიდრეობითი ემფიტევიზისისადმი.

ინგლისში უკვე მე-XVIII საუკუნიდან თანდათანობით ქრება ფეოდალიზმი, უთმობს, რა ადგილს ფულად და საბაჭონლო მეურნეობას, ხოლო უფრო გვიან კაპიტალიზტუსს. მოსახლეობამ აქ ადრე მოიპოვა პირადი თავისუფლება, თუმცა შემდეგ დაკარგა მიწა. საფრანგეთში პოლიტიკური მხრივ ფეოდალური წყობა კიდევ არ გამქალა. მაგრამ ეკონომურად ის უკვე დიდი ხანია აღარ იყო: საბატონო-საბეგარო მეურნეობა შეიკვალა ჩინშანს გადახდით, უკანასკნელში მდგომარეობდა მიწათმფლობელს, ძალაუფლება გლეხებზე. ერთგვარ მოვლენებში, ეპოულობთ დასავლეთ გერმანიაშიც. პირიქით, აღმოსავლეთ გერმანიაში, პრუსიაში, ავსტრიაში, მეკლენბურგში, შლეზვიგ-გოლშტინიაში საბერო-საბატონო შრომაზე აშენებული, ფეოდალიზმი საქმათ ვითარდებოდა ლეორიე მე-XVII — XVIII ს. ს.

საბატონო მამულის კავშირი ბაზართან, რომელსაც ადგილი ჰქონდა უკვე უგვიანეს საშუალო საუკუნეებში ქალაქებში განვითარებასთან ერთად, ახლა, ადრინდელი კაპიტალიზმის პერიოდში მნიშვნელოვნად გაძლიერდა. პრუსიის მემამულეს მეურნეობა ახლა აშენებული იყო პურიან გაძალდებაზე, ექსპორტზე, მაგრამ ამის გამო მას სრულებითაც არ დაუკარგავს თავისი ფეოდალური მნიშვნელობა, ბაზრისათვის წარმოებამ მხოლოდ გააძლიერა საბატონო ბეგარა. გლეხის შრომის ექსპლოატაცია „გლეხის მეურნეობანი — ამბობს ფრ. ენგელსი — შედუღებულია მემამულის ერთ უზარმაზარ მეურნეობაში და მათი დამუშავება წარმოებდა ამავე ახალ უმიწაწყლო მოჯამაგირეებს ანდა გლეხების მიერ, — რომელთაც კიდევ შეენარჩუნებიათ მიწის ნაჭრები, — საბატონო ბეგარის სახით“.

(ი. შ. კულიშერი — „დასავლეთ ევროპის ეკონომიური ცხოვრების ისტორია“, ტ. II. მერვე გამოცემა, 1931 წ.).

ა) აზნაურთა ნაკაზი

სა უდიდებულესობა. თუ მოსურვებს, არავითარ ყურადღებას არ მიაქცევს ყველა იმ მხლებს, რომლებიც წარედგინება მან მესამე წოდების ნაკაზებში, — აზნაურთა იფ.ტ.ც.ის საზიანოდ; რადგან აღნიშნულ პალატა უმთავრესად შედგენილ იყო მოხელე ბალიაეებიდან, მათი მთავარი მიზანი მდგომარეობდა საკუთარი ავტორიტეტის და შემოსავლის გაზრდაში საზიანოდ იმისა, რაც ესოდენ ღირსეულად დაემსახურა აზნაურობამ. დეე მისმა უდიდებულესობამ, მიიღო რა სწედელობაში გალატაკება ღირს მინათმომქმედთა, რომელთა საღარიბე წარმოადგენს სამღვდლოებისა და აზნაურების, გალატაკებასაც, გამოსცეს ბრძანება, რომ მომავლსათვის მესამე წოდების ხალხს არ ქონდეს უფლება რაიმე გადასახადს დაწესებასა, რა შემთხვევისათვისაც ეს არ იქნება, — გარდა მისი უდიდებულესობის გადასახადებისა, — გარდა იმ აზნაურების და სამღვდლოების თანხმობისა, რომელთა საცხოვრებელ ოლქშიც უნდა იწარმოოს ამგვარ გადასახადთა შეკრება.

რათა გაუქმებული და მოპოვებული იქნეს ქალაქებს მცხოვრებთა ყველა მოზენებითი უფლებანი და პრვილეგიები მისი უდიდებულესობის მწიბზე და აგრეთვე ქალაქების მეზობელ სენიორებზე ნადირობისა, დეე აეკრძალოს ყველა როტურებს და არაკთაღშობილთ არკებულებისა და დამბაზების ტარება და ყოლა მონადირე ან სხვა ძაღლებისა, რომელთაც არა აქვთ შექრული ჯერკმები.

რათა ბოლო მოეღოს დიდ უწყირიგობას, რომელსაც ამჟამად ადგილს აქვს მესამე წოდებაში, რომელნიც ეწევიან კეთილშობილ ქალწულთა ღირსებასა და ტანთსაცმელის უზურპაციას, მის უდიდებულესობას უმდაბლესად ემუდარებათ, რათა ამერიდან მათ აეკრძალოთ 100 ეკიუს ჯარიმის დამუქრებით ამით სარგებლობა.

მეწეროს ყოველ წოდებას ისეთი ტანთსაცმელის ტარება, რომ შესაძლებელი განდეს პირთა მდგომარეობის გარჩევა და რომ არაკეთილშობილთათვის ამკრძალოს ზავერდისა და ატლასის ჩაცმა.

რათა ვაჭართა ყველა მამანახლისები, ვიცე-ბალები და ვიცე-სენეშალები წარმოშობით აზნაურები იყვენ და რათა ებრძანოს მათ, ვინაც ეს წოდება არ ექნებათ სამი თვის განმავლობაში გაყიდოს თავისი თანამდებობა და უკეთუ ეს არ იქნება შესრულებული, თანამდებობა გამოცხადდეს ვაკანტურად და დაეთმოს მომპოვებელს.

რათა წყლოვ და ტყის დიდი საგანგო და კერძო საგანგონი ებოძოს შთამომავლობით მხოლოდ აზნაურთ.

რათა ქალაქებსა და ციხეებში პარველა კონსული მათორი ირჩეოდეს აზნაურთაგან. ამის საწინააღმდეგოდ მოხდენილ არჩევნებში, არა სწორად ცნობას შექარათ.

რათა საფრანგეთის ორ ხაზინადართაგან, — რომლებიც დარჩებიან ამ თანამდებობათა მოთხოვნილი გაუქმების შემდეგ — ერთი წმინდა აზნაურით, შთამომავლობის ყოს და არა სხვა წოდების.

რათა ბალებსა და ლენებალის თანამდებობაზე არავინ იქნეს დანიშნული გარდა გვარიანი და ლერბის მქონე აზნაურებმა.

რათა თქვენი უზენაესი ტრახუნალება გვაროვანი აზნაურებით იქნეს შევსებული, როგორც ძველად, და, რათა მათ ყოველ შემთხვევაში დაეთმოს თანამდებობათა შესაძლებლობა.

რადგან ფუჭი იქნება თხოვნა, რომ თქვენმა უდიდებულესობამ ინებოს თქვენი სამეფო საჯარადრო კომპანიებში აზნაურთათვის თანამდებობათა დაქირებისა უპროპორციულად ბოძება სასამართლო და საფინანსო კორპორაციებში მაინც მსაჯულთა და მოხელეთა მესამედს დეე შეადგენდენ აზნაურები.

b) მესამე წოდების ნაკაზი

რათა ყველა არქიეპისკოპოზები და ეპისკოპოზები ინიშნებოდნენ ორლენის ორდონანსით დაწესებულ ფორმის თანახმად, ე. ი. სამი კანდიდატის სიით, რ. მღვდელსაც ირჩევენ პროვინციის ეპისკოპოზები, კათედრალური კაპიტული და ოცდაათი ნოტაბლი, რომელთაგან ნახევარი აზნაურებიდან იქნება, ხოლო მეორე ნახევარი ბურჟუაზიიდან.

რათა სასულიერო პირთა მიერ ჩადენილი დანაშაული ირჩეოდეს ჩვეულებრივ ტრახუნალებში.

რათა ყველა მღვდლები, მთელი თავიანთი შემოსავლის კონფესკაციის შიშით, ვალდებული იყვნენ ტრახუნალებს რეგისტრატურაში ყოველწლიურად მიიტანონ მონათელისა, ქორწინებისა და დასაფლავების რეგისტრები თითოეულ გვერდზე და არშიაზე ხელმოწერილი.

რათა რელიგიურ საზოგადოებათ არ შეეძლოს უძრავი ქონების შექმნა უკე თუ ეს არის დანიშნული მათ საპროპაგანდა ნაგებობათა ტერიტორიის გასაფართოებლად.

რათა იეზუიტებიც ამავე სამოქალაქო და პოლიტიკურ კანონებს დაექვემდებარონ, რომელთაც ექვემდებარება საფრანგეთში დაარსებული სხვა ორდენები; რათა მათ თავი მეფის ქვეშევრდომებად ჩათვალონ და პროვინცილებად (პროვინციაში ორდენის დაწესებულებათა მეთაურთა) შეეძლოს იყოლონ მხოლოდ ფრანგი იეზუიტების მიერ არჩეული დეპუტატებით ფრანგები.

რათა აზნაურნი და სასულიერო პირნი, რომლებიც ცხოვრობენ ქალაქებში ან აქვთ იქ სახლი. ვალდებული იყვნენ მონაწილეობა მიიღონ კომუნალურ გადასახადებში.

რათა არავითარ აზნაურს ან სხვა ვინმეს არ შეეძლოს თავის დომენების მცხოვრებთაგან რაიმე ბეგარის მოთხოვნა, უკეთეს მას არა აქვს მეფის მოსამართლეების მიერ შემოწმებული სათანადო საბუთი.

რათა ყველა აზნაურთ ან სხვა პირთ აეკრძალოთ ვისიმე იძულება მათ წინაქველბზე პურის დაფქვისა, მათი ფურნებში პურის გამოცხობისა. მათი წინებებში ყურძნის დაწურვისა, და, სარგებლობა სენიორალური მონაპოლისა, რომელიც სხვა უფლებით, მით სარგებლობის და ფლობლობის

როგორც გ-ნდ საფუძველსაც არ ემყარებოდენ ისინი, თუ რომ მათ არა აქვთ ნაპღვილობაში ექვმიუტანელი საბუთი.

რათა ყველა საერთო და სასულიერო სენიორები ვალდებულა იქნენ განსაზღვრულ ვადაში გაანთავსუფლონ თავიანთი ყმებ- მეფის მოსამართლეების მიერ დაწესებულ საფასურში, უკეთუ მეფის ყველა ქვემეგრდოპნი, სადაც არ უნდა ცხოვრობდენ ანაწი, არ იქნებიან გამოცხადებულნი უფლებამოსილება შეიძინონ, იუფლონ და თავისუფლად გაასხვისონ ის, რასაც ფლობენ.

რათა პარლამენტებს შემდეგ არ იქნეს ორბარსხოვან იურისდიკციაზე მეტი.

რათა გადაახდთა პალატები (Cours des aides), პარლამენტთან იქნენ გაერთიანებული:

რათა თავისუფლად შეიძლებოდეს 1576 წლიდან საამქრო რეგიმსათვის დაქვემდებარებული პროფესიებს მოქმედება.

რათა ყველა ედიქტები, რომელთა ძალითაც ხდებათ ხელოსნებს გადაახადი მათი ხელობის მხაედვით, გაუქმებულ იქნეს და რათა ყველა სიგელ-ი, ხელოსნობის ნებადართავი და ბოძებული საახლის წყალობის სახით — გამოცხადებულ იქნეს გაუქმებულად.

რათა საამქრო კორპორაციაში გაერთიანებული პროფესიის ან სხვა რომელ-მე პროფესიისადმი მიკუთვნებული ყველა ვაჭრება და ხელოსნები არ იხდიდენ არავითარ ბაჟს მათი მეპატრონეთა რიცხვში მიღებისათვის, აგრეთვე დუქნის გახსნისა ან მათ პროფესიასთან დაკავშირებული რაიმე სხვა მოქმედებისათვის.

რათა კერძო პირთათვის მანიჭებული კომერციული ან სამრეწველო მონოპოლიცება მოსპობილ იქნეს.

რათა პროვინციების საზღვრებზე არსებული საბაჟოები მოსპობილი იქნეს და ბაჟის შესაკრები ყველა კანტორა გადატანილ იქნეს სახელმწიფოს საზღვრებზე.

(ლიაშკევიჩის წიგნიდან: „სავაჭრო კაპიტალიზმი“).

§ 6. სასოფლო მუშანობის პროდუქტთა საქონლად გადაცემვისა და ზღვსოპის პროდუქტარჩაპის პროცესი

მსხვილი კაპიტალისტურა წარმოების მეორე აუცილებელ წინაპირობად. როგორც ვთქვით, დაქირავებული მუშების მრავალრიცხოვანი კლასის წარმოშობა უნდა ყოფილიყო; ეს მუშები პირადად თავისუფალნი იქნებოდენ, მაგრამ წარმოების საკუთარი საშუალებანი არ ჰქონდათ და ამიტომ იძულებულნი უნდა ყოფილიყვნენ თავისი სამუშაო ძალ-ლონე გაეყუდათ. დაქირავებულ პროდუქტარების ასეთი კლასის წარმოშობა კაპიტალის დაგროვების პროცესთან ერთად და პარალელურად წარმოებდა, როგორც იმავე პროცესის მეორე მხარე. დაქირავებული მუშები, კლასის საწილობრივ ამქრის ყოფილი ქარგლები შეადგენდენ, ნაწილობრივ ის ხელოსნები, რომელთაც თავისუფლება დაეკარგათ და სრულად დაპყრონილებოდენ კაპიტალს. მაგრამ ქარგლებიც და ხელოსნებიც თითო-ოროლა იყვენ. მუშათა კლასის მთავარ მასას გადატაკებული და უმიწა-წყლოდ

დარჩენილი გლეხობა შეადგენდა. ამიტომ, პროლეტარიატის წარმოშობის მაზვნებად უმთავრესად სასოფლო მეურნეობის შეცვლილი პირობები უნდა მივიჩნიოთ, პირველ ყოვლისა კი — საქონლის ტრიალში სასოფლო მეურნეობის პროდუქტთა ჩაბმა.

საქალაქთაშორისო ვაჭრობის, ვაცხოველებისა და წარმოების გაფართოებას აუცილებლად უნდა გამოეწვია სასოფლო მეურნეობის პროდუქტთა მოთხოვნის გაზრდაც. ერთი მხრით, ნედლი მასალის მოთხოვნა მატულობდა (მატყლი, სელი, ტყავი და სხვა), მეორე მხრით, მოსახლეობის უფრო და უფრო მეტი ნაწილი მრეწველობას ეკიდებოდა, საშინაო მიწათმოქმედო მეურნეობას შორდებოდა და ამიტომ სასოფლო მეურნეობის პროდუქტთა საჭიროებას განიცდიდა. საახალშენო ვაჭრობის განვითარებაც იმავე მიმართულებით მოქმედებდა. იგი ხელს უწყობდა კაპიტალს დაგროვებას და მხვე დროს თვალსაჩინოდ აფართოვებდა ბაზარს. ახალშენებიდან პოლებულ პროდუქტების ნაცვლად, ევროპულ სახელმწიფოებს სამრეწველო ნაწარმოებები გაჰქონდათ და — ზემოდაც გეჰქონდა ნათქვამი, — ძალდატანებით აჩივებდნენ ხელში შევიდნენ მცხოვრებლებს. ახალშენებში ნაწარმოებთა გატანა, თავის მხრით, წარმოების გაფართოებას მოითხოვდა, და მამასადამე, ნედლი მასალის მოთხოვნის გაზრდაც აღიქმებდა.

ამავე დროს საახალშენო პროდუქტთა შემოტანის, მეტის-მეტად გადიდებას და თანაც ამ პროდუქტების ფასის დაწევას ხელს შეუწყობდა ფართოდ გავრცელებას, სხვათა შორის, მიწათმფლობელთა წრეებში. ამიტომ მიწათმფლობელებს მუდამ ფული ესაჭიროებოდათ და ხშირ-ხშირად მიმართავდნენ ამ პროდუქტებს და მუშავებდა, რომელთა მოთხოვნა უფრო დიდი იყო, პირველ ყოვლისა მატყლის დამუშავებას; ან აიძულებდნენ მოიჯარადრებებ, რომ მათ დაემუშავებინათ ეს პროდუქტები და ამ მ.ზნით საჯარო ქრის უმტებდნენ.

საერთო საეპრო აღებ-მიცემობაში სასოფლო მეურნეობის ჩაბმის ის მოჰყვა, რომ სასოფლო-სამეურნეო წარმოების პირობები და ამასთანავე ურთოდ მიწათმოქმედ მოსახლეობის მდგომარეობა ძარფესვიანად შეიცვალა. მიწათმფლობელნი ფული, გადიდებულ საქმიანობას იმით ეკმაყოფილებდნენ, რომ დამოკიდებულ მოსახლეობას მეტ ფულის ხარკს ადებდნენ, ან კიდევ, როგორც წინადაც სჩადიოდნენ, დამოკიდებულ და ნახევრად დამოკიდებულ გლეხების ნაცვლად თავისუფალ მოიჯარადრეებს აყენებდნენ, რომელთაც უფრო მეტი ძალა შესწევდათ გადასახადების გაღებისათვის. პირველთ, იქ, სადაც ჯერ ხელუხლებელი იყო ბატონყმობა (გერმანიის, უმთავრესად აღმოსავლეთ ნაწილში, ავსტრიისა და რუსეთში), ბაზარზე გასატანი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოება ყმათა შრომის გაძლიერებული ექსპლოატაცია აღიქმებდა. მემპყლეთა ნახნავეები გლეხთა ნახნავების შემცირებით გაიზარდა, გამრავლდა აგრეთვე ბატონისათვის სამუშაო დღეები და შემწირდა ის დღეები, როდესაც გლეხს თავისთვის შეეძლო ემუშავა ამავე დროს მიწათმფლობელის, სასარგებლო ბეგარისა და ხარკის გადიდებათა თან ერთად, სახელმწიფო გადასახადებზე გაიზარდა.

რაკი გლახს გადიდებული ხარკის გადასახდელად ფული ესაჭიროებოდა, ამიტომ იგი იძულებული იყო თავის შრომის პროდუქტთა უფრო და უფრო მეტი ნაწილი ბაზარზე გაესაღებინა და ამის დაგვირად შეემცირებინა მათი მოხმარება თავის ოჯახსა და მეურნეობაში. ამის წყალობით მისი მეურნეობა ჩამოქვეითდა; სამეურნეო ინვენტარი (მუშა-საქონელი; საბოჭლო-სამეურნეო იარაღები) შემცირდა. ამავე დროს ფართო საბრძოლო გადაეშალა სოფლის წვრლ მევახშეობას; მევახშე გლახს სქ.ბ. აძლევდა, ან ჯვართ ვასცემდა მიწას და სამაჯურიოდ ღალას ართმევდა, ან თავის საბარგებლოდ ამუშაებდა; ამ გზით მევახშე გლახებზე ხელედან აცლიდა დამზადებული პროდუქტებისა და სამუშაო დროის უფრო და უფრო მეტი ნაწილს. წვრილი სავაზო კაპიტალის ჩარევამ გლახების გალატაკება დაჩქარა. მას მიწათმოქმედება ველარ არჩენდა და ამიტომ იგი იძულებული იყო სხვა რომელიმე დამხმარე და გარეშე სამუშაოსათვის მიემართა. სხვის მიწაზე მუშაობის გარდა ასეთ აუცილებელ სამუშაოს წარმოადგენდა შინა-ხელოვნობა, ან ზამთრობით ქალაქად გასვლა სამუშაო, გააჩენად.

ამგვარად, სოფლის ცხოვრებაში საქონლის აღებ-მცემობისა და სავაჭრო ურთიერთობის დამკვიდრების პირველი შედეგება გლახობაზე დაკორებული ფულის ბეგარის გადიდება, გლახთა შრომის ექ-პლოატაციის გაძლიერება, მევახშეობის დაბუდება სოფლად, გლახთა მეურნეობის განადგურება, გალატაკების ზრდა და გლახობის პაუპერიზაცია იყო და ამავე დროს გლახობისაგან თითო-ორიოლა შეძლებულ მესაკუთრის გამოყოფა.

კიდევ უფრო აშკარად შეიცვალა იმ ქვეყნის სასოფლო მეურნეობის პირობები, სადაც სავაჭრო კაპიტალის გავლენა ფრთხილ დიდი იყო, მაგალითად ინგლისში და რამოდენიმე ქოლანდიისშიც. სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებს მოთხოვნილები გადიდებან მათი ფასის გადიდებაც თან სდევდა. მატყლს ფასმა მე-XVI საუკუნის განმავლობაში ერთნახევრად და ორჯელაც იმატა. პურის ფასი კიდევ უფრო სწრაფად იზრდებოდა. მოთხოვნილები ასეთ გადიდებას და ამავე დროს ფასების მომატებას, პირველყოველსა მატყლს ფასის მომატებას, მეცხვარეობდა და საძოვრ-საბალახო მეურნეობის ფართოდ გავრცელება მოჰყვა. ცოტა უფრო გვიან, მრეწველობის მიმდევარ მცხოვრებთა გამრავლებიან და პურის მოთხოვნილები გადიდებას გამოუ დაიბადა ინტერესი აგრეთვე ნამდვილ სამწათმოქმედო მეურნეობის მიმართ (ქოლანდიისა და ინგლისში მე-XVII საუკუნეს, საფრანგეთსა და ნაწილობრივ გერმანიაშიც — მე-XVIII საუკუნეს, რუსეთში — XIX საუკუნის პირველ ნახევარზე ადრე არა). უშენი ადგილები მოხნეს, ქობები ამოაშრეს, მიწათმოქმედების გაუმჯობესებული სისტემა შემოიღეს, მამაპაპურ სამ-მინდვროვან სისტემის ადგილი წესიერმა ექვს და შვიდ წლიან თესლცვლის (თესლბრუნვის) სისტემამ დაიჭირა.

სოფლის მეურნეობისადმი ინტერესის გაღვიძებას და ადგილ-მამულთ შემოსავლს გადიდებას მიწის საიჯარო ქირისა და გასაყიდ ფასის მომატება მოჰყვა. ასეთ პირობებში ღარბ გლახობის მეურნეობა, როგორც

შედარებით უმნიშვნელო გადასახადს იძლეოდა (ჩინში, ცენზი), მიწათმფლობელს ზედმეტ ტვირთად იწევა და ხელს უშლიდა, რომ თავის მამულსაგან უფრო დიდი ხური ენახა. ამიტომ მიწათმფლობელნი თითონვე ცდილობდნენ ამ ტვირთსაგან გათავისუფლებას; ხალისიანად ათავისუფლებდნენ გლეხებს გამოსაყიდ თანხა გადახდომ შემდეგ და ზოგჯერ უსასყიდლოდაც კი. უკვე საქალაქო მეურნეობის ცხოქმად დაწყებულ პატონყმობა, დარღვევასა და მოპობის პროცესი, ახლა, სავაჭრო კაპიტალიზმში ბატონობის დროს, სწრაფად უახლოვდებოდა თავის აღსასრულს, იმდენად უფრო სწრაფად, რამდენადაც სავაჭრო კაპიტალი უფრო მეტ გავლენას ახდენდა სოფლის ცხოვრებაზე.

საქალაქო ბატონყმობა საბოლოოდ უკვე საშუალო საუკუნეებში გადავიდა; ჰოლანდიაში და ინგლისში ბატონყმობა უკანასკნელი კვალ აგრეთვე უკვე მე-XV საუკუნეში წაიშალა. მე-XVII და მე-XVIII საუკუნეებში ინგლისის მეურნეობის გაბატონებულ ფორმას მსხვილი საფერმერო მეურნეობა წარმოადგენდა. საფრანგეთში ანტი მსხვილი მეურნეობა მხოლოდ მე-XVIII საუკუნის მეორე ნახევარში გაჩნდა, მაგრამ აქაც პირადი ყმა მხოლოდ იშვიათი გამონაკლია იყო. გლეხთა უმრავლესობას მიწათმფლობელებთან საადაგვლამბულო ურთიერთობა ჰქონდათ, პირადად კი მათზე დამოკიდებულნი არ ყოფილან, ე. ი. მიწით სარგებლობისათვის ზედუდასხვა გადასახად და ვალდებულება უნდა ეტვირთათ, ხოლო როცა მიწას დასტოვებდნენ, მიწათმფლობელს მამართ ყოველგვარი ვალდებულებისაგან უნდა გათავისუფლებულყვენ. ეკონომიურად ჩამორჩენილ ქვეყნებში, გერმანიასა, ავსტრიასა და რუსეთში გლეხთა განთავისუფლების პროცესი გაკვიანურდა, როგორც დაინახეთ, შემოსავლიანობის გადიდება ასეთ ქვეყნებში თავდაპირველად ყმათა შრომის ექსპლოატაციის შეუხსტებით კი არ ხდებოდა, არამედ გაძლიერებით. ეკონომიურად ჩამორჩენილ ქვეყნებში მე-XVII და მე-XVIII საუკუნეში ბატონყმობისა და ბატონყმურ მეურნეობის უაღრეს განვითარების ხანას წარმოადგენდნენ გერმანიაში ბატონყმობამ მე-XIX საუკუნის დამდეგამდე გატანა, ავსტრიაში იგი საბოლოოდ მხოლოდ 1848 წლის რევოლუციამ მოპო. რუსეთში გლეხობის ნაწილობრივი განთავისუფლება ჩრდილოეთ სამრეწველო გუბერნიებში მე-XIX საუკუნის პირველ ნახევარს დაიწყო, ხოლო ბატონყმობის გაუქმება, როგორც საერთო ღონისძიება, 1861 წელს იქნა განხორციელებული.

გლეხებს, რომ ათავისუფლებდნენ, მათ ჩვეულებრივ მიწას ჩამოაკლებდნენ, ხშირად კი სრულიად უმიწაწყლოდ დატოვებდნენ. მიწაწყლოს ჩამორთმევის მეტ-ნაკლებობა ამა თუ იმ ქვეყანაში დამოკიდებული იყო სავაჭრო კაპიტალის გავლენის დონეზე. რაც უფრო დიდი იყო ეს გავლენა, მით უფრო დიდი მოთხოვნილება ჰქონდათ ბაზარზე საქონლო-სამეურნეო პროდუქტებს, მით უფრო მეტად ხარბდებოდა მიწათმფლობელი, მეტად ცდილობდა საბოლოოდ მოეცილებინა თავიდან გლეხები და, ან თვითონ მოეკადა მეურნეობისათვის, ხელი, ან მსხვილა მოიჯარადრეობისათვის მიეცა მიწები და უფრო ხელსაყრელი პირობით.

გლეხობის უმიწაწყლობა მეტადრე ინგლისში გაიზარდა, რადგან იქ მატყლს მოთხოვნილებამ ამატა და მეცხვარეობა განვითარდა. მე-XV საუკუნის ნახევარამდე ინგლისში მატყლის დამუშავება არ წარმოებდა და ის ნელ-ნელა მასალად გაჰქონდათ უმთავრესად ფლანდრიაში. მე-XV საუკუნის მეორე ნახევრიდან ინგლისში თანდათან მუდმივ საკუთარი მრეწველობა განვითარდა და ამ დროიდან მუდმივ ინგლისიდან გატანულ საქონელთა შორის ერთი უმთავრესი ადგილი დაიჭირა. ერთი მხრით, ინგლისური მატყლის საზღვარგარეთ გატანამ, მეორე მხრით, მისი ადგილობრივ მოხმარებას გაძლიერებამ. მატყლს არაჩვეულებრივი მოთხოვნილება შეჰქმნა და მეცხვარეობა მეურნეობის ერთ-ერთ ფრიად სახიერო დარგად აქცია. ამის გამო მიწათმფლობელებმა თანდათან ხელში ჩაიგდეს და „შემოღობეს“ სათემო მიწედებები (მანამდე თემის საკუთრებად მიჩნეულ მიწედებებზე არავითარი კერძო ღობეები არ არსებობდა); ამ „შემოღობა“ ხშირად ის მოხდებოდა, რომ მიწის-მხენელებს ღრუბლივით ერეკებოდნენ შემოღობილი ადგილებიდან. მიწათმფლობელნი დაჩემებულ ზიწებს ცხვრების საძოვრად აქცევდნენ. მე-XVI საუკუნის ერთი საკანონმდებლო აქტის მოწმობით, იშვიათი არ იყო ისეთი მეურნეობა, რომელიც 6 — 6 ათას ცხვარს შეეკავდა. ზოგიერთ პარებს კი 20 და 25 ათასი ცხვარი ფარავდა. „ცხვრები ადამიანებს სჭამენო“, „უტოპის“ ავტორის (ტ. მორის) ეს სურათოვანი სიტყვები 'ხშირად გაუმეორებიათ მე-XVI საუკუნის სხვა მწერლებსაც. მაგალითად, ტ. მორის ერთი თანამედროვე ჩიოდა, „ცხვრები სჭამენ ჩვენს მიწედებსა და საძოვრებს, ჩვენს პურს, ჩვენს ტყეს, ქალაქებსა და სოფლებსაო“. ჯერ კიდევ მე-XV საუკუნეში საძოვარი ადგილები სასოფლო-სამეურნეო მიწების ერთ მეოთხედზე ნაკლები იყო, ხოლო მე-XVI საუკუნის ნახევარში საძოვარი ადგილებს სახანავე მიწებზე ნაკლები ფართობი არ ექონათ; კიდევ ხანმა განვლო და თითო აკრ სახანავე მიწაზე სამი აკრი საძოვარი ადგილი მოდიოდა. „შემოღობა“ მხნედ წარმოებდა მეტადრე მე-XV საუკუნის დამლევეს და მე-XVI საუკუნის პირველ მეოთხედში. შემდეგ მე-XVIII საუკუნის მეორე ნახევარში და მე-XIX საუკუნის დამლევეს, როდესაც შემოღობულ იქნა სამანქანო ფეიქრობა. რამაც ხელახლა გაადიდა მატყლის მოთხოვნილება რის გამო, უკვე გასული საუკუნის დამლევეს ინგლისში გლეხობა თითქმის სრულებით გაჰქრა.

შემოღობის სისტემა ევროპის სხვა სახელმწიფოებშიაც არსებობდა, მაგალითად აფრანგეთსა და გერმანიაში. მაგრამ აქ სრულებითაც არ ჰქონებია ისეთი განსაკუთრებული, ფართო ხასიათი, როგორც ინგლისში. მიწათმფლობელნი რომ სათემო მიწებს დაიჩემებდნენ, ასევე გლეხებს აძლევდნენ სამუშაოდ და სხვადასხვა გადასახადს ახდევინებდნენ, თავისუფალ მოიჯარადრეებს იწვევდნენ, ან კიდევ ამ მიწებზე საკუთარი მეურნეობას გაიჩენდნენ. შემოღობის სისტემის ნაყოფი ის იყო, რომ გლეხობის თვალსაჩინო ნაწილი ყველგან გაღატაკდა და მიწა-წყალი დაჰკარგა, ამასთანავე მაწანწალობაც გაძლიერდა.

თავის მიწა-წყლიდან აყრილი გლეხები იშვიათად შოულობდენ სამუშაო, სასოფლო მეურნეობაში, მეტადრე იქ, სადაც გავრცელებული იყო საძოვარ-საბალახო მეურნეობა. იგივე ტ. მორი სწერდა: „ისინი სიამოვნებით იმუშავებდენ, მაგრამ სამუშაოს ვერ შოულობდენ. ახლა ერთ ფარას ერთი მწყემსი ეყოფა, წინად კი ხვანათესავს მრავალი-ხელი სჭირდებოდა!“ ნაჩვევი კალაპოტიდან ამოყრილ პართათვას ერთად-ერთ ხანასა და გამოსავალს შინა-ხელოსნობა და საზოგადოდ მრეწველობის დარგში შრომის გაჭირავება შეადგენდა. მაგრამ სოფლის მოსახლეობის პროლეტარზაცია, მეტადრე ინგლისში, ისეთი სწრაფი ნაბიჯით მიიმართებოდა, რომ მრეწველობისათვის საჭირო დაჭირავებული შრომის მოთხოვნილებას ძალიან წინ უსწრებდა. ამგვარად უმიწა-წყლოდ მრავალ გლეხისათვის მრეწველობაში საქმე არ მოიპოვებოდა; ამიტომ ერთი თანამედროვეს სიტყვით შათი ელა დარჩენიდათ, რომ „სახელმწიფოს ერთი კუთხიდან მეორეში ეწანწალათ, სადაც მოხვდებოდათ იქ წასულიყვენენ, ემათხოვრათ ან კიდევ ქურდობისათვის მიუყოთ ხელი! მე-XVI საუკუნის დამლევს ლიტერატურაც და ოფიციალური დოკუმენტებაც მუდამ ჩიოდენ მაწანწალობის არაჩვეულებრივ გავრცელებას. მაწანწალების წინააღმდეგ უღმობელ სასჯელს ხმარობდენ, სიკვდილითაც კი სჯიდენ შათ. მაგრამ, ცხადია, ვერავითარი სასჯელი საქმეს ვერ უშველიდა მაშინ. როდესაც ყველაზე ნაკლებად თვით დასჯილი იყვნენ დამნაშავენი. ასეთავე მოვლენას, თუმცა უფრო მკრთალად, ევროპა, სხვა სახელმწიფოებშიც კიონდა აღგალითაღ, მაწანწალობა გავრცელებული იყო საფრანგეთშიც; ჯერ ისევ რევოლუციის წინ ხანებში იქ მოთხოვართა მრავალრიცხოვანი კლასი არსებობდა (mendiantes).

(ი. ტიუმენევი — „შრომის ისტორია“).

§ 7. შრომის ტერიტორიალური დანაწილება და მიწათმოქმედების განმარტოვება მრეწველობისაგან

საზოგადოდ შრომის დანაწილებასთან უშუალოდ დაკავშირებულია, როგორც უკვე აღანიშნა. შრომის ტერიტორიალური დანაწილება, ცალკე რაიონების სპეციალიზაცია ერთი პროდუქტის, ხან ერთი ხარისხის პროდუქტის ან პროდუქტის განსაკუთრებული ნაწილის წარმოებაში. ხელის წარმოების გაბატონება. მრავალი წერილი საწარმოს არსებობა, მუშაკის მიწათან კავშირის შენარჩუნება. ხელოსნის მიკვრა რომელიმე სპეციალობაზე. — ყოველივე ეს აუცილებლად იწვევს მანუფაქტურის ცალკე სამრეწველო ოლქების კარჩაკეტობას; ხანდახან ეს ადგილობრივი კარჩაკეტობა უდრის მოწყვეტას მთელი ქვეყნისაგან. რომელთანაც კავშირი აქვთ მხოლოდ ვაჭარ-მებატრონეთ.

ქვემოთ მოყვანილ ტრიადაში ბ. ზარიზომენოვი საკმარისად ვერ აფასებს შრომის ტერიტორიალურ დანაწილების მნიშვნელობას: „იმპერიის თვალუწვდენელი სივრცე დაკავშირებულია ბუნებრივ პირობების დიდ სხვადასხვაობასთან: ერთი ადგილი მდინარის ტყით და ნადირით, მეორე — პირუტყვით, მესამეში უხვდაა თიხა ან რკინის საბადოები. მრეწველობის

ხაიათსაც ე: ბუნებრივი თვისებებია საზღვრავდენ. დიდ, მანძილი და მი-
მოსვლას სიძნელე შეუძლებელს ხდიდა ან ძალიან აძვირებდა ნედლეუ-
ლის ვადატან-გამოტანას. ამის გამო სარეწავი ძალაუნებურად უნდა შეკ-
ფარებოდა იმ ადვ:ლს. სადაც ხელში აწვდომი იყო უხვი ნედლი მასალა.
აქედან წარმოდგა ჩვენი მრეწველობის ნიშანდობლივი თვისება: — საქონ-
ლის წარმოებას სპეციალიზაცია უღედეს და მთლიან რაიონებში“.

შრომის ტერიტორიალური დანაწილება ნიშანდობლივი თვისებაა არა
ჩვენი მრეწველობის. არამედ მანუფაქტურის (როგორც რუსეთში, ისე სხვა
ქვეყნებში); წერილი სარეწავები ვერ ჰქმნიდენ ა.ეთ ფართო რაიონებ,
ფაბრიკამ დაარღვ:ა მათი კარჩაკეტილობა და გაადვილა საწარმოება და
მუშათა მასის სხვა ადვ:ლებში გადატანა. მანუფაქტურა არა თუ ჰქმნ:ს
მთლიან რაიონება, არამედ შეაქვ: აგრეთვე სპეციალიზაცია შიგნ:თ ასეთ
რაიონებში (შრომის დანაწილება საქონლის მიხედვით). ნედლეულის არსე-
ბობა ამ ადგილებში — სრულებითაც არაა სავალდებულო მანუფაქტუ-
რისათვის. და საეკვია ჩვეულებრივი იყოს მისთვის, ვინაიდან მანუფაქტუ-
რა საკმაოდ ფართო სავაჭრო ურთიერთობას გულისხმობს.

მანუფაქტურის ზემოთ აღწერილ თვისებებთან დაკავშირებულა ის
გარემოება, რომ კაპიტალიტური ევოლუციის ამ საფეხურ: ახსიათება
მრეწველობისაგან მიწათმოქმედების გამოყოფის განსაკუთრებული ფორ-
მა ახლა ყველაზე ტიპური მრეწველია არა გლეხი, არამედ „ხელოსანი“.
რომელიც მიწათმოქმედებას აღარ ეწევა (მეორე პოლუსზე — ვაჭარი და
ახელოსანი; შეპატრონე). უმეტეს შემთხვევაში (როგორც ზემოთ ვნახეთ)
მანუფაქტურისებურად მოწყობილ სარეწავებს აქვთ არა სამ:წათმოქმედო
ცენტრები: ან ქალაქები, ან (უფრო ხშირად) სოფლები, რომელთა მცხოვ-
რებნი თითქმ:ს აღარ მსდევენ მიწათმოქმედება და რომელნიც სავაჭრო-
სამრეწველო ხაიათის მოახსლეობაზე უნდა იქნენ მწერაღნი. მიწათმოქ-
მედებასაგან მრეწველობის გამოყოფას აქ ღრმა საფუძველი აქვს, რომე-
ლიც იმალება როგორც მანუფაქტურის ტექნიკასა და ეკონომიკაში. ისე
მის საყოფაცხოვრებო (თუ კულტურულ) თავიებულებაში. ტექნიკა მუშას
ერთ სპეციალობაზე აჯაქვავს. ამიტომ იგი ვას ხდ:ს. ერთი მხრით, მიწათ-
მოქმედებისათვის გამოუსადეგრად (აუძლურება და სხვ.), მეორე მხრით,
თხოულობს მიღვან შეუსყვეტელ და ხანგრძლივ მწაულას ხელოსანობ:სა-
თვის. მანუფაქტური, ეკონომიური წყობა ხსიათდება მრეწველობა გა-
ცილებ:თ უფრო ღრმა დიფერენციაცი:თ, ვადრე წერ:ლ სარეწავებში, —
ხოლო ჩვენ ვნახეთ, რომ წერილ სარეწავებში მრეწველობის დაშლ:თან ერ-
თად წარმოებს დაშლა მიწათმოქმედებაშიაც. მწარმოებელთა მასი: სრუ-
ლი გალატაკების დროს, რომელიც მანუფაქტურის პრობაცია და შედე-
გიც. — მისი მუშა პერსონალი არ შეიძლება შედგეს ცოტად თუ ბევრად
რიგვან მიწათმოქმედთაგან. მანუფაქტურის კულტურულ თავიებულებას
ეკუთვნის. პირველი, სარეწავის დიდხნის (ხანდახან საუკუნით) არსებობა,
რომელიც განსაკუთრებულ ბეჭედს აქვამს მოახსლეობას; მეორე, მოახსლე-
ობის უფრო მაღალი ცხოვრებია დონე. ამ უკანასკნელ გარემოებას შევე-
ხებით ახლა დაწერილებით, მაგრამ თავდაპირველად აღვნიშნავთ, რომ

მრეწველობის და მწათმოქმედების სრულ დაცვლებას მანუფაქტურა ვერ ახდენა. ხელის ტექნიკით მახვილ საწარმოებს არ შეუძლიათ სავსებით გააძევიონ წვრილები, მეტადრე თუ წვრილი შინამრეწველნი აღიდებენ სამუშაო დღეს და ამცირებენ თავის მოთხოვნილების დონეს: როგორც ვნახეთ, ასეთ პირობებში მანუფაქტურა კიდევ ავითარებს წვრილ სარეწავეებს. ამ ტომ მანუფაქტურის არასამწათმოქმედო ცენტრი, გარშემო ჩვენ გამჩნევთ უმეტეს შემთხვევაში სამიწათმოქმედო სოფლები, მთელს ოლქს, რომლის მცხოვრებნიც აგრეთვე სარეწავეებს მასდევნენ. მაშასადამე, ამ შემთხვევაშიაც მკაფიოდ მოჩანს მანუფაქტურის გარდამავალი ხასიათი წვრილ ხელის წარმოებასა და ფაბრიკას შორის. კაპიტალიზმში მანუფაქტურულმა პერიოდმა თუ თვით დასავლეთშიაც ვერ ჩამოაშორა სავსებით მწათმოქმედებას სამრეწველო მუშებ: ვერ მოახდინა უკანასკნელთა სრული გამოყოფა. — ცხადია, რუსეთში, ახლაც შენაბუნა მრავალი გლეხები მწაწაზე მიმაგრებული დაწესებულება, ასეთ გამოყოფას უსათუოდ უნდა დაეგვიანებია. ამიტომ, ვიწროებთ. რუსეთის კაპიტალიზტური მანუფაქტურისათვის ყველაზე ტიპურია არა სამიწათმოქმედო ცენტრი. რომელიც თავისკენ იზიდავს: მოსახლეობას ახლო-მახლო მდებარე სოფლებიდან, — რომელთა მცხოვრებნი ნახევრად მიწათმოქმედნი. ნახევრად მრეწველნი არიან, — და რომელც ფლობს ამ სოფლებს.

ამასთან განსაკუთრებით საყურადღებოა ასეთი არასამიწათმოქმედო ცენტრების მოსახლეობის უფრო მაღალი კულტურული დონე. წერა-კითხვის ცოდნა სიმაღლე, მოთხოვნილებათა და ცხოვრების მაღალი დონე, „უსახურ“ „დედუღულ-სოფლისაგან“ ჩამოშორება — ასეთთა მოსახლეობას ჩვეულებრივი დამახასიათებელი თვისებები. ამგვარ ცენტრებში ცხადია, რადი მნიშვნელობა აქვს ამ ფაქტს, რომელიც თვალნათლივ მოწმობს პროგრესიულ ისტორიულ როლს კაპიტალიზმისას, მასთან წმინდა „სახალხო“ კაპიტალიზმისას, რომლის „ხელოვნურობაზე“ უკიდურესი ხალხოსანიც ევერაფერს იტყვის, ვინაიდან დახასიათებული ცენტრების დიდი უმრავლესობა ჩვეულებრივ „შინამრეწველობას“ მიეკუთვნება! მანუფაქტურის გარდამავალი ხასიათი აქაც მოჩანს, რადგან მოსახლეობას სულთერი ვითარების გარდაქმნასაც იწყებს. ხოლო მსხვილი სავაჭარო ინდუსტრია ძირულებს.

(გ. ლენინი — „კაპიტ. განვითარება რუსეთში“).

§ 8. სოფლის მოსახლეობის მიწის მფარველობა

ინგლისში ბატონყმობა ფაქტურად მე-14 საუკუნის დასმდე მოხსპო. მოსახლეობის დიდი უმრავლესობა მაშინ, — და უფრო-კი მე-15 საუკუნეში, — თავსუფალი გლეხებისაგან შედგებოდა, რომელნიც თავის საკუთარ მეურნეობას იწარმოებენ, რანაირი ფეოდალური სამონქელითაც არ იყო დაფარული მათი საკუთრების უფლება. დიდი საბატონო მამულებს მოურავი (bailiff), ოდისიაც ყოფილი ყმა, განდევნილი იქნა თავისუფალი ფერმერების მიერ. სამიწათმოქმედო დაქირავებული მუშები ნაწილობრივ შედგებოდნენ გლეხებისაგან, რომელნიც თავისუფალ დროს მახვილ მემ-

მულკებთან მ დიოდენ სამუშაოდ. ნაწილობრივ-კლ— განსაკუთრებული, შე-
ღარებით და აბსოლუტურად მციდერიცხოვანი, დაჭირავებული მუშე-
ბის, — ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით, — კლასისაგან. ამასთანავე ეს
უკანასკნელიც ფაქტიურად დამოუკიდებელი მეურნე გლეხები იყვნენ,
რადგანაც შრომის ხელფასის გარდა მათ კოტეჯი და 4 — 5 აკრი სახნავი
მიწა ეძლეოდათ. გარდა ამისა, ნამდვილ გლეხებთან ერთად ისინი სარგებ-
ლობდნენ სათემო მიწებით, სადაც თავიანთ საქონელს აძოვებდნენ და შოუ-
ლობდნენ სათბობ მასალას: შეშას, ტორფს და სხვ. *).

ევროპის ყველა ქვეყანაში ფეოდალურ წარმოებას ახასიათებს მიწის,
დანაწილება, რაც შეიძლება მეტ. ფეოდალებიდან დამოკიდებულ პირთა
შორის. მსგავსად ყველა სუვერენისა, ფეოდალური ბატონობის ძლიერებაც
დამყარებული იყო არა მის შემოქმედებელზე, რომელიც შედგებოდა სა-
ჯარო გადასახად-საგან, არამედ — მისი ქვეშევრდომების რაცხეზე, ხოლო
ეს უკანასკნელი დამოკიდებული იყო გლეხების რაცხეზე, რომელიც და-
პოუკიდებელ მეურნეობას აწარმოებდნენ **. თუმცა ინგლისში, მაშა-წყალი
ნორმანების მიერ დაპყრობა, შემდეგ დაყოფილი იყო უზარმაზარ საბა-
რონობად და თითოეული მათგანი ხშირად 900 ძველ ანგლო-საქსურ სა-
ლორდოს შეიცავდა. მიუხედავად ამისა, ღვი მოფენილი იყო პატარ-პატარა
გლეხური მეურნეობით, სადაც მხოლოდ აქა-ქ მდებარეობდა მსხვილი სა-
ბატონო მაშული. საყოფლო მეურნეობის აეთმა ურთიერთობამ და იმავე
დროს ქალაქური ცხოვრების აყვავებამ, რომელიც ასე დამახასიათებელია
მე-15 საუკუნისათვის, შექმნა იმ სახალხო სიმდიდრის შესაძლებლობა, რომ-
ელიც მკვერპეტყველურად აწერა კანცელერმა Fortescue-მ თავის „Lau-
bidus Legum Angliae“-ში, მაგრამ ეს ურთიერთობა უარყოფდა კაპიტა-
ლისტური სიმდიდრის შექმნას.

იმ გადატრიალების პროლოგს, რომელმაც კაპიტალისტური წარმოების
საფუძველი შექმნა, ადგილი ჰქონდა მე-15 საუკ. უკანასკნელ მესამედში
და მე-16 საუკ. პირველ ათწლეულებში. ფეოდალური რაზმების დაშლის
გამო, რომელიც, სერ ჯემს სტიუარტის სწორე შენიშვნით, „ყველ-
გან უსარგებლოდ და ზედმეტად ავსებდნენ სასახლეებსა და დარბაზებს“,
შრომის ბაზარზე გატყუორნილი იყო ფრინველივით თავისუფალი პროლე-
ტარებელ მასა. თუმცა მეფის ძალაუფლება, რომელიც თავთ ბურჟუაზიუ-

* არასოდეს არ უნდა დავივიწყოთ, რომ თვით ყმა არა მარტო მესაკუთრეა, —
ცუნდაც ლალის გადამხდელი მესაკუთრე, — მცირე მიწის ნაკვეთებისა, რომლებიც მის
კარმიდამოს აკრავს, არამედ სათემო მიწის თანამოზარეც. „გლეხი აქ (სილენიაში)
უნა არის“. მიუხედავად ამისა, ეს ყმები სათემო მიწებს ფლობენ. „დღემდის სილენი-
ლები ჯერ კიდევ ვერ დაუთანხმებიათ სათემო მიწების დაყოფაზე, მაშინ როდესაც
Neumark-ში არ მოიპოვებია არც ერთი სოფელი, სადაც ეს დაყოფა არ მომხდარიყოს
დიდი წარმატებით“ (Mirabeau).

**) ამაში თავის მიწათმფლობელობის წმინდა ფეოდალური ორგანიზაციით და
თავისი განვითარებული წერილ-გლეხური მეურნეობით ევროპულ საშუალო საუკუ-
ნების უფრო სწორ სურათს იძლევა, ვიდრე ყველა ჩვენი ისტორიული წიგნი, რომე-
ლიც, უმეტეს შემთხვევაში, ბურჟუაზიული ცრურწმენებით არის გაყვნილი საშუა-
ლო საუკუნეების ხარჯზე „ლიბერალიზმ“ მეტად იოლი რამეა.

ლა. განვითარების შედეგი იყო, აბსოლუტურ ბატონობისაგან მისწრაფო-
და და ძალით აჩქარებდა ამ რაზმების დაშლას, მაგრამ იგი არ იყო მოვ-
ლენის პირდაპირი მიზეზი. თვით მსხვილმა ფეოდალებმა, რომელნიც სა-
ტიკ წინააღმდეგობას უწყევდნენ მეფის ძალაუფლებას და პარლამენტს, გა-
ცილებით უფრო მრავალრიცხოვანი პროლეტარიატი შექმნეს მით. რომ
ძალით მიითვისეს სათემო მიწები და განდევნეს გლეხები მწებრიდან, რომ-
ლებზედაც ამ გლეხებმა ისეთვე ფეოდალური უფლება ჰქონდათ, როგორც
თვით ფეოდალებს.

ამ მოვლენის უშუალო მიზეზი ინგლისში იყო ფლანდრიელ მატყლის
მანუფაქტურის აყვავება და მასთან დაკავშირებული მატყლის ფასების
აწევა. ძველი ფეოდალური თავადაზნაურობა დღემ ფეოდალურმა ომებ-
მა შთანთქა, ხოლო ახალი თავისი დროს შეიღო იყო, რომელსაც ფული
ძლიერთა შორის უძლიერებად, მიანდა. მის ღონისძიად შეიქნა სახნავი
მიწები, გადაქცევა ცხვრების საძოვრად. თავის წიგნში ჰარისონი მო-
გვითხრობს, თუ რანაირად ანადგურებს ქვეყანას წვრილი გლეხის ექს-
პროპრიაცია.

რა ენაღვლება ჩვენს დიდ უზურპატორებს?... გლეხების ბინები და
მუშების კოტეჯები ან განადგურებული იყვნენ ძალდატანებით, ანდა უპატ-
რონოდ მიტოვებულნი. „თუ ჩვენ“, — ამბობს ჰარისონი, — „შევიდა-
რებით თითოეულ საბატონო მამულს, ძველ აღწერას, დავცნახავთ, რომ
არულად გაქრა ურაცხვი სახლი და წვრილი გლეხური მეურნეობა, რომ
მიწა გაცილებით ნაკლებ ხალხს ასაზრდოვება, რომ მრავალი ქალაქი გა-
ნადგურდა, თუმცა ახალიც აყვავდა... მე შემეძლო ბევრი რამ შეთქვა ქა-
ლაქებზე და სოფლებზე. რომლებიც ცხვრებს საძოვრებისთვის იყვნენ გა-
ნადგურებულნი და სადაც მხოლოდ მებატონეთა სახლები დარჩა“.

ამ ძველი ქრონიკების მოთქმა მუდამ გადაჭარბებულია, მაგრამ ზედმე-
წყენით გამოხატავს იმ შთაბეჭდილებას, რომელიც მოახდინა მაშინ საწარ-
მო-ოორთიერთობის რევოლუციამ თვით თანამედროვეებზე. თუ ერთმა-
ნეთს შევადარებთ კანცლერ Foptescue-ს და ტომას მორის თხზულე-
ბებს, აშკარად დავცნახავთ იმ უფკრულს, რომელიც არსებობს მე-15 და
მე-16 საუკუნეებს შორის. როგორც სამართლიანად ამბობს ტორნტონი,
ინგლისის მუშათა კლასი, თავისი ოქროს საუკუნიდან ყოველი გარდა-
შავალი საფეხურის გარეშე ტრენის საუკუნეში იქნა გადატყორცილი.

კანონმდებლობა შემსწრებული იყო ამ გადატრიალებით. იგი ჯერ კი-
დეც არ იდგა ცივილიზაციის ამ სიმალღეზე, სადაც „Wealth of the Na-
tion“ („ეროვნული სიმდიდრე“), ე.ი. კაპიტალის შექმნა და ხალხური მა-
სის შეუზღოვებელი ექსპლოატაცია და პაუპერიზაცია უმალღეს სახელ-
მწიფოებრივ სიბრძნედ არის მიჩნეული. ჰენრიხ VII-ის ისტორიაში ბე-
კონი ამბობს: „ამ დროს (1489 წელს) გამრავლდა საჩაგრები სახნავი
მიწები: გადაქცევის გამო საძოვრებად (ცხვრების და სხვ.). რომელთა მე-
თვალყურეობა რამდენიმე მწყემსს ადვილად შეუძლია; ის მიწები, რომელ-
ნიც გაქცეულნი იყვნენ რამდენიმე წლის, სამუდამო, ანდა წლოური იჯა-
რათ (წლოური იჯარით „yeomen-ებს, ე.ი. თავისუფალი მიწათმფლობე-

ლებს დიდი ნაწილი ცხოვრობდა), საბატონო მენამულებად იქნენ გადაქცეული. ამას შედეგად მოჰყვა ხალხის და, ამგვარად, ქალაქებს, ეკლესიების და მეთოდების განადგურება... მეფე და პარლამენტი განსაკვიფრებელი სიბრძნით ცდილობდნენ ამ ბოროტებას მოსპობა... მათ მიიღეს ზონები წინააღმდეგ მოსახლეობის განმანადგურებელი სათემო მიწების უზრუპაციისა (depopulating inclosures) და წინააღმდეგ მოსახლეობის გამანადგურებელი საძოვართა მკურნეობისა (depopulating pasture), რომელთაც ფეხდა-ფეხ მსდევდა ამ უზურპაციას“.

ჰენრი VII-ის აქტით, 1489, აკრძალული იყო ყველა იმ გლეხთა სახლების დანგრევა, რომელთაც, სულ ცოტა, 20 აკრა მიწა მათს ეკუთვნოდა. ჰენრი VIII-ის 25 აქტით ეს კანონი განახლებულ იქნა. იქ, სხვათა შორის, ნათქვამია: „საიჯარო მიწების უმრავლესობა და საქონლის დიდი ჯოგები, განსაკუთრებით ცხვრების ფარა, მცირეოდენთა ხელში თავმოყრილი, რის გამო მიწის რენტა მეტად გაიზარდა, მიწათმოქმედება (tillage) მეტად დაეცა, ეკლესიები და სახლები განადგურდნენ და ხალხი უამრავმა მასებმა დაჰკარგეს თავისი გამოკვებისა და ოჯახების რჩენის შესაძლებლობა“. ამიტომ კანონი მოთხოვდა განადგურებულ გლეხთა სახლების აღდგენას, განსაზღვრავს სახნავ მიწებისა და საძოვრებს შორის შეფარდებას და სხვ. 1533 წლის აქტს გოდებს, რომ ზოგიერთი მებაკუთრეს 24.000 ცხვარი ჰყავს, და მათი რიცხვი 2.000-მდე დაჰყავს*).

ერთნაირად უნაყოფო იყო როგორც ხალხი ჩივილი, იმე ჰენრი VII-დან დაწყებული 150 წლის განმავლობაში გამოცემული კანონები, რომლებიც მიმართული იყო წერილი ფერმერების და გლეხთა ექსპროპრიაციის წინააღმდეგ. მათი უშედეგობა სადუმლოება შეუგნებლად გა-

*) თავის „ურბაინში“ ტომას მორი მოგვითხრობს ისეთ უცნაურ ქვეყანაზე, სადაც „ცხვრები ადამიანებს ჰამენ“.

*) ბეკონი ერთმანეთს უკავშირებს თავისუფალ შეძლებულ გლეხობას და კარგ ინფანტრას. „სამეფოს ძლიერებისა და ზენ-ჩეულების სიმტკიცისათვის ფრიად მნიშვნელოვანი იყო საკმაო ზომის იჯარის შენახვა, რათა უზრუნველყოფილიყო ჯანსაღ და მარჯვე ადამიანთა არსებობა და განმტკიცებულიყო სამეფოს მიწების დიდი ნაწილის მფლობელობა yeomanry-ს ხელში, ანუ იმ ადამიანთა ხელში; რომელთაც საშუალო ადგილი უჭირავთ კეთილშობილთა, ღარიბ გლეხთა (cottagers) და ბოვანთა შორის... ვინაიდან სამხედრო საქმის ფრიად მცოდნე პირთა საერთო აზრით... არმის მთავარი ძალა ინფანტრია ანუ ქვეითა ჯარი შეადგენს. მაგრამ კარგი ინფანტრია რომ შეიქმნეს, ამისთვის საჭიროა ხალხი, რომელიც აღზრდილია არა მონობაში, არამედ თავისუფლად და განსაზღვრულ კმაყოფილებაში. ამიტომ, თუ სახელმწიფო უმთავრესად აზნაურებისა და კეთილშობილებისაგან შედგება, ხოლო სოფლის მოსახლეობა და გუთნით მხენელები უბრალო მუშები ანუ ყმები არიან, ანდა ბოვანოები, ი. ე. მათხოვრები, რომელთაც თავიანთი ქოხები აქვთ, ასეთ პირობებში შეიძლება კარგი კვალიერია შედგეს, მაგრამ არასოდეს არ შედგება კარგი, მტკიცე ქვეითი ჯარი... ამის მგავლითებს ჩვენ ვხედავთ საფრანგეთსა, იტალიას და ზოგიერთ სხვა უცხო ქვეყნებში. სადაც ფაქტურად მთელი მოსახლეობა მხოლოდ თავდაზნაურობის და ღატაკი გლეხობისაგან შედგება. ამიტომ ისინი იძულებული არიან იყოლონ თავიანთი ქვეითი ჯარებისათვის შევიცარიული და სხვ. დაქირავებული ბანდები; აქედან წარმოდგება აგრეთვე ის, რომ ამ ნაციებს ხალხი ბევრი ჰყავთ, ჯარისკაცები-კი ცოტა“.

ამელანა ბეკონმა. „ჰენრი VII-ის აქტი“, — ამბობს იგი თავის „Essays, civil and moral“-ში, Sect. 20, — „ღრმაზროვნანი და განსაცუფრებული იყო, რადგანაც მან განსაზღვრული ნორმალური ზომის სასოფლო მეურნეობა და კარმიდამოები შექმნა, ე. ი. მან დაუტოვა სოფლს მეურნეებს მიწის იმდენი რაოდენობა, რომ მათ შესძლებოდა მიეცათ სახელმწიფოსთვის საკანონო უზრუნველყოფილი ქვეშევრდომები და არა მონება, და იმავე დროს, გუთანი სჭეროდა თვით მესაკუთრეს და არა დაქირავებულ მუშას“.

კაპიტალისტურა ჩისტემა, პირიქით, ხალხს მანების მონურ მდგომარეობას მოითხოვდა, მათ გადაქცევას დაქირავებულად და მათი შრომის გადაქცევას კაპიტალად. ამ გარადამავალ პერიოდში, განმავლობაში კანონმდებლობა ცდილობდა სოფლის დაქირავებულ მუშას თითოეული კოტეჯისათვის 4 აკრი მიწა დაეტოვებია და უკრძალავდა მას თავის კოტეჯში მდგმურების ზღვებას. ჯერ კიდევ 1627 წელს, იაკობ 1-ის დროს როჯერ კროკერს საბრალდებულო განაჩენი გამოუტანეს იმის გამო, რომ მან თავის მამულში, ფრონტ-მილსში კოტეჯი ააშენა და არ გამოჰყო მისთვის 4 აკრი მიწა; 1638 წელს, კარლოს 1-ის დროს დანიშნული იყო სამეფო კომისია. რათა გაეტარებიათ ძველი კანონები, განსაკუთრებით კანონი 4 აკრი მიწის შესახებ; უკვე კრომველს მერ კრძალული იყო ლონდონიდან 4 მილის მანძილზე რეთი სახლის აგება, რომელსაც 4 აკრი მიწა არ ექნებოდა. ჯერ კიდევ მე-18 საუკუნის პირველ ნახევარში სოფლის მუშა საჩივრით მიმართავდა სასამართლოს, თუ მის კოტეჯს 1 — 2 აკრი მიწა არ ექნებოდა დატოვებული. ახლა-კი იგივე მუშა ბედნიერია, თუ მის კოტეჯთან გაშენებულია ბაღი, ანდა თუ მის ახლოს შესაძლებელია მცირედენი მიწის აჯარით აღება. „მიწათმფლობელები და მოჯარადრეები აქ ხელხელჩაკიდებული მოქმედებენ“, — ამბობს Dr. Hunt-ი — მცირედენი მიწის ნაკვეთი კოტეჯთან მეტისმეტად დამოუკიდებლობას მიანიჭებდა მუშას“.

ჩეფორმაციამ და საეკლესიო მამულების ძარცვამ. რომელიც მას შედეგად მოჰყვა, უფრო საშინლად გაამწევა ხალხს მასების ძალდატანებითი ექსპროპრიაცია მე-16 საუკუნეში. ჩეფორმაციის დროს კათოლიკური ეკლესია ინგლისის მიწა-წყალის უდიდესი ნაწილის ფეოდალური მესაკუთრე იყო. მონასტრების განადგურებამ და სხვ. მათი მცხოვრებნი პროლეტარებად გადაქცია. თვით აეკლესიო მამულები უმეტესწილად საჩუქრად გადაცეს მტაცებელ მეფის ფავორიტებს, ანდა მყიდეს სულ დაბალ ფასებზე სპეკულიანტ-მოჯარადრეებსა და მოქალაქეებს; ეს უკანაქნელნი მასიურად აძევებდნენ ძველ მკვიდრ მოჯარადრეებს და აერთიანებდნენ მათ მეურნეობას. კანონის მიერ უზრუნველყოფილი გადაარბებულ სოფლის მცხოვრებთა უფლება საეკლესიო მეთედის განსაზღვრულ ნაწილზე უსიტყვოდ სქნა გაუქმებული. „Pauper ubique jacet“ („ღარიბები ყველგან არიან“) — წარმოთქვა დედოფალმა ელისაბედმა თავისი ერთი მოგზაურობის შემდეგ ინგლისში. მ-სი მეფობის 43 წლის თავზე მთავრობა იძულებული იყო ოფიციალურად ელიარბანა პაუპი-

როზმი მით, რომ ღარიბთა სასარგებლოდ ხარკი შემოიღო. „ამ კანონის ავტორებს რცხვენოდით აშკარად გამოეთქვათ მისი მოტივები და ამიტომ ყველა ჩვეულების წინააღმდეგ იგი უწინაპიტივოდ („preamble“) გამოაქვეყნეს. კარლოს I-ის 16 აქტით, 4, ეს კანონი მუდმივად იქნა გამოცხადებული და მხოლოდ 1834 წელს მიჯლი ნან ახალი და უფრო საბრტეი ფორმა *). მაგრამ რეფორმაციის ეს უშუალო შედეგები არ იყო ყველაზე დღეგრძელი მის შედეგთა შორის. საეკლესიო საკუთრება წარმოადგენდა მიწის საკუთრებას ძველ ურთიერთობათა რელიგიურ სიმა-

*) პროტესტანტული „სული“, სხვათა შორის, შემდეგში გამოიხატა. სამხრეთ ინგლისში რამდენიმე მიწის მესაკუთრე და შეძლებული მოჯარაღრე შეიკრიბნენ ერთად და გამოიმუშავეს 10 კითხვა იმის შესახებ, თუ როგორ უნდა იყოს უფრო სწორად გაგებული ელისაბედის კანონი ღარიბებზე და ეს კითხვები განსახილველად გადასცეს იმ დროის გამოჩენილ იურისტს Sergeant Snigess-ს (შემდეგ, იაკობ I-ის დროს, მოსამართლე). „მეცხრე კითხვა: ზოგიერთმა მიდიდარმა ფერმერმა გამოიგონა ბრძნული გეგმა, რომლის საშუალებითაც შეიძლება აცილებული იქნეს ყველა უხერხულობა ამ აქტის სისრულეში მოყვანის დროს. ისინი წინადადებას იძლევიან სამრევლოში ციხე აშენდეს. ყოველ ღარიბს, რომელიც არ მოისურვებს აღნიშნულ სიხშირეში ჯდომას, უარი ეთქვას დახმარებაზე. შემდეგ, ახლო მდებარე მიდამოებს უნდა გაეგზავნოს ცნობა, რომ თუ იქ მოიპოვება ისეთი პიროვნება, რომელიც ამ სამრევლოს ღარიბების იჯარით აყვანას მოისურვებს, იგი ვალდებულია გამოგზავნოს თავისი დახურული წინადადება განსაზღვრული დროისთვის; ამასთანვე მან უნდა აღნიშნოს ის უპიტივის ფასი, რომელშიაც მას სურს ღარიბების აყვანა ჩვენგან. ამ გეგმის ავტორებს გონიათ, რომ მეზობელ საგრაფოებში მოიპოვება ისეთი პირები, რომელთაც არ სურთ მუშაობა და არ გააჩნიათ შეძლება ანუ კრედიტი მიწის ანდა გემის შესაძენად, ისე რომ გაიღრჯვლათ შედეგით ცხოვრება. ასეთი პირები, ალბათ, მოისურვებენ მიმართული სასრევლოს ფრიად ხელსაყრელი წინადადებით. თუ, ზოგიერთ შემთხვევაში, ეს ღარიბები დაიღუპებიან დამჭირავებლის ხელში, ცოდვა ამ უკანასკნელს დაატყდება თავზე. რადგანაც სამრევლომ მოიხდა თავისი მოვალეობა ამ ღარიბების წინაშე. თუმცა-კი ჩვენ გწიშობთ, რომ აქ აქტს დასაშვებად არ მიაჩნია ამგვარი ბრძნული ღონისძიება. მაგრამ თქვენ უნდა იცოდეთ, რომ ამ საგრაფოს და მის ახლა მდებარე საგრაფოების დანარჩენი Freeholder-ები (დამოუკიდებელი მიწის მესაკუთრენი) ჩვენ შემოგვიერთდებიან და აიძულებენ თავიანთ წევრებს თემთა პალატაში შეიტანონ კანონპროექტი. რომელიც ნებას დართავს ღარიბების დატუსაღებას და იძულებით მუშაობას, ისე რომ იმ პირს, ვინც არ მოისურვებს დატუსაღებას, მოეპოვება დახმარების მიღების უფლება. ჩვენ ვიპედონებთ, რომ ეს მათხოვრობის ხალისს დაუკარგავს იმ პირთ, რომელნიც სიღარიბეში ჩაცვივდნენ.“ — შოტლანდიაში ბატონყმობის გაუქმება რამდენიმე საუკუნით გვიან მოხდა, ვიდრე ინგლისში. ჯერ კიდევ 1698 წელს Salhoun-ლმა ფლექტერმა განაცხადა შოტლანდიის პარლამენტში: „ღარიბთა რიცხვი შოტლანდიაში 200.000-ზე ნაკლები არ არის. ერთადერთი საშუალება, რომელიც მე, რწმენით არესპუბლიკანელს, შემოძლია წამოვაყენო ამის წინააღმდეგ, იმ ძველ ბატონყმურ მდგომარეობის აღდგენა და მონებად გადაქცევა ყველა იმით, ვინც მოკლებულია უნდა იზრუნოს თავის საკუთარ არსებობაზე“. ასევე მსჯელობს Eden-ი: „ბატონყმობის შესუსტებას, როგორც ჩანს, აუცილებლად თან სდევს პაუპერიზმი. მანუფაქტურა და ვაჭრობა — ორივე წარმოშობია ჩვენი ერის ღარიბებისა“. როგორც Eden-ი, ისე ზემოთყვანილი შოტლანდიელი, „რწმენით არესპუბლიკანელი“, ცთებიან მხოლოდ ერთში: მიწის მესაკუთრე-გლეხი იმპიტომ-კი არ იქცა პროლეტარად ანუ პაუპერად, რომ ბატონყმობა მოისპო, არამედ — რომ მოისპო მისი საკუთრება მიწაზე. — საფრანგეთში, სადაც ექსპროპრიაცია სხვა წესით მოხდა, ინგლისის ღარიბთა კანონს შეესაბამება Moulins-ის 1571 წლის ორდონანსი და 1656 წლის ედიქტი.

გრეს. მ-ის დაცემის შემდეგ ეს ურთიერთობაც დადბანა ველარ ბარსებებდა *).

ჯერ კიდევ მე-XVII საუკუნის დამლევს yeomanry, — დამოუკიდებელი გლეხობა, — უფრო მრავალრიცხოვანი იყო, ვიდრე მო-ჯარადრეების კლასი. იგი შეადგენდა კრომველის უმთავრეს ძალას და, თვით მაკოლენის აღიარებით, წარმოადგენდა ხელსაყრელ კონტრაქტ მოქმედ აზნაურებთან, მათ შინაყნებთან და ამ სოფლია ხუცებთან შედარებით, რომელთა მოვალეობაც ბატონი, „საყვარლებს“ დაქორწინებაში გამოიხატებოდა. მაშინ თვით სოფლს დაქირავებული ვეშები სათემო მიწების თანამფლობელები იყვნენ. yeomanry დაახლოებით 1750 წელს გაქრა **,), ხოლო მე-XVIII საუკუნის დამლევს გაქრა სათემო ნიწათმფლობელობის უკანასკნელი კვალი. ჩვენ აქ უყურადღებოდ ვტოვებთ აგრარული რევოლუციის წმინდა ეკონომიურ მახეზებს. ჩვენ გვანტერუსება მ-ისა ძალდატანებითა საშუალებანი.

სტიუარტების რესტავრაციის (აღდგენის) დროს მიწის ბესაკუთრებმა საკანონმდებლო წესით გაატარეს ია უზურპაცია (ძარპეა), რომელიც კონტინენტზე ყოველგვ საკანონმდებლო ცერემონიას გარეშე იქნა განხორციელებული. მათ მოსპეს მიწაზე ფეოდალურა წყობილება, ე. ი. თავიდან მოცილეს ყოველგვარი სახელმწიფოებრივა ბეგარა. სახელმწიფოს „აუნზლაურეს“ ზარალი, გლეხებზე და ხალხი დანაჩენ მასაზე ხარკებს შემოღებით მიანაკუთრეს. თანამედროვე კერძო საკუთრების უფლება მამულებზე. რომელზედაც მხოლოდ ფეოდალურა უფლება ჰქონდათ და, ბოლოს, ინგლისის სოფლის მუშებ. თავს მოახვიეს, დასახლებას კანონები (laws of settlement); ამ კანონებმა ისინი თემის დამატებად გადააქცია, სწორედ იყ, როგორც თათარის ბორის გოდუნოვის ბრძანებამ რუსის გლეხები მათი მიწის ნაკვეთების დამატებად გადააქცია.

„Glorious Revolution“-მა (სახელოვანმა რევოლუციამ) ვილჰელმ მე-III ორანელთან ერთად ***)) შემამულე და კაპიტალისტ ფულის

*) ბ-ნი როჯერსი, მიუხედავად იმისა, რომ იგი იმ დროს პოლიტიკური ეკონომიის პროფესორი იყო ოქსფორდის უნივერსიტეტში, ამ პროტესტანტული ორტოდოქსიის ცენტრში, თავის „History of Agriculture“-ის წინასიტყვაობაში ხაზგასმით აღნიშნავს რეფორმაციიდან წარმომდგარ პაუპერიზაციას.

**) „Banbury, თვით ფანტიკური დამცველი მსხვილი საფერო მეურნეობისა, ამბობს: „ყველაზე ძალიან ვწუხვარ, ჩვენი yeomanry-ს გაქრობას, იმ ადამიანთა ჯგუფის გაქრობას, რომელიც ნამდვილად ჩვენი ხალხის დამოუკიდებლობას იცავდენ; ვწუხვარ, რომ მათ მიწებს ვხედავ მონოპოლისტ-ლორდების ხელში, იჯარით გაცემულებს წერილ ფერმერებზე; ამ უკანასკნელთა საიჯარო უფლება ისეთ პირობებშია ჩამოყალიბებული, რომ მათი მდგომარეობა თითქმის არაფრით განიჩევა იმ ვასალების მდგომარეობისაგან, რომელნიც მუდამ მზად არიან პირველ დამახებისთანავე ეყვეთონ რაიმე ცუდ საქმეს“.

***)) ამ ბურჟუაზიული გმირის საკუთარ მორალზე წარმოდგენას იძლევა ამონაწერი: „ლენდი ორკენის შესანიშნავი მამულები ირლანდიაში 1695 წელს საქვეყნოდ ცნობილი ნიმუშია იმის, თუ რა ძლიერი იყო მეფის სიყვარული და რა დიდი გავლენა ჰქონდა ქალბატონს... ლენდი ორკენის დიდი დამსახურება, ალბათ, მდგომარეობა — foeda laborum ministeria-ში (საყვარულის მხრივ ბინძურ სამსახურში)“.

მომხვევლებს შიანაქა ძალაუფლება. მათ გახანეს ახალი ერა სახელმწიფო ქონებას კოლონიალური გაფლანგვით, რომელიც უწინ მხოლოდ ზომიერ ფარგლებში ხდებოდა. სახელმწიფო მიწებს აჩუქებდნენ, ხალის ფაჰად უიღდენ. ანდა პირდაპირი უზურპაციის გზით კერძო მამულებს უერთებდნენ *). ყველაფერი ეს ხდებოდა ყოველგვარი კანონიერი ფარგლები გარეშე. სახელმწიფო ქონებას ასეთმა თაღლითურმა მოთვისებამ და საეკლესიო მამულების გაძარცვამ, რამდენადაც ესენი რესპუბლიკანურა რევოლუციის დროს მათ არ წაერთვათ, საფუძველი ჩაუყარეს ინგლისური ილიგარქიის თანამედროვე თავადურ მფლობელობას. ბურჟუაზიული კაპიტალიზმები ხელს უწყობდენ ამ ოპერაციას, სხვათა შორის, იმ მიზნით, რომ მიწა თავისუფალი ვაჭრობის საგნად გადაექციათ, სამიწათმოქმედო მახვილი წარმოების ასპარეზი გაეფართოებიათ, სოფლიდან ფრანგულივით თავსუფალ პროლეტართა დენა გაეძლიერებიათ და სხვ. ამჟამინავე მიწის ახალი არისტოკრატია ბუნებრივი მოკავშირე იყო ახალი ბანკოკრატის, რომელიც ეს-არის გამოიჩინა წარჩინებული ფინანსისტების ბუღდში, და მსხვილი მანუფაქტურისტებისა, რომელნიც მაშინ მფარველობით ბაქება ემყარებოდნენ. ინგლისის ბურჟუაზია აქ მხოლოდ თავი, ანტირესებს იტყუდა და ისევე სწორად მოქმედებდა, როგორც შვეციის მოქალაქენი, რომელნიც. პირაქით, ხელიხელ ჩაკიდებული მდროდენ თავიანთ ეკონომიურ მოკავშირე გლეხობასთან ერთად და მხარა უქერდენ მეფეს, რომელიც ძალთ ართმევდა არისტოკრატის მთერ გაძარცულ სახელმწიფო მიწებს (1604 წლიდან დაწყებული, და შემდეგ კარლოს X და კარლოს XI დროს).

სათემო საკუთრება, რომელიც სრულიად განსხვავდება ზემოაღნიშნული სახელმწიფო საკუთრებისაგან, ძველ-გერმანული დაწესებულება იყო და ფეოდალიზმის მფარველობის ქვეშ განაგრძობდა არსებობას. ჩვენ უკვე დავინახეთ, რომ მ-ტი ძალდატანებითი უზურპაცია, რომელსაც უმეტესწილად თან სდევდა სახნავი მიწების საძოვრებად გადაქცევა, მე-XV საუკუნის დასვლევ: დაიწყო და გრძელდებოდა მე-XVI საუკუნეში. მაგრამ მაშინ ეს პროცესი ინდივიდუალური ძალმომრეობის სახით მიმდინარეობდა და მის წინააღმდეგ ამაოდ იბრძოდა კანონმდებლობა 150 წლის განმავლობაში. მე-XVIII საუკუნის პროგრესი იმაში გამოიხატება, რომ თვით კანონი სახალხო მამულის გაძარცვის იარაღი ხდება, თუმცა მსხვილი მოიჯარადრეები. ამას გარდა, თავიანთ საკუთარ პატარა მეთოდებსაც მიმართავდენ **). ამ ძარცვა-გლეჯის პარლამენტარულ ფორმას წარმოადგენს

*) სახელმწიფო მიწების უკანონო განსხივება, ნაწილობრივ ყიდვის და ნაწილობრივ ჩუქების საშუალებით. შეადგენს ინგლისის ისტორიის სკანდალურ თავს... ნაილის ჯოჯანტურ მოტყუებას (F. W. Newman).

***) ფერმერები ეკრძაღვენ კოტეჯებში მცხოვრებთ რაიმე კოცხალი არსების შენახვას. ჯარდა თავიანთი თავისა. იმ საბაბით, რომ თუ ისინი შინაურ ცხოველს ან დრინველს იყოლივნენ, მაშინ საქმლის ეურლობას დაიწყებდენ ბედლებში. ისინი ამბობენ აგრეთვე. თუ გსორთ, რომ კოტეჯის მცხოვრები ბუჯითი იყოს, იგი სიღარიბეში უნდა ამყოფოთ. მაგრამ ნამდვილად კი ფერმერები ამ გზით ითვისებენ ყველა უფლებას საძულო მიწებზე.

„Bills for Inclosures of Commons“ (სათემო მიწების შემოფარგვლის კანონები), ე. ი. დეკრეტები, რომლის საშუალებითაც მენამულეებმა თავთონვე იჩუქეს სახალხო მიწები კერძო საკუთრებად, დეკრეტები ხალხის ექსპროპრიაციის შესახებ. სერ F. M. Eden-ი თვითონვე აბათილებს თავის ოსტატურად აგებულ ვეჭილურ სიტყვას; იგი ცდილობს წარმოვიდგინოს სათემო საკუთრება იმ მსხვილ მენამულეთა კერძო საკუთრების საბით, რომლებმაც ფეოდალებს ადგილი დაიპირეს; ერთი მხრივ, იგი მოითხოვს „საყოველთაო პარლამენტარულ აქტს სათემო მიწების შემოსაფარგლად“ და, ამნაირად, ცნობს პარლამენტარულ სახელმწიფოებრივი გადატრიალების (coup d'état) აუცილებლობას მათ გადასაქცევად კერძო საკუთრებად, ხოლო, მეორე მხრივ იგივე Eden-ი კანონმდებლობისაგან „ზარალის ანაზღაურებას“ მოითხოვს ექსპროპრიაციამწილი ღარიბებისთვის. თუ არ ყოფილიყვნენ ექსპროპრიაციამწილი, არავინ იქნებოდა ასანაზღაურებელი.

იმ დროს, როდესაც დამოუკიდებელი yeomen-ების ადგილი დაკავებენ tenants-at-wille-მა, ანუ წვრილმა წლიურმა მოიჯარადრეებმა, დაბეჩავებულმა და ლენდლორდებს თვითნებობაზე დამოკიდებულმა ბრბომ. — სათემო მიწების სისტემატიურმა ძარცვა-გლეჯამ სახელმწიფო ქონების ძარცვასთან ერთად განსაკუთრებით ხელი შეუწყო იმ მსხვილი ფერმების ზრდას, რომელსაც მე-XVIII საუკუნეში „კაპიტალურ ფერმებს“ ან „სავაჭრო ფერმებს“ უწოდებენ, ხელი შეუწყო აგრეთვე სოფლის მოსახლეობის პროლეტარატად გადაქცევას, ანუ მის „გათავისუფლებას“ მრეწველობისათვის.

(კ. მარქსი — „კაპიტალი“ ტ. I).

§ 9. კაპიტალისტური ფერმერების წარმოშობა

მას შემდეგ, რაც ჩვენ განვიხილეთ ფრანგულით თავისუფალი პროლეტარების ძალდატანებითი შექმნა, ეს სხილიანი რეჟიმი, რომელმაც ისინი დაქარავებულ მუშებად გადააქცია, და სახელმწიფოს უსარცხვილო ჩარევა, რომელიც შრომას ექსპლოატაციის გაძლიერებასთან ერთად პოლიციური ზომებით აძლიერებდა კაპიტალის დაგროვებას, — ჩვენს წინ დგება საკითხი: საიდან გაჩნდნენ პირველად კაპიტალისტები? სოფლის მოსახლეობის ექსპროპრიაცია ხომ უშუალოდ მართო მსხვილ მენამულეებმა ჰქმნის. რაც შეეხება ფერმერების წარმოშობას, ჩვენ შეგვიძლია, ასე ვთქვათ, კვალდაკვალ განვიხილოთ იგი, რადგანაც ეს ხანგრძლივი პროცესია, რომელიც მრავალი საუკუნე გრძელდება. თვით ყმების და აგრეთვე თავისუფალ წვრილ-მიწათმფლობელთა ქონებრივი ურთიერთობა სულ სხვადასხვანაირი იყო და ამიტომ მათგანმანაცია სულ სხვადასხვა ეკონომიურ პირობებში მოხდა.

ინგლისში ფერმერები თავდაპირველად ყმა-მოურავის სახით გვევლინება, balliff — მებატონის მამულის გამგე. იგი თავისი მდგომარეობით ძველ რომაულ villcus-ს მოგვაგონებს, მხოლოდ იმ განსხვავებით. რომ მისი მოქმედებები სფერო უფრო ვიწროა. მე-14 საუკუნის მეორე ნახევარში მის ადგილს ფერმერი იჭერს; ამ უკანასკნელს ლენდლორდი უზ-

რუველეყოფს სათესლეით, შინაური საქონლს და სასოფლო-სამეურნეო
იარაღებით. მისი მდგომარეობა თითქმის არაფრით გაირჩევა გლეხის მდგო-
მარეობიდან. ფერმერს მხოლოდ მეტი დაქირავებული შრომა ექსპლოა-
ტაცა ეწვეა. იგი მალე metayer-ი ანუ მოწილე-ფერმერი ხდება. ეს
უკანასკნელი აძლევს მიწათმოქმედებისათვის აუცილებელი კაპიტალს
ერთ ნაწილს, ლენდლორდი — მეორე ნაწილს. საერთო პროდუქტს ისინი
ერთ-ერთ შორის კონტრაქტით განააზღვრულ პროპორციას მიხედვით
ინაწილებენ. იჯარას ეს ფორმა ინგლისში მალე ჰქრება და ადგას უთ-
მობს ფერმერს. ამ სიტყვას ნამდვილ მნიშვნელობით; ეს უკანასკნელი
აძლიერებს თავის საკუთარ კაპიტალს დაქირავებული შრომის საშუალე-
ბით და აძლევს ლენდლორდს ზედმეტი პროდუქტის ნაწილს ფულით ანუ
ნატურით მიწის რენტის სახით.

მე-15 საუკუნის განმავლობაში, ვიდრე დამოუკიდებელი გლეხები და
დაქირავებული სამიწათმოქმედო მუშები, რომელნიც აგრეთვე დამოუკა-
დებელ მეურნეობას ეწვეიან, თავის საკუთარი შრომით ირჩენენ თავს,
ფერმერებს მდგომარეობა და მათი წარმოების ფარგლები ზომიერია. სა-
მიწათმოქმედო რევოლუცია, რომელიც მე-15 საუკუნის უკანასკნელ მუ-
სამუდში დაიწყო და გაგრძელდა თითქმის მთელი მე-16 საუკუნე (მისი
უკანასკნელი ათწლეულების გამოკლებით), სწრაფად ამდრებს ფერმერს
და სწრაფადვე აღარბედა სოფლის მოსახლეობას. სათემო სამოვრების
უზურპაცია და ზვ. საშუალებას აძლევს ფერმერს საგრძობლად გაა-
რავლოს თავისი შინაური საქონელი თითქმის ხარჯების გაუღებლად, ხო-
ლო ამ გაშრავებული საქონლის გამოყენება სოფლის მეურნეობაში და
მისი გაყიდვა დიდ მოგებას აძლევს, ამასთანავე ეს საქონელი მიწის უხვად
განაყოფერებს. საშუალებას წარმოადგენს.

მე-16 საუკუნეში ამას ზედ ერთვს კიდევ ერთი გადამწყვეტი მნიშვნე-
ლოვანი მომენტი. იმ დროს საიჯარო ხელშეკრულებებს ხანგრძლივ ვა-
დათ. ხშირად 99 წლის ვადათ, სდებდენ. კეთილშობილი ლითონის და
ამიტომ. ფულის ღირებულებას შეუჩერებელ დაცემას ოქროს ზოდება
მოჰქონდა ფერმერსთვის. ყველა შემოადრინშულ გარემოებათა გარდა, იგი
დაბლა სწევდა აგრეთვე შრომის ხელფასს. ამ უკანასკნელის ერთი ნაწი-
ლი ფერმერს მოგებაში ირიცხებოდა. ხორბლის, მატყლის, ხორციის, ერთი
სატყვით; ყველა სამიწათმოქმედო პროდუქტებში ფასების მომატება ფერ-
მერის ფულადი კაპიტალის ზრდას იწვევდა, მისი მონაწილეობის გარეშე,
ხოლო მიწის რენტის იგი ფულის ძველი ღირებულების მიხედვით იხდ-
და*). ამნაირად, იგი ერთა და იმავე დროს თავისი დაქირავებული მუშებს
ხარჯზედაც მდიდრდებოდა და ლენდლორდის ხარჯზედაც. ამიტომ საკვირ-
ველი არ არის, თუ მე-XVI საუკუნის დამლევს ინგლისში იმ დროისთვის
საკმაოდ მდიდარი „კაპიტალისტური ფერმერების“ კლასი არსებობდა.

(ვ. მარქსი — „კაპიტალი“ ტ. I).

*) იმ გლეხის შესახებ, რომელიც ფულის ღირებულების დაცემას ჰქონდა მე-16
საუკუნეში საზოგადოების სხვადასხვა კლასებზე, ჯერ კიდევ 1751 წელს გამოსულ
ვილიამ სტაფორდის წიგნში ერთ ადგილას რაინდი (knight) ასე მსჯელობს:

§ 10. საბეგრო-საბატონო მიწენობის სისტემის შეერთება
კაპიტალისტურთან.

მეურნეობის საბეგრო-საბატონო სისტემა დასა ბატონყმობის გაუქმებაში. ამ სისტემის უქთავრეი საფუძვლები განადგურებული იყო: ნატურალური მეურნეობა, კარჩაკეტლობა, საბატონო მამულს განკერძოებული ხასიათი, მის ცალკე ელემენტებს შორის მკიდრო კავშირი, მებატონის უფლება გლეხებზე. გლეხის მეურნეობა ეყოფოდა მებატონისა; გლეხს უნდა გამოეყიდა თავისი მიწა და გამხდარიყო მისი სრული მესაკუთრე, მებატონე უნდა გადასულიყო მეურნეობის კაპიტალისტურ სისტემაზე, რომელიც დამყარებული იყო, როგორც ახლა აღვნიშნეთ, არუელად დიამეტრალურად საწინააღმდეგო საფუძვლებზე. მაგრამ ასეთი გადასვლა სრულიად სხვა სისტემაზე, რასაკვირველია, არ შეიძლება მოხდარიყო უეცრად, ეს შეუძლებელი იყო ორი სხვადასხვა მიზეზით. 1-ად, არ იყო კიდევ დამდგარი ეს პირობები, რომელიც საჭიროა კაპიტალისტური წარმოებისათვის. საჭირო იყო ადამიანების კლასი, რომელიც დაქირავებით მუშაობას აქნებოდა შეჩვეული, საჭირო იყო გლეხური ინვენტარის მებატონის ინვენტარით შეცვლა; საჭირო იყო მწიფე მშენებლის ორგანიზაცია, როგორც ყველა სხვა საეკონომიკურ-სამრეწველო საწარმოსი, და არა როგორც საბატონო საქმის. ყველა ეს პირობა შესაძლებელი იყო დამდგარიყო მხოლოდ თანდათანობით, და ზოგიერთი მებატონის ცდა რეფორმების პირველ ხანებში ზაღვარგარეთიდან აქაური მანქანების და აქაური მუშების გამოწვევებს, რასაკვირველია, სრულად მარცხით დამთავრდა. მეორე მიზეზი იმისა, თუ რისთვის იყო შეუძლებელი უეცრად კაპიტალისტურ ნიადაგზე გადასვლა, მდგომარეობდა იმაში, რომ მეურნეობის ძველი საბეგრო-საბატონო სისტემა მხოლოდ ძირმენგრეული იყო, მაგრამ საბოლოოდ არ იყო მოსპობილი. გლეხური მეურნეობა არ იყო საცხებით გა-

რაინდი: „თქვენ, ჩემო მეზობელო, სოფლის მეურნე, თქვენ, ბნო მეწვრილმანე და თქვენ, ჩემო მეგობარო, რვალის მკედელი და სხვა ხელოსნებო, უფრო ადვილად შეგვიძლიათ თქვენი ინტერესები დაიცვათ. ვინაიდან, რაც უფრო ძვირია ეხლა ყველა წიგითი უწინდელთან შედარებით, მით უფრო ემატება ფასები თქვენს საქონელს და შრომას, რომელსაც თქვენ ყიდით. მაგრამ ჩვენ არაფერი გვაქვს გასაყიდი, რომ შეგვეძლოს ფასების აწევა და, ამრიგად, ავიწინააღმდეგოთ ის ზარალი, რომელიც ჩვენ მოგვდის კვლევი ყიდვის დროს“. სხვა ადგილას რაინდი ეკითხება დოქტორს: „გთხოვთ მითხროთ, ვინა გყავთ თქვენ მხედველობაში? და, პირველ ყოვლისა, ვინ არ უნდა განიცდიდეს აქ ზარალს?“ — დოქტორი: „მე მხედველობაში მყავს ყველა ისინი, ვინც ყიდვა-ყავიდეით ცხოვრობენ; ვინაიდან როგორც ძვირად ყიდულობენ, ისე ძვირადაც ყიდიან“. — რაინდი: „მაშ ვინ არიან ისინი, რომელნიც, თქვენის სიტყვით, მოგებაში არიან ამ შემთხვევაში?“ — დოქტორი: „რასაკვირველია, ყველა ისინი, ვინც თავის მამულს ანდა საიჯარო მიწას ძველი რენტის პირობებში ამუშავებს; ვინაიდან ისინი ძველი ნორმების მიხედვით იხდიან და ახალის მიხედვით ყიდიან; ე. ი. თავიანთ მიწაში ისინი ძალიან იაფ ფასებს იხდიან და ძვირად ყიდიან ყველა იმას, რაც ამ მიწაზე იზრდება...“ — რაინდი: „მაშ ვინ არიან ისინი, ვინც თქვენი სიტყვით უფრო წაგებაშია, ვიდრე მოგებაში?“ — დოქტორი: „ესენი არიან ყველა კეთილშობილინი, რაინდნი და ყველა დანარჩენნი, რომელნიც ამ მტკიცედ დაწესებული რენტით ცხოვრობენ, ან ჯამაგირით, ან თეთიონ არ ამუშავებენ თავიანთ მიწას, ანდა არ ეწევიან ყიდვა-გყიდვას“.

მოყოფილა მებატონის მეურნეობისაგან, რადგან უკანასკნელთა ხელში დარჩა გლეხური ნაღვლების დღად მნიშვნელოვანი ნაწილი: „ჩამონაჭერი მ:წები“, ტყეები, მინდვრები, წყლის დასაღვეი ადგილები, საძოვრები და სხვ. ამ მიწების (ან სერვიტუტების) გარეშე გლეხებს სრულებით არ შეეძლოთ დამოუკიდებელი მეურნეობის გაძღოლა, და მებატონეებს ეძლეოდათ საშუალება განეგრძოთ მეურნეობის ძველი სისტემა სავალდებულო შრომის ფორმით. „გარეშე ეკონომიური იძულების“ შესაძლებლობაც რჩებოდა: დროებითა ვალდებულება, ურთიერთთავდებობა, გლეხის ფიზიკური დასჯა, მისი საზოგადოებრივ სამუშაოზე გაყვანა და სხვ.

აწნაირად, კაპიტალიტურ მეურნეობას არ შეეძლო უეცრად გაჩენილიყო და საბეგრო-საბატონო მეურნეობას არ შეეძლო უეცრად მოსობილიყო. მაშასადამე, მეურნეობის ერთადერთი შესაძლებელი სისტემა იყო გარდამავალი სისტემა, სისტემა რომელიც აერთიანებს საბეგრო-საბატონო და კაპიტალიტური სისტემის ნიშნებს. და მართლაც, მებატონეთა სამეურნეო წყობილება რეფორმების შემდეგ ხასიათდება სწორედ ამ ნიშნებით. მიუხედავად ფორმათა დაუსრულებელი სხვადასხვაობისა, რომელიც მოსდგაზ გარდამავალ ეპოქას, თანამედროვე საბატონო მეურნეობას ორგანიზაცია ყალიბდება ორ ძირითად სისტემად — მათი სხვადასხვაგვარი შეხვედრის სახით, სახელდობრ — კაპიტალიტურ და საბეგრო შრომის სისტემად. პირველი მდგომარეობს მიწის დამუშავებაში გარეშე მოყოფილი გლეხების ინვენტარით, ამასთანავე ხელფასის ფორმა არ სცვლის ამ სისტემის არსებას (ფულით იქნება ის, როგორც ნარდად დაქირავების დროს, თუ პროდუქტით, როგორც საზიაროდ გაცემის დროს; თუ მიწის ან სხვა უძრავით, როგორც საბეგრო შრომის დროს, სტყვის ვაწრო მნიშვნელობით). ეს პირდაპირ საბეგრო-საბატონო მეურნეობის ნაშთია, და ამ უკანასკნელზე ზემოთ მოცემული დახასიათება მთლიანად უდგება საბეგრო შრომის სისტემას (ერთად ერთი გამონაკლისი არის ის, რომ საბეგრო შრომის სისტემის ერთი ფორმის დროს ისპობა საბეგრო-საბატონო მეურნეობის ერთერთი პირობა: სახელდობრ ნარდად დაქირავების დროს შრომის ნატურალური ხელფასის მაგიერ ჩვენ ვხედავთ ფულად ხელფასს), კაპიტალიტურ სისტემა მდგომარეობს (წლიური, დროებითი, დღიური და სხვ.) მუშების დაქირავებაში, რომელნიც ამუშავებენ მიწას მფლობელის ინვენტარით. სწამდვილესა დაახვლებული სისტემები ხლართებიან სრულად სხვადასხვანაირად და გასაოცრად: მრავალ საბატონო მამულეში ორივე სისტემა შეერთებულია და შეფარდებული სხვადასხვა სამეურნეო საშუალებითან. სრულიად ბუნებრივია, რომ ასეთი სხვადასხვანაირი და მოწინააღმდეგე სამეურნეო სისტემების შეერთება სწამდვილეს იწვევს უღრმეს და ურთულეს კონფლიქტებს და წინააღმდეგობათ, და ამ წინააღმდეგობათა გამო მთელი რეგი მეურნეებისა მარცხი განიცდიან და სხვ. ყველა ეს მოვლენები დამახასიათებელია ყოველი გარდამავალი ეპოქისათვის.

ჩვენ რომ დავსვათ საკითხი ამ ორი სისტემის შედარებით გავრცელებაზე, იძულებული ვიქნებით ამთავითვე ვუპასუხოთ, რომ მის შესახებ სწო-

რი სტატუსტიკური ცნობები არ არსებობს და საექვეოც არის, რომ იმინი შეკრებილა ყოფილიყვენ: ამისათვის საჭირო იქნებოდა არა თუ ყველა მამულას, არამედ ამ მამულებში ყველა სამეურნეო ობერაციის აღრიცხვა-ცნობება მხოლოდ დაახლოებითა ცალკე ადგილების საერთო დაბა-ჩათუ-ბის სახით, რომელშიაც სჭარბობს ესა თუ ის სისტემა.

საჭიროა აღენიშნოთ, რომ ხანდახან საბეგრო-სამუშაო სისტემა გადა-დის კაპიტალისტურში და იმნაირად შეერთვას მას, რომ შეუძლებელა ხდება მათი ერთი მეორისაგან განცალკევება და მათი გარჩევა. მაგალითად. გლეხი იღებს ნაქერ მიწას და ლებულობს ვალდებულებას ამისათვის იმუშაოს, გარკვეული რაოდენობა დღეებისა (ეს მოვლენა, როგორც ვიცით, ძალიან გავრცელებულია. იხ. მაგალითები შემდეგ წ-ში). როგორ შეი-ლება ასეთი „გლეხის“ განსხვავება დასავლეთ-ევროპელ ან ოსტრეურ იმ „მოჯამაგარი-აგან“, რომელიც ლებულობს ნაქერ მიწას და ვალდებულია ამისათვის გარკვეული რაოდენობა დღეებისა იმუშაოს? ცხოვრება ჰქნის ისეთ ფორმებს, სადაც ერთდებიან გასაკვირველი თანდათანობით ისეთი სა-მეურნეო სისტემები, რომელნიც თავისი ძირითადი მხარეებით ერთმანე-თის წინააღმდეგნი არიან. შეუძლებელი ხდება იმის თქმა, თუ სად თა-დება „საბეგრო შრომა“ და სად იწყება „კაპიტალ-ში“.

იმ ფაქტის დამტკიცების შემდეგ, რომ თანამედროვე საბატონო მეტრ-ნობის ფორმების სხვადასხვაობა ბოლოს და ბოლოს გამოიჩატება ორი სისტემის, საბეგრო-სამუშაოსა და კაპიტალისტურის, სხვადასხვანაირ შე-ზავებაში, — ჩვენ გადავდივართ ამ ორივე სისტემის ეკონომიურ დაბასია-თებაზე და დავუკვირდეთ, თუ რომელს ამ სისტემათაგანი აძევებს მეორეს მთელი ეკონომიური ევოლუციის მსვლელობის გავლენით.

საბეგრო-სამუშაო, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, მეტად მრავალ-გვარია. ხანდახან გლეხები ფულად ქრავდებიან საკუთარი ინიციატივით კერძო სამფლობელო მიწების დასამუშავებლად — ეგრეთწოდებული „სა-ნარდო სამუშაო“, ხელფასი დამუშავებულ სერვისს მიხედვით. მიწების „თარგობრივი“ დამუშავება ხანგრძლივად (ე. ი. ერთი დღესტინა გაზაფხუ-ლი და ერთი დღესტინა შემოდგომის ნათესის დამუშავება) და სხვ. ხანდა-ხან გლეხები ლებულობენ ვალად პურს ან ფულს და ვალდებული არიან მუშაობით გაისტუმრონ ან მთელი ვალი, ან ამ ვალის პროცენტები. ამ ფორმის დროს განსაკუთრებული სიცხადით იჩენს თავს საბეგრო-სამუშაო სისტემის თვისებითი მხარე, სახელდობრ ასეთი დაქირავების მონური, მე-ვანშიური ხასიათი. ხანდახან გლეხები მუშაობენ „გაძოვებისათვის“ (ე. ი. ვალდებული არიან მუშაობით გადაიხადონ ამისათვის კანონით დაწესე-ბული ჯარიმა), მუშაობენ „სინდისის გამო“ — ე. ი. უფასოდ, მხოლოდ ქამა-ამისათვის, რომ არ დაეკარგოთ სხვა „სამოვარი“ მიწათმფლობელ-საგან. ბოლოს, ძალიან გავრცელებულია საბეგრო მუშაობა მიწის მისაღ-ბად, ან საზიაროდ, ანდა პირდაპირ სამუშაოდ გლეხებზე გაცემულ მ-წ-სათვის და სხვ.

განაკუთრებით საყურადღებოა საბეგრო-სამუშაოების ის ფორმა, რომელიც სრულდება მიწისათვის — ე. წ. საბეგრო-სამუშაო და ნატურალურ-

იჯარა. წინა თავში ჩვენ დავინახეთ, რომ საგლებო იჯარაში თავს იჩენს კაპიტალისტურა ურთიერთობა; აქ ჩვენ ვხედავთ „იჯარას“, რომელიც წარმოადგენს საბეგრო-სამშენობლო მეურნეობის უბრალო ნაშთს და რომელიც ხანდახან შეუმჩნეველად კაპიტალისტურ სისტემად იქცევა, რაც გამოიხატება მამულის სოფლის მუშებით უზრუნველყოფაში მათთვის ნაქერ-ნაქერი მიწის დარიცხებით. საერთოდ სტატისტიკის ცნობები უდაოდ ადასტურებენ ისეთი „იჯარების“ კავშირს მიწის გაცემათა საკუთარ მეურნეობათან. „საკუთარი სახანაგები: გაფართოვების დროს კერძომფლობელობით მამულებში, მფლობელთ ებადებათ მოთხოვნილება — უზრუნველყონ თავისთვის მუშების მოვანა საკუთარ დროს. ამიტომ მრავალ ადგილას მათში ვითარდება გლეხებზე მიწის დარიცხების მისწრაფება საბეგრო-სამშენობლის ასრულებით ან — საბეგრო-სამშენობლათან ერთად პროდუქტის ნაწილის გადახდათ...“ მეურნეობის ამ სისტემას „საკერძოთ პატარა ადგილი არ უჭირავს. რაც უფრო ხშირია მიწი, გაქცემათა საკუთარი მეურნეობა, რაც უფრო მცირეა იჯარაზე მიწოდება და რაც უფრო მწვავეა მათზე მოთხოვნილება, მით უფრო ფართოდ ვითარდება მიწის დაქირავების ეს ფორმა“. ამნაირად, ჩვენ ვხედავთ სრულიად სხვაგვარ იჯარას, რომელიც გამოხატავს არა მფლობელის უარს საკუთარ მეურნეობაზე, არამედ კერძომფლობელობით: „ახანაგების განვითარებას, — არა გლეხის მეურნეობის გამაგრებას მისი მფლობელობის განვითარებით, არამედ გლეხის სოფლის მუშად გადაქცევას. წინა თავში ჩვენ დავინახეთ, რომ გლეხურ მეურნეობაში იჯარას აქვს საწინააღმდეგო მნიშვნელობა; ერთისთვის წარმოადგენს მეურნეობას ხელსაყრელ გაფართოვებას, მეორეთათვის კი — გაჭირვებით იძულებულ გარიგებას. ჩვენ ახლა ვხედავთ, რომ საბატონო მეურნეობაშიც მიწებს იჯარით გაცემა, საწინააღმდეგო მნიშვნელობა აქვს: ხან ის ნიშნავს მეურნეობის გადაცემას მეორე პირისთვის რენტის გადახდით; ხან კი ის წარმოადგენს საკუთარი მეურნეობის წარმართვას, წესს, მამულს მუშახელით უზრუნველყოფის საშუალებას.

გადავდევართ შრომის ფასებზე საბეგრო-სამშენობლის დროს. სხვადასხვა წყაროები ერთხმად მოწმობენ იმას, რომ შრომის ფასი საბეგრო-სამშენობლისა და კაბალური დაქირავების დროს ყოველთვის უფრო დაბალია, ვიდრე კაპიტალისტური „თავისუფალი“ დაქირავების დროს. პირველად, ეს მტკიცდება იმით, რომ ნატურალური იჯარა, ე. ი. საბეგრო-სამშენობლო და საზოგადო (რომელიც გამოხატავს, როგორც ჩვენ ახლა დავინახეთ, მხოლოდ საბეგრო-სამშენობლოს და კაბალურ დაქირავებას), საზოგადოდ ყველგან უფრო ძვირია, ვიდრე ფულადი, გაცილებით უფრო ძვირი, ხან ის ორჯერ უფრო ძვირია. მეორედ, ნატურალური იჯარა განვითარებულა ყველაზე უფრო გლეხობის უღარიბეს ჯგუფებში. ეს არის იჯარა გაჭირვებას გამო, „იჯარა“ გლეხის, რომელსაც აღარ შეუძლია წინააღმდეგობა გაუწიოს მო, გადაქცევას, ამნაირად, სასოფლო-სამეურნეო დაქირავებულ მუშად. შეძლებული გლეხები ცდილობენ აიღონ მიწები ფულად. „დაქირავებელი ყოველნაირად შეაძლებლობით სარგებლობს საიჯარო

თანხა შეიტანოს ფულად და ამით გააიფოს სხვისა მიწით სარგელობი. ღირებულება, — და არა თუ გააიფოს იჯარა ღირებულება, არამედ აგრეთვე თავიც გაითავსუფლოს კაბალური დაქირავებისაგან, დავუმატებო ჩვენი მხრით. დონია როპტოვიძე მაზრაში ასეთი შესანიშნავი ფაქტიც იყო აღნიშნული, როგორც ფულადი იჯარიდან „სკოპშიჩინაზე“ გადასვლა საიჯარო ფასებს მომატებასთანავე, მიუხედავად „სკოპშიჩინაში“ გლეხების წილის შემცირებისა. ამ ფაქტით სავსებით ნათელი ხდება ნატურალური იჯარის მნიშვნელობა, რომელიც საბოლოოდ ანადგურებს გლეხს და აქცევს მას სოფლის მოჯამაგირედ. მეამედ, შრომი, ფასების პირდაპირი შედარება საბეგრო-სამუშაო და კაპიტალისტური „თავისუფალი“ დაქირავების დროს გვიჩვენებს, უკანასკნელთა უფრო მაღალ დონეს. მწათმოქმედებს დეპარტამენტს მიერ ზენოთ აღნიშნულ გამოცემაში: «Вольнонаемный труд и т. д.», გამოანგარიშებულია, რომ შემოდგომის პურის ერთი დესეტინის სრული დამუშავება გლეხი, სწავლით ღირს საშუალო ანგარიშით 6 მან. ამვე სამუშაოს ღირებულება რომ გამოვიანგარიშოთ თავისუფალ დაქირავების პირობებში. მივიღებთ 6 მ. 19 კ. მხოლოდ ქვეითი შრომისათვის, ცხენის შრომის მიუთვალვად (ცხენს ქირა შეუძლებელია ვიანგარიშოთ 4 მ. 50 კ.ზე ნაკლები). შემდგენელი სამართლიანად სთვლის ასეთ მოვლენას „სრულიად არანორმალურად“ შევნიშნავთ მხოლოდ, რომ შრომის უმაღლესი ფასი წმინდა კაპიტალისტური დაქირავების დროს შედარებით ყოველნაირ ჩავებითი ფორმებთან და სხვა წინა-კაპიტალისტურ ურთიერთობებთან, არის ფაქტიკანმტყულებული არა მარტო მწათმოქმედებაში, არამედ მრეწველობაშიც, არა მარტო რუსეთში, არამედ სხვა ქვეყნებშიც.

ამნაირად. საბეგრო-სამუშაოების დროს (სულ ერთია, როგორც მეკან-შეობათან შეერთებული კაბალური დაქირავების დროს) შრომის ფასი ჩვეულებრივად ორჯერ უფრო მეტად ნაკლებია შედარებით კაპიტალისტურ დაქირავებასთან. რადგან საბეგრო-სამუშაოების თავისთავზე აღება შეუძლია მხოლოდ ადგილობრივ და მასთან ერთად აუცილებლად „ნადელათ უზრუნველყოფელ“ გლეხს, ეს ფაქტი ხელფასის დიდად შემცირებით მომასწავებელი — ნათლად გვიჩვენებს ნადელას, როგორც ნატურალური შრომი, ხელფასის, მნიშვნელობას. ახლაც „ნადელა“ ამგვარ შემთხვევაში წარმოადგენს მიწათმოგლობელსათვის იაფფასიან მუშახელს. „უზრუნველყოფელ“ საშუალებას. მაგრამ განსხვავება თავისუფალ და „ნახევრადთავისუფალ“ სამუშაოთა შორის სავსებით არ ამოიწურება ხელფასის განსხვავებით. უდიდესი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე იმ გარემოებას, რომ უკანასკნელი სახის მუშაობა ყოველთვის, გულსხმობს დამქირავებლისაგან დაქირავებულს პირად დამოკიდებულებას, გულსხმობს ყოველთვის მეტსა თუ ნაკლებ „გარეშე ეკონომიურ იძულებას“. ინგელგარდტი ძალიან სწორად შენიშნავს, რომ საბეგრო-სამუშაოებში ფულის დარჩება აიჭანება ასეთი ვალების უდიდესი უზრუნველყოფით: ძნელია აღმასრულებელი ფურცლით გლეხს რაიმე გადაახდევნო, „სამუშაოს-კი რომელიც გლეხმა დაივალა ხელისუფლება იძულებით აასრულებიებს იმ

შემთხვევაშიც, თუ მას საკუთარი პურიც მოუმკელა რჩება“. „მონობის და ბატონყმურა მუშაობის მრავალი წლები განმავლობაში გამოიმუშავდა მხოლოდ ის გულგრილობა“ (მოჩვენებითი მხოლოდ), რომლითაც მ. წათმობ-ქმედი გლეხი სტოვეებს თავის პურს წვ-მის ქვეშ და მადის სხვის პურს საზიდავად. თუ მოსახლეობა ამა თუ იმ ფორმით არ არის მიმავრებული საცხოვრებელ ადგილზე, „თეზზე“, თუ ის მოკლებული არ არის რამოდენიმედ სამოქალაქო სრულფუნქციანობას, საბეგრო სამუშაოები, როგორც სისტემა, შეუძლებელი იქნებოდა. თავისთავად ცხადია, რომ საბეგრო სამუშაო სისტემის აღწერილი მხარეების აუცილებელი შედეგია შრომის დაბალი ნაყოფიერება: წესები მეურნეობისა, რომელიც დამყარებულია საბეგრო სამუშაოებზე, შესაძლებელია სხვის მხოლოდ უაღრესად ძველ, კაბატურ პირობებში მყოფი გლეხის შრომა არ შეიძლება არ უახლოვდებოდეს თავის დარღვევით ყინა შრომას.

საბეგრო-სამუშაო და კაპიტალისტური სისტემების შეერთება ეკონომიკური ორგანიზაციით ძლიერ ემსგავსება თანამედროვე საბატონო მეურნეობის წყობილებას, ამ წყობილებას, რომელიც სჭარბობდა ჩვენს საფეიქრო ინდუსტრიაში მსხვილი მანქანური ინდუსტრიის წარმოშობამდე. იქ ოპერაციების ერთ ნაწილს ვაჭარი ასრულებდა საკუთარი იადალებით და დაქირავებული მუშით (ნართის დაქსელება, შეღებვა, ქოსვილების გალამაზება და სხვ.) და მეორე ნაწილს კი გლეხ-მანამრეწველთა იარაღებით, რომელნიც მასთვის მუშაობდნენ მისივე მასალით; აქ ოპერაციების ნაწილი სრულდება დაქირავებულთა მუშებით, რომელნიც მფლობელია ინვენტარის ხმარობენ, ნაწილი კი — გლეხების შრომით და ინვენტარით, რომელნიც სხვას მიწაზე მუშაობენ. იქ სამრეწველო კაპიტალს უერთდება სავაჭრო კაპიტალი და შინამრეწველს, კაპიტალის გარდა, აწვია ჩაგვრა, ოსტატთა შუამავლობა, truck-system-ა და სხვ.; აქ სწორედ ამხარადვე სამრეწველო კაპიტალს უერთდება სავაჭრო და სავაზმო კაპიტალი ხელფასის დაწვეის და მწარმოებლის პირადი დამოკიდებულების გაძლიერების ყოველნაირი ფორმით. იქ გარდამავალი სისტემა არსებობდა საუკუნეთა განმავლობაში, დაყარებული ხელით სამუშაო პრიმტიულ ტექნიკაზე, და რაღაც საში ათეულო წლის განმავლობაში იგი დაამზავრია მსხვილმა მანქანურმა ინდუსტრიამ; აქ კი საბეგრო-სამუშაოები განაგრძობენ არსებობას თითქმის რუსეთის დასაბამიდან (ჯერ კიდევ «Русская Правда»-ს დროს „სმერდები“ განიცდიდნენ მონურ ჩაგვრას მწათმფლობელებისაგან), ახანგრძლივებენ ძველ რუტინულ ტექნიკას, და კაპიტალიზმია წინაშე უკან-დახევას და მისთვის ადგილის დათმობას იწყებენ მხოლოდ რეფორმების შემდეგ. როგორც იქ, ისე აქ ძველი სისტემა მოასწავებს მხოლოდ წარმოების ფორმების უმოდრობას (და, მაშასადამე, საზოგადოებრივ ურთიერთობათა უმოდრობასაც) და აზოურობის ბატონობას. როგორც იქ, ისე აქ მეურნეობის ახალი, კაპიტალისტური ფორმები წარმოადგენენ დიდ პროგრესს, მიუხედავად წინააღმდეგობისა, რომელიც მათ მოდგამთ.

იბადება საკითხი, როგორი დამოკიდებულება აქვს საბეგრო სამუშაო სისტემას რუსეთის რეფორმების შემდეგდროინდელ ეკონომიკასთან?

პირველ ყოვლისა, სასაქონლო მეურნეობის ზრდა ვერ ურიგდება საბევრო-სამუშაო სისტემას, რადგან ეს სისტემა დამყარებულია ნატურალურ მეურნეობაზე, უმოდრო ტექნიკაზე და ნებატონესა და გლეხის განუწყვეტელ კავშირზე. ამ-ს გამო ამ სისტემის საფუძვლით განხორციელება ყოველად შეუძლებელია, და სასაქონლო მეურნეობის და საეკონომიკური მოქმედების განვითარების ყოველი ნაბიჯი ძირს უთხრის მისი არსებობის პირობებს.

გარდა ამისა მისაღებად მხედველობაში შემდეგი გარემოება. ზემოთ აღნიშნულადან გამომდინარეობს ის, რომ თანამედროვე საბატონო მეურნეობაში საბევრო-სამუშაოებზე უნდა გაიყოს ორ სახეობად: 1) საბევრო-სამუშაოებზე, რომელთა შესრულება შეუძლია მხოლოდ მეურნე-გლეხს; რომელსაც ყავს მუშა-საქონელი და აქვს ინვენტარი და 2) საბევრო-სამუშაოები, რომელთა შესრულება შეუძლია სოფლის პროლეტარსაც, რომელსაც არ გააჩნია არაერთი ინვენტარი. ცხადია, რომ როგორც საგლეხო, ისე საბატონო მეურნეობისათვის პირველ და მეორე სახის საბევრო-სამუშაოებს ნაპირდაპირ მნიშვნელობა აქვთ, და უკანასკნელი სახის საბევრო-სამუშაოები წარმოადგენენ პირდაპირ გადასვლას კაპიტალიზმში, რომელსაც ისინი შეერთებენ სრულიად შეუმჩნეველ საფეხურებს გზით. ჩვეულებრივად ჩვენს ლიტერატურაში ლაპარაკობენ საზოგადოდ საბევრო-სამუშაოებზე და ასეთ განხვევებას არ იღებენ მხედველობაში. მაშინ როცა კაპიტალიზმის მიერ საბევრო-სამუშაოების გამოდენის პროცესში პირველ ადგილზე საბევრო-სამუშაოდან მეორეზე სიმძიმის ცენტრის გადატანას უღიშებენ მნიშვნელობა აქვს. აი, მაგალითად, «Сборник стат. свед. по Московской губернии»-ში ვკითხულობთ: „მამულთა უდიდეს ნაწილში... ყანების დამუშავება და თესვა. ე. ი. ისეთი მუშაობა, რომლის გულმოდგინედ შესრულებაზე დამოკიდებულია მოსავალი, სრულდება მუდმივ მუშების საშუალებით, პურიც აღება-კი, ე. ი. ასეთი მუშაობა, რომელსაც ითხოვს პირველ ყოვლისა დაუფვიანებლობას და სიჩქარეს, ეძლევათ გარემოში გლეხებს ფულად ანდა სახმარი მუშის სარგებლობით. ასეთ მეურნეობებში მუშების უდიდეს ნაწილს იძენენ საბევრო-სამუშაოების საშუალებით, მაგრამ უეჭველია, რომ აქ კაპიტალიზმის სისტემა სჭარბობს. და „გარემო გლეხები“ არსებობდა იქცევიან სოფლის მუშებად. იმ გერმანულ „საკონტრაქტო დღიურ მუშებს“ მსგავსად, რომელნიც ამზადებდნენ მუშაობას ფლობენ და კიდევ ქარავლებთან განსაზღვრული ხნით წლის განმავლობაში. მოუსაველობის გამო გლეხობაში ცხენებს უზარმაზარმა დაუნაკლავმა და უცხენო კონლებმა გამრავლებამ ძლიერი ვაფლენა მოახდინა ამ პროცესის დაჩქარებაზე. ე. ი. საბევრო-სამუშაო სისტემის კაპიტალისტურა სისტემით შეცვლაზე.

დაბოლოს, საბევრო სამუშაო სისტემის მოსპობის უმოკლეს მზევად აღიარებულ უნდა იქნეს გლეხობის დამლა. საბევრო სამუშაოებს (პირველი სახის) კავშირ-სწორედ საშუალო გლეხობა თან ცხადია. და როგორც ჩვენ უკვე ზემოთ აღნიშნეთ, აპრიორულად შეიძლება დამტკიცდეს საეკონომიკური სტატისტიკის ცნობებით. მაგალითად, ეკონომიკის გუბერნიის

ზადონაკის მაზრის კრებულში მოყვანილია ცნობები მეურნეობათა რაოდენობაზე გლეხობის სხვადასხვა ჯგუფებში, რომლებსაც სანაქრო სამუშაოები აქვთ აღებული.

აქედან ცხადად ჩანს, რომ ორივე მოპირდაპირე ჯგუფში სანაქრო სამუშაოებში მონაწილეობა სუსტდება. იმ კომლთა უდიდესი ნაწილი, რომელნიც სანაქრო სამუშაოებს იღებენ, მოდის გლეხობის საშუალო ჯგუფზე. რადგან საერთო სტატისტიკურ ცნობებში ხშირად სანაქრო სამუშაოებიც ეთვლება საზოგადოდ „საშოვრებს“ ამიტომ, მაშასადამე, ჩვენ აქ ვხედავთ საშუალო გლეხობის ტიპურ „საშოვრებს“ მაგალითს...

რაც უფრო წინ მიდის ნატურალური მეურნეობისა და საშუალო გლეხობის განადგურება, მით უფრო ძლიერად უნდა შეავიწროვოს კაპიტალიზმმა საბეგრო-სამუშაოები. ცხადია, შეძლებული გლეხობა არ შეიძლება წარმოადგენდეს ნადაგა საბეგრო-სამუშაოებისათვის, რადგან მხოლოდ უკიდურესი გაჭირვება აიძულებს გლეხს ხელა მოჰკიდოს მისი მეურნეობისათვის გამანადგურებელ და უმცირესად დაფაებულ სამუშაოს. მაგრამ არც სოფლის პროლეტარიატია გამოსადეგი საბეგრო-სამუშაო სისტემისთვის, თუმცა სხვა მოხეზის გამო: სოფლის პროლეტარს ან არ გააჩნია არავითარი მეურნეობა, ან მას აქვს უმნიშვნელო მწიკი ნაფლეთი, რომელთანაც ის ასე დაკავშირებული არ არის, როგორც „საშუალო“ გლეხი, და ამიტომ მისთვის გაცილებით უფრო ადვილია სხვაგან წასვლა და „თავისუფალ“ პარობებში დაქირავება, ე. ი. უკეთესი ხელფასის მიღება და დაუჩაგვრელად მუშაობა. აქედან წარმოდგება ჩვენი აგრაირების საყოველთაო უკმაყოფილება გლეხების ქალაქში წასვლის გამო და მათი „გარეშე საშოვრებზე“ სიარულის შესახებ საზოგადოდ; აქედან მათი საყვედური იმის შესახებ, რომ გლეხები „ნაკლებად არიან მიჯაჭვული“ ა. წმინდა-კაპიტალისტური ქირით მუშაობის განვითარება ნიადაგს უთხრის საბეგრო-სამუშაოების სისტემას.

უაღრესად მნიშვნელოვანია იმი, აღნიშვნა, რომ აეთა განუწყვეტელა კავშირი გლეხობის დაშლასა და საბეგრო-სამუშაოების კაპიტალიზმის მიერ განდევნას შორის, — კავშირი, რომელიც თეორიაში ასე ნათელია, — დიდი ხანაა შემჩნეულია საოფლო-სამეურნეო მწერლებში; მიერ, რომელნიც იკვლევდნენ საბატონო მამულებში მეურნეობის შრომის სხვადასხვა წესს.

ჩვენ რასაკვირველია, არა გვაქვს მხედველობაში ამ ცალკე შენაშენებათ დავამტკიცოთ დებულება საბეგრო სამუშაოებზე კაპიტალიზმის მიერ განდევნის შესახებ: ამას შესახებ სრული სტატისტიკური ცნობები არ მოიპოვება. ჩვენ ამით მხოლოდ ნათელვყოფთ იმ დებულებას, რომ გლეხობის დაშლასა და საბეგრო-სამუშაოების კაპიტალიზმის მიერ განდევნას შორის კავშირი არსებობს. საერთო, მასიური ცნობები, რომელნიც შეურყევლად ანტიციტებენ ამ განდევნის არსებობას, შეეხებიან სოფლის მეურნეობაში მანქანებისა და თავისუფლად დაქირავებული შრომის გამოყენებას.

(ვ. ლენინი — „კაპიტალიზმის განვითარება რუსეთში“).

მანუფაქტურის წარმოშობა, არსება და მნიშვნელობა

§ 1. კონკრეტული შრომა კაპიტალისტურ წარმოებაში

...კაპიტალისტურ წარმოება ფაქტიურად იქ იწყება პირველად, სადაც ერთიდაიგივე ინდივიდუალური კაპიტალი ერთსა და იმავე დროს მნიშვნელოვან მუშათა რიცხვს აბამს წარმოებაში, სადაც ამნაირად, შრომა პროცესი თავის ფარგლებს აფართოვებს და პროდუქტს მნიშვნელოვან რაოდენობაში აძლევს. მნიშვნელოვან მუშათა რიცხვს მოქმედება სიმავე დროს, იმავე შენობაში (ან, თუ გნებავთ, შრომის იმავე ასპარეზზე), იმავე საბაზს საქონლის საწარმოებლად, იმავე კაპიტალისტის ბრძანებლობით, ავტორიტეტულად და ლოლიკურად კაპიტალისტური წარმოების, გამოსავალ წერტილს შეადგენს. თვით წარმოების წესის მიხედვით მანუფაქტურა, მაგალითად, პირველ ხანებში საამქრო ხელოსნური მრეწველობისაგან განსხვავდება მხოლოდ უფრო მეტი მუშათა რიცხვით, რომელიც ერთსა და იმავე კაპიტალის მიერ ჩაბმულია წარმოებაში. ამჭრის ოსტატის სახელოსნო აქ მხოლოდ გაფართოებულა...

მიუხედავად ამისა, განსაზღვრულ ფარგლებში აქ ადგილი აქვს ზოგიერთ ცვლილებას. ღირებულებაში გასაგნობრივებული შრომა საშუალო საზოგადოებრივი თვისების შრომაა, ე. ი. საშუალო სამუშაო ძალის გამოხატულებაა. მაგრამ საშუალო ზოდიდ მუდამ მრავალ სხვადასხვა ინდივიდუალურ სადიდეთა საშუალოს წარმოადგენს. მრეწველობის ყოველ დარგში თითოეული ინდივიდუალური მუშა, პეტრე ან პავლე, ცოტად თუ ბევრად იხრება საშუალო მუშისაკენ. ეს ინდივიდუალური გადახრანი, რომელთაც მათემატიკაში „ცთომილებას“ უწოდებენ, ერთმანეთში ბათილდებიან და ისპობიან, როგორც კი ჩვენ მუშათა მნიშვნელოვან რიცხვს ავიღებთ.

ცნობილი სოფისტი და სიკოფანტი ვ დ მ უ ნ დ ბ ე რ კ ი, თავისი პირადი გამოცდილებით, როგორც ფერმერი, იმასაც კი ამტკიცებს, რომ „საბოლოო მნიშვნელო ჯგუფში“, რომელიც 5 მოჯამაგირისაგან შედგება, მუშაობის ინდივიდუალური განსხვავება გამჭკარალია, ამნაირად, მუშა-კაცის პასაკის ყოველი ინდივიდუალური განსხვავება გამჭკარალია, ამნაირად. მუშა-კაცის პასაკის ყოველი 5 ინგლისელი მოჯამაგირე განსაზღვრულ დროში ერთად მუშაობის დროს სწორედ იმდენსავე სამუშაოს შეასრულებს, როგორც ყოველი სხვა 5 ინგლისელი მოჯამაგირე.

უკველ შენთხვევაში, აშკარაა რომ ერთსა და იმავე დროს წარმოებაში ჩაბმული მნიშვნელოვანი რიცხვის მუშათა ერთობლივა სამუშაო დღე, ვაყოფილი მუშათა რიცხვზე, თავისთავად საშუალო საზოგადოებრივი შრომის შემცველი დღეა. დაუშვათ, რომ ერთი მუშის სამუშაო დღე, მაგალითად 12 საათს გრძელდება. მაშინ ერთსა და იმავე დროს წარმოებაში ჩაბმული 12 მუშის სამუშაო დღე 144 საათს, ერთობლივა სამუშაო დღე იქნება, და თუმცა თითოეული თორმეტთაგანი მუშის შრომა ცოტად თუ ბევრად იზრება საზოგადოებრივი საშუალო შრომიდან, და ამიტომ ერთსა და იმავე საქმეს იგა რამდენიმე შეტ ან ნაკლებ დროს ანდომებს, მაგრამ თითოეული მუშის სამუშაო დღე, განხილული როგორც $\frac{1}{12}$ აწარმოვადათხსნათიანი ერთობლივი სამუშაო დღისა, საშუალო საზოგადოებრივ თვისებებს შეიცავს...

თვით მუშაობის წესის უცვლელობის დროს მუშათა მნიშვნელოვანი რიცხვის ერთსა და იმავე დროს გამოყენება რევოლუციას იწვევს შრომის, პროცესის ნივთიერ. პრობებში. შენობები, სადაც ბევრი მუშაობს, ნედლი მშალის საწყობები და სხვ., ქურქელი, ინსტრუმენტები, აპარატები და სხვ., რომლებსაც ერთსა და იმავე დროს, ან დროგამოშვებით იყენებს მრავალი მუშა, მოკლედ — საწარმოო საშუალებათა ერთი ნაწილი წოდის პროცესში ახლა კოლექტიურად იხმარება.

ერთის მხრივ, საქონლის საცვლელი ღირებულება და, ამნაირად, საწარმოო საშუალებათა ღირებულებაც სრულიად არ მატულობს მათი სახმარაო ღირებულების ექაპლოატაციის გამო. მეორე მხრივ, იზრდება კოლექტიურად მოხმარებულ საწარმოო საშუალებათა მასშტაბი. ოთახი, სადაც 20 ფეიქარი მუშაობს თავის 20 საფეიქრო დაზვაზე, უფრო ფართო უნდა იყოს, ვიდრე ის ოთახი, სადაც მუშაობს ერთი დამოუკიდებელი ფეიქარი თავისი ორი ქარგლით. მაგრამ 20 კაც-სათვის ერთი სახელოსნოს აშენება უფრო ნაკლები შრომა დროს, ვიდრე 10 სახელოსნოს — თითოეულისა ორ-ორ კაცზე — აშენება და საერთოდ მატიურად თავმოყრილ და გაერთიანებულ საწარმოო საშუალებათა ღირებულება არ იზრდება იმის შესაფერად, როგორც იზრდება მათი მოცულობა და სასარგებლო შედეგი.

როდესაც მრავალი მუშა ერთსა და იმავე წარმოების პროცესში ანდა სხვადასხვა, მაგრამ ერთმანეთთან დაკავშირებულ წარმოების პროცესში ვეკვიანად ერთი მეორეს გვერდით შეერთებულად მუშაობს, შრომის ასეთ ფორმას კოოპერაცია ეწოდება.

როგორც ცხენოსანთა ესკადრონის შეტევითი ძალა ან ქვეითი ჯარის მოგერიებითი ძალა არსებითად განსხვავდება იმ შეტევითი და მოგერიებითი ძალების ჯამაზაგან, რომელსაც თითოეული ცხენოსანი და ქვეითი ჯარისკაცი ცალკე აწეითარება, — აგრეთვე მექანიკურ ჯამი განცალკევებული მუშათა ძალებთან განსხვავდება იმ საზოგადოებრივი ძალისაგან. რომელ-ც ვითარდება, როდესაც მრავალი მუშა-ხელი ერთსა და იმავე დროს, ერთსა და იმავე განუყოფელ ოპერაციებში ერთად მოქმედებს. მაგალითად, როდესაც საჭირაო რაიმე ჯამაზის აწევა, ქახრაკის შე-

მოტრიალება ანდა რაიმე დაბრკოლების თავიდან აცილება. ყველა ამგვარ შემთხვევაში განცალკევებული მუშა ან სრულად ვერ მიაღწევდა. გაერთიანებული შრომის შედეგს, ანდა მიაღწევდა მას უფრო ხანგრძლივ დროში, ანდა — მხოლოდ სულ მცირე მაშტაბით. აქ ლაპარაკია არა მხოლოდ ინდივიდუალურად საწარმოო ძალის გადაღებაზე კოოპერაციის საშუალებით, არამედ — ახალი საწარმოო ძალის შექმნაზე, რომელიც თავისთავად მასიურ ძალას წარმოადგენს.

გარდა ამ ახალი ძალისა, რომელიც მრავალი ძალის საერთო ძალად შედუღებისაგან წარმოდგება, თვით ფაქტი საზოგადოებრივი კონტაქტისა უმეტეს შემთხვევაში პროდუქტულ მუშაობათა შეჯიბრებას და სააკოცხლო ენერჯის... ერთგვარ გაძლიერებას იწვევს, რაც თითოეული მუშის ინდივიდუალურ შრომას უნარს ადიდებს, რას გამოც 12 მუშა 144 საათიან მთლიან სამუშაო დღეში გაცილებით უფრო მეტ საერთო პროდუქტს დაამზადებს, ვიდრე 12 განცალკევებული მუშა, როდესაც თათბიური მათგანია 12 საათს მუშაობს, ანდა — ვიდრე ერთი მუშა, რომელსაც ზედოზედ 12 დღის განმავლობაში მუშაობს. ეს იმიტომ ხდება, რომ ადამიანი ბუნებით, თუ პოლტიკურია არა, როგორც ამას ფაქტობდა არისტოტელი, ყოველ შემთხვევაში, საზოგადოებრივი ცხოველია.

თუმცა მრავალი მუშა ერთსა და იმავე ან ერთგვარ სამუშაოს იმავე დროულად ერთად ასრულებს, მაგრამ თითოეული მუშის ინდივიდუალური შრომა, როგორც საერთო შრომის ნაწილი, შეიძლება წარმოადგენდეს თვით შრომის პროცესის სხვადასხვა საფეხურებს, რომელთაც შრომის საგანი კოოპერაციის მეოხებით უფრო ჩქარა ვადის.

მაგალითად, როდესაც კალატოზები ჩამჭკრივებულნი არიან და ერთი მეორეს შენობის საძირკველიდან მის მწვერვალამდე აგურს აწვდიან, ამ დროს თითოეული მათგანი ერთსა და იმავე სამუშაოს ასრულებს; მიუხედავად ამისა თითოეული კოოპერაცია წარმოადგენს ერთი მთლიანი კოოპერაციის განუწყვეტელ ნაწილს, განსაკუთრებულ საფეხურს, რომელიც თითოეულმა აგურმა უნდა განელოა შრომის პროცესს, და რომლის შემწეობით კოლექტიური მუშის 24 ხელი მას უფრო სწრაფად მიიტანს ადგილზე, ვიდრე ორი ხელი თითოეული მუშისა, რომელსაც ხარაჩობზე ასვლა-ჩამოსვლა დაჰკირდებოდა. შრომის საგანი აქ ამავე მანძილს უფრო მოკლე დროში გაივლის.

მეორე მხრივ, შრომის კომბინაციას ადგილა აქვს მამანაც, როდესაც, მაგალითად, შენობას ერთსა და იმავე დროს სხვადასხვა მხრიდან იწყებენ, თუმცა გაერთიანებული მუშება აქაც ერთსა და იმავე ანუ ერთგვარ სამუშაოს ასრულებენ. კომბინირი 144 საათის სამუშაო დღე შრომის საგანს მრავალი მხრიდან უდგება, რადგანაც კომბინირი ანუ კოლექტიური მუშის თვალები და ხელები წინაც ახლა და უკანაც და რამდენადმე ყოველგან მყოფობის უნარი შესწევს; ამიტომ იგი საერთო პროდუქტს უფრო ჩქარა ამზადებს, ვიდრე 12 საათიან სამუშაო დღეში დაამზადებენ მას ცოტად თუ ბევრად განცალკევებული მუშები, რომელნიც თავის სამუშაო

შაოს უფრო ცალმხრივად უნდა შეუდგნენ. აქ იმავე დროულად მწ ფდებ-
ბა მანძილით დაშორებული პროდუქტის ნაწილები.

ჩვენ აღვნიშნეთ, რომ მრავალი მუშა, რომელიც ერთმანეთს ავსებენ,
იმავე ანუ ერთგვარ სამუშაოს აწარმოებს, რადგანაც გაერთიანებული
შრომის ეს უმარტივესი ფრომა დიდ როლს ასრულებს უაღრესად განვ-
თარებული სახის კოოპერაციაშიაც. როდესაც შრომის პროცესი რთულია,
მაშინ მართა ის გარემოება, რომ მუშებმა დიდი მასა ერთად მუშაობს,
საშუალებას იძლევა სხვადასხვა რაქონი სხვადასხვა მუშებს შორის გა-
ნაწილდეს, ამნაირად, ერთსა და იმავე დროს იქნეს შესრულებული და ამ
გზით შემცირდეს მთლიანად პროდუქტის დასამზადებლად აუცილებელი
სამუშაო დრო.

წარმოების მრავალ დარგში არ ებობს კრიტიკული მომენტები, ე. ი.
თვით შრომის პროცესის ბუნებით განსაზღვრული ხანა, რომლის განმავ-
ლობაშიც აუცილებლად მიღწეულ უნდა იქნას შრომის განსაზღვრულ
შედეგი. თუ, მაგალითად, საჭიროა, რომ ცხერს ფარა გააკრიკოს, სწრაფად
რამდენიმე მორგენი პური მოამკას, ამ შემთხვევაში პროდუქტის რაოდენ-
ობა და თვისება დამოკიდებულია იმაზე, რომ ეს რაქონი განსაზ-
ღვრულ დროში იქნეს დაწყებული და განსაზღვრულ დროში გათა-
ვებული.

ის დრო, რომლის განმავლობაში შრომის პროცესი უნდა იქნეს შე-
რულებული, აქ წინასწარ განსაზღვრულია, როგორც მაგალითად, თევზის
დაჭერის დროს. თითოეულ მუშას ერთი დღიდან მხოლოდ ერთი სამუშაო
დღის გამოქრა შეუძლია მაგალად, 12 საათის 100 მუშის კოოპერაცია კი ამ
12 საათის სამუშაო დღეს 1.200 საათის სამუშაო დღედ აფართოებს. შრო-
მის ვადის სამკორე ანაზღაურებულა შრომის მასის სიდადით, რომელიც
გადამწყვეტ მომენტში წარმოების ასპარაზზეა გადმოტყორცნილი. თავის
დროზე შედეგს მიღება დამოკიდებულია აქ მრავალი კომპონური სამუ-
შაო დღის მშავდროულ გამოყენებაზე, ხოლო ამ საქარებლო შედეგს
ფარგლები — მუშების რიცხვზე; ეს უკანასკნელი კი მუდამ ნაკლებია იმ
მუშების რიცხვზე, რომლებიც ცალცალკე იმავე დროის განმავლობაში
იმავე სამუშაოს შეასრულებენ. წყორედ ამ კოოპერაციის უქონლობა არაა
იმაზე მიზეზი, რომ შეერთებული შტატების დასავლეთ ნაწილში, სადაც
ინგლისის ბატონობამ ძველი სათემო წყობილება დაარღვია ყოველწლიუ-
რად უამრავი ბაზა ფუჭდება.

კოოპერაცია, ერთი მხრივ, შესაძლებლობას იძლევა გაფართოვებულ
იქნეს შრომის ასპარეზი და ამიტომ განსაზღვრულ შრომის პროცესში მას
თვით შრომის საგნის ადგილმდებარეობა მოათხოვს, მაგალითად, კაობე-
ბის ამოშრობის, ჯებირების გაკეთების, მოსარწყავი სამუშაოების, არხების,
გზატყვევლების, რკინიგზების გაყვანის დროს და სხვ. მეორე მხრივ, წარ-
მოების მასშტაბთან შედარებით, იგივე კოოპერაცია შესაძლებლად ხდის
წარმოების სფეროს სივრცის მხრივ შესუღვდას. შრომის ასპარეზის ასეთი
შეუწროება და იმავე დროს მისი მოქმედების სფეროს გაფართოება,
რასაც შედეგად ზედმეტი ხარჯების აცილება მოსდევს, გამომდინარეობს

ბუშების ერთად თავის მოყრიდან, შრომის სხვადასხვა პროცესის დაახლო-
ვებიდან და საწარმოო საშუალებათა კონცენტრაციიდან.

განსაკვეთებულ ინდივიდუალურ სამუშაო დღეთა მათე სიდიდეს
ჯამთან შედარებით კომბინატური სამუშაო დღე (ახმაჩი ღირებულების მეტ
მასას აწარმოებს და ამიტომ ამცირებს სამუშაო დროს, რომელიც აუცი-
ლებელია განსაზღვრული ასპარეზბლო ეფექტის წარმოებასათვის. როგორც
უნდა აღწევდეს ოგი ყოველ ცალკე შემთხვევაში ამ პროდუქტულ და-
ლას გადაღებას, — მთ, რომ აღიღებს შრომას მექანიკურ ძალას, თუ
აფართოვებს სივრცის მხრივ თავისი მოქმედების სფეროს. აფართო-
ვებს სივრცის მხრივ წარმოების ასპარეზს შედარებით წარმოებს
მარშტაბთან, კონტრეტულ მომენტისათვის მოძრაობაში მოყავს ბევრ შრო-
მა ნაკლებ დროში, აღვიძებს ცალკე პართა შეჯიბრებას, და აძლევებს მათ
სულიერ ენერჯას, მრავალი მუშის ერთგვაროვან ოპერაციებს განუწყ-
ვეტლობდა და მრავალმხრივობის ბეჭდით აღნიშნავს, სხვადასხვა ოპე-
რაციებს ერთა და იმავე დროს აწარმოებს, საწარმოო საშუალებებზე ეკო-
ნომიის ეწვევა კოლექტიურად მათი გამოყენებით, თუ ინდივიდუალურ
შრომის საზოგადოებრივი საშუალო შრომის ხასიათს ანიჭებს. — ყველა
ამ შემთხვევაში კომბინატური სამუშაო დღეს სპეციფიკური საწარმოო და-
ლა არის შრომის საზოგადოებრივი საწარმოო ძალა ანუ საზოგადოებრი-
ვი შრომის საწარმოო ძალა. იგი თვით კოოპერაციიდან წარმოდგება.
სხვებთან მიზანშეწონილ თანამშრომლობაში მუშა წარიხოცავს თავის
ინდივიდუალურ საზღვრებს და ავითარებს თავის მოდემის უნარს.

(კ. მარქსი — „კაპიტალი“, ტ. I.).

§ 2. მარტივი კაპიტალისტური პროდუქცია

წვრილი საქონლის მწარმოებლები, მიერ შედარებით მსხვილი სახე-
ლოსნობების დაარსება წარმოადგენს მრეწველობის უფრო მაღალ ფორ-
მაზე გადასვლას. დაჭაქსულ წვრილი წარმოებიდან იზრდება მარ-
ტივი კაპიტალისტური პროდუქცია. „კაპიტალიზმის
წარმოება... იწყება ნამდვილად იმ მომენტიდან, როცა ერთიდაიგივე
ინდივიდუალური კაპიტალი ერთდროულად ამუშავებს მუშათა მეტ რა-
ხვს, მაშასადამე, შრომის პროცესი აფართოვებს თავის ფარგლებს და რძ-
ლევა პროდუქტის მეტ რაოდენობას. მუშათა მეტი რიცხვის მოქმედება
ერთადაიმავე დროს, ერთადაიმავე ადგილზე (ან, თუ გნებავთ, შრომის
ერთადაიმავე დარგში), ერთადაიმავე ხარისხის საქონლას საწარმოებ-
ლად; ერთადაიმავე კაპიტალისტის ხელმძღვანელობით, წარმოადგენს ის-
ტორიულად და ლოგიკურად კაპიტალისტური წარმოების დასაბამს. თვით
წარმოების წესით, მაგალითად, მანუფაქტურა, თავისი შთანაბი ფორმით,
თითქმის მეტით არაფრით არ განარჩევა ამქრული ხელოსნური წარმოებ-
დან, გარდა მუშების მრავალი რიცხვისა, რომელთაც ერთდროულად ამუ-
შავებს ერთადაიგივე კაპიტალი. აქ ამქრული ხელოსნის სახელოვნო მხო-
ლოდ გაფართოვებულია“.

• მაშასადამე, ჩვენ წვრილ საგლებო („საშინაშრეწველო“) სარეწავებში არის სწორედ ეს დასაბამი კაპიტალიზმში. სხვა რატორიულა გარემოცვა-ლობა (საამქრო წარმოების არყოფნა ან მისი სუსტი განვითარება) სცვლავ მხოლოდ ერთსადაიმევე კაპიტალიტური ურთავრთობის გამოვლინებას ფორმებს. კაპიტალისტური სახელონოვან განსხვავება წვრილი მრეწველის სახელოსნოვან მდგომარეობს თავდაპირველად მხოლოდ ერთდროულად მომუშავე მუშების რიცხვში. ამიტომ პირველი კაპიტალისტური დაწესებულებანი, რომელნიც რიცხვობრივად უმცირესობას წარმოადგენს, თითქოა ჰქრებინ წვრილ დაწესებულებათა საერთო მასაში. მაგრამ, მუშების მეტი რიცხვის გამოყენება აუცილებლად იწვევს თანამდევარ ცვლილებებს თვით წარმოებაში, წარმოების თანდითნობით ცვლილებას. ხელს პირველყოფილი ტექნიკის დროს ცალკე მომუშავეთა შორის განსხვავება ყოველთვის ძალიან დღა (ღონით, სისწრაფით, დახელოვნებით და სხ.); უკვე ამ ერთადერთი მიზეზის გამოც წერალა მრეწველის მდგომარეობა ძალიან მერყევი ხდება; მისი დამოკიდებულება ბაზრის მერყეობასაგან ლეზულობს უმცირეს ფორმებს. როცა-კი ერთ დაწესებულებაში რამოდენივე მუშაა, ინდივიდუალური განსხვავება მათ შორის სწორდება უკვე თვით სახელოსნოში; ერთდროულად მომუშავე მრავალრიცხოვანი მუშების ერთობლივი სამუშაო დღე უკვე თავისთავად წარმოადგენს საშუალო საზოგადოებრივ შრომას დღეს, და ამიტომ კაპიტალისტური სახელოსნოს წარმოება და მისი პროდუქტებს გასაღება გაცილებით უფრო მეტ რეგულიარობასა და ლიტეციეს ლეზულობს. აქმნება შესაძლებლობა შენობების, საწყობების, რენტრუმენტებისა და შრომის იარაღების და სხ. უფრო სრული უტილიზაციისათვის; და ეს-კი იწვევს უფრო მსხვილ სახელოსნოებში წარმოების ღირებულების გაიფებას, იმისთვის, რომ წარმოებამ უფრო ფართო ზომებს მიიღოს და ერთდროულად მრავალი მუშა ამუშავოს, საჭიროა საქმოდ მნიშვნელოვანი კაპიტალის დაგროვება, რომელიც ხშირად თავს იყრის არა წარმოების სფეროში, არამედ ვაჭრობის სფეროში და სხ. ამ კაპიტალის სიდიდე საზღვრავს მეპატრონის, პირად მონაწილეობის ფორმას საწარმოში: მუშაობს თუ არა ეს თვითონაც, როცა მისი კაპიტალი ჯერ კიდევ მცირეა, ან თუ უარს ამბობს პირად მუშაობაზე და სპეციალურად კომერციულ-საწარმოო ფუნქციებს ეწევა: „შეიძლება სახელოსნოს მეპატრონის მდგომარეობა დაეუკავშიროთ მასთან მომუშავე მუშებთან რიცხვს“ — ეკონომიკით ჩვენ ავეჯიოს სარეწავის აღწერაში. „2—3 მუშა იმდენად ცოტა ნამეტს აძლევს, რომ ეს თვითონ მათ გვერდით მუშაობს... 5 მუშა-კი უკვე იმდენს აძლევს მას, რომ ის რამოდენიმედ მათავსუფლებს თავს ფიზიკური მუშაობისაგან, ცოტა არ იყო, ზანტობა იწყებს და ატროლებს უმთავრესად მეპატრონის ორ უკანასკნელ მოვალეობას“ (ე. ი. მასალოვის მიდრის და საქონლის დასაბობას). როგორც-კი მუშების რიცხვი აღწევს 10-ს ან ამ ციფრს აღიმატება; მეპატრონი არა თუ თავს ანებებს ხელით მუშაობას, არამედ მუშებზე შედამხედველობასაც-კა სტოიებს თ-თქმის; ის იყენებს მთავარ ხელსაშ, რომელიც ასრულებს ზედამხედველის დანიშნულებას: ის ახლა უკვე აქ-

კევა პატარა კაპიტალისტად, ნამდვილ „მკვიდრ მეპატრონედ“. ჩვენ მიერ მოყვანილი სტატისტიკური ცნობები თვალსაჩინოდ ადასტურებს ამ დაბალიათებას, ისინი გვიჩვენებს ოჯახიანი მუშების რიცხვს შემცირებას დაქირავებული მუშების რიცხვს გამრავლებას დროს.

მრეწველობის კაპიტალიზაციური ფორმების განვითარებაში უბრალო კაპიტალისტურ კოოპერაციის მნიშვნელობას „კაპიტალს“ ავტორი ახსენებებს ამნარად:

„ისტორიულად კოოპერაციის კაპიტალისტური ფორმა ვითარდება. ავ გლახო მეურნეობის და დამოუკიდებელი ხელოსნურა წარმოების წინააღმდეგ, მიუხედავად იმისა — აქვს თუ არა. ამ უკანასკნელს ამქრულა ფორმა... იმის მსგავსად, როგორც კოოპერაციას მეოხებით შრომის მომატებული საზოგადოებრივი წარმოო ძალა გვევლინება როგორც კაპიტალის საწარმოო ძალა — ისე თვით კოოპერაცია გვევლინება წარმოებ ს კაპიტალიზტურა. პროცესის სპეციფიურ ფორმად, წინააღმდეგ დაქაჩული დამოუკიდებელი მუშაკებს ან წვრილ მეპატრონეების წარმოების პროცესისა. ესაა — პირველი ცვლილება, რომელსაც თვით შრომის პროცესი კაპიტალიზადში დაქვემდებარება გამო განიცდის... დაქირავებულ მუშებზე, დღეს რიცხვს ერთდროული გამოყენება შრომის ერთსადაიმევე პროცესში, რაც ამ ცვლილებას პირობას წარმოადგენს, არის კაპიტალისტური წარმოების გამოსავალი წერტილი... ამიტომ, თუ, ერთი მხრით, წარმოების კაპიტალისტური წესი არა, ისტორიული აუცილებლობა შრომის პროცესის საზოგადოებრივ პროცესად გადაქცევა, მეორე მხრით, შრომის პროცესის საზოგადოებრივი ფორმა არა, წესი, კაპიტალის მიერ გამოყენებული, ამ პროცესის უფრო ხელსაყრელი ექსპლოატაციისთვის, მისი საწარმოო ძალის მომატებულ საშუალებით.

„ზემოთ განხილული უბრალო ფორმით კოოპერაცია ემთხვევა გაფრთოვებულ წარმოებას, მაგრამ ის არ შეადგენს კაპიტალისტურ წარმოების განვითარების განსაკუთრებული ეპოქის მტკიცე, დამახასიათებელ ფორმას. დღეს, თუ ის დაახლოებით ასევე როგორ, თამაშობს მანუფაქტურის ჯერ კიდევ ხელოვნურ ჩანასახებს...“

შემდეგში ჩვენ დავინახავთ, თუ როგორ მკვიდროდ არის დაკავშირებული რუსეთში წვრილი „სამინამრეწველო“ დაწესებულებანი, რომელთაც დაქირავებული მუშები ჰყავთ, კაპიტალიზმის შეუღლებლად უფრო განვითარებულ და უფრო ფართოდ გავრცელებულ ფორმებთან. რაც შეეხება ამ დაწესებულებების როლს წვრილ საგლეხო სარეწავებში ზემოდ უკვე სტატისტიკურად ნაჩვენები იყო, რომ ეს დაწესებულებები ქმნიან საკმაოდ ფართო და კაპიტალისტურ კოოპერაციას წარმოების წინააღმდეგ დაქაჩვის მანეიერ და მნიშვნელოვნად აღიღებს შრომის ნაყოფიერებას.

ჩვენი დასკვნა წვრილ საგლეხო სარეწავებში კაპიტალისტური კოოპერაციის უზარმაზარ როლისა და მისი პროგრესიული მნიშვნელობის შესახებ სასტიკად ეწინააღმდეგება ფართოდ გავრცელებულ ნაროდნიკულ დოქტრინას წვრილ საგლეხო სარეწავებში „სანადო დაბაბის“ ყოველ-

გვარ-გამომყვანების შესახებ. ნამდვილად-კი, სწორედ წინააღმდეგ ეხედეთ — წვრალი მრეწველობა (და ხელოსნობა) განირჩევა მწარმოებელთა უდიდესი დაქსაქსულობით. წინააღმდეგი შეხედულების დასამტკიცებლად ხალხმანურმა ლიტერატურამ ვერაფრის მოცემა ვერ შეძლო, ერთეული მაგალითების თავმოყრის გარდა, რომელთა დიდი უმრავლესობა ეკუთვნის არა კოოპერაციას, არამედ წარმოადგენს მებატონეთა დროებით, მინიატურულ შეერთებას ნედლეულობის ერთად საყიდლად, საერთოდ კახელოსნოს ასაგებად და სხვ. ანუ ნადები ჭრულებათაც არ ენებიათ კაპიტალისტური კოოპერაციის უპირატესს მნიშვნელობას.

(6. ლენინი — „კაპიტალიზმის განვითარება რუსეთში“).

§ 3. მანუფაქტურის წარმოშობა და მისი ძირითადი თვისებები

როგორც ვიცით, მანუფაქტურის ქვეშ გულისხმობენ შრომის დანაწილებას და მყარებულ კოოპერაციას. თავისი წარმოშობით მანუფაქტურა უშუალოდ მოსდევს ზემოთ აღწერილ „კაპიტალიზმის პირველ საფეხურებს მრეწველობაში“. ერთი მხრით, სახელოსნოებს, სადაც მუშებმა ცოტად თუ ბევრად მნიშვნელოვანი რაოდენობაა ჩაბმული, თანდათან შეჰოაქვთ შრომა და დანაწილება, და, ამახრად, მარტივი კაპიტალისტური კოოპერაცია კაპიტალისტურ მანუფაქტურაში გადადის. წინა თავში მოყვანილი სტატისტიკური ცნობები მოსკოვი, სარეწავების შეწყობის ნათლად გვიჩვენებს მანუფაქტურის სამგვარ წარმოებას პროცესს: მეოთხე კატეგორიის ყველა სარეწავს, მესამე კატეგორიის ზოგიერთი სარეწავების და მეორე კატეგორიის ერთეული სარეწავების უფრო დიდი სახელოსნოები სისტემატურად აყენებენ შრომა და დანაწილებას ფართო მასშტაბით. — ამიტომ ისინი კაპიტალისტური მანუფაქტურის ნიშნებს უნდა მივაკუთვნოთ. ქვემოთ ჩვენ მოვყვანთ უფრო დაწვრთვებით ცნობებს ზოგიერთი ამ სარეწავების ტექნიკისა და ეკონომიკის შესახებ.

მეორე მხრით, ჩვენ ვნახეთ, რომ წვრილ სარეწავებში სავაქრო კაპიტალიზმს აღწევს რა თავის განვითარების უმაღლეს საფეხურს მწარმოებელთა დაქირავებული მუშის მდგომარეობაში აყენებს. — იმ დაქირავებული მუშის, რომელიც ნარდი სამუშაოს ხელფასით სხვის ნედლეულს ამუშავებს. თუ შემდეგ განვითარება იწვევს წარმოებაში შრომის სისტემატური დანაწილების შემოღებას, რომელიც წვრილი წარმოების ტექნიკას სცვლის, თუ „შემყიდველი“ ზოგიერთ დეტალურ ოპერაციებს აცალკევებს და დაქირავებული მუშებით აწარმოებს მათ თავის სახელოსნოში, თუ შინ სამუშაოს დარიგებასთან ერთად და მასთან დაკავშირებით ჩნდება შრომის დანაწილებაზე დამყარებული მსხვილი სახელოსნოები (რომელნიც ხშირად იმავე შემყიდველებს ეკუთვნიან), — მაშინ ჩვენ წინ კაპიტალისტური მანუფაქტურის აღორძინების მეორეგვარი პროცესი იშლება.

მრეწველობის კაპიტალისტური ფორმის განვითარებაში მანუფაქტურას დიდი მნიშვნელობა აქვს, იგი საშუალებდო (промежуточный) რგოლია, ერთი მხრით, ხელოსნობასა და წვრილ სასაქონლო კაპიტალის პრიმიტიულ ფორმების მატარებელ წარმოებასა და, მეორე მხრით, მსხვილ

სამანქანო ინდუსტრიას (ფაბრიკას) შორის. წერილ სარეწავეებს მანუფაქტურა უახლოვდება — მით, რომ მის საფუძველად ისე ხელით სამუშაო ტექნიკა რჩება — ამიტომ მსხვილი საწარმოო საბოლოოდ ვერა ძლევს წერილ საწარმოებს, სავსებით ვერ აშორებს, მრეწველს მათომოქმედებას... მანუფაქტურამ ვერ შესძლო დაეპყრო მთელი საზოგადოებრივი წარმოება, ან ძირიან-ფესვებიანად (in ihrer Tiefe) გარდაექმნა რგი, იმ ეკონომიურ შენობაზე. რომლიც, ფართო საფუძველს შეადგენდა ქალაქის ხელონობა და სოფლის დამხმარე სარეწავება, მანუფაქტურა მოჩანდა როგორც არქიტექტურული მორთულობა. ფაბრიკასთან მანუფაქტურას აახლოვებს დიდი ბაზრის გაჩენა, დაქირავებული მუშით მოქმედ მსხვილ საწარმოთა წარმოება, მსხვილი კაპიტალი, რომლის მორჩილებაში იწყობებიან საკუთარ ქონებას მოკლებული მუშათა მასები.

რუსულ მწერლობაში გავრცელებულია ყალბი აზრა, თათქო. ეგრეთწოდებული „საფაბრიკო-კაპიტალიზმი“ წარმოება სრულიად მოწყვეტილი იყოს „შინამრეწველობას“. ე-თომ პირველს ახასიათებს „ხელოვნურობა“, მეორეს კი „ხალხოსნურობა“. ამ-ტომ ჩვენ საჭიროდ მიგვაჩნია განვიხილოთ დამუშავებული მრეწველობის ყველა უმნიშვნელოვანესი დარგის ცნობები. და გამოვარკვიოთ, როგორი იყო მათი ეკონომიური ორგანიზაცია მას შემდეგ, რაც ისინი გამოვიდნენ წერილი საგლეხო სარეწავეების სტადიიდან — იმ დრომდე. სანამ ისინი გარდაიქმნებოდნენ მსხვილ სამანქანო ინდუსტრიის მიერ.

(ე. ლენინი — „კაპიტალიზმის განვითარება რუსეთში“).

§ 4. მანუფაქტურის ორგანიზაციის წარმოშობა

შრომის დანაწილებაზე დამყარებული კოოპერაცია თავის კლასიკურ ფორმას მანუფაქტურაში პოულობს. როგორც კაპიტალისტურ წარმოების პროცესში, დამახასიათებელი ფორმა, რგი გაბატონებულია საკუთრად მანუფაქტურული პერიოდის განმავლობაში. რომელიც გრძელდება დაახლოვებით მე-16 საუკუნის ნახევრამდე მე-18 საუკუნის უკანასკნელ მესამე დამდე.

მანუფაქტურა ორნაირ გზით წარმოიშვის:

ერთი გზა ასეთია. ერთ სახელონოში და ერთი და იმავე კაპიტალისტის ბრძანებით ქვეშ ერთდებიან სხვადასხვაგვარა, დამოუკიდებელი ხელობის მომუშავენი. რომელთა ხელში უნდა გაიაროს პროდუქტმა თავისი საბოლოო მომწოდებამდე. მაგალითად. ეტლი პირველად მრავალ დამოუკიდებელ ხელონანთა შრომის მთლიანი პროდუქტია იყო. სახელონობრ, ეტლის ოსტატის. მეურნეაგირის, თერძის. ზეინკალის, მექამრის, ხარატის, მონქარგავის. მინის ჩამსმელის. მღებავის, ლაქის წამსმელის. მომვარაყებელის. და სხვ. ეტლის. მანუფაქტურა ყველა ამ სხვადასხვა ხელოსანს ერთ სახელონოში აერთიანებს. სადაც ისინი ერთსა და იმავე დროს მხარდა მხარ მუშაობენ. რასაკვირველია, სანამ ეტლი გაკეთებული არ იქნება, მისი მოვარაყება არ შეიძლება, მაგრამ, თუ ერთ-ა და იმავე დროს მრავალი ეტლი მზადდება, მაშინ მისი ერთი ნაწილი შეიძლება მუდამ ვარაყ-

დებოდეს, ხოლო მეორე ნაწილი იმავე დროს წარმოების პროცესის წინა-საფეხურებს გადიოდეს. აქ ჩვენ ჯერ ისევ მარტივი კომპერაციის ნიადაგზე ვლგევართ, რომელიც მზამზარეულად პოულობს თავის მასალას ადამიანებსა და ნეთებში. მაგრამ სულ მალე არსებითი ცვლილება ხდება. თერძი, ზენკალი, მექამრე და სხვ., რომელიც მხოლოდ ეტლის კეთებაშია ჩაბმული, თანდათან კარგავს ჩვეულებას, და მასთან ერთად უნარსაც აწარმოოს თავისი ძველი ხელობა მთელ მასი მოცულობით. მეორე მხრივ, ბისი ცალმხრივი მუშაობა მოქმედებს ამ შეზღუდულ ლფეროში ახლა უფრო მიზანშეწონილ ფორმას იღებს. თავდაპირველად ეტლის მანუფაქტურა დამოუკიდებელ ხელობათა კომბინაციას წარმოადგენდა. შემდეგ ეტლის წარმოება თანდათან სხვადასხვა ნაწილობრივ ოპერაციებად იყოფა, რომელთაგან თითოეული ერთი რომელიმე მუშის განსაკუთრებული ფუნქციონს სახით ყალიბდება, და რომელთა მთლიანობა ამ ნაწილობრივი მუშებზე კავშირის საშუალებით ხორციელდება. ამგვარად წარმოიშვა მალე მანუფაქტურა და მთელი რიგი სხვა მანუფაქტურებიცა სხვადასხვა ხელობის კომბინაციადან ერთისა და იმავე კაპიტალის ბრძანებლობით ქვეშ *).

მაგრამ მანუფაქტურა საწინააღმდეგო გზით წარმოადგება, მრავალი ხელოსანი, რომელიც ერთსა და იმავე ანუ ერთგვაროვან მუშაობას ასრულებს, მაგალითად, აკეთებს ქალაღს, შრიფტს ან ნემსებს, ერთისა და იმავე კაპიტალის მიერ იმედროულად ერთსა და იმავე სახელოსნოშია ჩაბმული. ეს არის კომპერაცია მისი უმარტივესი ფორმით. თითოეული ამ ხელოსანთაგანი (შეიძლება, ერთი ან ორი ქარგალი) მთელ საქონელს ამზადებს, და, ამნაირად, ზენდზედ ასრულებს ყველა იმ სხვადასხვა ოპერაციას, რომელიც მის დასამზადებლად არის საჭირო. იგი მუშაობს თავისი ძველი ხელოსნური წესით. მაგრამ გარეშე პირობები მოითხოვენ მალე, რომ მუშების კონცენტრაცია იმავე შენობაში და მათი მუშაობის იმედროულობა სხვაფერი იქნეს გამოყენებული. მაგალითად, მიწოდებული უნდა იქნეს განსაზღვრულ ვადაზე დიდძალი მზა საქონელი. ამისათვის, შრომა ნაწილ-

* რომ უფრო თანამედროვე მაგალითით იქნეს აღნიშნული მანუფაქტურის შექმნის ეს წესი, მოგვყავს შემდეგი ციტატა: ლიონში და ნიშში აბრეშუმის რთვა და ქსოვა სრულიად პატრიარქალურია. აქ ბევრი ქალი და ბავშვი მუშაობს, მაგრამ ეს მათ არ ქანცავს და მათ ჯანმრთელობას არ ენებს. ისინი რჩებიან დროის, ვარის, იზრის და ვოლკუიზის მშვენიერ ველებზე, სადაც მათ აბრეშუმის ქია გამოჰყავთ და მისი პარკიდან ძაღს ახვევენ; ეს წარმოება არასოდეს არ იღებს ნამდვილი ფაბრიკის ხასიათს. თუ კარგად დავუკვირდებით, დავინახავთ... რომ შრომის დანაწილების პრინციპი აქ განსაკუთრებულ თავისებურობას იჩენს. აქ ბევრია ძაღის ამომხვევი, მძეადვი, მღებარი და ფეიქარტი. მაგრამ ისინი ერთ შენობაში არ არიან თავმოყრილნი და ერთსა და იმავე პატრონზე დამოკიდებულნი. ისინი ყველა დამოუკიდებელი არიან. იმ დროს შემდეგ, რაც ბლანკიმ * ეს დასწერა, სხვადასხვა დამოუკიდებელი მუშები ნაწილობრივად გაერთიანებულ იქნენ ფაბრიკებში („ხოლო მის შემდეგ, რაც ეს მარკსმა დასწერა“, — შენიშნავს აქ ენგელსი მე-4 გამოცემაში, — „ამ ფაბრიკებში დამკვიდრდა მექანიკურ საფეიქრო დაზგა და სწრაფად იღვენება ხელის საფეიქრო დაზგა. კრფელის აბრეშუმის მრეწველობაც ამ გზას ადგია“).

დება. იმის მაგიერ, რომ ერთსა და იმავე ხელოსანს მიენდოს სხვადასხვა ოპერაციებზე თანმიმდევრობით შესრულება, ამ ოპერაციებზე ერთმანეთს აშორებენ, აცალკევებენ, სივრცის მხრივ ერთი მეორის გვერდით ათავსებენ და თითოეული ოპერაციის შესრულებას ცალკე ხელოსანს ავალბებენ, და ყველა ამ ოპერაციას გაერთიანებული მომუშავენი ერთსა და იმავე დროს ასრულებენ. ასეთი შემთხვევით დანაწილება მეორდება, ცხადყოფს თავის სპეციფიურ უპირატესობას, და თანდთან შრომის სისტემატიურ დანაწილებად ყალბდება. მრავალი ოპერაციის შემართულებელ დამოუკიდებელ ხელოსანს, ინდივიდუალური პროდუქტიდან საქონელი იქცევა ხელოსანთა კავშირის საზოგადოებრივ პროდუქტად, იმ ხელოსანთა, რომელთაგან თითოეული განუწყვეტლად ასრულებს მხოლოდ ერთსა და იმავე ნაწილობრივ ოპერაციას. იგივე ოპერაციები, რომლებიც ერთმანეთშია ჩაჭოვნილი, როგორც თანმიმდევრად სამუშაოანი გერმანელი ქალღმრთის მკეთებელი აპქის ოსტატისა, პოლანდიის ქალღმრთის მანუფაქტურაში დამოუკიდებელ ხდებიან და ერთი მეორის გვერდით მიმდინარეობენ, როგორც ნაწილობრივი ოპერაციები. მრავალი გაერთიანებული მუშა. ნიურნბერგის აპქის ოსტატი, რომელიც ნემსებს ამზადებს, ინგლისის ნემსების მანუფაქტურის ძირითად ელემენტს შეადგენს. მაგრამ იმ დროს, როდესაც ნიურნბერგელი ხელოსანი ზედიზედ იქნებ ოცოდე სხვადასხვა ოპერაციის ასრულებს. ინგლისის მანუფაქტურაში ერთი მეორის გვერდით 20 ხელოსანი მუშაობს და თითოეული მათგანი ასრულებს მხოლოდ ერთ ოპერაციას. რომელიც გამოცდლებს მეოხებით კიდევ უფრო მეტად ნაწილდება, ცალკევდება და თითოეული მუშის დამოუკიდებელ ერთადერთ ფუნქციად ხდება.

ამნაირად, მანუფაქტურის აღმოცენება, მისი წარმოშობა ხელოვნობიდან ორნაირი გზით ხდება: 1) ერთი მხრივ, იგი წარმოადგება სხვადასხვაგვარ დამოუკიდებელ ხელობათა კომბინაციიდან, რომლებიც დამოუკიდებლობას კარგავენ და ცალმხრივი ხდებიან იმ ზომამდე, რომ ერთი და იმავე საქონლის წარმოების პროცესში მხოლოდ-ღა ერთი მეორის შემავსებელ ნაწილობრივ ოპერაციას წარმოადგენენ; 2) მეორეს მხრივ, იგი წარმოადგება ერთგვაროვანი ხელოვნების კოოპერაციიდან, ანაწილებს ერთსა და იმავე ინდივიდუალურ ხელობას მის სხვადასხვა განსაკუთრებულ ოპერაციებად, აცალკევებს და დამოუკიდებელად ხდის მათ იმ ზომამდე, რომ თითოეული მათგანი ამა თუ იმ განსაკუთრებული მუშის ერთადერთ ფუნქციად ხდება. ამიტომ მანუფაქტურას, ერთი მხრივ შეაქვს შრომის დანაწილება წარმოების პროცესში. ანდა ავითარებს არსებულ შრომის დანაწილებას; მეორეს მხრივ, იგი აერთებს სხვადასხვა ხელობას, რომელიც უწინ დამოუკიდებელი იყო. მაგრამ როგორც უნდა იყოს მისი გამოქვეყნებული წერტილი ყოველ კერძო შემთხვევაში, მისი საბოლოო ფორმა მუდამ ერთი და იგივეა. მისი საწარმოო მექანიზმია, რომლის ორგანოება ადამიანები წარმოადგენს.

რომ სწორად იქნეს გაგებული შრომის დანაწილება მანუფაქტურაში, არსებითი მნიშვნელობა აქვს შემდეგ მუხლების აღნიშვნას. პირველ ყოვლისა, წარმოების პროცესის მის განსაკუთრებულ ფაზისებად დაყოფა აქ საყებათ ემთხვევა ხელოვნური საქმიანობის დაშლას მის სხვადასხვა ნაწი-

ლობრე ოპერაციებად. რთულად ეს ოპერაცია თუ მარტივი, იგი ხელოსნურ ხასიათს ინარჩუნებს, და, ამიტომ, დამოკიდებულია თითოეული მუშა მჭერ თავისი ინსტრუმენტის ხმარებას დროს გამოჩენილ ძალაზე, დახელოვნებასა, სწრაფება და სიმარჯვეზე. საფუძველად ხელმწიობა რჩება. ეს ვიწრო ტექნიკური საფუძველი უარყოფს წარმოების პროცესს ნამდვილი მეცნიერული ანალიზის შექმნაზე, რადგანაც ყოველი ნაწილობრივი პროცესი, რომელსაც პროდუქტი გაივლის, ხელოსნური ნაწილობრივი შრომის სახით უნდა იქნეს შესრულებული. სწორედ იმტომ, რომ ხელოსნური დახელოვნება აქ წარმოების პროცესის საფუძველად რჩება, თითოეული მუშა მარტოდ მარტო ერთ ნაწილობრივ ფუნქციას ეგუება უი მისი სამუშაო ძალა მთელი მისი სიცოცხლე ამ ნაწილობრივი ფუნქციის ორგანოდ ხდება. დაბოლოს, შრომის ასეთი დანაწილება კოოპერაციის განსაკუთრებულ სახეს წარმოადგენს და მრავალი მისი უპირატესობა კოოპერაციის საერთო ბუნებიდან გამომდინარეობს და არა მისი განსაკუთრებული ფორმიდან.

(კ. მარქსი — „კაპიტალი“ ტ. I):

§ 5. მანუფაქტურის ორი ძირითადი ფორმა: კაპიტალისტური და ოჯახიური.

მანუფაქტურა თავისი წყობით ორ ძირითად ფორმას შეიცავს: მიუხედავად იმისა, რომ ეს ფორმები ხანდახან ერთმანეთზე გადახლართულია, ისინი ორ არსებითად განსხვავებულ სახეს წარმოადგენენ და მეტადრე მანუფაქტურის შემდგომი გადაქცევი. დროს მხველ მანქანურ მრეწველობად სრულად სხვადასხვა როლს ასრულებენ. ასეთი ორმაგი ხასიათი თვით წარმოებას ბუნებიდან გამომდინარეობს. ეს ნაწარმოები წამოღება ან დამოუკიდებელი ნაწილობრივი პროდუქტების მარტოდენ მექანიკურ გაერთიანებით, ანდა თავი სავოლოზ ფორმას იგი იღებს ერთმანეთთან დაკავშირებული პროცესებისა და მანიპულიაციების თანამდევარი მწყობრის საშუალებით.

მაგალითად, ლოკომოტივი 5.000-ზე მეტი დამოუკიდებელი ნაწილისაგან შედგება. მაგრამ ის არ გამოდგება პირველი სახის საკუთრივ მანუფაქტურის მაგალითად. რადგან იგი მსხვილი მრეწველობის პროდუქტია. მაგრამ ასეთად გამოდგება საათი. რომლისათაც უკვე ვილაპარაკებთ. შრომის მანუფაქტურულ დანაწილებას ასურათხატებს. ნიურნბერგელი ხელოსნის ინდუვიდუალურა პროდუქტიდან საათი გადაქცა უამრავ ნაწილობრივ მუშათა საზოგადოებრივ პროდუქტად. ასეთება, მაგალითად, Rohwerkmacher-ი. ზამბარის გამკეთებელი, ციფირბლატის გამკეთებელი, სპრალური ზამბარის გამკეთებელი, ძვირფასი ქვის ღრუს გამკეთებელი და რუბინის ჩამსმელი, ძარები, გამკეთებელი, საათის ბუღია გამკეთებელი, ზრახნილის გამკეთებელი, ოქროთი მომვარაყებელი, რომელიც თავის მხრივ კიდევ სხვადასხვა დარგებად იყოფა, როგორც, მაგალითად, თვლები, გამკეთებელი (ეს დარგიც ორად იყოფა: თითბერის თვლებს და ფოლადის თვლებს გამკეთებელი), Triebmacher-ი, Zeigerwerkmacher-ი, acdeveur

de pignon (ამაგრებს თვლებს კბ-ლანებში, ასუფთავებს facettes-ს და სხვ.), Zapfenmacher-ი, planteur de finissage (სხვადასხვა თვლებს და კბილანებს მექანიზმში აწყობს), finisseur de barillet (კბილებსა სკრის. აგანიერებს ღრუებს სათანადო ზომაზე, ამაგრებს მოწყობილობას), Hemmungmacher-ი და მ-ის სხვადასხვა დარგები: ც-ლინდრების გამკეთებელი. შემხვედრი თვლების გამკეთებელი, ქანქარას გამკეთებელი, raquette-ის (საათის მომწესრიგებელი მექანიზმი) გამკეთებელი; planteur d'échappement (საკუთრივ Hemmungmacher-ი); შემდეგ repasseur de barillet (საბოლოოდ აკეთებს ზამბარის ბუდე და მოწყობილობას), ფოლადის გამპრასლებელი, თვლების გამპრიალებელი, ზრახნალების გამპრიალებელი, ციფრები, მხატავი, Blattmacher-ი (სპილენძს ემალთ ფარავს), fabricant de pendant (საათის ბუდეს რგოლს უკეთებს მხოლოდ), finisseur de charnière (საათის ბუდის შუაგულში თათბერს წვირას უკეთებს), faiseur de secret (ბუდეს უკეთებს ზამბარას. რომლითაც საათის სახურავი იხდება), მეჩუქურთმე, ziseleur, საათის ბუდის გამპრიალებელი და სხვ. და სხვ., დაბოლოს, repasseur-ი, რომელიც საბოლოოდ აწყობს მთელ საათს და ამუშავებს მხოლოდ საათის ზოგერთი ნაწილებს გადადის სხვადასხვა ხელში და ბოლოს ეს membra dasjecta (დაქუცმაცებული წვერები) თავს იყრის ერთი მომუშავის ხელში, რომელიც მათ ერთ მთლიან მექანიზმად აკავშირებს.

ამ წარმოებაში, ს.ე როგორც მრავალ მ-ს მსგავს წარმოებაში, მზა პროდუქტის წმინდა გარეგნული დამოკიდებულებას გამო მის სხვადასხვა შემადგენელ ნაწილებთან, მრავალ ნაწილობრივ მუშათა შეერთება ერთ სახელოსნოში შემთხვევითაა მოვლენა. სხვადასხვა ნაწილობრივი სამუშაო, თავს მხრივ, შეიძლება შესრულებულ იქნეს დამოუკიდებელი ხელოსნის სახით, როგორც ეს ხდება ვადტონ და ნეშატელის კანტონში. ხოლო ენევაში; მაგალითად, საათის დიდი მანუფაქტურები არსებობს; ე. ი. იქ ადგილი აქვს ნაწილობრივი მუშების უშუალო კოოპერაციას, ურთი კაპიტალის ბრძანებლობის ქვეშ. მაგრამ ამ უკანასკნელ შემთხვევაშიაც ცუფერბლატი, ზამბარა და ბუდე იშვიათად მზადდება თვით მანუფაქტურაში. წარმოების კომბინური მანუფაქტურული წესი აქ მხოლოდ განსაკუთრებულ პირობებშია ხელსაყრელი, ვინაიდან სახლებში მომუშავეთა შორის დიდი კონკურენცია არსებობს; წარმოების დაქუცმაცება მრავალ ჰეტეროგენურ პროცესებზე თითქმის უარყოფს საუშუალო იარაღების გაერთიანებულად გამოყენების შესაძლებლობას და კაპიტალისტი გაფანტული ფაბრიკაციის დროს აღარ საჭიროებს გასწორს ხარჯები სახელოსნოს შენობაზე და სხვ.*). მაგრამ ამ ნაწილობრივი მუშების მდგომარეობაც, რო-

* 1854 წელს ენევაში 80.000 საათი იქნა დამზადებული, რაც კანტონ ნეშატელის საათის წარმოების ერთ მესამედზე ნაკლებს შეადგენს. Chaux-de-Fonds. რომელიც შეიძლება განხილულ იქნეს როგორც საათის მთლიანი მანუფაქტურა, ყოველწლიურად ორჯერ მეტ საათს ამზადებს. ვიდრე ენევა. 1850 — 1861 წლამდე ენევაში 750.000 საათი იქნა დამზადებული. თუ იმ პროცესების დამოუკიდებლობაც, რომელზე-

მელნიც თუმცა თავის ლახლში, მაგრამ მაინც კაპიტალისტების (Fabricant, établisseur) მუშაობენ, სრულიად სხვაა, ვიდრე დამოუკიდებელი ხელოსანის მდგომარეობა, რომელიც თავის საკუთარ შემკვეთთათვის მუშაობს **).

მეორე სახეს მანუფაქტურა, მისი დაშთავრებული ფორმა, ისეთ პროდუქტებს აწარმოებს, რომელიც ერთი მეორეზე დაკავშირებულ განვითარების ფაზისებს, პროცესებს, თანმიმდევარ მწყობრს გააგლის; ასეთია, მაგალითად, ნემსების მანუფაქტურა, სადაც მათელი 72 და, ასე გათინჯეთ, 92 სპეციფიკური ნაწილობრივ მუშის ხელში გაივლის.

რამდენადაც აეთი მანუფაქტურა თავდაპირველად დაქსაქსულ ხელოსნობას აერთიანებს, ოგი ამოკლებს დაშორებს, მანძილს პროდუქტს წარმოების ცალკე ფაზასებს შორის. მცირდება ის დრო, რომელიც აუცილებელია ამ პროდუქტს ერთი სტადიიდან მეორე სტადიაში გადასაქვლელად. მცირდება აგრეთვე ის შრომა, რომლიც მეოხებთ ეს გადასვლა ხორციელდება. ამგვარად, ხელოსნობასთან შედარებით აქ იზრდება შრომის ნაყოფიერება და ეს ზრდა მანუფაქტურის საერთო კოოპერატიული ხასიათიდან გამომდინარეობს. მეორე მხრივ, მანუფაქტურისათვის დამახასიათებელი პრინციპი შრომის დანაწილებისა იწყვეტს წარმოების სხვადასხვა ფაზისებში. იზოლიაციას, რომელიც ერთი მეორესაგან განცალკევებულად ხელოსნური ხასიათის დამოუკიდებელი ნაწილობრივი შრომის სახით. ამ განცალკევებულ ფუნქციებს შორის კავშირის დამყარება და მისი შენარჩუნება შოთხხოვს პროდუქტის ერთი ხელდან მეორეში და ერთ პროცესიდან მეორეში განუწყვეტლად გადასვლას. მსხვილი მრეწველობის თვალსაზრისით ეს გარემოება შეადგენს დახასიათებულ, ზედმეტი ხარჯების გამოწვევს და მანუფაქტურის პრინციპთან იმანენტურად დაკავშირებულ ჩამორჩენილობას.

(ვ. მარქსი — „კაპიტალი“ ტ. I).

§ 6. მანუფაქტურის ტექნიკა. შრომის დანაწილება და მისი მნიშვნელობა

მანუფაქტურის საერთო თვისებას შეადგენს ხელით წარმოება და შრომის დანაწილების ფართო, სისტემატიური გატარება. წარმოების პროცეს-

დაც ნაწილდება რთული პროდუქტების წარმოება, თავისთავად ძლიერ აბრკოლებს ამგვარი მანუფაქტურის გადაქცევის მსხვილ სამრეწველო მანქანურ წარმოებად, საათის წარმოებაში ამას კიდევ ორი სხვა დაბრკოლება ემატება, სახელდობრ: სიპატარავე და სიფაქრზე საათის ელემენტებისა და ის გარემოება, რომ საათი ფუფუნების საგანია, და ამიტომ სხვადასხვა სახისაა, ისე რომ, მაგალითად, ლონდონის საუკეთესო ფირმებში მთელი წლის განმავლობაში ერთ დუჟინამდე საათი თუ მზადდება ისეთი, რომ ერთი მეორეს წააგავდეს. Vacheron et Constantini-ის საათის ფაბრიკა, რომელიც მანქანებს წარმატებით იყენებს, ბევრი-ბევრი საათის 3 — 4 ეარიაციას თუ იძლევა, ერთი მეორისაგან თავისი სიდიდით და ფორმით განსხვავებულს.

**) საათის წარმოებაზე, პეტროგვერტი მანუფაქტურის ამ კლასიკურ მაგალითზე; ზედმიწევნით შეიძლება შესწავლილ იქნეს ზემოაღნიშნული, ხელოსნური საქმიანობის დაშლიდან წარმომდგარი, დიფერენციაცია და სპეციალიზაცია სამუშაო ინსტრუმენტებისა.

ნაწილდება რამდენიმე დეტალურ ოპერაციებად, რომელთაც ასრულებენ სხვადასხვა სპეციალისტი-ხელოსნები. ასეთი სპეციალიტების მომზადება ხანგრძლივ სწავლებას მოითხოვს, და ამიტომ მანუფაქტურის ბუნებრივი თანამგზავრია შეგიჯრობა: ჩვენ ვიცით, რომ სსაქონლო მეურნეობისა და კაპიტალიზმის საზოგადო ვითარებაში ეს მოვლენა სწვევს პირადი დამოკიდებულებითა და ექსპლოატაციის უაშინელეს ფორმებას. შეგიჯრობის გაქრობა დაკავშირებულია მანუფაქტურის უფრო მაღალ განვითარებასთან და მსხვილი სამანქანო ინდუსტრიის წარმოშობასთან, როცა მანქანები, minimum-ამდე ამცირებენ სწავლების პერიოდს ან როცა ისეთი მარტივი დეტალური ოპერაციები ჩნდება, რომ მათი ასრულება ბევრ შემთხვევაში კი ეხერხებათ.

ხელის წარმოების, როგორც მანუფაქტურის ბაზისის დაცვით ახსენება ეს შედარებითი უმოძრაობა, რომელიც განსაკუთრებით გვეხდება თვალში მანუფაქტურისა და ფაბრიკის დაპარდაპირების დროს. შრომის დანაწილებით, განვითარება და გაღრმავება ძალიან ნელა წარმოებს, ასე რომ მანუფაქტურა მთელი ათეული წლებით (და საუკუნოვითაც) ინარჩუნებს ერთნელ მძლავრ ფორმას: ჩვენ ენახეთ, რომ ბევრი ჩვენ მერ განხალხული სარეწავი — ძალიან დიდი ხნისაა, და მიუხედავად ამისა უკანასკნელ დრომდე მათი უმრავლესობი, წარმოების საშუალებებში არავითარი ღრმა ცვლილება არ მომხდარა.

რაც შეეხება შრომის დანაწილებას, ჩვენ აქ არ გავიმეორებთ თეორიული ეკონომის საყოველთაოდ ცნობილ დებულებებს მის როლზე შრომის საწარმოო ძალთა განვითარების პროცესში. ხელის წარმოების ნიადაგზე ტექნიკის პროგრესი შესაძლებელია მხოლოდ შრომის დანაწილების სახით. აღვნიშნავთ მხოლოდ ორ ყველაზე მნიშვნელოვან გარემოებას, რომლებიც გვირკვევს შრომის დანაწილების აუცილებლობას, როგორც მოსამზადებელ სტადიას მსხვილი სამანქანო ინდუსტრიისათვის. პირველი, წარმოების პროცესის დანაწილება უმარტივეს წმინდა მექანიკური ოპერაციებად იძლევა საშუალებას შემოღებულ იქნას მანქანები, რომელსაც თავდაპირველად უბრალო ოპერაციებთან იყენებენ და რომლითაც მხოლოდ თანდათან იზორჩილებენ უფრო რთულ ოპერაციებს. მაგალითად, საფეხქო საქმეში მექანიკურმა ჩარხმა დიდი ხანი დაიმორჩილა უბრალო ქსოვილებს წარმოება, — აბრეშუმის ქსოვა კი უმთავრესად ისევ ხელს საშუალებით გრძელდება; საზეინკლო საქმეში მანქანა გამოიყენება პირველყოფილ ერთ-ერთ უმარტივეს ოპერაციისათვის — გაჩარხვისათვის და სხვ. მაგრამ წარმოების ეს დაქუცმაცება მარტივ ოპერაციებად, — მიოხიდავად იმისა, რომ აუცილებელი მოსამზადებელი ნაბიჯია მსხვილი სამანქანო წარმოების შემოსაღებად, — იმავე დროს წეროლ სარეწავთა ზრდას სწვევს. საწარმოს გარშემო მყოფ მოსახლეობას საშუალება ეძლევა ამგარი დეტალური ოპერაციები აწარმოოს შინ, ან მანუფაქტურის რიგის შეკავით და მათი მასალით (ჯაგარის ჩასმა ჯაგარის მანუფაქტურაში, — ცხერის ტყავების, ქურჩის თათმანების, ფეხსაცმელის და სხვ. კერძო ტყავის წარმოებაში, სავარცხლის დახვეწა სავარცხლის მანუ-

ფაქტურაში. სამოკრებო „მღწობა“ და სხვ.), ანდა „დამოუკიდებლად“ იქნეს მასალას, ამზადებდნენ პროდუქტის ცალკე ნაწილებს და ყიდეს მათ მანუფაქტურისტებზე (ქუდი, ეტლი, გარმონის სარეწავი და სხვ.). ეს თანაქროს პარადოქსია: წერილი (ხანდახან „დამოუკიდებელი“) სარეწავებს ზრდა. როგორც გამოხატულება კაპიტალისტურ-მანუფაქტურის ზრდასა, — მაგრამ ეს მაინც ფაქტია. ამგვარ „შინამრეწველთა“ „დამოუკიდებლობა“ სრულიად ფაქტურია. მათი საქმე არ იწარმოებოდა, მათ პროდუქტს არავითარი სახმარი ღირებულება არ ექნებოდა სხვა დეტალთა მანუფაქტურის, პროდუქტის სხვა ნაწილებთან და უკავშირებლად. ამ დაკავშირების შექმნა კი შეძლო და კადეც შექმნა მხოლოდ მსხვილმა კაპიტალმა, რომელსაც (ამა თუ იმ ფორმით) გაბატონებულია დეტალურ მუშათა მასაზე. ხალხოსნური ეკონომიის ერთი მთავარ-შეცდომათაგანი მდგომარეობს იმ ფაქტის უგულვებელყოფასა თუ მიფუჩქებაში, რომ დეტალ-ტა „შინამრეწველთა“ კაპიტალისტურ მანუფაქტურის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს.

მეორე გარემოება, რომელსაც უსათუოდ უნდა გაესვას ხაზი, ეს არის — მანუფაქტურის მიერ დახელოვნებული მუშების მომზადება. ნსპეილი ლამაქანო ჩნდებოდა რეფორმის შემდეგ დროინდელ პეროდში ვერ განვითარდებოდა იქ ჩქარა, რომ მანუფაქტურის მიერ მუშებს მომზადების ხანგრძლივი ეპოქა არ გაევიღო. მაგ., ვლადიმირის გუბ. პოკროვსკის მაზრის „სამრეწველო“ ფაქტორების მკვლევარნი ერთხმად აღნიშნავენ კუდიკინის თემის ფაქტორების შესანიშნავ „ტექნიკურ ხერხეაწობას და გამოცდილებას“ (ამ თემშია სოფ. ორეხოვო და მოროზოვების ცნობილი ფაბრიკები): „ვერსად... ვერ ვნახულობთ ჩვენ შრომის ასეთ დამაბულობას... აქ ყოველთვისაა შრომის მკაცრი დანაწილება ფაქტორსა და ნართის დამხვევს. შორის... კუდიკელებში წარსულმა გამოიმუშავა... წარმოების სრულყოფილი ტექნიკური წესები... ყოველგვარ სიძნელეში გარკვევის უნარი“. „არ შეძლება ყოველ სოფელში რამდენიც გინდათ იპღენ ფაბრიკა ააგოთ“, — ეკითხულობთ აბრეშუმის ფაქტორების შესახებ: „ფაბრიკა უნდა მიჰყვებოდეს ფაქტორს იმ სოფელში, სადაც უკვე წარმოშვა გასვლას“ (თუ, დაეუმატებთ, საშინაო მუშაობის) „გზით საქმის მკოდნე მუშაებებს საკმაო კონტრენტია“. ისეთი საწარმონი, როგორაც პეტერბურგის ფეხსაცმელების ფაბრიკაა, ვერ განვითარდებოდა ისე სწრაფად. რომ, მაგალითად, სოფ. კამრის რაიონში საუკუნოებით არ დახელოვნებულ კენ მუშები, რომელიც ახლა ამ მხარედან გაგდენ; და სხვ. ანტომ, სხვათა შორის, ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ მანუფაქტურა ჰქმნის მთელ რიგ მსხვილ რაიონებს, რომელიც დახელოვნებული არაან განაზღვრულ წარმოებაში და რომელთაც მრავალი დახელოვნებული მუშა წარმოშვეს.

კაპიტალისტურ მანუფაქტურაში შრომის დანაწილება ამანინჯებს და ასახიჩრებს მუშას, — აგრეთვე დეტალის შემსრულებელ „შინამრეწველსაც“. ჩნდებიან შრომის დანაწილების ვირტუოზები და ხეიბრები, პირველნი — როგორც იშვიათი ერთეულები, — რომელთაც განცვიფრებაში

მოკყავთ მკვლევარნი; მეორენი — როგორც მასიური მოვლენა მკერდმუშტი „შინამრეწველებისა“, საშინლად განვითარებულ ხელებით და ცალმხირვი კუზიანობით“ და სხვ., და სხვ.

(ვ. ლენინი — „კაპიტალიზმის განვითარება რუსეთში“).

§ 7. შრომის ნაყოფიერების ზრდა მანუფაქტურაში

თუ საგანს უფრო დაწვრილებით შევხებით, პირველ ყოვლისა ცხადი იქნება, რომ მუშა, რომელიც მთელი თავისი სიცოცხლე ერთსა და იმავე მარტივ ოპერაციაზე ატარებს, მთელ თავის სხეულს ამ ოპერაციას ავტომატურ ცალმხრივ ორგანოდ ხდის, და ამიტომ ამ ოპერაციას შესასრულებლად იგი უფრო ნაკლებ დროს ხარჯავს, ვიდრე ხელოსანი, რომელიც ოპერაციათა მთელ რაგს თანამიმდევრობით ატარებს. მაგრამ კომბინირებული გაერთიანებული მუშა, რომელიც მანუფაქტურის ცოცხალ მექანიზმს წარმოადგენს, მარტოდენ აეთა ცალმხრივი ნაწილობრივი მუშებისაგან შედგება. ამიტომ დამოუკიდებელ ხელოსანობასთან შედარებით აქ მცირე დროში მეტი პროდუქტი მზადდება, ანუ შრომის ნაყოფიერება იზრდება. უმჯობესდება ნაწილობრივ შრომის მეთოდიც, რაკი იგი განსაკუთრებული მუშის ერთადერთ და დამოუკიდებელ ფუნქციად იქცევა. ერთსა და იმავე განსაზღვრული მოქმედების მუდმივი განმეორება და ყურადღების მიპყრობა, ამ განსაზღვრულ საფეხურზე გამოცდილებით გეაწავლის იმას, თუ როგორ უნდა მივაღწიოთ მიზნად დასახულ სასარგებლო შედეგს, რაც შეიძლება ნაკლები ძალის დახარჯვით. ხოლო, რადგანაც მუშათა სხვადასხვა თაობას ერთსა და იმავე დროს უბდება ცხოვრება და ერთსა და იმავე მანუფაქტურაში ერთად მუშაობა. ამიტომ აღნიშნული გზით შექმნილი ტექნიკური დახელოვნება მალე მტკიცდება; გროვდება და ერთ თაობიდან მეორეზე გადადის.

მანუფაქტურა საინდივიდუალურ ნაწილობრივ მუშის ვირტუოზობას ქმნის მათ, რომ სამრეწველო შრომის ბუნებრივად აღმოცენებულ დანაწილებას, რომელსაც ის საზოგადოებაში პოულობს. მას სახელოსნოს შიგნით გადააქვს და სისტემატურად უმაღლეს წერტილამდე აწვითარებს. მეორე მხრივ, მანუფაქტურას მიერ ნაწილობრივი შრომის ეს გარდაქმნა ადამიანის სასიცოცხლო მოწოდებად შეეფერება წინანდელ საზოგადოებათა მოწოდებებს — გადაექცათ ხელობა მემკვიდრეობით მოვლენად, გაექვეყნებინათ იგი კასტის სახით ანდა, როდესაც განსაზღვრული ისტორიული პირობები წარმოშობდნენ ინდივიდუუმის ცვალებადობას. რაც ეწინააღმდეგება კასტის, არსებას, — ჩამოეყალიბებოდათ ხელობა ამქარის სახით. კასტა და ამქარი იმავე ბუნებრივი კანონისაგან წამოდგება, რომელიც აწესრიგება მცენარეთა და ცხოველთა განცალკევებას სხეულებად და ქვესახეებად; განსხვავება მხოლოდ იმაში მდგომარეობს, რომ განვითარების განსაზღვრულ საფეხურზე კასტების მემკვიდრეობითი ხასიათი და ამქარების მონოპოლიური თვისება საზოგადოებრივი კანონის სახით დასტურდება *).

*) „ხელოვნებაში... განვითარების შესამჩნევ საფეხურს მიაღწია ეგვიპტეში. და ეს იმიტომ, რომ მხოლოდ ამ ქვეყანაში ჰქონდათ აკრძალული ხელოსნებს ხელი მოეკიდათ

მხოლოდ საეკიფიკური დახლოვნება, თაობიდან თაობაში დაგრო-
ვული და მამიდან შვილზე მემკვიდრებით გადასული, ანიჭებს ინდოელს,
როგორც ობობას, ამ ეირტუოზობას. და მაინც, მანუფაქტურის მუშების
უმრავლესობასთან შედარებით, ასეთი ინდოელი ფეიქარის ფრიად რთულ
შრომას ეწევა.

ხელოსანმა, რომელიც პროდუქტის დასამზადებლად, საჭირო სხვადა-
სხვა ნაწილობრივ პროცესებს ასრულებს, უნდა იცვალოს ხან ადგილი და
ხან ინსტრუმენტები. ერთი ოპერაციიდან მეორეზე გადასვლა წყვეტს მასი
შრომის მიმდინარეობას და მას სამუშაო დღეში თავისებურ სერეტებს
ჰქმნის. ეს სერეტები ვიწროვდება, როდესაც ამა თეილი დღე განუწყვეტ-
ლად ერთსა და იმავე ოპერაციას ასრულებს, ანდა ქრება ამ ზომით, რა
ზომითაც მცირდება მასი ოპერაციების ცვალებადობა. შრომის ნაყოფიერე-
ბის ზრდა გამოწვეულია აქ ამ სამუშაო ძალის გადიდებული დახარჯვით გან-
საზღვრულ დროში, ე. ი. შრომის ინტენსივობით. გაძლიერებით, ანდა სამუ-
შაო ძალის არაპროდუქტიული დახარჯვის შექცევებით. სახელდობრ, ა-
მუშაო ძალის ზედმეტი დახარჯვა, რომელიც მუდამ თან ჰდევს დასვენე-
ბიდან მოძრაობაში გადასვლას, ანაზღაურდება ერთხელვე მიღწეული ნორ-
მალურა სისწრაფის ხანგრძლივობით. მეორე მხრივ, განუწყვეტელი ერთ-
ფეროვანი შრომა ასუტებს ამ სასიცოცხლო ენერჯის სიმძაფრეს და ძლი-
ერებას, რომელიც თვით შრომის სხვადასხვაობაში თავის დაყენებასა და
აღზნებას პოულობს.

შრომის ნაყოფიერება დამოკიდებულია არა მარტო მუშის ვირტუო-
ზობაზე, არამედ მის სამუშაო იარაღებს ღირსებაზედაც. ერთი და
იმავე სახის სამუშაო იარაღები, მაგალითად, მკრელი, მზურღავი, მზი-
გველი, დამკვრელი და სხვა ინსტრუმენტები, იხმარება სხვადასხვა შრომის
პროცესში, და ერთსა და იმავე შრომის პროცესში ერთი და იგივე ინსტრუ-
მენტი სხვადასხვა ოპერაციებს ასრულებს. მაგრამ რაწაჰსაც შრომის პრო-
ცესის სხვადასხვა ოპერაცია ერთმანეთს გამოეყო და თითოეულმა ნა-
წილობრივმა ოპერაციამ ნაწილობრივი მუშის ხელში რაც შეიძლება უფრო
შესაფერი და, ამიტომ, განსაკუთრებული ფორმა მიიღო, აუცილებელი
ხდება ამ სამუშაო იარაღების შეცვლაც, რომელიც უწინ სხვადასხვა მიზან-
ემსახურებოდა. მათი ფორმათა ცვლის მიმართულებას გამოცდილება იძ-
ლევა, რადგან გამოცდილებით ამკარავდება ის სიძნელე, რომელიც თან

სხვა კლასის მოქალაქეთა საქმეებისათვის; მათ მხოლოდ და მხოლოდ ის ხელობა უნდა
ეწარმოებინათ, რომელიც მათ გვარს კანონის ძალით მემკვიდრეობით ჰქონდა მინი-
ჭებული... სხვა ხალხთა შორის ჩვენ ვხედავთ, რომ ხელოსანების ყურადღება მეტად
ბევრ საგანზეა მიპყრობილი... ისინი ხან მიწის მუშაობას სცილიან. ხან საეპკო საქმეებს
ჰკიდებენ ხელს, ხან ერთსა და იმავე დროს ორი ან სამი ხელოვნებით არიან გაართული.
თავისუფალ სახელმწიფოებში ისინი ჩვეულებრივ სახალხო კრებებზე დარბიან... პირი-
ქით, ეგვიპტეში ყოველი ხელოსანი, რომელიც სახელმწიფო საქმეებში ერევა, ანდა
ერთსა და იმავე დროს მრავალ ხელოვნებას ეწევა, მძიმე სასჯელით ისჯება. ამნაირად,
არაფერი არ უშლის მას ხელს გულმოდგინედ მისდიოს თავის ხელობას... მათ მრავალი
წესი მიუღობთ მემკვიდრეობით თავიანთ წინაპართაგან და მხურვალედ ცდილობენ
ახალი გაუმჯობესებანი გამოეგონონ”.

სდევს ამ იარაღების ძველი, უცვლელი ფორმებით სარგებლობას სამუშაო ინსტრუმენტებს: დიფერენციაცია, რომლის მეოხებით ერთი და იმავე სახის ინსტრუმენტი განსაკუთრებულ მტკიცე ფორმას ღებს ყოველი განსაკუთრებულ გამოყენებისათვის, და მათი სპეციალიზაცია, რომლის გამო ყოველი ასეთი ნაწილობრივი ინსტრუმენტი მხოლოდ სპეციფიური ნაწილობრივი მუშის ხელში მთლიანად ააშკარავებს თავის მოქმედების უნარს, — ყველა ეს მანუფაქტურის დამახასიათებელ თვისებას შეადგენს. მართო ბრძინგამში თითქმის 500 სხვადასხვა სახის ჩაქუჩი მზადდება, რომელთაგან არა მარტო თითოეული მხოლოდ განსაკუთრებულ საწარმოო პროცესს ემსახურება, არამედ მთელი მათი წყება ხშირად ერთი და იმავე პროცესის სხვადასხვა ოპერაციისთვის არც მხოლოდ გამოადგე. მანუფაქტურის ხანა ამარტრებელ, აუზგობესებს და ამრავალფეროვნებს სამუშაო იარაღებს, მათი შეგუებია გზით ნაწილობრივი მუშის განსაკუთრებულ გამოცალკეებულ ფუნქციებთან*). ამ თ იგა ქმნის ამასთანავე მანქანის წარმოშობის ერთ-ერთ ნივთიერ პრობას, მანქანის, რომელიც მხოლოდ მარტივი იარაღების კომბინაციაა.

ნაწილობრივი მუშა და მისი ინსტრუმენტი მანუფაქტურის მარტრ ელემენტებს შეადგენს:

(კ. მარქსი — „კაპიტალი“ ტ. I).

§ 8. შინძისთავის მანუფაქტურა.

შრომის დანაწილება ახდენს ყველაზე დიდ გავლენას შრომის ნაყოფიერების ძალაზე და ხელოვნების ამაღლებაზე, მოხერხებულებაზე და სხვადასხვაობაზე, რომლებთანაც იგა ყველგან გამოაყენება.

შრომის დანაწილება, მნიშვნელობის გაგება მრეწველობის მიმდევარი ხალხიათვის ყველაზე ადვილად შეიძლება, თუ ჩვენ განვიხილავთ მის შედეგებს, რომელიმე ცალკე წარმოებაში. ჩვეულებრივად ფიქრობენ, რომ შრომა, დანაწილება უკიდურესობამდე მიყვანილი ზოგიერთ მანუფაქტურაში. სადაც ხდება ყველაზე მცირე ფასიანი საგნების დამზადება (trifling manufactures). ნამდვილად კა, შესაძლებელია, რომ იმ იქ არ მიდიოდეს უფრო შორს. ვინემ სხვა უფრო მსხვილ მანუფაქტურებში; მაგრამ ამ წერილ წარმოებებში, რომლებიც მსახურობენ ადამიანთა უმრავნელო ჩაოდენობის წვრ-ლ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებათა, —

*) თავის თხზულებაში „სახეთა წარმოშობა“. რომელმაც მთელი ეპოქა შექმნა. მკენარებისა და ცხოველთა ბუნებრივი ორგანოების შესახებ დარკინი აღნიშნავს: „ორგანოთა ცვალებადობის მიზეზი, სანამ ერთი და იგივე ორგანო სხვადასხვა სამუშაოს ასრულებს, შეიძლება იმაში მდგომარეობს, რომ ბუნებრივი შერჩევა უფრო ნაკლები მზრუნველობით იცავს ან აზოობს ფორმის ყოველ მცირე გადახვას, ეიღრე იმ შემთხვევაში, როდესაც ეს ორგანო მხოლოდ ერთ განსაკუთრებულ მიზანს ემსახურება. მაგალითად, დანები, რომელთაც სხვადასხვა საგნების საქრელად ხმარობენ, საერთოდ, შეიძლება დაახლოებით ერთი და იმავე ფორმისა იყოს; მაგრამ თუ იარაღის ხმარებას ერთი განსაზღვრული დანშნულება აქვს, ამ დანიშნულების შეცვლით უნდა შეიცვალოს მისი ფორმა“.

მუშების საერთო რიცხვი ბუნებრივად არამრავალია, და ამავე დროს მათგან ისინი რომლებიც დაბანდული არიან ცალკე დარგებში ერთი და იმავე წარმოებასა, ხშირად თავმოყრილი არიან ერთ საერთო სახელოსნოში და მყოფებან; ყველანი ერთად. მეთვალყურის თვალთა წინაშე.

პარქით, დიდ ფაბრიკებში, რომლებიც დანაშნული არიან ხალხთა მასებზე, მთავარ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებასათვის, ყოველა ცალკეული ნაწილი სამუშაოსი ასაქმებს ისე მრავალ მუშას, რომ შეუძლებელი ხდება ყველა მათი, ერთად, ერთ სახელოსნოში, თავმოყრა. ამგვარად, აქ ჩვენ შეგვიძლია ერთად დავანახოთ მხოლოდ ის მუშები, რომლებიც დაბანდებული არიან რომელიმე ერთერთ დარგში წარმოებასა. ამიტომ, თუკი მსგავს მანუფაქტურებში მუშაობა ნამდვილად დანაწილებულია ბევრად უფრო მეტი რაოდენობის ნაწილებად, ვინემ წვრალ მანუფაქტურებში, მაგრამ ეს დანაწილება ბევრად უფრო ნაკლებ ეტყობა, და ამიტომაც იგი ნაკლებადაც იქცევადა ყურადღებას თავიანკენ.

მაგალითისათვის ავიღოთ მეტად უმნაშვნელო წარმოება, სადაც, ამავე დროს, შრომის დანაწილება მეტი შესაძინევი, სახელდობრ ქინძისთაებში წარმოება.

მუშა, რომელიც არ მოქნილია ამ მუშაობისადამხედვით, რომელიც შრომის დანაწილებას შედეგად შექმნილია განსაკუთრებულ ხელობად, და არ მისჩვევია ინტერუმენტებს, რომლებიც მასში გამოიყენება და რომლებიც, ალბათ, გამოგონილი არიან იმავე შრომის დანაწილებას მეოხებოთ, ასეთი მუშა, როგორც გინდ დახელოვნებული ის არ იყოს, ვერ მოასწრებს მთელი დღის განმავლობაში ერთი ქინძისთაევი, გაკეთებასაც, და რა ეკვირვებია ვერ გააკეთებს ოც მასთანას.

მაგრამ ამ წარმოების თანამედროვე ორგანიზაციის დროს, ის არც მხოლოდ ცალკე ხელობას შეადგენს მთელი მისი ატრიბუტებით, არამედ კიდევ იყოფა მრავალ დარგებად, რომელთა დიდი ნაწილი, თავის მხრივ, წარმოადგენს ცალკე სპეციალურ საქმიანობას.

ერთი მუშა ეზიდება მავთულს, მეორე მას მართავს, ასწორებს. მესამე ქრის, მეოთხე ამახვილებს, მეხუთე ულქავს თავს ქუდში დასამაგრებლად. „ქუდის“ გაკეთებაც თავის მხრივ იყოფა ორ ანუ სამ ცალკე ოპერაციად; ცალკე ოპერაციაა — მისი დაკავშირება, მეორე — ქინძისთავის გაშანდაკება; სავსებით ცალკე, დამოუკიდებელი საქმეა ქინძისთაეების ქალაღში გახვევაცკი. ამგვარად, მთავარი შრომა ქინძისთაევის გაკეთებისა იყოფა დაახლოებით 18 სხვადასხვა ოპერაციად, რომლებიც ზოგიერთ საწარმოებში სრულდებიან, თითოეული, ცალკე ხელების მიერ, მაშინ როდესაც სხვებში ერთი და იგივე მუშა ხანდახან ორ ანუ სამს ოპერაციას თითოეული.

მე ვნახე ერთი ასეთი პატარა მანუფაქტურა, სადაც მხოლოდ 10 კაცი მუშაობდა, რისთვისაც ზოგიერთი მათგანი ერთი მეორეზე ასრულებდა ორ-ორ ან სამ-სამ ოპერაციას თითოეული. თუმცა ეს მანუფაქტურა ძლიერ ღარიბი იყო და ამიტომ აუცილებელი მოწყობილობებით არასაკმაოდ მომარაგებულიც, მიუხედავად ამისა ეს 10 მუშაც, ძალთა სრული დაძაბვის

დროს, ასწრებდენ დაახლოებით 12 გარვანქა ქინძ-სთავის გაკეთებას ერთ დღეში. და რადგანაც ყოველ გარვანქა ქინძისთავში 4000 ცალზე მეტია საშუალო ზომის ქინძისთავისა, ეს ათი მუშა ასწრებდა ერთად დაემზადებიათ 48000 ქინძისთავზე მეტი ერთ დღეში; ყოველი მუშის წილზე მოდიოდა $\frac{1}{10}$ ნაწილი 48000 ქინძისთავისა დღეში, ე. ი. შეძლება ვიანგარიშოთ, რომ ყოველმა მუშამ დღეში გააკეთა 4800 ქინძისთავი.

მაგრამ, თუ რომ ამ მუშებს ცალკეულად და ერთი მეორისაგან დამოუკიდებლად ემუშავათ, და თუ რომ ისინი არ შეგუებულიყვნენ ყოველი თავის ცალკე საქმიანობას, მაშინ, ალბათ, ვერც ერთა მათგანი ვერ გააკეთებდა 20 ქინძისთავსაც კი, და, აქნებ, ერთ ქინძისთავსაც კი მთელი დღის განმავლობაში, ე. ი. $\frac{1}{1000}$ და აქნებ $\frac{1}{1000}$ ნაწილს იმისა რისი გაკეთებაც მათ ახლა შეეძლოთ, სხვადასხვა ოპერაციების ხელოვნური დანაწილებისა და შეთანხმების მეოხებით.

ყველა სხვა წარმოებაში, ყველა სხვა მანუფაქტურაში შრომის, დანაწილების შედეგები მსგავსია იმისა, რაიც ჩვენ ენახეთ წერილ წარმოებაში ქინძისთავისა, თუმცა საერთოდ, სხვა ნაწარმოებთა უდიდეს ნაწილში მუშის შრომა არ შეძლება ამ ზომისად დაეყოს ცალკეულ და ერთ მარტივ ოპერაციებათ. მუშენდავად ამისა ყოველ წარმოებაში შრომის რაც შეძლება მეტი დანაწილება იწვევს შესაბამის ზომით შრომის ნაყოფიერების ზრდას.

როგორც ჩანს, სახელდობრ ამ სარგებლობა-ხელსაყრელობამ გამოიწვია სხვადასხვა საქმიანობათა და ხელობათა დანაწილება. შრომის ასეთი დანაწილება, საერთოდ, უფრო ძლიერია იმ ქვეყნებში, რომლებშიც განვითარების ყველაზე მაღალ ხარისხს მიაღწიეს: ეს რაც ჩამორჩენილ საზოგადოებაში ერთი ადამიანის სამუშაოს შეადგენს, ეს უფრო განვითარებულ საზოგადოებაში ნაწილდება მრავალ მუშათა შორის; ყოველ განვითარებულ საზოგადოებაში ფერმერი ჩვეულებრივად მხოლოდ ფერმერია, ეს სხვა არაფერი, ფაბრიკანტი მხოლოდ — ფაბრიკანტი. რომელიმე ნაკეთობის დასამზადებლად აუცილებელი შრომა, ასევე თითქმის ყველგან ნაწილდება ხელთა მრავალ რაცხვას შორის. რამდენ სხვადასხვა სამუშაოს შეიცავს წარმოების ყოველი ცალკე დარგი, მაგალითად, ტილოსი ან მანუღისა, დაწყებული მწითლმომქმედიდან, რომელიც შრომობს კანაფისა და მატყლის მოყვანაზე, და დამთავრებული მუშით, რომელიც გამოიყენება ტილოს თეთრებზე და გალიფვაზე, ანდა მაუღის ღებვასა და აპრეტურაზე!

(ა დამ სმითი — „ნარკვევები ხალხთა სიმდიდრის ბუნებისა და მიზეზების შესახებ“, ტომი 1).

§ 9. მანუფაქტურის ეკონომიური წარმოება

ჩვენ მიერ განხილულ, მანუფაქტურისებურად მოწყობილ ყველა სარეწავში, მუშათა დიდი უმრავლესობა დამოკიდებულია, იგი ემორჩილება კაპიტალს, ღებულობს მხოლოდ შრომის ხელფასს, მას არ გააჩნია არც ნედლი მასალა და არც დამზადებული პროდუქტი. არაერთად, ამ „სარეწავებში“ მუშებს დიდი უმრავლესობა — დ ა ქ ი რ ა ვ ე ბ უ ლ ი მ უ შ ე ბ ი ა, თუმცა ეს ურთიერთობა მანუფაქტურაში ვერასოდეს ვერ აღწევს იმ სისრულე-

ლეს და ხიწმინდეს, რომელ-ც ფაბრიკარ ახასიათებს. მანუფაქტურაში სა-
მრუწველო კაპიტალს მრავალგვარი საშუალებით ეწვნა და ეხლართება
საგაქრო კაპიტალი, და მუშის კაპიტალსაგან დამოკიდებულება ღებუ-
ლობა ბევრ სხვადასხვა ფორმასა და ელფერს — დაწყებული დაქარავებუ-
ლი წირომით სხვის სახელოსნოში, გაგრძელებულა „მეპატრონისათვის“
შინ მუშაობით და გათავებულა ნედლეულის შეყიდვის თუ საქონლს გა-
საღებას საქმეში დამოკიდებულებით. დამოკიდებულ მუშათა მასის გვერ-
დით მანუფაქტურასთან ყოველთვის არის quasi-დამოუკიდებელ მწარმო-
ებელთა ცოტად თუ ბევრად საგრძობელი რიცხვი. მაგრამ დამოკიდე-
ბულების ფორმების ეს სიჭრელე ფარავს მხოლოდ მანუფაქტურის იმ ძირი-
თად თვსებას, რომ აქ უკვე სავსებით აშკარავდება განხეთქილება შრომასა
და კაპიტალის წარმომადგენლებს შორის. გლებთა განთავსუფლებ-
ბა დროს ჩვენი მანუფაქტურის უღაღდა ცენტრებში ეს განხეთქილება უკვე
რამოდენაშიე თაობას მონაცვლეობით იყო განმტკიცებული. ყველა ზემოთ
განხაღულ „სარეწავში“ ჩვენ ვხედავთ მოსახლეობის მასას, რომელსაც „
გააჩნია ცხოვრების არავითარი საღსარო, გარდა შეძლებული კლასის პი-
თა დამოკიდებულებაში ყოფნისა და მუშაობისა, — ხოლო მეორე მხრით
უნდავთ შეძლებულ მრეწველთა პატარა უმცირესობას, რავლას ხელშა
(ამა თუ ამ სახით) რაიონის თითქმის მთელი წარმოება.. აი ეს ძირითადი
დაქტა აძლევს ჩვენს მანუფაქტურას აშკარა კაპიტალისტურ ხასიათს და
ასხვავებს მას წინა სტადიისაგან. კაპიტალისაგან დამოკიდებულება და და-
ქარავებუთა მუშაობა იქაც იყო, მაგრამ ჯერ კიდევ არ იყო მტკიცედ სა-
ნოყალაბებული, არ ეხებოდა მრეწველობის მასას, მოსახლეობის მასას,
არ იწვევდა განხეთქილებას წარმოებაში მონაწილე პართა სხვადასხვა ჯგუ-
ფებს შორის. წარმოება წინა სტადიაში თერთონ ინარჩუნებდა კიდევ წერილ
ხასიათს — განსხვავება მეპატრონესა და მუშას შორის შედარებით მცირეა, —
მხვილი კაპიტალისტები (რომელნიც ყოველთვის სათავეში უღდათ მანუ-
ფაქტურას) თითქმის არ არიან, — არც დეტალურა მუშება, რომელნიც მი-
ჯაქვეულნი არიან ერთ ოპერაციასზე და მით მიჯაქვეულნი არიან კაპიტალ-
ზედაც, რომელიც ამ დეტალურ ოპერაციებს ერთ მწარმოებრივ მექანიზ-
მად აერთიანებს.

აი ერთი ძველი მწერლის მოწმობა, რომელიც ნათლად ადასტურებს
ზემოთ მოყვანილ ცნობების ასეთ დახაიათებას: „სოფ. კიპრში, ისე რო-
გორც სხვა ეგრეთწოდებულ მდიდარ რუსულ სოფლებში, მაგ., პავლოვში,
ნახევარა მოსახლეობა — დატაკებია, რომელნიც მარტო მოწყალებით ცხო-
ვრობენ... თუ მუშა ავად ვახდა და ამავე დროს ის მარტოხელა კაცია, შე-
იძლება შემდეგ კვარაში ულუკმა-პუროდ დარჩეს“.

ამაირად, უკვე 60-იან წლებში საფსებით გამომქლავნდა ძირითადი თე-
ბება ჩვენი მანუფაქტურის ეკონომიკაში: ეს ძირითადი თვისებაა — წინააღ-
მდეგობა მთელი რიგი „შესანიშნავი“ „სოფლების“ „სამიდიდრესა“ და „შ-
ნამრეწველთა“ დიდი უმეტესობის სრულ პროლეტარიატისა შორის. ამ
თვისებასთან დაკავშირებულია ის გარემოება, რომ მანუფაქტურის ყველა-
ზე ტიპური მუშაკები (სახელდობრ ის ხელოსნები, რომელთაც ბაწასთან

სავსებით თუ თითქმის სავსებით გაუწყვეტიათ კავშირი) მიისწრაფიან არა კაპიტალიზმის წინა სტადიისაკენ, არამედ მის შემდგომ: საფეხურთააკენ, ისინი უფრო მსხვილ სამანქანო ინდუსტრიას მუშა უახლოვდებიან, ვიდრე გლეხს. ზემოთ მოყვანილი ცნობები შინამრეწველთა კულტურულ დონის შესახებ ამას აშკარად ადასტურებს. მაგრამ აქეთი შეხედულების გავრცელება მანუფაქტურს მუშათა პერსონალს მთელ მასაზე არ შეიძლება. წერილი საწარმოების და წერილი მეურნეთა მასის დაცვა, მიწასთან კავშირის შენარჩუნება და შინა მუშაობის ფართოდ განვითარება. — ყოველივე ეს იწვევს იმას, რომ მრავლისგან მრავალი, მანუფაქტურაში ჩაბმული „შინამრეწველი“ აქვე გლეხობას ელტვის, უნდათ წვრილ მებატრონებზე გადაიქცენ, ელტვიან წარუღიანაკენ და არა მოპავლსაყენ *), ყოველგვარი ილუზიებით ინუგეშებენ თავს და (მეტისმეტი მუშაობით, მომჭირნობისა და მოხერხების საშუალებით) შესაძლებელი ჰგონიან დამოუკიდებელ მეურნედ გადაქცევა **). აი ამ წვრილ-ბურჟუაზიული ილუზიების მეტად სამართლიანი დაფასება, რომელსაც ძღვევა ვლადიმერის გუბერნიის „შინამრეწველო სარეწავების“ მკვლევარს:

„მსხვილი მრეწველობის წვრთხე საბოლოო გამარჯვება, მრავალრიცხოვან სანათურებში გაფანტულ მუშებზე გაერთიანება ერთი აბრეშუმის, ფაბრიკის კედლებს შორის, მხოლოდ დროს საკითხია; რაც უფრო მალე დადგება ეს გამარჯვება, მით უკეთესია ფეიქრებისთვის.

„აბრეშუმის მრეწველობის თანამედროვე ორგანიზაციის ახასიათებს ეკონომიური კატეგორიების მერყეობა და გაურკვეველობა, მსხვილი წარმოების ბრძოლა წვირითან და მიწათმოქმედებასთან. ეს ბრძოლა წვირს მეურნეს და ფეიქარს აჟიტაციის ზვირთებში ითრევს, არაფერს არ აძლევს მათ, პირიქით, აშორებს მიწათმოქმედებას, ავლიანებს და მთელი სიმძინით აწვება კისერზე ეკონომიური ცხოვრების შეჩერების დროს. წარმოების კონცენტრაცია არ შეამცირებს ფეიქრის შრომის ხელფასს, მაგრამ ის ზედმეტად გახდის მუშების მოტყუებას და გაბრუნებას, მათ მიმხრობას, დაბეჯებით, რაც მათ წლიურ შემოსავალს არ შეეფერება. ურთიერთშორის კონკურენციის შეწყობასთან ერთად ფაბრიკანტებს ინტერესთა აღარ ექნებათ დიდძალი თანხები ხარჯონ ფეიქრის ვალებში გასახვევად. ამასთან მსხვილი წარმოება იმდენად აშკარად უპირდაპირებს ერთმანეთს ფაბრიკანტებსა და მუშის ინტერესებს, ერთს სიმდიდრეს და სხვების სიღატაკს, რომ ფეიქარს არ შეიძლება ფაბრიკატად გადაქცევის სურვილი დაემალოს. წერი-

*) დორენის თანახმად ფლორენციის მრეწველობაში კაპიტალისტური ელემენტი ჩნდება უკვე XIII საუკუნის დასასრულიდან.

***) „კოოპერაცია კაპიტალისტური წარმოების წესის ძირითად ფორმად რჩება, თუმცა თვით მისი მარტივი სახე მისი უფრო განვითარებული ფორმების გვერდით განსაკუთრებულ ფორმას წარმოადგენს“. „შრომის დანაწილებაზე დამყარებული კოოპერაცია თავის კლასიკურ ფორმას მანუფაქტურაში პოულობს... იგი გაბატონებულია საერთო მანუფაქტურული პერიოდის განმავლობაში, რომელიც გრძელდება დაახლოებით XVI საუკუნის ნახევრიდან XVIII საუკუნის უკანასკნელ მესამედამდე“ (მარქსი — „კაპიტალი“ ტ. I. გვ. 289).

ლი წარმოება ფეიქარს მეტს არ აძლევს, ვიდრე მსხვილი, მაგრამ მას არ აქვს ისეთი ურყევი ხასიათი, როგორც უკანასკნელს, — ამიტომ ის გაცილებით უფრო ხრწნის მუშას. ფეიქარ-შინამრეწველს რაღაც ყალბა, მოჩვენებითი პერსპექტივები ეხატება, ის ელის იმ მომენტს, როცა თავის საცუთარ საქმეს გააჩნს. ამ იდეალის მიმალწევედ ის „წლებზე ადგამს ფხვს“, ვალში ვარდება, ქურდობს, ტყუის, თავის თანამშანაგებში ხედავს არა ერთნაირ უბედურებაში მყოფ მეგობრებს, არამედ მტრებს, მეტოქეებს იმ უბადრულ საქუთარ საქმეში, რომელიც მას შორეულ მომავალში ეხატება. წვრილ მეურნე, არ ესმის თავისი ეკონომიური სივალახე, თვალეებში შეჰჩერებია შემყადველებსა და ფაბრიკანტებს, უმალეს ამშანაგება ნედლეულის შეყიდვასა და ფაბრიკანტის გაძალეებას ადგილსა და პრობებს. მას თავის-თავი დამოუკიდებელ მეპატრონედ წარმოუდგენია, ნამდვილად კი ნებაყოფლობით ხდება საცოდავ ბრმა ჩარალად, ჭათამაშოუ მსხვილი ვაქრების ხელში. ჯერ კარგად არცკი გასუფთაებულა. 3 — 4 ჩაობი ძლევს აუწყვია და უკვე მეპატრონის მძიმე მდგომარეობაზე ლაპარაკობს, ლაპარაკობს ფეიქარებსა სიზარმაცისა და ლოთობის შესახებ, უნდა უზრუნველყოფილი გახადოს ფაბრიკანტი ვალეებს დაკარგვისაგან. წვრილი მეპატრონე — ეს საამრეწველო მონობის ყურმოქრალი ყმობის მოარული პრინციპია, როგორც ძველ დროში მეკარე და მეკუქნავე ცოცხალი განსახიერება იყო ბატონყმური მონობის. როდესაც საწარმოო ჩარალეზა სავსებით არაა გამოყოფილი მწარმოებლისაგან და უკანასკნელს შეაძლებლობა ეძლევა დამოუკიდებელი მეპატრონე გახდეს, — როდესაც შეწყიდველსა და ფეიქარს შორის არსებულ ეკონომიურ ნაპრალს აერთებენ ფაბრიკანტები, წვრილი მეპატრონენი და „ზავლოდები“, რომლებიც მართავენ და ყვლეფენ დაბალ ეკონომიურ კატეგორიებს და ამავე დროს თვითონ იყვლეფებენ მალლების მიერ, — მაშინ მუშათა საზოგადოებრევი შეგნება ბნელდება, ხოლო მათი წარმოდგენა ფიქციებთ ირყენება. ჩნდება კონკურენცია იქ, სადაც სოლიდარობა უნდა იყოს, ხოლო არსებთად მოწინააღმდეგე ეკონომიური ჯგუფების ინტერესები ერთანდება. აბრეშუმის წარმოების თანამედროვე ორგანიზაცია არ კმაყოფილდება მარტო ეკონომიური ექსპლოატაციით, იგი თავის აგენტებს ნახულობს გაყვლეფილთა შორის და მათი საშუალეებით აბნელება მუშებრს შეგნებას და რყვნის მათ გულსა და სულს“.

(ვ. ლენინი — „საშინამრეწველო აღწერა...“).

§ 10. ხაშაზრო და სამრეწველო კაპიტალი მანუფაქტურაში

ზემოთ მოყვანილი ცნობებიდან ჩანს, რომ მსხვილი კაპიტალიტიური სახელონობის გვერდით კაპიტალიზმის განვითარების ზენებულ საფეხურზე ჩვენ ყოველთვის ვხედავთ წვრილ საწარმოთა მნიშვნელოვან რაოდენობას; რაცხვით უკანასკნელი ჩვეულებრივ კიდევ სქარბობენ, მაგრამ ისინი წარმოების საერთო ჯამში სავესებთ დაქვემდებარებულ როლს თამაშობენ. მანუფაქტური, დროს წვრილ საწარმოთა დაცვა (და განვითარებაც კი, როგორც ზემოთ ვნახეთ) სრულიად ბუნებრივი მოვლენაა. ხელთ წარმოების დროს მსხვილ საწარმოებს არა აქვთ გადამწყვეტი უპირატესო-

ბა წერილებში, წინაშე; შრომის დანაწილება კქმნის უმარტოვეს დეტალურ
 ოპერაციებს და მით ხელს უწყობს წერილი სახელოსნოებს გაჩევაჲ. ამი-
 ტომ კაპიტალისტური მანუფაქტურისათვის ტიპიური ა სწორედ 'შედა-
 რებით მსხვილი საწარმოებს მცირე რიცხვის არსებობა წერლებს უმრავ-
 ლესობში, გვერდით. არის თუ არა რაიმე კავშირი ამით შორის? ზემოდ მო-
 ყვანილი ცნობები ექვს არ სტოვებენ, რომ მათ შორის უმეტადობა კა-
 შირი არსებობს, მსხვილი საწარმოთა წორედ ამ წერილებიდან იზრდებიან,
 ხშირად წერალი საწარმონი მანუფაქტურის მხოლოდ გარეგან განყოფი-
 ლებებს წარმოადგენენ; უმეტეს ნაწილად მათ შორის არსებული კაეშირის
 როლს ასრულებს სავაჭრო კაპიტალი, რომელიც ეკუთვნის მსხვილ მეპატ-
 რონეებს და რომელიც წერილებს იმორჩილებს. მსხვილი სახელოსნოს მე-
 პატრონემ ფართო მასშტაბით უნდა აწარმოოს ნედლეულის შეყიდვა
 და ნაწარმოების გასაღება; რაც უფრო დიდია მისი ვაჭრობის; ბრუნვა,
 მით უფრო მცირდება (პროდუქტის ერთეულზე) ხარჯები საქონლის შე-
 ყიდვისა და გაყიდვის, მისი დაწუნებისთვის, შენახვისათვის და სხვ., და
 სხვ., — და აი იწყება მასალის ცალობრავ გაყიდვ წვრილ მეპატრონეებზე.
 შეყიდვა მათი ნაწარმოების, რომელშიც მანუფაქტურისტი თავის საკუ-
 თარ ნაწარმოებზე აძლევს. თუ ნედლეულის გაყიდვის და ნაწარმოების ყ-
 დვის ამ ოპერაციებს (როგორც ეს ხშირად ხდება) დამოწება და მევახშეობა
 უერთდება, თუ წერილი მეპატრონე მასალის ნისად იღებს და ნაწარმო-
 ებს ნისადვე აბარებს, — მაშინ მსხვილი მანუფაქტურისტი თავის კაპ-
 ტალში ღებულობს ისეთ დიდ მოგებას, რომელსაც ის ვერაოდეს ვერ
 მიიღებდა დაქირავებული მუშებიდან. შრომი, დანაწილება ახალი ბიძგა
 დამოკიდებულებას ასეთი ურთიერთობის განვითარებისათვის წერალ და
 მსხვილ მეპატრონეებს შორის: უკანაქნელნი ამ ოჯახებში არიგებენ მასა-
 ლას დასამუშავებლად (ან განსაზღვრულ დეტალურ ოპერაციათა შესა-
 სრულებლად). — ან იძენენ „შინამრეწველებისაგან“ პროდუქტის ნაწილებს,
 განსაკუთრებული ხაზით, პროდუქტებს და სხვ. ერთი სიტყვით, მქიღ-
 რო და მანუფაქტურული კაეშირის კავშირი კაეპრო და სამრე-
 წველო კაპიტალს შორის მანუფაქტურის ყველაზე დამახასიათე-
 ბელი თავისებურობათაგანია. აქ „შემყიდველი“ თითქმის ყოველთვის უერთ-
 დება და ეჯვარედინება მანუფაქტურისტს (ფაბრიკანტს“, როგორც ჩვე-
 ულებრივი შეცოთბთ ეძახიან, რადგან ყოველ ცოტად თუ ბევრად დ-
 სახელოსნოს „ფაბრიკად“ სთვლიან). ამტომ უმეტეს შემთხვევაში მსხვილ
 დაწესებულებათა წარმოების სიდიდის შესახებ ცნობები თავისთავად არ
 უღი თარ წარმოდგენას არ იძლევა მათ ნამდვილ შნიშენე-
 ლობაზე ჩვენს „საშინამრეწველო სარეწავებში“; ვინაიდან ასეთი სა-
 წარმოების მეპატრონენა განაგებენ არა მარტო თავის საწარმოთა მუშე-
 ბას შრომას, არამედ საშინაო მუშებს მასის შრომასაც, აგრეთვე (de
 facto) იმ quasi-დამოუკიდებელ წვრილ მეპატრონეთა მასის შრომას რა-
 მელთა მიმართ მანი „შემყიდველებად“ გამოდგან. ამნაირად, რუსეთს
 მანუფაქტურის ცნობებით განსაკუთრებულა სიაშკარავით იჩვენება „კაპ-
 ტალის“ ავტორის მიერ დადგენილი ეს კანონი, რომ სავაჭრო კაპიტალის

განვითარების დონე უკუპროპორციულა საბრწყველო კაპიტალს განვითარების დონის მიმართ. და მართლაც, ჩვენ შეგვაძლია ზემოთ აწერილი ყველა სარეწავი შემდეგნაირად დავახაზოთ: რაც უფრო ცოტაა მათში მსხვილი სახელოსნოები, მით უფრო განვითარებულია „შემყიდვა“, და პირიქით; იცვლება მხოლოდ ფორმა კაპიტალის, რომელიც ბატონობს ორივე შემთხვევაში და რომელიც „დამოუკიდებელ“ შინამრეწველს ხშირად გაცილებით უარეს მდგომარეობაში აყენებს, ვიდრე დაჭირავებულ მუშას.

ხელოსნური ეკონომიის ძირითადი შეცდომა იმაში მდგომარეობს, რომ იგი უგულებელჰყოფს, თუ ჩქმალავს იმ კავშირს, რომელიც არსებობს, ერთი მხრით, მსხვილ და წვრილ საწარმოებს შორის და, მეორე მხრით, ავაპრო და სამრეწველო კაპიტალს შორის. „პაელოვის რაიონის ფაბრიკანტი მხოლოდ შემყიდველის გართულებული სახეა“, — ამბობს ბ. გროგორიევი. ეს მართალია არა მარტო პაელოვის მიმართ, არამედ კაპიტალიტური მანუფაქტურის მსგავსად მოწყობილ სარეწავთა უპირველესობის შესახებაც; მართალია შებრუნებული დებულებაც: შემყიდველი მანუფაქტურაში „ფაბრიკანტს“ გართულებული სახეა; სხვათა შორის, ამაშია ერთ-ერთი არსებითი განსხვავება მანუფაქტურის შემყიდველსა და წვრილ საგლეხო სარეწავების შემყიდველს შორის. მაგრამ არ შეძლება „შემყიდველსა“ და „ფაბრიკანტს“ შორის არსებულ კავშირს ფაქტში დავინახოთ რაღაც საბუთი წვრილი მრეწველობის სასარგებლოდ (როგორც ამაჲ ბ. გროგორიევი და მრავალი ღხევა ხალხოსანი ფიქრობს), — ეს იქნებოდა სრულად თვითნებური დასკვნა და ფაქტების გადასხეფერება ერთხელეკ აკვიტებული იდეის გასამართლებლად. როგორც ვნახეთ, მთელი რიგი ცნობები ადასტურებს იმას, რომ სავაპრო და სამრეწველო კაპიტალის შეერთება უაღრესად აუარესებს უშუალო მწარმოებლას მდგომარეობას დაჭირავებული მუშის მდგომარეობასთან შედარებით, აღიდეხს მის სამუშაოდღეს, ამცირებს ხელფასს, აფერბებს მის ეკონომიურ და კულტურულ განვითარებას.

(ვ. ლენინი — „კაპიტალიზმის განვითარება რუსეთში“).

§ 11. მანუფაქტურული წარმოება და მისი განსხვავება მსხვილი მრეწველობიდან

თანახმად მარქსისა, თანამედროვე კაპიტალიზმის ევოლუცია დაწყდა ალორიანებისა და ახალი ქვეყნის (ამერიკის — ბ. გ.) აღმოჩენის ეპოქაში, როდესაც ვაჭრობის სწრაფმა განვითარებამ, კეთილშობილი ლითონისაგან გაკეთებული მონეტების რაოდენობის გადიდება და სიმდიდრის ზრდამ გარდაქმნეს დასავლეთ ევროპის ხალხების ეკონომიური ცხოვრება. მაგრამ ეს ევოლუცია იყოფა ორ პერიოდად: მე-XVIII საუკუნის ნახევრამდე წარმოება კიდევ ატარებს მანუფაქტურის ხაზით, 1760 წლების ახლო ხანებში იწყება მსხვილი მრეწველობის ხანა. რაზეა დამყარებული ეს განსხვავება და რა აზრი უნდა მიეწეროს მას?

მანუფაქტურა იმთავითვე გულიანობს გათრფას შრომისა და კაპიტალს შორის... ეს ხდება შემდეგნაირად: შინამრეწველს, რომელიც თავდა-

პარველად თავისუფლად მუშაობა, საკუთარ სახლში და წარმოებას საკუთარ იარაღების დახმარებით, მალე ჩქევე უბრალო მენარდედ, რომელიც საქარაო ფასს იხდის შრომის, იარაღების სარგებლობისათვის, რომელიც მას უკვე არ ეკუთვნის. შემდეგ ფაბრიკანტი კიდევ იქით მიდის: ის მოწყობილობათ თავისთანავე იტოვებს და აყალიბებს სახელწოდებას, რომლებიც ამყოფებიან მისი საკუთარი მეთვალყურეობის ქვეშ. მუშა მას აწვდის მხოლოდ თავის შრომას, რისთვისაც ღებულობს. სანარდო გასაშვჯელს. ასე წარმოებს ეს საქმე ჯონ ვინჩკომთან, ნიუბერიში, ასევე წარმოება და ის ვან-რობესთან აბევილში.

მანუფაქტურის პრინციპი და *raison d'être* მდგომარეობს შრომის დანაწილებაში. ხელოსნის პატარა სახელოსნოში, რომელსაც ეხმარებიან ორაოდ-სამიოდე ქარგალი, ან ქობში სოფლის შინამრეწველია, რომელიც გარშემორტყმულა ცოლითა და შვილებით, შრომის დანაწილება ჯერ კიდევ პრამიტულია. ახლა ამას შევადაროთ ქინძისთავის მანუფაქტურის აღწერა მე-XVIII საუკუნეში, რომელიც მოგვცა ადამ სმიტმა: „მუშა, რომელსაც არ შეუსწავლა ეს საქმე (რომელიც შრომის დანაწილების მეოხებით ცალკე სარეწავად იქცა) და რომელიც არ იცნობს აქ ხმარებულ მანქანებს (რომელთა გამოგონების საბაბი, ალბათ, იყო შრომის იგივე დანაწილება), ვინ იქნის, შეძლებს თუ არა რაც შეიძლება დიდი შრომის მოყვარობის გამოჩენით დაამზადოს ერთი ქინძისთავი დღეში, და ყოველ შემთხვევაში ვერ შეძლებს ოცზე მეტის გაკეთებას. მაგრამ ამ წარმოებას თანამედროვე ორგანიზაციის დროს, ეს არა მხოლოდ ცალკე ხელობა შეადგენს მთელი მისი ატრიბუტებით, არამედ კიდევ იყოფა მრავალ დარგებად, რომელთა დიდი ნაწილი, თავის მხრივ, წარმოადგენს ცალკე სპეციალურ საქმიანობას. ერთი მუშა უზიდება მეთულს, მეორე მას მართავს, მესამე — სჭრის, მეოთხე — ამახვილებს, მეხუთე — ულესავს თავს ქუდის დასაკავშირებლად. ქუდის გაკეთებაც თავის მხრივ იყოფა ორ ან სამ ცალკე ოპერაციად; ცალკე ოპერაციაა მისი დაკავშირება, მეორეა — ქინძისთავის გაშანდაკება; საცხებით დამოუკიდებელი საქმეა ქინძისთავის ქალაღებში გახვევა-ც-კი.

ამგვარად, მთავარი შრომა ქინძისთავის გაკეთებას იყოფა დაახლოებით 18 სხვადასხვა ოპერაციად, რომლებიც ზოგიერთ საწარმოებში სრულდებიან, თითოეული, ცალკე ხელების მეორე მხრით. როდესაც სხვებში ერთი და იგივე მუშა ხანდახან ატარებს ორ-ორ ანუ სამ-სამ ოპერაციას. ნუ ვნახე ერთი ასეთი პატარა მანუფაქტურა, სადაც მხოლოდ 10 კაცი მუშაობდა, რიგამოც ზოგიერთი მათგანი ერთიმეორეზე ატარებდა ორ-ორ ან სამ-სამ ოპერაციას. თუმცა ეს მანუფაქტურა ძლიერ დარბა იყო და ამიტომ აუცილებელ მოწყობილობებით არასაკმაროდ მომარაგებულა. მიუხედავად ამისა ეს 10 მუშაც, ძალიან სრულა დაძაბვის დროს. ასწრებდნ დაახლოებით 12 გირვანქა ქინძისთავის გაკეთება, ერთ დღეში. და რადგანაც ყოველ გირვანქა ქინძისთავში 4000 ცალზე მეტია საშუალო შრომის ქინძისთავისა, ეს ათი მუშა ასწრებდა ერთად 48.000-ზე მეტ ქინძისთავს დამზადებას დღიურად“.

აქ კიდევ მეორე ტექსტი, რომელიც შეიძლება შევადაროთ ადამსმიტის ტექსტს და რომელიც წინ უსწრებს მას 75 წლით: „ჯგობის საათი მეტად საჭირო ნივთია და ერთ ხელოსან-ოსტატს შეუძლია დაამზადოს მისი ყველა ნაწილები და შემდეგ ააწყოს ისინი. მაგრამ დაუშვათ, რომ მოთხოვნა-ლება საათებზე საკმაოდ ძლიერი ხდება, რათა მუდმივი სამუშაო მოსტყა ადამიანთა იმდენ რაოდენობას, რამდენია ნაწილიც აქვს, საათს. ამ შემთხვევაში თითოეულს განეკუთვნებოდა სპეციალური და ამავე დროს ყოველთვის ერთი და იგივე სამუშაო: ერთი აკეთებდეს იქნება მხოლოდ კორპუსს, მეორე — თვლებს (ბორბლებს), მესამე ისრებს, მეოთხე — ხრახნებს; სხვებსაც ასევე სპეციალური ამოცანები ექნებოდათ; და დასასრულს, სხვადასხვა ნაწილებს აწყობა იქნებოდა აგრეთვე ერთად-ერთი და მუდმივი სამუშაო ერთი მუშისა, რომელსაც ბუნებრივია რომ უფრო დახელოვნებული იქნებოდა ამგვარ მუშაობაში, ვინც მაშინ, როდესაც მას მოუბეზობდა აგრეთვე ყველა ნაწილებს გაკეთება. სწორედ ასევე, ის ვინც მხოლოდ მარტო ისრებს, ანუ თვლებს, ანუ ხრახნებს, ანუ სხვა, რომელიც გინდ ნაწილს საათისა აკეთებს, რასაკვირველია, თავის სპეციალურ ამოცანას გადაწყვეტს დიდის ხელოვნებითა და სიჩქარითაც“.

შრომის ასეთ დანაწილებას მარქსი უწოდებს ჰეტეროგონურს, განსხვავებით შრომის ორგანიულად დანაწილებასა, რას მაგალითად არა ადამსმიტის ქინძრითავების კეთება. პირველ შემთხვევაში ყოველი ცალკე მუშა ამზადებს საგნის ცალკე ნაწილს, სხვა ნაწილებთან შემდგომ ააწყობად; მეორე შემთხვევაში ერთი საგანი თანდათან იცვლის სახეს, გადის რა მთელი რიგი თანამიმდევარი მანიპულიაციებს.

შრომის დანაწილება იმდენჯერ ყოფილა თემად ეკონომისტთა შჯელობასა. რომ თათქმის უსარგებლოა მისთვის რაიმეს მიმატება. სიხუნათე და სიწრაფე, რომელსაც თანდათან ღებულობს სპეციალიზირების გზას შემდგომ მუშა, და ამასი გავლენა წარმოებაზე, შენიშნული იყო იმთავითვე პირველი მანუფაქტურების დამაარსებელთა მიერ. ჯერ კიდევ ადამსმიტამდე და უფრო ადრე ზემოდ ციტირებულ, — „მოსაზრებანი ოსტინდროეთის კომპანიის შესახებ“-ის — ავტორამდე, იმათ შეამჩნიეს, რომ „შემოაქვს რა მუშაობაში მეტი წიხი და სისწორენი აღწევს იმას, რომ ის სრულდება დროის ნაკლებ რაოდენობაში და მუშა ხელთა ნაკლები რიცხვით დახმარებით, და მაშასადამე, კლებულობს მისი ფასიც“.

როგორ განვსხვავოთ მანუფაქტურა, — რომელიც შეესაბამება ესოდენ ნაღალ საფეხურს ეკონომიური ევოლუციისა — თანამედროვე მსხვილი მრეწველობიდან? მარქსისათვის, ისევე როგორც იმ პირთა უმრავლესობისათვის, რომლებიც ამ საკითხზე მუშაობდნენ, მსხვილი მრეწველობის განმასხვავებელი ნიშანი არის მანქანათა გამოყენება. „კაპიტალში“ შემდეგ თავისა. რომელშიც ლაპარაკია შრომის დანაწილებისა და მანუფაქტურის შესახებ. მომდევნო თავს მარქსი ასათაურებს: „მანქანები და მჭერილი მრეწველობა“. აქ ჩვენ ვპოულობთ ხანგრძლივ მსჯელობას შესახებ მანქანებისა და მათი ეკონომიური როლისა.

ფაბრიკას მარქის განმარტავს როგორც „სახელოსნოს, რომელშიაც გამოყენებულია მანქანები“: მაშა შეძლება კიდევ შეცნობილ იქნას შრომის დანაწილება, რომელაც გაბატონებული იყო მანუფაქტურაში, მაგრამ ის აყვანალია უკიდურეს ხარისხამდე ავტომატური თანამშემწეების საშუალებით, რომლებიც თავისა მატერიალურა ძალთ უღრიან. მუშათა აუარკბელ რაცხვა, და რომლებიც თავანთ ამოცანებს ქარულებენ შეუცოთომელი სიზუსტით. ჰობსონის (J. A. Hobson) მიხედვით („თანამედროვე კაპიტალიზმის ევოლუცია“, ინგლისური გამოცემა, გვ. 40) სახელდობრ მანქანებმა, შეცვალეს რა შედარებით მარტაგი მოწყობილობანი, მნიშვნელოვანის ზომით გადაადგენ საწარმოს მუდმივა კაპიტალი. წარმოებია მრტისმეტი დაჩქარების გამო, სულ უფრო ადადებდა რა ამავე დროს საბრუნავ კაპიტალს, ის (მანქანებ-) სულ უფრო მიუწვდომელს ხდება მრეწველობის მმართველობის გაძლიება მუშისთვის, რომელაც არ ჰვლობდა კაპიტალს და ამით განსაზღვრავდა თანამედროვე რეალურ წყობას.

ჰობსონი შემოსხენებულ შრომაში წერს რომ „კაპიტალისტური ევოლუციის მთავარ მატერიალურ ფაქტორს წარმოადგენს მაშინში: ქართულე და მოზარდი რიცხვი მანქანებისა, რომელთაც იყენებენ წარმოებისათვის და საქანელთა გადატანაში, და ახვეე მოპოებთ მრეწველობაში, ახეთია ძირითადი ფაქტი, რომელიც ახასიათებს თანამედროვე ინდუსტრიის განვითარებას. მეორე ავტორი (R. W. Gooke Taglor) მუთითებთ, რომ შრომის ორგანიზაციას, რომელიც ანალოგიურია ორგანიზაციისა მანუფაქტურაში, შეეძლო ჰქონოდა ადგილი — და ფაქტიურადაც იყო — ყოველგვარ საზოგადოებაში, ძველსა თუ ახალში, რომელმაც კი მადლწა გარკვეულ საფეხურს, ცვილიზაციისა და მატერიალური აყვავებია. მაგრამ მე-XVIII საუკუნის დასასრულს ჩნდება ახალი ელემენტი — მანქანური წარმოება: მისი მოვლინება აღნიშნავს ახალ ეპოქას მსოფლიოს მეურნეულ ისტორიაში.

უკვე თვით სახელწოდებანი მოწმობენ თითქოს ამ ძირითადი ერთგვარობის შესახებ მსხვილ მრეწველობასა და წარმოებას შორის. ინგლისურ ენაზე ტერმინი „მსხვილი მრეწველობა“ ყველაზე კარგად გადაიკმა გამოთქმით factory system (ფაბრიკული სისტემა). factory ნიშნავს ფაბრიკას, ქარხანას. მე-XVIII საუკუნის ნახევარში ის კიდევ ინახავდა განსაკუთრებულ აზრს, მისი მონათქავე ფრანგული სიტყვისა factorire, ე. ი. ფაქტორიის, ზღვის იქთა საეაქრო ანგარიხის ანუ საწყობისა. ასეთი აზრი აქვს მას ჯერ კიდევ ჯონსონის ლექსიკონში.

როდესაც გაჩნდენ პრველი ფაბრიკები, მაშინ თავდაპირველად მათ არ აღნიშნავდენ ამ სიტყვით, არამედ სიტყვით millless — წისქვილი: მნახველებს უწინარეს ყოვლისა ფაბრიკაში ანციფრებდა დიდა წყლის ბორბალა, რომელიც ჰგავდა წისქვილს, ბორბალს (თვალს). ეს სიტყვა mill, დებულობდა რა სულ უფრო და უფრო ფართო მნიშვნელობას, ბოლოს და ბოლოს შეიქმნა თითქმის სინონიმი მანქანისა. ამგვარად ფაბრიკა, წისქვილი და მანქანა შედუღდენ ერთ ცნებაში. მე-XVIII საუკუნის უკანასკნელ წლებში ორივე სიტყვა mill და factory იხმარება თითქმის განურჩევლად.

ერთი და მეორეც იხმარება ტექსტში პირველი კანონისა (1802 წ.), რომელიც აწესრიგებდა ბავშვთა შრომას, ფაბრიკებსა და ქარხნებსში.

გამოთქმა factory system გვხვდება უკვე 1806 წლიდან, მატყლის მრეწველობის საპარლამენტო კომისიის მოხსენებაში, ამავე დროს მათთან თითქოს არ არის დაკავშირებული აუცილებლად წარმოდგენა მანქანაზე. მაგრამ დაახლოებით 1830 წ., როდესაც ის საერთოდ მიღებულ იქნა Ure თავის „Philosophy of manufacture“-ში იძლევა მის შემდგენიარ განმარტებას: „საფაბრიკო სისტემა (factory system) ნიშნავს კოოპერაციას მუშების მრავალი დასებისა, მოზრდილებისა და მცირეწლოვანთა, რომლებიც დაბანდული არიან გულმოდგინე და დახელოვნებულ მომსახურებაში. საწარმოო მანქანათა სისტემისა, რომლებიც განუწყვეტლივ მოდიან მოძრაობაში ცენტრალური ძრავისაგან“. დასასრულ, 1844 წელს ჩვენ გვაქვს შემდეგი ოფიციალური განსაზღვრა კანონში: „ფაბრიკა (factory) არის შენობა, რომელშიაც მუშაობენ პროდუქტთა გადამუშავებაზე (სახის შეცვლაზე) მანქანების შემწეობით, რომლებიც მოძრაობაში მოყავთ ძალას წყლისა, ორთქლისა ანუ სხვ. ყოველგვარ მექანიკურ ძალას“.

თუ მანქანების გამოყენება არის ის არსებითი განსაკუთრებულობა, რომელიც ფაბრიკას განასხვავებს მანუფაქტურისაგან, თუ სახელდობრ ის ახალათებს წარმოების ახალ ფორმას, მთელი მისი წინამორბედთან შედარებით, მაშინ უკეთესი ხომ არ იქნებოდა ხმარებაში რომ შემოგვეღო ტერმინი მაშინიზმი, ვინემ გამოთქმა მსხვილი მრეწველობა? მას აქვს უპირატესობა სიმოკლისა და გამოთქმის სახით და ამიტომ შეუძლია აგვაცილოს გაუგებრობას, რომელთა წყარო ასე ხშირად მდგომარეობს უფრო სიტყვებში. ვინემ თვით ნივთებში. მაგრამ შეიძლება, რომ ამ გზით ჩვენ ეგებ შემოვიტანოთ რთული და არეულ სხვადასხვაობაში ფაქტებისა მხოლოდ მოჩვენებითი სიმარტივე.

უწინარეს ყოვლისა მანქანის მოვლინება არ მომხდარა ერთბაშად. სად იწყება მანქანა და სად მთავრდება ინსტრუმენტი? სამკედლოები და ჩამონსხმელი ქარხნები უკვე დაწყებული მე-XVI საუკუნიდან ხმარობდნენ ვერტიკალურ უროებსა და საბერეველებს, რომლებიც მოძრაობაში მოყავდა წყლის ბორბლებს; და თუ დავათვალიერებთ გრავიურების ტომებს „Grande Encyclopédie“-დან, რომელიც გამოვიდა რამოდენიმე წლით ადრე ინგლისში პირველ ბამბის საქსოვთა გაჩენამდე, ჩვენდა გასაკვირებლად მასში ვიპოვებთ ნახატებს მრავალი მეტად მახვილონიერ და ამავე დროს აკმაოდ ძლიერი მექანიზმისა. არ შეიძლება დანამდვილებით ითქვას, რომ მაშინიზმის დასაწყისის გამორკვევა შეიძლებოდეს მეტი სიზუსტით, ვინემ პირველი ნაბიჯები მსხვილი მრეწველობისა. ხომ არ გვმართებს შიში იმისა, რომ ეს ტერმინი აღმოჩნდება მეტად ვიწრო ყოველივე იმისათვის, რაიც მან უნდა გამოხატოს? მართალია, საფეიქრო მრეწველობაში ამოსავალ წერტილად ყველაზე გადამწყვეტი წარმატებათა არის საქსოვ მანქანათა გამოგონება. მაგრამ მეტალურგიულ მრეწველობაში, როგორც ჩვენ დავინახავთ, მთავარი მოღვენა იყო ქვანახშირის გამოყენება მადნიდან რკინის გამოღობის საქმეში: შეიძლება თუ არა, რომ ეს ფაქტი გამოვთქვათ

სიტყვა მაშინიზმით? სხვა დარგებში მანუფაქტურა მ.ხე-ლი მრეწველობა, ხარისხზე გადადი, თითქმის შეუმჩნეველ ცვლილებათა გზით; ასე მოხდა, მაგალითად, მექურქელობის საქმეში ჯოსია ვეჯველა, დროს.

მაშასადამე, მოგვიხდება სიტყვა მაშინიზმი შეგვეცვალა ბევრად უფრო ფართე გამოთქმით, რომელიც აღნიშნავდეს იქნება ტექნიკურ გაუმჯობესებათ მის ყველა ფორმებში. მაშინიზმი ერთერთი მთავარი ელემენტთაგანია მსხვილი მრეწველობისა. მაგრამ თუ გვხდება ამ ორი ტერმინის შუა ამორჩევა, მაშინ იქნება შეიძლებოდეს უპირატეობა მივიანკოთ უფრო ზოგად ტერმინს, იმას, რომელიც გვიჩვენებს არა მხოლოდ წყაროს, ანუ ერთერთ წყაროთაგანს მის მიერ წარმოდგენილ მოვლენათა, მაგრამ, რომელიც შემოიცავს ამ მოვლენებს მათს მთლიანობაში და ახასიათებ, მათ თვით მათივე კავშირით?

რასაკერძეულა, სრულ საფუძვლიანობით შეიძლება მტკიცება, რომ მანუფაქტურა და მსხვილ მრეწველობას შორის არ არის მკაცრი განსხვავება და შეიძლება მითითება უფრო მათს ერთგვარ ხასიათზე, ვინემ განსაკუთრებულობაზე, რომლითაც ისინი განსხვავდებიან ერთმანეთისაგან.

„მანუფაქტურაში, სწერს ად. გელდი, მუშამ ასევე დაკარგა საბოლოოდ თავისი დამოუკიდებლობა; აქაც ასევე ვითარდება ცალკე საწარმოოს შენით შრომის ძლიერი დანაწლება, რომლის შედეგად მუშა, რომელმაც უამისადოაც შეწყვიტა თავისი პროდუქტის მეპატრონედ ყოფნა, ჰყარგავს აგრეთვე უნარსაც ტექნიკის მთლიანობაში შეცნობისა“. მაგრამ შეგვიძლია თუ არა ჩვენ გელდთან ერთად ვთქვათ, რომ საბოლოო ანგარიშით განსხვავება მანუფაქტურასა და მსხვილ მრეწველობას (ფაბრიკას სიტყვის ვიწრო აზრით) შორის „არა აქვს არცერთი მნიშვნელობა“?

არსად მოვლენათა პირველადობა არ ყოფილა უფრო უწყვეტელი, არსად მათი ცვლილა არ მომხდარა უფრო შეუმჩნეველი გადასვლებით, როგორც ჩვენ ეს გვაქვს ეკონომიურ სფეროში. ამ სფეროში მოთხოვნათა და რინტაქტთა: ყოველგვარი კლასიფიკაცია, ყოველგვარი გამოჯენა ფორმებისა და ეპოქებისა აქ მთლიანად ატარებს მეტად თუ ნაკლებად ხელოვნურ ხასიათს.

(Mantoux — „XVIII-საუკ. სამრეწველო რევოლუცია ინგლისში“).

§ 12. შემსყიდველისათვის მუშაობა, როგორც კავშირისა და მანუფაქტურა

ზემოდ შემსყიდველებს ჩვენ ყველაზე მახვილი მრეწველები ვუწოდებთ. ჩვეულებრივი ნაროდნიკული თვალსაზრისით ეს ერეტიკოსობაა. ჩვენში ჩვევიათ შემსყიდველი დაგვიხატონ ვილაც წარმოების გარეშე მდგარად, რალაც ქარით მოტანილად, თვით მრეწველობისათვის უცხო რადმი, რომელიც დამოკიდებულია „მხოლოდ“ აღებმიცემობისაგან.

აქ ადგილი როდია იმუათვის, რომ დაწვრილებით შევიჩრდეთ ამ შეხედულების თეორიულ უმართობლობაზე, შეხედულებისა, რომელიც დაფუძნებულია თანამედროვე მრეწველობის (და სხვათა შორის მანამრეწველობისაც) საერთო და ძირითად საფუძველის, ბაზისის, ფონის, სახელ-

დობრ სასაქონლო მეურნეობის გაუგებრობაზე. იმ სასაქონლო მეურნეობის, რომელშიაც სავაჭრო კაპიტალი აუცილებელი შემადგენელი ნაწილია და არა შემთხვევითი და გარედან მოტანილი. ჩვენ აქ ფაქტებსა და საშინამრეწველო აღწერის ცნობებს უნდა ვემყარებოდეთ; და ჩვენ ამოცანა ახლა ის იქნება, რომ განვიხილოთ ეს ცნობები შემსყიდველთა შესახებ და ანალიზი გაუუკეთოთ მათ. ამ განხილვის ხელს შემწყობო პირობა იქნება განოყოფა ცალკე ჯგუფებად იმ შინამრეწველთა, შემსყიდველთაგან რომ სუშიაობენ. მაგრამ სწორედ ამ საკითხში ძალიან ბევრი ხარვეზი და გამარუკველელი მუხლები, რაიც მის განხილვას საკმაოდ აძნელებს. არ მოაზოვება შემსყიდველთა რიცხვის, მსხვილ და წვრილ შემსყიდველთა, შეძლებულ შინამრეწველებთან მათი კავშირის (კავშირი წარმოშობის მხრით; შემსყიდველის სავაჭრო ოპერაციების კავშირი საკუთარ სახელოვნოში წარმოებასთან და სხვ.) და შემსყიდველთა მეურნეობის შესახებ. ნაროდნიკულმა ცრურწმენამ, რას გამოც შემსყიდველები გამოყოფენ, არიან როგორც რაღაც გარეშენი, — შინამრეწველობი, მკვლევართა უმრავლესობას ხელი შეუშალა დაესვათ შემსყიდველის მეურნეობის საკითხი; ეს კი ცხადია, ეკონომისტ-სათვის — პირველი და უმთავრესი საკითხია.

აუცილებლად საჭიროა დაწვრილებითა და ყოველმხრივად შევისწავლოთ, თუ როგორ მეურნეობს შემსყიდველი, რამდენ შესდგება მისი კაპიტალი. როგორ მოქმედებს ეს კაპიტალი ნედლი მასალის, პროდუქტის გასაღებას სფეროში; როგორია პირობები (საზოგადოებრივ-სამეურნეო) კაპიტალს მოქმედებასთვის ამ სფეროში, რაოდენია შემსყიდველის ხარვეზი შემსყიდვისა და გასაღებას მოწყობაზე, როგორ ნაწილდება ეს ხარვეზი სავაჭრო კაპიტალს, ოდენობისა და შესყიდვა-გასაღებას ოდენობის მიხედვით; რა მიზეზები იწვევს იმა, რომ ნედლი მასალის ნაწილობრივად ხანდახან ამუშავებენ ხოლმე შემსყიდველს სახელოვნოში და შემდგომ მას აძლევენ მუშებს შინაბოლოოდ დასამუშავებლად (ამასათანავე საბოლოო დაამუშავება ხანდახან იმავე შემსყიდველის მიერ ხდება), ანდა რა იწვევს იმა, რომ ნედლი მასალის მიჰყიდვიან ხოლმე წვრილ მრეწველებს, რათა შემდგომ მათგანვე ბაზარზე უკვე გამზადებული საქონელი შეისყიდონ.

აუცილებლად საჭიროა ერთმანეთს შევედაროთ პროდუქტის გამზადების ღირებულება წვრილ მრეწველთან, მსხვილ მრეწველთან სახელოსნოში, რომელშიც აერთიანებს რამდენიმე დაქირავებულ მუშა, და შემსყიდველთან, რომელშიც მასალას კარდაკარ არიგებს დასამუშავებლად. აუცილებლად საჭიროა გამოასაკვლევ ერთეულად ავილოთ თითოეული საწარმო, ე. ი. თითოეული შემსყიდველი ცალკე; საჭიროა გამოვარკვიოთ ოდენობა მის ბურნავთა, სახელოსნოსა თუ სახელოსნოებში, ან შინა მათთვის მომუშავეთა რიცხვი, რიცხვი იმ მუშათა, რომელნიც მის მიერ ნედლი მასალის და მზადდება, მის პროდუქტს შენახვისა და გასაღებას საქმეში; არიან დამანდებულნი. აუცილებლად საჭიროა შევედაროთ წვრილი მეპატრონის, დაქირავებულ მუშებიანა სახელოსნოს პატრონისა და შემსყიდველის საწარმოო ტექნიკა (ღირებვა და რიცხვი ინსტრუმენტებისა და ხელსაწყოებისა,

შრომის განაწილება და სხვ.), მხოლოდ ასეთი ეკონომიური გამოკვლევის შემდეგ შეიძლება ზედმწევნით მეცნიერული პასუხი გაცეთ კითხვაზე, თუ რა არის შემსყიდველი, რა მნიშვნელობა აქვს მის მეურნეობაში, რა მნიშვნელობა აქვს სასაქონლო წარმოებში, სამრეწველო ფორმათა ისტორიულ განვითარებაში.

კომლობრევი აღწერის შეჯამებაში, ამ აღწერისა, სადაც დაწვრილებით გამოკვლეულია ყველა ეს საკითხი თითოეული მანამრეწველის შეახებ, უქონლობა საამსო ცნობებისა არ შეიძლება დიდ ნაკლად არ მჯიჟინოთ. თითოეული შემსყიდველის მეურნეობის რეგისტრაცია და გამოკვლევა თუნდაც (სხვადანხვა მოზეზს გამო) შეუძლებელი გამხდარყო, — ზემოაღნიშნული ცნობების უმეტესობა შეიძლებოდა ამოგვეკრიფა კომლობრივ ცნობათაგან ამ მანამრეწველთა შესახებ, რომელნიც შემსყიდველებსათვის მუშაობენ. ამის მაგივრად „ნარკვევში“ ჩვენ გვხვდება მხოლოდ გაცეთილი ნაროდნიკული ფრაზები იმაზე, რომ „კულაკი“ „არსებითად უცხოა წარმოებისათვისა“; სხვათა შორის ისინი კულაკებად სთვლიან, ერთი მხრით, შემსყიდველებსაცა და ნაკრებ სახელოსნოებსაც, ხოლო მეორე მხრით, მეცხვებებს; „საქარაო შრომის მფლობელობის არა ტექნიკური მხარე კონცენტრაცია, მსგავსად ფაბრიკისა (?), არანებდ მანამრეწველთა ფულადი დამოკიდებულება... ერთ-ერთი სახე კულაკობისა“; „შრომის ექსპლოატაციას წყაროს... წარმოადგენს არა საწარმოო ფუნქციები, არამედ გაცელა-გამოცელის ფუნქციები; საშინამრეწველო სარეწაოებში გვხვდება ხშირად არა „წარმოების კაპიტალიზაცია“, არამედ „კაპიტალიზაცია საგაცელა-გამოცელო პროცესისა“. რააკვარელია, ჩვენ ფიქრადაც არ მოგვდის „ნარკვევას“ ავტორებს დამოუკიდებლობა დაეპარალოთ: მათ უბრალოდ მთლიანად ისეხეს ის სენტენციები, რაიც ასე უხვადაა ვაბნეული. მაგალითად. „ჩვენი ცნობილი“ ბ.ნი.ვ.ვას თხზულებებში.

რათა ამგვარი ფრაზები; ნამდვილი მნიშვნელობა შევაფასოთ. საკმარისია გავხსენოთ, რომ ჩვენი მრეწველობის ერთ-ერთ უმთავრეს დარგში, სახელობორ რთვა-ქაოვის მრეწველობაში, „შემსყიდველი“ იყო უშუალო წინამორბედი, მამა მსხვილი მეფაბრიკისა, რომელიც ახლა მსხვილ სამანქანო წარმოებში, მიადევს. მანამრეწველებსათვის სახლებში ნართის და როგება დასამუშავებლად, — აქეთა იყო გულმანდელი დღე ყველა ჩვენებურ რთვა-ქაოვის წარმოებათა; მამასადამე, ეს იყო მუშაობა „შემსყიდველისათვის“, „კულაკისათვის“, რომელნიც საკუთარი სახელობნი არა ჰქონდა („წარმოებისათვის უცხო იყო“) და „მხოლოდ“ არაგებდა ნართს, ლებლობდა რა გამზადებულ საქონელს. ჩვენი გულკეთილი ნაროდნიკები არც კი ცდილან გამოკვლიათ წარმოშობა ამ შემსყიდველებსა, მათი მემკვიდრეობითა კავშირი პატარა-პატარა სახელობნიებს პატრონებთან, მათი როლი, როგორც ნედლი მასალის შესყიდვისა და გასადების ორგანიზატორებისა, რომელიც კონცენტრაციას უშვება საწარმოო საშუალებებს, ერთად

*) მხედველობაშია: „Обзор Пермского края: Очерк состояния кустарной промышленности в Пермской губернии“, 1896 პერმი. (პ. გ.).

თავს უყროს დაქსაქსულ წვრალ შინამრეწველთა მასებს, შემოაქვს შრომის განაწილება და ამზადება აღევ მსხვილას, მაგრამ უკვე სამანქანო წარმოების ელემენტებს. გულკეთილი ნაროდნიკები სჯერდებოდნენ ამ „სამწუხარო“, „ხელოვნური“ და სხვ. და სხვ. მოვლენის შექაჩებ ჩვილსა და ვაივიშს; ისინი თავს ანუგეშებდნენ: ეს წარმოების კი არა, „მხოლოდ“ საგაცვლია ვამოცვლო პროცესის „კაპიტალიზაცია“; ისინი ტკბილად მასლათობდნენ სამშობლოსთვის სხვა გზებზე; ამ დროს კი „ხელოვნური“ და „უნიადაგო“ „კულაკები“ მიდიოდნენ თავიანთი ძველი გზით, განაგრძობდნენ კაპიტალის კონცენტრაციას, საწარმოო საშუალებათა და მწარმოებელთა შეკრებას, ნედლი მანალის შეწყიდვას ოდენობის გაფართოებას, ცალკ-ცალკე ოპერაციებად წარმოებას დანაწილებას გარკვევებს (ძაფის ხვევა, ქსოვა, შეღებვა, საბჭოლოდ გამზადება და სხვ.), დაქაქსული, ტექნიკურად ჩამორჩენილი, ხელთ მუშაობასა და დამონებაზე დამყარებული კაპიტალისტური მანუფაქტურის გარდაქმნას კაპიტალისტურ სამანქანო ინდუსტრიადა.

საესებით ასეთივე პროცესი ხდება ახლა ჩვენებურ ეგრეთწოდებულ „საშინამრეწველო“ სარეწაოთა უმრავლესობაშიაც! და ნაროდნიკები სწორედ ასევე პარს იბრუნებენ სინამდვილის გამოკვლევასაგან მის განვითარებაში: ისინი სწორედ ასევე — არსებულ ერთიანობათა და მათი ევოლუციის წარმოშობის საკითხს სცვლიან საკითხთ, თუ რა შეიძლება და ყოფილიყო (ის რომ არ ყოფილიყო, რაც არის); ისინი ასევე თავს ანუგეშებენ ამით, რომ ეყენი ჯერჯერობით „მხოლოდ“ შემსყიდველნი არიანო; სწორედ ასევე აიდეალებენ და ალამაზებენ კაპიტალიზმის უცუდეს სახეს, უცუდესს — ტექნიკური ჩამორჩენილობის, მხრითაც, ეკონომიური ნაკლებლოვანებითაც, მშრომელი მასების სოციალური და კულტურული მდგომარეობის მხრითაც.

მიემართოთ პერმის საშინამრეწველო აღწერის ცნობებს. ზემოხსენებულ ხარვეზება შევეცადოთ შევაჯამოთ, საჭარობისამებრ, ზემოდ მოხაენებული წიგნის „Куст. промышленность Пермской губернии и т. д.“ — მასალით. ცალკე გამოვყოთ, უპირველესად ყოვლისა, ის სარეწაოები, რომელნიც იძლევიან შემსყიდელთათვის მომუშავე შინამრეწველთა უმთავრეს მასას. ჩვენ მოგვიხდება მიემართოთ ჩვენს საკუთარ შეჯამებას, რომლის შედეგები (როგორც ზემოდ აღვნიშნეთ) არ ეფარდება „ნარკვევის“ ციფრებს.

რიცხვი შემსყიდველთათვის მომუშავე ოჯახებისა.

I	სარეწაოები	I ოჯახი	II ოჯახი	სულ
	ხარაზები	31	605	636
	შახალები	607	12	619
	სამკედლო	70	412	482
	საქილობო	132	10	142
	დგამ-სადურგლო	38	49	87
	საეტლო	32	28	60
	სათერძო	4	42	46
	სულ 7 სარეწაოში	914	1.158	2.072
	სულ მე-3 ქვეჯგუფის შინამრეწველნი	1.016	1.320	2.336

მაშასადამე, შემოყრდევლათათვის მომუშავე შინამრეწველთა დაახლოე-
ბათ $\frac{1}{10}$ თავმოყრადლია ზამოხამოთვლოლ შვილდ სარეწაოზო. ჩვენც, უწინა-
რეს ყოვლისა, ამ შვილდს სარეწაოლ მივმართავთ.

დაიწყოთ საფეხსაცმელო სარეწაოდან. შემსყიდველთათვის მომუშავე ხარაზების დიდი უმრავლესობა თავმოყრილია კუნგურის მაზრაში, რომელიც პერმის გუბერნიის ტყავის მწარმოებლების ცენტრია. დიდძალი შინამრეწველი ტყავის ქარხნებში მუშაობს: 85 გვ. „ნარკვეისა“ მოხსენებულია 8 შემსყიდველი. რომელთათვისაც მუშაობს 445 წამოწყება. ყველა ეს შემსყიდველი, ტყავის ძველისძველი მექარხნენი არიან; მათი სახელები შეიძლება ამოკითხოთ 1890 წ. და 1879 წ. „Указатель фабрик и заводов“-შიაც, 1867 წლის „Ежегодник м-ва финансов. Вып. I“-შიაც. ტყავის მექარხნენი ტყავს სკრიან და გამოქრილს შესაკერად ამ-
ლევენ „შინამრეწველებს“. წინაღის გამოქნას რამდენიმე ოჯახი ასრუ-
ლებს ცალკე. მექარხნეთა შეკვეთით. საერთოდ ტყავის საქარხნო წარმოე-
ბასთან დაკვერებულია მთელი რიგი „საშინამრეწველო“ საწარმო, ე. ი. მთელ რიგ ოპერაციებს შინ ასრულებენ. ასეთი ოპერაციაა: 1) ტყავის გამზადება; 2) ფეხსაცმლის შეკერვა; 3) ტყავის ნათლის ერთმანეთზე და-
წებება პლასტებად საქუსლედ; 4) ჩექმებისათვის სკვალთა რეცხვა; 5) სა-
ფეხსაცმელო ხარჯთა მომზადება; 6) საფეხსაცმელო კალაპოტების მომზა-
დება; 7) ნაცრის მომზადება ტყავის ქარხნებისათვის; 8) მათთვისვე „თრიმლის“ (ტრიფის ქერქის) მომზადება. ტყავის წარმოების ნაყარნუ-
ყარს ამოშავებენ ჩულსა და წებოს საწარმონო.

შრომის დეტალური განაწილების გარდა (ე. ი. ერთისა და იმავე ნოყ-
თის წარმოების განაწილების გარდა რამდენსამე ოპერაციად. რასაც სხვა-
დასხვა პირნი ასრულებენ) ამ წარმოებაში განვითარდა შრომის საქრნელ-
დაგვარი განაწილებაც: თ-თოეული ოჯახი (ხანდახან საშინამრეწველო სოფლის თ-თოეული ქუჩაც) ამზადებს ერთს რომელსამე სახის ფეხსაც-
შელს. როგორც კურიოზი, უნდა აღვნიშნოთ, რომ წიგნში „Куст. пром. и т. д.“ „კუნგურის ტყავის წარმოება“ გამოცხადებულია „საფაბრიკო და
საშინაო მრეწველობის ურთიერთს სახირო ორგანიული კავშირის იდეის ტიპიურ გამომხატველად“ (sic!)... ფაბრიკა წესიერად (sic!) უკავშირდება
შინამრეწველობას, მიზნად აქვს რა თავის ინტერესების დამიხედვით (სწო-
რედ რომ ასე!) არა დათრგუნვა... არამედ მის ძალთა განვითარებაო. მაგა-
ლითად მექარხნე ფომინსკიმ 1887 წ. ეკატერინბურგის გამოფენაზე ოქროს
მედალი მიიღო არა მარტო ტყავის საუკეთესო დამუშაებისათვის. არა-
მედ „იმ დიდი წარმოებისათვისაც, რაცაც გარეშემო მოსახლეო-
ბას შემოსავალს აძლევსო“ (ibid., გვ. 4; ხაზი ავტორისაა.
სახელდობრ მის 1.450 მუშიდან 1.300 ზუშაობს შინ; მეორე მექარხნია,
სარტაკოვის 120 მოშ-დან შინ მუშაობს 100 კაცი და სხვ. მაშასადამე,
პირველი მექარხნეები ფრიად წარმატებით ეჯიბრებიან ნაროდნიკულ ინ-
ტელექციონის საშინამრეწველო საწარმოთა დაარსებასა და განვითარებაში.
საესებით ანალოგიურია სახარაზო საწარმოს ორგანიზაცია კრასნოუ-
ფიმსკის მაზრაში. ტყავის მექარხნეები აქაც ტყავის ფეხსაცმელებად ჰკერა-

ვენ ნაწილობრივად საკუთარ სახელოსნოში, ნაწილობრივ კი შინ ურიგებენ; ერთ-ერთს ტყავსახარაზო წამოწყების უდიდეს პატრონთაგანს 200-მდე მუღმივი მუშა ჰყავს.

ესლა ჩვენ შეგვიძლია საკმაო სიცხადით წარმოვიდგინოთ სახარაზო და შრავალი სხვა, მასთან დაკავშირებული, „საშინამრეწველო“ სარეწაოს ეკონომიური ორგანიზაცია. იგი — სხვა არა არის რა, თუ არა განყოფილებები მსხვილი კაპიტალისტური სახელოსნოებისა („ფაბრიკებისა“ ჩვენებური ოფიციალური სტატისტიკის ტერმინოლოგიით); ეს სხვა არა არის რა, თუ არა ტყავის დამუშავების დარგში მსხვილი კაპიტალისტური ოპერაციების ნაწილობრივი ოპერაციებო. კაპიტალისტებმა მოაწყვეს ფართო ოდენობით ნედლი მასალის შესყიდვა, მოაწყვეს ტყავის დამუშავებელი ქარხნები და შემოიღეს მისი (ტყავის) შემდგომი გადამუშავების მთელი სისტემა, — სისტემა, დამყარებული შრომის განაწილებაზე (როგორც ტექნიკურ პირობაზე) და ქირით მუშაობაზე როგორც ეკონომიურ პირობაზე; ისინი ზოგიერთ ოპერაციას თავის სახელოსნოებში ასრულებენ (ფეხსაცმელის გამოქრა), ზოგს კი მათთვის მომუშავე შინამრეწველნი ასრულებენ თავიანთ სახლში; კაპიტალისტები განსაზღვრავენ წარმოების ოდენობას, ოდენობას სანარდო მუშაობას, გასამზადებელი საქონლის სახესა და თითოეული გვარეობის ნაკეთობათა რაოდენობას. მათვე მოაწესრიგეს პროდუქტის საბითუმო გასაღება. ცხადია, მეცნიერული ტერმინოლოგიით — ეს არის კაპიტალისტური მანუფაქტურა, რომელიც ნაწილობრივ უმაღლეს ფორმად, ფაბრიკად იქცევა (სახელობრივ, რამდენადაც წარმოებაში იხმარება მანქანები და მანქანათა სისტემები: ტყავის მსხვილ ქარხნებს ორთქლის ძრავები აქვთ). ამ მანუფაქტურის ზოგიერთი ნაწილის გამოცალკევება წარმოების განსაკუთრებულ საშინამრეწველო ფორმად — ცხადი სიბრყვეა; აგი აბინდებს საქირაო შრომის ბატონობას ძირითადს ფაქტს და მსხვილ კაპიტალისადმი მთელი სატყავო-სახარაზო საქმის მორჩილებას.

ამ სარეწაოსათვის „გაცვლა-გამოცვლის კოოპერატიული ორგანიზაციის“ სასურველობის შესახებ კომიკურ მსჯელობათა მაგივრად, ურიგო როდი იქნებოდა უფრო დარწმუნებით შეესწავლათ წარმოების ნამდვილი ორგანიზაცია, შეესწავლათ ის პირობები, რაც მექარხნეებს აძლებულ-ჰყოფს სამუშაო სახლებში დაარიგონ. მექარხნეებს, უეჭველია, ეს თავის-სათვის სახიროდ მიაჩნიათ; ეს სარფიანობა გასაგები აქნება ჩვენთვის, თუ გავიხსენებთ შინამრეწველთა დაბალ ხელფასს საზოგადოდ, განსაკუთრებით კი მიწათმოქმედ-შინამრეწველებისა და მე-3 ქვეჯგუფის ხელფასს. მასალის სახლებში დარაგებით კაპიტალისტები აიაფებენ ხელფასს, ამცარებენ სადგომის, ნაწილობრივ კიდევ იარაღთა ხარჯებს, თავისუფლებიან შეფაბრიკეთადმი არა ყოველთვის სასამო მოთხოვნათაგან (ჩვენ-მე-ფაბრიკენი როდი ვართ, ვაქრები ვართო!), იძენენ მუშებს უფრო დაქსაჟსულებს, დათითოეულებულებს, თავდაცვის ნაკლები უნარის მქონეებს. აქენენ ამ მუშათა უფასო მეთვალყურეებს — თავისებურს „ზაგლოდებ“ ანუ „ხელოსნუკებს“ (ეს სამუშაოს შინ დარიგების სისტემის დროის ჩვე-

ნებურა რთვა-ქსოვის მრეწველობის ტერმინებია) მათთვის მომუშავე ამ შინამრეწველთა სახით, რომელნიც თავის მხრითაც ქირაობენ დაქირაებულ მუშებს (ხარაზთა 636 ოჯახში, რომელნიც შემსყიდველთათვის მუშაობენ, ითვლება 278 დაქირაებული მუშა).

ჩვენ უკვე ვნახეთ საერთო ცხრილში, რომ ეს დაქირაებული მუშები ფრიად დაბალ ხელფასს ღებულობენ. ეს არც საკვირველია, რადგან ისინი ორმაგს ექსპლოატაციას განიცდიან: ექსპლოატაციას თავისი დამქირაებლისას, რომელნიც „ხეირს“ მათგან ნახულობენ და ექსპლოატაციას იმ მეტყავე-მექარხნისაგან, წვრილ მეპატრონეებს მასალას, რომ ურიგებს ცნობილია, რომ ეს წვრილი ხელოსნ-უკები, კარგად იცნობენ რა ადგილობრივ პირობებსა და მუშათა პირადს თვისებებს, განსაკუთრებით გამოქნილნი არიან ათასგვარი ხრიკების, დაქირაების დამმონებელ პირობათა, truck-system-ის *) და სხვათა ხმარებასა და გამოგონებაში. ცნობილია, თუ რაოდენ დიდა ხანგრძლივობა სამუშაო დღისა მსგავს სახელოსნობებსა და „საშინამრეწველო ქობებში“; და არ შეიძლება მუშხარება არ გამოეთქვათ, რომ 189¹/₆ წლის საშინამრეწველო აღწერას თითქმის სრულებით არ მოუტია ჩვენთვის მასალები ამ უმნიშვნელოვანეს საკითხებზე გასაცნობად ჩვენებური თავისებურა Sweating-system-ის **) და იმ უამრავ შუამავალთა, რომელნიც აძლიერებენ მუშებზე წნევას, ცხადსაყოფად ფრიად უკონტროლო და მოუხრიდებელი ექსპლოატაციისა.

ფეხსაცმელების სარეწაოს ორგანიზაციის შესახებ (ამ სარეწაოს მეორე ადგილი უჭირავს შმსყიდველთათვის მომუშავე ოჯახთა აბსოლუტური რაოდენობით) „ნარკვევი“, სამწუხაროდ თითქმის არავითარ ცნობას არ იძლევა. ჩვენ დავინახეთ, რომ ამ სარეწაოში არიან შინამრეწველნი, რომელთაც დაქირაებული მუშები ათობითა ჰყავთ; მაგრამ ურიგებენ თუ არა ისინი სახლებში სამუშაოს, ასრულებინებენ თუ არა ისინი ოპერაციათა ნაწილს სახელოსნოს გარეშე — გამოუტყვეველი დარჩა. აღენაშნავთ მხოლოდ მკვლევართა მიერ დადასტურებულ ფაქტს, რომ ფეხსაცმელების სარეწაოს ჰიგიენური პირობები ფრიად უეარვისია („ნარკვევი“, გვ. 119. „Куст. пром.“ III, 16) — აუტანელი სიცხე, უამრავი შტვერო, შეხუთული ატმოსფერო. და ეს ასეა შინამრეწველთა საცხოვრებელ ქობებში! ამის ბუნებრივი შედეგი ისაა, რომ შინამრეწველნი 15 წლისაზე მეტს მუშაობას ვეღარ იტანენ და სიცოცხლეს ქლეჭით ათავენ. ი. ო. მ. ო. ლ. ე. ს. ო. ნ. ი, რომელმაც მუშაობის სანიტარული პირობები გამოიკვლია ამბობს: „უმთავრეს კონტიგენტს შეადგენენ 13-დან 30 წლის მუშები. და ყველანი ისინი შესამჩევად გამოიჩნევიან სიფითრით, კანის ჟანგისფერით და მოღუნებული, თითქოს ავადმყოფობით გამოვლენილად ამ დროს შახედად უღრთ დიდი ზომისა, ვალდებული გახადონ სახელოსნოები ააგონ ბევრად უფრო დიდი ზომისა,

*) — ხელფასის მიცემა საქონლად. რ. ე. დ.

**) ოფლის გამოწურვის სისტემა. რ. ე. დ.

ისეთი, რომ თითოეულ მუშაზე მოდიოდეს წინასწარად განსაზღვრული მუდმივი ოდენობა ჰაერისა“; „სახელოსნოები მხოლოდ და მხოლოდ სამუშაოდ უნდა იყოს მოწყობილი. მუშათა ღამისთევია შიგ უეჭველად უნდა აკრძალოსო“. მაშ ასე: სანიტარული ექიმები ამ შინამრეწველთათვის ქარხანათა მოწყობას, შინ მუშაობის აკრძალვას მოითხოვენ. არ შეიძლება ამ ღონისძიების განხორციელება არ ვისურვოთ; იგი წინ წასწევს სატექნიკო პროგრესს, მოსაობს უამრავ შუამავლებს, გზას გაუკაფავს სამუშაოდღისა და შრომის პირობების მოწესრიგებას, ერთი სიტყვით, მოსპობს ყველაზე დიდს და აღმაშფოთებელს ბოროტმოქმედებებს ჩვენებურ „სახალხო“ მრეწველობაში.

„როგოჯის“ სარეწაოში, შემსყიდველთა რიცხვში მოქცეულია ოსელი ვაჭარი ბუტაკოვი, რომელსაც 1879 წლის ცნობებით ქალ. ოსაში ჰქონია „საროგოჯო“ ქარხანა 180 მუშით. ნუ თუ ეს მეფაბრიკეც „თვით წარმოებისათვის უცხოვდ“ უნდა მივიჩნიოთ იმიტომ, რომ მას უფრო სახეიროვდ მიაჩნია სამუშაო შინ დაურეგოს ზოლმე? საინტერესოა აგრეთვე გავიგოთ, რით განარჩევიან შინამრეწველთა რიცხვიდან გამოდევნილი შემსყიდველნი იმ „შინამრეწველთაგან“, რომელნიც არა ჰყავთ რა შინა-მუშები, „ყიდულობენ ხრალს (мочало) და ურეგებენ მას ნარდად მომუშავეებს, რომელნიც გადაამუშავებენ ზოლმე მას „როგოჯად“ და ჩულებად თავიანთ დაზგებზე („ნარკვევი“, 152)? ეს თვალნათლივ ნიმუშია იმ დომხალაა, რაიც შექმნეს მკვლევარებმა თავის ნაოოდნიკული ცრურწმენათა გამოისობით. ამ სარეწაოს ჰიგიენური პირობებიც ყოველ კრიტიკის გარეშე დგას: სივიწროვე, ქუქუქ, მტვერი, ნესტი, სამყრალე, ხანგრძლივი სამუშაო დღე (12—15 საათი დღელამეში) — ყველაფერი ეს სარეწაოს ცენტრებს აქცევს ნამდვილ „წყაროდ შიმშილოვან ტიფისა“, რომელსაც აქ ხშირად მოდებულა.

აგრეთვე ვერაფერს ვტყობილობთ „ნარკვევიდან“ თუ როგორია ორგანიზაცია შემსყიდველთათვის მუშაობისა სამკედლო სარეწაოში და ამიტომ უნდა მივმართოქ წაგნს „Куст. пром. и т. д.“, რომელსაც გვაძლევს ნაენი-ტაგილის სამკედლო სარეწაოს ფრიალ საინტერესო აღწერილობას. სწება და სხვა ნაკეთობათა წარმოება განაწილებულა რამდენსამეწამოწყებას შორის: ს ა მ კ ე დ ლ ო (клетчатые) სახელოსნოებში ს ქ ე დ ე ნ რ კ ი ნ ა ს. ს ა კ ა ლ ო შ ი ჰ კ ა ლ ა ვ ე ნ მ ა ს, ს ა მ ლ ე ბ რ ო შ ი — კ ლ ე ბ ა ვ ე ნ. ზოგიერთ შინამრეწველ-მეპატრონეს ყველა ასეთი წამოწყება აქვს; მაშასადამე, ის წმინდა წყლის მანუფაქტურისტია. ზოგიერთნი — თავიანთ სახელოსნოში ასრულებენ ერთ-ერთს ოპერაციას, ხოლო მერე ურიგებენ შინამრეწველებს სახლებში მოსაკალავედ და შესაღებად. აქ, მაშასადამე, განსაკუთრებული რელიეფობით ცხადი ხდება სარეწაოს ეკონომიური ორგანიზაციის ერთგვარობა სამუშაოს შინ დარეგებისა და აგრეთვე იმის დროსაც, როდესაც მეპატრონეს რამდენიმე სადეტალო სახელოსნო ეკუთვნის. ის შინამრეწველნი-შემსყიდველნი, რომელნიც სახლებში ურიგებენ სამუშაოს, ეკუთვნიან ყველაზე მსხვილ მეპატრონეთა რიცხვს, რომელთაც ფრიალ სარეწაოდ შოაწყვეს წედლი შასალის შეს-

ყრდნა და ფართო ოდენობით გასაღება პროდუქტისა: ეს 25 შინამრეწველნი (და მხოლოდ ისინი) ბაზრობაზე დაიარებიან ან და საკუთარი დუქნები აქვთ. მათ გარდა შემსყიდველებს წარმოადგენენ უკვე მსხვილი „მეფაბრიკე-ვაჭარნი“, რომელთაც ეკატერინბურგის გამოფენაზე თავისი ნაკეთობანი საფაბრიკო-საქარხნო განყოფილებაში გამოაფინეს: ავტორი ამით „საფაბრიკო-საქარხნო (sic!) მრეწველობას აკუთვნებს“. საერთოდ და ზოგადად ჩვენ ამნაირად ვლებულობთ ფრიალ ტიპურ სურათს კაპიტალისტური მანუფაქტურისას, რომელიც ათასნაირი და საოცარი ძაფით არის გაღანლართული წვრილ წამოწყებებთან.

კაპიტალისტური მანუფაქტურის ფრიალ ტიპური მაგალითია აგრეთვე ზანდლუტა სარეწაო. მისი ორგანიზაცია შემდეგნაირია: რამდენიმე მსხვილი მეპატრონე, რომელთაც დაქირავებულ-მუშებიათი სახელოსნოები აქვთ, ყიდულობენ ნედლ მასალას, ზოგიერთ ნაკეთობას ნაწარმოებრივ თავისთან ამზადებენ, უმთავრესად კი მასალას ურიგებენ წვრილ სადეტალო სახელოსნოებს, თავის სახელოსნოებში აკოწიწებენ ზანდლუტის ნაწილებს და საბოლოოდ დამუშავებულ შემდეგ საქანელს ბაზარზე ჰგზავნიან. შრომის განაწილება — მანუფაქტურის ეს ტიპური პირობა და ტექნიკურა საფუძველი — წარმოებაში ფართოდ იხმარება: ზანდლუტის გამზადება იყოფა 10 — 12 ოპერაციად, რომელთაგან თითოეული სრულდება მოდეტალე-შინამრეწველთა მიერ. სარეწაოს ორგანიზაცია — ესაა, გაერთიანება მოდეტალე მუშებისა (Theilarbeiter, როგორც მათ უწოდებენ „კაპიტალში“) კაპიტალის მეთაურობით. რატომ აძლევს კაპიტალი უპირატესობას სახლში სამუშაოს დარიგებას — სახელოსნოში დაქირავებულ მუშების მუშაობის წინაშე, ამის ცხადს პასუხს გვაძლევს 1894 — 5 წლის საშინამრეწველო აღწერის ცნობები ეკატერინბურგის მაზრის (სარეწაოს ერთ-ერთი ცენტრთაგანია) ნევიანის ქარხნის საწარმოთა შესახებ, რომელშიაც ჩვენ შეგვხვდა ურთიერთის გვერდით — ნაკრები სახელოსნებიცა და მოდეტალე-შინამრეწველნიც. მაშასადამე, მათი შედარება ურთიერთისადმი სავსებით შესაძლებელია. მოვიყვანოთ შედარებითი ცნობები ცხრილად:

რეზანდუენი ნევიანის ქარხნისა	ჯგუფები	ქვეჯგუფები	წამოქმ. რიცხვი	მუშათა რიცხვი			საერთო შ. ნოს. გ.		ხელფასი		წმრ. და შემოსავალი	
				შინამრეწ.	დაქირავ.	სულ.	სულ.	1 მუშაზე	სულ.	1 ოპერ. მუშაზე	სულ.	1 შინამრეწ.
„შემსყიდველნი“	II	1	2	1	13	14	5.820	418	1.100	100	1.817	686*
„შინამრეწველნი“	II	3	8	11	8	19	1.315	70,3	351	44	984	49,4

განვიხილოთ ეს ცხრილი. თავდაპირველადვე კი უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენ მარტო ნევიანოს ქარხნის მაგიერად მთელ 1 და მე-3 ქვეჯგუფის შესახები ცნობები რომ არ აგველო, დასკვნება მაშინაც იგივე იქნებოდა. საერთო შემოსავლის ოდენობას ორთავე ქვეჯგუფში, ცხადა, ერთ-მანეთს ვერ შევადარებთ, ვინაიდან ერთი და იგივე მასალა სხვადასხვა მოდელზე მუშა და ნაკრები სახელოსნოების ხელში გავლის ხოლმე. მაგრამ დამახასიათებელია ცნობები შემოსავლსა და ხელფასის თაობაზე. ნაკრებ სახელოსნოთა დაქირავებული მუშების ხელფასს თურმე უფრო დიდაა, ვიდრე დამოკიდებულ შინამრეწველთა (100 მ. და 89 მ.), მიუხედავად იმისა, რომ უკანასკნელნიც დაქირავებულ მუშათა ექსპლოატაციას ეწევიან. ამ უკანასკნელთა ხელფასი კი ერთ-ერთად და უფრო მეტად დაბალია ნაკრები სახელოსნოების მუშათა ხელფასზე. აბა, როგორ არ უნდა ერჩიოთ ჩვენს მეწარმეებს „შინამრეწველობა“ საფაბრიკოსთან შედარებით, როცა იგი მათ ასეთს არსებითს „უპირატესობებს“ ანიჭებს! სავსებით ანალოგიურია მუშაობის ორგანიზაცია საეტლო სარეწაოშიაც; აქაც იგივე ნაკრები სახელოსნოებია, რომელთა მეპატრონენა „შემსყიდველები“ (და სამუშაოს მიმცემნი, დამრიგებელნი) არიან მოდელ-შინამრეწველთა მიმართ; იგივე სიჭარბე სახელოსნოს დაქირავებული მუშის ხელფასისა დამოკიდებულია შინამრეწველის შემოსავალთან შედარებით (მისი დაქირავებული მუშის თაობაზე რომ არა ვთქვათ რა). ეს მეტობა ემჩნევა მიწათმოქმედთა (I ჯგუფი) და არამიწათმოქმედთა (II ჯგუფი) ხელფასსაც. დგამ-მადურგლო სარეწაოში შემსყიდველები არიან ქ. პერმის სადგამო მალაზიები, რომელნიც შეკვეთის დროს შინამრეწველებს ნიშნუებს აწვდიან, რითაც, სხვათა შორის, მათ „წარმოების ტექნიკა თანდათანობით აღამაღლეს“.

სამკერვალო სარეწაოში გამზადებული ტანსამოსის მალაზიები პერმსა და ეკატერინბურგში შინამრეწველებს უროგებენ მასალას დასამუშავებლად. ცნობილსა, რომ სამკერვალო და საკონფექციო სარეწაოს სავსებით ამგვარივე ორგანიზაცია არსებობს დასავლ. ევროპისა და ამერიკის კაპიტალისტურ ქვეყნებშიაც. „კაპიტალისტური“ დასავლეთი რუსეთისაგან მისი „სახალხო წარმოებითური“ ამით განირჩევა, რომ დასავლეთში ამისთანა წესებს Schwitz-system-ს*) უწოდებენ და ზომებს ეძიებენ ექსპლოატაციის უტუდეს სისტემასთან საბრძოლველად; მაგალითად, გერმანელი მკერვალები თავიანთ მეპატრონეთაგან მოითხოვენ ქარხანათა მოწყობას (ე. ი. „ხელოვნურად ქმნიან კაპიტალიზმს“, როგორც რტყოდა რუსეთის ნაროდნიკი); ჩვენში კი „ოფლის გამოწურვის ამ სისტემას“ გულკეთილად — „შინამრეწველობას“ უწოდებენ და მსჯელობენ კაპიტალიზმთან შედარებით მის უპირატესობებზე.

ჩვენ ახლა უკვე განვიხილეთ ყველა სარეწაონი, რომელნიც აძლევს შემსყიდველთათვის მომუშავე შინამრეწველთა უდიდეს უმრავლესობას. რანაირაა ამ მომობილის შედეგები? ჩვენ დავრწმუნდით იმ ნაროდნიკუ-

*) — ოფლის გამოწურვის სისტემას. რედ.

ლი დებულების სრულს უმართებულობაში, თქოს შემსყიდველნი და ნაკრები სახელოსნოებიც კი — გივე მევახშენო, წარმოებისათვის უცხო ელემენტები იყვნენ და სხვ. მიუხედავად „ნარკვეის“ ცნობათა ზემოხსენებული უკმარაშობისა, მიუხედავად აღწერას პროგრამაში შემსყიდველთა მეურნეობის შესახებ კითხვებს უქონლობისა, ჩვენ შევძელით სარეწაოთა უმრავლესობაში აღგენიშნა შემსყიდველთა ფრიად განუყრელი კავშირი წარმოებასთან — წარმოებაში მათი პირდაპირი მონაწილეობაც კი, „მონაწილეობა“ როგორც დაჭირავებულ მუშებთან სახელოსნოების მეპატრონეებისა. იმაზე ბრძვეული არა არის რა, როგორც აზრი, შემსყიდველთათვის მუშაობა თითქოს მხოლოდ რაღაც ბოროტმოქმედებათა, რაღაც შემთხვევათა, რაღაც „გაცვლა-გამოცვლის პროცესის კაპიტალიზაციის“ შედეგი იყოს და არა წარმოებისა. პირიქით, შემსყიდველთათვის მუშაობა არის სწორედ განსაკუთრებული ფორმა წარმოებისა, წარმოებაში ეკონომიურ ერთეულობათა განსაკუთრებული ორგანიზაცია, — ორგანიზაცია, რომელიც უშუალოდ წვრილ სასაქონლო წარმოებიდან აღმოცენდა („წვრილ სახალხო წარმოებიდან“, როგორც მიღებულია. თქმა ჩვენებურს კაი გულას პატრონ ლიტერატურაში) და ახლაც მასთან ათასწორი ძაფით არის გადაბმული; ვინაიდან სწორედ ყველაზე შეძლებული მეპატრონენი, ყველაზე მოწინავე „შინამრეწველნი“ უყრიან საძირკველს ამ სისტემას, აფართოებენ რა თავის ბრუნვებს სახლებში სამუშაოს დარიგების შემწეობით. უშუალოდ ემეზობლება რა დაჭირავებულ მუშებთან კაპიტალიტურ სახელოსნოს, ხშირად წარმოადგენს რა მხოლოდ მის გაგრძელებასა თუ ერთ-ერთს მის განყოფილებათაგანს, შემსყიდველთათვის მუშაობა არის უბრალო დამატება ფაბრიკისა, თუ ამ უკანასკნელ გამოთქმას ვიხმართ არა მეცნიერული, არამედ მას სალაპარაკო მნიშვნელობით. მრეწველობის ფორმათა მეცნიერული კლასიფიკაციის მიხედვით კი, ამ ფორმათა თანმიმდევრობითი განვითარების მიხედვით. — შემსყიდველისათვის მუშაობა უმეტეს ნაწილად კაპიტალისტურ მანუფაქტურას ეკუთვნის, ვინაიდან ის: 1) დაფუძნებულია ხელით წარმოებასა და წვრილ საწარმოთა ფართო ბაზისზე; 2) შეაქვს ამ საწარმოთა შორის შრომის განაწილება, ანვითარებს რა მას სახელოსნოს შოვნითაც; 3) წარმოების სათავეში აყენებს ვაქარს, როგორც ეს ყოველთვის ხდება მანუფაქტურაში, რომელიც ჰგულისხმობს წარმოებას ფართო ოდენობით, ნედლი მასალის ბითუმად სყიდვასა და პროდუქტის გასაღებას; 4) მშრომელებს აქვეითებს დაჭირავებულ მუშათა მდგომარეობამდე, ისეთ მუშათა, რომელნიც დაბანდებულნი არიან მეპატრონის სახელოსნოსა ან თავიანთ სახლში. სწორედ ამისთანა ნაწილულობანიტ ხასიათდება, როგორც ვიციტ, მეცნიერული ცნება მანუფაქტურისა. როგორც კაპიტალიზმის განვითარების განსაკუთრებული საფეხურისა მრეწველობაში (იხილე „Das Kapital“, I, Kapitel XII). მრეწველობის ეს ფორმა, როგორც ცნობილია, ნიშნავს უკვე კაპიტალიზმის ღრმა ბატონობას და მისი უკანასკნელისა და უმადლესი ფორმის, ე. წ. მსხვილი სამანქანო ინდუსტრიის უშუალო წინამორბედი. შემსყიდველთათვის მუ-

შაობა, მაშასადამე, კაპიტალიზმის ჩამორჩენილი ფორმაა; თანამედროვე საზოგადოებაში ეს ჩამორჩენილობა იწვევს განსაკუთრებულს გაუარესებას შრომელთა მდგომარეობისას, რომელთაც ჰყვლეფენ მთელი რიგი შეამავალნი (Sweating-system); ეს შრომელნი დაქსაქსულნი არიან, იძულებულნი ხდებიან დასჯერდენ ფრიად მცირედ ხელფასს, იმუშაონ უკიდურესად ანტიჰიგიენურ და გადამეტებით ხანგრძლივ სამუშაო დღის პირობებში, — ხოლო მთავარი რაა, რომ ისინი იძულებულნი არიან იმუშაონ ისეთ პირობებში, რაიც ფრიად და ფრიად აძნელებს წარმოებაზე საზოგადოებრივი კონტროლის შესაძლებლობას.

(ვ. ლენინი — „საშინაშრეწელო აღწერა პერმის გუბერნიაში...“)

§ 18. მანუფაქტურა წარმოების გარდამავალი ფორმაა

საკუთრივ მანუფაქტურას პერიოდში, ე. ი. იმ პერიოდში, როდესაც მანუფაქტურა კაპიტალისტური წარმოების წესას გაბატონებულ ფორმას წარმოადგენს, მისი დამახასიათებელი ტენდენციებია სრული განხორციელება მრავალშრივ დაბრკოლებას აწყდება. თუმცა იგი როგორც დაუნახეთ; მუშებს იერარქულ დანაწილებასთან ერთად ჰქმნის უბრალო დაყოფას დახელოვნებულ და დაუხელოვნებელ მუშებად, ამ უკანასკნელთა რიცხვი პირველთა გადამძლევა მნიშვნელობის გამო ძლიერ შეზღუდულია. თუმცა მანუფაქტურა ცალკე ოპერაციებს თავისი ცოცხალი სამუშაო ორგანოების სხვადასხვა ქასაკს, ძალასა და განვითარებას უთახხმებს, და ამგვარად გზას უხსნის ქალებსა და ბავშვების პროდუქტიულ ექსპლოატაციას, მაგრამ ეს ტენდენცია მარცხდება მუშა-მამაკაცების ზნუჩვეულებასა და წინააღმდეგობის გამო. თუმცა ხელოსნური შრომის დაშლით მცირდება მუშების მომზადების ხარჯები და ამის გამო შათი დარებულებაც, მიუხედავად ამისა, უფრო ძნელი ნაწილობრივ მუშაობის შესწავლას ხანგრძლივი ვადა სჭირდება, და იქაც კი, სადაც ეს უკანასკნელი საჭირო არ არის, მუშები მას თავგამოდებით იცავენ. ჩვენ ვხედავთ, მაგალითად, რომ ინგლისში Laws of apprenticeship-ი (კანონი შეგირდობის შესახებ), მისი შვიდწლიანი სწავლის ვადით, მანუფაქტურული პერიოდის დამლევამდე სრულ ძალაში იყო და მხოლოდ მსხვილი მრეწველობის მიერ იქნა მოსპობილი. რადგანაც ხელოსნური დახელოვნება მანუფაქტურის საფუძველს შეადგენს და იქ მოქმედი მთლიანი მექანიზმი მოკლებულია თვით მუშებისაგან დამოუკიდებელ ობიექტურ ჩონჩხს, ამიტომ კაპიტალს მუდამ მუშების ურჩობასთან უხდება ბრძოლა. „ადამიანის ბუნების სუსტი მხარე ისეთია, — ამბობს ჩვენი მეგობარი Ure-ი, — რომ, რაც უფრო დახელოვნებულია მუშა, მით უფრო თვითნებაა იგი და ძნელად შესაწყობია და ამის გამო დიდ ვნებას აყენებს ამ თვითნებობით მთლიან მექანიზმს“. ამიტომ მთელი მანუფაქტურული პერიოდის განმავლობაში გაიხსნა საყვედური მუშების უდისციპლინობაზე. იმ დროის მწერლებიც რომ არ მოწმობდენ ამას, ის უბრალო ფაქტებიც, რომ მე-16 საუკუნიდან დაწყებული მსხვილი მრეწველობის ეპოქამდე კაპიტალმა ვერ შესძლო დაეპყრო მანუფაქტურული მუშის განკარგულებაში მყოფი მთე-

ლი სამუშაო დრო, და რომ მანუფაქტურას საერთოდ ხანმოკლე პრესობა აქვს და მუშების იმიგრაცია — ემიგრაციასთან ერთად სტოვეებს ერთ მხარეს, რომ მეორეში იწყოს აღორძინება, — უკვე ეს ფაქტები მეტს მეტყველებენ. ვიდრე მთელი ბიბლიოთეკები. „წესრიგი ამა თუ იმ სახით დამყარებული უნდა იქნეს“, გააძახის ჩვენს მიერ არა ერთხელ ხსენებული „Essay on Trade and Commerce“-ის ავტორი. „წესრიგი“, იმეორებს 66 წლის შემდეგ Dr. Andrew Ure-ი, — „წესრიგი“ აკლდა მანუფაქტურას, რომელიც „შრომის დანაწილების სქოლასტურ დოგმაზე“ იყო დამყარებული, და ეს „წესრიგი არ კრავიატმა შექმნა“.

ამასთანავე მანუფაქტურას არ შეეძლო საზოგადოებრივი წარმოების დაპყრობა მთელი მისი მოცულობით და არც მისი ძირიან-ფესვიანად გარდაქმნა. იგი აღმართული იყო როგორც ეკონომიური ხელოვნების ქმნილება საქალაქო ხელოსნობისა და სასოფლო შინამრეწველობის ფართო საფუძველზე. განვითარების განსაზღვრულ საფეხურზე მისი საკუთარი ეიწრო ტექნიკური საფუძველი წინააღმდეგობაში ჩავარდა მის მიერვე შექმნილ წარმოების მოთხოვნილებებთან.

მანუფაქტურას ყველაზე სრულ ქმნილებას ის სახელოსნო შეადგენდა, სადაც თავთ შრომის იარაღებს ამზადებდენ, და განსაკუთრებით უფრო რთულ მექანიკურ აპარატებს, რომელთაც ზოგიერთ მანუფაქტურებში უკვე მაშინ ხმარობდენ. „ასეთი სახელოსნო“ — ამბობს იური — „წარმოადგენდა შრომის დანაწილებას სურათს მისი მრავალი საფეხურით. ბურღს, საჭრელს, ხარატიის დაზგას თავთაისი საკუთარი მუშები ყავდა, იერარქულად დანაწილებული მათი დახელოვნების ხარისხს მიხედვით“.

შრომის მანუფაქტურული დანაწილების ამ პროდუქტმა, თავის მხრივ, მანქანები წარმოშვა. ამ უკანასკნელმა გააუქმა ხელოსნური შრომა, როგორც საზოგადოებრივი წარმოების მომწესრიგებელი პრინციპი. ამგვარად, ერთი მხრივ, ისპობა ტექნიკური საფუძველი მუშის სამუდამო მიჯაჭვისა ერთ და იმავე ნაწილობრივ ფუნქციაზე. მეორე მხრივ ირღვევა ის ზღუდეები, რომლითაც ეს პრინციპი ჯერ კიდევ აფერხებდა კაპიტალის ბატონობას.

(კ. მარქსი — „კაპიტალი“ ტ. I).

მანუფაქტურული წარმოების განვითარება

§ 1. ცენტრალიზირებული მანუფაქტურა

ა) რა იგულისხმებოდა მანუფაქტურის ქვეშ მე-XVII და მე-XVIII საუკუნეებში

საშუალო საუკუნეობის დროიდან დარჩენილ საამქრო ხელოსნობის წინააღმდეგობას წარმოადგენს წარმოების ახალი ფორმა — მანუფაქტურა. ამჟამათ მანუფაქტურა ეწოდება იმ ფორმას წარმოებისა, სადაც თავს იყრის ცოტათ-თუ-ბევრად მნიშვნელოვანი რაოდენობა მუშებისა განსაზღვრულ შენობაში მწარმოებელის ზედამხედველობის ქვეშ. წარმოადგენს რა გარდამავალ საფეხურს შინამრეწველურსა და საფაბრიკო წარმოებას შორის. მანუფაქტურა პირველისაგან განსხვავდება შენობით, სადაც წარმოებს მუშაობა, ხოლო მეორესაგან მანქანებისა და ძრავების უქონლობით. დეცენტრალიზებულ კაპიტალისტური მრეწველობის საწინააღმდეგოდ, მანუფაქტურა წარმოადგენს კაპიტალისტურ წარმოების. ცენტრალიზირებულ ფორმას.

მაგრამ მე-XVII — XVIII საუკ. მანუფაქტურის გავრცელების ხარისხის დაწესება არ არის ადვილი საქმე, რადგან ყოველ იმ შემთხვევაში, როდესაც წყაროებში მანუფაქტურა იხსენიება — ნამდვილად როდის გვაქვს წარმოების ეს ფორმა. იმ დროში სიტყვა მანუფაქტურის ან ფაბრიკის ქვეშ წარმოების განსაზღვრული ფორმა კი არ იგულისხმებოდა, არამედ საერთოდ მრეწველობა; ის მრეწველობის ცნების თანაბარი მნიშვნელობის მქონე იყო. მანუფაქტურა ან ნიშნავდა — აბრეშუმის, შალეულის, ტილოსა და ბამბეულის სართავ-საქსოვ მრეწველობას, — ე. ი. „მანუფაქტურა:ს“ ქვეშ იგულისხმებოდა ის, რასაც ჩვენ ეხლა საერთოდ ვუწოდებთ მანუფაქტურულ მრეწველობას დამოუკიდებლად იმისა ატარებდა ის ხელოსნურ თუ შინამრეწველურ ხასიათს ან-და წარმოებდა ცენტრალიზირებულ საწარმოებში, ე. ი. მანუფაქტურებში ამ სიტყვის თანამედროვე გაგებით. მანუფაქტურას უპირისპირდებოდა „ფაბრიკაც“, სადაც მუშაობა წარმოებს „ცეცხლისა და ჩაქუჩის დახმარებით“ — რკინაზე, ფოლადზე, სპილენძზე და სხვ., რისთვისაც არამართებულად მიაჩნდათ

გამოთქმა: სელას ან შალის ფაბრიკა. ამრიგად, ყოველ კერძო შემთხვევაში აუცილებელია ამა თუ იმ „მანუფაქტურის“ ან „ფაბრიკის“ აღწერილობის საფუძველზე განისაზღვროს თუ სახელდობრ წარმოების რომელ ფორმაზეა ლაპარაკი.

ასეთი საფუძველიანი ანალოზის შემდეგ ირკვევა, რომ ფაბრიკები საერთოდ იმ დროში არ იყო, რადგან მე-XVIII საუკ. ბოლომდე მანქანები და ძრავები არ მოიპოვებოდა; მანუფაქტურები კი თანამედროვე გაგებით, ე. ი. ცენტრალიზირებულ წარმოებანი უმანქანოთ, თუმცა ზოგიერთ შემთხვევაში წარმოიშობიან ჯერ კიდევ მე-XVI საუკ., უფრო ხშირად კი მე-XVII საუკ. მეორე ნახევრიდან, მაგრამ შედარებით უმნიშვნელო რაოდენობით და ისინი ვერ ასრულებდნ ისეთ მნიშვნელოვან როლს, როგორსაც წარმოების შინამრეწველური ფორმა. ჩვეულებრივად, როდესაც წყაროებში მანუფაქტურაზეა ლაპარაკი, ირკვევა, რომ ეს მანუფაქტურები ურავებენ ქალაქებისა და განსაკუთრებით სოფლების მცხოვრებთ სამუშაოს ოჯახებში, ე. ი. ეს მანუფაქტურები კი არ არის, არამედ წარმოების შინამრეწველური ფორმაა.

ასე, მაგ., ფრანგულ წყაროებში ფაბრიკანტად იწოდება ყოველი, ვინც კი აქვს დამოკიდებულება მრეწველობასთან: დამოუკიდებელი ხელოსანიც, სოფლის შინამრეწველიც, რომელიც შემსყიდველისათვის მუშაობს (შინამრეწველს სახელოსნო იხსენიება „une fabrique-ს სახელწოდებით), და შინამრეწველებისათვის შეკვეთების გამცემი თვით შიშსყიდველ-კაპიტალისტიც. მრეწველობის მთელი დარგი, ამა თუ იმ ადგილს წარმოებაც კი ხშირად იწოდება „fabrique“: la fabrique de soie — აბრეშუმის მრეწველობა; la fabrique de Rouen — ქალაქ რუანის სამრეწველო წამოწყებათა გაერთიანება. ასეთივე გაურკვეველობით ხასიათდება აგრეთვე ტერმინი „მანუფაქტურა“, „მანუფაქტურისტი“. მანუფაქტურისტი უწოდებდნ თავის-თავს შემსყიდველებიც, ცენტრალიზირებული მანუფაქტურის მფლობელნიც (ateliers réunis), და უკანასკნელთა მუშებაც (მუშებაც იწოდებოდნ კიდევ ouvriers-fabriquants).

მე-XVIII საუკ. კამერალისტ იუსტის ტერმინოლოგიით ფაბრიკა ანუ მანუფაქტურა სამგვარია: პირველ კატეგორიას შეადგენს, როგორც ის, რასაც ჩვენ შინამრეწველობას ვუწოდებთ. აგრეთვე ისიც, რაც იგულისხმება ცენტრალიზირებულ მანუფაქტურის ქვეშ; მეორე კატეგორიას — იგინივე, მხოლოდ წარმოების (კომპანიის) კოლექტიური ფორმის დროს; მანუფაქტურას ანუ ფაბრიკას მესამე კატეგორიაში გამოყოფილია ხელოსნობა.

სტატუტებში, რომლებიც მიეკუთვნება საქსონიის ბამბის მრეწველობას, სადაც შინამრეწველები საქონელს შემსყიდველებისათვის ამზადებდნ, ნათქვამია: ფაბრიკის აყვავება მოითხოვს, რომ ხელოსნები თავიანთ ნაწარმოებს ასაღებდნ მხოლოდ ვაჭართა კომპანიებზე, უკანასკნელნი კი იძენდნ მათგან საქონელს სამართლიან ფასებში და არ ავიწროებდნ მათ. ავსტრიაში, მე-XVIII ს., ფაბრიკანტი ეწოდება ყველას, ვისაც კი რაიმე დამოკიდებულება აქვს წარმოებასთან (შინამრეწველიც, ხელოსანიც).

ნიც, შენსყიდველიც) განსხვავებით მათგან ვინც ეწევა განმანაწილებელ მოღვაწეობას.

წინააღმდეგ ჩვეულებრივია ხერხისა, რომელიც არ ანსხვავებდა მანუფაქტურის ცალკე კატეგორიებს, ჩვენ დავადგინეთ, რომ მე-XVII — XVIII ს. ს. დასავლეთ ევროპის ქვეყნებში (ასე როგორც რუსეთში) არსებობდა სამკვარი მანუფაქტურა, არსებითად ერთი მეორისაგან განსხვავებულნი. როგორც წარმოშობის წესით, ისე თავისი ხასიათით.

ბ) უცხოელთა მიერ შექმნილი მანუფაქტურები

პირველად ყოვლისა — უცხოელთა მიერ მოწყობილი მანუფაქტურები: დასაწყისში ისინი იმკვარივე მანუფაქტურები იყო, როგორაც ესმოდათ მაშინდელ ეპოქაში. ე. ი. უბრალო სამრეწველო წამოწყებანი; უცხოელებს იწვევდენ ამისათვის, რომ შეექმნათ სახელმწიფოში ახალი „მანუფაქტურები“, ე. ი. მრეწველობის ახალი დარგა. უცხოელ მწარმოებელთა და განსაკუთრებით უცხოელ მუშათა საქიროება ძალზე დიდი იყო, ისინი უნდა მიეზიდათ ყოველგვარი საშუალებით, დაეგზავნათ საზღვარგარეთ ენისარები სპეციალისტების გამოსაძებნად, „საკმაო ცოდნისა და გამოცდილებას გარეშე — ეკონომიკობით ჩვენ ბერგაუსის შრომაში — ვერც ერთი მეტყავე ვერ შესძლებს ტყავის გამოყვანას, რომელსაც ნამდვილად ყოველის მხრივ კაუქეთისა ეწოდოს, და უკეთეს სახელმწიფოში არ არიან ასეთი თვისების მქონე მეტყავეები, დაგვჩენია ერთი საშუალება — მოეწვიოთ უცხოელები“.

ეს ხალხი ამ ქვეყანაში უცხო იყო; ისინი ჩვეულებრივად გადმოსახლებოდნენ ხოლმე ერთი და იმავე ქვეყნიდან. ამიტომ ისინი განცალკავებული იყვნენ და ეწყობოდნენ ერთად, მათ განსაკუთრებული შენობები ეთპობოდათ, ისევე როგორც ეძლეოდათ სხვა პრივილეგიებიც (ფულადი დაწინაურება, წარმოების მონოპოლია და სხვ.). ამას მიემატა მათდამი მტრობა ადგილობრივი მცხოვრებთა მხრივ, რომლებიც, — განსაკუთრებით ამქრები, — თავიანთი პრივილეგიების შელახვად სთვლიდნენ უცხოელთა დაშვებას საერთოდ და კერძოდ მათ მიერ სანიმუშო სამუშაოთა შეუსრულებლობას, შეგირდობის მოუხდელიობას და სხვ.

ადგილობრივ მოსახლეობის ძალადობისაგან თავდაცვის მიზნით ისინი ერთად სახლდებოდნენ პრივილეგიურ ადგილებში და შენობებში, რომლებზედაც სამეფო ან საჰერცოგო ღებრი იყო მიკრული. ჰენრიხ მე-IV-ს დროის პირველი მანუფაქტურები საფრანგეთში, — განთქმული ლუერი, შემდეგ მანუფაქტურები გობელენების, სეონერების და სხვ., — აწარმოებდნენ ფუფუნების ყოველგვარ საგნებს და წარმოადგენდნენ მხოლოდ და მხოლოდ თავშესაფარს უცხოელი ხელოსნებისათვის, რომელთაც სდევნიდა და სააპქროებო. ამ თავშესაფარებში, ყოველი ხელოსანი თავისი ქარგლებითა და მუშებით ეწეოდა საქმიანობას დამოუკიდებელი, ხელოსნური წესით.

ასევე წარმოიშვა და ამგვარივე ხასიათს ატარებდა პირველი მანუფაქტურები ავსტრიაში (das Manufakturhaus auf dem Tabor — ვენაში), პრუსიაში, ნიდერლანდებში, მხოლოდ თანდათანობით (ეს ჩვენთვის შე-

სამხრევია) ეს ერთად მცხოვრები ხელოვნები წარმოების დარგშიც გაერთიანდნენ. მათი წრიდან გამოეყო უფროები. უფრო გამოცდილი, შემდეგში ისანი ინიშნებოდნენ სახელმწიფოს მიერ. ისინი თავში ჩაუდგენ წარმოებას, დანარჩენებს შორის დააწესეს შრომის დანაწილება (სპეციალიზაცია) და აიღეს რა თავიანთ ხელში. როგორც წარმოებას თვით ტექნიკური პროცესის წარმართვა, ისე პროდუქციას გასაღებაც — ასრულებდნენ მეწარმეთა როლს.

ამრავად უცხოელთა მიერ მრეწველობის ახალ დარგებში დაარსებული წარმოებანი (ნობისა და სარკის წარმოება, ვარაყ-თა და ინკრუსტაციებით ძვირფასი ავეჯის დამზადება, წმინდა მუღღის გამოყვანა და სხვ.) გარდაქმნენ რა მანუფაქტურებად თანამედროვე გაგებით — კვლავნდებურათ სარკებლობდნენ ფართო პრივილეგიებით. უმთავრესად მუშაობდნენ სამეფო კარისათვის, მაგრამ გარდა ამისა ფართო მოსახლეობისათვისაც.

იმ ხანებში საჩვიარი მუშა-ხელის სიმცირეზე განუწყვეტლივ გაისმოდა; ამასთანავე არა თუ მოიპოვებოდა დამზადებულა მუშები სხვადასხვა სპეციალობისა, არამედ იქაც კი, სადაც განსაკუთრებული მომზადება არ იყო საჭირო და ყველას შეეძლო ხელი მოეკრდა მუშაობისათვის — ხშირად არ მოიპოვებოდა საჭირო რაოდენობა მუშებისა, რომ შესაძლებელი გამხდარიყო საწარმოს გახსნა. პირველი სახის მუშები საზღვარგარეთიდან მოყვადათ. — მაგ., აბრეშუმის მქსოველნი და მღებენი, სარკის დამამზადებელნი. ნობის, საპნის, თამბაქოს, მაქმანების და სხვ. მუშები. — და მათ უკვე შეეძლოთ თავიანთი ხელოვნება ესწავლებათ ადგილობრივი მუშებისათვის, რაც ჩვეულებრივად შეადგენდა მათ მოვალეობას და აღნიშნებოდა ხოლმე მათთან დადებულ კონტრაქტებში.

მასასადამე, უნდა მოენახათ სახელმწიფოში ისეთი მუშები. რომელთაც სურდათ ახალი სპეციალობის შესწავლა. მაგრამ ხშირად არც ესეხი მოიპოვებოდა და არც მეორე კატეგორიის მუშები; მაგ., დიდი მოთხოვნა იყო მრთველებზე, თუმცა რთვა იმ დროში არ წარმოადგენდა დიდ ხელოვნებას და ყოველ გლეხის ქალს შეეძლო მატყლის ან სელის დართვა. მეტალურგიულ მრეწველობაში მუშათა სიმცირის გამო ხდებოდა წარმოებათა შეჩერება და დახურვა; კი, ან ნახშირის ამოსაღებად ჯარისკაცებს დაგზავნას ზემართავდნენ.

ც) იძულებითი შრომაზე დამყარებული მანუფაქტურა

ამავე დროს ჩვენ ყოველის მხრივ გვეხმის საჩვიარი სიღატაკისა და ცუდმოხეტალობის საშინლად გავრცელებაზე. „ქვეყანა (პოლანდია) სავესეა მათხოვრებთ“; „ბევრია უმუშევარი მათხოვრები“ (ინგლისში). ლარიბთა სასარგებლოდ გადასახადი ინგლისში მე-XVIII საუკ. ბოლოსთვის 800 ათას გირვ. სტერლ. სცილდება და მათხოვრობა ქუჩებსა და გზებზე მაინც გრძელდება. გერმანულ (სასულიერო) ტერიტორიებზე ყოველ 1000 მცხოვრებზე 50 სასულიერო პირი და 260 მათხოვარი მოდიოდა. მხოლოდ კელნში მათი რიცხვი 12 ათასს უდრიდა, სხვა ცნობებით — 20 ათასს მაშინ როდესაც მცხოვრებთა საერთო რიცხვი 50 ათასი იყო.

მე-XVII და მე-XVIII ს. ს. განმავლობაში პრუსიაში გამოცემული იყო

100-ზე მეტი ბრძანება მათხოვრებისა და მაწანწალების წინააღმდეგ-
ხოლო 1790 წ. ხელოვნებისა და სასარგებლო საქმიანობის წამქეზებელი
კამპურგის საზოგადოება აცხადებს ჯგულის ზარმაც და მუშაობის არ
მოსურნე ლატაკთა შრომის უფრო მიზანშეწონილად გამოყენების შესახებ
დაწერილი თხოვნებისათვის. საფრანგეთში მშვიერთა და მათხოვართა
ყველაზე მეტად თავმოყრის ადგილია პარიზი, — მათი რიცხვი განისაზ-
ღვრებოდა ქალაქის მცხოვრებთა ერთი მეოთხედით, ქუჩებზე ისინი იმ-
დენი იყვნენ, რომ შეუძლებელი იყო გავლა.

მაგრამ პროვინციაშიც დიდი რაოდენობით იხრებოდნენ ისინი სიმშვი-
ლისაგან, მოსახლეობას არ ძალუძდა მათხოვრების შენახვა, ისინი მთელი
ქონების დამსხვრევა-განადგურებით ემუქრებოდნენ სამღვდელთა და
მცხოვრებთ, უკეთეს უკანასკნელნი არ მისცემდნენ მათ მოთხოვნილ მო-
წყალებას.

იმ დროინდელი მწერლები სილატაკისა და მაწანწალობის განვითარე-
ბას ქვეყნის სიმდიდრის ნაშნად (მერსიე), და ცივილიზაციის ზრდის
აუცილებელ შედეგათაც კი თვლიდნენ. „არც ერთი ქალაქი პარიზზე ნა-
კლებად ბარბაროსული არ არის — სწერდა ვოლტერა — მაგრამ ში-
ნც არსად არ არის ისეთი რაოდენობა მათხოვრებისა, რამდენიც მასში.
ეს — მატლია, რომელიც უჩნდება სიმდიდრეს; ყოველის მხრიდან უსაქ-
მურნი პარიზში მიილტვიან, რომ იქ ხალხის სიმდიდრესა და კეთილმოქ-
მედებასაგან წვლილი მიიღონ“.

ეს მათხოვრები და მაწანწალები მოსახლეობის სხვადასხვა ფენებისაგან
შედგებოდა. მათში იყვნენ ცეცხლითა და წყალიდობით დაზარალებულნი,
ყოფილი ჯარისკაცები და მეზღვაურები, შემდეგ — ომში დაქრალინი,
ბრძენი და კოკლები, გაკოტრებული ხელოსნები და მიკიტნები, მოხეტია-
ლე სტუდენტები, თანამდებობა დაკარგული მღვდლები, მასწავლებლები,
სამაქროს წევრებად არ მიღებული ქარგლები და სხვა მრავალი.

ბევრ მათგანს, დაკარგეს რა ჩვეულებრივი სამუშაო, ახლის შოვნა
არ შეეძლოთ და არც სურდათ, ზოგიერთები კი ნახულობდნენ, რომ მა-
თხოვრობით მათ მეტის შოვნა შეუძლიათ. იყვნენ ასეთებიც, რომლებიც
აიღებდნენ სამუშაოს, წაიმუშაებდნენ რამოდენიმე ხანს და როდესაც მი-
იღებდნენ მათი მინიმალური მოთხოვნილებებისათვის საჭირო თანხას — შე-
წყეტდნენ მუშაობას, სანამ არ გააქრობდნენ სმა-ქამაში თავიანთ ფულს.

იმ მიზნით, რომ განვითარებულყოფილი თავისი მრეწველობა,
რომელიც უმთავრესად საჭირო იყო ომების საწარმოებლად და ჯარის
შესანახად, ისევე როგორც ომისათვის საჭირო ფულადი სახსრების მისა-
ზიდად, სახელმწიფო მე-XVII — XVIII ს. ს. იღებდა ზომებს, რომ ეს უქმი
ხალხი იძულებით ემუშაებინა ახლად მოწყობილ საწარმოებში. ამას
ეწოდებოდა „სასარგებლო შრომისათვის აღზრდა“. მრეწველობის განვი-
თარების თვალსაზრისით იძულებითი მოქმედება იმ დროში ითვლებოდა
სრულიად დასაშვებად.

როდესაც პროუსიაში საჭირო იყო რკინის მკეთებელი ქარხნის (მალა-
პანი) აშენება — ერთერთ ლეგიონთაგანს ბრძანება მიეცა მოერეკა დურ-

გლებსა და ქვისმთლელების სათანადო რაოდენობა; ხოლო 1745 წელს ფრიდრიხ დიდის განკარგულებით საქსონიიდან (ე. ი. უცხო სახელმწიფოდან!) სამხედრო მცველების თანხლებით გაყვანილი იქნა სილეზიაში დამსკის მქსოველთა 55 ოჯახი 179 კაცის რაოდენობით იქნა სილეზიაში მათგან მხოლოდ 34 ოჯახი იქნა ჩაყვანილი დანიშნულებისამებრ, დანარჩენები მოუხედავად სამხედრო მცველებისა „გზაში გაიბნენ“. ასეთ პირობებში გასაკვირი არ არის თუ, რომ მაწანწალებსა და მათხოვრებს აძლებდნენ ზოლმე, რომ ემუშავათ.

ჰესენელი ლანდგრაფი 1616 წელს ბრძანებს: „ყველა შრომის უნარის მქონე მათხოვრები და ლოთები, რომლებიც სამიტიტნოებში ეთარეან, ყველა უქმად მაწანწალა, ვისაც ჩვენი ქვეშევრდომთაგან მოწყალების თხოვნა ხელობად გაუხდა — იძულებული იქნან შესაფერისი საფასურით ჩვენს მალაროებში იმუშაონ; მათი მხრივ უარის თქმის შემთხვევაში — ბორკილები გაეყაროთ და მიყვანილი იქნენ მალაროებში“. მაგრამ უფრო ხშირად მათთვის ეწყობოდა განსაკუთრებული დაწესებულებანი, რომელთაც ეწოდებოდა — შრომის სახლები, თავშესაფარი სახლები, ციხეები (workhouse, hôpital, Zuchthause, werkhouse). სწორედ მათში წარმოიშვა მანუფაქტურების მეორე კატეგორია, ხშირად ამ დაწესებულებებში იმავე შენობებში (მაგ. ნიურენბერგში, რეგენსბურგში, ფრანკფურტში, ბაზელში, პფორცჰეიმში) უერთდებოდა ობოლთა თავშესაფარი, სულით ავადმყოფთა სახლები; „et improbis coercendis et quos deseruit sanae menti⁸ usura custodiendis“ („და ბოროტმომქმედთა ასალაგმავად და იმათ დასაცავად, ვინც დაკარგა სალი გონება“) ლაღადებს დამახასიათებელი წარწერა ლაპტიკში.

რომ ამ დაწესებულებებში მოთავსებულთ ეძღვნავათ და რათა მათ შენახვაზე ფული არ დახარჯოდა, სახელმწიფო მათში აწყობდა სხვადასხვაგვარ წარმოებებს — წინდებისა, მაულისა; უფრო ხშირად მათში წარმოებდა მატყლის, ქერეღის, სელის რთვა, რის გამოც ციხეებს ეწოდებოდა „სართავი სახლები“ — „spinhuis, netoriadomus“; შემდეგში ეს დაწესებულებანი ან მათი ნაწილი იჯარით ეძლეოდა კერძო მეწარმეებს. ხშირად გამოცდილი კომერსანტები თვით აწყობდნენ აქ მანუფაქტურას და სარგებლობდნენ აღნიშნულ დაწესებულებებში მოთავსებულთა იაფი შრომით. მათ განკარგულებაში ეძლეოდათ განსაზღვრული რატივი დაწესებულებებში მყოფ პირთა.

რომ შექმნილიყო მრეწველობის ახალი დარგები ან უკვე არსებული გაფართოვებულიყო, ამასთანავე მხედველობაში მიღებული იყო აგრეთვე მოსახლეობის ურიტივი მათხოვრებისა და მაწანწალებისაგან განთავისუფლდება, სახელმწიფო ზრუნავდა უკანასკნელთა დაპატრირებას და მანუფაქტურის ან წარმოების დაარსებას, სადაც დანიშნული პირის ზედამხედველობის ქვეშ ეს შრომის უნარის მქონე მათხოვარნი დაამზადდნენ სახელმწიფოსათვის საჭირო საქონელს. არ იყო ძნელი იგივე მოსახლეობა, რომელიც მუშაობაზე უარს აცხადებდა (ან ვერ მოულობდა მას), აეძულებოდათ იმით, რომ მათ უმუშევართა, მათხოვრებრს, მაწანწალებისა და

ბოროტმოქმედთა სახით სტაცებდენ ხელს და ჩასვამდენ სპეციალურად ამისათვის მოწყობილ მანუფაქტურა-სახლებში.

შპანდაუში (ბერლ-ნის ახლო) 1687 წ. ციხის დაარსებზე შესახებ გამოცემულ ბრძანებაში ნათქვამია, „იმ მიზნით, რომ განვითარებული იქნეს შალისა და აბრეშუმის მანუფაქტურები, და ასევე გაზრდილი ნართას რაოდენობა, რომელ-ც არ არის საკმაო, ეწყობა ციხე, სადაც უნდა იქნეს მოთავსებული მაწანწალები და მათხოვრები, მათ რიცხვში უქმად-მოხეტიალე ახალგაზრდობაც“. 1734 წლის ანგარიშში აღნიშნულია, რომ ამ ციხეში უნდა იქნენ მოთავსებულნი შემდეგი საფუძვლის მიხედვით: „სულთიერა ავადმყოფობა, იდიოტიზმი, მათხოვრობა, მრუშობა, მუცლის მოწყვეტა. ქურდობა“.

ციხეში მეწარმეთა მიერ ეწყობა სხვადასხვაგვარი მანუფაქტურები. შემდეგში კი მათი ინტერესათვის ხტება მასში მოსათავსებელი ხალხს შერჩევა. იქ უნდა გაგზავნონ ახალგაზრდა, ძალოვანი და შრომისუნარიანი მკონე უღემენტები, მაგრამ არა ორსული ქალები ან ავადმყოფი და პატარა ბავშვანი ქალები. რადგან ეს არღვევს ხელშეკრულებას მოიჯარადრესთან. მას ერთმევა საშუალება მათი სამუშაოზე გამოყენებისა. უკვე მე-XVII საუკ. ბოლოს პრუსიაში წარმოიშვა პროექტი ჰოლანდიური და ინგლისური წესით მიუდ-ს დაშვადებისა. მხოლოდ ნაკლები ხარჯის გაწვევით. რადგან შესაძლებელი იყო თავშესაფართა სახლებში მყოფ, როგორც მოზრდილთა ისე ბავშვების გამოყენება.

„ციხეებმა და ობოლთა თავშესაფარებთან — ამბობს მე-XVII საუკ. (1676 წ.) ერთი ავტორი — ახლად დაარსებული მანუფაქტურების შეერთება იოლა და ყველაზე უკეთესია. ციხეები და ობოლთა თავშესაფარები უნდა გამხდარ-ყო მხატვრობის ყოველგვარი დარგის სამრეწველო და მანუფაქტურულ სახლად, სარეწაოთა და ხელოვნებათა სკოლად. მათსა კარგი ნივთებისა და მანუფაქტურების გამავრცელებლად მთელი ქვეყნისა და ყველა დანარჩენი ქალაქებისათვის“. „მაწანწალა ხალხი, — ვკითხულობთ ბეზოლდის (1740 წ.) შრომაში, — მოხუცი და ახალგაზრდა ქვეყნისათვის სირცხვილსა და მძიმე ტვირთს შეადგენს. ასეთი ხალხი რომ აიძულო სამუშაოდ და აღმოუჩინო თავის პატიოსნად რჩენის წყარო, არ არის შრომის სახლზე უკეთესი საშუალება; ეს შეეხება, როგორც ობოლთა თავშესაფარებში მოთავსებულთ, ისე მოწანწალე ახალგაზრდობას, მათ ყველას შეეძლებოდათ ემუშავათ შრომის სახლში. ამ უკანასკნელის მოსაწყობად საჭიროა შემდეგი: უფროსების ნებართვა. შემსყიდველებს (მეწარმეებს) არსებობა. სათანადო ზედამხედველობა და გამგებლობა მეწარმეთა შორე. რქ დასამზადებელი საქონლის დამუშავება და გასაღება, მუშათა კარგი ხელფასი. თუ რაგვარად მისცემს ასეთი შრომის სახლი შწარმოებელს სათანადო მოგებას. არ არის ძნელი მისახვედრი. თუ, რომ ქარგალს შეუძლია ხელოსნის რჩენა, რომელიც ჩვეულებრივად არ მუშაობს. ბატონივითაა, და გარდა ამისა კიდევ შიხი ცოლის, შვილებისა და შსახორის — ცხადია ასეულა უფრო შესძლებს ერთის რჩენას“.

ამრიგად, აქ მუშები ცხოვრობდნენ და მუშაობდნენ ერთი ჰერცს ქვეშ და იმავე მეწარმის ხელმძღვანელობით; ასეთ იძულებით მანუფაქტურებს კომერციული ხასიათი ჰქონდა, რადგან სასყიდლოთ გადაეცემადა ხოლმე ამა თუ იმ მრეწველს, ასე, მაგ., ბრეიზახში (ბადენი) ერთმა მრეწველმა იჯარით აიღო ციხე და მასში სელის სართავი მოაწყო. მეორე მრეწველმა, იტალიელმა გიუფენგენში (შვარცვალდი) აიღო იჯარით ციხე, სადაც წარმოებდა მატყლის, ხოლო უფრო გვიან აბრეშუმის გამამუშავება. საზღვარგარეთიდან სპეციალურ ოსტატებსაც კი იწერდნენ აღნიშნულ სახლებში მოთავსებულათვის ამა თუ იმ ხელობის შესასწავლად. ზოგიერთ შემთხვევებში (მაგ. კენიგსბერგის გამამწორებელ სახლში) მეწარმე აწყობდა რა ასეთ დაწესებულებასთან მანუფაქტურას — ათავსებდა შიგთავის თავისუფალ მუშებსაც, რომლებიც იქ მჯდომ მაწანწალებსა და მათხვრებთან ერთად მუშაობდნენ.

ღარიბთა დამხმარე საზოგადოების ხელმძღვანელთა წინადადებით ამსტერდამში 1596 წ. მაგისტრატა არჩედა საკითხს შესაფერისი ადგილის შესახებ სართავსათვის, სადაც „ახალგაზრდა ქალები და სხვა პირნი“, რომლებიც მათხვრობდასა და უსაქმობას ეჩვევიან ხელს მიჰყოფენ მატყლის რთვას და შესძლებენ თავის დარჩენას“. რადგან რამოდენიმე შემსყიდველმა სასარგებლო წინადადება წამოაყენა, მაგისტრატმა ასეთი წამოწყების დაარსება სცნო „ძალზე კეთილ და ქრისტიანულ საქმედ“ და შემდეგ წელში ის გახსნილი იქნა.

მე-XVIII საუკ. დასასრულს, — როდესაც ცნობილი ინგლისელი ფილანტროპი ჯონ ჰოვარდი ევროპის ყველა ქვეყნებში ათვალთვარებდა ციხეებს, შრომის სახლებს, ობოლთა თავშესაფარებს, — ამსტერდამის დაწესებულებაში, სადაც მათხვრები და მოხეტიალენი იყვენ მოთავსებული. ქალები ახვევდნენ მატყლს, რთავდნენ, ქსოვდნენ, მამაკაცები და ბავშვები ეწეოდნენ აგრეთვე ქსოვას, სხვები კი ამზადებდნენ სამარბაროს და ოსტინდოეთის კომპანიის შეკვეთით ძენძს გემების დასაჩურთავად. ჰოვარდის სიტყვით ეს დაწესებულება „ღირსია განსაკუთრებული ყურადღების, რადგან მისი მართველობა ისეთივე სიბრძნით წარმოებს, როგორითაც მანუფაქტურისა ან სამრეწველო საწარმოსა“.

ვიურტემბურშიც, როგორც მოგვითხრობს იგივე ჰოვარდი 54 მამაკაცი და 36 ქალი გამამწორებელ სახლში (1778 წ.) ეწეოდნენ მატყლის მანუფაქტურის დამხმარებელ წესიერად მოწყობილ სამუშაოს. — ჩვენდნენ მატყლს, რთავდნენ, ქსოვდნენ, ამზადებდნენ წინდებსა და კამზოლებს, ერთი სიტყვით, თანამიმდევრობით ასრულებდნენ წარმოების ყველა პროცესებს. სწორად იყო დაყენებული გასადებაც, ჰქონდათ საწყობი. სადაც დაწესებულების დირექტორა მყიდველებს აჩვენებდა. სხვადასხვა ხარისხის მაუდს — უნტერ-ოფიცერთათვის, არტილერიისათვის, ქვეითი ჯარისათვის და სხვ. ამგვარადვე სწორედ 1686 წ. დიდმა კურფურსტმა გამოცდა ელიქტი „გამამწორებელ, სართავ და მანუფაქტურის დაწესებულებათა“ მოწყობის შესახებ, რომლებშიც უნდა მოეთავსებიათ. თუ საჭირო შექნებოდა, ძალით, ყველა უმუშევარი და მათი შვილები. როგორც

ელიტის შესავალის ნაწილიდან ჩანს — ამ გზით მას მხედველობაში ჰქონდა, ერთი მხრივ მაუღის მრეწველობის განვითარებისათვის ხელის შეწყობა, ხოლო მეორე მხრივ — ზარმაცთა შრომისათვის შეჩვევა.

კიდევ უფრო ადრე ბრანდენბურგში ნაბრძანებო იყო ჰამბურგიდან და ჰოლანდიიდან ხელოსანთა გამოწერა, რომელთაც ხელმძღვანელობა უნდა გაეწიათ გამასწორებელ სახლში შრომის უნარ მქონე მოზრდილთა და ბავშვთათვის მოწყობილ წარმოებისათვის. ერფურტში უსახლკარო ღარიბთა და ბავშვთა თავშესაფარი გაერთიანებული პროფესიონალურ მათხოვართა გამასწორებელ დაწესებულებასთან, — გორნის სიტყვით, — წარმოადგენდა შალის წინდებისა და ქუდების მანუფაქტურას. ამ დაწესებულების გამგე არსებითად მრეწველი იყო. მართალია, ხელსაწყო-იარაღის შექმნა სახაზანო ხარჯზე ხდებოდა, მაგრამ ის აწვდიდა მასში შოთავსებულთ მასალასა და საკვებს და ნაწარმოების გასაღებიდან მოგებულ მთელ თანხა მის სასარგებლოდ რჩებოდა. კოპენჰაგენის ციხეში (spinhouse) მოთავსებული 300 — 400 კაცი (მე-XVIII ს. ბოლოს) ჩეხვდა და რთავდა მატყლს კოპენჰაგენის მაუღის საწარმოებისათვის, რომელიც ჯარის საჭიროებისათვის მუშაობდა; მთელი მატყლის ნართი, რაც დანიას გამასწორებელ დაწესებულებებში მზადდებოდა ამ საწარმოებებში აგზავნიებოდა.

უკვე მე-XVI საუკ. დასასრულს საფრანგეთში წარმოიშვა იდეა ღარიბების, მათხოვრებისა და უმუშევრებისათვის სამუშაოს აღმოჩენისა, რათა „გამოყვანილი იქნენ ისინი ბიწიერების წუმპოდან“, და იმავე დროს მრეწველობაც მომარაგებული მუშა ხელით. უმუშევართათვის დახმარების აღმოსაჩენად სალაროს დაარსების პროექტი 1596 წ. დაკავშირებულია სხვადასხვაგვარ წინადადებებთან ყველგან შრომის სახლების შექმნის შესახებ, ჰოლანდიისა და პრუსიის დავებრად, რომლებშიაც მათხოვრებსა და უმუშევრებს იძულებითი წესით მოათავსებდნენ ზოლმე. ასეთივე სამრეწველო წარმოებანი იყო მოწყობილი საფრანგეთის ქალაქებში (ლიონი, რიმსი, დიჟონი, მარსელი, მონპელიე და სხვ.) გახსნილ მთელ რიგ თავშესაფარ სახლებთან (hôpital). ამ თავშესაფარ სახლებს ეწოდებოდა hôpital de manufakture. ჯერ კიდევ მე-XVI ს. ნახევარში, იმ მიზნით, რომ დანერგული ყოფილიყო აბრეშუმის მრეწველობა ქ. ნიშში — მაგისტრატმა გამოიწვია ავინიონიდან, — სადაც ეს მრეწველობა უკვე არსებობდა, — ერთი ქალი, რომელსაც აბრეშუმის დახვევის ხელოვნება უნდა ეჩვენებოდა აღსაზრდელი სახლის ქორწინების გარეშე დაბადებულ ბავშვებისათვის.

დაიონში 1634 წ. ქალაქის მიერ ობოლთა სახლში მოწყობილი იქნა შალის მანუფაქტურა დირექტორის ხელმძღვანელობით, რომელსაც დაექვემდებარა სპეციალურად დაქირავებული ხელოსნები (maîtres-drapiers), რომელნიც ვალდებული იყვნენ „ყოველკვირეულად მათთან ერთად აღენუსხათ ობოლთა მიერ დამზადებული ნაწარმოები“, და აგრეთვე შეეძინათ მათთვის იარაღი და ნედლეული, მოემარაგებინათ სხვადასხვა ხარისხის ნაქარგის შემსრულებელი ქალწულნი მატყლთა და ძაფით. 1667 წ.

ერთმა მნახველთაგანმა იპოვა იქ „დარბაზებისა და სახელოსნოების ღარი რაოდენობა, ძალზე ცუდად მოვლილი ბავშვები დასჯილხარდნი, რომლებიც ეწეოდნენ უმთავრესად მატყლის ჩეჩვას და შემდეგ მის რთვასა და ქსოვას.

მე-XVIII ს. მანუფაქტურა იჯარით ეძლეოდა კერძო პირებს, რომლებიც ნაწარმზე თავის დაღს ასვამდნენ. საინტერესო ცნობები მოიპოვება ამჟამად ბორდოს შესახებ, სადაც 1662 წ. დადგენილი იყო დაეარსებოდა „un hôpital général de manufecture“. ქ. ბორდოს და მისი ოლქის ორთავე სქესისა და ყველა პასაკის, როგორც შრომის უნარის მქონე ისე უნარმოკლებული ღარიბნი აქ უნდა იქნენ მოთავსებულნი იმისათვის, რომ ხელი მიპყონ იმ საქმიანობას, რომლისთვისაც აღმოჩნდებიან გამოსადეგო. პირველად ისინი 267 სული ითვლებოდნენ, მაგრამ შემდეგში მათა რიცხვი გაიზარდა და უდრიდა 700-დან 900-მდე. აქ სხვადასხვაგვარ საქმიანობას (factures) ეწეოდნენ — ნაქარგის, ბაბთის, არშისის, აბრეშუმის ნაკეთობათა დამზადებას; ქუდის, ფეხსაცმელის, ლურსმნის, ბუზმენტებისა და საპნის ხარშვის რეწობას; იყო ცდები შალისა და ბამბის ქსოვილთა დამზადებისა. მაგრამ არ შეიქნა დამაკმაყოფილებელი.

მთელ რიგ მწარმოებლებთან იღებოდა ხელშეკრულება სათანადო სარეწაოს დაარსების შესახებ, ჩვეულებრივად ყოველი მწარმოებელი თავის ხარჯზე მუშაობდა, ხოლო თავშესაფარ სახლიდან იღებდა განსაზღვრულ ხელფასს ან იტოვებდა თავის სასარგებლოდ მოგების ნაწილს, მაშინ როდესაც ის ვალდებული იყო დანარჩენი სახლის მმართველობისათვის გადაეცა. ეს უკანასკნელი ხშირად ამარაგებდა მას ნედლეულთა და იარაღით, მაგრამ არა უსასყიდლოდ, არამედ იმ ფასში, რომელშიც თვით იძენდა მათ.

სახლში მოთავსებულნი, რომლებიც საწარმოებში მუშაობდნენ, ინახებოდნენ სახლის ხარჯზე (ცალკე სახელოსნოები არ იყო მოწყობილი და მუშაობდნენ იქვე, სადაც ცხოვრობდნენ), მაგრამ მეწარმე მეორე წლიდან დაწყებული (პირველი სწავლაზე მიღობდა) მოვალე იყო მათი შრომის ხელფასი გაეღო. ხელფასი საშუალოდ თითქმის უდრიდა იმას, რასაც იღებდნენ იმ დროში თავისუფალი მუშები, ასე რომ მეწარმეები უსასყიდლო შრომით არ სარგებლობდნენ, თუმცა მათ მიერ გაცემული ხელფასის დიდი ნაწილი „hôpital“-ის სალაროში შედობდა და მხოლოდ მის ნაწილს იღებდნენ თვით მუშები.

ზოგიერთი სარეწაოება: როგორც, მაგ., საქარგი, საქსოვი — ყოველ შემთხვევაში ერთ დროს მიანიც — შეადგენდა ბორდოსა და მისი ოლქის საზღვრებში თავშესაფართა სახლების მონოპოლიას, თუმცა უკანასკნელი ხშირად ირღვეოდა ადგილობრივი ოსტატების მიერ. „hôpital“-ში ფეხსაცმელის წარმოება კონკურენტის უწყვედა ადგილობრივ ფეხსაცმელის მკერავეებს და ბადებდა ამ უკანასკნელთა უკმაყოფილებას. ზოგიერთი სახელოსნოებისათვის, მაგ., საქსოვისათვის, თავშესაფარში მოთავსებულებს გარდა იწვევდნენ აგრეთვე მუშებს გარედანაც.

1656 წ. პარიზში გახსნა L'Hôpital général: „ყველა მოწყალე-
ბის მათხოვარნი — ნათქვამია რეგლამენტის მე-7 მუხლში — შრომის უნა-
რის მქონენი და უნარს მოკლებულნი ყველა ჰასაკისა და სქესის, რომლე-
ბიც კი იქება ნახული პარიზის ქალაქისა და მიდამოების ფარგლებში და-
მწყვდეული იქნებიან hôpital-სა და მის გამგებლობაში მყოფ ადგილებში,
და გამოყენებულნი იქნებიან საზოგადოებრივ სამუშაოებზე, სამრეწველო
შრომაზე (manufactures) და თვით დაწესებულებების მოსამსახურეობაზე,
მ-სი დირექტორის განკარგულებაში მიხედვით“. Hôpital-ი იყოფოდა მთელ
რიგ დაწესებულებებად და ერთ და იმავე დროს წარმოადგენდა შრომის
სახლს, გამასწორებელ დაწესებულებას, ქსენონს — ღრმა მოხუცებულთა-
თვის და ობოლთა თავშესაფარს.

ინგლისის შრომის სახლებიც (workhouse) ყოველგვარ მაწანწალა
ელემენტებსაგან შედგებოდა, როგორც, მაგ., მუშებისაგან, რომლებიც
ვერ შოულობდენ სამუშაოს ან უარს ყოფდენ მის შეტრულებას მოძრი-
გებელ მოსამართლეთა მიერ დაწესებული საფასურით, მათხოვარ-სტუ-
დენტებსაგან, იმ პირებისაგან, რომელთაც არ მოეუბოდათ არც უძრავი
ქონება, არც ფული, არც ნებადართული ზელობა, მათხოვარ-მეზღვაურე-
ბისაგან. რომლებიც მოუთხოვდენ, რომ მათი გემი დაიღუპა თუმცა სა-
თანადო საბუთი მათ არ ჰქონდათ, შემდეგ კლოუნებისაგან, ფოკუსნიკე-
ბისაგან, მკითხავეებისაგან, დათევბის დამტარებელთაგან და სხვ.

მე-XVIII საუკ. დასაწყისში ლონდონის 40 workhouses-ში 4 ათასი
კაცი მუშაობდა მრეწველთა დაკვეთებზე. ამასთან ერთად მუშებს, გან-
საკუთრებით კი ბავშვებს, ასეთი შრომის სახლებიდან და ობოლთა თავ-
შესაფარ სახლებიდან აგზავნიდენ კერძო მეწარმეთა მანუფაქტურებში,
ასე იყო ინგლისშიც, პოლანდიაშიც (მიდდელბურგი), და პრუსიაშიც.
1672 წ. ლინცში დაარსებული შალის მანუფაქტურა 1717 წ. შექმნილი
იქნა ვენის ღარიბთა თავშესაფარი სახლის მიერ, რომელიც ფიქრობდა
მასში მოთავსებულ ღატაკთა გაგზავნას მანუფაქტურაში.

1721 წ. გადაწყდა ქალაქ გრაცში მაუდის „ფაბრიკის“ (მანუფაქტუ-
რის) მოწყობა, „რადგან ასეთი ხალხი სიმშობის და უქმად დაატარებს
დროს. დასაწყისისათვის საქაროა დამზადებულნი იქნეს არა უმეტეს 1000
ცალი მაუდისა. — ნათქვამია ადგილობრივი კომერციული პალატის პრო-
ექტში — რადგან არ არის გამორკვეული, თუ როგორ მოეწყობა მისი გა-
საღება“; საქაროა, მაშასადამე, „დაქერა და დაპატონება“ მათხოვართა
სათანადო რაოდენობისა, რომლებიც დახეტიალობენ გრაცის ქუჩებში.
ამ გზით არა მარტო ნაპოვნი იქნება მუშა-ხელი მანუფაქტურისათვის,
არამედ გაწმენილი ქალაქიც მათხოვრებისაგან, რადგან ამის შიშით ყვე-
ლა დანარჩენები გაიქცევიან ქალაქიდან, და მანუფაქტურა მადლობის
ღირსი იქნება მოსახლეობისაგან, უკეთ რომ ვთქვათ უკანასკნელნი ვალ-
დებულები იქებიან ამისათვის დაუთმონ მანუფაქტურას საქმის საწარმო-
ებლად საქარო კაპიტალი, ე. ი. მანუფაქტურის სასარგებლოდ გადახა-
დონ ის, რასაც წინეთ მათხოვართა მოწყალეებისათვის ხარჯავდენ.

ერთგვარი მანუფაქტურები გვხვდება იტალიის, ბელგიის და სხვ. ქა-
ლაქებში. გენტის გამასწორებელ დაწესებულებაში მოწყობილი მანუფაქ-
ტურის გამო, ჯონ ჰოვარდი შენიშნავს, რომ იქ დამზადებული
მაუდის ნიმუშები ნათელყოფს, თუ რამდენად ცდებიან ისინი, ვინც ფიქ-
რობენ, რომ არაერთარ სამრეწველო საწარმოს არ შეუძლია სარგებლო-
ბის მოტანა და განვითარება თუ კი ის დამყარებულია სამუშაო ძალაზე,
რომელიც ბორკილგაყრილია და იძულებულია იშრომოს.

მსგავსება მანუფაქტურის ამა თუ იმ ჯგუფებს შორის (მანუფაქტუ-
რები შექმნილი უცხოელების მიერ, და მანუფაქტურები იძულებითი შრო-
მით) მდგომარეობს მასზე, რომ არც ერთ შემთხვევაში არ იყო გათვალის-
წინებული წარმოების ახალი ფორმის შექმნა, არამედ ლაპარაკია მხო-
ლოდ ახალი წამოწყების დაარსებაზე. თუ რომ მან მეორე შემთხვევაშიც
მაილო ფორმა სწორედ ცენტრალიზირებული მანუფაქტურისა — ეს აი-
ხსნება აქაც უმთავრესად საამქრო პრივილეგიების არსებობით. რომელთა
დარღვევა აქ უდავოდ ხდებოდა, რადგან მზადდებოდა ისეთივე საგნები,
როგორც ამქრებში. მათი პრივილეგიების დარღვევა, ამქრების თვალ-
საზრისით შეიძლებოდა გამართლებულიყო მხოლოდ იმ შემთხვევაში.
როდესაც სახელმწიფო თვით წამოიწყებდა რასმეს „საზოგადოებრივ
ინტერესით“, „საქველმოქმედო მიზნით“, როგორც ამას პირდაპირ უპა-
სუხებდა ხოლმე სახელმწიფო ამქრების პროტესტზე. ამას ემატებოდა
ზემოთ აღნიშნული პოლიტიური მიზანი — მაწანწალათა რიცხვის შემცო-
რება, და ეს შესაძლებელი იყო ხაზინასათვის ზიანის მოუყენებლად, მხო-
ლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი მოთავსდებოდნენ სპეციალურ დაწესებუ-
ლებებში და ვალდებული იქნებოდნენ თავიანთი შრომით ერიჩინათ თავი.

d) შინამრეწველობიდან წარმოშობილი მანუფაქტურები

დაბოლოს, მანუფაქტურის მესამე, შედარებით მცირერიცხოვან კატე-
გორას წარმოადგენს ისეთი. რომელიც თანდათანობით ვითარდებოდა
წარმოების სხვა ფორმებიდან, წარმოიშვა გენეტურად, განსაკუთრებით
შინამრეწველობიდან. სურვილი ხარჯების მომჭირნეობისა, რაიც დაკავ-
შირებული იყო შინამრეწველობისათვის მასალის დარიგებასთან და ნა-
წარმის ერთი ხელოსნიდან მეორესათვის გადაცემასთან, კერძოდ სურვი-
ლი შუამავალ-ფაქტორების ჯილდოზე მომჭირნეობისა, აგრეთვე აცილება
შენამრეწველის მიერ მასალის მითვისების შემთხვევისა, და დასასრულს
წარმოებაზე ზედამხედველობის გაძლიერების საჭიროება — აიძულებდა
შემსყიდველს დაცალკეებულ მუშები გააერთიანებია ერთ შენობაში და
წარმოება აეღო თავის უშუალო მმართველობაში. აქ შესაძლებელი იყო
წარმოების ის სპეციალიზაცია, რომელმაც ასე გაანკვიფრა ადამ
ს.მ.ი.ტი მის მიერ ქინძისათვის მანუფაქტურის დათვლიერების დროს და
რაც ძალზე სარგისი გამოდგა. მიუხედავად წარმოების მანუფაქტურული
ფორმის ყველა ამ უპირატესობისა შინამრეწველურთან შედარებით — მან-
უფაქტურები მაინც ნაკლებად ვითარდებოდნენ.

შინამრეწველობაზე შეჩვევა, მუშათა მიერ თავიანთი სახლიდან მანუ-
ფაქტურაში წასვლაზე უარს თქმა და საჭიროება მნიშვნელოვანი კაპი-
ტალის არსებობისა — აფერხებდა ამ მესამე კატეგორიის მანუფაქტურის
განკითვარებას, ე. ი. იმ მანუფაქტურისას, რომელიც წარმოიშვა წარმოების
ძველ, უკვე ცნობილ დარგებში და მოქმედებდნენ თავისუფალი შრომის
დახმარებით. საფრანგეთის აბრეშუმის მრეწველობაში, უპირატესობას
რომელიც ეძლეოდა მეწარმეთა მიერ წარმოების შინამრეწველურ ფორ-
მას, ისინი ხსნიდნენ მუშათა მნიშვნელოვანი რიცხვის ერთ შენობაში გაერ-
თიანების სიძნელეთ, რადგან საჭირო იყო ისეთი შენობის გამოანახვა, სა-
დაც უნდა ეცხოვრათ არა მარტო მუშებს, არამედ მათთან ერთად მათ
ცოლს, 3 — 4 შვილს და შინაურ ცხოველებს.

მაულის თავისებური მანუფაქტურა გეხვდება ჩვენ კოლერმონში. შე-
მოფარგულულ სივრცეზე იდგა პატარა სახლები, თითოეულ მათგანში
ცხოვრობდა და მუშაობდა მქსოველი ოჯახით, — ამრავად არსებითად
შინამრეწველურ საქმიანობას ჰქონდა ადგილი, სახლში მუშაობას, თუმცა
სპეციალურად ამისათვის მოწყობილ შენობებში.

„ხელოსნებს და ქალაქის სხვა ხელმოკლე მცხოვრებთ — ამბობს
მატჩოსი (Matschoss) — თავის ღირსების შელახვად მიაჩნდათ მანუ-
ფაქტურებში მუშაობა, რას გამოც პრუსიის აბრეშუმის მრეწველობა
იძულებული იყო ესარგებლა ბავშვთა შრომით, რომელთაც აწვდოდა მას
ობოლთა თავშესაფარი სახლები. ამქრის ოსტატები უარს აცხადებდნენ ამ-
ქრის არაწევრებთან მუშაობაზე; საამქროები გამორიცხვით ემუქრებოდა
იმათ ვინც მანუფაქტურებში მუშაობას განიზრახავდა. იყო შემთხვევები
საამქროებზე მიერ მანუფაქტურების განადგურებისა ამისათვის, რომ მათ-
ში მუშაობდნენ არა ამქრის ოსტატები. ხშირად მანუფაქტურებს ვნებდა
მათი კავშირი გამასწორებელ დაწესებულებებთან. მოსახლეობა უარს
ყოფდა იქ წასვლაზე, რომელსაც „შენობის საფლავს“ უწოდებდნენ.

ამ დროინდელ ყველაზე უფრო მნიშვნელოვან დარგში, განსაკუთრე-
ბით საფეიქრო მრეწველობაში გარდაქმნა ძალზე ნელა წარმოებდა: პირ-
ველად მანუფაქტურაში წარმოების მხოლოდ ხართულის გამო საჭირო
იყო განსაკუთრებული ზედამხედველობის გაწევა. ანდა იქ ამზადებდნენ
ზოგიერთი ხარისხის ნაწარმს, უმაღლეს ხარისხის საქონელს, მაშინ როდესაც
ყველა დანარჩენი სამუშაო კვლავინდებურად სახლებში ნაწილდებო-
და. ანდა მანუფაქტურა შინამრეწველობას ართმევდა წარმოების დასა-
წყობას და ბოლო პროცესებს, მაშალის გაწმენდასა და დახარისხებას ერთ-
მხრივ და შეღებვას, აპრეტურას და სხვ. — მეორეს მხრივ; სხვა, შუალედი
პროცესები წარმოებდა ცალკე მუშების სახლებში.

სხვაგვარად მდგომარეობდა საქმე მეტალურგიულ მრეწველობაში.
თვით საწარმოო პროცესის ზასიათიდან გამომდინარეობდა მათი ცენტრა-
ლიზაცია, როგორც თუჯის ბრძმედიდან გამოყვანის, ისე მისი ქარხნებში
გადამუშავების პროცესიდან, ნაწილობრივად კი რკინის დახალისების,
გლინვასა და სხვ. შემდგომ პროცესებთან. მაშინ როდესაც მოხმარები-
სათვის იარაღისა და ნივთების რკინიდან, ფოლადიდან, სპილენძიდან და

ტყვიიდან დამზადება ატარებდა შინამრეწველურ ხასიათს. თუმცა ბრძმედებ-
ბიკ უმომწენლო სიდიდისა იყო (2 — 5 მუშით) და მათი წარმოება ხში-
რად სეზონურ ხასიათს ატარებდა. ასე, რომ მეტალურგიული წარმოება
ალზე წერილი იყო. გვხვდება ცალკე მანუფაქტურები, რომლებიც ეწეო-
დენ რკინიდან ლუზების, თუნუქის (ინგლისში), ქლიბების, მავთულის
დამზადებას, და სახაზინო უწყების ჩამომსხმელი ქარხნები ზარბაზნების
დასამზადებლად.

ე) მანუფაქტურების გავრცელება სხვადასხვა ქვეყნებში

პირველად ყოვლისა, თუ საფრანგეთს ავიღებთ, იქ ვნახავთ, რომ ჯერ
კიდევ კოლბერიის დროს დაარსებულ ვან-რობეს ცნობილ მა-
ნუფაქტურაშიც მე-XVIII საუკ. შუა წლებში 1.000—1.200 მრთავი
მუშაობდა მწარმოებლის შენობაში, და იქვე ცხოვრობდენ ისინი. თუმცა
საეარი, რომელიც ამ ცნობას თავის „ლექსიკონში“ აღნიშნავს — დას-
ძენს, რომ „არცერთი ამდგვარი დაწესებულება საფრანგეთში არ არსე-
ბობსო“. მე-XVIII ს. მეორე ნახევარში არსებობდა კიდევ ერთი მსხვილი
ცენტრალიზირებული მანუფაქტურა (ვოკანსონის აბრეშუმის
ქიოვილთა წარმოება), რასაც თანამედროვენი უცქეროდენ, როგორც ვან-
საკუთრებულ მოვლენას. ერთი ქერის ქვეშ 120 დაზვას აერთიანებო —
გაკვირებთ იტყოდენ ხოლმე ისინი.

ჩვენ ვხედებით კიდევ რამოდენიმე ცენტრალიზირებულ წამოწყებას
განსაკუთრებით ბამბულის წარმოების დარგში (10 — 20 მუშით), სადაც
თვით ზასათი წარმოებდა, — ერთი-და-იმევე დაზვითა და იარაღით სარ-
გებლობა, — აიძულებდა მრეწველობის ამ ფორმისათვის მიმართვას. ყვე-
ლა დანარჩენ შემთხვევაში „მანუფაქტურები“ სამუშაოს სახლებში ანა-
წილებდენ. ეს ხდებოდა სარკის წარმოებაშიც კი, რომლის ხასიათი მოით-
ხოვდა მუშათა ერთ შენობაში გაერთიანებას, და აქაც კი დაკვეთები,
რომელიც მოსამზადებელ სამუშაოებს შეეხებოდა, შინამრეწველებს ეძლე-
ოდათ სახლებში. რეიმისის ახლო მდებარე სოფლებშიც სარკის ამზადებდენ
ქალაქის ვაქრების შეკვეთით. იარაღის დასამზადებელ მანუფაქტურას პო-
ბეეში მე-XVIII საუკ. დასასრულს 400 მეტი მუშა ყავდა, მაგრამ მათში
ბევრი სოფლის მცხოვრები ითვლებოდა. ამ რაიონის მთელი ლითონის
მრეწველობა 800 — 900 შინამრეწველს აერთიანებდა, — მათში ნახევარ-
ზე მეტი სოფლებში ცხოვრობდა.

როდესაც ქალ. ეკსში (პროვანსი) წარმოიშვა პროექტი (1771 წ.) აბრე-
შუმის ქიოვილის დასამზადებელი მანუფაქტურის დაარსებისა — მთავრო-
ბამ დაუთმო მეწარმეს შენობა, ხოლო თემებს მანუფაქტურაში უნდა გა-
ეგზავნათ მუშა-ქალები ჰასაკით 8 წლ. — 16 წლამდე, რომლებიც ვალდე-
ბული იყვენ 5 წლის განმავლობაში ემუშავათ, რის შემდეგ მათ შეეძლოთ
უკანვე დაბრუნება, რომ მიღებული ცოდნა გაეგრცელებიათ პროვინცია-
ში. მართალია მათ შეეძლოთ უფრო ადრეც დაეტოვებიათ მანუფაქტურა,
მაგრამ ამ შეთხვევაში კარგადდენ უფლებას ამ სპეციალობის რეწაობისა
პროვინციის ფარგლებში. თუმცა ცდა არ გამოდგა დამკვეთყოფილებელი:

250 მუშა-ქალიდან 170-მა მალე დასტოვა მანუფაქტურა: წარმოიშვა წინადადება დანარჩენების ადგილობრივ თავშესაფარი სახლიდან გამოყვანისა.

ს ე ი იხსენიებს ხამის დამამზადებელ ორ მანუფაქტურას: ერთს ბოფორში, მეორეს ანკერში, — რომლებიც ამზადებდნენ ხომალდის საიალქნე ხამს (ტილოს), სამეფო ფლოტისა და ოსტ-ინდოეთის კომპანიისათვის. მაგრამ, როგორც ჩანს, დოფენის წიგნზე დართული ბოფორის მანუფაქტურის გეგმიდან — იქ იყო შენობა მხოლოდ საქსოვ და არა სართავი დაზგებისათვის 1751 წ. მათ რიცხვი 15 უდრიდა, რომელიც მოქმედებდა და იქ იყო 18 სამუშაოთ გამზადებული, ასე რომ ეს სხვა ცნობებიდანაც დასტურდება, მრთავები მანუფაქტურისათვის თავიანთ სახლებში მუშაობდნენ.

ანკერის მანუფაქტურის შესახებ ნათქვამია, რომ ის სამუშაოს აძლევს 5—6 ათას პირს, უმთავრესად მრთავ ქალებს, რომლებსაც საშუალებას აძლევს თავი იხსნან მათხოვრობიდან, მაგრამ როგორც ჩანს ესენიც ოჯახებში მუშაობდნენ. ეს დასტურდება 1783 წლის ანგარიშიდან, სადაც ნათქვამია ორთავე, იმჟამად ერთი გამგებლობის ქვეშ შეერთებული მანუფაქტურის შესახებ, რომ მათთვის მუშაობს 800 კაცი სხვადასხვა ჰასაკისა, დაწყებული 10 წლის ბავშვებიდან, მოხუცებამდე, რომლებსაც ამ სამუშაოს უქონლობის შემთხვევაში — უქმობასა და მათხოვრობაში უნდა გაეტარებიათ თავიანთი დრო. 1800 წლის ცნობებით კი ორთავე მანუფაქტურაში 642 კაცი მუშაობდა, მათ რიცხვში 452 მამაკაცი (მთერთებელნი, მჩეჩავნი, მქსოველები და სხვ.), 140 დედაკაცი (ძაფის ამომხვეენი, მქსელაენი, დლიურად მომუშავენი, რომლებიც სელს რეცხავდნენ) და 50 ბავშვი 9-დან 16 წლის ჰასაკამდე. მანუფაქტურის ფარგლებს გარეთ მისთვის მუშაობდა 6 ათასი მრთავი, რომელთაგან ნაწილი რთავდა სოფლებში წელიწადში მხოლოდ 6 თვის განმავლობაში, ასე რომ აქაც მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილი იყო (ყველა მუშების $\frac{1}{30}$ -ზე ნაკლები) გაერთიანებული თვით მანუფაქტურაში.

მე-XVIII საუკ. ნახევარში საფრანგეთში არსებული 12 სამეფო მანუფაქტურა, ბალოს სიტყვით, ნამდვილად ცენტრალიზირებული საწარმო ყოფილა. ამასთანავე ის დასძენს, რომ თვით მანუფაქტურის შენობაში წარმოების არა ყველა პროცესი სრულდებოდა. მატყლის რთვა დავალებული ქონდა ირგვლივ მდებარე სოფლების გლებ-ქალებს, უმეტეს შემთხვევაში სოფლებშივე ზდებოდა ქსოვაც, ასე რომ არსებითად თვით მანუფაქტურაში ადგილი ქონდა მარტოოდენ ქსოვილის აპრეტურას.

ბელგიაში დადგენა იმისა თუ რამდენათ იყო გავრცელებული ცენტრალიზებული მანუფაქტურები შესაძლებელია 1764 წ. შედგენილი ანკეტის მიხედვით. როგორც გამოარკვია ამ ანკეტის შედეგების დამამუშავებელმა ჟიულენმა (Julin) საფეიქრო მრეწველობას უმთავრესად შინამრეწველური ფორმა ჰქონდა, ცენტრალიზირებულ წარმოებათა რიცხვი 10—12 არ აღემატებოდა. ამ უკანასკნელის უფრო მნიშვნელოვან რიცხვს ვხვდებით ლითონისა და შუშის ნივთების წარმოებაში, მაგრამ მათში მუშათა რიც-

ხვი ჩვეულებრივად არ აღემატებოდა 15 — 30 კაცს; მხოლოდ გამონაკლისის სახით აღწევდა ის 45. გარდა ამისა მანუფაქტურები, სახელოსნოებში წარმოებასთან ერთდოულად შინამრეწველებს ოჯახებში ურიგებდნენ სამუშაოს: მალონის შალის მანუფაქტურას 175 მუშა ყავდა და ამასთანავე 259 კაცი მუშაობდა მისთვის ოჯახში; ტურნში კამლოტის შალის მანუფაქტურაში 62 კაცი მუშაობდა, ნართი კი მათთვის მზადდებოდა 800 სოფლის მანამრეწველი ქალის მიერ; ბრიუგში საქსოვი მანუფაქტურისათვის 80 კაცი და ტურნში ტილოს მანუფაქტურისათვის 277 მუშათ (თვით წარმოებაში) ნართს ამზადებდნენ შინამრეწველები: პირველ შემთხვევაში — 66, ხოლო მეორე შემთხვევაში 535 კაცი.

შვეიცარიის საფეიქრო მრეწველობის ფართო დარგში (მატყლის, სელის, ბამბის, აბრეშუმის დამუშავება), სადაც მუშაობდა უმთავრესი ნაწილი სახელმწიფოს მთელი სამრეწველო მოსახლეობისა, ცენტრალიზირებულ მანუფაქტურებს ჰქონდათ მნიშვნელობა იმდენად, რამდენადაც საქიროება იყო ბამბეულის ქსოვილის ჩითვისა და ხან კიდევ მისი აპრეტურისა. ხშირად ასეთი წარმოებანი ეწყობოდა აბრეშუმის საგრებად, მაშინ, როდესაც ბეწვეულ ნივთიერებათა დამუშავების სხვა პროცესები სრულდებოდა შინამრეწველობის მიერ ოჯახებში.

ჩითის მანუფაქტურა რამდენიმე ნაწილისაგან შედგებოდა: დასაჩითავი შენობისაგან საბეჭდო დაზგებით, საჩითვი ფორმების გამოსაქრელ სახელოსნოსაგან, ხან სამღებროსაგანაც და აგრეთვე სათეთრებელი, გასაღლვარებელი და საშრობი შენობისაგანაც. უკანასკნელი პროცესები (გაათორება, გაელვარება) ისე როგორც გათელვა, დახორიანება, კალანდრირება გაერთიანდნენ აპრეტურის სახელწოდებით: ამრიგად დაჩითვი და აპრეტურის სახით საფეიქრო მრეწველობის საბოლოო პროცესები გადადის მანუფაქტურაში.

შვეიცარიელი სტრეფი მე-XVIII საუკ. ნახევარში აწყობს პირველ საჩითავ მანუფაქტურას გლარუსში. ვენეციაში ის ყიდულობს კიპრის ბამბას, ურიგებს მას შინამრეწველებს დასაჩითავად და მოსაქსოვად, ხოლო შემდეგ თავის შენობაში ქსოვილს ჩითავს და ღებავს და გამზადებულ ნაწარმს ყიდის ვაჭრებზე, რომლებიც ეზიდებიან მას გერმანიაში, ავსტრიაში, იტალიაში და რუსეთში.

შვეიცარიაში ფართოდ გავრცელებულ ჩითის წარმოებაში მე-XVIII საუკ. დასასრულს 50-მდე მანუფაქტურა ეთვლებოდა, ჩვეულებრივად 50 — 100 მუშათ თითოეულში (ხან კი რამოდენიმე ასეულით); ზოგიერთ მათგანში საჩითვი წნები წყლის ძალით მოყავდათ მოძრაობაში ამ წარმოებათა მფლობელნი ჩვეულებრივად იძენდნენ უკვე გამზადებულ ხამ ქსოვილს დასაჩითავად ანდა მუშაობდნენ ვაჭრების დაკვეთით, რომლებიც აძლევენ მათ ქსოვილს დაჩითვისა და აპრეტურისათვის. ასეთი საჩითი მანუფაქტურები 200 და მეტი მუშათ (ისე როგორც სააპრეტურო საწარმონი) მოიპოვებოდა საფრანგეთში, საქსონიაში და ნიდერლანდებშიც.

მხოლოდ, თუ ჩვენ ავიღებთ შვეიცარიას, დაინახავთ, რომ სხვა დარგებში ცენტრალიზირებული მანუფაქტურა ნაკლებად გავრცელდა. მაგ.,

არ არის არავითარი ცნობები იქ სართავ ან საქსოვ მანუფაქტურების არსებობის შესახებ. გამოთქმა „Baumwollfabriken“ ან Cottonfabriken“ არაფერს ამტკიცებს, რადგან ფაბრიკის ქვეშ იმ დროში, როგორც ეს ზევით დავინახეთ — რაც გნებავთ ყველაფერი იგულისხმებოდა; ხოლო ცნობა ამის შესახებ, რომ 1736 წ. ბ რ ი უ ნ ე ლ მ ა ერთ ციხე-დაბაზ-ში საჩაოთი მანუფაქტურა მოაწყო, მაგრამ ამავე დროს სართავ-საქსოვ საქ-ზიანობას ეწეოდა, კიდევ არ ამტკიცებს იმას, რომ წარმოების ეს პროცესები მის შენობაში სრულდებოდა და არა შინამრეწველთა ოჯახებში, როგორც ეს ჩვეულებრივად ხდებოდა შვეიცარიაში. აქ, განსაკუთრებით სოფლებში 200 ათასზე მეტი მქსოველი და მრთავი მუშაობდა, უმეტესად ქალები, აგრეთვე დიდი რაოდენობა მქარგავეებისა, არშიების მკეთებელთა. მხოლოდ აბრეშუმის გრეხვა წარმოებდა ცენტრალიზირებულ საწარმოში ზოგიერთ მათგანში 30 — 40 კაცი მუშაობდა, საგრეხი დაზგები მოძრაობაში მოყავდათ ქალებს-იდიოტებს, ყრუ-მუნჯთ ან ბრმებს, რომლებიც რამოდენიმე გროშის ხელფასით ირგვლივ უვლიდენ და ამოძრავებდენ ბერკეტს; შემდეგში ისინი შეცვლილი იქნენ წყლის ძალით.

აბრეშუმის მრეწველობაში მხოლოდ ეს დაწყებითი ოპერაცია იყო კონცენტრირებული მწარმოებლის შენობაში, — ქსოვილის დასამზადებლად აბრეშუმის ნართი მის მიერ ურიგდებოდა სოფლის მქსოველთ. გამოწვევის შეადგენდა ძვირფასი ხარისხის ნაწარმოები, რომელიც მზადდებოდა მეწარმის უშუალო ზედამხედველობის ქვეშ მის კუთვნილ, ჩვეულებრივ სადა აბრეშუმის ქსოვილის დასამზადებელ დაზგებთან შედარებით, უფრო რთულ და ძვირფას დაზგებზე.

(ი. მ. კულიშერი — „დასავლეთ ევროპის ეკონომიური ცხოვრების ისტორია“, ტ. II. შერვე გამოცემა).

§ 2. სამეფო მანუფაქტურები საფრანგეთში

ა) რა არის სამეფო მანუფაქტურები

მე-17 საუკუნეში სიტყვა „მანუფაქტურა“ აღნიშნავდა წარმოებას მახვილი ზომით, მსხვილ მრეწველობას წინააღმდეგ „ხელოვნება და ხელოვნობა“ გამოთქმისა, რომელიც მიღებული იყო წვრილი მრეწველობის მიმართ.

რაც შეეხება „სამეფო“ მანუფაქტურას, ყველა ისინი როდი იყვნენ სახელმწიფოთა. ნამდვილად სამი სახის წამოწყება ატარებდა სამეფო მანუფაქტურის ტიტულს:

1. სახელმწიფო მანუფაქტურანი, როგორც ფაბრიკა გობელენთა, ლია სავონერის, ბოვისი, რამოდენიმე სამხედრო სახელოსნო ბრესტში, ტულონში, რომეორში, არსენალი. ისინი მცირერიცხოვანი იყვნენ. ზოგი, მაგალითად, გობელენის, იმყოფებოდა მეფის უშუალო მართველობის ქვეშ, სხვებს მართავდენ თვით წამომწყებნი, რომელნიც მათ მიერ ნაწარმოებ საქონელს, განსაზღვრულ ფასში, სახელმწიფოს აწვდიდენ.

2. კოლექტიურა მანუფაქტურები; რომლებიც აერთიანებდენ ერთი და იმავე ადგილის ფაბრიკანტთა ჯგუფს, როგორც მაგალითად აბუსონელი

ნობების მანუფაქტურა, ანდა რამოდენიმე ადგილას მომუშავე ფაბრიკათა ჯგუფი, როგორც „ფრანგული ნაქარგა მაქდანის“. ისინი სარგებლობდნენ პრივილეგიებით, რომელიც პატენტების მიღებაში გამოიხატებოდა. ესენიც მცირე-რიცხოვანი იყვნენ. ამ კატეგორიებს მიეკუთვნებიან მანუფაქტურანი ელბეფში და სედანში (1666 წ.).

3. კერძო წამოწყებანი, რომლებიც იყვნენ რომელიმე ცალკე პირის ან საზოგადოების საკუთრებად და რომლებსაც წყლების სახით ეძლეოდათ სამეფო მანუფაქტურები, პატენტები, ესენი ყველაზე მრავალრიცხოვანი იყვნენ.

გამოკვლეულია 582 სამივე სახის სამეფო მანუფაქტურა: 68 ეკუთვნის მე-16 ს. ეპოქას კოლბერამდე; 113 — კოლბერის დროს, 243 — ეპოქას კოლბერიდან მე-18 საუკუნის შუამდე; 153 — 1753 — 1789 წ.წ. ამგვარად კოლბერს კი არ გამოუგონია სამეფო მანუფაქტურები და მას არა უკანასკნელს შეუქმნია ისინი.

ბ) მსხვილი კაპიტალები

მსხვილი მრეწველობის ეს წამოწყებანი დაფუძნებული იყვნენ, იმ დროისათვის, მნიშვნელოვანი კაპიტალით: დიუპუის აბრეშუმის მანუფაქტურა დაარსდა 200.000 ლივრი კაპიტალით, აბრეშუმის ჩულქების ფაბრიკა მადრიდში — 300.000 ლივრი კაპიტალით; თეთრი თუნუქის ფაბრიკა ბომონში — 350.000 ლივრი კაპიტალით; მაუდის ფაბრიკა ვილნევეტში, ლანგედოკში — 1.800.000 ლივრი კაპიტალით; მეწარმე, რომელიც იჯარით იღებდა მარილის ბაეებს (საფასურებს) დიდი ხარჯების წარმოების გამო ბოლოს და ბოლოს განადგურდა. მე-18 ს. დისასრულს სარკის ფაბრიკამ სენ-გობელნში შთანთქა 2 მილიონი ლივრი (დაახლოებით 4,5 მილიონი ფრანკი). ეს კაპიტალები მაინც არ იყო საკმარისი. მრეწველები დაბმარებას ღებულობდნენ სახელმწიფოდან. როგორც ჩანს, 1664 წლიდან — 1683 წ-დე დახარჯული იყო 5,5 მილიონი ლივრი სუბსიდია, მხოლოდ მარტო ტექსტილური მრეწველობისათვის, — უმთავრესად ნობების ფაბრიკებზე (გობელენის ლია-სავონერის ფაბრიკამ შთანთქა 1661 წ. — 1770 წ-დე 4 მილიონი ლივრი). ხუთნახევარ მილიონში არ შედის პენსიებზე დახარჯული 2 მილიონი და 3 მილიონი — დახარჯული ნობებისა და მაუდის შეკვეთაზე.

როდესაც კოლბერმა ბოვეში, დაარსა (1664 წ.) ნობების სამეფო მანუფაქტურა, მაშინ მან აჩუქა დირექტორ ლუივინარს არა მარტო განსაკუთრებული პრივილეგია 30 წ. განმავლობაში „ნობების პეიზაჟებით და პერსონაჟებით“ ფაბრიკაციის, გაანთავისუფლა ის გადასახადებისაგან, საბაჟოსა და საგზაო საფასურებისაგან და უბოძა სხვა უპირატესობანი, გარდა ამისა, მისცა მას კიდევ მიწის ნაქერი, აუნაზღაურა ნაგებობათა ღირებულებას სამი მეოთხედი, მისცა 30.000 ლივრი ფულად (113.000 ფრანკი), შემდეგ მისცა კიდევ ექვსი წლის ვადით უპროცენტო სესხი 30.000 ლივრი, დანიშნა 20 ლივრი პრემია თითოეულ უცხოელ მუშაზე, რომელიც მის მიერ აქნებოდა დაქირავებული და მერმე ყოველწლიური

პრემია 30 ლივრი თითოეულ ფრანგ შეგიოდზე. სახელმწიფოსათვის ეს სამართად სეროზული გადახდის ანგარიში იყო.

ც) მაქმანთა ომი

კოლბერის მიერ შექმნილ სამეფო მანუფაქტურებიდან ერთ-ერთ უფრო საინტერესოს წარმოადგენს, რასაკვირველია, კომპანია „ფრანგული ნაქარგი მაქმანი“-სა, რომელიც დაარსებული იქნა იმისათვის, რომ მას შეეცვალა ნაციონალური მაქმანით — ვენეციური წმინდა მაქმანი, პოლანდიური „ტა-ური“ და ინგლისური ნაქარგი მაქმანი, რომელსაც მოდა თხოვლობდა, ვინაიდან მაქმანი მზადდებოდა საფრანგეთში უკვე ძველი დროიდან უმთავრესად პიუში, ორილსაკში, ალანსონში, და, მეორე მხრით, რადგანაც კოლბერი აპირებდა დასახლებული ადგილების მუშა ქალებიდან იძულებით შეექმნა მემაქმანეები, ამიტომ მაქმანთა ნამდვილი ომი წარმოადგო.

კომპანიამ, „საფრანგეთის ნაქარგი მაქმანი“-მა, რომელიც დაარსებული იქნა 1665 წ., მიიღო მონოპოლია 9 წლით ფაბრიკაციის: „ყოველგვარ ნაკეთობაზე ნართ-დან, მსგავსად იმ ნაქარგ მაქმანთა, რომელიც მუშავდება ვენეციაში, გენუაში, რაგუზაში და სხვა უცხო ქვეყანაში“ და აგრეთვე ფაბრიკების მოწყობის უფლება მთელ სამეფოში. მეფემ აჩუქა მას განცალკევებული ადგილი პარიჟში და მისცა სუბსიდია 37.000 ლივრი. უცხოეთის მაქმანთა გაყიდვა და შემოტანაც კი აკრძალული იყო. ინტენდანტებს და მერებს უნდა აღმოეჩინათ თავიანთი დახმარება, მოეკრებათ მუშა ქალები, რომელთათვისაც ქალაქებს შენობა უნდა ეშოვნათ.

რეიმსში პირველი წლის დასასრულს (1666 წ.), სახელოსნოში იყო 120 მუშა ქალი. მაგრამ ჩვენ ვხედავთ, რომ სხვა ქალაქს მემაქმანე ქალები ყოველ საღამოს ფაბრიკის წინ აწყობდნენ არეულობას.

ორილაქშიც იგივე უწყესრიგობა იყო, მიმართული „ტალიელ ქალების“ წინააღმდეგ.

ლა-ველეში თუ არ იყო უწყესრიგობა, მხოლოდ იმიტომ, რომ როგორც ჩანს კოლბერმა არ გააერცვლა მასზე იგივე მონოპოლია. სამაქმანო მრეწველობა იქ ძველი დროიდან არსებობდა და წარმატებას განიცდიდა. „პიუში კეთდება მაქმანი, რომელსაც დიდძალი თანხა მოაქვს“, სწერდა 1698 წ. ლამუენონ-დე-ბაველი, ლანგედოკის ინტენდანტი; და იგივე დასძენდა რომ ეს მაქმანი, რომელიც იყიდება ესპანიაში, გერმანიაში და ყველა უცხო ქვეყნებში აძლევს ცხოვრების შესაძლებლობას მოსახლეობის მნიშვნელოვან ნაწილს.

ოკსერში მუშა-ქალებს არ სურდათ, რომ ისინი ჩაეკეტათ ფაბრიკაში და ამჯობნებდნენ შინ ემუშავათ. მაშინ კოლბერმა დაწერა (1675 წ.): „რადგანაც ქალაქ ოკსერს სურს ისევ დაუბრუნდეს სოზარმაცეს და დაცემას, რომელშიაც ის იმყოფებოდა, მაშინ ჩემი სხვა საქმიანობა და ჩემი ჯანმრთელობა მაიძულებენ დავტოვო ის მისივე ცუდ ყოფაქცევაში“.

1678 წ. ბერკეში უკვე ჩანს მანუფაქტურის კვალი: 900-ზე მეტი ქალი, რომელნიც გამოცხადდნენ ხელობის შესასწავლად ისევ დაუბრუნდნენ „მუქთახობას“.

ალიასინში მოხდა დიდი არეულობა, როცა გააგეს პრივილეგიაქმნილი კომპანიის დაარსება, ენადან მონაპოვოა ემუქრება: ადა ქაყენ-ს სიკლდ-რის ერთი წყაროს განადგურებას. მართლაც 8.000-ზე მეტი კაცები, ქალები, ბავშვები, და მოხუცებიც კი თვით „სოფლის მწყემსებს“ ჩათვლათაქვს მაქმანით ცხოვრობდენ. ისინი ვენეციულ ეანრს ბაძავდენ. გვხვდებოდა მაქმანის საყულო ალანსონის ნაქარგი მაქმანიდან, რომელიც 2.000 ლივრზე მეტი ღირდა. „ეს ციური მანანა“ ამბობდა ინტენდანტი. მემამანე ქალები ხელფასად იღებდენ დღეში 8 სუს მეპატრონის სარჩოთა, და 12 სუს უამსოდ; ბინითა და შენახვით მათ ქონდათ 24-დან 42 ლივრი წლიურად (ე. ი. 90 — 160 ფრანკი).

აი რატომ მოხდა პირველი ჯანჯი მემამანეთა ათასებისა, როდესაც ქალაქში გამოჩნდა კომპანიის აგენტი; სიკვდილი რომ აეცდინა ის ინტენდანტთან დაიშალა. კოლბერმა კი იტენდანტი გადააყენა, როგორც დამნაშავე იმაში, რომ მისგან არ იყო გამოჩენილი სათანადო სიმტკიცე.

ოცა ვენეციელი მემამანე გაგზავნილ იქნა ალანსონში, რომ იქაური ქალებისათვის შეესწავლებინათ ახალი მაქმანის დამზადება, შედეგად ახალი მღელვარება; ვენეციელ მემამანეებს სცემეს. საჭირო შეიქნა ქალაქისა და პროვინციის გუბერნატორის ჩარევა. მიუხედავად ასეთი ძალისაღმა მიმართვისა, მანუფაქტურამ ვერ გაიმარჯვა თავისუფალ მაქმანზე.

ამგვარად, ყველგან სიძნელეები, ყველგან თოქმის ომი. სხვაფრივ კომპანია „ფრანგული ნაქარგი მაქმანის“ შეიძლება განხილულ იქნეს, როგორც მსხვილი საბრუნველო წამოწყება, რადგანაც მასში როგორც ჩანს ჩაბმული იყო 5.500 ქალი ათეულ ქალაქებში. მიუხედავად ამისა მისი პრივილეგია არ იყო აღდგენილი; ფრანგულ მაქმანს, რომელიც იმ დროიდან სახელგანთქმული შეიქნა 1675 წ. მიეცა თავისუფლება.

d) სარკეების წარმოება

სარკეები ისე, როგორ მაქმანი ფუფუნეების საგნები იყო და შემოქონდათ აგრეთვე უცხოეთიდან. კოლბერმა გადაწყვიტა გაეთავისუფლებოდა საფრანგეთი ვენეციის მზრუნველობიდან. მან დაავალა თავის ელჩს ამ რესპუბლიკაში საიდუმლოდ დაეჭირაგებოდა რამოდენიმე კარგი ოსტატ-მეშუშეები სამეფო სამსახურში შესასვლელად. ამოცანა ძნელი იყო, ვინაიდან ვენეცია გულმოდგინეთ ეცავდა ამ მრეწველობას, რომელსაც მსოფლიო სახელი ჰქონდა; ის არ უშვებდა, რომ, რომელიმე უცხოელი მოხვედრილიყო მის სახელოსნოებში, კონფისკაციას უშვებოდა ემიგრაციაში წასულ ხელოსნების ქონებას და სწამლავდა კიდევაც ვენეციელ მუშებს, რომელნიც უცხოეთში მოეწყენენ. მუშების უღოდესმა ნაწილმა არ იცოდა წარმოების საიდუმლო, ვინაიდან სარკის ჩამოსხმა მურანოში ხდებოდა, ხოლო გაელვარება კი ვენეციაში.

მაგრამ ელჩს ბედმა გაუღმა. 1665 წ. შექმნილ იქნა „სარკის მუშების სამეფო მანუფაქტურა“, რომელსაც ებოძა განსაკუთრებული ფაბრიკაციის პრივილეგიები 20 წლის განმავლობაში: „სარკის მუშების, ისეთივე და სხვა ზომისა, სიწმინდისა და ღირსების, როგორსაც ვენეციის მახლო-

ბელ ქალაქ მურანოში ამზადდებდენ; რომელი და კვადრატული შუშის-
ფანჯრების ჩარჩოებისთვის და მთლიანი ფანჯროსათვის, ყოველგვარი
ფასონის ვაზების, წვრილი შუშეული ნივთების, ინდოეთისათვის, მინან-
ქრების, ნივთების ბუხრისათვის, სასადილოს სრული მოწყობილების, —
ხველაფერი ეს მზადდებოდა ჩვენ სამეფოში მოყვანილი ვენეციელი მუ-
შების მეოხებით“. ფაბრიკა მოწყობილი იქნა სენტ-ანტუანის მიდამოში;
სენტ-გობლენში კი ფაბრიკა შექმნილი იქნა მხოლოდ კოლბერის სიკვდი-
ლის შემდეგ. ამაზე წინ 1666 წ. შესყიდულ იქნა მეორე ფაბრიკა ტურ-
ლიავილში.

„ჩვენი სარვე ვენეციურზე უმჯობესია“ — წერდა კოლბერი რამოდე-
ნამე წლის შემდეგ. მეფის სასახლეებსა და ეტლებს უკვე ამშვენებდენ
მშვენიერი ბროლის მინებით; და იმ მოკლე დროში დაიწყეს განთქმული
„სარკის ვალერის“ მოწყობა ვერსალის სასახლეში.

ე) ხელნაქსოვი და მანქანაზე მოქსოვილი აბრეშუმის ჩულქები.

ინგლისში გამოიგონეს დაზგა აბრეშუმის, მატყლის და ბამბის ჩულ-
ქების საქსოვად.

ამგვარი ინგლისური დაზგებით იქნა მოწყობილი 1656 წ. ჰენდრესაგან
მადრიდის სასახლეში აბრეშუმის ჩულქების პირველი ფაბრიკა. უფრო
გვიან კოლბერმა ჰენდრესთან ერთად დააარსა საზოგადოება 300.000 ლივ-
რის კაპიტალით (დაახლოვებით 1.200.000 ფრანკი); მან დაიჭირა 79
ქარვალი, რომლებმაც თითოეულად 200 ლივრი ჯილდო მიიღო, ლუდო-
ვიკო მე-XIV მერ ფაბრიკის დათვალიერების შემდეგ.

ერთმა ლიონელმა ფაბრიკანტმა, რომელმაც მიიღო 40.000 ლივრი
უპროცენტო სესხი 6 წლის ვადით, დაზგების რიცხვი აიყვანა 15-დან
100-მდე. ამგვარად მსხვილი მრეწველობა იპყრობდა თავის ხელში აბრე-
შუმის ჩულქების ფაბრიკაცას.

მაგრამ კოლბერი ხელს უწყობდა არა მარტო ძვირფასი ჩულქების
მანქანურ დამზადებას, არამედ მას მოუწია სარკისაგან შეკერილი შალ-
ვრები. — რომლის ქვედა ნაწილი ჩულქის მსგავსად იყო, როგორც მაშინ
ატარებდენ, — შეეცვალა შალის ტრიკოთი ან მოქსოვილი ჩულქებით.
კამიუზემ მიიღო პრივილეგია ფაბრიკაზე, სადაც უნდა დაემზადებია ასე-
თი ჩულქები. ფაბრიკები მოწყობილ იქნა ვილნე-ლე-რუაში, ჟუანში,
ლაზრიტეში, ვერზონში, რეიმსში, კლერმონში, მილანში და სხვ.

ჰოლანდასთან ომმა შეანელა ასეთი ფაბრიკების საქმიანობა, მაგრამ
მათა გაუქმება არ გამოუწვევია და საფრანგეთს გაუჩნდა მრეწველობის
ერთი დარგი მგტი. დაიწყეს ბამბის ჩულქების დამზადებაც კი.

ახალმა დაზგამ როგორც ჩანს გამოაწვია ზოგიერთი ოპოზიცია, ვი-
ნაიდან ის მეტად ძლიერად უწევდა კონკურენციას მუშა-ქალებს, რომელ-
ნიც ჩულქებს ხელით ქსოვდენ. სახელმწიფო საბჭოს ბრძანება (1700) ზუს-
ტად განსაზღვრავს დაზგების ხმარებას პარიზში და სხვადასხვა ქალაქებში,
განსაზღვრა აგრეთვე დაზგების ფორმაც კი, აგრეთვე ხასიათი და ფა-

სონი ნაკეთობისა. ეს იყო ერთი ეპიზოდთაგანი მუდმივი ბრძოლისა მან-
ქანისა და მუშებს შორის, რომელთაც არ გააჩნდთ კერძო საკუთრება.

1) ვან-რობეს მანუფაქტურა

ქსოვილის დამზადება ყოველთვის იყო ერთი მთავარი დარგთაგანი
საფრანგეთის მრეწველობისა. მაგრამ 17 ს. პირველ ნახევარში ინგლისმა
და პოლანდიამ განდევნეს საფრანგეთი ლეიანტთან მაუდის ვაჭრობაში.
პოლანდიელები იმდენად უნარჩანნი იყვნენ, რომ ფლობდნენ „კარკა-
სონის მსგავს მაუდის დამზადების ხელოვნებას, რომელზედაც ხარჯავდნენ
მესამედით ნაკლებ მატყლს“, და ართავდნენ, აპრეტურას უკეთებდნენ ამ
მატყლს „იმდენად დიდი გულმოდგინებით, რომ ერთი მუშა აკეთებდა
დღეში მეტს, ვიდრე ფრანგი მთელი კვირის განმავლობაში“. ამიტომ პო-
ლანდიურა მაუდი განსხვავდებოდა ორგვარი უპირატესობით: კარგი ღირ-
სებითა და სიიადით.

იმ დროს, როდესაც კოლბერი იზიდავდა ვენეციელ მუშებს საქმეთა
ოსტატებს და მემანქანებს, ის აგრეთვე ამკვიდრებდა საფრანგეთში პო-
ლანდიელ მუშებს. 1665 წ. ვან-რობე გაემგზავრა მიდელბურგადან თავისი
ოჯახითა და 50 მუშით წმინდა ინგლისური და პოლანდიური მაუდას
დიდი მანუფაქტურის მოსაწყობად. ვან-რობემ მიიღო 12.000 ლივრ
(45.000 ფრანკი) თავისი გადასასვლელი ხარჯების ასანახლავრებლად.
სამი წლის განმავლობაში მას უხდოდნენ პრემიას 2.000 ლივრს თითოეულ
ამოძრავებულ დაზგაზე, სანამ მათი რიცხვი 40-მდე არ ავიდა; 40.000
ლივრი მიეცა მას უპროცენტო სესხად, რომლიდანაც მან მხოლოდ 20.000
ლივრი დააბრუნა. მან მიიღო განსაკუთრებული პრივილეგია რაიონში
აღენიან 10 ლივს გარშემო. ის გათავისუფლებული იქნა ყოველგვარი ვა-
დასახადებისაგან და, საკვირველი ამბავი, მას და მის ოჯახს ნება დართეს
პროტესტანტული რელიგიის თავისუფლად აღიარებისა.

მანუფაქტურის პრივილეგია განახლებული იქნა 18 ს. ბოლომდე; მაგ-
რამ მხოლოდ 1764 წ. მიიღო მან მეფის მანუფაქტურის ტიტული. ის შე-
იქნა დიდი სამრეწველო წამოწყება, რომლის პერსონალი აღწევდა თით-
ქმის 1.700 მუშას და წლიურა გაყიდვა წმინდა მაუდისა დაახლოებით
600.000 ლივრამდე.

მიუხედავად ამისა მან ისარგებლა თავისი პრივილეგია მხოლოდ იმი-
სათვის, რომ მათხოვრული გასამრჯელო ეძლია შრომისთვის. აი რატომ
იყო, რომ 1768 წ. აბევილის ქალაქის ხელისუფლება მტრულად შეხვდა
პრივილეგიის განახლებას; ისინი ამბობდნენ, რომ „მუშები სულტაკეში
იმყოფებიან!“

მაუდის სხვა მანუფაქტურანი, როგორც სამეფო, ისე არა სამეფო კოლ-
ბერის მიერ შექმნილი ან სუბსიდიამქმნილი იყო კანში, ამუნში, ლაფერტე-
სუ-კურში, ვოში, ომალეში, ზურგონში, ლანგედოკში და ა. შ., მაგრამ
ზედმეტად მათი ცალკე მოხსენიება: ისინი მეტად ბევრია.

ასეთსავე პროგრესს მიაღწია ტილოს ქსოვამ ბრეტანში და დოფინებში
და აბრეშუმის ქსოვამ ლიონის ოლქში. აღენიშნავეთ სხვათა შორის აბრე-

შემის ქსოვილის ორი სამეფო მანუფაქტურის შექმნას: სენ-მორ-ლე-ფოსეში — აბრეშუმის, ხავერდისა და ოქროვერცხლის ფარჩის დასამზადებლად; ლიონში — დიუპეის მანუფაქტურა ბოლონის მსგავსად აბრეშუმის კრებარ დასამზადებლად; ამ მანუფაქტურებში თანამედროვეთა სიტყვით ჩაბმულა იყო 6.000 მუშა, მარტო ლიონში, სენ-შამინსა და სენტ-ეტანში მომუშავეთა გარდა.

ბიუთითებთ აგრეთვე იმაზედაც, თუ რა მოიმოქმედა კოლბერმა პაპის ქალაქის წინააღმდეგ. ვინაიდან მან აკრძალა აბრეშუმის ქსოვილთა შემოტანა სამეფოში — ავიონიდან — ქალაქის მუშათა უდიდესი ნაწილი გადავიდა ნიმში. სააბრეშუმო მრეწველობა იწყებს აყვავებას ნიმში, მაგრამ მას ძლიერ ავნო ემიგრაციამ, რომელიც მოყვა ნანტის ედიქტის გაუქმებას.

(პიერ ბრიზონ — „შრომისა და მშრომელთა ისტორია“).

§ 8. სენ-მორის მანუფაქტურის შინაგანი მართვებლობა

(მე-XVII საუკ. დასასრული)

წესები, რომელიც უნდა დაიცვას ყოველმა პირმა, მოხამსახურემ სენ-მორ დე-ფოსეს (პარიზის ახლო) ოქროს, ვერცხლისა და აბრეშუმის ფარჩის სამეფო მანუფაქტურაში.

ღვთის საღიბებლად, ხსენებული მანუფაქტურის გასაუმჯობესებლად და გასაფართოვებლად, საკეთილოდ, სასარგებლოდ და სამშვიდობოდ მათი, ვინც იქ იმუშავენ:

I. ყოველი პირი, მოსამსახურე აღნიშნული მანუფაქტურისა მოსული დღით თავის ხელობაზე, სანამ მუშაობას შეუდგებოდეს მოვალეა დაიბანოს ხელი და შემდეგ შეუდგება რა საქმეს, — დეე უძღენას თავისი შრომა უფალს, რათა მოწყალე ღმერთმა დალოცოს ის, — გამოისახოს ჯვარი და შემდეგ კი მიჰყოს ხელი მუშაობას.

II. ყველა სახელოსნოებში უნდა იყოს კასრები წყლით და ხელსახოცები, და სახელოსნოების დამლაგებელნი უნდა ზრუნავდენ მასზე, რომ მოზღდულა იქნეს ხსენებული წყალი და მუდამ დღე მოტანილი თეთრი ხელსახოცები სრული სისუფთავისათვის; დამლაგებელთ მზრუნველობა უნდა ჰქონდეთ ამ წყალსა და ხელსახოცებზე ერთი კვირის განმავლობაში და ამ მიზნისათვის ინაშნებონ ისინი რიგრიგობით.

III. ხსენებული დამლაგებელნი პატივისცემას უნდა გრძნობდენ ყველა ოსტატისა და მუშისადმი და მორჩილად უნდა მიიღონ ბრძანებები იმ ოსტატებისა და მუშებიდან, რომელთანაც არიან ისინი მიჩენილნი.

IV. აღნიშნული დამლაგებელნი თავიანთ სახელოსნოს, ეზოსა და ფეხსადგალს (საპირფარეშოს) უნდა გვიდენ კვირაში ორჯერ და ამისათვის ინაშნებონ ისინი მორჩეობით, ზოლო ამის დამრღვევნი დაისჯებიან ხუთი სულს ჯარიმის სახით, გადახდევინებით.

V. დამლაგებელნი სასადილოდ და საეახშობოდ უნდა მიდიოდენ, როგორც სხვა ოსტატები და მუშები, მხოლოდ ერთი საათით.

VI. მუშაობა დალის განთიადზე არ წარმოებს, მაგრამ სახელოსნოებში, სადაც დაზგები იმყოფება, უნდა მოვიდნენ განთიადზე, რათა მუშაობას შეუდგენ მაშინვე, როგორც კი საკმაოდ ინათებს იმისათვის, რომ შესაძლებელი შეიქნეს მისი შესრულება. დამლაგებლები ოსტატებზე 15 წუთით ადრე უნდა მოვიდნენ, რათა თავის წესისამებრ აყოს მუშაობისათვის საჭირო ყოველი ნივთი, ამის შეუსრულებლობის შემთხვევაში უკანასკნელნი ჯარიმდებიან ხუთი სუს რაოდენობით.

VII. საღამოს მუშაობა უნდა იწყებოდეს პირველ ორშაბათს ღეთოზმზობლის დაბადების დღის შემდეგ, რომელიც არის სექტემბრის 8-ს, და, მთავრდებოდეს ვნების კვირის ხუთშაბათს, — რა დღესაც მუშაობა სრულად არ წარმოებს, — და უნდა გრძელდებოდეს დამის 10 საათამდე.

VIII. ზამთრის განმავლობაში ყოველ სახელოსნოში უნდა ანაზნაობდეს ოსტატი და მუშა, რომელთაც ხელზე უნდა ეძლეოდეს ფული ნაზშირის სასყიდლად; შაბათობით, კვირაში ერთხელ, ყოველმა ოსტატმა და მუშამ უნდა აძლიოს მათი წალი, რომლითაც იქნება ის დაბეგრული. დამლაგებელნი არაფერს არ უნდა იხდოდნენ აღნიშნული ნაზშირისათვის, რომლის საფასურსაც მხოლოდ ხსენებული ოსტატები და მუშები უნდა ფარავდნ.

IX. სახელოსნოებში არავითარი საქმლის ქამა არ უნდა ხდებოდეს, გარდა საუზმის და სადილისა ზაფხულის პერიოდში, გარეშე ხორციისა და სხვა სანოვავის, რომელთაც შეეძლოთ მათი სამუშაოს გაფუჭება ან ვაჭონვა.

X. საუზმის ვადა განისაზღვრება ნახევარი საათით, ხოლო სადილსა და ვახშმის ერთი საათით, ამ ხანის გასვლას შემდეგაც მუშაობის დროს არ დაიშვება არავითარი ამბებ-ს მოყოლა ისტორიებზე, თავგადასავალზე ან სხვა საუბრის გამართვა. — რომელიც აცდენს მუშებს საქმეზე.

XI. რათა არავინ (არ ინებოს უფალმა) ფიცულობდეს, აუგებდეს ღეთის წმინდა სახელს, ლაპარაკობდეს მოწიწებას მოკლებულად წმინდა საგნებზე. სარწმუნოების საიდუმლოებაზე, აგრეთვე გამოთქვამდეს ბინძურ და უპატიოსნო სიტყვებს, — ექვსა ლივრის ჯარიმის შიშით.

XII. არავინ აუგებდეს ან მასხრად იგდებდეს სიტყვით ან სხვა საშუალებით მანუფაქტურაში მოსამსახურე პირს, — სამი ლივრის ჯარიმის შიშით.

XIII. არავინ უნდა ოგინებოდეს, არც იმუქრებოდეს, არც ჩხუბობდეს, არც უწოდებდეს ვისმეს დაცნეით მეტ სახელს, იქნება ის მხოლოდ გადაკრულად. სახელის გამოცვლით თუ სხვა გვარად, — სამი ლივრის ჯარიმის შიშით.

XIV. არავინ არ უნდა იყოს ისეთი თავხედი, რომ შემოკრას რომელიმე პირს, ხსენებული მანუფაქტურის მოსამსახურეთაგან — შიშით სამაგრი-როს მიღებას თვით შეურაცყოფილისაგან, ან იმ-საგან ვინც საამისოდ იქნება მოწოდებული და შეურაცყოფილის სასარგებლოდ ექვსა ლივრის გადახდევინებოსა უკეთუ შეურაცყოფა არ არის დიდი; მძიმე შეურაცყოფის მიყენების შემთხვევისას დამნაშავეს წინააღმდეგ აღძრული და და-

ბოლოვებული უნდა იქნეს პროცესი ადგილობრივ მოსამართლის შიერ, ბრალდებულისათვის უფლების მიცემით მიმართოს რომელიმე სხვა ადგილის სასამართლოს ან მოსამართლეს, მხოლოდ განაჩენის გამოტანის შემდეგ.

XV. არავინ უნდა თამაშობდეს ან სეირნობდეს სახელოსნოში, სადაც ის საქმიანობს, ის მუდამ უნდა იმყოფებოდეს თავის სამუშაოსთან ახლოს.

XVI. ეკრძალება ყველა ოსტატს და მუშას სხვა სახელოსნოებში და ადგილებში სიარული გარეთად იმისა, სადაც ისინი მუშაობენ; — შეპყვანა სახელოსნოში სადაც ისინი მუშაობენ სხვა მუშების, მეგობრების ან სხვა პირების — შიშით განდევნისა ამ სახელოსნოებიდან იმათ მიერ ვინც იქ იმყოფება, დასჯისა, როგორც ჯაშუშებისა და ცუდი წესის ხალხისა, და, ექესი ლივრის ჯარიმის გადახდისა.

XVII მანუფაქტურის ყოველ შენობაში უნდა იყოს ნოქარი თითოეულისათვის ყოველივეს მისაცემად, რაიც საჭირო იქნება მისი ზელობისა და მუშაობისათვის, და ამ მიზნით აღნიშნულ შენობათა ერთ-ერთ ეზოში უნდა იყოს ზარი ხსენებული ნოქარის გამოსაძახებლად და მისგან მისაღებად იმისა, რაიც საჭიროა აღნიშნული წარმოებისათვის.

XVIII. საღამოდანვე უნდა იზრუნონ გამოსარკვევად იმისა, თუ რა არის საჭირო მეორე დღისათვის, მოეთხოვოს ყოველივე ეს ხსენებულ ნოქარს დილას შვიდიდან რვამდე, შუადღის პირველიდან ორამდე და საღამოს შვიდიდან რვა საათამდე.

XIX. ყოველ მუშას, სახელოსნოში სადაც მუშაობს ის, — უნდა ქონდეს დასაკეტი ყუთი, რათა შეინახოს ოქრო, ვერცხლი და თავისი ხელობის სხვა იარაღი, რომელთა პასუხისმგებელიც ის იქნება.

XX. მუშაობის დროს სამღერები, ფსალმუნები და სასულიერო საგალობელნი ხმა-მადლა არ უნდა ითქმებოდეს, არამედ ჩუმად ისე, რომ მგალობელ მუშის მეზობელს არ ესმოდეს და არ უშლიდეს მას ზელს მუშაობაში.

XXI. აღნიშნულ მანუფაქტურაში მოსამსახურე ყოველი პირი ვალდებულია სამუშაოზე ცხადდებოდეს ყველა სამუშაო დღეებში, გამოკლებით კარნავალის ორი დღისა, დიდი მარხვის პირველი დღის დილასა, ვენების პარასკევის დღის, წმინდა როკისა და წმინდა ნიკოლოზის, სენმორის მრევლის პატრონის დღისა; ხოლო კვირა და უქმე დღეებში უნდა დაესწრონ ღვთის მსახურებას, შემდეგ დღის დარჩენილი ნაწილი მოახმარონ ღირსეულ გართობას, რომელზეც ისინი იქნებიან მიწვეულნი და თავიანთ სახლებში უნდა დაბრუნდნენ არა უგვიანეს საღამოს ცხრაათი საათისა, შიშით იმათთვის ვინც არ იმუშავენ ამ სამუშაო დღეებში, თუნდაც ნახევარი დღის გაცდენის შემთხვევაში, — სამი ლივრის ჯარიმის გადახდისა და თავის დამლაგებლისათვის კი ოცდაათი სუს გადახდისა.

XXII. აკრძალულია წილის შეტანა ახლად მიღებული მუშის შესახვედრად და მათ გასაცილებლად ნადიმის გამართვისათვის, აგრეთვე სხვა მუშების გაცილებაზე დასწრება, რაც იწვევს მხოლოდ დროს დაკარგვას.

აგრეთვე ფულისაც, ვინც ის გარდა და ბოლოვდება მხოლოდ უწყსრიგობით; ვინც ამას ჩაუდენს უნდა გადაიხადოს ჯარიმა სამი ლივრი.

XXIII. ეკრძალება ყველა პირს იმ დროის განმავლობაში სანამ ხსენებულ მანუფაქტურაში მსახურობენ — მოთბრობა იმისა, თუ რა კეთდება იქ, როგორც შესახებ გამომუშავების საშუალებისა, ისე იქ წარმოებულ მუშაობის და მასალის ხარისხისა, რადგან მათ დაეალებულა აქვე მთელი მუშაობის განმავლობაში შეინახონ საიდუმლოება.

XXIV. ეკრძალება ყოველ ოსტატს, ქარვალს, მუშას და სხვა პირთ, რომლებიც ხსენებულ მანუფაქტურაში მსახურობენ წაღება და დაკავება ხელსაწყო იარაღის, მასალისა და მისი ნარჩენის... და საერთოდ აღნიშნულ წარმოებასა და სამუშაოთათვის მიკუთვნიებული ნივთის, როგორც არ უნდა იყოს ის; სამუშაოზე მიმაგრებული ყოფილი მოსამსახურე ვალდებულია ნივთები დაუბრუნოს ნოქარს, რომელმაც გასცა მოხსენებული მასალა და იარაღი, შიშით იმათთვის, ვინც დაიტოვებს ან ვინც გაიტაცებს მათ, დასჯისა როგორც შინაური ქურდების, სასამართლოს დადგენილებით.

XXV. აგრეთვე აკრძალულია წაღება, გატაცება და თავისთან დატოვება ხსენებულ მანუფაქტურის კუთვნილ სხვადასხვა ხელსაწყო იარაღის და სხვა ნივთების როგორც მაგ. მაქოს, მანჯანიკის და სხვ., შიშით, რომ ვინც დაარღვევს ამ მუხლს ან ვისთანაც იქნება ნაპოვნი იარაღი, სასამართლოს დადგენილებით დასჯილი იქნება როგორც შინაური ქურდი...

XXVI. უკეთუ რომელიმე ოსტატს, ქარვალს და მუშას — გაწვეულთ ხსენებულ მანუფაქტურაში სამუშაოდ — აქვს რაიმე საკუთარი იარაღი, რომელსაც მანუფაქტურაში იხმარს ის ვალდებულია მიღებისთანავე სანამ მათზე მუშაობას დაიწყებდეს განაცხადოს ამის შესახებ, რათა შედგენილი იქნეს მათი აღწერილობითი სია დაწესებული ნიმუშის მიხედვით, ბეჭდის დასმით და მანუფაქტურის მოხელის ხელმოწერით; წინააღმდეგ შემთხვევაში, მუშების მხრივ ზემოთ მოხსენებულის განუცხადებლობისა და ზემოთ მოყვანილი წესით შედგენილი აღწერილობის უქონლობისას — მითითება მასზე, რომ მათ თანა ჰქონდეთ იარაღი და სხვა ნივთები, ხმარებულა აღნიშნულ მანუფაქტურაში და საკუთრო მისთვის — არ იქნება მხედველობაში მიღებული, პირიქით, ეს ხალხი ჩაითვლება მძარცველებად და შინაურ ქურდებად, და როგორც ასეთნი დასჯებიან სასამართლოს განაჩენით.

XXVII. მოხსენებული მანუფაქტურის მოსამსახურენო, რომლებიც მოისურვებენ წასვლას ან სხვა ადგილას მუშაობას ვალდებული არიან წინასწარ დაამთავრონ მათ მიერ დაწყებული ნაჭერი ისეთი ზედმიწევნობით და სიბეჯითით, როგორც ითაც ის დაიწყეს და არ უნდა დააღწიონ შას თავი რაიმე შეთხზული მიზეზის გამო.

XXVIII. მუშაობის ყოველ დღეებში შუადღისას სასადილოდ, აგრეთვე საღამოს ექვს საათზე სავაზმოდ — ზარი უნდა ირეკებოდეს.

XXIX. ყოველი ოსტატი, ქარგალი, მუშა, დამლაგებელი და მანუფაქტურაში მოსამსახურე სხვა პირი ვალდებულია თავის დიასახლისს ყოველ შაბათობით უხადოს საფასური, და იმ შემთხვევაში, თუ ის ამას არ ჩადენს დიასახლისს შეუძლია მასზე აიძულოს ის, — წაიღოს რაიმე მისი ავეჯიდან ან ტანსაცმელიდან.

XXX. ეს წესები უნდა წაეკითხოს ყველა ოსტატებს, ქარგალს, მუშას, დამლაგებელს და მოხსენებულ მანუფაქტურაში მოსამსახურე სხვა დანარჩენ პირთ სამუშაოდ მიღებისას, რათა მათ არ მოიმიზეზონ მისი უცოლიანობა, და გარდა ამისა უნდა დაიბეკდოს და გაიყრას ყოველ საბელლოსნოსა და სამუშაო ადგილზე, რათა ყველას შეეძლოს მისი წაკითხვა ან ძალდატანება საკუთარი თავისა წაიკითხოს ის ყოველთვის, როცა მოუხურვებს, რადგან ამ მანუფაქტურის ყველა მოსამსახურე ვალდებულია დაიცვას ეს წესები, იმგვარადვე თითქოს ის დაწერილი და ხელმოწერილი მათი საკუთარი ხელით; იწყებს რა მუშაობას მანუფაქტურაში ის უნდა დაქვემდებაროს მას და უკეთუ მოიფიქრებს მის შეუსრულებლობას — აღარ შეეძლოს იქ დარჩენა, დაუყოვნებლივ უნდა წაეღოს იქედან, რადგან მათი იქ დატოვება და მანუფაქტურაში მუშაობის გაგრძობა მოსწავებს იმას, რომ ამ წესებზე მათ ხელი მოაწერეს და მისი თანადაა არიან.

XXXI. ის, ვინც არ მოსურვებს ზემოთმოყვანულ წესებისადმი დაქვემდებარებას. ან მათ შესრულებას — გაფრთხილებულია დათხოვნილ, ისე, რომ უკან დაბრუნების იმედი არ ჰქონდეს რა მიზნითაც მას ეცხადება. რომ აქვს სრული თავისუფლება მას შემდეგ, როდესაც ამ წესებს წაიკითხავს.

XXXII. ყველა გადასახდელი ჯარიმა დანიშნულია შარეტონის საავადმყოფოს სასარგებლოდ, და უნდა შეტანებოდეს იქ დაუყოვნებლივ, დონაშაულის ჩადენისთანავე.

(ს. კ ა ზ კ ი ნ ი — ძველი წყობილება საფრანგეთში)

§ 4. მიზნის ბრძანება მანუფაქტურის შესახებ

იმ მწარმოებელთა და მუშათათვის შესაფარდებელი სასჯელის შესახებ, რომლებიც ამზადებენ და ჰყიდიან არაკეთილხარისხოვან და რეგლამენტთან შეუთანხმებელ ქსოვილებს

(1670 წ. დეკემბრის 24-ს).

მოხსენა რა სამეფო საბჭოს ოკრდინარული მრჩეველის, ფანანსების გენერალურ კონტროლიორის, ბატონ კოლბერიის მოხსენება, მისმა უდიდებულესობამ თავის სამეფო საბჭოში ბრძანა და ბრძანებს, რომ უკეთუ საფრანგეთში დამზადებული ქსოვილი აღმოჩნდება არაკეთილხარისხოვანი და რეგლამენტთან შეუთანხმებელი, ის იქნება 9 ფუტის სიმაღლე სვეტზე გამოფენილი წარწერით, რომელშიც მოიხსენიება სახელი და ვინაობა დანაშაულის ჩამდენ ვაჭრისა და ოსტატის. ეს სვეტი ოკინის რგოლით (რომლითაც დამნაშავენი მიიბმებოდნენ ხოლმე სვეტზე) ამ მიზნითავე უნდა იქნეს აღმართული პროკურორების ან ქალაქის რატუშანს

სონდიკებს ან ხელისუფლების სხვა წარმომადგენელთა ზრუნვით, — რო-
შელთა მოვალეობასაც შეადგენს მანუფაქტურის საქმეთა განსჯა, — ვაჭ-
რების და ოსტატების კორპორაციის წარმომადგენელთა ანგარიშზე ომ
მთავარი კარების წინ, სადაც სწარმოებს საქონლის შემოწმება და და-
დალვა.

არაკეთილხარისხოვანად ცნობილი საქონელი უნდა დარჩეს იქ ორმოც-
დარვა საათის განმავლობაში, რის შემდეგ უნდა იქნეს ჩამოღებული იმ
ხელისუფლების მიერ, რომელმაც ის გამოფინა და უნდა დაიჭრას, დაი-
ხეს, დაიწვას ან კონფისკაცია ეყოს, თანახმად სათანადო ბრძანებითა.

დანაშაულის განმეორებისას, გარდა ამისა, რომ კონფისკაცია მოახ-
დენი საქონელი, სამარცხვინო სვეტთან იქნება გამოფენილი, როგორც
ზევით არის აღიშნული, — ვაჭარსა და ოსტატს პირადად უნდა გამოე-
ცხადოს საყვედური პროფესიონალური კორპორაციების თანამდებობის
პირთა და ხელოსნების მიერ საერთო კრებებზე. დანაშაულს მესამეჯერ
ჩადენისას ისინი დაპატიმრებული უნდა იქნენ და ორი საათით გაკრული
რკინის რგოლით სამარცხვინო ბოძზე, მათთვის კონფისკაციაქმნილ საქო-
ნელის ნიმუშებთან ერთად.

(არ და შე ე ი — საყოველთაო ისტორიის ქრესტომათია ტ. 1).

§ 6. მანუფაქტურის შინაგანი წყობის დაშლა

მსგავლი მრეწველობის განვითარებასა და მის მიერ გამოწვეული მი-
წათმოქმედების გარდაქმნასთან ერთად არა მარტო ფართოვდება წარ-
მოების ფარგლები მრეწველობის ყველა სხვა დარგში, არამედ იცვლება
შთი ხარისხიც. მანქანური წარმოების პრინციპი, რომელიც იმაში მდგო-
მარეობს, რომ დაანაწილოს წარმოების პროცესი მას შემადგენელ საფე-
ხურებად და ამგვარად წარმოშობლი ამოცანები გადაქრას მექანიკის, ქი-
მიის და სხვ. საშუალებით, ერთის სიტყვით ბუნების მეცნიერების საშუა-
ლებით, — ეს პრინციპი ყველგან გადამწყვეტ მნიშვნელობას იღებს. ამიტომ
მანქანა იჭრება მანუფაქტურაში ხან ერთი და ხან მეორე ნაწილობრივი
პროცესის შესასრულებლად.

ამნაირად მანუფაქტურის მტკიცე კრისტალისებური წყობა, რომელიც
შრომის ძველი დანაწილებიდან იყო წარმომდგარი. ირღვევა და განიც-
დის მუდმივ ცვლილებას. გარდა ამისა, კოლექტიური მუშის ანუ კომბი-
ნაური მუშა-პერსონალის შემადგენლობაც ძირითად ცვლილებას გა-
ნიცდის.

წინააღმდეგ მანუფაქტურული პერიოდისა, შრომის დანაწილების გეგ-
მა ეხლა დამყარებულია ქალთა, ყველა ასაკის ბავშვთა და დაუხელოვნე-
ბელ მუშათა შრომის გამოყენებაზე, სადაც-კი ეს შესაძლებელია, ერთი
სიტყვით, დამყარებულია იაფფასიანი შრომის, „cheap labour“-ის გამო-
ყენებაზე, როგორც ამას მოხდენილად ამბობენ ინგლისელები.

იაფფასიანი და მოუმწიფებელი სამუშაო ძალების ექსპლოატაციი
უფრო უსიტყვილოდ წარმოებს თანამედროვე მანუფაქტურაში, ვიდრე
ნამდვილ ფაბრიკაში, რადგან ამ უკანასკნელის ტექნიკურ საფუძველს, —

კუნთებრივი ძალს შენაცვლებას მანქანებით და შრომის სიადვილეს, — მანუფაქტურა უმეტეს ნაწილად მოკლებულია და აპასთანავე აქ წარმოებს ქალსა ანდა მცირეწლოვანის ჯერ კიდევ მოუმწიფებელი ორგანიზმის უსაღისოდ მოწამლვა სხვადასხვა მავნე ნივთიერებით *)...

მე მსურს ზემოაღნიშნული დებულებანი რამდენიმე მაგალითით განვმარტო... ბირმინგამსა და მის მიდამოებში მეტალურგიული მანუფაქტურები ხმარობენ მეტწილად ფრიად მძიმე სამუშაოსათვის 30.000 ბაუშესა და ჰოზარდს 10.000 ქალს. ჩვენ აქ მათ ვხედავთ ანტიოპიგიურ სპილენძის საღებო ქარხნებში. ღაღების ფაბრიკებში, მოჭაქვებს, დაგაღვანების და გალაქვის სამუშაოზე.

მოზრდილთა და მცირეწლოვანთათვის დაკისრებული უზომო შრომის გამო ლონდონის სხვადასხვა გაზეთებისა და წიგნების მბეჭდავმა სტამბებმა მოიპოვეს „სასაკლავო“ საპატიო სახელი. ასეთსავე უზომო შრომას, რომლის მსხვერპლნი აქ განსაკუთრებით დედაკაცები, ქალიშვილები და ბავშვები არიან, ვხედავთ წიგნების საკაზმავებში. მცირეწლოვანთა მძიმე შრომა თოკის დასამზადებელ ფაბრიკებში, ღამით მუშაობა შარილის ქარხნებში, სანთლის და სხვადასხვა ქიმიურ მანუფაქტურებში; მოზარდთა განმანადგურებელი გამოყენება საქსოვი დაზგების სატრიალებლად აბრეშუმის საქსოვ ფაბრიკებში, რომელნიც მექანიკურ მამოძრავებელ ძალას არ ხმარობენ.

ერთ-ერთ საზიზღარ, ჭუჭყიან იაფფასიან სამუშაოს წარმოადგენს ძონძების გადარჩევა. რისთვისაც უმთავრესად ახალგაზრდა ქალიშვილები და დედაკაცები გამოიყენებიან. ცნობილია, რომ დიდი ბრიტანეთი, გარდა უამრავი საკუთარი ძონძებისა, მთელი ქვეყნის ძონძებით ვაჭრობის ცენტრს წარმოადგენს. ძონძები მოდის აქ იაპონიიდან, სამხრეთ ამერიკის უშორესი შტატებიდან და კანარის კუნძულებიდან. მაგრამ ძონძების შემოზოდნის მთავარი წყაროებია: გერმანია, საფრანგეთი, რუსეთი, ეგვიპტე, ოსმალეთი. ბელგია და ჰოლანდია.

ძონძებს ხმარობენ მწიის პატივად, ლეიბების სატენისა და ზელოვნურა მატყლის დასამზადებლად და ქაღალდისათვის ნელდ მასალად. ძონძების გადამრჩევი ქალები შუამავლნი არიან ყვავილის და სხვა გადამდები სენის გასაფრცვლებლად, რომლის პირველი მსხვერპლი თვითონვე ხდებიან.

(კ. მარქსი — „კაბიტალი“, ტ. I).

* ევრეთწოდებულ შინაწარმოებში უფრო უსიკცხვილო ექსპლოატაციაა, ვიდრე მანუფაქტურაში, რადგან მუშების მიერ წინააღმდეგობის გაწევის უნარი შემცირებულია მათი დაქაჟების გამო; რადგან ნადვილ სამუშაოს მიმცემსა და მუშას შორის შექრულია მძაოცველ პარაზიტთა მთელი ხროვა; რადგან შინაწარმოება ყველგან ებრძვის იმავე დარგის მანქანურ ან ყოველშემთხვევაში, მანუფაქტურულ წარმოებას; რადგან სიღარიბის გამო მუშა მოკლებულია უსაქიროეს შრომის პირობებს; ფართო სადგომს, ხინათლეს, ვენტრილიაციას და სხვ., რადგან აქ უფრო და უფრო მეტად აქვს ადგილი ნუშაობის არარეგულიარობას და ზოლოს, რადგან აქ თავშესაფარია ყველა იმითთვის, ვინც „ზედმეტად“ აქცია მსხვილმა მრეწველობამ და მიწათმოქმედებამ, რის გამო აქ კონკურენცია მუშებს შორის ძალაუნებურად უმაღლეს წიგრილს აღწევს...

სამუშაო ძალის გაიფხვება მარტოოდენ ამ წესით: ქალებისა და მცირე-წლოვანთა სამუშაო ძალის ბოროტად გამოყენებით, შრომისა და ცხოვრების ყველა ნორმალურ პირობათა წართმევით, სასტრუქო ზომავადაქარბებული შრომის და ღამით წარმოებული შრომის გამოყენებით — ბოლოს და ბოლოს გარდაუვალ ბუნებრივ ზღუდეს აწყდება და მასთან ერთად ამ ზღუდეს აწყდება ამ საფუძვლებზე დამყარებული საქონლის გაიფხვებაც და საერთოდ კაპიტალისტური ექსპლოატაცია. როდესაც, ბოლოს, ეს საზღვარი მიღწეულია — და ამას კი დიდი ხანი სჭირდება, — მაშინ დგება უკვე მანქანების შემოღებისათვის და გაფანტული შინაწარმოების (და აგრეთვე მანუფაქტურის) სწრაფი გარდაქმნისათვის საფაბრიკო წარმოებად.

ამ მოძრაობის ყველაზე კოლოსალურ მაგალითს იძლევა „wearing apparel“-ის (ჩაცმა-დაბურების საგნების) წარმოება. „Children's Employment Commission“-ის (1862 წ. დაარსებული კომისია ბავშვების შრომის გამოსაკვლევად) კლასიფიკაციის მიხედვით მრეწველობის ეს დარგი მოიცავს ჩაღვს ქუდების, ქალთა ქუდებისა და არახინის მკეთებლებს, თერძების, milliners dressmakers-ს, მესაცვლეებსა და მკერავ ქალებს, კორსეტების, ხელთათმანებისა და ფეხსაცმელებს მწარმოებლებს, გარდა ამისა, სხვა მრავალ წვირლ დარგს, მაგალითად, ყელსახვევებისა და საყულოებას წარმოებას და სხვ....

ზედმეტი ღირებულების დიდი წარმოება შრომის ამ დარგებში, ნაწარმოების პროდუქციულ გაიფხვებასთან ერთად, წარმოდგებოდა და წარდგება უზთავრესად მინიმალური ზომის შრომის ხელფასისაგან, რომელიც საქმარისი აყო მხოლოდ უაღრესი გაკირებებით არსებობისათვის და დაკავშირებული ადამიანისათვის შესაძლებელ სამუშაო დროის მაქსიმუმთან.

სწორედ საქონლად გადაქცეული ადამიანის ოფლისა და სისხლის სოიაფე აფართოვებდა და ყოველდღე აფართოვებს ბაზარს, ინგლისისათვის კერძოდ — კოლონალურ ბაზარსაც, სადაც ამასთანავე ინგლისური ჩვეულება და გემოვნებაა გაბატონებული.

დაბოლოს, დადგა გადამწყვეტი მომენტი ძველი მეთოდის საფუძველი, შრომის მასალის მარტოოდენ ტლანქი ექსპლოატაცია, რომელსაც მეტად თუ ნაკლებად თან ახლდა სისტემატიურად განვითარებული შრომის დანაწილება, საკმარისი აღარ დარჩა მზარდი ბაზრისა და კაპიტალისტების კიდევ უფრო სწრაფად მზარდი კონკურენციის პირობებში. დადგა მანქანის უკვე. ის გადამწყვეტი მნიშვნელობის რევოლუციონური მანქანა, რომელიც თანაბრად დაეფუღა წარმოების ამ სფეროს ყველა ურიცხვ დარგს, მაგალითად, მოდის საქონელთა წარმოებას, თერძობას, მეწაღეობას, მკერავობას, მქედობას და სხვ., — არის საკერავი მანქანა.

მისი უშუალო მოქმედება მუშებზე დაახლოებით ისეთივეა, როგორც ყველა მანქანისა საზოგადოდ, რომელიც მსხვილი მრეწველობის ხანაში წარმოებას ახალ დარგებს იყრობს. სულ პატარა ბავშვები მუშაობას ჩა-

მოზორდებიან. მანქანის მუშების ხელფასი მატულობს შინა-მუშების ხელფასთან შედარებით, რომელთაგან ბევრნი „ღარიბთა უღარიბესნი“ არიან.

ხელოსნების ხელფასი, რომელნიც უკეთეს პირობებში იმყოფებიან და რომლებსაც მანქანა კონკურენციას უწევს, დაბლა ეცემა. მანქანის ახალი მუშები არიან მხოლოდ და მხოლოდ ქალიშვილები და ახალგაზრდა დედაკაცები. მექანიკური ძალის დახმარებით ისინი სპობენ მამაკაცთა შრომის მონობოლიის მძიმე სამუშაოს დარგში და მსუბუქიდან ერეკებიან შოხუცებულ ქალებსა და შოუმწიფებელ ბავშვებს. ძლევა მოსილი კონკურენცია ანადგურებს უსუსტეს ხელით მომუშავე მუშებს. შემადარწუნებელი ზრდა ლონდონში შიმშილით სიკვდილის შემთხვევებისა უკანასკნელ ათწლეულში მიმდინარეობს პარალელურად მანქანით კერვას გავრცელებასა.

ახალი მუშა-ქალები, რომელნიც საკერავ მანქანაზე მუშაობენ და ეს უკანასკნელი მათ, მგდომარეებს თუ მდგომარეებს, მოძრაობაში მოჰყავთ ხელითა და ფეხით, ანდა — მარტო ხელით, იმის შეხედვით თუ რა სიმძიმის, სიდიდის და სპეციალური დანიშნულებისაა მანქანა, — დიდ სამუშაო ძალას ხარჯავენ. შრომის პროცესის ხანგრძლივობის გამო მათი მუშაობა მავნებელი ხდება ჯანმრთელობისათვის, თუმცა ეს პროცესი ჩვეულებრივ უფრო მოკლეა, ვიდრე ძველი სისტემის დროს. ყოველთვის, როდესაც საკერავი მანქანა შეიქრა უიმისოდაც ვაწრო და ხალხით გაჭედილ სახელოსნოებში, მაგალითად, ფეხსაცმელების, კორსეტების, ქუდების და სხვ. წარმოებაში, მან გააძლიერა ანტიჰიგიენური გავლენა...

საზოგადოებრივი წარმოების წესის გადატრიალება, — ეს აუცილებელი შედეგი საწარმოო საშუალებათა გარდაქმნისა, გარდამავალი ფორმების ქრელ ქაოსში მიმდინარეობს. ეს ფორმები იცვლება იმის მიხედვით, თუ რამდენად და რაოდენ დიდი ხანია დაიპყრო საკერავმა მანქანამ მრეწველობის ესა თუ ის დარგი, აგრეთვე იმის მიხედვით, თუ როგორი იყო მისი შემოღებისას მუშების მდგომარეობა, რაოდენ გავრცელებულია მანუფაქტურული და ხელოსნური წარმოება ან შინაწარმოება, რა ზომისაა სახელოსნოების ჭირა და სხვ.

მაგალითად, შოდის საქონელთა წარმოებაში, სადაც შრომა უკვე ორგანო-ზაციულად ჩამოყალიბებული იყო, უმთავრესად მარტივი კოოპერაციის სახით, საკერავი მანქანა თავდაპირველად წარმოადგენს მხოლოდ ახალ ფაქტორს მანუფაქტურული წარმოებისას. თერძობაში, ფეხსაცმელების და სხვ. წარმოებაში ყველა ფორმა ერთმანეთშია გადახლართული. აქ ხან ნამდვილი ფაბრიკული წარმოებაა. ხან — შუამავლნი მთავარი კაპიტალისტისაგან იღებენ ნედლ მასალას და თავს უყრიან ჯგუფ-ჯგუფად „საკანში“ ან „ქერქვეშა ოთახში“ საკერავ მანქანებთან 10-დან 50-მდე და ხან მეტ დაქირავებულ მუშას.

დაბოლოს, როგორც ეს საერთოდ ყველა მანქანის ხმარებისას ხდება ხოლმე, როდესაც მანქანა მთლიანი სისტემის ნაწილს არ შეადგენს და გამოსაყენებელია პატარა ფორმატის სახით, — ხელოსნები და შინა-მუშები. თავიანთი ოჯახის ანდა მცირეოდენი უცხო მუშების დახმარებით, საკუთარ საკერავ მანქანებს ხმარობენ. ინგლისში ფაქტიურად ეხლა ასეთი

სისტემაა გამეფებული: კაპიტალისტი თავს უყრის საკერავი მანქანებში და რიცხვს თავის შენობებში და მანქანურ პროდუქტს შემდგომ გადასამუშავებლად უნაწილებს შინა-მუშებს მთელ არმიას.

მიუხედავად ამისა, გარდამავალი ფორმების სიჭრელე ვერ მალავს წამდელ ფაბრიკულ წარმოებად გადაქცევის ტენდენციას. ამ ტენდენციას ასაზრდოებს თვით საკერავი მანქანის ხასიათი, — მისი მრავალფეროვანი გამოსაყენებლობა იწვევს ერთმანეთისაგან განცალკევებული წარმოების დარგთა გაერთიანებას ერთ შენობაში და ერთ კაპიტალისტს ბრძახულობას ქვეშ; მასვე ასაზრდოებს ეს გარემოება, რომ წინასწარი დაბლანდვა და რამდენიმე სხვა ოპერაცია უფრო მოსახერხებელია იქ, სადაც მანქანაა მოთავსებული; დაბოლოს, ასაზრდოებს აუცილებელი ექსპროპრიაცია (საკუთრების ჩამორთმევა) ხელოსნების და შინა მუშებისა, რომელნიც საკუთარი მანქანებით ეწევიან წარმოებას. ეს ბედი მათ ეხლანაწილობრივ უკვე ეწეათ.

საკერავ მანქანებში მოთავსებული კაპიტალის მუდმივი ზრდა ხელს უწყობს წარმოების გაფართოებას და წარმოშობს საქონლის გასაღების შეფერხებას, რაც შინა-მუშებისათვის სიგნალია, — შეუდგენ თვითნთი საკერავი მანქანების გაყიდვას. თვით ამ მანქანების ჰარბი წარმოება აძლეებს მათ მწარმოებლებს, რომლებიც საქონლს გასაღებას საჭიროებენ, მანქანები კერძოული ქირით გასცენ, რითაც სასიკვდილო კონკურენცია იქნება მანქანებზე წვრილ მესაკუთრეთათვის. მანქანების კონსტრუქციის მუდმივი ცვლებადობა და მათი გათავსება მუდამ ფასს უკარგავს ძველ ეგზემპლარებს და მხოლოდ მსხვილი კაპიტალისტებისათვის ხდის ხელსაყრელად მანქანების გამოყენებას, რომლებსაც ისინი მასიურად და ჩალის ფასად ყიდულობენ.

დასასრულ, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს, როგორც ყველა ამგვარ გადატრიალებულ პროცესში, ეკუთვნის ადამიანის შენაცვლებას ორთქლის მანქანით. ორთქლის ძალის გამოყენება თავდაპირველად წმინდა ტექნიკურ დაბრკოლებებს აწყდება, მაგალითად, მანქანების რყევას, მათა სისწრაფის მოწესრიგების სიძნელეს, მსუბუქი მანქანების სწრაფ გაფუქებას და სხვ. მაგრამ გამოცდილება მალე ასწავლის ადამიანს ყველა ამ დაბრკოლებებს დაძლევას. თუ, ერთის მხრივ, მრავალი სამუშაო მანქანის კონცენტრაცია მსხვილ მანუფაქტურულ წარმოებაში მოითხოვს ორთქლის ძალის გამოყენებას, მეორეს მხრივ, ორთქლის კონკურენცია ადამიანის კუნთებთან აჩქარებს მუშებისა და სამუშაო მანქანების კონცენტრაციის მოხდენას დიდ ფაბრიკებში.

ასე, მაგალითად, ინგლისის წარმოების უზარმაზარი სფერო — „wearing apparel“ (ჩაცმა-დახურვის საგანთა მრეწველობა), აგრეთვე წარმოების სხვა დარგების უდიდესი ნაწილი ამჟამად განიცდის მანუფაქტურის, ხელოსნურა წარმოებისა და შინაწარმოების გადაქცევას ფაბრიკულ წარმოებად, მას შემდეგ რაც ყველა შემოადრინული ფორმა მსხვილი მრეწველობის ზეგავლენით სრულიად შეიცვალა, გაიხრწნა, დასაბიჩრდა და ყველამ უკვე დიდი ხანია დაამყარა, გადაქარბებითაც კი, ფაბრიკული

ნისტების ყველა საშინელებანი, მისი განვითარების დადებითი მომენტების ვადაულებლად.

ეს სტრუქტურად მიმდინარე სამრეწველო რევოლუცია ხელოვნურად აჩქარებას განიცდის საფაბრიკო კანონების გავრცელებით მრეწველობის ყველა იმ დარგზე, სადაც ქალები, მოზარდნი და ბავშვები მუშაობენ. იძულებითი მოწესრიგება სამუშაო დღისა ხანგრძლივობის, დასვენების, მუშაობის დაწყებისა და დაშთავრების მხრივ, სისტემა შენაცვლებისა ბავშვებისათვის, განსაზღვრულ ჰასაკზე დაბლა ბავშვების მუშაობის აკრძალვა და სხვ., — ყველაფერი ეს, ერთს მხრივ, საჭიროდ ხდის მანქანების გამრავლებას და კუნთების ნაცვლად ორთქლის გამოყენებას მამოძრავებულ ძალად; მეორეს მხრივ, რათა სადგომზე იქნეს ანაზღაურებული ის, რაც დროის მხრივ იკარგება, ხდება გაერთიანებულად მოხმარებულ საწარმოო საშუალებათა, — ლუმელების, შენობების და სხვ. გაფართოება, მოკლედ რომ ვთქვათ, ხდება საწარმოო საშუალებათა მეტი კონცენტრაცია და ამის შესაფერად მუშების მეტი შემქიდროება.

ყოველთვის, როდესაც მანუფაქტურას მასზე საფაბრიკო კანონის გავრცელების საფრთხე მოეღის, მას მთავარ საწინააღმდეგო საბუთად დასწრებით მუდამ იმას აღნიშნავენ, რომ, საფაბრიკო კანონისადმი დაქვემდებარების პირობებში, საჭირო გახდება უფრო ღიდი კაპიტალის დახარჯვა, რათა წარმოების ძველი მასშტაბი იქნეს შენარჩუნებული. რაც შეეხება მანუფაქტურასა და შინაწარმოებას შორის არსებულ შუალედ ფორმებს და თვით შინაწარმოებას, — სამუშაო დღის და ბავშვთა შრომის შეზღუდვით მათ ნაიდაგი ფეხქვეშ ეცლებათ სამუშაო ძალის უსაზღვრო ექსპლოატაცია მათი კონკურენცუნარაანობის ერთადერთ დასაცრდნობ საფუძველს წარმოადგენს.

(ქ. მარქსი — „კაპიტალი“ ტ. II).

თ ა შ ი VI

ბენედიქტის განვითარება მანუშაქტურულ პერიოდში

§ 1. მანუშაქტურული პერიოდის მანაწილი და მისი მანაწილება

ა) მქნევარი ბორბალი.

მქნევარი ბორბალი წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან შემადგენელ ნაწილს მანქანის გადამცემი მექანიზმისა, განსაკუთრებით მანქანის განვითარების იმ პერიოდში, როდესაც როტაციული მოძრაობა ჯერ კიდევ არ იყო გაბატონებულა. თავისი მასური და ერთგვარი მოძრაობით მქნევარი ბორბალი ასწორებს მანქანის არათანაბარზომიერ ვლას, აალო დგუშურ მანქანებში შესაძლებლობას იძლევა სწორხაზობრივი მოძრაობა გადაქცეულ იქნას ბრუნვითი მოძრაობად, მკვდარი წერტილის დაძლევის გზით. მქნევარი ბორბლის გარეშე ორთქლის დგუშური მანქანა ვერასდროს ვერ კპოებდა დიდ გავრცელებას, რადგანაც იძულებული იქნებოდა ემუშაენა მხოლოდ ბიძგებისა და დარტყმისა) და წვევის ძალით უღელას (ბალანსირის) შემწეობით.

პეორეს მხრივ, ყოველგვარი მუშა (საოპერაციო) მანქანები, რომლებშიაც თვით საქმის არსებისადამრჩედეით დასამუშავებელი საგნის წინააღმდეგობა შესაძლებელია იქნეს ხან დიდი და ხანაც პატარა, ანუ ისეთი შემსრულებელი (მუშა) მანქანები, რომლებიც მუშაობენ ბიძგებთან და პაუზებით (მაგალითად საგლინაეა დაზგები), აუცილებლობით მოითხოვენ მქნევარი ბორბლის არსებობას, რომელიც საშუალებას იძლევა გამოსწორებულ იქნას დარღვევები, რომელიც გამომდინარეობს მანქანის ამგვარა წყვეტილი გამოყენებისაგან.

შესაძლებელია დადგენილად ჩაითვალოს, რომ მქნევარი ბორბლის პრაქტიკული გამოყენება — მეტად შორეული (ძველი) წარმოშობისაა. ევროპაში პირველი მითითება მქნევარი ბორბალზე გვხვდება თეოფილთან 1100 წელს საბურღვა აპარატის აღწერის დროს. დაწყებული მე-XV საუკუნიდან მქნევარი ბორბლის გამოყენების მაგალითები გვხვდება ყველა იმ დროის განთქმულ ინჟინრებს შორის, გამონაკლისებს გარეშე — მიარინო, ლეონარდო და-ვინჩი, აგრიკოლა, ლორინი, სტრადა, რამელია

ერანჯიო და სხვ. მე-XV საუკუნის დასასრულისათვის მქნევარი ბორბლს მნიშვნელობა უკვე იმდენად შეგნებული იყო, რომ მანქანის ეს ნაწილი, სხვებისაგან განსხვავებით ხშირად კეთდებოდა რკინისაგან, რათა მას დიდი წონა ქონებოდა; მე-XVII და მე-XVIII საუკუნეებში მქნევარი ბორბალი სარგებლობს უკვე საყოველთაო გამოყენებით მრეწველობის მრავალჯვარ დარგებში.

სავსებით ბუნებრივია, რომ დანის სახარატო დაზგებთან ერთად მქნევარი ბორბლის გამოყენების მთავარი სფერო იყვნენ წყლის წისქვილები — მანქანური მოწყობილობათა მთავარი დასაყრდენი პუნქტები იმ დროში.

ბ) ხახუნის კანონები

რაც შეეხება ხახუნის კანონების გამოკვლევას, უნდა აღინიშნოს რომ ძირითადად ის ეკუთვნის უკვე მე-XIX საუკუნეს, ისევე, როგორც მქნევარი ბორბლის თეორიაც. ამ გამოკვლევათა პრაქტიკული შედეგი იყო ხის ნაწილებს ყველგან მიღებული შეცვლა ლითონის ნაწილებით, რადგანაც გამოკვლევებმა დაამტკიცეს, რომ იმ დროს როდესაც ხის ხახუნის კოეფიციენტი უდრის (მოძრაობის დროს) 0,36, მშრალი ლითონის ხახუნის კოეფიციენტი კი უდრის სულ 0,18, ხოლო მისთვის საცხებელის წასმის შემდეგ კი — 0,07-საც.

თუმცა, რამდენადაც ცოტათი იყო შესწავლილი ხახუნის კანონები თვით მე-XIX საუკუნის დასაწყისშიაც, გვიჩვენებს ის ფაქტი, რომ მთავარი მოსაზრება, რომელიც წამოაყენეს სპეციალისტებმა სტეფენსონის მიერ შედგენილი რკინის გზის პროექტის წინააღმდეგ, მდგომარეობდა საკითხში — შესძლებენ თუ არა ორთქლმავლის გლუ ბორბლები ბრუნვას გლუ რელსებზე ისე რომ არ გადასრიოდნენ? გენიალურ შექანიცხმა ამ საკითხზე უპასუხა თავისი „როკეტის“ ბრწყინვალე გამარჯვებით 1829 წელს.

საერთოდ, უნდა ითქვას, რომ მანუფაქტურის ეპოქამ, დააბანდა რა პირველად მეცნიერული და ტექნიკური ელემენტები მსხვილი მრეწველობისა, ძირითადად ხელუხლებელი დასტოვა კიდევ ტექნიკის ძირითად პრობლემები. ამ ამოცანების შესრულება მხოლოდ მე-XIX საუკუნეს უნდა ენოცა.

გადავხედოთ, თუნდაც ვაკვრით მდგომარეობას მეცნიერებისა, რომელიც უშუალოდ დაკავშირებულია ტექნიკასთან, მე-XVIII საუკუნის შუალედში, ე. ი. მაშინ როდესაც მანუფაქტურა განიცდიდა თავისი ბატონობის უკანასკნელ ათეულ წლებს. ჩვენ დავრწმუნდებით, თუ არსებითად როგორ ცოტა იცოდა კაცობრიობამ იმ პერიოდში, დავიწყოთ შექანიკა.

გ) მყარი (ხალი) სხეულების სტატიკა და დინამიკა

მყარ სხეულთა სტატიკისა და დინამიკის სფეროში მე-XVIII საუკუნის შუალედში შექანიკა პირდაპირ იმ დონეზე იმყოფებოდა, რომელზედაც

ის დაყენა დიდ გალილეიმ (1583 — 1590). გ. გალილეიმ საუფუძველი ჩაუყარა მეცნიერულ დინამიკას, აღმოაჩინა რა კანონები სხეულთა თავისუფალ ვარდნასა, გადადებულ სხეულთა მოძრაობისა, ქანქარას რყევას (ქანქარებისა), პრინციპი ინერციისა.

მაგრამ გავიდა დაახლოებით 150 წელი, ვინემ ეილერი არ გამოვადა 1743 წელს თავისი სრულქმნილი თხზულებით მექანიკაზე, რომელშიაც ეს აგრძელებდა გალილეის მიერ გაკეთებულ აღმოჩენებს. განთქმული ფრანგ მათემატიკოსმა დ'ალამბერმა 1743 წელს ბოლომდე მიყვანა გალილეის დინამიკა. შემდეგ იწყება თითქმის 50 წლიანი წყვეტილი და მხოლოდ 1788 წელს ლაგრანჟი, ცნობილი იმით, რომ პირველად მან გამოიყენა მათემატიკა მექანიკაში, მთელ დინამიკას მეცნიერული საფუძვლის სახით უღებს უკვე მის დრომდე ცნობილ პრინციპს მომქმედო სიჩქარისა. ამგვარად ამ დარგში მანუფაქტურული პერიოდის მექანიკოსები ძირითადად ისევ მემკვიდრეობით მიღებული ცოდნით ცხოვრობდნენ, რომელიც დასტოვა გალილეიმ და მის მოწაფეებმა.

ხახუნის კანონების შესწავლას სფეროში თვით 1758 წლამდე ტექნიკა საერაოდ დამყარებული იყო მხოლოდ უშუალო და მეტად არასრულქმნილ დაკვირვებებზე. 1758 წელს გერმანელ სეგნერმა პირველად შოთენა ერთგვარო სინათლე ამ, ამდენხანს ბნელ დარგს. მაგრამ მხოლოდ ფრანგ კოლომბის შრომებმა (1779 — 1790) მისცეს ბიძგი საკითხის სერიოზულ შესწავლას. რაც უკვე მთლიანად ხედება მე-XIX საუკუნეს.

დ) მასალათა სიჯიქე (გამძლეობა)

მასალათა სიჯიქის სფეროში მანუფაქტურული პერიოდი სარგებლობდა მხოლოდ ცდების საშუალებით მიღებული მონაცემებით. საკითხის თეორიული გაშუქება მეტად არადაბაკმაყოფილებლად იყო მოცემული, ნაწილობრივად იმის გამოც, რომ მათემატიკოსებს შორის გაბატონებული იყო დამახასიათებელი მანერა: გამოეყვანათ თეორიები მათემატიკურ აქტიურობათა თვითგანვითარებიდან, ასე რომ არ ემყარებოდნენ დაკვირვებებზე.

ექსპერიმენტს, რამდენადაც ის არსებობდა საერთოდ, თავის მთავარ მიზნად ჰქონდა. განესაზღვრა ძალა, რომელიც აუცალბებელი იყო, რათა დაეგლიჯა ანუ დაენაწილებოდა რომელიმე გარკვეული ზომის ხეული. აქ აშკარადდებოდა ტექნიკური შეზღუდულობა მანუფაქტურული პერიოდისა, რომლის მთელი მუშა მექანიკაში დამყარებული იყვნენ დარტყმაზე, ბძგზე ანუ შეკუმშვაზე.

პირიქით, სამრეწველო კაპიტალიზმის ეპოქის მუშა მექანიკები აყენებდნენ მოთხოვნას შესწავლილი ყოფილიყო სხეულთა ელასტიურობა, ე. ი. მათი უნარი, რომ აეტანათ გარკვეული დაწოლა (წნევა) ფორმის მნიშვნელოვანი ცვლილებას გარეშე. ამიტომაც მთელი მოძღვრებანი შესახებ მასალათა სიჯიქისა, რაზედაც დამყარებულია ჩვენი დროის მანქანათმშენებლობა და აღმშენებლობა, მიეკუთვნება, არსებობდა, მე-XVIII საუკუნის დასასრულსა და მე-XIX საუკუნეს.

ე) სითხეთა მექანიკა

სითხეთა მექანიკა მანუფაქტურულ პერიოდში თვით მე-XIX საუკუნის შუაშიდ იპოვებოდა ქემშიარტად ბეშეურ მდგომარეობაში. მაგალითად, ჰიდროსტატიკა თვით მე-XVII საუკუნის დასაწყისამდე გაყინული იყო იმ სახ.თ. როგორადაც იგი დასტოვა არქიმედმა. შრომებმა სტევენისა (1580), გალილეისა, ჰიუნგენსისა, ნიუტონისა, ბოგიუერიისა (გარდაიცვ. 1758 წ.) და კლეროლტისა მართალია გაამდღრეს ეს სფერო ახალი და ღარებული აღმოჩენებით. და მანც მხოლოდ ლაგრანჟმა (1788) შესძლო გაემარტივებინა ჰიდროსტატიკის საფუძვლები და დაეკავშირებია ის მყარ (სალ) სხეულთა სტატიკასთან, რითაც მან საწყისი დაუდვა ჰიდროსტატიკასთან დაკავშირებული საკითხებს მეცნიერულ გაშუქებას.

ჰიდროდინამიკის სფეროში უკვე ნიუტონი (1687) ცდლობდა გამოეანგარიშებია სითხეთა მოძრაობა, სარგებლობდა რა მოძღვრებათ დანამკაზე მყარი სხეულებსა. თუმცა, დაკვირვებათა არასაკმარისობის გამო, მის გამოანგარიშებებმა მიგვიყვანეს დასკვნებამდე, რაიც ეწინააღმდეგებოდა ცდებს.

სითხეთა მიღებში მოძრაობის პრობლემა პირველად დასმულ აქნა მხოლოდ 1738 წელს დანიელ ბერნულის მიერ, რომელიც შემდეგში მუშავდებოდა მთელ რიგ მეცნიერთაგან, რომელთა შორის ჩამოითვლება ასეთი სახელები, როგორიც არიან მაკლერანი, კლეროლტი, დ'ალამბერი, ეალერი და სხვანი. თუმცა მახვილგონიერებათა სიუხვე და ტალანტური წინასწარი განსკვრეტანი ამ მეცნიერთა შრომებში ვერავითარ შემთხვევაში ვერ ფარავდა ძირითად ნაკლს, რაიც მდგომარეობდა იმაში, რომ ისინი არ მიმართავენ ექსპერიმენტებსა და სასტიკად დაყენებულ დაკვირვებებს.

სითხეთა ყველა მხარეზე თანაბარზომიერი წნევის კანონი უკვე აღმოჩენილი იყო გალილეის მიერ, ჰიდროსტატიკური პარადოქსი სტევენისა ცნობილი იყო 1580 წლიდან და მიუხედავად ამისა გაარა 200 წელმა, სანამ ინგლისელ ბრომამ არ შესძლო 1795 წელს ეს კანონები გამოეყენებია ჰიდრავლური პრესის სასამსახუროდ. ჰიდროსტატიკის მათემატიკური თეორია, ეილერიისა და ლაგრანჟის შრომათა გარდა, უკავშირდება უმთავრესად უკვე მე-XIX საუკუნის მეცნიერთა სახელებს — ლაპლასი, ჰუასონი, გაუსი და სხვ.

წ) აირგვარ სხეულთა მექანიკა

შეიძლება ითქვას, რომ აირგვარ სხეულთა მექანიკა სრულებით არ არსებობდა მანუფაქტურის ეპოქაში. თუმცა მართალია, მისი საწყისები შეიძლება დაეინახოთ ლეონარდო დავინჩთან, ბესონთან და მანუფაქტურული პერიოდის მთელ რიგ სხვა მეცნიერებთან, რომლებიც მუშაობდნენ ორთქლის პრობლემებზე. მიუხედავად ამისა, ძირითადში აირგვარ სხეულთა მექანიკა არის პირმშო ორთქლის მანქანისა, გაუმჯო-

ბესებულ პაერსაბერველთა, გაზის განათებასა და ზუსტი ინსტრუმენტებისა (ანემომეტრი, მანომეტრი, ინდიკატორი და სხვ.), რომლებიც უკვე მე-XIX საუკუნეს ეკუთვნის.

გ) კონსტრუქტიული მექანიკა

კონსტრუქტიული მექანიკა თავის ელემენტარულ ფორმებში, რაიც საკმარისია წინაკაპიტალისტური პერიოდის პრიმიტიული მანქანების ასაშენებლად, ჩამოყალიბდა უკვე მანუფაქტურის ეპოქაში, როგორც ჩამოყალიბდა ამ ეპოქაში თითქმის ყველა ელემენტებიც მანქანისა.

თუმცა სავსებით მეცნიერული კონსტრუქცია მანქანებისა დაიწყო მხოლოდ მე-XIX საუკუნის შუახანებიდან, როდესაც, ერთი მხრივ, მანქანათა ნაწილების გამოსაყვანად იწყეს ავტომატების გამოყენება, მეორე მხრივ, როდესაც მანქანათა მუშაობის შესწავლა დაიწყო ჰთელ რიკრთულ და სათუთ მოწყობილობათა (მრიცხველი და მრეგისტრირებელი აპარატები, დინამომეტრები და სხვ.) შემწეობით.

საერთოდ მანუფაქტურული პერიოდის მექანიკა ზუსტად შეესაბამებოდა არასრულქმნილ შრომის პრიმიტიულ იარაღებს, რომლებიც იყვნენ გამოყენებაში ამ დროს. მუშა მანქანათა და აპარატების მხოლოდ შემდგომი განვითარების ბაზაზე გახდა შესაძლებელი ახალი და ძლიერი აყვავება ზუსტი მეცნიერების ამ დარგისა.

ესლა გადავიდეთ ფაზიკის იმ სფეროებზე, რომლებიც უფრო მკიდროდ არიან დაკავშირებული ტექნოლოგიასთან.

h) მოძღვრება სითბოზე

მოძღვრება სითბოზე, მთელ მის მრავალმხრიანობაში (სითბოგამტარობა, გამოსხივება, სპეციფიური და ფარული სითბო, სხეულთა გაფართოება, შეფარდება სითბოსა და მექანიკურ მუშაობას შორის და სხვ.) ძირითადად მიეკუთვნება მთლიანად მე-XIX საუკუნეს. ლავუაზიე და ლაპლასი (1780) იყვნენ პირველნი, რომელთაც სერიოზულად დაიწყეს ეს მუშაობა. გიუ-ლასაკმა, დალტონმა, ჰალშტრემმა და სხვ. გააგრძელეს ის უკვე მე-XIX საუკუნეში. პირველი ინსტრუმენტებიც სითბოს გასაზომად გაჩნდნენ აგრეთვე მხოლოდ მე-XIX საუკუნეში. საერთოდ მანუფაქტურულ პერიოდში, მისი განვითარებულა შრომის იარაღებით, ეს სფერო დასტოვა სავსებით დაუმუშავებელ სახით.

ი) ოპტიკა

ოპტიკური მოვლენები, რომელთა მეცნიერული შესწავლა პირველად დაიწყო უკვე ბოგერიმა (1729), მყარ საფუძველს ღებულობენ მხოლოდ 1794 წელს, როდესაც რუმფორდმა შექმნა მისი განთქმულა ფოტომეტრი. ფოტომეტრის გაუმჯობესება ბუნზენისა და ვილდის მიერ ეკუთვნის უკვე მე-XIX საუკუნის შუა ხანებს.

მხოლოდ მიკროსკოპი, — რომელიც განვითარდა უფრო აღწინდელი ტელესკოპის ანალოგიურად, და მსახურებდა საფუძვლად უთვალავ მეც-

წიგნულ აღმოჩენათა შემდგომ პერიოდში, — ცნობილი იყო უკვე მე-XVIII საუკუნის დასაწყისიდანვე. აქვე აღვნიშნავთ, რომ ტელესკოპი იყო ყველაზე უფრო ზუსტი მეცნიერული გამოხატულება სავაჭრო კაპიტალის ეპოქაში. რომლის მოქმედების მთავარი სფერო იყო ნაოსნობა და მასთან დაკავშირებული ასტრონომიული დაკვირვებანი.

j) ელექტრობა

პირველი ჩანასახები ელექტრობის შესახებ მოძღვრებისა ჩნდება აგრეთვე მხოლოდ მე-XVIII საუკუნის დასასრულსა და მე-XIX საუკუნის დასაწყისს. ვალტანი (1789) და ვოლტა არიან მისი პირველი მათწყებელნი.

k) ფიზიკა

ფიზიკის სფეროში მანუფაქტურული პერიოდი, რომელიც ყველაზე ნაკლებ ეჭვბოდა თავის საწარმოო პროცესებში ნივთიერებათა აგებულობას. ამგვარად კიდევ უფრო ღარიბად გამოიყურება. ვინემ მექანიკის სფეროში.

l) ქიმია

მანუფაქტურული პერიოდის ისტორიული შეზღუდულობა მეტად სასტიკად გამოდის ქიმიის სფეროში.

მანუფაქტურული პერიოდის დასასრული იმავე დროს ეს არის ალქიმიის დასასრულიც. მისდევდნენ რა მიუღწეველ მიზნებს, ეძებდნენ რა ყველა მძიმართლებით, ალქიმიკოსები ამზადებდნენ ნიადაგს მერმინდელი მეცნიერული ქიმიოსათვის. ალქიმიის გარეშე არ იქნებოდა ქიმიაც. საშუალო საუკუნეთა ალქიმიკოსებმა თავი მოუყარეს მდიდარ მასალებს, რომელთა მხოლოდ მეცნიერული დამუშავება უხდებოდათ მერმინდელ ქიმიკოსებს.

ირლანდიელ ბოილიმ (1663) და გერმანელ სტალმა (1697) პირველად ჩაუყარეს საფუძვლები მეცნიერულ ქიმიას, წამოაყენეს რა ფლოგისტონის თეორია წვის მოვლენის ახსნისათვის. თუმცა, ამ თეორიის თავისებურება იმაში მდგომარეობდა, რომ გაანოყიერა რა პრაქტიკის მნიშვნელოვანი სფერო (მიუხედავად თავისი მცდარობისა), მან აიძულა ქიმიკოსები, რათა მთავარი ყურადღება მიექციათ ქიმიურ ცვლილებათა თეოსობრივი მხარისათვის, უყურადღებოდ სტრუქტურულ რა რაოდენობრივ მხარეს.

რაოდენობრივი ანალიზი ქიმიაში თავის საწყისებს ათარიღებს ბლექის (1728 — 1799), კავენდიშის (1731 — 1810), კირვანის (1735 — 1812) და სხვათა შრომებიდან. 1775 და 1784 წლებს შორის ლავუაზიე თავისი ცდებით ადგენს ჟანგბადის როლს წვის პროცესებში და საბოლოოდ დევნის ფლოგისტონის დაძველებულ თეორიას. ამ უკვანით. სახელდობრ ლავუზიეს ეკუთვნის პატივი იყოს მამად თანამედროვე ქიმიისა. და მიუხედავად ამისა მეტად არა მრავალთ იციან. რომ ლავუაზიეს აღმოჩენა იყო არაპირდაპირი შედეგი პარიზის ქუჩების გა-

ზანათებელი ფონარების კონსტრუქციაზე მისი მუშაობისა. საცხებით მეცნიერულ ჯიშის გაჩენა შეეძლო და გაჩნდა აზვარად, მხოლოდ მაშინ, როდესაც ტექნიკის მიერ პრაქტიკულად დაყენებული იმოცანების გადაჭრა აღემატა მანამდე მოქმედი მეცნიერების შეძლებას.

მეცნიერების სფეროში, ასევე, როგორც ყველა სხვაში, მთლიანად მართლდება კ. მარქსის გენიალური დებულება, რომელიც ლაბარაკობს, რომ ამოცანები წარმოიშობიან მათი გადაწყვეტას საშუალებებთან ერთად. მხოლოდ მანქანის საუკუნე. მის მიერ ბუნების ძალთა ყოველმხრივი გამოყენებით სუამს, დაბოლოს, მეცნიერების წინაშე უფრო მაღალი ყალიბის ამოცანებს და ამასთანავე ერთად აძლევს მეცნიერებას საშუალებებსაც მათი გადასაწყვეტად.

(ს. ბ. ს. ნ. უ. ი — „მანქანების განვითარება“).

§ 2. სამთამაღრო სამხის ტექნიკა და ოკეანეაზია

XVI საუკუნეში (გარეანიაში)

საშუალო საუკუნეების დამლევა და ახალი დროის დამდეგში — ამთომადრო საქმის ტექნიკა გასაოცარი სისწრაფით განვითარდა, განსაკუთრებით: გერმანიაში, რომელიც ოქროსა და ვერცხლის სიმდიდრით „ევროპის პერსეთ“ გადაიქცა.

მალაროების გაღრმავებასთან ერთად სწრაფად იზრდებოდა შრომის სიმძნელე და საშრობობა და აგრეთვე სამთამაღრო საქმესთან დაკავშირებული ხარჯებიც. ამიტომაც, როგორც ვთქვით, მრავალი მინერალის, მაგ., ქვანახშირისა და რკინის ამოღება დიდი ხანი ძლიერ პრიმიტიული წესით წარმოებდა. მაგალითად. მურა-ქვანახშირის ამოღება, ე. წ. მადნიანი მთების ახლო XIX საუკუნის ნახევრამდე ძალიან მცირე მოგებას აძლევდა და მსხვილ კაპიტალისტებს არ იზრდებდა. იქ მხოლოდ წერილ-წერილი მალაროები ითხრებოდა, ზოგჯერ უბრალო თავლია ორმოები და ქვანახშირი ამოჰქონდა თვითონ მონაწილეს თავისი ცოლ-შვილის დახმარებით; მუშაობა ჩვეულებრივ მხოლოდ ზამთრობით წარმოებდა სასოფლო-სამეურნეო მუშაობის დამთავრების შემდეგ. პაის მქონე მონაწილეებად უმთავრესად გლეხები იყვნენ. გრძელვადისათვის საჭირო ფილაქანის ამოღება მეინინგენის მალლობებზე ეხლაც ძალიან პრიმიტიულია... „საქმე მდგომარეობს მრავალი შურფის გათხრაში იმ ადგილებში, სადაც მოიპოვება საუკეთესო, ადვილად გადასამუშავებელი და ზედამართან რაც შიობლება ახლო მდებარე ფილაქანი. მისწვდებიან საუკეთესო ქვის სვეტებს, მოაგროვებენ ხიჭს ამოღებას ადგილთან ახლო და თავს ანებებენ მუშაობას იმ შემთხვევაში, როცა რაიმე დაბრკოლებას წააწყდებიან, ან შურფი წყლით აივსება, რადგან წყლის გასაყვანი მილები არა აქვთ, ან არ ვაზა“ — ამოღებას ეწევიან საკუთარი შრომით მცირერიცხოვან საზოგადოებებთან შეკავშირებული მუშა-მოიჯარადრენი. ამის მსგავსად შეგვიძლია წარმოვიდგინოთ აგრეთვე სამთო მრეწველობის სხვა ძველი დარგებიც.

მარტივი იარაღით კაცი ვერ ჩასწვდება დიდ სიღრმეში. მთის ჯიშის დიდი მასების ამოღება მეტისმეტად ძნელდება; მაღაროს სიღრმეში ჰაერის დენა წყდება და შეუძლებელი ხდება მუშაობის გაღრმავება; მიწის ქვეშა წყალი ავსებს მაღაროებს.

მაგრამ კეთილშობილი ლითონის გაუმადლარმა წყურვილმა დასძლია ყველა ეს დაბრკოლება, თავის სამსახურში ჩააყენა მეცნიერთა და პრაქტიკოსთა კვლევა-ძიების სული, ახალი და რთული ამოცანები დაუსახა. ნორჩ მეცნიერულ ტექნიკას და ერთა გამოგონებიდან მეორისაკენ იწვევდა ხუნების ძალთა დასამორჩილებლად, უნაკლო იარაღების შესაქმნელად და სულ უფრო დიად ნაშენობათა ასაგებად.

ამგვარად, უკვე მე-XVI საუკუნეში გერმანიის სამთამადნო მრეწველობა, მისი ოქრო-ვერცხლის მაღაროებით, განსაცდებელ ტექნიკურ სიმძლავრეზე დადგა.

ვისაც სურს გაეცნოს ამ საგანს, მშვენიერი გზის მაჩვენებელს იპოვის გეორგ აგრიკოლა ხემნიცელის ზემოთ ხსენებულ წიგნში.

ჩვენს მიზნებს კი უფრო შეეფერება არც ისე დეტალებით და სპეციალური ცნობებით მდიდარი, მაგრამ უფრო ცოცხალი და ნათელი აღწერა იმ ტექნიკური მოწყობილებისა, რომელსაც მოითხოვდა ვერცხლის მაღარო XVI საუკუნეში; ეს აღწერილობა ეკუთვნის პასტორ მატთეზიუსს (Johann Matthiesius) იოახიმ-სტალიდან და მოყვანილია მის წიგნში, რომელსაც მოკლედ ეწოდება „სარეპტა“.

მეცნიერება უკვე ჩაბმულიყო სამთამადნო საქმის სამსახურში. თორაულებად მომზადებულ ინჟენერებს უნდა მოეწყოთ მაღაროებზე და ხელმძღვანელობა გაეწიათ სამაღაროე მუშაობისათვის. ასეთი შრომა შორს აღემატებოდა უბრალო გაუნათლებელ სამთამადნო მუშების ძალებს.

მაგრამ მუშებმაც იცოდნენ კომპასის ხმარება. „ეს საუცხოო ინსტრუმენტი მადლობისა და ქების ღირსია, რადგან გზას უკვლევს არა მარტო ნოგზაურებს ხმელეთზე და მეზღვაურებს გაშლილ ზღვაში, არამედ თქვენც, მთამადნის მუშებს; როდესაც მიწის ქვეშ იმყოფებით, ის გჩვენებთ, თუ ჰორიზონტის რომელ მხარეზე უნდა გათხაროთ გვირაბი და საიდან ამოხვიდეთ მიწის ზედაპირზე“. მთამადნის მუშას რომ კომპასი სჭიროდა გზის გასაკვლევად, ეს გვიჩვენებს იმას, თუ რაზომ რთული და მრავალშტოიანი ნაშენობა იყო მაშინდელი მაღარო. ცხადია, ინჟენერებიც ხმარობენ კომპასს ტრიგონომეტრიული ანგარიშისათვის (ცალკე მაღაროების საზღვრების გამოსარკვევად, სამაღაროე ვენტილატორების მოსაწყობად და სხვა. „მაგრამ განსაკუთრებულ სამსახურს გვიწევს იგა კეთილშობილ მარკსრეიდერულ ხელოვნებაში (გამიჯვნის საქმეში) ურომლისოდაც შეუძლებელი იქნებოდა მუშაობა მაღაროებში, თუ არ სურთ ზარალი შეაყენონ მონაწილეებს (მაღაროს პატრონებს), ან ძალიან მალე წააწყდნენ სხვა მაღაროების გვირაბებს, თუ სურთ წყალი გამოიყვანონ. ჰაერი მიაწოდონ და სამართლიანობა სცნონ და დაიცვან ყველას მიმართ... ერისკაცნი უნდა სწავლობდნენ ევკლიდეს გეომეტრიის პრინციპებს და, გარდა ძველებური ხელსაწყოს საზომებისა და სამიჯნაო ლენტების ხმა-

რებისა, შეისწავლონ მრავალი ახალი ხელსაწყო და საზომის ხმარება. მაგრამ ვინც კუთხვარა ხმარება და პროპორციების გამოანგარიშება იცის, ის ნამდვილი ოსტატია თავის საქმეში“.

ჩვენ ვხედავთ, თუ აქ როგორ განვითარებულა მსხვილი კაპიტალისტური წარმოების დამახასიათებელი თვისება. მუშები ორ ჯგუფად იყოფიან: ერთია გაუნათლებელთა „მუშა ხელი“, რომლისაგან მხოლოდ რაც შეიძლება მეტ ფიზიკურ ძალას მოითხოვენ, მეორეა — განათლებულთა გონებრივი შრომა, რომელთა ინტელექტუალურ ნიჭს აგრეთვე უღირეს ამოცანებს უსახევენ.

მე-XVI საუკუნემ ჯერ არ იცოდა „ინტელიგენციის სიჭარბე“; თუ მას ადგილი ჰქონდა, ყოველ შემთხვევაში არა ტექნიკის, არამედ უფრო ღვთისმეტყველების დარგში. იმ დროს ინჟინერს ყველგან ვერ შეხვდებოდით, როგორც დღეს, და ამიტომ მათ დღეად აფასებდნენ. მატრიციუსი ამბობდა: „უნდა ვადაღოთ ხელოვანთა შრომა და გარჯალობა, პატრიცეით იმ სასწაულთმოქმედს და ქეშმარიტების შექცნობ ადამიანებს უფრო მეტად, ვიდრე მთამადნის მუშებს, რომელთაც მხოლოდ ძველი მაღაროს ჩიჩქნა თუ შეუძლიათ“. ზოგიერთი თავადი და სენიორი ღირსეულად აფასებს ამ დახელოვნებულ ოსტატებს, რომელთათვის თვით ღმერთსა და ბუნებას მაუნიციებია უპირატესობა სხვათა წინაშე. იმპერატორი მაქსიმილიანი ძალიან კარგად ეპყრობოდა თავის ხელოვნებს: როდესაც ერთმა მათგანმა, რომელმაც ინსბრუკის შენობები ააგო და საძირკველი ჩაუყარა წლის ნაშენობას კუტტენბერგში, საქაჩავის მაგვარი იარაღით დასწია და მთლად ამოაშრო დიდი ტბა, — როდესაც ამ ხელოვანმა ხელმწიფეს შესწავლა, რომ ზოგიერთი პირნი მას ცუდად ეპყრობიან, ღვთისნიერმა ხელმწიფემ წარმოსთქვა: „ამ ხალხმა არ იცის, თუ როგორი მოპყრობა მართებს ხელოვანს“—ო.

„მაგრამ, მადლობა უფალს, ჩვენს დროში ეს და მრავალი სხვა თავისუფალი ხელოვნება კვლავ სწავლას საგანი გახდა სასწავლებლებში სახაოებისთან ერთად და მრავალმა კეთილმა ადამიანმა უწყის, თუ რას ემსახურება ეს ხელოვნებები და როგორ უნდა გამოიყენოს მიწის საზომი სამკუთხედი და ოთხკუთხედი; ამიტომაც ამგვარ გონებამახვილ ადამიანებს, რომელთათვის ბუნებას მათემატიკისა და ხელოვნებისადმი მშვიდველობა და სიყვარული მიუნიჭებია, მაღაროების პატრონებმა და მთის ქალაქებმა უნდა დაეხმარონ და ხელს გაუმართონ, რათა მათ მარკ-შრეიდერული საქმის ქეშმარიტი საფუძვლები შეისწავლონ და სასარგებლო და მტკიცე ინსტრუმენტები ამზადონ, რომლის საშუალებით მყარე ხარჯით ყოველ დღე შეიძლებოდეს წყლის ამოყვანა და მადნის ამოღება მაღაროებდან“.

მაშასადამე, სამთამადნო საქმეში მეცნიერება სასარგებლო გამხდარა წარმოებისათვის უკვე XVI საუკუნის დამდეგში; ტრადიციას და მამუპაპურ ჩვეულებას, ჯერ ესოდენ მნიშვნელოვანს ხელოსნობაში, ბოლო მოელო სამთამადნო დარგში; ამის ადგილი რევოლუციონურმა ფაქტორმა დაიჭირა: მეთოდურმა, მეცნიერულმა კვლევა-ძიებამ. მისი ამოცანაა წარ-

მოკბას წესის შეუჩერებელი ცვლა-განვითარება, ერთი მეორეზე უზგობესი იარაღების გამოგონება, შრომისა და ხარჯის გამოზოგვა. ყოველად ეს თანამედროვე მსხვილი კაპიტალისტური მრეწველობის დამახასიათებელი ნიშნებია.

რამდენად ფართოდ ხმარობდენ სამთამადნო მრეწველობაში მანქანებს. მატრეზიუსის შემდეგი აღწერილობიდან ჩანს:

„სამთამადნო მუშის შრომა ცხენის სამუშაოა; მუშების ერთი წყება წყალს აშრობს და მადანს ზიდავს მძიმე ძრავებით; მუშები სისხლს ანთხვევენ პიროდან და ზოგჯერ კასრსაც იტეხავენ ამ ქაპან-წყვეტაში. მთელი დღე დედის შობილა დგას და წყალს ზიდავს; სანამ დაწესებული დრო არ გაივლის. მაგრამ დიდი ღვაწი მოწყალება და სიუხვე: სასარგებლო იარაღებთა და ხელოვნებით შეამსუბუქა მან ის ოფლის დერა, რაც ცოდვის გულისთვის აქვს მსჯილი ადამიანთა მოდგმას: კაცის მაგიერ ეხლა ცხენს აბამენ და საუცხოო ხელოვნებით წყალს, ქარს და ცეცხლს ამოქმედებენ მადნისა და წყლის ამოსაზიდავად; ამით ხარჯი მცირდება და ფარული განძა უფრო სწრაფად იპოვება და ამოიღება.

„ამ სიკეთისთვის, — რომ საბატონო ბეგარასა და სამუშაოს პირუტყვი და სტაქიონი ასრულებს, — ღმერთს უნდა მიჰმადლოს ქვეყანამ დიდებით. მთელი დღე მძიმე ოწინართან იდგე და ერთი ფენიგას გულისთვის აბრუნო იგი, თან გეშინოდეს ოწინარმა არ გადაამსროლოს, ან ტარი არ მომხვდესო — ეს ხომ ტანჯვით ნაშოვარი ხელფასია. რადგან ორმა მუშამ ერთწყებად მრავალი კასრი წყალი უნდა ამოზიდოს და რადგან კასრი თითქმის ერთ ვედრა წყალს იტევს, დიდი ძალის პატრონი უნდა იყოს და ძარღვები დაიწყებოთ ფეხებში და მკლავებში.

მაგრამ აი ღმერთმა ხელოვანი გამოგვიგზავნა და მათ გამოგვიგონეს ჰერმარიტი გაუმჯობესება და დახმარება, — მაქნევარა ბორბლები, საბერველი ოწინარებით. შტანგები ოწინარის თვლებსათვის, — ყოველივე ეს იმისთვის, რომ საქმე უფრო მარჯვედ და იოლად კეთდებოდეს. აწყობენ აგრეთვე რგვალ ბორბლებსა და თვლებს თავისი ტიბუირებით, კბოლოვანი და გადამცემი ბორბლებით და კალაპოტებით, რათა წყლისა და მადნის ამოზიდვა შეიძლებოდეს არა მარტო ხელებით და გვერდებით, არამედ ფეხებთა და მთელი ტანითაც. ესეც მადლობის ღირსი გამოგონებაა. ძრავებიც მშვენიერი გამოგონებაა, რადგან ცხენის ძალით ამოაქვთ ზევით მადანი და წყალი და ერთ წყებად ეხლა იმაზე მეტის ამოტანა შეიძლება, რასაც ოცო ოწინარი სჭირდებოდა. აგრეთვე ცხენის ოწინარი თავისი საყელურით. საქმე უფრო იოლად კეთდება, როდესაც მალაროში დგარებსა და ღერძებს აწყობენ ჰაერის, მადნისა და ვენტილიატორის მისასაღებად. მთამადნის მუშებს თან უნდა ქონდეთ შლანგები და ტყავის ტომრები, რომლითაც ზამთარში მადანს ზიდავენ მაღალ ალპებიდან სადნობ ღუმელებსაკენ; უნდა ჰყავდეთ აგრეთვე ძაღლები, რომლებსაც ცარიელი ტომრები ისევ მთაზე ააქვთ.

უბრალო და კარგად მოწყობილი წოლხვირი (შტოლნა), არხებით და სანაგვე მოწყობილობით მორთული, უმკველად სამთო ხელოვნების სა-

უცხოო ნიმუშს წარმოადგენს, რადგან აქ ჰაერს სწმენდენ, წყალს აშრობენ და ადვილად ამოაქვთ მადანი პატარა ურმებით; ამიტომ სამთამადნო მუშებმა მადლობა უნდა უძღუნან უფალს და ჩქარა და სრულად იხადონ გადასახადი, მეოთხე და მეცხრე ფენიგი. ზოლო სადაც წოლხვირის (შტოლნას) მოწყობა არ ხერხდება, იქ ჰიდრაულურ ხელოვნებას აქვს თავისი ფასი: წყალს ბორბლის ირგვლივ დამაგრებული ჩამჩებით ეზიდებიან, ან ბორბლით, რომელსაც შიგნით შდგომი მუშები ამოძრავებენ, ან კიდევ წყალსა და ქარის საშუალებით ამოაქვთ ზევით წყალი. როდესაც წყალი მალაროს ძირზე მიმდინარეობს, განსაკუთრებული მოწყობილობით შეიძლება მისი გარეთ გამოყვანა, როგორც ამ ჰიდრაულური ხელოვნებით მოხერხდა შრაველ ადგილას. მაგრამ ვინაიდან მიწისქვეშა წყალი ზევით უნდა იქნეს გამოყვანილი, ამისთვის არხების გათხრაა საჭირო, როგორც ეს პიტრუსის სამთო საქმეშია წარმოადგენილი, რომელი მრეწველი ტანჯვით მოკვდა წყლის ბორბლის კამერაში. აქ ოსტატებმა შრაველი შესანიშნავი და საუცხოო იარაღი გამოიგონეს, განსაკუთრებით მილებიანი შტანგები და საქაჩეები, რომლის საშუალებით მოვარდნილი წყალი ადამიანის ქარისა და წყლის ძალით მიწის ზედაპირზე გამოყავთ *).

„თქვენ მთა-მადნის მუშებმა ერთხმად უნდა აღიღოთ ის კეთილი ადამიანი, რომელმაც ქარის ძალით მოაწყო ბარში მადანსა და წყლის ამოღება, — როგორც ამეამად ცეცხლის საშუალებით უნდა იზიდებოდეს წყალი... **).

„დასასრულ, ვინაიდან მე აქ სწორედ ხელოვნურ გამოგონებებზე ვლაპარაკობ. მე, მთის მქადაგებელმა უფალს უნდა მიემადლო იმ საუცხოო ხელოვნებისათვის, რომელიც ვენტლიატორებით, საჰაერო მილებით (აგრიკოლა, შრომაში — Lotten, ლათინურად canalis longus — გრძელ მილები) და საბერველებით სუფთა და საღ ჰაერს აწვდის მალაროში ნაცვლად ცუდი ჰაერისა. არსებობს ასეთი მოწყობილობაც: ფიურსტიან ერთ მალაროში შლი გააკეთეს ფურცებიდან, შეღებეს და გამოგლისს თიხით თუ შლამით. რათა ამ შლით მთის გულში წმინდა ჰაერი შეეყვანათ და ცუდი ჰაერი გაშოყვანათ სანაგვე ადგილიდან; იქ კი სადაც საბერველებია მოწყობილი. საღი ჰაერი სწრაფად იქერს ცუდი ჰაერისაგან განთავისუფლებულ ადგილს, რადგან ბუნება ვერ ითმენს, რომ ადგილი ცარიელი დარჩეს უჰაეროდ.

„ამბობენ, კუტტენბერგში ცუდი ჰაერი საკვამლე მილების მეშვეობით დიდი მილებით გამოყავთ, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, როდესაც ცეცხლს აჩაღებენ და, წინააღმდეგ, ხუთასი ლახტერის (ლახტერი = 2 მეტრი) მანძილზე აწვდიან მალაროს წმინდა ჰაერს; აგრეთვე ჩვენთანაც, იოახიმსტალში, ამას წინათ ისეთი მოწყობილობა გამართეს, რომლის სა-

*) თავის შრომის მეექვსე წიგნში აგრიკოლას აწერილი აქვს სამნაირი მოწყობილობა, რომლებშიაც წყალი ვედროებით ამოაქვთ. შეიძინაო საქაჩეი და ექვსნაო „ნაშენობა, რომელსაც წყალი შტანგებით ამოაქვს“ და სხვა. — მაშასადამე. 16 ნაო. წყლის ამოსაშრობი მანქანა ყოფილა.

**) აქ ორთქლის მანქანა უნდა იგულისხმებოდეს.

შუალებ-თ წმინდა ჰაერს მიღებით და საბერველით მრავალ ასეულ ლახტერის მანძილზე დენიან იმ ადგილისაჲც, სადაც დიდა ხარჯით ორ წოლხვრს (შტოლნა) თხრიდენ ერთი მეორეს გვერდით.

აქ პატეტუზუსი საკუთრივ სამთომადნო საქმეზე ლაპარაკობს. რაც შეეხება მადნის გადამუშავებას, აგრეკოლას წიგნი გვაძლევს საშუალებას წარმოვიდგინოთ, თუ რა ვეებერთელა ქარხნეულობა არსებობდა სამთომადნო საქმის ამ დარგისათვის: წესქეილები მადნის დასაფხვენელად, სადნობი ბურღები, აპპარატები ლითონის გასაწილავად და „მაგარ სითხეების“ გამოსამუშავებლად (მარილი, შინა და სხვ.). მაგრამ ეს ცნობებიც საქმარისად მოწმობს, რომ სამთომადნო საქმე, ყოველ შემთხვევაში კეთილშობილ ლითონების ამოღება, მე-XVI საუკუნეში დიდი ხანია ხელოსნობის ფარგლებს გასცილებია. ის უკვე იმ უბრალო ოპერაციებ-საგან როდი შედგებოდა, რომელიც მუშას შეგირდობის ხანაში შეეძლო შესწავლა ცალ-ცალკე და შემდეგ მთელი საქმეც გაეგო არსებობდა. უბრალო მუშას აღარ შეეძლო სამთომადნო საქმის შესწავლა. მალარო ვეებერთელა და რთულ ორგანიზმად გადაიქცა, რომელიც ფართო, ზერხიანსა და ძვირფას შენობებსა და მოწყობილობას მოითხოვდა. შისი მართვა და მოვლა მხოლოდ მეცნიერულად მომზადებულ ტექნიკოსს, „ხელოვანს“, შეეძლო და ადამიანის კუნთებზე გაცილებით უფრო დიდ ძალებს უნდა აემოძრაებია იგი. კაპიტალი უნდა ქონოდა იმას, ვინც ამ ორგანიზმს დაეპატრონებოდა და ამუშავებდა.

ამგვარ პირობებში პროლეტარს არ შეეძლო ქონოდა იმედი, რომ ეს საკუთარი ხარჯით თუნდაც ერთი მალაროს მოწყობას მოახერხებდა. განცალკევებულ წვრილ კაპიტალისტებსაც არ შეეძლოთ მალაროს სათანადო მორთულობისათვის საჭირო ხარჯის გაწევა.

რა საკვარველია, მათ შეეძლოთ ერთ საზოგადოებაში, სამადნე ამხანაგობაში გაერთიანებულნიყვნენ. ასეც შერებოდენ ხშირად. მაგრამ პაეზრ (კუქსები) ყოველთვის როდი იყო მდაბიო ხალხისთვის მისაწვდომი. ოჯახ-მეტალის მრავალ მალაროში თითო კუქსი ათას იოჯახსტალერად იყიდებოდა, რაიც იმ დროსათვის დიდ თანხას შეადგენდა. თანაც მუშაობა ყოველთვის კარგ შედეგს კი არ ოძლეოდა.

გეოლოგია იმ დროს ჯერ სულ ნორჩი მეცნიერება იყო და სამთო საქმე ამის გამო აზარტიან თამაშის საგნად იქცეოდა გაცილებით უფრო ხშირად, ვიდრე დღეს. ამოღებულო მადნის რაოდენობა არაჩვეულებრივად ცვალებადი იყო. ზოგჯერ თავს ანებებდენ არა თუ ერთ მალაროს, არამედ მთელს საბადოს, შემდეგ კი კვლავ დაუბრუნდებოდენ და წარმატებით დაამუშავებდენ...

მსხვილ კაპიტალისტს, რომელიც შემოსავლის ამგვარ ცვალებადობას გაუძლებდა. საბოლოოდ, მთელ რიგ წლებს შემდეგში. შანც დიდ შოგებას ნახავდა. მაგრამ წვრილ კაპიტალისტს ხშირად სრული გაკოტრება ემუქრებოდა, და თუ ბედი გაუღიმებდა და დიდ მოგებას მიიღებდა, მსხვილი კაპიტალისტები გამოიყენებდენ თავის გავლენას თავადებზე და მათ

შოხელეებზე, და ითასგვარ საშუალებას გამონახავდნენ იმ-სათვის, რომ წერილი კაპიტალისტის ხელიდან შემოსავლიანი მალაროები გამოეცალათ.

ა გ რ ი კ ო ლ ა გვიამბობს, რომ ბევრნა უზნეო საქმეთ სთელიდენ სამ-თამადნო მრეწველობას. ამის მიზეზი ის ხერხები იყო, რომელსაც სამ-თამადნო მრეწველობაში ხმარობდნენ: „როდესაც გაჩდება იმედი, რომ ამა თუ იმ ადგილას ლითონი მოიპოვება, შოვა თავადი ან რომელიმე უფროსი და წაართმევს მრეწველს საკუთრების უფლებას მის მალაროზე: ან მოდის რომელიმე ანგარებიანი მეზობელი და გააბამს ძველ მრეწველებთან საა-პართლო დავას იმ მიზნით, რომ მალაროს ნიწილა მაინც წაღლიტოს. ან კიდევ სამთო ჰაუპტმანი დიდ დამატებით თანხას შეაწერს, რათა შემო-სავლიანი მალაროს პატრონმა უარი განაცხადოს თავის წილზე, და თუ უკანასკნელი ფულს არ გადახდის ჰაუპტმანი მალაროს ართმევს მას ყოველივე სამართლის წინააღმდეგ. ისეც ხდება, რომ შტიეგერი მაატო-ვებს მადნის ძარღვის დამუშავებას და შემდეგ, როდესაც მრეწველები თავს დაანებებენ აქ მუშაობას, რადგან საბადო გამოფიტული ეგონებათ. შტიეგერი კვლავ ბრუნდება და ძალით ისაკუთრებს მალაროს. ამას გარდა, ზალზო, რომელიც სამთო საქმეს ეწევა (ჩვენ არ ვლაპარაკობთ დაქირავე-ბულ მუშებზე), ვერაგი, მატყუარა და გარყვნილი ვაჟბატონებ-ა... სამთა-მადნო მოსაქმე ან აქებს და აღიღებს მადნის ძარღვს, რომ ზალზო მოატ-ყუოს და ორჯერ უფრო ძვირად გაასალოს კუქსო, ან, პირაქით, ყოველად უეარგისად წარმოადგენს, რომ უფრო იაფად შეისყიდოს კუქსი“.

საკვირველი არ არის, რომ სამთამადნო საქმეს მაშინ. ისეთივე ცუდ-სახელი ქონდა, როგორც ჩვენ დროში ბირჟას, მაგრამ მიუხედავად ამისა, თანამედროვე ბირჟასავით იზრდებდა კაპიტალისტებს. როგორც ჩვენ დრო-ში ბირჟა, ისე იმ დროს სამთამადნო მრეწველობა წარმოადგენდა სწრაფ-გამდიდრების მოსურნე წერილ კაპიტალისტთა ექსპლოატაციუს საშუა-ლებას. რა თქმა უნდა, არავინ არ გაბედავდა ზემოთ აღნიშნულის მზგაე-სად მოეტყუებინა ისეთი დ დი კაპიტალ-სტებ, როგორიც ყუენენ, მაგა-ლითად, ფუგგერები. შეიცავს ოქროს საბადოების მოიჯარადრენი, ან ცვიკაუელი ვაქრები გვარად რემერები. რომელთაც შნებებერგის ვერცხლის მალაროებში უდიდესი წილი ედოთ და ამ მალაროებით უზომოთ გამ-დიდრდენ.

„ვისაც მალაროს დამუშავება სურს, — ამბობს მატტეზოუსი თავის მე-ექვსე ჰადაგებაში, — იმას ან ფ უ ლ ი უნდა ქონდეს ან შ რ ო მ ი ს თ ვ ი ს გამზადებულ ხელებზე, ვინაიდან მხოლოდ ძალიან მდი-დარს ან ს რ უ ლ ი ა დ ლ ა რ ი ბ ს შეუძლია ხელი მოჰკიდოს. ამ საქ-მეს, შურთები გაიყვანოს და სხვა“.

სტვის სიტყვებით რომ ვთქვათ: მხოლოდ მსხვილი კაპიტალისტებისა და პროლეტარებისათვის არსებობდა ნიადაგი სამთამადნო მრეწველობაში.

ს. კ ა უ ც კ ი — უახლოეს სოციალიზმის წინამორბედი).

სამთო მრეწველობა მე-XVII საუკ. დასაწყისამდე, ძირითადად განი-საზღვრებოდა რკანის, სპილენძის, თუთიას და ვერცხლის მადნის ამო-ლებით. მხოლოდ კაპიტალისტური ეპოქის დასასრულისათვის იღებს დიდ მნიშვნელობას ქვა-ნახშირის ამოღება. სამთო ტექნიკა, ამ სიტყვის ვიწრო გაგებით, ისევე როგორც მეტალურგიული საქმის ტექნიკაც, მთელი სა-შუალო საუკუნეების განმავლობაში იმყოფებოდა თავისი განვითარების ძალზე დაბალ და პრიმიტიულ საფეხურზე.

ქვანახშირის ამოღებისას ჩვეულებრივი ხერხი იყო: ან ნახშირის უშუალოდ ამოღება მ-წ ს ზედაპირზე, ანდა უბრალო წოლხერებიდან. მადნის ამოღების დროს დასახმარებელ საშუალებას წარმოადგენდა მალ-როს მუშის ჩვეულებრივი ხელსაწყო ჩარალი: ბადია და მადნის გადასაწი-ლი ურემი. მიწის ზედაპირზე ნახშირი ამოჰქონდათ მუშებს ზურგით ან და ხელს ოწ-ნარების საშუალებით.

ეს პრიმიტიული ტექნიკა ძირითადად შეუცვლელი რჩებოდა საშუალო საუკუნეების მთელ მანძილზე, გარდა ერთი მიღწევისა, სახელდობრ წოლ-ხერების მოწყობის, რომელთა გამოყენებაც დაიწყეს ბოჰემიაში მე-XIII საუკ. სადაც მან დაახლოებით 1300 წ. ფართო გავრცელება მიიღო მა-შინ, როდესაც სხვა ადგილებში ის გავრცელდა მე-XIV საუკ. განმავლო-ბაში. წოლხერების ცნების ქვეშ წარმოიდგინება ჰორიზონტალური ან მთაზე მიმავალი გზები, რომლებიც გაყავდათ სამუშაოების ადგილის ქვეშ იმისათვის, რომ მათი საშუალებით გაეშვათ ნიადაგის წყლები ახლო მდე-ბარე უბნებიდან და მიეწოდებიათ ჰაერა სამუშაო ადგილებისათვის.

ყველა დანარჩენი, თავის შედეგებით მნიშვნელოვანი მიღწევები სამ-თო მრეწველობის ტექნიკაში მიეკუთვნება მე-XVI საუკუნეს. მათ შორის უნდა აღინიშნოს ვერცხლის მადნის ამოღებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონე ხ ე ლ ო ვ ნ უ რ ი მ ო წ ყ ო ბ ი ლ ო ბ ა. რომლის და-ხმარებითაც წარმოებდა მალაროდან წყლის ამოქაჩვა*). ეს ახალი გამო-გონება აშუალებას იძლეოდა ნიადაგში ღრმად შექრისა და შესაძლე-ბელს ხდიდა მადნა-ნა ფენის ჩქარა გამოფ-ტვის თავიდან აც-ლებას.

ამ მანქანების მოძრაობაში მოსაყვანად უფრო ხშირად სარგებლობდნენ, დაწყებული მე-XVI საუკუნიდან საფეხურებიანი ბორბლით და ცხენ-თ საქრავით. ცხენით საქრავი პირველად გამოყენებული იქნა S. Andrens-ში იოან-შისტალის ახლოს.

მალაროდან წყლის ამომყვანი მანქანები წარმოადგენენ უკვე მნიშვნე-ლოვან მოწყობილობით. თავისი შედეგებით მდიდარი, შემდგომი გამო-გონებანი სამთომადნო საქმის ტექნიკის ღარგში გვხვდება ჯერ კიდევ მე-XVIII საუკუნის დასაწყისამდე:

1. მიწისა და მთის საბურღი (1550 წ.).

*) ამ მოწყობილებათა აღმოჩენას ათარიღებენ 1550 წლით; ცდები-კი ასეთი გამო-გონებათა ეკუთვნის ბერსა და უფრო აღრინდელ ხალხებს.

2. აფეთქება დენთითა: 1613 წ. პირველი ცდა იქნა გაკეთებული. არ ყოფნიდა საიშედო „ბერგი“ (დენთის ასაფეთქებელი მუშაობის დროს ნაჩანგის ჩახეკვა), რომელიც აღმოჩენილი იქნა 1687 წ.

3. ერთლიანდაგიანი და რონის გზები: ერთლიანდაგიანი გზა — ამოქვრეთილი ხის, ქვას ან რკინის ლანდაგი — გეხვდება გერმანიის სამთო მრეწველობაში, დაწყებული მე-XVI საუკუნიდან...

4. სპეციფიკულია ციო ქმოსის გამოგონება.

1500 წლამდე მადნის დამზადება ც ძალზე პრობლემატული იყო. წარმოებდა: მადანს ხელით სრესადენ როდინში მანამდე, სანამ ის არ იქცეოდა დაღვრილ ფხვნილად, რას შემდეგაც მას ხორბალის დასაფქვავ ხელის წასქვალბში ისე კარგად ხსნიდენ (ფქვედენ), რომ შეიძლებოდა შემდეგ მისი გარეცხვა. წლას გამოსარეცხად ხმარობდენ საცურას.

მე-XVI საუკუნის დასაწყისს (1512 — 1519) მიეკუთვნებოდა ფრანდ მნიშვნელოვანი გამოგონება წყლით მოძრავი სანაჯი ხელსაწყოსი: ამბიუ ხანებში იქნა აღმოჩენილი საშუალება რკინით ღარიბ მადანს გამდიდრებასა გარეცხვის გზით. ამ გამოგონებას ორგანიზირებდა მნიშვნელობა ჰონდა: ის ანთავისუფლებდა ადამიანის ძალას და იწვევდა მადნის ეკონომიას.

მადნის ნამდვილი ეკონომია დაიწყო მე-XV საუკუნის მწურულში და რასაც საყოველთაო მნიშვნელობა ჰქონდა მთელი მეურნეობის განვითარებისათვის: რკინის მკეთებელ წარმოებაში შეიქმნა შესაძლებლობა მადნის ბრძმედში ვადამუშავებისა; ვერცხლის წარმოებაში შემოიღეს ამაღლამაცია (მადნიდან ოქროსა და ვერცხლის ამოკრეფა ვერცხლის წყლის საშუალებით).

თითო მე-XV საუკუნემდე იცოდენ მხოლოდ ე. წ. რკინის უშუალო მოპოება პირდაპირ მადნიდან რკინის გამოქვდვით დამზადების გზით.

შემდეგ დაიწყეს ადვილად აღსადგენი წყალრკინიოის დნობა რკინის დასამზადებელ ქურაში საბერველის დახმარებით: მიღებულ რკინის ნაკუმშს მძლავრად სცემდენ უროს იმისთვის რომ მოეცილებიათ შერეული წიდა, რის შემდეგაც მას ანაწილებდენ მრავალ ნაქრებად და გლონავდენ უროს ქვეშ.

მე-XV საუკუნის მნიშვნელოვან მიღწევას წარმოადგენდა რკინის დნობის გამოგონება და ბრძმედულ წარმოებაზე გადასვლა, ე. წ. ვერდუოდებული რკინის შუალობითი მიღება. რომლის დროსაც გერ იღებენ თუჯს, ხოლო შემდეგ მისგან აწვადებენ ქედად რკინას და ფოლადს. გამოსაეალ წერტილს, როგორც რკინის დნობის ისე თუჯის მიღებაზე ვადასგლისათვის წარმოადგენდა წყლის მამოძრავებელი ძალის გამოყენება.

წყლის მამოძრავებელი ძალა ორი მიმართულებით იქნა გამოყენებული: ქედის დროს რკინის უროს მოძრაობაში მოსაყვანად და საბერველს მოძრაობაში მოსაყვანად (პირველად ტყავის, საბერველის, ხოლო მე-XVIII საუკ. დასაწყისიდან ხის). ამასთანავე მადნის დნობის დროს ჰაერის გაე-

ლენა თავს იჩენდა იმგვარად, რომ რკინა ღუმელიდან არ გამოდიოდა წებოვანი სანთლის მაგვარ მასად, რომლის ქედვაც უროთი ყოფილიყო მოსახერხებელი, არამედ გადნობილ ლითონად, რომელიც გაცივებული უროს დარტყმით ნამსხვრევებად იქცეოდა. თანდათანობით განვითარდა მოსაზრება იმისა, რომ გამოდნობილი ლითონი შეიძლება ჩამოასხას ფორმებში და გარდა ამისა, რომ ქურაში მეორედ დნობის დროს, უკვე თუ ჰაერის ექვებოდა იქ მისაყალი (მოძრაობა), შესაძლოა მისი გადაქცევა რბილ, საკედ რკინად, რომელიც შიილება უფრო ერთნაირი მასის სახით და ბევრ შემთხვევაში გაცილებით უმჯობესი, ვიდრე რკინა, რომელსაც აქამდე იღებდნენ საბერველ ქურაში ან პატარა ბრძმედებში დნობ ს დროს. ამ ტექნიკურ გამოგონებათა თვალსაჩინო მნიშვნელობას ჩვენ შემდეგში ვპოულობთ:

1) ბრძმედის წესის საშუალებით შესაძლებელი გახდა ძნელად სადნობი მადნის გამოყენება, რაც შეადგენს მთელი დედამიწის მარაგის მთავარ ნაწილს. ბუნებრივია, რომ ამან გამოიწვია ფართო განვითარება წარმოებისა, რაც თავის მხრივ გაიზარდა კიდევ ბრძმედების სიდიდის ზრდასთან ერთად.

2) რკინის დნობამ შესაძლებელი გახდა ჩქარი და იაფი დამზადება რკინის დიდი ხაჭრებისა, რასაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა სამხედრო იარაღების (ზარბაზნების და თოფების) წარმოებისათვის, რომელიც მაშინ ჩწყებდა განვითარებას.

3) წყლის გამოძრავებელი ძალის გამოყენებამ იმოქმედა სამრეწველო რაიონების მდებარეობაზე, რკინის მკეთებელი წარმოება მთის მწვერვალებიდან და ტყეებიდან დაბლობზე წამოვიდა.

4) წარმოების ახალმა მეთოდმა სულ სხვა მოთხოვნილებები წაუყენა წარმოების ორგანიზაციას. შრავალრიცხოვანი სადნობი ცეცხლის ნაცვლად ვინდა ახალი დიდი ღუმელები, მუშა-მოხამსახურეთა საცხოვრებელი ნაგებობით, წყლის ბორბლებით, საბერველებით, სანაყი და მძიმე უროებით.

მე-XV საუკუნის დასასრულს რკინის წარმოების ბრძმედულმა საშუალებამ გადააწყვეტი გამარჯვება მოაპოვა, წარმოების ახალი საშუალება ერთბაშად კი არ გავრცელდა, არამედ თანდათანობით. საფრანგეთსა და იტალიაში მან დაიწყო ფესვის გადგმა მე-XVI საუკ. დასაწყისს, გერმანიაში — ამ საუკუნის შუა ხანებში, ხოლო შვეიციაში — ამავე საუკუნის დასასრულს, მაგრამ ძირითადად, მე-XVI და XVII ს. ს. განსაელობაში გადატონებულა რკინის უშუალოდ მადნიდან მრეების ხერხი.

თუჯის, რკინისა და ფოლადის წარმოების დროს დამხმარე მასალას, წარმოადგენდა შეშა.

გარდატეხას, რომელიც მოხდა დაახლოებით მე-XVI საუკუნის ნახევარში, ვერცხლის ამოღების ტექნიკის დარგში, ანაღვამაციის შემოღებას გამო არა ნაკლები მნიშვნელობა ჰქონდა სამეურნეო ცხოვრების განვითარებისათვის, ვიდრე ზემოთ აღწერილ ცვლილებებს რკინის დამზადების წარმოების ტექნიკაში.

მადნიდან ვერცხლის მიღება ამდენხანს წარმოებდა ტყვიანი მადნის ქურაში დნობის დროს მისგან ვერცხლს გამოყოფის საშუალებით.

ახლად შემოღებული ცელილება მდგომარეობდა ევროპის წყლის გამოყენებაში ვერცხლის მისაღებად ამალგამაციის გზით, რისთვისაც მან მიიღო ამალგამაციის პროცესის სახელწოდება.

ახალი საშუალების უპირატესობა მდგომარეობს მასში, რომ ის თითქმის არაერთარ მოწყობილობას არ საჭიროებს და არც არაერთარ სათბობ მასალას მოითხოვს. ამით ის შესაძლებელს ხდის ვერცხლის მადნის გადამუშავებას კორდილიერების უტყუო მალლობებზე. ცხადია, მას ახასიათებს ზოგიერთი ნაკლიც, ის მდგომარეობს: წარმოების პროცესის ხანგრძლივობაში (3 — 6 კვირა) და ვერცხლის წყლის დიდი რაოდენობით მოხმარებაში, ამის გამო ვერცხლის მიღება ვერცხლის წყლის მიღებისაგან დამოკიდებული ხდება.

მაგრამ აღნიშნულ უპირატესობებთან შედარებით ეს ნაკლი უმნიშვნელოა და მას არ ძალუძს წარმოების ახალი საშუალებების თვალსაჩინო ღირსების დამცირება, კაცობრიობა მისგან ვალდებულია ვერცხლის ქარბ-წარმოებით, რასაც მოყვა მასზე ფასის დაცემა და საქონლის ფასების საყოველთაო ზრდა, რამაც არა მცირედად ხელი შეუწყო კაპიტალიზმის გამარჯვებას.

6. ზომბარტი — „თანამედროვე კაპიტალიზმი“

§ 4. ლითონის გადაამუშავებელი მრეწველობა

რკინის გადამამუშავებამ არსებითი ცვლილებანი განიცადა: შვედულის ქარხნებმა დაიწყეს წვრილი მავთულის დამზადება (XVI საუკ.) — რკინის ფურცლების თეთრ დაფარვა დაიწყო მე-XVII საუკ. პირველ ნახევარში, საგლინაფი ჩარხი გავრცელდა მე-XVII საუკუნეში (მას შემდეგ, რაც 1615 წ. ის პირველად იხსენება (Caus-თან) მას მიემატა რკინის საკრელი დაზგა; 1738 წელს Paune-მ გამოიგონა რკინის ფურცლების საგლინაფი დაზგა და სხვ. აქვე უნდა მიეკუთვნოს რკინის გადამამუშავებაში ზოგიერთ ახალი მიღწევანი, რომელმაც პირველ რიგში დიდი როლი შეასრულეს სამხედრო იარაღის წარმოების საქმეში; უკვე 1500 წლიდან გამოგონებული იქნა საბურღაფი ჩარხი ზარბაზნის ლულას გამოსაბურღად. ეს დაზგა აღწერა იქვე ბირინგუჩიოს.

ჩვენ უნდა აღვნიშნოთ აგრეთვე, რომ მე-XVII საუკუნის წინა პერიოდმა მოგვცა ვერცხლის კალთური ორთქლის მანქანა. რომელმაც შესაძლებელი გახადა დიდი, ადამიანის სიგრძის რკინის ლოდების დამუშავება მაგ., ლუზების წარმოების დროს. თუჯიდან რკინის გამოქვდვაც სწარმოებდა 6 — 10 ცენტნერის წონის მექანიკური უროს საშუალებით, რომელიც წამში ორჯერ ურტყამდა.

როგორც გინდ მნიშვნელოვანი არ იყვნენ ეს და სხვა წარმატებანი რკინის კეთების წარმოებაში, მათი ხარისხი მანაც ფერს ჰკარგავს იმ

ცვლილებებთან შედარებთ. რომელსაც ნახდა კეთილშობილეთა-
თონთა დამუშავების საქმეში.

მე ვლადიმერს იმ ცვლილებების შესახებ, რომელსაც ადგილი ჰქონდა
მონეთის საქმეში: მე-XVI და მე-XVII საუკუნეებში გადადიან ფულის
მეტანიკურ მოჭრაზე. ამ ცვლილებათა ცალკე ეტაპები ასეთია:

1. 1552 წელს ჩნდება ფრანგ Brulier-ის სატყეო ლილივი.
2. მე-XVII საუკუნის მეორე ნახევარში — ხადიდის დაზგა.
3. იმავე დროს ახლო ხანებში — განუმჭრელა დაზგა რვეალი, მო-
ნეთების გამოსაყვანად (გამოსატყრელად).
4. დაახლოებით იმავე ხანებში — მონეთებზე სიქას (დამლის) დამს-
ველი დაზგა.

5. 1685 წელს Castaing-მა გამოგონა ირთნარ მონეთებს მრავლად
მოსატყრელი დაზგა. ერთნაირ მონეთებზე წარწერის გამკეთებელი დაზგა
ხმარებაში იყო ინგლისში ჯერ კიდევ კრომველის დროს.

თუ რა სერიოზული მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა მონეთების მოჭრის
ამ მეტანიკურ წესზე გადასვლას თავისთავად ცხადია. მან პირველად შე-
საძლებელ გახდა ფულის წესიერი მიმოქცევა, ურომლისოდაც კაპიტა-
ლისტური მეურნეობის განვითარებაზე ფიქრიც არ შეიძლება.

(უ. ზომბარტი — „თანამედროვე კაპიტალიზმი“)

§ 5. საუმიარო მრეწველობის ტიპიკა

მეურნეობის ისტორიკოსები, მხოლოდ უკვე თუ ისინი ყურადღებას
აქცევენ ტექნიკას, მას უცქერიან ყოველთვის, როგორც მონაბლულნი
ტექნიკის პროგრესით მარტოოდენ საფეხრო მრეწველობაში. ცხადია შეიძ-
ლება უარყოფა იმისა, რომ მე-XVIII საუკ. განმავლობაში საფეიქრო
ინდუსტრიაში მოხდარ ტექნიკურ ცვლილებებს (უფრო მეტათ აქ ჩვენ
ამისათვის ხაზის გასმა არ შეგვიძლია) ჰქონდათ გამომწვევით მნიშვნელო-
ბა მეურნეული ცხოვრების განვითარებისათვის. მაგრამ ისინი განხილული
უნდა იქნან მაშინდელი დროის სხვა ძირითად ახალცვლილებათა ურთ-
კოთ კავშირში და ამისდამიხედვით შეფასებულნი. მეორე მხრივ, არ უნდა
იქნეს დაიწყებული, რომ მე-XVIII საუკუნის მთელი გამოგონებანი, რომ-
ლებმაც შექმნეს ებოქა და მიგვიყვანეს საფეიქრო ინდუსტრიის რევოლუ-
ციონ-ზირებამდე, ძირითადად (Paul-ის სამი საბეჭდი ლაღვის ჩათვლით)
უკვე ჩვენ ებოქაში (მე-XIX საუკ.) დამთავრებული.

რთვის პროცესი მნიშვნელოვნად იქნა გაუმჯობესებული 1530 წელს
ჯარას თვალისათვის (ბორბლისათვის), რომელიც ამდენხანს მოძრაობაში
ხელით მოყავდათ, საფეხურიანი ხელსაწყოთ გამოგონებით. სხვა გაუმჯო-
ბესებანი რთვია საქმეში გაკეთებულ იქნა მე-XVII საუკუნეში. აბრეშუ-
მის პარკიდან ძაფის ამოსახვევად უკვე მე-XV საუკუნეიდან სარგებლობ-
დენ განსაკუთრებული მანქანებით. ბეხერმა გამოგონა „აბრეშუმის
ფლატორიუმი ანუ ამოახვევი- ინსტრუმენტი“, რომელიც ბოჰემიაში, ზეა-

რებულ ინსტრუმენტზე უკეთესი იყო; მარტვი, უხმო. მოძრაობაში ადვილად მოსაყვანი, „სე რომ ერთ ადამიანს სულ იოლად შეეძლო ერთბაშად 1.000 შულოს დახვევა.“

მექანიკურ-ქსოვა გამოგონებული იქნა მე-XV საუკ. დასრულს ჰოლანდიაში რტყელა დაზგას ნახით (რტყელა წრქვილ). სხვა ცნობებით დაზგა გამოგონა 1600 წელს ანტონ მილერმა დანციგში. იმ აღწერილობის მიხედვით, რომელიც ჩვენ მოგვეპოვება რტყელა დაზგა მე-XVII საუკ. ნახევარში წარმოადგენდა უკვე სრულყოფილ მანქანას და თავის ძარითად ნაწილებში არაფრით განსხვავდებოდა მექანიკური საქსოვი დაზგიდან.

გარეგნობით ეს წააგავს საქსოვ დაზგას, თუმცა. მაქო მიზოიქტევა სკლით. ხოლო დაზგა თვით ქსოვს. ყოველივე მოძრაობაში მოდის ბორბლის მეოხებით. რტყელა წრქვილს შეიძლება ჰქონდეს 10—12—16—20 და მეტი დგამი. დაზგასთან მხოლოდ ერთი კაცი მუშაობს, ამავე დროს შეიძლება მრღებული იქნეს 10—12 და მეტო სხვადასხვა; ფერის ზოლი; ..და მუშა ჰქსოვს. ისე რომ არც ერთხელ არ უხდება მას „იხვის“ ხელით გასწორება, თუნდაც მას არ ესმოდეს ქსოვის პროცესი, და მას არ უხდება „ნათან“-ის ხელით გაქაჩვა“.

მაგრამ უკვე მე-XVIII საუკ. დასასრულისათვის გამოგონებული იყო ფართო საქსოვი დაზგა. ბრეხერი მოგვითხრობს, რომ მან გამოიგონა „საქსოვი იარაღი, რომლის საშუალებით ორი კაცი ერთ დღეში ქსოვს ას მხარს“... „ჩემს მიერ გამოგონილი იარაღი წააგავს აბრეშუმის რტყელას საქსოვ; გარმგლენის დაზგას, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ მასზე სურვილისამებრ შეიძლება ფართო ტილოს მოქსოვა, და რომ ის ქსოვს სწორად. ზომიერად, ვიდრე ეს შეიძლება ხელით იქნეს გაქვთებული“.

(ზომბარტი — „თანამედროვე კაპიტალიზმი“, ტ. II).

§ 6. წყლისა და მარის გამოძრავი ძალის გამოყენება

a) წყლის ძრავების გამოყენება

წყლის ძრავები გაჩნდნენ რომში ჩვენა წელთაღრიცხვის დასაწყისში. ისინი განვითარდნენ წყლის ამწევი ბორბალიდან. ასეთ ბორბალზე (თვალზე) წყლის სიძირის გადაძლევა ხდებოდა ცხოველს ძალის გამოყენებით. თვით წყლის ამწევი ბორბლის (водочерпательное колесо) ვაწითარებას ადამიანი მიყავს აზრამდე, ხომ არ შეიძლება გამოყენებულ იქნას მდინარე წყლის ძალა მისი ზემოთ ასაწევად. ამისათვის ისლ აკლდა, რომ ჩამჩებიანი ბორბალსათვის გაეკეთებიათ ფრთები (ლაპოტება), რათა ჩქარმამდინარე წყალს, მიაწეებოდა რა მას, აემოძრავებინა შთელი მექანიზმი. მოღებოდა თვითმოქმედი, ავტომატური წყალმქაჩავი (водокачка).

ჩვენი წელთაღრიცხვის პირველ საუკუნეებში დაიწყეს გამოყენება ამ მისასხამო ბორბალ-ძრავისა მარცვალთა დასაფქვავად. მე-IX საუკუნის დასასრულს მიწწერება პირველი ცნობა საზოგადოებრივ წყლის წის-

ქვილებზე, რომლებიც მოწყობილ იყვნენ რომში. მაგრამ კერძო პირები ვერ კიდევ სარგებლობდნენ ცოცხალ-ძრავებს.

მე-XI საუკუნეიდან, როგორც ჩანს, უწინარეს ყოვლისა გერმანიაში ჩნდებიან ჩასასხამო ბორბლები: ბორბალს გარშემო გაკეთებული აქვს ციცხვებო, რომლებსაც, იესებიან რა ვარდნილი წყლით, ბრუნვითი მოძრაობაში მოყავთ ბორბალი.

ეს მოწყობილობა შესაძლებელს ხდის წყლის მექანიკური მუშაობის ფართე გამოყენებას. მაგრამ მისი გამოყენება შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევებში, როდესაც წყალი ვარდება საკმაოდ დიდი სიმაღლიდან. ხოლო მღანარებზე კი საჭირო ხდება საგუბართა მოწყობა, რომლებმაც შალა უნდა აიყვანონ წყალი. მაშასადამე, ასეთი ძრავები, რომლებიც საერთოდ უფრო მძლავრია გულისხმობდნენ დიდი ხარჯების გაწევის შესაძლებლობას. ამიტომაც ასეთი ჰიდრავლური (წყლის) მოწყობილობანი იმთავთვე წარმოადგენდნენ ფეოდალების მონოპოლიას, ხოლო ქალაქებში-კი საერთო ძალით მას აწყობდა ხელისაწილთა ამქრები.

მე-XI — XIII საუკუნეებში წყლის ძრავმა დაიპყრო მარცვლეულთა დაფქვის საქმე (წისქვალები) და სავსებით გამოდევნა აქედან სატყეპნელები და ცხენით საძრავები. მე-XII — XIV საუკუნეებში შაუდის წარმოებაში მან მოაპოვა სრული გამარჯვება დანებიან სათელავ მანქანებზე. ამავე ეპოქაში დაიწყო მისი გავრცელება სათამაზო საქმეში, უწინარეს ყოვლისა მალარობიდან წყლის ამოსაქაჩავად, ხოლო შემდეგ მადნის ამოსატანად, ბრძმელების მომსახურებაში (საბერველის აწვე-დაწვევაში), უზარმაზარ საცხხველში მადნის დასაფშენელად და სხვ. ამ საქმეში მექანიკური მამოძრავებლის გამოყენებას თან სდევდა მისი სწრაფი განვითარება. შესაძლებლობა შეიქმნა ძრავებისა და ტრანსმისიების მოწყობის დროს მათი ხის ნაწილები სულ უფრო შეცვლილიყო რკინით, ხოლო ეს გარემოება შესაძლებელს ხდიდა მათი ძალოვანობისა და მოქმედების სიზუსტის გადიდებას.

მაგრამ წყლის მამოძრავებელნი არა დიდ ხანს აკმაყოფილებდნენ მზარდი სამთამაზო საქმის მოთხოვნილებებს. რაც უფრო წინ მიდიოდა იმით უფრო მოითხოვდა ყოველმხრივ მექანიზაციას. ჰიდრავლური ტექნიკის შესაძლებლობანი ჩქარა, უკვე მე-XVII საუკუნეში ანდა კიდევ უფრო ადრე, უკვე გამოყენებული იქნენ ბოლომდე. გაჩნდნენ უზარმაზარი და რთული მოწყობილობანი. ასე, კორნუელსში მალარობიდან წყლის ამოსაქაჩად ერთმანეთის გვერდით იდგა 10 ჩასასხამი ბორბალი, თითოეული 6 მეტრანი დიამეტრით. შემდეგ ესენი შეცვალეს 14½ მეტრის (დაახლოებით 7 საყენის) განივიანი 2 ბორბლით.

ზე როგორც მასალა-ასეთი ბორბლებისათვის ნაკლებ გამოსადეგი იყო, მისი გამოცვლა იწყეს თუჯით, — მაგრამ სამაგიეროდ ბორბლის წონა აღიოდა 4000 ტონამდე. განმეორდა იგივე ისტორია, რაც ცოცხალ ძრავთან. გარკვეულ საზღვარს იქით მოწყობილობათა მზარდი სიმძიმე ვერ დაიძლეოდა სასარგებლო მოქმედების შესაბამი ზრდით. წყლის ბორბლის ძალოვანობის გადიდება იმ ცხენის ძალის იქით, — მეტად მცირე სიდი-

დის იქით მრეწველობის მოთხოვნალებებთან შედარებით, — საერთოდ ძნელად მისაღწევი საქმე იყო შაშინდელი ტექნიკისათვის. ყოველივე ამისთანავე ერთად მოწყობილობანი მეტად ძვირი ჯდებოდა, როდესაც ბაჭირო იყო ჩასასხამი ბორბლებისათვის ხელოვნური საგუბართა მოწყობა. ხოლო უფრო სრულქმნილი წყლის ძრავები-კი (ტურბინები) მაშინ არ იყო.

პიდრავლურა მოწყობილობანი მოგაკვეთულია ადგილებზე, სადაც არის მდინარეები და წყალვარდნილები. მამოძრავებელი ენერჯის გადაცემა შედარებით არა დიდ მანძილზედაც-კი შეუძლებელია. ეს იმას ნიშნავს, რომ საქიროა ვაიმართოს, მაგალითად, მაღარო მდინარის ახლოს, ხოლო ეს კი ჰგულისხმობს მეტად-თუ-ნაკლებად განსაკუთრებულ თანხვლომას პირობებისა. ვარდა ამისა ტექნიკა ძლივსღა და დიდის ხარჯებით ეგუებოდა წლის განმავლობაში წყლის მოძრავი ძალის არარეგულიარობასა და რყევადობას, რასაც ადგილი ჰქონდა ხანდისხან კიდევ შემთხვევითი გაუთვალისწინებელი მიზეზებით (ძლიერი წვიმების გამო).

ბ) ქარის ძრავების გამოყენება

ცოცხალი და წყლის მოტორებისათვის ერთგვარი შემნაცვლეს სახით გარკვეულ როლს თამაშობდა ქარის ძრავები.

ქარის მოძრავი ძალა უწინარეს ყოვლისა გამოყენებული იქნა ნაოსნობაში. ხის ცლისაგან, ცხოველთა ტყავისაგან და სხვ. გაკეთებული იალქნების გამოყენება იცოდნენ მრავალ ხალხებმა ჯერ კიდევ ევროპელთა მოგზაურების მიერ მათი აღმოჩენამდე. ეფრატსა და ტიგრზე ცურვის დროს შედარებით მსხვილ ხომალდებს იალქნებით აწყობდნენ ჯერ კიდევ ხუთი ათასეული წლით ადრე ჩვენს წელთაღრიცხვამდე.

ქარის მოტორები, — ქარის წისქვილები, ალბათ, გადმოღებული არაბებისაგან, — ევროპაში ჩნდებიან ჯვაროსანთა ომების ეპოქაში, და რაღაც ერთნახევარი საუკუნის განმავლობაში გავრცელდნენ გერმანიაში, საფრანგეთში და ინგლისში. მე-XV საუკუნიდან მათ ნიდერლანდებში (ჰოლანდია) ნახეს ფართო გამოყენება, ზღვის სივრცეებს დასაპყრობად. წყლის გადმოქაჩვაში. აქ მათ მიიღეს მნაშვნელოვანი სრულქმნა. მეტად არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა ერთ ცვლოლებას. პირვანდელი ქარის წისქვილები კეთდებოდნენ იმგვარად, რომ მთელ მოწყობილობას უხდებოდა ბრუნვა ღერძის გარშემო. ჰოლანდიის წისქვილებში ბრუნვას მხოლოდ ზედა ნაწილი შენობისა, — „ქარავი“, ღერძთან ერთად, რომელიც მასში გადიოდა. ასეთი კონსტრუქციის მოწყობილობანი ჩნდებიან უკვე მე-XVII საუკუნეში.

წყლის ძრავები მნიშვნელოვან გამოყენებას ღებულობენ წისქვილის საქმეში, ხოლო გაშლილ ველებში მათ გამოყენება ჰპოვეს წყლის ამწეე მოწყობილობებში. სამთა-მადნო საქმეში და საერთოდ მრეწველობაში ის თამაშობდა მხოლოდ უმნიშვნელო დამხმარე როლს. მათი მოწყობა საქმის არსების მიხედვით დაკავშირებულია მნიშვნელოვან სიძნელებებთან და მოითხოვს განსაკუთრებული პირობების არსებობას. რომ უზრუნველყოფილი იქნას წესიერი მოქმედება, ძრავის ფრთები უნდა იყოს კარგად უფრო

მალა, ვინც კარშემო მდებარე შენობები და ხეებია, თუნდაც ესენი იმ-
ყოფებოდნენ არა უმუშალო მეზობლობაში. მთიან ველებში ეს უმრავლად
იქნება მიიშენელოვანი დროის განმავლობაში.

თუ საჭიროა ძრავა შედარებით არა დიდი ძალაოვანობისა, რაღაც
3—4 ცხენ-ს ძალიანი, ფრთები უკვე უნდა შეადგენდნენ მეტად მნიშვნე-
ლოვან მოედანს წინააღმდეგობისა, საჭიროა მათი დაგრძელება 5 მეტრა-
დღე. ხოლო ეს კი მოწყობილობას ჰქმნის არა მუარსა და მყიფეს. წესქე-
ვლია მუშაობისათვის საჭიროა, რათა ქარას სისწრაფე არც ერთი მხრით
აო სცილდებოდეს გარკვეულ საზღვრებს. ცხადია, ამ ძრავას მუშაობას
აუცილებლად ახასიათებდეს იქნება დიდი არარეგულიარობა, რასთანაც
შერიგება შეეძლო ძველ მაწათმოქმედებს, მაგრამ რომელსაც აბსოლუ-
ტურად ვერ ურიგდება არც მრეწველობა საერთოდ, და არც სამთამადნო
საქმე კერძოდ. ამიტომაც თავისი მნიშვნელობით მრეწველობისათვის ქა-
რის პოტორები დღედად ჩამორჩებოდნენ წყალსა და ცოცხალ ძრავებს.

აზრი, რომელზედაც თავს იმტვრევდნენ მრავალრაცხოვანი გაპომგო-
ნებლები მე-XVII საუკუნისა, პირდაპირ ნაკარნახევი იყო მაშინდელი
მრეწველობის მიერ: აუცილებელია შექმნა ისეთი ძრავისა, რომლის ძა-
ლაოვანობის გადიდება შეეძლებოდეს იქნება სასურველ ზომამდე, რო-
მელსაც არ ექნება მისი საკუთარი ნება, რომელიც არ იქნებოდა დამოკი-
ლებული ბუნების ენობობასთან და სავსებით დაექვემდებარებოდა ად-
ამანის ნება-სურვილს.

ცნობისმოყვარეობის აღმძვრელია, რომ უკვე მე-XVII საუკ. პირველ
ნახევარში როგორღაც წინდაწინ გადაწყვეტილი იყო, რომ საძიებელი
გამოსავალი ნახულ უნდა იქნას თბომანქანაში, ანუ, როგორც მაშინ
უწოდებდნენ, „ცეცხლის“ მანქანაში: ისეთ მანქანაში, რომელიც მოძრაო-
ბაში მოდის ორთქლის დრეკადობით. და უკვე ამ დროს ეკუთვნის, —
მართალია, ბუნდოვანი და გაურკვეველი, — ცნობება, იმის შესახებ, რომ
თოქას სხვადასხვა ადგილებში გამოყენებულია „ცეცხლის წესი“ მალა-
როებიდან წყლის გამოსადენად.

(ი. სტეპანოვი — „ს. ს. რ. კ. ელექტროფიკაცია“)

§ 7. წყლის წისპილის განვითარება მანუშაპტურულ პერიოდში

წყლის თვალი (ბორბალი) ევროპიელებმა გადმოიღეს ქრისტიანულ
აზნამდე ბევრად უფრო ადრე, მცირე აზიიდან. მისი პირველი ხსენება
ჩვენ გვხვდება მე-III საუკუნის (ქრისტიანულ წელთაღრიცხვამდე) გან-
თქმულ ტექნიკის ფილონ ბიზანტიელთან. როგორც ჩანს, ევ-
როპაში ის თავდაპირველად გამოყენებული იყო იმავე მიზნებისათვის,
რამაც გამოყენებულ იყო თავის აღმოსავლურ სამშობლოში, ე. ი. წყლის
აპოქაჩე-ს საჭიროებისათვის.

ყოველ შემთხვევისათვის წყლის ბორბლებს, რომლებიც ჩვენი წელთ-
აღრიცხვ-ს 24 წელს აღწერილია რომაელ ინჟინერ ვატრუვიუსის
მიერ, ქონდათ ყუთება (უჯრები), რომლებსაც ბორბლის ბრუნვის დროს
ამოქანდათ წყალი ზემოთ და ასხამდნენ მას აქ გამართულ ღარში. ჩვენი

წელთაღრიცხვის 60-იან წლებში წყლის წასქვლი უკვე არის გამოყენებული მარცვლეულის დასაფქველად.

აი, როგორ აგვიწერს მის შესანიშნავ თვისებებს რომელი პოეტი ანტიკატროსი:

„დასვენეთ თქვენი ხელები, მფქველო ქალებო, და იძინეთ უღარდელად! ამაოდ გაუწყით თქვენ განთადი მამალმა;

ღეომ ქალაშვილების შრომა ნიმფებს დააკისრა;

და ისინი მარდად ღახტიან ეხლა თვლებზე,

ისე რომ შერხეულა ღერძები თავისი მანებითურთ ბრუნავს წრეში და მძიმე დოლაბებს აბრუნებს.

მაშ ვიცხოვროთ მამა-პაპთა ცხოვრებით და დავსტკებთ

ქალღმერთს მიერ გაურჯელად ბოდებული საჩუქრით“.

მეთხე საუკუნეში წყლის წისქვილები გადაიქცენ რომის ოფიციალურ დაწესებულებებად. ფურნებისაგან მოშორებით, შესაფერ მდინარეებზე მოწყობილია, — მათ პირველად დაუდგეს საწყისი პურის ცხობისაგან განცალკევებული წისქვილის საქმეს, ეს გამოყოფა შემდგომ საუკუნეში უკვე საყოველთაო ფაქტად გადაიქცა.

როდესაც გოთებმა რომს ალყა შემოარტყეს და მარცვლეულის დაფქვა ქალაქს გარეთ შეუძლებელი შეიქნა, ველთხარი უსმე, მე-IV საუკუნეში, პირველად მოაწყო მტურავე წისქვილები, რომლებიც მოთავსებული იყვნენ ნაევებზე, მდ. ტიბრზე. ამგვარად ველიზარიუსმა შექმნა ახალი, ვრცელი ასპარეზი წყლის ბორბლის გამოყენებისათვის.

მე-VIII საუკუნისათვის წყლის ბორბალი უკვე ყველგან გავრცელებული იყო ევროპაში, რომელიც შეიქნა საფუძველი სამართლის ახალი და ცალკე დარგისა — „კანონები წისქვილების შესახებ“, რომელიც სასტიკად აწესრიგებდა მეწისქვილეთა უფლებებსა და ვალდებულებათ.

თავისთავად იგულისხმება, რომ წყლის ბორბლის მოქმედებას სფერო სავსებითაც არ არის განსაზღვრული მარცვლეულის დაფქვის საქმით. უკვე ძველ რომში წყლის ბორბალი გამოყენებული იყო ქვების დასახერხადაც.

მე-XIII საუკუნეში ფრანგი ინჟინერი ვილარსი აშენებს წყლის პირველ სახერხს, რომელსაც ქონდა ავტომატიური მოწყობილობა ხის მორის მისაწოდებლად, რაიც ნაწილობრივ მოგვაგონებს თანამედროვე წასავლებ ლილვაცებს სახერხის ჩარჩოებს რომ აქვს. მე-XIII საუკუნის დასასრულიდან წყლის წისქვილების გამოყენება ხდება აგრეთვე ქალაქის კეთების საქმეში. მე-XIV საუკუნის დასაწყისიდან-კი რკინის დამუშავებულ სარეწავებში — რკინის დაქრისა და უროების მოძრაობისათვის. იმავე ხანებს მიეკუთვნება წყლის ბორბლების გამოყენება სამჭედლო საბერველისათვის და საქაჩავი მალებისათვის.

მე-XV საუკუნის დასასრულისათვის წყლის ბორბალი ხმარებაში შემოღის წარმოების თითქმის ყველა დარგებში. საკმარისია, მოვიყვანოთ სია: სარეწავითა. რომლებშიაც გამოყენებულია წყლის ძრავი, რომელაც კაპიტალაზმმა მემკვიდრეობის სახით მიიღო მანუფაქტურული პერიოდ-

დან, რათა აშკარა ვახდეს, თუ რა კოლოსალური მნიშვნელობა ჰქონდა წყლის ძრავს ევროპის ისტორიის ამ პერიოდისათვის.

თი ეს სიაცა:

1. მარცვლეულის საფქვავე წისქვილები,
2. ზეთის სახდელები,
3. სახერხები (ტყოსა და ქვისათვის),
4. სალესი წისქვილები,
5. საბურღვი წისქვილები,
6. საცეხვაეები,
7. რკინის საჭრელი მაკრატლები,
8. სახეხელო,
9. მავთულისწისქვილები,
10. თითბრის წისქვილები — თითბრის გამოსაყოფად და სპილენძის მავთულის გამოსაყვანად,
11. საბერველები,
12. ქალაღდის წისქვილები,
13. თოფწამლის წისქვილები,
14. სამღებროები,
15. აბრეშუმის სართაეები,
16. ლენტის წისქვილები,
17. მაუღდის სათელები,
18. ყოველგვარი სარეე-სათქეევი და სხვ.

ადრინდელი საშუალო საუკუნეების წყლის ბორბალი, როგორც საერთო წესი, იყო მასაჰში (ჰორიზონტალური, ანუ ქვედა რტყმის ბორბალი), ე. ი. ის ზელუხლებლიე იცავდა თავის ძველ-აზიურ კონსტრუქციას, რომელიც შეესაბამებოდა წყლით მომარაგებლს მიზნებს. ამავე ღროს, ას რაც კარგი იყო კურთხეულ აღმოსავლეთში, ნაკლებ გამოსადეგი აღმოჩნდა სუსხიანი დასავლეთისათვის. ზამთარში, როდესაც მდინარეები გაიყინებოდა, წისქვილები პარალიზაციქმნილნი იყვენენ და მათ არ შეეძლოთ მუშაობა. ასევე აგრეთვე გვალვის სეზონებში მათი მუშაობის უარინაობა ეცემოდა ნულამდე. რისთვისაც ევროპიელებმა შედარებით ადრე დაიწყეს ცდები ჩასასხში (ზედა რტყმის ანუ კიდევ ვერტიკალური) წყლის ბორბლის გამოყენებისათვის, მაშასადამე, საგუბარების, წყლის გამყვანი არხის და სხვ. მოწყობაც.

თუ არ ჩავთვლით რომაელების მიერ წარმოებულ ცდებს, მაშინ პირველი ხსენება ჩასასხში წყლის ბორბლებზე ვხვდება გერმანიაში მე-XV საუკუნის დასაწყისში. მე-XVI საუკუნის ნახევარში განთქმული გერმანელი სამთო ინჟინერი აგროკოლა აგვიწერს მეტად მახვილგონიერად მოწყობილ წყლის ბორბალს, რომელსაც ორი პარალელური რიგით და ერთმანეთის პრისპირ მიმართული ფრთებით, რაც შესაძლებლობას იძლევა წყლის ხან ერთ და ხან მეორე რიგზე მიშვებით, ბორბლის ორსავე მხარეს ბრუნვისა. როგორც სჩანს ამგვარ მოწყობილება გამოყენებული იყო სამთო საქმეში მალარობებიდან ამოსატანად და ჩასატანად.

მოუხედავად ამისა ჩასახში წყლ-ს ბორბალი თავის სრულ განვითარებას ღებულობს მხოლოდ მე-XVI და მე-XVII საუკუნეებში. ზოლო თავის თეორეტიულ დასაბუთებას ჩასახში (ზედარტყმის) წყლის ბორბალი ღებულობს მხოლოდ მე-XVIII საუკუნის ნანეიარში, როდესაც ფრანგ დეკარს იემ, იტალიელ პანაჩინო დ'ანტონიემ, ინგლისელ სმ-ატონმა და შვედელ ნარდვალმა თითქმის ერთდროულად დაამტკიცეს, რომ წყალი ბევრად მეტ სამუშაოს ასრულებს დაწოლით, ვინემ დაჯახებოთ, რას გამოც ჩასახში ბორბალი უფრო ხელსაყრელია, ვინემ მისახში ბორბალი.

თავისი ამ კლასიკური სახით — ჩასახში ხის ბორბლით — წყლის წისქვილმა მოაღწია ჩვენ დრომდე, რომელიც მთლიანად ჩაფლულია ლეგენდებში და პოეტურ თხრობებში, რომელთა აუცილებელ დამახასიათებელს შეადგენს საშუალო საუკუნეებრივი გადმონაშთები მეწისქვილისადმი მისი ჯადოქრული „მანქანური“ ხელოვნებითურთ მისტიური პატივისცემისა.

გარდა ამ საშუალოსაუკუნეებრივი პოეზიისა, რომელიც წისქვილს მოსავე მისი წარსული როლის გადმონაშთებით, არსებობს საყოველთაოდ შემჩნეულ ტენდენცია საფაბრიკო საწარმოთა მდინარეების მახლობელ ადგილებში მოწყობისა. რუსეთის ურალა, რომელიც თავის ტექნიკას აყალიბებდა მე-XVII საუკუნის შვედურ და გერმანულ ნიშნების მიხედვით მეტად რელიეფურად ატარებს ამ გადმონაშთების ნიშნებს. მის მრავალრიცხოვან ქარხნებს არაფრით არ ძალუძთ თავი დააღწიონ გიგანტურ საქარხნო გუბეებს, რომელთა რეალური ჯამრეწველო მნიშვნელობაში დიდი ხანია რაც დაჰკარგა თავისი წინანდელი ძალა და ეხლა მხოლოდ შორეული სათბობის მოტანის ქარხნის ისედაც დიდ სარანსპორტო ხარჯებს კიდევ უფრო ამძიმებს.

წყლის წისქვილის ახტორიული არსებობის ამ კლასიკურ პერიოდში უმაღლესი მიღწევა, ალბად, იყო სამუშაოები, რომელსაც ხელ მოკიდა „მზე-მეფემ“ — ლიუდოვიკო მე-XIV-მ თავისი ვერსალის გასამშვენებრებლად. ინენერ რენკინის გეგმით, 163 მეტრის სიმაღლეზე მდ. სენის დონიდან, მოწყობილი იქნა რეზერვუარა, რომელშიაც წყალი ისხმებოდა 235 ტუმბოს საშუალებით. ამ ტუმბოების ასამოძრავებლად მოწყობილ იქნა 13 წყლის ბორბალი, რომელთაგან თითოეულის დიამეტრი 18 მეტრს აღემატებოდა.

უზარმაზარი გადამცემი მექანიზმი შესდგებოდა 46 ფარფარასაგან, 122 დიდი ბალანსირისაგან, 2.108 მუხლისაგან და 63.744 ფუტი რკინის ლატანისაგან. „სადგურის“ აგებაზე დაიხარჯა 85 ტონა ხის მასალა, 17 ტონა რკინა, 850 ტონი ტყვია და 850 ტონი სპილენძი. ეს უდავოდ იყო მსოფლიოს უდიდესი ძალობრივი დანადგარი თვით ორთქლის მანქანის გაჩენამდე. და მიუხედავად ამისა ამ გიგანტს შეეძლო მიეწოდებოდა საათში არა უმეტეს 200 კუბ. მეტრი წყლისა 5 კილომეტრის მანძილზე.

საფრანგეთის რევოლუციამ დაანგრა ეს დიდბატონური წამოწყევა ნაპოლეონ მე-III კვლავ აღადგინა ის იმავე (წყლის) საფუძველზე.

რეალური სიძნელენი, რომელიც იღვა წყლის ბორბლის გამოყენების
 პროს. საკმაოდ გაშუქებულთა კ. მარქსის მიერ, რათა მათზე და-
 წერილებით შეეჩერდეთ. აუცილებლობის მიერ, რომ მდინარეთა გვერ-
 დით იქნას მოწყობილი ის ხელ-ფეხ შებოროკილი ეგუება მის კაპრიზებს
 და სეზონურ ცვლილებებს. წყლის წისქვილი მე-XVIII საუკუნის დასა-
 სრულს უღონო აღმოჩნდა გამკლავებოდა კონსტრუქციას ორთქლის მან-
 ქანსა. რომელიც დამოუკიდებელი და თავისუფალი იყო ადგილზე ში-
 ჯაქვეულობისა და ამინდისაგან. ამიტომ მისი წარსული როლის აღდგენა
 უკავშირდება ორ ფაქტორს: — მისი ტურბინად გადაქცევას და ენერჯის
 ელექტრონული ტრანსმისიის აღმოჩენას.

(ს. ა. ბესონოვი — „მანქანის განვითარება“)

§ 8. ორთქლის მანქანა სამრეწველო რევოლუციამდე

ა) ორთქლის მანქანის ელემენტები დ. პაპინამდე

თუ გამოვრცხავთ ძველ რომში, საბერძნეთში და აღრინდელი სა-
 ნულო საუკუნეების პერიოდში მრავალგვარ, უმთავრესად გასართობი
 და რელიგიოზური მიზნით ორთქლის ძალის გამოყენების შემთხვევებს,
 აღმოჩნდება, რომ გამოგონებელი, რომელმაც პირველად მეცნიერულად
 მოკიდა ხელი ორთქლის პრობლემას, იყო ლევენდარული **ლ ე ო ნ ა რ დ ო -**
დ ა ვ ი ნ ჩ ი.

მის მიერ დატოვებულ ქაღალდებში, რომლებიც მიეკუთვნებიან მე-XV
 საუკუნის დასასრულს, შენახულია ორთქლის მანქანის ესკიზი, რომელიც
 არავითარ ექვს არ სტოვებს იმაში, რომ ორთქლის გაფართოებას უნარი-
 ანი ძალის დგუშიან ცილინდრში გამოყენების მეთოდით ცნობილი იყო
 ამ დიდი გამოგონებელისათვის.

ვარდა ამისა **ლ ე ო ნ ა რ დ ო ს** ეკუთვნის პროექტი ორი მანქანისა,
 რომლებიც აშენებულია ორთქლის ძალაზე: 1) საბურღვი მანქანის პრო-
 ექტი და 2) ორთქლის ქვემეზის პროექტი. უკანასკნელის შესახებ ნახა-
 ზებთან ერთად ლეონარდო იძლევა შემდეგ მითითებას:

„ეს არის მანქანა თხელი საილენძიდან. ის ისერის რკინის ბირთვებს
 დიდის ხმაურით და დიდი ძალით. მისი გამოყენება უნდა შემდეგნაირად:
 ინსტრუმენტის (ლულის — ს. ბ.) ერთიმესამედი ცეცხლით ხურდება ყვე-
 ლა მხირდან. როდესაც ის საკმაოდ გავარვარებულია, იღება სარქველი
 ზემოდ მდგარი წყლიანი ჭურჭელისა. ჭურჭელი გადაბრუნდება ინსტრუ-
 მენტის გავარვარებულ ნაწილზე, წყალი ჩადის შიგნით და ერთბაშად
 ორთქლად იქცევა. როდესაც უყურებ ამ მანქანის ძალას და გესმის ხმა-
 ური, რომელსაც წარმოშობს ორთქლი, შეიძლება იფიქრო, რომ სასწაუ-
 ლის მოწმე ხარ“. ლეონარდო არ შეჩერდა მარტო პროექტზე. როგორც
 ჩანს მისი „მქუხარა“ კონსტრუირებული იქნა, ვითაარცა საოცარი ქვე-
 მები, რომელიც ისროდა 1 ტალანტის (150 კ. გ.) წონის ბირთვებს 6 სტა-
 ლოს (დაახლოებით 1 კილომეტრის) მანძილზე.

ამგვარად ლეონარდო-და-ვინჩს უნდა მიეწეროს პატივი ორთქლის მანქანის ელემენტების პირველი შემქნელია, რომელიც 200 წლის შემდეგ „გამოიგონა“ ფრანგ დიონისე პაპინმა. თუმცა, ჯერ კიდევ დ. პაპინამდე ორთქლის მანქანის შექმნაზე შრომობდა გამოგონებელთა არა ერთი თაობა. ცნობილი ფრანგი მექანიკოსი დე-კოზი, რომელიც შემდეგში შეიქნა მხატვრული ლიტერატურის უთვალავ ნაწარმოებთათმად — როგორც ჩანს, იყენებდა ორთქლის ძალას ჰაიდელბერგის სამეფო პარკის შადრევანებით გასამშვენებლად მე-XVII საუკუნის დასაწყისში.

დე-კოზს ეკუთვნის, აგრეთვე, პირველი შესანიშნავი ცდები ორთქლის კონდენსაციისა. მან დაამტკიცა, რომ ორთქლი არის სხვა არაფერი, როგორც ნაწილაკები წყლისა მფრინავ მდგომარეობაში, რომელიც გაცივების შემდეგ გადაიქცევა იმავე რაოდენობის წყლად, საიდანაც ის იყო მიღებული. დე-კოზიდან მხოლოდ დიდი დროის გასვლას შემდეგ ორთქლის კონდენსაციის პრობლემა ხელახლა იქნა გადაჭრილი უატიხშიერ.

შემდეგ დე-კოზისა და ისევ პაპინზე ადრე ორთქლის პრობლემაზე მუშაობდნენ ინგლისელები: ვორჩესტერი და მორლანდო. სამწუხაროდ ისტორიიდან ჩვენამდე არ დაცულა არაფერი, გარდა უბრალო მოგონებისა, მათ მიერ შექმნილი უცხოური მანქანების შესახებ. საკმარისია ამავე დროს ითქვას, რომ იმ მომენტისათვის, როდესაც პაპინმა დაიწყო მუშაობა ორთქლის მანქანის ელემენტები და კანონები, რომლებიც განაგებენ ორთქლის გაფართოების უნარიან ძალებს ტექნიკოსებსა და ფიზიკოსებს შორის უკვე ფართედ ცნობილი იყო. სარკველი და დღეშიც აგრეთვე ცნობილი იყვნენ უხსოვარი დროიდან.

გარდა ამისა, ამ დროისათვის უკვე საბოლოოდ დაძლეული იყო საშუალოსაუკუნებრივი „შიში სიცალიერისადმი“, და გალილეის, პორტის, ტორიჩელის, ფონ-გერიკეს, ბოილის და სხვა ფიზიკოსების შრომებმა საკმაო ზომით დაადგინეს ატმოსფერული წნევის კანონები.

ბ) დიონისე პაპინი

ფრანგი დიონისე პაპინი იყო მოწაფე იმ დროის ორი განთქმული ფიზიკოსისა ჰიუნგენსისა პარიზში და ინგლისელი ბოილისა ლონდონში. ჰუნგენსთან ერთად პაპინი მუშაობდა თოფწამლის გაზის (აირის) მანქანის პროექტზე ვერსალის შადრევანებისათვის. როდესაც ის, მისდევდა რა ჯინიან ბედს იმ დროის ყველა გამოგონებლებისა, ბოლოს და ბოლოს, აღმოჩნდა ჰესენის ლანდგრაფის სამსახურში, ის დიდის აღფრთოვანებით ეკვთა მანქანის შექმნის საქმეს, რომელშიაც საშიშო თოფწამალი შეცვლილი იქნა ნაკლებ საფრთხილო ორთქლით. დასასრულს მის მიერ კონსტრუირებული მანქანა შემდეგნაირად გამოიყურებოდა.

დიდ ცილინდროში, დგუშის ქვეშ, ასხამენ წყალს, დგუშს მისწევინ წყლამდე ისე მჭიდროდ, რომ მათ შორის არ დაჩჩეს ჰაერი, შემდეგ ცილინდრს ახურებენ და წარმოშობილი ორთქლი აწება დგუშს თვით ცილინდრის ბოლომდე მიყვანამდე. შემდეგში წარმოშობილ ორთქლს აცივებენ (წყლად აქცევენ) ცილინდრისათვის ცივი წყლის შემოსხმის საშუალებით: ატმოსფერული ჰაერი აწება დგუშს და მიერეკება მას ძირს. შემდეგ მთელი ოპერაცია იმავე წესით მეორდება. პაპინის გამოანგარიშებით, მსჯავს მანქანას 63 მმ. განივის ცილინდრით შეუძლია განავითაროს ერთი ცხენის ძალამდე. 1698 წელს პაპინმა პირველად ააშენა თავისი ორთქლის მანქანა. მაგრამ, სამწუხაროდ, ის დანგრეულ იქნა მდ. ფულდაზე მცურავი ყინულებისაგან.

იმავე პერიოდში პაპინისაგან დამოუკიდებლად ინგლისელი ინჟინერი ტომას ნევერი 1698 წელს ლებულობს პატენტს ორთქლის მანქანაზე. რომელიც ერთბაშად შეგუებული იყო სამრეწველო გამოყენებასათვის, სახელდობრ მალარობიდან წყლის ამოსაწვეად (ამოსაქაჩავად).

სევერის მანქანა წარმოადგენს უფრო სრულქმნილ მანქანას იმ თვალსაზრისით. რომ მასში ორთქლის წარმოება და მისი კონდენსაცია ხდებოდა ორ სხვადასხვა ჭურჭელში.

სევერის მანქანის ნახაზები ლეიბნიცმა გამოუგზავნა პაპინს ღია უკანასკნელი გაორკეცებულის ენერჯით კიდებს ზელს თავისი მანქანის რეკონსტრუქციას. 1705 წელს ის ლეიბნიცს სწერდა:

„ვბედავ დაგარწმუნოთ თქვენ, რომ, რაც უფრო წინ მივდევარ მე ჩემ მანქანასთან ერთად, მით უფრო შესაძლებლობა მაქვს შევაფასო ამ ილუმინაციის მნიშვნელობა, რომელმაც, თეორიულად რომ ვსთქვათ, უსასრულოდ უნდა გააღადოს ადამიანის ძალები. რაც შეეხება პრაქტიკულ მხარეს, მე ვბედავ გადაჭარბების გარეშე, გიმტკიცებდეთ, რომ ამ საშუალების დახმარებით ერთ მუშას შესაძლებლობა ექნება აწარმოოს მთელი ასეული კაცის მუშაობა. თუმცა, მე უნდა ვაღიარო, რომ საჭიროა დრო. სანამ ყოველგვარ ეს არ იქნება მოყვანილი სრულყოფაში. თქვენ შეგიძლიათ დარწმუნებული იყოთ, რომ მე გავაკეთებ ყოველივეს, რაც კი შემიძლია, რათა საქმე დამაკმაყოფილებლად მიდიოდეს, თუმცა მე აქ შემიძლია, და ისიც დადის შრომით, ეშვებო მხოლოდ ნაკლებ გამოსადეგი მუშები. მიუხედავად ამისა დარწმუნებული ვარ, რომ ღვთის შემწეობით მოთმენა იხუმებს ყოველგვარ სიძნელებებზე“.

მაგრამ, პაპინმა, ზომაზე მეტად გადააფასა ღვთის შემწეობა და ვერ შეაფასა უუნარობა მისი დროის მუშებისა. როდესაც 1706 წელს, 17 აგვისტოს, „მისი უმაღლესობის“ თანაღასწრებით, შეუდგნენ მანქანის გამოცდას, მანქანის ყველა სერეტიბანი დანაკავშირებთაგან იფეთქა წყლის ისეთ შეფუებმა, რომ სავსებით გაწუწულ „მისმა უმაღლესობამ“ იმ წამსვე განაცხადა. რომ ცდა არაფრად არ ვარგა. „თუმცა, სწერს პაპინი ლეიბნიცს. მე უფრო ჩილესად ვთხოვე მის უმაღლესობას ცოტაოდენი შეეცადა, რადგანაც მე მწამდა, რომ მანქანა შესძლებდა იმდენი წყალის

აღებას, რომ, მიუხედავად დანაკარგისა, აეწია ის საჭირო სიმაღლეზე. და; მართლაც, როდესაც ცდები გვარძელებული იქნა, ჩვენ დავინახეთ, რომ მანქანამ შესძლო ხუთჯერ აეწია წყალი მილის ბოლომდე“.

მიუხედავად ამისა, როგორც ჩანს, ლანდგრაფს უკვე მანქანამდე არ სცალოდა. პაპინმა მალე თავი მიანება სამსახურს და დიდი ხნის შემდეგ თავისი ცხოვრება გაათავა საღდაც ექსპორაიზში.

с) ნიუკომენის მანქანა

1705 და 1711 წლებს შორის ინგლისელ ნიუკომენმა, პროფესიით მჭედელმა და მენახირე ჯონ კოლეიმ, მუშაობდნენ რაპაპინის მოდელზე, შექმნეს პირველი ვარგისიანი სამრეწველო ტიპის მანქანა „რათა ორთქლის საშუალებით ეწარმოებით გათხელებული საპაერო სივრცე“. მანქანა მუშაობდა ატმოსფერული წნევით, და ამ წნევის ძალა ბალანსირით გადაეცემოდა ტუმბოს დგუშს; ეს უღელი (ბალანსირი) იმ დროიდან დარჩა, როგორც აუცილებელი დეტალი ორთქლის მანქანისა.

არსებული და ჯერ კიდევ არავის მიერ არ უარყოფილი ლეგენდით ემაწვილ პოტერმა, რომელიც მიჩენილი ყავდა ერთერთ ასეთ მანქანას, 1712 წელს კონდენსატორებს ონკანი შეუერთა ბალანსირს, რითაც შექმნა ავტომატიურად მომქმედი ორთქლის მანქანა. თუმცა, უეჭვოდ ცნობილია, რომ ჯერ კიდევ 1707 წელს ლეიბნიცი ურჩევდა პაპინს რათა ონკანები იმგვარად შეერთებია მანქანასთან, რომ მათ თავისთავად შესძლებოდათ გაღება და დახურვა.

ნიუკომენის მანქანა სწრაფად შემოვიდა ხმარებაში ინგლისის მე-XVIII საუკუნის დასაწყისის სამთოსაქარხნო საწარმოებში, სადაც მონოპოლიური მდგომარეობა შეიქმნა მან მალაროებიდან წყლის ამოქაჩვის საქმეში. 1717 წელს ამ მანქანის ერთი ეკზემპლიარი მოიტანეს პეტერბურგში სამეფო შადრევენებში წყლის კირხენისათვის (магнетание).

1722 წელს ორთქლის მანქანა უკვე ცნობილი იყო ვენაში. 1725 წელს — პარიზში, 1727 წ. — შვეიციაში და 1753 წელს — კი ამერიკაშიაც. 1748 წელს ფრიდრიხ დიდი ამზადებდა კონკურსსაც კი ორთქლის მანქანებისა, თავისი ლეგენდარული შადრევენებისათვის სან-სუსში (პოტსდამში).

როგორც ამ მიმოხილვიდან ჩანს, ორთქლის მანქანა უკვე ითვლიდა თავის ზურგს უკან განვითარების გრძელ ისტორიას, ვიდრე შოტლანდიელი მექანიკოსი ჯემს უატი ხელს მოკიდებდა მისი სრულყოფის საქმეს. და მიუხედავად ამისა მას არ გამოუწვევია არავითარი სამრეწველო რევოლუცია, სანამ არ გაჩნდნენ პირველი მუშა მანქანები.

მამოძრავებელ მექანიზმს თავისთავად არ შეუძლია გამოიწვიოს სამრეწველო რევოლუცია, იმიტომ რომ არა ის, არამედ სახელდობრ მუშა (საოპერაციო, შემსრულებელი — პ. გ.) მანქანა ჰგლეჯს ხელიდან მუშის შრომის იზრადს და ჰქმნის იმ ჯაქვს მრავალგვარი შედეგებისა, რომლებიც აღწერილია მარქსის მიერ თავში შესახებ მუშებზე მანქანების გავლენისა („კაპიტალი“, ტ. I, თავი XIII — პ. გ.). იმიტომ არ გვეჩვენება

სწორად განსვენებული ამხ. ივანოვის მტკიცება, რომელიც ფიქრობდა, რომ მამოძრავებელი მანქანების განვითარებით კაპიტალიზმის მსოფლიოს ემუქრება კოლოსალური უმუშევრობა.

(ს. ა. ბესონოვი — „მანქანის განვითარება“).

§ 9. საათის განვითარება

საათის შესახებ კ. მარქსი ფრ. ენგელსს სწერდა: „საათი — ეს არის პირველი თვითმობრავი აპარატი, რომელიც გამოყენებულია პრაქტიკული მიზნებისათვის. საათზე განვითარდა მთელი თეორია თანაბარზომიერი მოძრაობისა. თვით ამ მოწყობილობის ბუნების ძალით, ის დამყარებულია ნახევრადხელოვანური ხელობისა და პირდაპირი თეორიის საფუძველზე. მაგალითად კორდანუსი სწერდა და იძლეოდა პრაქტიკულ მითითებებს იმის შესახებ, თუ როგორ უნდა იქნას გაკეთებული საათი. „მეცნიერული (არა ამქრული) ხელობა — ასე იწოდებოდა მესაათის ხელობა მე-XVI საუკუნის გერმანელი მწერლების მიერ, და საათის განვითარებაზე შესაძლებელია დანახულ იქნას, თუ რა უზარმაზარი განსხვავებაა მეცნიერებასა და პრაქტიკას შორის ურთიერთმიმართებაში ხელოსნობის საფუძველზე, ერთის მხრივ, და ამავე ურთიერთმიმართებასთან შესვლილ მრეწველობაში, მეორეს მხრივ. ყოველგვარ ექვს გარეშეა, რომ მე-XVIII საუკუნეში სახელდობრ საათმა დაბადა პირველი აზრი, რომ წარმოებაში ყოფილიყო გამოყენებული თვითმობრავი აპარატები, რომლებიც მოძრაობაში მოდიოდნენ ზამბარაკით“.

საათის წარმოშობა, სხვათა შორის, თავის საწყისებს მიუთითებს მეტად შორეული წარსულისაკენ. მზას საათი ბერძნების მიერ გადმოღებულ იქნა ბაბილონელებიდან. ძველ ასურელებში წყლის საათი წარმოადგენდა საჯარო დაწესებულებას. ქვიშის (სილის) საათი გვხვდება ძველ რომაელებში. თანაბარზომიერი წვაზე დამყარებული საათი, როგორც ჩანს, ჩინური წარმოშობისაა. საერთოდ და მთლიანად დროის პრიმიტიული საშუალებებით გაზომვის ხელოვნება ევროპის მიერ შემკვიდრებოდა არის მიღებული ძველ-აზიური ცივილიზაციისაგან.

თავის თანამედროვე ფორმაში — ქანქარა საათები — ეს თავისებური მანქანა წარმოადგენს პირმშოს მე-XV, მე-XVI და მე-XVIII საუკუნეებისა, როდესაც მისი მოძრაობისათვის იწყეს გამოყენება სიმძიმის ძალის, ზამბარაკის, ქანქარასი, მავთულის.

ჯერ კიდევ ძველ საბერძნეთში წყლის რთული საათის შექმნა იყო იმ დროის საუკეთესო მექანიკოსების საქმე. ასე, 250 წლით ადრე ჩვენი წელთაღრიცხვისა, ბერძენ მექანიკოსმა კტეზიბოზიმ, ასკრიდან, ააშენა წყლის საათი კბილანა გადამცემებით. სახელგანთქმული რომაელი მექანიკოსი (პირველი საუკუნისა) ვიტრუვიუსი დიდ ყურადღებას აქცევს საათის აღწერისა და შესწავლის საქმეს. სხვათა შორის, მის თხზულებებში გვხვდება მითითება მზის პირველ ჯიბას საათზე, რომელიც ხმარებაში იყო რომაელებში.

საშუალო საუკუნეებში სათის სრულქმნილი მექანიზმის შექმნის პრობლემაზე მუშაობენ უდიდესი მათემატიკოსები და მეცნიერები მე-XV საუკუნის დასასრულს ლეონარდო-და-ვინჩიმ აღმოაჩინა პრინციპ-თანაბარზომიერი შეკავების კბილანა გადამცემთან ქანქარას. შეხამებისა (დაუღლებისა). მასვე ეკუთვნის ცენტროდანო ქანქარას გამოყენება მანქანაში. ლეონარდოს შემდეგ, ქანქარას პრობლემაზე მუშაობს გალილეო-გალილეი. ამ პრობლემას საბოლოოდ სწყვეტს ქრისტიან ჰეიგენსი, რომელიც გალილეისაგან დამოუკიდებლად, 1656 წელს აკეთებს პირველ ქანქარიან საათს. მესამე სოლომონ კოსტერი (ჰააგელი) 1657 წელს ყიდულობს ჰეიგენსიდან გამოგონებას და იწყებს ქანქარიანი საათების წარმოებას გენერალური შტატებისაგან მიღებული პრივილეგიის მფარველობის ქვეშ. 1690 წლიდან ქანქარის სპირალურ ზამბარაჟი შემოდის უკვე საყოველთაო ხმარებაში.

ამავე დროს საათის მექანიზმი ვითარდება კბილანა გადამცემის მთელ სისტემად, რომელიც თავისი სირთულით ყველა თანამედროვეთა განცვიფრებას იწვევდა. აი როგორ აგვიწერს, მაგალითად, მარტინ ლუთერი თავის პირველ შთაბეჭდილებას მისთვის 1547 წელს ჩუქებულ გადასატანი საათისაგან რომ მიიღო:

„ამ საჩუქარმა, რომელმაც მე დიდი სიამოვნება მომგვარა, მე მიძულა გამბდარაყავი ჩვენი მათემატიკოსების მოწაფედ (ლიუთერი საშუალო საუკუნეების მესაათებს „მათემატიკოსებს“ უწოდებდა — პ. გ.), რათა შემეცნო ყველა წესები და კანონები ამ ერთდღერთი თავისებურია ინსტრუმენტისა, რომელიც ჩემს წინაშე ძეგს, რადგან არასოდეს წინად მე არ მიხილავს და არ დავკვირებოვარ არაფერს ამის მსგავსს“.

სხვადასხვაგვარი სახის ფიგურალურ საათებში, რომლებიც დღემდე ამშვენებენ რატუმებს და ეკლესიებს გერმანიის ძველი ქალაქებისა, ანდა შესანიშნავ პოლანდიურ ანუ ბელგურ საეკლესიო ზარების დარეკაში საშუალო საუკუნეობრივ საათის ხელოვნებამ მიაღწია თავის უმაღლეს გამოხატულებას. აქ ჰპოვა თავისი განხორციელება მეცნიერების ხელონობასთან იმ თავისებურ შეხამებამ (შეუღლებამ), რომელსაც აღნიშნავს კ. მარქსი; როგორც ყველაზე დამახასიათებელ ნიშნეულობას საშუალო საუკუნეობრივი ტექნიკისა.

რაც შეეხება თვითმომძრავ აპარატებს (ავტომატებს), ისინი კი, როგორც ჩანს, ისევე ძველი წარმოშობისა არიან, როგორაც საათი, თუმცა მათი ისტორიული კავშირი საათის მექანიზმთან იწყება მხოლოდ საშუალო საუკუნეობის პერიოდში. ჯერ კიდევ რომაელებში, არაბებში, ბერძნებში სხვადასხვა სახის არასრულქმნილი ავტომატები წარმოადგენდნენ არა იშვიათ მონაწილეს მდიდრული სახლების მოწყობილობათა, უმთავრესად გართობის საგანთა სახით. აღრინდელი და გვიანდელი საშუალო საუკუნეობის პერიოდში ავტომატებს იმავე როლის შესრულება უხდებოდათ, თვით დიდ ლეონარდოც იძულებული იყო მიღწევაში ერთ-ერთი სამეფო დღესასწაულისათვის გაეკეთებინა ავტომატიური ლომი, რომე-

ლიც აკეთებდა რამოდენიმე ნაბიჯს, გაახსნიდა გულ-მკერდს და აჩენდა შივ დამალულ ზამბახს.

1738 — 1741 წ. განთქმულ ფრანგ მექანიკოსმა ვოკანსონმა გააკეთა სამი ცნობილი ავტომატი: 1) მესალამურე, ნატურალური სილადისა, რომელიც 12 ს-მღერას უკრავდა, 2) მწყემსი საყვირითა და დოლით, 3) ავტომატური იჭვი, რომელიც აკეთებდა ცოცხალი იხვს ყველა მოძრაობას თვით დასკინტლებამდეც-კი. ძირითადში ყველა ეს ავტომატები დამყარებული იყვნენ. ამა თუ იმ ფორმით საათის მექანიზმზე და ვაკეთებელი იყვნენ მომართული ზამბარაკის პრინციპზე.

ვოკანსონისა და სხვათა ცდებმა, როგორც სწორად აღნიშნა კ. მარქსმა. დიდა გავლენა მოახდინა ინგლისელ გამოგონებელთა უანტაზიანზე. თუმცა. საათის მექანიზმი, გარდა უმნიშვნელო გამონაკლისისა, ვერ შეიჭრა წარმოებაში. ერთადერთი დარგო, სწადაც მას ეწერა ერთგვარი როლს თამაშო, იყო სამხედრო და რევოლუციონური სფერო, სადაც ის არაერთხელ ყოფილა გამოყენებული ეგრეთწოდებული „ჯოჯოხეთის მანქანებისათვის“.

1585 წელს იტალიელ გიანიბელიმ პირველად „ჯოჯოხეთის მანქანის“ დახმარებით. რომელიც მოძრაობაში მოყავდა საათის მექანიზმს, ააფეთქა ხიდა მდნარე შელდზე, ანტევერპენის ახლოს. 1645 წელს ლიუბეკელ ვაჭრების მიერ მოსყიდულ ჰანს კრევეტმა სცადა ჯოჯოხეთის მანქანის შემწეობით ააფეთქებინა დანიის ორი ხომალდი, მაგრამ თავისი მექანიზმების არასრულქმნილი ხასიათის გამო თვითონვე დაიღუპა. სამასი წლის შემდეგ, 1925 წელს, ჯოჯოხეთის მანქანებმა. რომლებმაც სოფიის საკრებულო ტაძრის თაღებ ქვეშ ჩამარხა 150 ბოლგაული ფაშისტი, შეიწირა რამოდენიმე მუშები და გლეხები, რომლებიც კომუნისტურ პარტიას ეკუთვნოდნენ.

განსაკუთრებულ მნიშვნელოვან როლს საათის მექანიზმის პრინციპი იღებს მხოლოდ მე-XIX საუკუნეში. როდესაც ის იქცევა თანამედროვე სამრეწველო წარმოებათა უამრავი სარეგისტრაციო აპარატების შექმნის ბაზად.

(ს. ბენოვი — „მანქანების განვითარება“)

§ 10. საზღვარო ტრანსპორტის ტექნიკა

ნატურალური წარმოების ერთადერთი სფერო, რომელსაც უშუალოდ დაეუფლა სავაჭრო კაპიტალი და რომელშიაც ის თამაშობდა ერთგვარ რევოლუციონურ როლს იყო იალქნის ნაოსნობა. თუ ავიღებთ იალქნიანი ხომალდის ტიპს, როგორადაც ის მიიღო მემკვიდრეობად ევროპამ აღმოსავლეთის ხალხებთან, დავინახავთ, რომ ამ ეპოქას მთავარი მიღწევები არის ცვლილებები, რომელიც შეტანილ იქნა ნავის მართვის საქმეში. ძველებური გვერდის საქე პირდაპირი შთანთქმავალი პირველყოფილი ნაჩაბისა, მხოლოდ მე-XIV საუკუნის დასაწყისს გადადის ბოლოზე, მ-ს ეხლანდელ ადგილს. ამ მცირედ გაუმჯობესებას ჰქონდა კოლონალური მნიშვნელობა მთელი იალქნის ნაოსნობისათვის.

„თავდაპირველად ცნობილი იყო მხოლოდ გვერდის საჭეები — ნიჩბები, რომლებიც მიმაგრებული იყვნენ ნავის კიდურებზე და რომლებიც სახურებდნენ ნავის მართვის საჭმეში. დიდი ტალღების (ღელვის) დროს ს უზარმაზარი ნიჩბები ეეჯახებოდნენ ნავის კიდურებზე, რის შემდეგ ან ახ ამტკრევდნენ, ანდა თვითონ იმტკრეოდნენ. ამიტომ აუცილებელი იყო სეთი ნიჩბების დიდი რაოდენობის მარაგის თან ტარება ზღვაზე ცურვაში არს. ქარიშხლის დროს საერთოდ ამ ნიჩბებს ხსნიდნენ და ნავში აწობდნენ და ნავი ყოველგვარი მართვის გარეშე ზღვის ტალღებს მიეცეოდა. მხოლოდ თანდათანობით იწყებენ საჭის მიმაგრებას ხინტერსტვენზე, ნავის ბოლოზე. უძველესი ნახაზი (ნახატი) იალქნიანი ნავისა ასეთი ბოლოზე გაკეთებული საჭით მიეკუთვნება XIII საუკუნის შუალებს, აუმა გვერდის საჭე კიდევ დიდა ხნის განმავლობაში რჩებოდა ხმაუებაში.

ბოლოზე გაკეთებული საჭის გამოყენების შემდეგ შესაძლებელი იყო ეფრო მაღალი კიდურებიანი და უფრო მაგარი და მყარი ზომალდებს შენება. ამასთანავე ერთად იზრდებოდა აგრეთვე თვით სიდიდეც ხომალდისა. 1240 წელს ინგლისის ყველაზე უდიდესი ზომალდი იყო სულ 80 ჰონი წყალწყვესა, 1340 წელს ჰანზის კავშირის დიდი ზომალდები აღეკვდნენ 250 ტონი წყალწყევს.

ასეთი მაგარი ზომალდებისა და კომპასის *) ქონების შემდეგ შესაძლებელი იყო, უკვე ფიჭვი ოკეანის უცნობი ნაწილების გამოკვლევაზე. ყველასათვის ცნობილია, თუ როგორ გაადვილეს ამ გაუმჯობესებებმა ის კრანდიოზული ნაოსნობანი, რომლებმაც 1492 წელს მიგვიყვანეს ამერიკის აღმოჩენამდე და რომლებიც დღემდე წარმოადგენენ მსოფლიო ისტორიაში ერთადერთ მოვლენას თავისი სახით“. (კ. მატროსი).

გარდა ამ გაუმჯობესებათა სავაჭრო კაპიტალის ეპოქამ თითქმის არაუკრით არ აღნიშნა თავისი ბატონობა იალქნიან ნაოსნობაზე.

თვით ზომალდების სიდიდეც კი მე-XIX საუკუნის დასაწყისამდე თითქმის არაფრით განსხვავდებოდა იმათაგან, რომლებითაც კაცობრიობა გამოვიდა საშუალო საუკუნეებიდან. უდიდეს სამხედრო ზომალდს ინგლისისა მე-XVII საუკუნეში ქონდა სულ 1637 ტონი წყალწყევა. ხოლო ჩვეულებრივი იალქნიანი ზომალდები თვით მე-XVIII საუკუნეშიც კი არ აღემატებოდნენ 100 — 200 ტონს, ე. ი. ცოტათი თუ გამსხვავდებოდნენ კოლუმბის „წმ. მარიაბოდან“.

(ს. ბესლოვი — „მანქანების განვითარება“)

*) კომპასი არ არის გამოგონილი ევროპაში, ისე როგორც თოფწამალი; ის ვეროპელთა მიერ გადმოღებული იყო აღმოსავლეთიდან.

§ 11. თანამედროვე მანუფაქტურა (ჩინეთში)

a) საერთო დახასიათება

ევროპაში მანუფაქტურების ისტორიული განვითარება დაიწყო იტალიასა და ფლანდრიაში, სადაც მანუფაქტურები იმთავითვე უმთავრესად გარეშე ბაზრისათვის მუშაობდნენ, ხოლო შემდეგში ინგლისსა და საფრანგეთში, სადაც თავდაპირველად ისინი შინაგანი ბაზრით კმაყოფილდებოდნენ. მანუფაქტურიდან მსხვილ მანქანურ ინდუსტრიაში გადასვლა ევროპაში მოხდა თითქმის მთელი სამი საუკუნის განმავლობაში.

თუ ჩინეთში კოოპერაციის ისტორიის გადავლევებთ თვალს დავინახავთ, რომ ჩინეთმა ამ მხრივ რამოდენიმე საუკუნით გაუსწრო წინ ევროპას. ჯერ კიდევ მარქსმა აღნიშნა, რომ მრეწველობის განვითარების თვალსაზრისით წყლის რეგულირებას დადი მნიშვნელობა ქონდა. მანვე მოგვითთხა ლომბარდიის, პოლანდიისა და ეგვიპტეს მაგალთებზე. მოსარწყავ სისტემათა შექმნა და მდინარეების აღიდების გამო ნაპირზე გადმოსვლის წინააღმდეგ უზარმაზარ ნაგებობათა მოწყობა, შემდეგში ჩინეთის კედლის აგება, არხებისა და გზების გაყვანა — კოოპერაციის მთავარი სახეები იყო ჩინეთში.

მაგრამ კოოპერაციის მრეწველობის დარგშიც ქონდა ადგილი. ქვეყანა საპირობებდა ლითონებს ფულად გამოსაქედად, იარაღებისა და სხვადასხვაგვარი ჭურჭლეულის დასამზადებლად. აუცილებელი იყო სამთო საქმის განვითარება. მე-XI საუკუნეში ვერცხლისა და ოქროს გარდა სახელმწიფო მალარობებიდან უკვე იღებდნენ 8693 ტონ სპილენძს, 3274 ტონ რკინას, 5474 ტონ ტყვიას, 1382 ტონ თუნუქს; და მემეტრანეები აღნიშნავენ, რომ „1236 წ. — 760 ოჯახი, 1237 წ. — 1000 ოჯახი იძულებითი წესით იქნენ გადაყვანილნი თუჯის სადნობად შანსში, ხოლო 1236 წ. — 11.000 ოჯახი და 1264 წ. — 4.000 ოჯახი შანდუნში იმავე მიზნისათვის“. ათსობით ახდენდნენ ოჯახების მობილიზაციას ვერცხლის ამოსაღებად და ოქროს საბულოებში სამუშაოდ. წარმოება — უდავოდ ღიდი მასშტაბის იყო.

არაბეთის მოგზაურები აღნიშნავენ, რომ ჩინეთის ფლოტი მე-XVI საუკ. შედგებოდა ისეთ გემებისაგან, რომლებზეც პირადი შემადგენლობის რიცხვი 1.000 კაცს უღრიდდა. უეჭველია, რომ გემთმშენებლობა

მე-XIX საუკ. ნახევარშიც იყო განვითარებული. და მართლაც პაკ-ხოსა, ბუნანსა და ჩეე-ძიანში გემთსააღმშენებლო მსხვილ წარმოებებზე ათეული ათასი მუშა იყო დაბანდებული. მარკობლო იუწყება, რომ ხელანდელ ხანჯოლში მოიპოვებოდა სახელოსნოები მუშათა 20 — 40 საერთო რიცხვით.

მე-XIII საუკ. ხანჯოლში იყო „მთავრობის სასახლე, გარშემოკრული სახელოსნოებით, სადაც ხელოსნები მუშაობდნენ და ამზადებდნენ საუცხოო ტანთსაცმელს, საჭურველსა და სიომარ ჩარაღს... იქ იმყოფებოდა 1.600 ოსტატ-ხელოსანი, რომელთაგან ყველა თითოეულს თავიანთ გამგებლობაში ყავდა სამი ანუ ოთხი ქარგალი“ (ეს ხელოსნები სახაზინო მონები იყვნენ). ჩვენ ვიცით, რომ უკვე მე-XI საუკ. იყო თიხის დიდი მანუფაქტურები და ფაიფურის უდიდესი მანუფაქტურები ცხინ-დე-ჩეენში, და განვითარდნენ ისინი მაშინ, როდესაც საფრანგეთში არც კი ოცნებობდნენ სამეფო მანუფაქტურებზე. ზარაფხანა, იარაღის სახელოსნოები და, ალბათ, მონასტრებიც მსხვილი წამოების ადგილები იყო.

თუ მივმართავთ ჩვენთვის ხელმისაწვდომ წყაროებს ამ წარმოებათა მდგომარეობის შესახებ მე-XIX საუკ. პირველ ნახევარში, როდესაც ევროპასთან ურთიერთობამ ჩინეთის ეკონომიკაზე ღრმა ცვლილებათა გამოწვევა დაიწყო — ნათელი გახდება, რომ სამთო საქმეს (ნახშირისა და რკინის მადნის ამოღებას) ამ დროისათვის არ შეუცვლია სახე, ფაიფურის — დატეხული იყო, ხოლო თიხის საქმე არ იზრდებოდა. მანჯოლს ხელისუფლების გაბატონებისა და ევროპელების მოსვლის შემდეგ იწყება მსხვილი გემთშენებლობის კრიზისი.

ვილიამსი იუწყება, რომ კანტონში ითვლებოდა 5 ათასზე მეტ მჩქეძე და 6.000 აბრეშუმის მქსოველი, მაგრამ ჩვენთვის უცნობია იყვენ თუ არა აბრეშუმის მქსოველნი მანუფაქტურებში გაერთიანებულნი. პრაქტით, არის საბუთები იმის დასამტკიცებლად, რომ ძირითადად აბრეშუმის ქსოვა საოჯახო მუშაობის საქმიანობა იყო. დიდად დაკვირვებული რუსის ბერი იაკინთე იტყობინება, რომ „მთავრობა ამოქმედებს აბრეშუმს, სამ ფაბრიკას: ძიან-ნინ-ფუში, სუ-ჯო-ფუში და ხანჯოლ-ფუში. ამ ფაბრიკებში ამზადებდნენ სასახლისათვის სხვადასხვაგვარ აბრეშუმის ქსოვილს იმდენი რაოდენობით, რომ სასახლის გამგეობის თვალსაზრისით პაკმაოდ იქნება ცნობილი მთელი წლის განმავლობაში მოხმარებისათვის. სასახლის ქსოვილთა ნიმუშები სახეებში ყოველ ათი წლის შემდეგ იცვლება და ჩინეთის იმპერიაში ისეთსავე როლს ასრულებს, როგორცაა მოდა ევროპაში. საუკეთესო აბრეშუმის ქოვილი მზადდება ხანჯოლ-ფუში, რომელიც დანიშნულია ზამბერატორო სახლის წევრთათვის, რომელთათვისაც ის იგზავნება ხმელეთით, ხოლო დანარჩენი კი წყლით“.

პეკინში კვ, სადაც მაშინ საიმპერატორო სახლი იმყოფებოდა მას არ უნახავს დიდი ფაბრიკები. მაგრამ ზოგიერთ წარმოებაში რთულ მხატვრულ ნაკეთობათა დამზადების დროს ნივთის წარმოება რამოდენიმე ნაწილად იყოფა. მაგ., ხელოვნური ყვავილების დამუშავებისას ერთნი სკრიან ბალახის მერქანისაგან ფურცლებს, სხვები მათგან ადგენენ ყვა-

ვლებს; მათი შედეგება კიდევ მესამე პირთა მიერ ხდებოდა. ამგვარადვე ოქტბრი-მაშუქას დამზადებაც საბოლოოდ მოითხოვდა ექვსი კაცის ხელში გავლას.

ხელოვნური ყვავილების გაკეთება წარმოებდა სხვადასხვა სახლებსა და ოჯახებში, ხოლო მაშუქას (ფონარის) დამზადება კი ერთ ფაბრიკაში, მაგრამ სხვადასხვა პირის მიერ.

ევროპაში ფეიქრობა პირველი და უმნიშვნელოვანესი მანუფაქტურათაგანი იყო. „მოსახლეობის ზრდასთან ერთად გადიდებული მოთხოვნა ქსოვილებზე ტანთსაცმელისათვის, წარმოშობილი მიმოქცევის სიჩქარის წყალობით, ამით გამოწვეული ნატურალური კაპიტალის დაგროვება და მობილიზაცია, და კავშირის (მიმოსვლის) თანდათანობითი გაფართოვების გამო ფუფუნების საგნებზე მოთხოვნის ზრდამ ფეიქრობას რიცხვობრივად და თვისობრივადაც მისცა ბიძგი, რომელმაც გაზოიყვანა ის წარმოების ძველი ფორმის ჩარჩოებიდან“ (კ. მარქსი და ფრ. ენგელსი).

1895 წ. 21 მაისის თარიღით კაუტსისადმი გაგზავნილ წერილში ფრ. ენგელსიც ხაზს უსვამს ფეიქრობის, სახელდობრ არაამქრულ ფეიქრობის უდიდეს მნიშვნელობას კაპიტალიზმის განვითარებისათვის და არაამქრული ფეიქარი-მოჯამაგირეების მნიშვნელობას — პროლეტარაატს განვითარებისათვის. რამდენადაც ჩვენ შევძელით გამოგვეჩვენო, ფეიქრობა ჩინეთში მანუფაქტურაში არ განვითარებულა რამოდენიმედ მნიშვნელოვანი ზომით. წარმოება ბამბის ქსოვილებისა, სელის ქსოვილებისა და, სპეციალურ მანუფაქტურების გამოკლებით, აბრეშუმისაგან ქსოვილების დამზადება შეადგენდა ქალაქისა და სოფლის საოჯახო მრეწველობას.

გლებებისა და ქალაქის ლატაკნი ჩინეთის განსაკუთრებულ პირობებში, განიციდინენ რა უსაზღვროთ მძიმე ექსპლოატაციას, ამარაგებდენ ქსოვილის საჭირო რაოდენობით არა მარტო ქალაქს, არამედ რამოდენიმედ გარეშე ბაზარსაც. მაგრამ ამაში ხომ არ მდგომარეობს ერთი შთავარი მიზეზთაგანი იმისა, რომ ჩინეთი საკუთარი ძალებით ვერ განვითარდა მსხვილ მანქანურ წარმოებამდე?

წარმოების სხვა დარგებში მუშა ხელის სიმცირე არ იწვევდა ტექნიკის გაუმჯობესებას. ჩინელები იცნობდენ ბურღვის ტექნიკას; ისინი ამ ხერხით იღებდენ მარბილს სიჩუანში. მათ აღმოაჩინეს კომპასი, თოფის წაშლილი. წიგნის ბეჭდვის ტექნიკა, სამთო საქმის ტექნიკა და სხვ.; მაგრამ ამით რამთავრდა საქმე. ჩინეთის სოფელი ყოველთვის აკმაო რაოდენობით აწვდიდა ამ წარმოებებს კულებს (მუშებს); სახელმწიფო კი იძულებით წესით უზრუნველყოფდა თავის მოთხოვნილებას მუშა ხელზე. ენგელსის სიტყვით აღამიანი აწვებოდა ავიწროებდა წარმოების საშუალებებს. მუშა ხელის სიმრავლის გამო ტექნიკის განვითარება ფერხდებოდა. „როგორი მნიშვნელობაც ძელებს ჩონჩხს აქვს გამჭრალ ცხოველთა სახეების ორგანიზაციის შესწავლისათვის, ასეთივე მნიშვნელობისაა შრომის საშუალებათა ნაშთი გამჭრალ საზოგადოებრივ-ეკონომიურ ფორმაციისა-

თვის" (მარქსი). ხელოსანთა სახელოსნოებისა და მანუფაქტურების იარაღი, რამდენადაც მანუფაქტურა აერთიანებს მხოლოდ შრომის წინანდელ საშუალებებს — წარმოადგენს წარმოების გამჭრალ საშუალებათა, გამჭრალ საზოგადოებათა იარაღს. კაპიტალისტურმა განვითარებამ ჩინეთს მისცა არა მარტო საწარმოო პროცესის ახალი ორგანიზაცია, არამედ შრომის ახალი საშუალებებიც, ახალი ძრავები, ახალი ქიმიური საშუალებანი და წესები. მაგრამ სწორედ ამიტომ წარმოიშობა მეორე სიძნელეც. ზედმიწევნით საძნელოა ზუსტა მჯნის გავლება მანუფაქტურასა და ფაბრიკას შორის.

ბ) საფეიქრო მანუფაქტურა

რიცხვობრივად და თვისობრივად მთავარ როლს ყველა მანუფაქტურებს შორის ჩინეთში თამაშობდა ფეიქრობა. სხვა ადგილზე ჩვენ უკვე მიუთითეთ უფრო ვრცლად საფეიქრო საქმის განვითარების მსვლელობაზე ჩინეთში და საფეიქრო მანუფაქტურების აღმოცენების პროცესზე. აქ საკმარისი იქნება აღინიშნოს, რომ საფეიქრო მანუფაქტურების განვითარებას ხელს უწყობდა ეს ტექნიკური რევოლუცია, რომელსაც, თუმცა ნაწილობრივ, განიცდიდა ეს სარეწაო. ძველი მოდის ხის საფეიქრო დაზგის გვერდით უკვე გაჩნდა თანამედროვე ხის დაზგა, აქა იქ კი რკინის დაზგაც. წარმოების ძველი იარაღის ახლით შეცვლამ გამოიწვია შრომის ნაყოფიერებას 2-ზე მეტჯერ გაზარდა თანამედროვე ხის დაზგების გამოყენებისას და 4 — 5-ჯერ მეტად — რკინის საქსოვ დაზგების გამოყენებისას.

ამგვარივე ტექნიკური რევოლუცია დაიწყო აბრეშუმის ქსოვის საქმეში; სადაც მხოლოდ 1908 წ. იქნა შემოღებული ხანკოუში ჯაკარტის ტიპის პირველი დაზგა. საფეიქრო მანუფაქტურების გავრცელების შესახებ ჩვენ მაგალითებს არ მოვიყვანთ. საკმარისია ითქვას, რომ ყოველ ქალაქში მათი რაობები არ არის მცირე, რომ მსხვილ საფეიქრო ცენტრებში, მაგ., ხობეის (ჩეილი) პროვინციაში სოფლებშიც კი მოიპოვება ცოტად თუ ბევრად მნიშვნელოვანი მანუფაქტურები. შანდუნში კულაქს ხშირად 4 — 6 საქსოვი დაზგა აქვს თავის სახლში. უფრო განვითარებულ ქალაქებში, სადაც არსებობს ელექტრონის ძალის დადგმულობანი, უკვე ახალი ტექნიკური რევოლუცია იწყება ამ წარმოებაში.

ელექტრონი შემოდის როგორც მამოძრავებელი ძალა და მანუფაქტურებს ფაბრიკებად ხდის. 1924 წ. მუკდენში 20-ზე მეტი საფეიქრო მანუფაქტურა იყო, რომელთაგან 17 ემყარებოდა ადამიანის შრომას როგორც მამოძრავებელ ძალას, დანარჩენი სამი მუშაობდა ელექტრონით. ყველა მანუფაქტურაში ერთობლივ 1824 დაზგაა; იმ მანუფაქტურაში, სადაც ელექტრონის ძრავია, ერთი მუშა უძღვება ორ დაზგას, ხოლო ხელთ მომუშავე მანუფაქტურაში, როგორც საერთო წესი ერთ დაზგაზე ორი კაცია მუშაობს, ერთი მუშა როგორც ფეიქარი, ხოლო მეორე, — შეგირდი — სწევს „ძრავის“ მაგიერობას. ელექტრონის ძრავიანი საქსოვი დაზგების ნაყოფიერება ორჯერ აღემატება ხელის ძრავიან დაზგების ნაყოფისა.

ფიერებას“. (სხვათა შორის აღენიშნავეთ რომ სამხედრო კონიუნქტურის დროს 1917 წ. მუკდენში 7.400 დაზგა მუშაობდა და არა 1824!). ამგვარად ელექტრონის ძრავით მომქმედ დაზგაზე მომუშავეის შრომის ნაყოფიერება 8 — 10-ჯერ აღმატება ძველი მოდის საქსოვ დაზგაზე მომუშავე მუშის შრომის ნაყოფიერებას.

ასეთივე არამყარი მდგომარეობა მანუფაქტურებში, მაგრამ იმავე დროს ოგივე ტექნიკური პროგრესი გვხვდება ჩვენ ნელჩუანში. 1921 წ. იქ 98 მანუფაქტურაზე — 1322 საქსოვი დაზგა მოდიოდა, 1925 წ. 120 მანუფაქტურაზე — 2 ათასი, ხოლო 1927 წ. 87 მანუფაქტურაზე — 1200 დაზგა. ელექტრონის გამოყენება დაიწყო 1915 წ., ხოლო ამჟამად 24 წარმოებაში 500 საქსოვი დაზგა ელექტროძალაზე გადაყვანილია. აქედან დასკვნა გამოიყვანება, რომ საწარმოთა და საქსოვი დაზგების რიცხვის შემცირება არ ნიშნავს წარმოების შემცირებას.

იმის კარგ მაგალითს, თუ როგორ თავსდება ერთად ტექნიკის სრულად სხვადასხვა დონეზე მყოფი წარმოების საშუალებანი წარმოადგენს უსა, სადაც 17 მანუფაქტურიდან ერთში ხმარობენ რკინის დაზგებს, სამში — ხისას ფოლადის შემადგენელი ნაწილებით და 13-ში უბრალო ხის დაზგებს. ასეთსავე მოვლენას ჩვენ შევამჩნიეთ აბრეშუმის ქსოვის დარგშიაც. უდავოა რომ დიდი ნაწილი აბრეშუმის ქსოვილისა ჯერ კიდევ კლენის მეთურნობებში მზადდება. მაგრამ წარმოების ამ დარგში შრომის მანუფაქტურული ორგანიზაცია უკვე დიდ სარფას იძლევა, და აბრეშუმის ქსოვა უფრო იყრის თავს ქალაქის მანუფაქტურებში.

ამჟამად ხანჯრუში უკვე 4 ათასზე მეტი, ზღჩოლში 3 ათასზე მეტი ჯაკარდის ტიპის თანამედროვე აბრეშუმის საქსოვი დაზგაა, ხოლო იანცხის ხეობაში და გუანდუნში აბრეშუმის ქსოვას ჯერ კიდევ თვალსაჩინო ადგილი აქვს დაქერილი საოჯახო მრეწველობისა და მანუფაქტურის სახით. თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ ნედლეული-აბრეშუმის მხოლოდ 38% გააქვთ ჩინეთიდან, ხოლო 68½ შინაგან ბაზარს ხმარდება, თუ მივიღებთ მხედველობაში აგრეთვე იმას, რომ ქსოვილის სხვა სახეების (მათ შორის ხელოვნური აბრეშუმის), კონკურენტის მიუხედავად აბრეშუმი კიდევ დიდ როლს ასრულებს, როგორც მასალა მოსახლეობის შეძლებული ფენების ტანსაცმელისათვის — მაშინ ნათელი გახდება აბრეშუმის ქსოვის დიდი მნიშვნელობა.

მოკლეთ აღენიშნავეთ, რომ იმდენად რამდენადაც ბამბისა და აბრეშუმის ქსოვილების წარმოება ფართოვდება — ჩინთსმბეჭდავი და სამკობრო საქმეც იზრდება და გადადის მანუფაქტურაში. შანხაიში მხოლოდ საფრანგეთის კონცესიაზე არის 40 სამღებრო მანუფაქტურა 2.000 მუშით.

უკანასკნელ დროს შანხაიში, ხანკოუში და სხვა ქალაქებში უაღრესად დიდ მნიშვნელობას იძენს სატრიკოტაჟო მანუფაქტურები. არის წარმოებანი, რომელშიც რამოდენიმე ასეული მუშა-ქალაქი საქმიანობს. მარჯოლდენ შანხაიში 60 მსხვილი მანუფაქტურაა და მათგან რამოდენიმე ძალზე დიდი, ხანკოუში არსებობს მანუფაქტურები არა მარტო 100,

60 — 80 მანქანით, არამედ 3 — 4 მანქანითაც. უნაში 22 სატრიკოტაჟო მანუფაქტურაა 800 მანქანით, ამავე დროს ერთ ფირმას აქვს 400 მანქანა, რომლებზედაც მუშაობს 800 მუშა. სატრიკოტაჟო ნაწარმის გატანა თაი-დათანობით მატულობს, და ინდოეთში უკვე გაიზმის წუწუნის ჩინეთის კონკურენციის შესახებ.

მანქანების დიდი ზოლით ხელს უწყობს ამ წარმოების საოჯახო მრეწველობის სახითაც გავრცელებას (ერთი სატრიკოტაჟო მანქანა ღირს 20 დოლარი), თუმცა, როგორც საერთო წესი, მანქანა საქირაოდ ეძლევათ მსხვილ მწარმოებლებს. სატრიკოტაჟო ნაწარმის ექსპორტი საქირაოდ ხდის სტანდარტული, მასიური საქონლის დამზადებას, რაც უფრო მტკიცე ბაზას უქმნის ამ წარმოებას. თითქმის ყოველ პროვინციას, უკეთ რომ ვთქვათ, ყოველ გენერალს აქვს თავისი სახაზინო სამკერვალო მანუფაქტურა არმიის ტანსაცმელით მოსამარაგებლად. ჩვეულებრივად ამ სახაზინო მანუფაქტურებში ობლები მუშაობენ. ექსპლოატაცია კეთილმოქმედებად იქცევა. პეკინში საშხედრო-სამკერვალო მანუფაქტურაში. 450 ობოლი სასტიკ ექსპლოატაციას განიცდის.

ც) თიხის კურკლეულისა და ფაიფურის მანუფაქტურა.

უდავოა, რომ ჩინეთში უძველეს მანუფაქტურად ითვლება თიხის კურკლეულსა და ფაიფურის მანუფაქტურა. თუ როდის ჩაეყარა საფუძველი ამ წარმოებათ, ეს ჩვენთვის უცნობია. ამ საქმის საუკეთესოდ მცოდნე ბ რ ი ნ კ ლ ე ი ამტკიცებს, რომ ისტორიული დოკუმენტების მიხედვით თიხის საქმიანობა ჩინეთში არსებობდა უკვე 2698 წ. და ფაიფურის მანუფაქტურები 202 და 88 წლებს შორის ჩვენი წელთაღრიცხვამდე. ამავე საქმის დიდი მცოდნე პ ა ლ ე ო ლ ო გ ი ამტკიცებს, რომ ჩინელები თიხის საქმეს იცნობდნენ მხოლოდ 1700 წ. და ფაიფურისას მხოლოდ 1800 წლიდან ჩვენი წელთაღრიცხვამდე. ჩვენ ვერ განვსჯით, თუ რომელია მათგან მართალი. ფაქტია, რომ ბურჟუაზიული „ჩინეთის-მცოდნეობა“ ამ საკითხს ასჯერ მეტ ყურადღებას აქცევდა: ვინემ გლების საკითხს.

ჩვენ არ ვცდილობთ ამ შესანიშნავი წარმოების განვითარების ისტორიული ნარკვევის მოცემას. 1625 წ. პასტორი დ ა ნ ტ რ კ ო ლ ი ამტკიცებდა, რომ ფაიფურის მანუფაქტურების მთავარ ცენტრში, ცზინდენ-ჟინში 1 მილ. მცხოვრებია. მის აღწერიდან ამბ. ს ა ფ ა რ ო ვ ს გამოყაყას დასკვნა, რომ მე-XVII საუკ. ძინდენ-ჟინში არსებობდა საიმპერატორო ბატონყმური მანუფაქტურა, რომელიც დამყარებული იყო დაქირავებულ შრომასთან კომბინირებულ საბეგარო შრომაზე. მართალია, თვით ა ნ ტ რ კ ო ლ ი ამბობს, რომ იქ მსხვილი ვაქრები ინახავდნენ მუშაკთა განსაცვიფრებელ რაოდენობას. როგორც ჩანს, იქ არსებობდა არა საიმპერატორო, არამედ ბატონ-ყმური საწარმოები.

ლონგფელო ხოტბას ასხამდა ცზინდენ-ჟინს ამისათვის, რომ იქ 3 ათასი ღუმელია და 1 მილ. მუშა. მოგზაური, რომელმაც მე-XIX საუკ.

დასაწყისში მოიარა ცზინდერენი, აგრეთვე ამბობს, რომ ქალაქის მოსახლეობა 1 მილ. კაცს აღემატება და ქალაქის გარეგან სახეს ადარებს ბერმანკვამს. მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ცზინდერენი აწარმოებს არა ფოლადს, არამედ ფაიფურს. თუ ამ მტკიცებათა ნახევარი ან მეოთხედო ჰაინც ვართალია — ცზინდერენი უდავოდ წინაკაპიტალისტური ფორმაციის უმნიშვნელოვანესი სამრეწველო ცენტრი იყო და გასაკვირვებელი არ არის თუ ჩინეთს მე-XII საუკ. ფაიფურის ნაწარმოები გაქონდა არა მარტო ინდოეთსა, არაბეთსა და აფრიკაში, არამედ მე-XIV საუკუნეიდან დაწყებული ევროპაშიც. უფრო ფართო მასშტაბით ფაიფურის ევროპაში შემოზიდვა დაწყდა ოსტ-ინდოეთის კომპანიის მიერ მე-XVII საუკ. ამავე პერიოდში იწყება წარმოების დაცემა და გადაგვარება. როდესაც ევროპა და ამერიკაში შეუდგენ „ნამდვილი ძველი ჩინურ ფაიფურის“ ძებნას, ჩინეთში დაიწყო ყალბი ფაიფურის მზადება.

მე-XIX საუკ. ნახევარში ცზინდერენი უკვე დაქვეითდა. იაპონიისა და საფრანგეთის წარმოებამ გაუსწრო მას. ტაიპინებმა დაიკავეს რა ცზინდერენი გაანადგურეს იმპერატორის საუკეთესო ლუმელები — რათა დაწყებულ ფაიფურის ხარკის სახსენებელიც კი მოესპოთ. მე-XIX საუკ. დასასრულს საზღვაო საბაჟო კომისარი უკვე იუწყება, რომ ცზინდერენში 120 გამოსაწვავი ლუმელია და მხოლოდ 160 ათასი მუშა. 1904 წლის წყალდიდობამ მას დიდი ზიანი მიაყენა; — ხოლო 1928 წელს ცზინდერენის მცხოვრებთა რიცხვი 300 ათასს არ აღემატებოდა; ფაიფურის მანუფაქტურებში მუშათა გაფიცვებს ჰქონდა ადგილი, და მეწარმეთა დევნაცაა სთხოვდა ნანკინის შთაფრობას ამ უძველეს კლასიკური წარმოების დაცვას.

იაპონიის, გერმანიისა და საფრანგეთის კონკურენცამ ერთი მხრივ, და შინაური ბაზრის შევიწროებამ — მეორე მხრივ უმძიმესი ლახვარჩასცა ცზინდერენს. მაგრამ როგორ შეეძლო ცზინდერენს გამკლავება, როდესაც იაპონიის, გერმანიის, საფრანგეთის და სხვ. კონკურენტების გამო — წარმოება იქ თანდათან უარესდება, საწარმოო ხარჯები იზრდება, ტრანსპორტის პირობები ცუდდება, როდესაც მდინარეში 7 ლ. მანძილზე მოგზაურობას 2 — 3 დღე სჭირდება, წუნი მთელი ქურკლოს 20% შეადგენს, ხოლო 100 ლის მანძილზე უკვე აღარ მოძრვება ტყე, ე. წ. ცზინდერენის ირგვლივ სათბობი არ არის, როდესაც ნახშირის მოზიდვა ძიროა, შეშა ძვიროა, ტექნიკა ჩამორჩა, მწარმოებლები გაღარიბდნენ, საერთაშორისო ბაზარზე გოგანტური კარტელები ბატონობს (გერმანიაში 22 უდიდესი ფირმა გაერთიანდა). როდესაც ბეგარა-გამოსაღებნი, ლიკინი. აღრჩობს წარმოებას; როდესაც შრომის ორგანიზაცია საეკვეთა უსწრებდეს საშუალო საუკუნოებისას?

ჩვენ არ ვიცით სწორად რამდენი მუშაა დაბანდებული ცზინდერენში. მაგრამ 10 ათასი კაცი მუშაობს მხოლოდ ნედლეულის — სათანადო თიხის — მოპოებაზე. მუშება პროფესიის მიხედვით გაერთიანებული არიან ამქრებში. შრომა ზედმიწევნით დანაწილებულია. სამი ძირითადი ფუნქციაა — ქურკლოს დამზადება, გამოწვა და მოხატვა იყოფა მრავ-

ვალ ქვეფუნქციებად. ქურჭლის დამზადება ხუთ, ხოლო გამოწვა ოთხ ფუნქციად ნაწილდება. ორი ახალი საწარმო უკვე სარგებლობს ახალი ტექნიკით. ერთი ღუმელი უკვე იყენებს სათბობად ნახშირს. როგორც ჩანს, გამოსაწვავი ღუმელები იჯარით იცემა. მთელი საქმე კა ექვემდებარება რამოდენიმე ბანკსა და მსხვილ ფირმას, რომლებიც იმყოფებიან ხანკაუში და შანსაუში. ცხინდჩეენის ცდები ძველი დიდების აღდგენას უკანასკნელ ხანაზე უშედეგოდ რჩებოდა. ეხლა ბევრ ღუმელებში ამზადებენ უკვე ჩვეულებრივ ქურჭელს. საშუალო საუკუნოების უდიდესი მანუფაქტურები იშლება...

ჩინეთის კლასიკური მანუფაქტურა მექოთნეობა აყო. ეს საქმიანობა მნიშვნელოვანი საზომით სასოფლო სარეწაოდაც ითვლებოდა, მაგრამ ქალაქსა და რამოდენიმე სოფლის მოთხოვნილებას აკმაყოფილებდა მანუფაქტურა. განსაკუთრებით ცნობილია თიხის ქურჭლეულის (ქოთნის) მანუფაქტურები ისინში. ისინი თითქმის არსებულა ჯერ კიდევ მე-V ს. ჩვენი წელთაღრიცხვამდე. მათ განვითარების უმაღლეს დონეს მე-XIV — XVI ს.ს. მალწიეს.

ამჟამად არის 63 ღუმელი, წარმოების სიდიდის შესახებ კი საკმარისი უქნება აღანიშნოს, რომ სამი ათასი მუშაა დაბანდული ნედლეულის მოსაპოვებლად ქურჭლის დამზადებასათვის. წლიური წარმოების ღირებულება უდრის 1 მილიონ დოლარს; ახლობელი სოფლების მთელი მოსახლეობა 60% მანუფაქტურებში მუშაობს. საქონელი იყიდება ბროკერების საშუალებით, რომლებიც იღებენ 6—7% კომისიას საქონლის ღირებულებიდან. გადასახადი, ლიცენზიის გარდა, ღირებულების 5%-ს უდრის. ზედმიწევნით სანტერესო და თავისებურია ქოთნის მანუფაქტურებში წარმოების ორგანიზაცია.

განიაოში (მანჯურია), ამ წარმოების მსხვილ ცენტრში, — მექარხნე ღუმელს ქირაობს მისი პატრონისაგან. მუშები კი თვით არიან ორგანიზირებულნი არტელის (ნადის) პრინციპის საფუძველზე. ყოველ ქარხანას ყავს არტელი, საშუალოთ 70 კაცი-საგან შემდგარი, რომელთაგან 4—5 ოსტატია, 4—5 ქარგალი, 1-დან — 5-მდე გამომწვავი, დანარჩენები კი მუშებია. შემდეგ ქირაობენ მუშებს თიხისა და წყლის მოსამზადებლად, ღუმელების გასათბობად და სხვ. ასეთი მუშების რიცხუა ხანდისხან 150 კაცს აღწევს; მათ შორის ბევრია ბავშვები.

ამ მუშებს ქირაობს არტელი. მოგება შემდეგნაირად ნაწილდება: 8% ეკუთვნის მექარხნეს, 38% — ოსტატებსა და ქარგლებს (ეს უკანასკნელნი თავიანთ წილს ყოფენ პროპორციით 55 : 45), ხოლო 54% — არტელის დანარჩენ წევრებს. მაგრამ მექარხნე არ კმაყოფილდება მარტო 8%-ის მიღებაზე. მექარხნეს მალაზია აკმაყოფილებს მუშასა და მისი ოჯახს ყოველივეთი, ოპიუმის მოწვევითაც კი, გარდა ხმელი პურისა, რომელიც მათ, მეტად არა საკმარის ხარით არტელიდან ეძლეოდათ. მუშა იმყოფება მუდმივ დავალიანებაში. მისი ოჯახიც მუშაობს, ვალის გადახდისათვის, რომელსაც ბოლო არ უჩანს“.

ამას დავუმატოთ უსაშინელესი საბინაო პირობები, მუდმივი გაცივება. თიხაზე მუშაობით ხელების მძიმე პროფესიონალურა დაავადება, და ჩვენთვის ნათელი ვახდება, რომ პატრიარქალური საარტელო ორგანიზაცია ვადაგვარდა სავალო მონობაში. საქონელი საღებვა ბროკერების საშუალებით. ზამთარში არტელის წევრებიც ეწევიან მონეტიალე ვაჭრობას. მექარხნეს ბაზართან არა აქვს უშუალო კავშირი. სამაგიეროდ ყველა არტელები, ერთად აღებული, ჰქმნიან გილდიას, და „განიამ არ იცის შემთხვევა, რომ რომელიმე ქარხანას ფარულად გაეყიდოს საქონელი — დაწესებულ ფასებზე ქვეით“, წერს მოქ. გერასიმოვი.

ასეთივეა წარმოების პროცესი და ორგანიზაცია გუანდუნის თიხის ქურქლეულის მანუფაქტურებში. არაფერი შეცვლილა წარმოების ტექნიკაში მინების დინასტიის დროიდან დაწყებული. მხოლოდ ფაიფურის შეღების დროს სარგებლობენ გერმანული წესებით. ამგვარსავე ორგანიზაციას ვხვდებით ჩვენ აგურის მანუფაქტურებშიც, თუ შეიძლება ასე ეწოდოს მათ. ისინი მოწყობილია თითქმის ყოველი ქალაქის მახლობლად. განსაკუთრებით ისინი გავრცელებულია რკინის გზების გასწვრივ. სადაც მოიპოვება ცოტადენი შესაძლებლობა მაინც, დამზადებული პროდუქტს გადასაზიდად. ისინი იზრდებიან მოზარდ ქალაქების მახლობლად. რკინის გზის გაყვანის შემდეგ ლუნდანში (ცზიანსუ) საწარმოოთა რიცხვი 2 — 3-დან 40-მდე გაიზარდა, ხოლო აგურის გამოსაწვავი ღუმელის რიცხვი 40-მდე. აღნაშნავენ, რომ მუშები საწარმოს „აქციონერები“ ან „მონაწილენი“ არიან, ე. ი. წარმოების ამ დარგში შენახული იქნა საარტელო ორგანიზაცია ყველა თავისი სიმშვენიერით.

არტელი საშინელ ექსპლოატაციას უწევს დღიურად მომუშავეთ, ხოლო მოიჯარადრე ან მექარხნე კიდევ უფრო საშინელ ექსპლოატაციას უწევს არტელის წევრებს. როგორც ჩანს არტელის პატრიარქალურა ხასიათი ფარავს მეეახშეობას, truck-system-ის და ამ ორგანიზაციის სხვა სიმშვენიერეთ.

თიხის ქურქლეულისა და აგურის წარმოების შემთხვევაში წარმოების ტექნიკა (გამოსაწვავი ღუმელის საჭიროება) იწვევს ქურქლისა და აგურის ცოტად თუ ბევრად მასიურ წარმოებას. ტექნიკური მომენტია აქ ორგანიზაციულ საწყისად ხდება. მანუფაქტურის ამგვარსავე გაერთიანებას არტელის შრომის ორგანიზაციასთან ადგილი აქვს აგრეთვე შაქრის ლერწმიდან წვენიის გამოხდელ მანუფაქტურებშიც. შაქრის ლერწამის გაშენება უკვე კარგა ხანია დაქვეითდა, და ფორმოზის, იავას და კუბას შაქარი იჭერს ჩინური წარმოშობის შაქრის ადგილს. მაგრამ შემოტანილ საქონლისათვის უფრო ნაკლებად მისაწვდომ ადგილებში და იქ, სადაც მახლობლად არ არის შაქარ-რაფინადის დიდი ქარხანა, როგორც გუანდუნში, რომელიც ნედლეულით ამარაგებს გონკონგის ქარხნებს, — ჯერ კიდევ ანახავს თავს შაქრის ლერწამის კულტურა; ამავე ადგილებში ინახავს თავს აგრეთვე შაქრის-საწენხი მანუფაქტურაც.

ეს მანუფაქტურები ჩვეულებრივად ეკუთვნის იმ გლეხთა კოოპერატივს, რომლებსაც მოყავს შაქრის ლერწამი. გლეხების ეს კოოპერა-

ტიული გაერთიანება იჯარით აძლევს მანუფაქტურას მუშათა არტელს ხოლო არტელი მუშაობისათვის იღებს სანარდო ხელფასს. არტელის საწესისი, ჩვეულებრივად შეერთებული მეთვისტომეობასთანაც, ფარავს „მექარბნ-ს“ ან არტელის მეთაურის (უსტაბაშის) მხრივ წარმოებული ეკაპლოატაციის უცუდეს ფორმებს. მაშინ როდესაც რუსეთში ხალხოსნებმა ცნობილი არტელები დაკავშირებული იყვენ უმთავრესად სოფლის მეურნეობასთან (ყველას, ერბოს დამზადება, ტყის გაჩეხვა და სხვ.), ჩინეთში არტელები „დაცულ იქნენ“ სამრეწველო საქმიანობაშიაც; დაცულ იქნენ, რასაკვირველია, სრულად გადაგვარებულ ფორმაში — არა როგორც კოლექტიური შრომის უჯრედები, არამედ როგორც მევახშეობასთან, truck-system-სთან და სხვ. პირვანდელი დაგროვების უცუდეს წესებთან შეერთებული უჯრედები. ამგვარი არტელები ეწყობა მოჯამაგირებისაგან შიდა მონგოლეთშიც და კოლონიზაციის ოლქებშიაც; არტელები ხშირად მუშაობენ, როგორც კოლექტიური მოიჯარადრენი მიწის მსხვილი სპეკულიანტებისა და მემამულეების მწებზე.

დ) ქალაღდის, სამღებროს, ქანდაკების, შაქმანების, საპნის და სხვათა მანუფაქტურა

ჩვენ ვერ შევძელით გამოკვევა — არსებობს თუ არა ამა თუ იმ ფორმის სახით საარტელო ორგანიზაციები. ქალაღდის მანუფაქტურებში, რომელიც აგრეთვე მიეკუთვნება ჩინეთის უძველეს წარმოებებს. ისინი შენდება მღინარის ან ღელეს მახლობლად, რადგან სუფთა წყალი დღი რაოდენობით არის საჭირო ნელელულიდან (ბამბუკი, ჩალა, ბრანჯი, ხის ქერქი და სხვ.). ქალაღდის გამომუშავებასათვის: მარქსის თეორიის ცნობილი აყო ქალაღდის წარმოების ძველ-აზიური ორა ფორმა ჩინეთსა და ინდოეთში *). ორივე მეთოდი დღევანდლამდე არსებობს.

უცხოეთის ქალაღდის შემოტანის ზრდამ. განსაკუთრებით რევოლუციის დროს ჯერჯერობით თითქოს ნაკლებად იმოქმედა წარმოების ან დარგზე. ჩინეთს კიდევაც გააქვეს ქალაღდი იმ ქვეყნებში, სადაც მოიპოვება ჩინეთის მასური ემიგრაცია. საზღვარგარეთელ ჩინელებს სურთ ქონდეთ „თავისი“ ქალაღდი. ქალაღდის მანუფაქტურები განსაკუთრებით გავრცელებულია ჩეცხიანში, გუანდუნში და ფუცხიანში. ფქრობენ, რომ ქალაღდის პროდუქციის ღირებულება ფუცხიანში მ მღნ. დოლარს აღემატება.

კაპიტალიზმის განვითარებამ არა მარტო შექმნა საფეიქრო და სამღებრო მანუფაქტურები, არამედ გამოიწვია მანუფაქტურების შექმნა წარმოების მთელ რაგ ძველ დარგებში, რომელიც წინეთ სრულდებოდა ხელოსნურა ან საოჯახო შრომით!

*) იხ. კ. მარქსი — „კაპიტალი“ ტ. I, 1930 ტფ., გვ. 331.

პეკინში ტიანცინში და ჩრდილოეთ ჩინეთის მთელ რიგ სხვა ქალაქებში არაბობს ასეულ ნოხის მანუფაქტურები. კონიუნქტურის მიხედვით პეკინში მათი რიცხვი 200 — 350 აღწევს; მაგრამ მათგან მხოლოდ 19-ში მუშაობს 19 მუშაზე მეტი თითოეულში. ეს მუშები თითქმის ყველანი ბავშვებია. გ ე მ ბ ლ ი ს ცნობებით ამ წარმოებაში ჩაბმულ მუშებიდან 97% ბავშვებია. სამუშაო დღე 9 — 11 საათს უდრის. ხოლო ტიანცინში კიდევ უფრო მეტს.

500 მანუფაქტურიდან მხოლოდ ორს აქვს კაპიტალი 100 ათასი დოლარზე მეტი. დანარჩენები წერილი საწარმოებია 1-დან — 2 ათასამდე დოლარის კაპიტალით. 1924 წელს ტიანცინში ნოხის მანუფაქტურებზე დაახლოებით 100 ათასი მუშა მუშაობდა. მაგრამ ეს წარმოება მძიმე კრიზისს განიცდის. შეერთებული შტატები, სადაც წინეთ მთელა გატანილი საქონლის 80% მიდიოდა, ჩინეთის ბაზარს ჩამოსცილდა და შესყიდვებს სპარსეთსა და ოსმალეთში აწარმოებს. ამიტომ ნოხების გატანა 1927 წელს 50%-ით დაეცა. ამჟამად ინგლისია მთავარი მყიდველი. ნოხების მხატვრული ღირებულება ნულამდე დაყვანილი.

ნანკინი განთქმული იყო თავისი ხ ა ვ ე რ დ ი ს მ ა ნ უ ფ ა ქ ტ უ რ ე ბ ი თ . რევოლუციის წინ 380 საწარმო იყო „ჩარჩობის“ 1.100 საერთო რიცხვით; 1924 წ. 350 საწარმო — 800 „ჩარჩოთი“. ხოლო მას შემდეგ კიდევ დაიხურა 24 საწარმო. ჩარჩობის რაოდენობის მიხედვით საწარმოები სამ კატეგორიად იყოფა, ერთ ფორმას, — დუ-ს ოჯახს, — 10 დიდი მანუფაქტურა აქვს. ხოლო მეორეს, დე-ს ოჯახს — 3. კონცენტრაციის პროცესი ჩქარი ტემპით მიდის.

სოფელი ხუშანი (ცზიანსი) მთლიანად შედგებოდა შ ი ნ ა მ რ ე წ ე ე ლ მ ო ქ ა ნ დ ა კ ე ბ ი ს ა გ ა ნ , რომლებიც თიხისგან ამზადებდნენ ყოველგვარ ქანდაკებას. წინეთ შინამრეწველნი თვით ვაჭრობდნენ თავიანთი ნაწარმით. ახლა კი 46 სავაჭრო აწარმოებს მათ ნაკეთობათა შესყიდვას, ხოლო ზოგიერთმა სავაჭრომ თავისი საკუთარი ს ა ქ ა ნ დ ა კ ო მ ა ნ უ ფ ა ქ ტ უ რ ა ც კ ი დაარსა.

შანდუნში ფრად დიდ როლს ასრულებდა თ მ ი ს ბ ა დ ო ს გაკეთება. ეს წარმოება საოჯახო მრეწველობას წარმოადგენდა, და არ იქნება გადამეტებული შტაკება იმისა, რომ როდესაც ეს წარმოება აყვავებული იყო, მასში ჩაბმული იყო 500 ათასი გლეხის ქალი. ახლა კი, მოღალდ შეკრეჭილი თმების შემოღების გამო — თმის ბადის გატანა ძალზე დაეცა. იმავე ხანებში ცზიანში მოეწყო რამოდენიმე მსხვილი მანუფაქტურა, სადაც 3 ათასი ქალი მუშაობდა, როგორც ს ა მ ა ნ ქ ა ნ ო მ ა ნ უ ფ ა ქ ტ უ რ ე ბ ი , ისე ესეც განიცდის დიდ კრიზისს.

ამჟამად უკვე მთელ რიგ უძველეს სახელოსნო წარმოებებთან ჩნდება მანუფაქტურები, როგორც მაგ.: მანუფაქტურა კ ლ უ ა ზ ო ნ ე ბ ი ს , ლ ა მ ფ ე ბ ი ს დამამზადებელი, ყოველგვარი რიტუალისათვის (რელიგიური, პოლიტიკური და ყოფა-ცხოვრებითი წესების) ეგზომ საქირო „ხლოპუშკების“, მამხალების და ფერადივერკისათვის მასალების დასამზადებელი, პოპულარულ სათამაშო მ ა ჩ ე ა ნ ი ს გამკეთებელი და სხვ.

მანუფაქტურები. ყოფა-ცხოვრებასა და ჩვეულების შეცვლასთან ერთად წარმოიშვა ახალი მოთხოვნები. ჩინეთში უკვე საჭიროა კბილის „ჩოთქები“. კბილის „ჩოთქები“ კი მზადდება მანუფაქტურებში, სადაც მუშათა რიცხვი 5-დან — 10-მდეა, მათ შორის შრომის დანაწილება მაქსიმალურად ტარდება; ერთი ამზადებს ძელის ტარს, მეორე ნახევრეტებს უკეთებს მას, მესამე ჯაგარს სეაშს მასში და სხვ. ჩინეთში უკვე ევროპულ ფეხსაცმელს ატარებენ, ხოლო მისთვის კი საჭიროა „ჩოთქი“, რომელსაც მუკდენში საკმაოდ მოზრდილ მანუფაქტურებში ამზადებდნენ. ჩინეთში გავრცელდა აგრეთვე კბილის საწმენდიც. ის შემოქონდათ იაპონიიდან. იაპონიის საქონელზე გამოცხადდა ბოიკოტი წარმოიშვა კბილის საწმენდის დამამზადებელი მანუფაქტურები. კილოფის დამზადება და წვნა საოჯახო მრეწველობის ფართოდ გავრცელებული დარგებია: ენჩიოუსა და მთელ რაგ სხვა ქალაქებში რამოდენიმე მანუფაქტურა არსებობს. ბევრ ადგილზე სანთლის დამზადებაც მანუფაქტურულ წარმოებებში გადადის.

საპანის სახარშ მანუფაქტურებს ფუჩიოუსი აქეთ კაპიტალი 500-დან 5 ათას დოლარამდე, ხოლო მუშათა რიცხვი 5-დან 20-მდე. უზანში 8 საპანის სახარშ მანუფაქტურაა. 1 მილიონ ტელზე მეტი თანხა დაბანდებული მრეწველობის ამ დარგში, და მათი წლიური პროდუქტია 1 მილიონ დოლარს აღემატება. უდიდესი მანუფაქტურა კაპიტალიზირებულია 250 ათასი ტელით. ხოლო უმცარესი — 23 ათასი ტელით. ეს მანუფაქტურები თავისი მასშტაბით უფრო ფაბრიკებს წარმოადგენენ. საპანის სახარშ მანუფაქტურები ნედლეულად ხმარობენ მცენარის სანთელს, ბამბის ზეთს, ცერცვის ზეთს და სხვ. საპანის სახარშში თანამედროვე ტიპის ქვაბები საკმაოდ იაფია (800 — 1.000 დოლარი), საწნები მანქანები 60 — 70 დოლარი ღირს, და ამგვარად მცირე თანხით შეიძლება მოწყობილი იქნეს თანამედროვე ტიპის საპანის სახარშ მანუფაქტურაც. კ. რომელშიც ქვაბების გახურება მიღების ორთქლით მოხერხდება.

ძველი ყიდის მანუფაქტურები სარგებლობენ მარტივი ქვაბებით, ორთქლით გახურების გარეშე, თუმც ამ წესის დროს საპანში 40 — 50% წყალი რჩება. წარმოების ამ დარგის მანუფაქტურა მსხვილ ქალაქებში უკვე კეთდება კარგად მოწყობილ ფაბრიკათ. ბაზარი შედარებით ფართოა. მსხვილი წარმოება სეჯობნის წვრილს არა მარტო სიიადით, არამედ საქონლის ღირებულებითაც — უკეთესი მოწყობილობის გამო. 1930 წ. ოთხი უდიდესი უცხოელთა საპანის სახარშში ქარხანა გაერთიანდა ერთ ტრესტში და ამ მსხვილ უცხოელთა ტრესტს კონკურენცია განსაკუთრებული სისწრაფით ანადგურებს ჩინეთის წვრილ საწარმოთ.

ასეთივე გადასვლით მანუფაქტურიდან ფაბრიკაში ხასიათდება აგრეთვე ტყავის საქმეც. სხვა ქვეყნებთან საქონელთბრუნვის ფართოდ გაშლამდე თრიმელის საქმე, როგორც ჩანს იყო სოფლის სარეწავი, რადგან ტყავი. ქურქი ფრად და ფრად არაღიდ რაღს თამაშობდა ჩინელი ხალხის ტანისამოსის საქმეში. ინდოეთში ტყავის პირველი მანუფაქტურები

არსდებოდენ მადრასის ირგვლივ, როდესაც დაიწყო ტყავების გაზიდვა ინდოეთიდან და არსდებოდენ ისანი ტყავის ეგრეთ-წოდებული ზრომის პროცესით გადამუშავების მეოხებოთ. ტყავების ექსპორტი ჩინეთშიც იწყებდა მანუფაქტურების შექმნას, პირველ რიგში მონღოლეთის ოლქებში, რომლებიც ამ ნედლეულის მთავარი მიწოდებელი იყვნენ.

შედარებოთ არა დიდ ქალაქ სუან-ხუას (ჩრდილოეთ დასავლეთით) 43 მანუფაქტურაში დაბანდებულა 5.600 მუშა, დიდ მანუფაქტურაში მათი რიცხვი 120 — 150-მდე აღის. წლის განმავლობაში მანუფაქტურებო მხოლოდ 7 თვეს მუშაობენ და ტრანცზინის მსხვილი ექსპორტიორების დაკვეთებს ასრულებენ. ჩინეთში ტყავის მანუფაქტურების კაპიტალი ჯანაოპს 3-დან 20 ათას დოლარამდე, მანქანების რაოდენობა 2 — 7-მდე, რომლებიც ხელათ მოყავთ მოძრაობაში. ტრანცზინსა და შანხაიში უკვე უღრდესი ფაბრიკები არსებობს; თუმცა შანხაიში კიდევ მოიპოვება წარმოების ორგანიზაციის სამივე ტიპი: 1) ძველი მოდის სახელოსნოები ძველი უაიღის მთრიმლავი პროცესით, 2) მანუფაქტურები უფრო ახალი ქიმიური პროცესებით და 3) უღრდესი ფაბრიკები თანამედროვე მანქანებით და უაბლესი ქიმიური პროცესებით.

წარმოების ერთეულთა 4 ტიპი შეიძლება იქნეს ნახული აგრეთვე ზეთის სახელოსნოების მრეწველობაში: 1) წვერილი სახელოსნოები ხის წნეხებით. 2) მანუფაქტურები ჰიდრავლური წნეხით (ნაწილობრივად წნეხი რკინისაგანაა დამზადებული), 3) ზეთის სახდელი ქარხნები რკინის წნეხით და ორთქლის ან ელექტრონის ძრავებით და 4) თანამედროვე ფაბრიკა ზეთის გამოხდის ეგრეთწოდებული ექსტრაქციონული მეთოდით. სოფლებში ზეთის სახდელი საწარმოება ხშირად მოწყობილია კოოპერატიული არტელის საფუძველზე, მაგრამ კოოპერატივი ატარებს აშკარა კულაკურ ხასიათს.

ტიპი ზეთის სახდელი საწარმოსი, რომელიც უფრო ხშირად გხვდება ლენ-იუს მაზრაში (ჩეეცუზანი) — სეზონურაა, დაარსებული რამოდენიმე გლეხის მიერ, მსგავსად საბაო ამხანაგობისა. მასში მუშაობენ ამ ამხანაგობის წევრები ან მათი ოჯახის წევრები, ხოლო ხანდისხან დაქირავებული მუშებოც. მათი კლენტურა შედგება არა მარტო ადგილობრივ სოფლიდან. არამედ მეზობელ სოფლებიდანაც, რომელთაც არა აქვთ თავიანთი ზეთის სახდელი. ჯილდო ფულად ფორმაში გამოიხატება.

ასეთივე „საბაო ამხანაგობანი“ ეწყობა სამხრეთში (გუანდუნა) შაქრის ლერწმის გადამამუშავებლად და შაქრის დასამზადებლად. მაგრამ აღნიშნავენ, რომ არსებობს მუდმივი არტელები და დროებითი ან სეზონური არტელები; უკანასკნელს ადგენს მოიჯარადრე ყოველთვის, როდესაც აღმოჩნდება სამუშაო. არტელში შესვლისას მუშები სდებენ ხელშეკრულებას მოიჯარადრესთან; — მუშაობის ვადისა და ხელფასის შესახებ. მოზრდილი მუშების გარდა არტელში მუშაობენ აგრეთვე მოწაფეებოც. ჩვეულებრივად ეს მოიჯარადრეება სასტიკ ექსპლოატაციას უწყევნ თანავე მუშებსა და შევირდებს. ზოგჯერ ხელშეკრულებაში აღნიშნავენ, რომ ხელფასის გაცემის გარდა მოიჯარადრემ უნდა კვების მუშები, ხოლო

ზოგჯერ მუშები იღებენ რამოდენიმე კოპკერით მეტს და ვალდებულ არიან თვით დაიჩინონ თავი.

სრულიად თავისებურ ფორმას იღებს არტელის სახით ექსპლრატაცია ბ რ ა ი ნ გ ა რ ჩ ე ე ი ს ს ა ქ მ ი ს ორგანიზაციაში; ამასთანავე მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული, რომ ჩინეთში ბრინჯის გაწმენდა ჯერ კიდევ ძველებურად წარმოებს, მხოლოდ რამოდენიმე ქალაქში არსებობს მსხვილი ქარხნები.

ბრინჯს არჩევენ ან სახლში საკუთარი საშუალებით, ანდა სპეციალური მუშების დაქირავებით (მაგ. ჩეეცზიანში, ცზიანსუში), რომლებიც მუშაობენ დამქირავებელთან მისი საწარმოო იარაღით (თიხის ჭურჭელი და ხის ჩაქუჩი — დამმარცვლებელი) ნახაის მაზრიდან (ჩეეცზიანის პროვინცია) ერთი ამხანაგის ნაამბობის თანახმად მის სამშობლო სოფელში იყო ასეთი მუშების დიდი არტელი, რომლის მოჯარადრის როლში ადგილობრივი ჯენტრი გამოდიოდა; როდესაც გლეხებს დასპრდებოდათ ბრინჯის დამარცვლა მივიდოდნენ ამ ჯენტრისთან და შეუთანხმდებოდნენ მუშის ვაგზავნის შესახებ; ეს უკანასკნელი მივიდოდა გლეხის სახლში, იმუშავებდა იქ და მიიღებდა ფულს, რომლის ნაწილაც მოვალე იყო მოჯარადრე-ჯენტრისათვის მიეცა, საკომისიოს სახით, სამუშაოზე რუკომენდაციას გაწევის გამო.

მაგრამ ბრინჯის გაწმენდის არსებულ საშუალებათაგან ეს ყველაზე უფრო პრიმიტიულია, ახლა ძალზე გავრცელებულია სხვა, უგრეთწოდებული „ახალი“ ტექნიკაც. ბრინჯი იწმინდება ორ საფეხველ დოლაბს შუა. დასასრულ, მთელ რთვ ქალაქებში მოიპოება ბრინჯის საწმენდი უდიდესი ქარხნები. მაგალითი: უხუში, ხანკოუში.

საქირაა ჯიდევ აღინიშნოს არაყის გამომხდელი მანუფაქტურები, რომლებაც ზოგ ადგილას დიდ როლს ასრულებენ. შაოსანში (ჩეეცზიანი) 700-მდე ბრინჯისაგან არაყის გამომხდელი საწარმოა. წლიური პროდუქციის ღირებულება ფასდება 2 მილიონ დოლარად. მანჯურიაში ძალზე გავრცელებულია წამოწყებათა ეს სახე. იქ ნედლეულად გაოლიანს ხმარობენ.

წარმოების პროცესი არსებითად არ განსხვავდება რუსეთის სოფლებში „სამოგონის“ გამოსახდელად ხმარებული წესიდან. მანჯურიაში საქონლის პროდუქციის წლიური ღირებულება ფასდება 18 მილიონ დოლარად. არაყის გამომხდის საქმე შანსშიც ფართოდაა გავრცელებული, და ფიქრობენ, რომ პროვინციის წლიური პროდუქცია 1 მილიონ ლიტრას აღწევს. მაგრამ წვრილი და მუნუფაქტურული წარმოება ჩინეთში ყოველის შხრივ განიცდის კონკურენციის ბრჭყალებს.

ჩინეთში ლიკოორების, სპირტის სასმელების, ღვინისა და ლუღის შემოზადვა, ისევე როგორც ფუფუნების საგნების საერთოდ — მუღმიყად იზრდება უკვე არსებობს ჩინეთის დიდი საწარმოები უცხოეთის ყალბო ლიკოორების დასამზადებლად. დასასრულ, ჩინეთისა და იაპონიის კაპიტალი უკვე აწყობს ჩინეთის ლიკოორების მსხვილ წარმოებას. ამ შხრივ ძალ-

ზე სანტერესოა, რომ ჩიტუს მიდამოებში არაყის გამოშვებულმა ქარხანამ შეიწყდა მუშა და ამჟამად 3 ათასი მუ-ს (150 აკრი) შანძილზე გაშენებული აქვს ვენახი. რამდენად ჩვენ ვიცით, ეს ერთი მსხვილი სასოფლო-სამეურნეო წარმოებათაგანია ჩინეთში საერთოდ. არაყი, როგორც მსხვილი წარმოების პროდუქტია და შემოტანილი საქონელი არ იქრება სოფლად, სადაც განუწყვეტლივ ბატონობს მამა-პაპური წარმოება, მაგრამ ქალაქის ბაზარზე მსხვილი წარმოება უცხოეთის სასმელებზე უკვე ავიწროებს ჩინეთის საქონელს.

(ლ. მაღიარი — ნარკვევები ჩინეთის ეკონომიიდან).



ს ა რ ჩ ე ვ ი

წინასიტყვაობა	III
„აზიური“ წარმოების წესი	VI — XXXIII
შესავალი	I — 54
1. კაპიტალისტური დაგროვების ისტორიული ტენდენცია	1
2. კაპიტალისტური სისტემის გაგებისათვის	3
3. კაპიტალისტური განვითარების ზოგადი კანონები	8
4. კაპიტალისტური მესარეწეობის წარმოშობის სპეციფიურობანი	10
5. კაპიტალისტური დაგროვების ანტაგონისტური ხასიათი	14
6. კაპიტალისტური დაგროვების საიდუმლოება	16
7. კაპიტალიზმის „მისია“	19
8. ბურჟუები და პროლეტარები	23
9. ეპოქის საერთო დახასიათება	33

თ ა ვ ი 1.

საეპოქო კაპიტალის განვითარება და როლი	55 — 123
1. საეპოქო კაპიტალის არსება და მნიშვნელობა	55
2. საეპოქო კაპიტალის განვითარება	59
3. სავაჭრო კაპიტალისა და საკრედიტო საქმის განვითარება	65
4. იტალიის ეპოქობა აღმოსავლეთში	71
5. ბანკების წარმოშობა და განვითარება	75
6. ბირჟების წარმოშობა და განვითარება	77
7. ჰანზას საეპოქო ბრუნვები	80
8. ეპოქობა და საეპოქო პოლიტიკა	81
a) ზოგადი მიმოხლევა	81
b) პორტუგალია და ესპანეთი	84
c) ნიდერლანდები და საფრანგეთი	90
d) ანტვერპენი მე-XVI საუკუნეში	97
9. ინგლისის საეპოქო და კოლონიალური პოლიტიკა	100
10. სანავიგაციო აქტი	107
11. ნაციონალური ბაზარი და მერკანტილიზმი	110

თ ა ვ ი II.

კოლონიალური განვითარება

124 — 156

1. კოლონიის აუცილებლობა კაპიტალისტური ქვეყნისათვის .	124
2. საზღვაო ექსპედიციები	127
3. კოლონიის იდეა	129
4. კოლონიალური სახელმწიფოს წარმოშობა	131
5. დამოუკიდებელ მწარმოებელთა ექსპროპრიაცია კოლონიებში	134
6. კაპიტალისტური წარმოების შექრა კოლონიებში	136
7. კოლონიების ექსპლოატაცია	137
8. ნატურალური მეურნეობის ძალდატანებითი რღვევა კოლონიებში	139
9. პორტუგალიის კოლონიალური ვაჭრობა	144
10. ესპანეთის კოლონიალური ვაჭრობა	146
11. მონებით ვაჭრობა	148
12. კოლონიების მნიშვნელობა ინგლისის ეკონომიურ განვითარებაში	152

თ ა ვ ი III.

სასოფლო მეურნეობა

157 — 206

1. სასოფლო მეურნეობა ინგლისში XVI საუკ.	157
2. სასოფლო მეურნეობა საფრანგეთში XVI საუკ.	158
3. „ცხვრებმა შეჭამეს ადამიანები“	159
4. სასოფლო მეურნეობა და აგრარული წყობა XVII და XVIII საუკ.	163
a) ეპოქის საერთო დახასიათება	163
b) სასოფლო მეურნეობა ბელგიაში	169
c) სასოფლო მეურნეობა ინგლისში	171
d) სასოფლო მეურნეობა საფრანგეთში	172
e) აგრარული წყობა	177
5. გენერალური შტატები საფრანგეთში 1614 — 1615	180
a) აზნაურთა ნაკაზი	180
b) მესამე წოდების ნაკაზი	181
6. სასოფლო მეურნეობის პროდუქტთა საქონლად გადაქცევა და გლეხთა პროლეტარიზაციის პროცესი	182
7. მშრომის ტერიტორიალური დანაწილება და მიწათმოქმედების გამოყოფა მრეწველობიდან	187
8. სოფლის მოსახლეობის მიწის ექსპროპრიაცია	189
9. კაპიტალისტური ფერმერების წარმოშობა	197
10. საბეგრო-საბატონო მეურნეობის კაპიტალისტურთან შეერთება	199

თ ბ ვ ი IV.

მანუფაქტურის წარმოშობა, არსება და მნიშვნელობა	207 — 249
1. კოოპერატიული შრომა კაპიტალისტურ წარმოებაში	207
2. მარტივი კაპიტალისტური კოოპერაცია .	211
3. მანუფაქტურის წარმოშობა და მისი ძირითადი თვისებები .	214
4. მანუფაქტურის ორგვარი წარმოშობა	215
5. მანუფაქტურის ორი ძირითადი ფორმა	218
6. მანუფაქტურის ტექნიკა	220
7. შრომის ნაყოფიერების ზრდა მანუფაქტურაში	223
8. ქინძისთაის მანუფაქტურა	225
9. მანუფაქტურის ეკონომიური წყობა	227
10. საეაქრო და სამრეწველო კაპიტალი მანუფაქტურაში	230
11. მანუფაქტურული წარმოება და მისი განსხვავება მსხვილი მანქანური მრეწველობიდან	232
12. შემსყიდველისათვის მუშაობა, როგორც კაპიტალისტური მანუფაქტურა	238
13. მანუფაქტურა წარმოების გარდამავალი ფორმაა .	248

თ ბ ვ ი V.

მანუფაქტურული წარმოების განვითარება	250 — 282
1. ცენტრალიზებული მანუფაქტურა	250
a) რა იგულისხმებოდა მანუფაქტურის ქვეშ XVI და XVII საუკ.	250
b) უცხოელთაგან შექმნილი მანუფაქტურები	252
c) იძულებითი შრომაზე დამყარებული მანუფაქტურა	253
d) შინამრეწველობიდან წარმოშობილი მანუფაქტურა	261
e) მანუფაქტურის გაერცელება სხვადასხვა ქვეყნებში	263
2. სამეფო მანუფაქტურები საფრანგეთში	266
a) რა არის სამეფო მანუფაქტურები	266
b) მსხვილი კაპიტალები	267
c) მაქმანთა ომი	268
d) სარკების წარმოება	269
e) ხელნაქაოვი და მანქანოქაოვილი ჩულქები -	270
f) ვან-რობეს მანუფაქტურა	271
3. სენ-მორის მანუფაქტურის შინაგანი მმართველობა	272
4. მეფის ბრძანება მანუფაქტურის შესახებ .	276
5. მანუფაქტურის ფაბრიკად გადაქცევა	279

თ ბ ვ ი VI.

ტექნიკის განვითარება მანუფაქტურულ პერიოდში	283 — 315
1. მანუფაქტურული პერიოდის მანქანები და მისი მეცნიერება	283

a) მქნევარი ბორბალი	283
b) ხაზუნის კანონები	284
c) მყარი სხეულების სტატიკა და დინამიკა	284
d) მასალათა სიჯიქე	285
e) სითხეთა მექანიკა	286
f) აირგვარ სხეულთა მექანიკა	286
g) კონსტრუქტიული მექანიკა	287
h) მოძღვრება სითბოზე	287
l) ოპტიკა	287
ქ) ელექტრობა	288
k) ფიზიკა	288
i) ქიმია	288
2. სამთა-მადნო საქმის ტექნიკა და ორგანიზაცია XVI ს.	289
3. სამთო-საქარხნო მრეწველობის ტექნიკა XVI და XVII საუკ.	296
4. ლითონის გადამმუშავებელი მრეწველობა	299
5. საფეიქრო მრეწველობის ტექნიკა	300
6. წყლისა და ქარის ძრავების გამოყენება	301
a) წყლის ძრავის გამოყენება	301
b) ქარის ძრავის გამოყენება	303
7. წყლის წისქვილის განვითარება მანუფაქტ. პერიოდში	304
8. ორთქლის მანქანა სამრეწველო რევოლუციამდე	308
a) ორთქლის მანქანის ელემენტები დ. პაპინამდე	308
h) დიონისე პაპინი	309
c) ნიუკომენის მანქანა	311
9. საათის განვითარება	312
10. საზღვაო ტრანსპორტის ტექნიკა	314

თ ა ვ ი VII.

თანამედროვე მანუფაქტურა	316 — 330
1. თანამედროვე მანუფაქტურა ჩინეთში	316
a) საერთო დახასიათება	316
b) საფეიქრო მანუფაქტურა	319
c) თიხის კურკლისა და ფაიფურის მანუფაქტურა	321
d) ქალაღდის, საპლბრო, ნოხის, ქანდაკების, მაქმანების, საპნის და სხვ. მანუფაქტურა	325
მეცდომების გასწორება	335

შემჩნეული შეცდომების გასწორება

გვერდი	დაბეჭდილია	უნდა იყოს
V სტრ. 16 ქვემოდან	კოლონური	კოლონიალური
VII „ 1 ზემოდან	ნახევარმილიონიანი.	ნახევარმილიარდიანი
XI „ 4 ქვემოდან	თანდართულ	თანდათან
XIII „ 7 „	იმალება	იშლება
XV „ 3 „	ხდება	ხდება
XXIV „ 21 „	ისტოგრაფიის	ისტორიოგრაფიის
XXVIII „ 12 ზემოდან	ანტიკური	მონათმფლობელური
XXXI „ 11 „	მოსაზრება	შეხედულება
137 „ 19 ქვემოდან	§. 9 პორტუგალიის კოლონიალური ვაჭრობა	§ 7. კოლონიების ექსპლოატაცია